

1972

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՅՈՒՐԱԿՐԱՆՈՒԹՅՈՒՆ



Երկուց

12





სენეკა

186

გამოცემის მეთექვსმეტე წელი

12

11800

დუბუაჟი


1972

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო





თავისუფალ ერთა მკლე კავშირი ძმური

- 3. გალაკტიონ ტაბიძე, კავშირი ბულთა შორის! ლექსი
- 4. პავლო ტიჩინა, გეორგ ემინი, მამად რაიში, ემილიან ბუკოვი, გარდი შერბაბაივი, მოკამედ გამაკაივი, ოიარ ვაციბისინი, მიხაილ სინელნიკოვი ლექსები, თარგმნეს მ. ლეხანიძემ, გ. ძენლაძემ, ვ. ჭავჭავაძემ, ვ. გორგანელმა, ო. ქელიძემ, ალ. ქინჭარაულმა, თ. ბეიშვილმა, ჯ. ჩარკვიანმა, გ. გეგეჭკორმა
- 65. ახალ კივიში, ქართული სოციალისტური ერთ

პ რ ų ა

- 11. გრიგოლ ჩიქოვანი, ძმები, მოთხრობა

ილიდე საფუძვლები

- 41. ვასილ ლაგაზიძე, ლენინის ორდენი
- 49. ზაურ ფიფია, ბანთიადი ენგურზე
- 53. ღვით აგლაძე, საქართველოს პავილიონი, 1939 წელი
- 60. გორის შატბაგოვილი, გაცოცხლებელი წყალი

ახალი თარგმანები

- 70. გრიგორი სომოვროდა, ლექსები, თარგმნეს ანა კალანდაძემ, რევაზ მარგიაშვილმა, შოთა ნიშნიანიძემ, მოთხრობები, თარგმნა ჭაბა ასათიანმა
- 74. რინეარ მარია რილაკი, სიმღერა კონსტანტინ-ტოფ რილაკის სიყვარულსა და სიკვდილსა, გერმანულიდან თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა
- 79. იანსუარი პავაბაბა, მოთხრობები, თარგმნა იზა გოცაძემ

წერილები

- 85. მზიულა სუთიშვილი, ბარათაშვილის კოეფიციენტის პასტერნაკისებური თარგმანები
- 95. გიორგი ჯიგლაძე, ლალო ასათიანის დღეებზე და ლექსებზე
- 121. ღვით პაციბაძე, ეპიკური XV საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან
- 127. ზურაბ ყოჩანაშვილი, საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ
- 138. ვასილ კოპალიანი, სტაფანე ორბელიანის „ორგულთა ისტორიის“ ზომიერითი გადმოცემის დროის საკითხისათვის
- 146. რევაზ თვაკაძე, „როგორც შეშვინის მამის, მამაკაცს, მოქალაქეს“

ჩვენი კალენდარი

- 149. ელიზბარ ჯაბელიძე, ნენისის მსოფლმხედველობის გაბაბისათვის
- 155. შარნალ „ცისკრის“ 1972 წლის ნომრების შინაარსი

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

ხარედაქციო კოლეგია:

- ზურაბ ასათიანი,
- აკაკი ბატრაძე,
- ვიკი გეგეჭკორი,
- ზურაბ გვარდნიერი,
- მერაბ ელიოვიშვილი,
- კარლო ქალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტია პავლოვი,
- (პასუხისმგებელი მდივანი),
- ნუგზარ ფოფხაძე,
- ნოდარ წულუბსარი,
- ტარიელ მანუჩარი,
- სერგი შილაბი,
- თამაზ შილაძე,
- ლუბა ჯანაშია.

თავისუფალ ერთეულად ქავშირი ქვეყრი

ბალაჰიონ გაბიძე

კავშირი გულთა შორის!

დიდო არმია! არის უნი მედგარი მხარი
ჩვენი სამშობლო მხარის მარჯვე ხმალი და ფარი.

მღერალმა ჩვენი ველის, ჩვენი მთისა და გორის,
ჩვენ რუსთაველმა გვითხრა: კავშირი გულთა შორის!

იყოს ერთისთვის ყველა და ყველასთვის ერთი,
რომ მიარღვევდეს ბურუსს გაკაჟებული მკერდი.

ვერავენ დაამარცხოს მგრძნობი მიზანის სწორის.
მარადჟამს მზიანია კავშირი გულთა შორის!

კავშირი გულთა შორის! როცა გულს იცნობს გული,
რაც ამაზე უფრო მშვენიერი და სრული.

გზა გვეკონდეს გამარჯვების არა ერთის და ორის,
ყველაფერს გადალახავს კავშირი გულთა შორის!

ძველო ასპინძის ველო, ძველო ციხეო გორის,
მკერდით გიცავდათ მარად კავშირი გულთა შორის!

მარად სიცოცხლეს უდგა და ისტორიის მდორის
ამფეთქებელი იყო კავშირი გულთა შორის!

უძლეველია ციხე, ბუდე ორბის და ქორის,
რაც ააგდო დიდმა კავშირმა გულთა შორის!

დიდო არმია! მძლეა ფიცი ტოლის და სწორის!
კავშირი გულთა შორის! კავშირი გულთა შორის!

მაღალი ბრძოლა ქმური ოჯახის!

შენთვის უცხოა ბოღმა და შური,
ლაფი და წუმბე, ჭაობი მტრობის —
გამღერებს ხალხთა ოჯახი ძმური
და ცისარტყელა თავს გადავას ძმობის...

გაპკიდებია ძახილი ძახილს,
მზე დასდგომია მამულის ტატნობს,
გახარებს დიდი სიმაღლე ხალხის
და ხალხთა ძმობის სიმღერა მათრობს...

ო, ენა ძმისა ძმამ შეგვაყვარა,
გვეტკბილა მოძმის მშობელი ენა;

თუმც ნათქვამია სიტყვა სხვაგვარად,
აზრი ყოველთვის გვიგვრძნია ჩვენად...

წასულა ძმობის მწვერვალი ცაში,
„დიდება ძმობას!“ — ერთი რომ ვჭეკოთ,
პასუსად ვაშა იქუსებს წამსვე —
გადიგრუსუნებს სივრცეებს ექოდ.

შენად ქცეულა საუნჯე სხვისი,
მდიდრდები მოძმის მშობელი ენით...
აი, ეს არის დიდების ღირსი
და გამარჯვებაც ეს არის ჩვენი!

თარგმან მურომან ლუბანიჩევი

გეორგი ეპინი

სომხეთი

მე ყველა ხალხის ენა მიყვარს!..

ყველა ქვეყნის და ყველა ერის მე მიყვარს ენა, —
სადაც კი სწვდება მზის შუქი და მთვარის ნათელი!..
ფეხქვეშ გამისკდეს დედამიწა, გამიწურეს ზენა,
ძმად თუ არ მწამდეს გინდა ფრანგი, გინდა ქართველი!

სულში ჩავისვამ, კარგი კაცი ვინც კია ქვეყნად,
ვეთაყვანები, ვინც მოყვასთა გატანა იცის,
ღმერთმა იმდენი მეგობარი, რამდენიც მე მყავს,
სუყველამ მისცეს შინ და გარეთ, უცხოც და თვისიც!..

მე, — კაცს, რომელიც ყოველ სიტყვას მზის ცეცხლში ვფერავ,
მესროფ მაშტოცი რომელსაც მყავს სულიერ მამად, —
მსურს ვისწავლო და შევიყვარო ყოველი ენა,
რათა თავს ვგრძნობდე შინაურად, — სადაც კი წავალ!..

მე ენა მიყვარს ყველა ქვეყნის და ყველა ხალხის,
მე ვუსმენ გულთა ღაღადისს და სამოყვრო ძახილს!..

თარგმან გივი ძნელაძე

ჩემი აზერბაიჯანი

ქვეყნად ბევრი ლამაზი და
მშვენიერი მხარეა,
მე კი ყველა შარაგზიდან
შენკენ მომიხარია.
ჩემო აზერბაიჯანო,
ლამაზი ხარ ყველაზე,
მტერი უნდა გაგიჯავრო,
ხმატკბილო და ენამზევე!
ქვეყნად ბევრი ღრმა და წმინდა
მდინარენი არიან,
მაგრამ ერთი არაქსი და
ერთადერთი მტკვარია.
მე მალხენს და მახალისებს
მხოლოდ შენი მდინარე,
ფიქრებს ვანდობ დარბაისელ
ვერხვებსა და ჩინარებს.
ჩემი სულის წამალია
შენი წყარო ანკარა.
დღეს მავიწყებს ვარამიანს,
წლების მიმატებს აშკარად...

ვინც მშობლიურს ნატრობს ბალნარს
და სული აქვს ხალასი,
მიმიხედება, რატომა ხარ
შენ ყველაზე ლამაზი.
გული მუდამ ღია გქონდა,
მდიდარი და უბრალო,
ჩემო იმედიანო და
ჩემო თავისუფალო!
სანეტარო ამინდებით
გულებს ყველას უმშვიდებ,
დღე სჯობია ხვალინდელი
დღევანდელს და გუშინდელს.
სიხარულით ავსებული
ოქროს თასი მოგვართვი,
ამ თასივით სავსე გულიც
არის შენი ნობათი.
დრო წარსული არ იჯავრო,
ლხენა გაგვიწილადე,
ჩემო აზერბაიჯანო,
ჩემო თვალის სინათლევე!

თარგმან ვახტანგ ჯაფარიძე

ველიან ბუკოვი
მოლდავეთი

ჩვენი მეგობრობა

ვინ თქვა, ენათა სხვადასხვაობა
ადამიანებს აშორებს თითქოს,
გემატებს ძალას და გამბედაობას
ამ საუკუნის ცეცხლი და სითბო.

ჩვენს გულში ერთი აზრი ტრიალებს,
წინ მიგვაქანებს მიზანი ერთი,
სხვადასხვა ერის ადამიანებს
დღეს ერთნაირად გვიღელავს მკერდი.

ჩვენ მეგობრობას ველტვოდით ძველად,
მაგრამ დღეს სხვაა ცეცხლი ამ გრძნობის,

ჩვენ შეგვეერთა საბჭოთა ენამ,
ენამ სიმართლის და ხალხთა ძმობის.

სადაც ვართ, ყველგან, შიგნით თუ გარეთ,
სულ სიყვარულის ვართ სიტყვის მთქმელი
და თავს დაგვენათის მარად ელვარე
ჩვენი დიადი მოსკოვი, კრემლი.

სხვადასხვა ერთა ტკბილი სიმღერა
მომავალ დღეთა გზაა და ხიდი,
ეს მეგობრობა არ დაირღვევა,
ვიდრე მზედ ბრწყინავს ლენინი დიდი.

თარგმან ვახტანგ ზორბანაშვილი

ჩემო თურქმენისტანო

მთელი ჩემი მგზნებარე, წრფელი გულით მიყვარხარ, შენ გეკუთვნის სიცოცხლე, ჩემო თურქმენისტანო, ქვეყნად შენზე ძვირფასი, შენზე კარგი ვინა მყავს, ყველა სენის წამალო, ჩემო თურქმენისტანო. ჩემო მხარეგ ლამაზო, ოქტომბერში ნაშობო, ლენინის გზით მავალო, მოგიზგიზე მზის დარო, მომავლისკენ თამამად მიხვალ გმირთა სამშობლოვ, ყველა ნატვრა აგიხდა, ჩემო თურქმენისტანო. სიამაყევე, სიმდიდრევე, არსო ჩემი ყოფისა, ჩემი ძვლების ჯავარო, სისხლო, ძარღვთა მტვირთავო, ჩემო თვალის სინათლევე, რწმენავე წუთისოფლისა, მთელ მიღეთზე არ გაგცვლი, ჩემო თურქმენისტანო. კრემლის შუქი გინათებს გზას გაჭიმულს ხვალისკენ, ძმები ძალას გამატებენ, — ლელო რომ გაიტანო. ახლა შენს უდაბნოში არხი გულს ახალისებს; სულ წინ გევლოს ამაყად, ჩემო თურქმენისტანო. თხუთმეტ ტოტში შენ ერთი მშვენიერი ტოტი ხარ, ძმებთან გული გაერთებს, თოთხმეტივე ძმის დარო, მშვიდობისთვის მებრძოლებს მხარში ამოსდგომიხარ, ცისარტყელას მსგავსი ხარ, ჩემო თურქმენისტანო!

თარგმნა **ოთარ ზელიძე**

მოკამელ მამაკაგვი

ჩეჩენი პოეტი

სიმღერა საქართველოზე

ყმაწვილობისას დედის ნათქვამი მე მახსოვს, როგორც ტკბილი ზღაპარი; შორს, ცხრა მთას იქით, არის ქათქათა მზით გაჟღენთილი მწვანე მთა-ბარი.

იქ ბუმბერაზ მთებს ღრუბლის ქულები თავზე ახურავთ, ვით ფაფახები, უმზერენ კდემით და სიყვარულით იმ მხარეს კუსტი ვაინახები.

იქ სტუმრისათვის ღია აქვთ კარი, ლეინოს ასმევენ ბადგასავითა

და მუდამ წალმა უბერავს ქარი მოგზაურთათვის და მენავეთა.

თუმც ჩვენებურად არ ცხოვრობს გურჯი, არა ჰგავს ჩვენს ღმერთს იმისი ღმერთი, სისხლი ჩვენფერად უჩქროლავს გულში და ჩვენთვის მუდამ სიკეთეს ელტვის.

ყმაწვილობისას დედილოს ნამღერს თითქოს მიგყავდი ედემის ბაღთან... და საქართველო როდესაც ვნახე, ბავშვობის ტკბილი სიზმარი ახდა.

მოხუცი და სიკვდილი



სიკვდილი: — უნდა წაგიყვანო, გამიღე კარი! —

გინდა თუ არა, მზე-ქვეყანა დაგათმობინო!

მოხუცი: — ცოტაც მოითმინე, რა დროს ეგ არი?

ჩვენ ხომ ერთმანეთს ხშირად ვხვდებით ხოლმე, ძმობილო.

მაგრამ გარედან კვლავ ჯიუტად ისმის ჩხარუნი:

— ნუ მაგვიანებ, გზას ნუღარ სცდები!

— მამულს შევსწირე სისხლი, გული და სიყვარული...

აჰა, მიიღე მარტოდენ ძვლები.

ჩაჩხუროდნ თარგმნა ალ. ვინჯარაშვილა.

ოიარ ვახუაჟისი
ლატვია

შვილო, სილაში წაითამაშე, —

პირველი სიტყვა

სიტყვათა შორის

დედამიწაა!

ააგე: ციხე, ხიდები, გზები;

ააგე, რადგან ძალიან მალე

მართლა მოგიწევს მათი შენება.

გინდ მოითხვარე ამ ფხვიერ მიწით,

გინდ საყელოშიც ჩაიბნე,

არაფერია,

მთავარია, რომ გაიგო კარგად

ამ მიწის გემო, სუნი, სიმკვრივე...

გინდა, აიღე, გასინჯე კბილით.

შენ შეგიძლია, შვილო, ამ მიწით

ჯიბებშიც კი გამოიტენო.

არ დაიჯერო თუ ვინმემ გითხრას;

— ჩემია მიწის ეს ერთი გოჯი, —

ავადმყოფია ის კაცი, შვილო.

მიწას გაუგე.

მიწაზე დგახარ.

დგახარ მიწისთვის

და გაუფრთხილდი, —

იგია შენი მარადი ბინა.

ამას ყველაფერს მერე მიხვდები.
ჯერ კი მარტოდენ წაითამაშე
და დააყენე ღრუბელი მტვერის.
ხოლო როდესაც ამ ნახნაგებში
თესლს მიმოაბნევ
და ნაყოფს დაჰკვლევე
მაშინ მე სილას აღარ მოგიტან...
მაშინ მეზობლის ბავშვებს ვაჩუქოთ
ვგ ბულდოზერი, თოხი და ბარი.

თარგმანა თეოდო ბაქიუვილიმა.

მიხეილ სინელნიკოვი

ა ბ უ რ ი

ასე, კედელში, მე ქვად ყოფნას აღარ ვაპირებ,
წავალ, გავწვები ციცაბო კლდის ყაფარ ნაპირზე.

გული გამიპო ბალახების ბრძნულმა სიმუნჯემ,
ზევით და ქვევით, ქვევით, ზევით ცოცავს სილურჯე.

მოქცევისას კი ბედობალი მაქვს შესაშური,
შეხე? ქვიშა ვარ, მეფერება ტალღა ტყლაშენით.

აგერ, თევზები, ჩიტებივით წყალზე ფრინავენ,
და ვერცხლისფერი ფარფლით საესე მღერის მდინარე.

მიუღწეველი მწვერვალია უკუნისამდე
მწვერვალი ნისლის, რადგან ნისლი რჩება ნისლადვე.

მე შავგვრემანი ღრუბელი ვარ, პირმშო სიბნელის,
ვაგებ ქალაქებს და ყვავილებს ვძერწავ სიბერის.

გავუღებ სარკმელს, ერთადერთი დიდი მზის ბრწყინვას,
დღეს, ხვალ, ზებ, გუშინ, ისე, როგორც დიდი ხნის წინად.

და ხმაურობენ ჩემს გულმკერდზე ქვები ჩემხელა,
მზისფერი დაჰკრავს ქვებში შემძვრალ ხელიკის ხერხემალს.

ხედავთ? აღვსდები, გამოვხურე კარი სამოთხის,
მე ვარ მამონტი, უფრო სწორედ, კვალი მამონტის

მე მოცეკვავე კალია ვარ უსტ-იურტიდან
და ჩემი ურდო ურჩხულების ურდოს უდრიდა.

სახურავების მოღებული წითელი ხახა,
აფრქვევს სიცივეს, რასაც მუხჯი სიჩუმე ახლავს.

ჩემს არსებაში და ჩემს ძარღვში გასულ ქალაქებს —
იხე ვით ქვიშას მოგუგუნეს, ვალაპარაკებ.

გრუხუნებს ურდო და წკრილილი გააქვთ უზანგებს,
მე ვარ მშვიდობა, მე ვარ ომი, ფერფლი უსაგნო.

მე ვარ ურო და მე ვარ მეხი, ცეცხლი ვარ ქარში,
მე ვარ ბილიკი და ზეცაში მქროლავი რაში.

წასული დრო ვარ, მობრიალე ვარ მუგუზალი,
დრო მომავალი წარსულს ცხენის ფლოქვებს უგზავნის.

მოუსვლელი გზით, ოცნებანი მიაქვთ მირაჟებს,
მე მესიზმრება, რომ წყურვილის გამო ვილაშქრებ.

მოზოზინობენ აქლემები, მუხლამდე წყალში,
და მე ვიწვები იმ შორეულ ვარსკვლავთა წვაში.

იწვდიან ჩენსკენ ვარსკვლავები ოქროსფერ მჯიღებს,
ოქროს ბზრიალებს, ოქროსფერი უხდებათ სიღრმე.

მე მჯერა, ყველამ, უკვე ყველამ დამიმახსოვრა —
მე კედლის ფურცლის მეწამული ფერის ასო ვარ.

მე არც გარედან, არც შიგნიდან, არვის არ ვგავარ,
ვარ ქანდაკება, მე ვარ თიხა, მე კედლის ქვა ვარ.

გ ა მ ო ლ ვ ი კ ე ბ ა

კვიპაროსების მუქი სიმწვანე
დგას სილაქვარდედ შავი ღამისა,
განათებული დრო შვეიცანი,
გამომიწვია, გამომალევიდა.

დიდი სევდით და დიდი ნაღველით,
შემომცქერიან დიდი სახლები,
იწყება დროი, ღმერთის სახელით,
— ვთავისუფლდები და ვიდალები.

ქალაქი უნდა დავაყო რგოლებად,
შევაკავშირო უნდა რგოლები...

საფეხურები დამიგროვდება,
მზისკენ გაგაყვები გზას მოგონების.

სუყველაფერი მზისკენ მიიწევს,
მეჯლისობენ და იწყებენ ღვედებს,
საუკუნეთა მიღმა, ვინ იცის,
მე ქვა ვიყავ და ამ ცის ქვეშ ვგებდ.

ასიათასი ცისფერი ორმო,
ღამაზ სხეულზე გაუჩნდა ზეცას,
ათასი მტრედის ცისფერი ქორო,
ცისფერი ფრთებით ჰორიზონტს კეცავს.

დღეს სულერთია მარჯვნივ და მარცხნივ,
მწვერვალთა თავზე, სიცოცხლის ზემოთ,
დახეტიალობს მოტივი მკაცრი,
მიპქრის ფოთოლი, — ქათქათა წერო.

ქართული ზეცის მკერდი მაღალი,
სუნთქავს და არწვევს ოქროს სარეცელს,
ცეკვავს ქორწილი, მღერის არტანუჯის
გულს სტიკვა, მაგრამ გულს ვინ დაუძებს,

თარგმან ჯანსუღ ჩარკვიანმა.

შარღანი თბილისში

დახუჭე თვალი! ცის ნახევარი
ცისარტყელებით აავსებს ჭოგრიტს.
ლალობს ბახუსი დაუდევარი,
ზოგი პურს ყიდის, ღმერთს ყიდის ზოგი.
ხედავ სპარსელებს, თათრებს და სომხებს,
მოგვს ძღვენი მოაქვს ხელშეუხებნი.
ფლოქეთა თქარუნი, მუსიკის ოხვრა
და ტალღებივით კვამლის მუხლები.
ოცნება უცხო რჯულის და მიწის
ხალხს მიპყვება და კარგავს სიმძიმეს.
კუთხეში, ბანზე წიწკა იწვის
და შიშნეული სახე ციმციმებს.
და თუმც ლამაზი მოჩანს გარედან,
ეს სერენადაც არვის ალაღებს,
მე შენ ჯოჯოხეთს გაგატარებ და
გაჩვენებ მიწის-ქვეშა ქალაქებს;
ქართული სიტყვის უძველეს მარანს,
რომელიც უცებ გამოგაფხიზლებს,

ვერ დამაყოვნებს ზეცის მუქარა,
გამოვცხადდები თქვენთან შორიდან.
უცხო სტუმარი, ვინმე უქნარა,
მოვალ და ახალ ამბავს მოვიტან.
გამახსენდება სიყრმის თამაში,
თავი მეჭირა მაშინ უღირსად,

ბალახზე ვწვევარ. სიო უბერავს.
ფარფატებს მტკვერი, როგორც ფანტელი.
გაშუქებული თითქოს ღრუბელი
დღეს ოროვანდის შარავანდედით.

ბავშვური მზერა და თვალთახედვა
იღვიძებს, როცა აკრთობს მკათათვის

სადაც სანთლები ანთია მარად
და აელვარებს ხმლებს და სახნისებს.
სადაც ტალღისკენ ტალღა მიიწვევს,
დგას ოკეანე ქაფის და ცეცხლის
და ერთვის სპარსულ ცისფერ-იისფერს
პიპერბოროული ქვეყნების ვერცხლი.
მაგრამ სამჭედლო ჩვენ გვაქვს ფოლადის,
მზისქვეშ ბაზრებიც ჩვენ გვაქვს ასობით,
შვიდი სტიქიის ორთაბრძოლა და
სიმძიმისა და წონის საზომი.
გახუნებული ჩვენ გვაქვს ჭილობი,
ჩვენ უროს დარტყმაც ვიცით ბეჯითად,
და უცნაური ხელგარჯილობით
ლავაშს და მახვილს ვიღებთ ცეცხლიდან.
დამუნჯებდა ალბათ გენიოსს,
ცა ვულკანური ისე ციმციმებს...
შენ ერთმანეთში არ აგერიოს
კუთრი წონა და დარტყმის სიმძიმე.

და იატაკის ჭუჭურუტანაში
თესლი ჩავაგდე ბროწეულისა.
დღეს ვაკვირდები ჩრდილის ცხრიანებს,
მზე ჩადის, მიწას მოემსახურა,
ტოტი ირხვევა, ტოტი შრიალებს,
და ლერწი სწვდება სახლის სახურავს.

თარგმან ვახტანგ ჯავახიძემ.

თვლემში ვერხვის აცახცახება
იმ ჭიანჭველას, მე რომ დამადის.

ალბათ ცხოვრება გავა, სანამდის
ის ასე ცოცვით ივლის მაჯამდე
და ჩემი ლურჯი ხამის ხალათი
შეუცვლის ცას და ცის სილაჟვარდეს.

თარგმან ვივი ვახვაკორობა

ქ მ ა ზ ი

ოფიზური ციკლიდან

თბილის-სოხუმის მატარებელი ნელა შევიდა სადგურში, ნელა ჩაიარა ჩაბნელებულმა ვაგონებმა ჩაბნელებული ხის შენობის წინ, ორთქლმავალი ქშენით შედგა, ბუფერები ყრუ ტკაცუნით მიაწყდა ერთმანეთს, ტკაცუნმა ვაგონების ბოლომდე ჩაირბინა და მიწყდა.

რამდენიმე ნამძინარევი ქალი და კაცი ჩამოვიდა მატარებლიდან. ნაწვიმარი იყო, ბაქანზე გუბეები იდგა, მთვარე იხედებოდა მღვრიე წყალში, თვითონაც მღვრიე ფერის ჩანდა გუბეში. ჩამოსულები ზოგი გუბეს ახტებოდა, ისინი, ვინც მთლად არ იყო გამოფხიზლებული ძილისა და ხალხით გაჰვიღვ ვაგონის შეხუთული ჰაერისაგან, შიგ გუბეებში ტოპავდნენ.

ყველა გასასვლელისაკენ მიეშურებოდა.

მატარებელმა სამი საათით დაიგვიანა. ომამდე, ჩვეულებრივად, ოთხი-ხუთი ეტლი ხვდებოდა მგზავრებს. ცხენები ჯარში წაიყვანეს და ახლა მხოლოდ იადი ივარდა და ქესკუნჯ ქეცბაია აბამდნენ ხანდახან ეტლში თავის ჯაგლაგებს. ამიტომ მიიჩქაროდნენ გასასვლელისაკენ ჩამოსულები — ეტლში ადგილის დაკავება უნდა მოესწროთ.

სადგურიდან სოფლები შორს იყო და შუა ღამით ნაწვიმარზე ატალახებული გზით სიარული გაუჭირდებოდათ.

იადი ივარდას ერთი შეილი ბრესტში მტერთან შეტაკების პირველ დღესვე დაეღუპა, მეორე ყირიმში იბრძოდა, ყველაზე უმცროსი ცოტნე ივარდა ჩაის ფაბრიკაში მწნეხავად მუშაობდა.

ქესკუნჯ ქეცბაიას ორი ვაჟი — უჩანა და კიკი ქეცბაიები ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ქესკუნჯმა არ იცოდა, რომელ ფრონტზე იბრძოდნენ ისინი. წელიწადი გადიოდა, ერთი წერილი არ მიუღია შეილებისაგან. ქესკუნჯს ცოლი ადრე გარდაეცვალა და ცალუღლად დარჩენილ კაცს თვრამეტი წლის ქალიშვილი ნოუ უვლიდა. ინსტიტუტში არ შევიდა, რომ მამა არ მიეტოვებინა, სოფლის აფთიაქში მუშაობდა და დღე და ღამე ქმებზე ფიქრში აღამებდა და ათენებდა.

ჯავრით გატეხილი იადი ივარდა და ქესკუნჯ ქეცბაია მხოლოდ იმიტომ აბამდნენ ეტლში ცხენებს და გადიოდნენ სადგურზე, რომ ომის ამბები გაეგოთ. სადგურში ათასი ამველ-ჩამველი ირეოდა, დღე-ღამეში, ვინ მოსთვლის, რამდენი სამგზავრო, სატვირთო და სამ-

ხედრო ეშელონი ჩამოდგებოდა ან ჩაივლიდა, რა რჯულის, რა ხელობისა და საქმის კაცს არ ნახავდი აქ.

იადი ივარდა და ქესკუნჯ ქეცბაია თვალში შესცივინებდნენ ყველას, განსაკუთრებით, ჰოსპიტლებიდან გაწერილ ჯარისკაცებსა და მეთაურებს — იქნებ ჩვენი შვილების მნახველი იყოს ვინმეო. ხშირად დილით მოსულები გვიან ღამემდე რჩებოდნენ სადგურში. არ ეცოდებოდათ მშვიერი ცხენები.

იადის გულს შვილების დარდის გარდა არაფერი ეკარებოდა. ომი და შვილები, სხვა არაფერი ახსოვდა ქვეყანაზე, სხვა არაფერზე შეეძლო ფიქრი. ვერც შინ დაუდო საქმეს გული, ვერც გარეთ. არც თავს ვარგევარ, არც სხვასო, სწულდა. მისი ხელი არასოდეს გაჩერებულა, ფეხის ადგმის დღიდან შრომის ჭაპანს ეწეოდა. სოფელში ოჯახი არ არის, შვილი ომში არ ჰყავდეს, მაგრამ დარდას და ვარამს მოერივნენ, მე რა ღმერთი მიწყრება. უფალო, თუ სადმე ხარ ქვეყანაზე, დამიფარე ჩემი ბიჭები, არ ჩამომაქციო ცა თავზეო.

ცვილივით დადნო, დალია იადი ივარდა დარდმა. ისედაც გრძელი ხელფეხი ჰქონდა, აწოწილი იყო და ახლა მთლად ჩამომხმარი, მართლა დაემსგავსა ჭოკას, მართლა იმიტომ, რომ ახალგაზრდობაშიც გამხდარი იყო და მეტ სახელად ჭოკოიას ეძახდნენ. ხანში შევიდა თუ არა, ხორცი შეისხა და აღარავის ახსოვდა მეტსახელი. ეტლის კოფოზე რომ შეჯდებოდა, შორიდან ფეხზე მდგარი გეგონებოდა და სოფელში ისევე გაიხსენეს ჭოკოია. მაგრამ ამ მეტსახელს დაცივით კი არ ამბობდნენ, ნაღვლიანად წარმოთქვამდნენ მისი ცოდვით შეწუხებულები.

იადისაგან განსხვავებით, ქესკუნჯ ქეცბაია ჯავაში იკლავდა დარდს, იქარვებდა წუხილს. იცოდა, რომ მისი შრომა შვილებს წაადგებოდა იქ და თავს არ ზოგავდა. თუ ხანდახან სადგურზე გადიოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ იადს ხატრს ვერ უტეხდა. განა არ ესმოდა,

ამ პატარა სადგურზე მისი შვილების მნახველს ვერ შეხვდებოდა. რამდენაღმა მთა
ლი ჩვენი ქვეყნის სიგარძე-სიგანზე იყო
გაშლილი, ათეული მილიონები იბრძოდნენ
ფრონტებზე.

მაინც იმედის რაღაც მცირე ნაპერწკალი ედოთ გულში იადისა და ქესკუნჯს. ისინი არაფრით არ ჰგავდნენ ერთმანეთს. ქესკუნჯი დაბალი იყო, ჯირკვივით ჩაფსკვნილი. მშვიდი და მომთმენი, არასოდეს არ ამეღავენებდა დარდს და ხშირად სიხარულსაც კი ერთხელ არ უსაყვედურებია იადისათვის, რამ შეგიკრა ხელ-ფეხი, რავე მოწმესავით დადიხარ ცეცხლმოკიდებულ ქვეყანაზეო. იცოდა, რომ ადამიანები სხვადასხვაგვარად განიცდიან დარდას და სიხარულს და მეგობარს თავს ისე აჩვენებდა, თითქოს, არ იცოდა, რომ მთელ სოფელში იადი ერთადერთი კაცი იყო, საქმეზე გული ატრუებული რომ ჰქონდა, მართლა მოწმესავით დადიოდა ჯავრისაგან შექმული.

სამოც წელიწადს გადაცილებულები იყვნენ, მაგრამ სამოცდაათს გადაცილებულებს ჰგავდნენ. როგორც ყველა მეეტლე და მედილიყნე, გზისპირა დუქნებს ისე რომ ვერ ჩაუვლიან, ერთი ჭიქა მაინც არ გადახუხონ, — ისინიც სვამდნენ, ხანდახან თავისი ნებით, უფრო ხშირად, მგზავრების დაყინებით. სმა არც ერთს არ უყვარდა, მაგრამ მგზავრებს ხატრს ვერ უტეხდნენ. და ეტლის კოფოზე შეჯდომის დღიდან შეეჩვივნენ სმას. ახლა დარდმა, ჩვევაც გადააიწყათ და ხატრიც. ათასში ერთხელ მხოლოდ შინ ასწევდნენ შვილების დასალოცად ჭიქას.

მატარებლიდან გადმოსულები თითქმის სირბილით გავიდნენ სადგურის უკან, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, იქ არც ერთი ეტლი არ იდგა. ლოდინს აზრი არ ჰქონდა. გზას დაადგნენ სოფლებისაკენ.

მხოლოდ ქესკუნჯ ქეცბაიას ქალიშვილი ნოუ არ გაჰყვა მათ. ჩამოსულებში არავინ იყო მისი თანამგზავრი. მართო წასვლა ვერ გაბედა. თბილისში



წამლები მისაღებად იყო წასული, საკმაოდ მძიმე ჩემოდანი მოჰქონდა და არც მისი ტარება შეეძლო. ის იყო სადგურში დარჩენა გადაწყვიტა გათენებამდე და შეტრიალდა, რომ შორიანლო მდგარი იადი ივარდას შვილი ცოტნე დაინახა.

— გამარჯობა, ნოუ. — მიესალმა ცოტნე.

— გაგიმარჯოთ. — უთხრა ნოუმ. — საიდან იცით ჩემი სახელი?! — ჰკითხა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ცოტნემ მისი სახელიც იცოდა და გვარიც.

— თქვენი სახელი დიდი ხანია ვიცი. — უთხრა ცოტნემ. — ფეხის ადგმის დღიდან.

— მეც ვიცი თქვენი სახელი, — უთხრა ნოუმ, — მაგრამ ფეხის ადგმის დღიდან არა.

ისინი შორიდან იცნობდნენ ერთმანეთს. ერთმანეთი მოსწონდათ და ამიტომ ერთმანეთს გაუბოდნენ. არ იცოდნენ, რა აკავებდათ. არც ერთი იყო მორცხვი და გაუბედავი და არც მეორე. ახლა ძლივს გაბედა ცოტნემ და მიესალმა. — „აქამდე რა მაკავებდა, რა ეშმაკი მპორაკავდა?“ — გაიფიქრა ნოუს პასუხით უცებ გათამამებულმა.

— აბა რომელი დღიდან? — ჰკითხა და გაიცინა.

— არ მახსოვს, რომელი დღიდან. — გაიცინა ნოუმაც.

— ეტლს ელოდით?

— ბაბა უნდა დამხვედროდა.

— მეც უნდა დამხვედროდა, ბაბა. — უთხრა ცოტნემ.

— რატომ არ დავგზვდნენ?!

— ვაითუ ფრონტიდან ცუდი ამბავი მოგვივიდა.

— ერთ დღეს ორ ოჯახს ერთად არ მოგვივიდოდა ცუდი ამბავი.

— სარდიონ ესებუას და პლატონ ეგუტიას ერთ დღეს არ მოუვიდათ შვილების დაღუპვის ამბავი?

— ისინი ქერჩში დაეცნენ. მაშინ იქ სისხლის ზღვა იდგა.

— ახლაც სისხლის ზღვა დგას ყველგან. წუხანდელი ცნობა მოისმინეთ?

— მოვისმინე.

— ღმერთო, სანამ გაგრძელდება ასე!

— არ უნდა გაგრძელდეს ასე.

— თქვენ ღმერთმა გავშორით ცუდი ამბავი. — უთხრა ნოუმ. — თქვენს ძმას უჩანას კარგად ვიცნობდი.

— ვიცი, ნოუ.

— მისი დაღუპვის ამბავი რომ მიიღეთ, ასე მეგონა, მე დამელუპა ძმა.

— გმადლობთ, ნოუ.

— ღმერთმა გვაშოროს კიდევ ცუდი ამბავი.

— ჰო, ღმერთმა გვაშოროს. — უთხრა ცოტნემ.

— კაცი არ დარჩა სოფელში.

— განა მარტო ჩვენს სოფელში, ნოუ.

— ქელმათ ქებურია ქალებმა გაასვენეს. შვილის ჯავრმა მოკლა უბედური.

— ჩვენი მამების მეტი კაცი არ დარჩა სოფელში.

— და კიდევ ჩემს მეტი, ნოუ.

— თქვენ თურმე ბევრჯერ მოინდომეთ წასვლა.

— მაინც არ გამიწვიეს.

— ალბათ, ასე იყო საჭირო. — უთხრა ნოუმ.

— არ იყო ასე საჭირო.

— თუ ჯანმრთელობა არ გიწყობთ ხელს!

— ჰოსპიტლებიდან ეწერებთან მძიმედ დაქრილები და ისევ ფრონტზე მიდიან.

— გამოჯანმრთელებულები.

— მე ისეთი არაფერი მჭირს, გამოჯანმრთელებულის ოდენა რომ ვერ შევძლო.

— თუ საჭირო გახდა, თქვენც გაგიწვევენ.

— კარგა ხანია გახდა საჭირო. — უთხრა ცოტნემ.

ნოუს უნდოდა ეთქვა, მართალიაო, მაგრამ თავი შეიკავა, ჩემოდანი აიღო, სადგურში რომ შესულიყო.

გრიგოლ ჩიქოვანი
ძეგანი

— არ მოდიხართ? — ჰკითხა ცოტ-
ნემ, — ერთი გზა გვაქვს.

— ერთი გზა გვაქვს, მაგრამ ჩემო-
დანს რა ვუყო?

— მე წამოგიღებთ.

— ამ სიშორეზე?!

— ჯარისკაცად დაწუნებული კი ვარ,
მაგრამ ჩემოდნის ტარება მაინც შემიძ-
ლია.

— მიძიე, ცოტნე.

— გაუძღვებ.

კრიდა. არ უგრძნიათ როდის დაიწ-
ყო წვიმა. პირისპირ იდგნენ, გრძნობდ-
ნენ, როგორ ეწადათ ერთად გადგომოდ-
ნენ გზას. ჩემოდანს კი არა, ერთ გო-
დორ სიმინდს მოიკიდებდნენ, ოღონდ
ერთად გადგომოდნენ გზას. ეს სურვი-
ლი სახეზეც ეხატათ, თვალბეჭდით, მაგ-
რამ სიბნელეში ვერ ხედავდნენ ერთ-
მანეთის სახეს, თვალბეჭდით.

ცოტნე ახლო მივიდა, რომ ჩემოდანი
ჩამოერთმია. იცოდა, მისი ხელი შეეხე-
ბოდა ნოუს ხელს და შეცბუნდა. ნოუს
ხელი სველი იყო, მაგრამ თბილი, ცოტ-
ნემ პირველად იგრძნო ასეთი სითბო.
ჩემოდნის ჩამორთმევისას უნებლიეთ
შეყოვნდა მისი ხელი ნოუს ხელზე.
ნოუმ უცბად არ შეუშვა ხელი ჩემო-
დანს, ცოტნემაც უნებლიედ არ შეუშ-
ვა ხელი ჩემოდანს. ერთი წამით ჩემოდ-
ნის სახელურს ხელჩაჭიდებულები იდ-
გნენ.

— ერთად ვატაროთ. — დაარღვია
დუმილი ნოუმ. არ უნდოდა მოშორე-
ბოდა ცოტნეს ხელი მის ხელს.

არც ცოტნეს უნდოდა მოშორებოდა
ნოუს ხელი მის ხელს.

ცოტნე მამამისივით მაღალი იყო,
ნოუ — საშუალო ტანის. ერთად ვერ
ატარებდნენ ჩემოდანს. ჩამოართვა ჩე-
მოდანი.

— წავიდეთ, — უთხრა ნოუს.

შეტრიალდნენ. არ დაუნახავთ, გუ-
ბესთან რომ იდგნენ და შიგ ვატოპეს.

— თურმე წვიმს. — თქვა ნოუმ.

— წვიმს. თბილისშიც წვიმდა. გზა-
შიც წვიმდა. ყველგან წვიმს.

— ყველგან წვიმს.

გზაზე გავიდნენ. ჩუმად მიდიოდნენ/
დაუფრადებულები, შემკრთაღნენ, პირ-
ველი შეხებით, პირველი სიბნელეშიც
პირველი სითბოთი. გუბეები გზაზედაც
იდგა, უფრო ფართო, უფრო ღრმა,
მხარდამხარ მიმავალნი გვერდს არ უე-
ლიდნენ გუბეებს, ერთმანეთს რომ არ
მოშორებოდნენ.

მთვარე ხან გამოიხედავდა, ხან ღრუბ-
ლებში შერგავდა თავს. ღრუბლები
მთვარესავით თეთრი იყო და ამიტომ
კრიდა. კრიდა მათ სახეზე, წამწამებ-
ზე, ტუჩებზე. სველებდობდნენ, წყალში
მიტოპავდნენ და მაინც არ სციოდათ.

— საავადმყოფოებს არ ყოფნით წამ-
ლები და მაინც მომცეს.

— საავადმყოფოებისთვის კი არა,
ჰოსპიტლებისთვის არ ყოფნით წამლე-
ბი. — უთხრა ცოტნემ. — დაქირალების
ტევა არ არის თბილისის ჰოსპიტლებ-
ში. საიდან მოაქვთ ამდენი წამალი, ამ-
დენი სახევეი.

— სამშართველოში მითხრეს, თქვე-
ნი სოფელი გმირთა სოფელიაო. წამ-
ლებს როგორ დაუვკავებთ თქვენს ქა-
ლებსო.

— ქალები სასწაულს ჩადიან ყანებ-
ში და პლანტაციებში. მე კი...

ისევ შეტოპეს გუბეში.

— ყველა იბრძვის, ჩემს მეტი.

— შენც იბრძვი, ცოტნე.

— ჩაის ფოთოლს ვწნებავ. ესაა
ბრძოლა?!

— ესეც ბრძოლაა, ცოტნე.

— ბრძოლაა. — ნაღვლიანად ჩაი-
ცინა ცოტნემ.

ეკალიპტების ხეივანში მიდიოდნენ.
გზა ერთმანეთში ჩახლართული ტოტე-
ბით იყო ჩაბნელებული. ზღვაური ოდ-
ნავ გასაგონად აშრიალებდა ფოთლებს.
ფოთლებს მსხვილი წვეთები წყდებო-
და, თავზე, მხრებზე, ხელებზე ეცემო-
დათ ნოუსა და ცოტნეს. ფეხქვეშ ტა-
ლახსა და წყალს ქვაბაქყუბი გაუდიო-
და. ნელა და ფრთხილად მიდიოდნენ,
რომ გზას არ აცდნოდნენ და თხრილ-
ში არ გადასულიყვნენ.

— ვერაფერს ვხედავ: — თქვა ნოუმ.

— ამ ხეივანში დღისითაც ბნელა. — უთხრა ცოტნემ და მკლავზე ხელი მოკიდა.

— ჰო, აქ მზეც ვერ ატანს. — უთხრა ნოუმ და იდაყვით მაგრა მიიკრა მისი ხელი.

— გახსოვთ, რა გაუვალი ქაობი იყო ამ გზაზე?

— ევკალიპტებმა ამოაშრეს.

— ევკალიპტებიც იბრძვიან. — ახლა მხიარულად გაიცინა ცოტნემ.

— საღლაც წავიკითხე, დედამიწაზე ყველა და ყველაფერი იბრძვისო.

— იბრძვის, რომ იცხოვროს, ნოუ.

— რა კარგი იქნებოდა, ცოტნე, რომ ცხოვრებისათვის მარტო შრომა კმაროდეს.

— დადგება ასეთი დრო, ნოუ.

— თხა და მგელი ეგუება ერთმანეთს. ადამიანები ვერ ეგუებიან.

— ადამიანები კი ეგუებიან ერთმანეთს, ნოუ, — უთხრა ცოტნემ და განაგრძო: — მოდით, ნუ ვილაპარაკებთ ომზე. ფიქრიც კი არ შემოიძლია ომზე... იმიტომ, რომ მე იქ არა ვარ, იმათთან არა ვარ.

— ნუ ვილაპარაკებთ ომზე, ცოტნე.

— ორი წელიწადი გავიდა, რაც თირკმელი ამომჰურეს. ვის რაში ეკითხება, შევძლებ თუ არა ერთი თირკმლით ბრძოლას.

— ნუ ვილაპარაკებთ ამაზე, ცოტნე. იგრძნეს, რა ახლობლები გახდნენ უცებ ერთმანეთისათვის. ნოუმ კიდევ უფრო მაგრა მიიკრა ცოტნეს ხელი და მაშინვე გაახსენდა, რომ ცოტნესათვის არ შეიძლებოდა ასეთი მძიმე ჩემოდნის ტარება, მაგრამ ამის თქმა ვერ გაუბედა.

— დავიღალე, ცოტნე. — უთხრა ხეივნიდან რომ გავიდნენ.

ცოტნემ ჩემოდანი დადგა.

აღარ ცრიდა. ცისკიდული მოისარკა და მთვარის შუქი დაეცათ. შეხედდეს ერთმანეთს, დაინახეს წვიმით დაბანილი ერთიმეორის სახე. მოეჩვენათ, ძალიან ბევრი უთხრეს ერთმანეთს, მოეჩვენათ, დიდი ხანია იცნობენ ერთმა-

ნეთს, დიდი ხანია უყვართ ერთიმეორე. რა გვაკავებდა აქამდისო, უნდა ეთქვა ცოტნეს. რატომ ვარიდებდით თავს ერთმანეთსო, უნდოდა ეთქვა ნოუს, მაგრამ არ უთხრეს ეს ერთიმეორეს.

— გამოიძარებს, — თქვა ცოტნემ — თეთრი ღრუბლები კარგი ამინდის ნიშანია.

— უნდა დადგეს კარგი ამინდი. — თქვა ნოუმ და დაქანცულად გაიღიმა.

— დადგება კარგი ამინდი.

— ჰო, დადგება კარგი ამინდი, ცოტნე. — უთხრა ნოუმ და იმის შიშით, ცოტნეს არ აეღო ჩემოდანი, თვითონ აიღო.

— მიფრთხილდებით?

— რიგრიგობით ვატაროთ.

— შემოიძლია ქვეყნის დასასრულამდე ვატარო, შენს გვერდით. — მიმართა შენობით ცოტნემ. გაუკვირდა, რატომ თავიდანვე არ ელაპარაკებოდა ასე.

— ქვეყნის დასასრულამდე? — გაიცინა ნოუმ.

— რატომ გაიცინე?

— ქვეყანას დასასრული რომ არ აქვს.

— დასასრული ყველაფერს აქვს, ნოუ.

— არ მინდა ყველაფერს ჰქონდეს დასასრული. — უთხრა ნოუმ და მაშინვე დაუმატა: — ომის გარდა არ მინდა ყველაფერს ჰქონდეს დასასრული.

— კიდევ რას არ გინდა დასასრული ჰქონდეს? — ჰკითხა ცოტნემ და შედგა. — ხელი შევინაცვლოთ, თორემ დაგელდება.

პირისპირ იდგნენ. მათ შორის ჩემოდანი იყო. ძალიან ახლო იდგნენ, მაგრამ მათ შორის ჩემოდანი იყო.

— სანამდე ვიდგეთ ასე? — უთხრა ნოუმ. — დამის დასასრულამდე?

— გათენებამდე. — გაუსწორა ცოტნემ.

— მკლავი ჩამოგეწყდება.

გრიგოლ ჩოქოვანი
ძმები

— დავდგათ ჩემოდანი და მკლავი არ ჩამოგვწყდება.

— ამ ტალახში დავდგათ?! შიგ წამლებია.

ხელი მოუჭირეს ერთმანეთს და ჩემოდანი გაუფარდათ.

— რა ჰქენი ეს, ცოტნე?!
— ჩემოდანი გამივარდა. — უთხრა ცოტნემ და უფრო მაგრა მოუჭირა ხელი.

— არ მომტეხო ხელი, ცოტნე.

— ნოუ.

— წამლებში წყალი შევა.

— ნოუ.

— წამლები გაფუჭდება, ცოტნე.

— თუნდ ქვეყანა დაიქცეს ახლა, ნოუ.

— რატომ, ცოტნე?!
— არ ვიცი, ნოუ.

— ქვეყანა ისედაც იქცევა, ცოტნე.
— არ დაიქცევა ქვეყანა, ნოუ.

— ღმერთმა ჰნას, ცოტნე.

— არ დაიქცევა ქვეყანა, ნოუ.

— რანაირად, ცოტნე?!
— ვისაც შენისთანა ჭალი უყვარს, ის მტერს ქვეყანას არ დაიქცევინებს.

— ჩემისთანა?!
— შენისთანა.

— რას ჰქვია ჩემისთანა?
— ვისაც შენისთანა ჭალი უყვარს.

ჩემოდანი რომ არ იდგეს ჩვენს შუა,

გულში ჩავიკრავდით, გაიფიქრა ცოტნემ, თუმცა იცოდა, ჩემოდანი კი არა,

კედელი რომ მდგარიყო მათ შუა, ვერ დაუშლიდა გულში ჩაკვრას.

— ამიტომ არ დაიქცევა ქვეყანა, ნოუ.

— მხოლოდ ამიტომ?
— კიდევ იმიტომ, რომ შენ ამ ქვეყნის შვილი ხარ. — უთხრა ცოტნემ.

— ცოტნე. — დაიჩურჩულა ნოუმ.

— წამლებში წყალი არ შევა.

— ნოუ.

— წამლებში წყალი არ შევა, ცოტნე.

ჩემოდანი კი არა, კედელი რომ მდგარიყო მათ შუა, ვერ დაუშლიდა გულში ჩაკვრას, მაგრამ კედელზე უფრო

მაღალი, უფრო მაგარი ძალა აკეთებდათ. ცოტნემ ჩემოდანი აიღო და წინ წავიდა. ნოუ უკან გაჰყვა. დედის ხელი დიოდნენ ასე — ცოტნე წინ, ნოუ — უკან. მერე ნოუ დაეწია, გვერდით გაჰყვა, ჩემოდნის სახელურს ჩაჰკიდა ხელი.

— შენ კეთილი ხარ, ცოტნე, წამლებში წყალი შევიდოდა. შენ ძალიან კეთილი ხარ, ცოტნე.

— რატომ?!
— ამ წამლებს იმდენი ავადმყოფი უცდის.

— ვიცი.

— წყალი რომ შესულიყო.

— რა ეშველებოდა ავადმყოფებს.

— შენ ძალიან კეთილი ხარ, ცოტნე.

ორივე ხელით ეჭირათ ჩემოდანი.

— აქ წყალი არ დგას, ცოტნე.

ჩემოდანი დადგეს.

— აქ არ შეუთა წამლებს წყალი.

ცოტნემ ხელი ასწია და სველი სახე მოუწმინდა.

ნოუმ მისი ხელისგული ლოყახე შეიკავა. უნდოდა სახეში შეეხედა ცოტნესათვის და ვერ ბედავდა. ცოტნეს ხელს ხელს არ უშვებდა.

— რატომ არ დამხვდა, ბაბა?! — თქვა უცებ ცოტნემ.

— იქნებ დავხვდა. გათენებამდე ხომ ვერ მოიცდიდა.

— გული მიგრძნობს, ცუდი ამბავი მოგვივიდა ფრონტიდან.

— ღმერთმა გვაშოროს ცუდი ამბავი.

— წავიდეთ, ნოუ. გული მიგრძნობს, ცუდი ამბავი მოგვივიდა ფრონტიდან.

— უთხრა ცოტნემ. — გული არასოდეს არ მატყუებს, წყეული წინაგრძნობა მაქვს, ნოუ. ასე მაგრძნობინა გულმა უჩანას დაღუპვის ამბავი. — ჩემოდანი აიღო.

გზას გაუდგნენ. სოფელს უახლოვდებოდნენ. ჩაბნელებული, ჩაჩუმებული იყო სოფელი. არ ისმოდა ძაღლების ყეფა, მამლების ყვილი. ასეთი მიუსაფარი არასოდეს ჩვენებიათ სოფელი. ყოველთვის გაჩახახებულნი, შუაღამითაც კი ხმაურიანი, მხიარულ-

ლი, ადამიანებისა და ცხოველების ხმით საესე, სიცოცხლითა და ენერგით საესე, გზები და შეტეები ურმების, ეტლების, მანქანების ხმით მუდამ ფხიზელი და მოუსვენარი. ახლა ამ გზებზე და შეტეებში არაფერი ჰკაპანებდა, თითქოს არაფერი იძროდა, არაფერი ისმოდა, ფოთლებზე შერჩენილი წვიმის წვეთების წკაპუნის გარდა.

მაბიჯებდნენ გუბებში ჩემოდნის სახელურს ხელჩაჭიდებულნი. აღარ გრძნობდნენ ერთიმეორის ხელს. ნოუსაც გადაედო ცუდი ამბის მოლოდინის გრძნობა და შემკრთალები, შეშინებულები, ცუდი ამბის მოლოდინის გარდა არაფერზე ფიქრობდნენ, არაფერს ხედავდნენ, არაფერი ესმოდათ.

გზის ორსავე მხარეს ერთმანეთის მიყოლებით, თვალჩამქრალი ოდები იდგა. აღარ იწუნენ, აღარ იდგნენ ჰიშკრების წინ ძროხები, კამეჩები, თხები და ღორები. ჩამკვდარი იყო თემშარა. აქ, ამ გზაზე ტალახში და წყალში უფრო ხმამაღლა ისმოდა ნაბიჯების ჰყაბაჰყუბი.

სულ უფრო ნელა მიდიოდნენ ნოუ და ცოტნე, არ უნდოდათ მისულიყვნენ იმ ცუდ ამბავთან, მას უკვე ხორციელად გრძნობდნენ, მიდიოდნენ ფეხათრევით, რომ იქით გადაეწიათ ის ცუდი ამბავი, გადაეწიათ თუნდაც სულ მცირე ხნით. იცოდნენ, არაფერი შეიცვლებოდა იმით, ადრე მივიდოდნენ თუ გვიან იმ ცუდ ამბავთან. ეს ოდები, ეზოები ისე ჩაშავებული, ძაძით მოსილი იყო, თითქოს ისინი გლოვით მიაცილებდნენ ცოტნეს.

თავისდამოულოდნელად, თავისდამუშენველად ნოუსათვისაც ისეთივე მძიმედ, აუტანლად იქცა ცუდი ამბის მოლოდინი. იგრძნო, თურმე არა მარტო მოსწონდა ცოტნე, არა მარტო ფიქრობდა ცოტნეზე, იგი ყოველთვის მასთან ყოფილა, ყვარებია, ცოტნეს ტკივილი მისი ტკივილი ყოფილა. ამიტომ განიცდიდა, ალბათ, უჩანას დაღუპვას ისე, თითქოს მისი ძმა დაღუპულიყო. უჩანა დაეცა იქ, შორეულ საზღვარ-

ზე წელიწადზე მეტია მეტრე მძის, კიკის ამბავი არ იცის ცოტნემ და ძალი გული უგრძნობს. დმერთმა დაუფურეს ღმერთმა აშოროს. თვითონაც უნდა ფრონტზე წასვლა. ვის რაში ეკითხება შევძლებ თუ არა ერთი თირკმლით ზრძოლასო. ფიქრიც კი არ შემოძლია ომზე, იმიტომ, რომ მე იქ არ ვარო, ძმებთან არ ვარო. ნუთუ არ კმარა ერთი ოჯახიდან ორი! არ კმარაო, მეტყვის. შუღული შამათას ოჯახიდან ხუთი შეილი წავიდა ომშიო, მეტყვის. არც ნოუს უნდოდა ომზე ფიქრი, არც ცუდ ამბავზე უნდოდა ფიქრი, მაგრამ თავისით მოდიოდა ასეთ ფიქრს წერაქვითაც ვერ ამოავდებ ტვინიდან.

გაშავდა და დაბლა დაიწია ღრუბლებშია. ისეთი წყვარამი დადგა, ნოუმ თავისი ოდა ვერ დაინახა, მიხვდა, რომ ოდას ჩაუარა, მაგრამ არ შედგა, არ უთხრა ცოტნეს, მოვედიო, უნდოდა შინ მიყოლოდა და თუ კიჭიზე მართლა დახვდებოდა ცუდი ამბავი, ცოტნესთან ყოფილიყო, გაეზიარებინა მისი მწუხარება, ნუგეში ეცა. იმის შიშით ცოტნეს ჩემოდნისათვის ხელი არ გაეშვა, არ დამშვიდობებოდა, სახელურს ხელი შეუშვა და მაჯაში ჩასკიდა.

- ცოტნე შედგა.
- დადგი ჩემოდანი, ცოტნე.
- ცოტნემ ჩემოდანი დადგა.
- დავისვენოთ, ცოტნე.
- მე არ დავლილოვარ.
- მე დავილაღე. ძალიან დავილაღე. ტყვიასავით მძიმეა ჩემოდანი.
- შენს ოდას გამოვცილდით, ნოუ.
- ფეხები ჩემი არ არის, ცოტნე. — უთხრა ნოუმ. ჩემოდანზე ჩამოჯდა. — შენც ჩამოჯექი, ცოტნე.
- მე წავალ.
- ცოტა ხნით ჩამოჯექი. მერე მე გაგაცილებ.
- გამაცილებ?! — შინ მიგაცილებ.
- რატომ?! ტურები შემკამენ?

გრიგოლ ჩიქოვანი
ძმები

11800



— არ გინდა მიგაცილო?
— რატომ მიმაცილებ?
— ოდამდე მიგყვები, ცოტნე.
— რატომ მიმყვები?
— იმიტომ კი არა... არც მიფიქრია
ამაზე... გული გატყუებს, ცოტნე.

— გული არასოდეს არ მატყუებს.
არც კიქის ატყუებდა გული. რატომ
უნდა მიმაცილო შინ?

— იმიტომ, რომ შენ უკან გამომა-
ცილო. — უთხრა ნოუმ ნაძალადევი
ღმილით.

— წინ და უკან ვიაროთ?

— არ გინდა, ერთად ვიაროთ წინ
და უკან?

— მინდა. — უთხრა ცოტნემ და ჩე-
მოდნის მეორე ბოლოზე ჩამოჯდა. —
ოღონდ კიქის არა უჭირდეს რა.

— არ თქვა, ცოტნე. ღმერთი იყოს
კიქის შემწე.

მხრებით ეხებოდნენ ერთმანეთს.

— აქ წყალი არ დგას, ცოტნე. აქ
არ შეუვა წამლებს წყალი.

— ჰო, აქ წყალი არა დგას, ნოუ. აქ
არ შეუვა წამლებს წყალი. — ნოუს
ხელი ხელში ედო. არ გრძნობდა, არ
უჭერდა. კიქი მის ტყუპის ცალი იყო.
ერთ ძუძუს რომ კიქი წოვდა, მეო-
რეს — თვითონ, ერთ ლოკინში იწვნენ,
ერთ მერბზე ისხდნენ, ერთი გული და
ერთი ფიქრი ჰქონდათ. ასე იზრდებოდ-
ნენ, ასე დავაეკაცდნენ. კიქი ჯარში
წაიყვანეს, მაგრამ გული ვერ გაჰყვეს,
ფიქრი ვერ გაჰყვეს.

— მითხარი რამე, ცოტნე.

— ა!

— მითხარი რამე, ცოტნე.

— წავიდეთ, ნოუ. — წამოდგა ცოტ-
ნე.

წამოდგა ნოუც აიღეს ჩემოდანი და
გაჰყვეს გზას. აღარ ისმოდა ფოთლე-
ბზე შერჩენილი წვიმის წვეთების წკა-
პუნი. წყალში და ტალახში ნაბიჯის
წყაპა-წყუპი ისმოდა.

ხილისაქენ გადაუხვიეს.

ვალმა, მდინარისპირას იდგა ცოტნეს
ოლა. ხიდი შორს იყო, მაგრამ მდინა-
რიდან მოძალებულად ისმოდა ხიდის

ბურჯებზე დატაკებული ტალღების ხათ-
ქი და შხუილი. ნოთიო, ცივმა ქარიშხ-
ლაუბერათ ზურგში. ნოუს სველს სხმა
აუტაცა და სახეზე გადააფინა. ცოტნეს
ქული წააგლიჯა, მაგრამ თავისუფალი
ხელით დაიჭირა. ქარმა ტანისამოსი ტან-
ზე გააკრათ. მხოლოდ ახლა იგრძნეს
სიცივე. წინ წახრილებს, ქარი მიიარბე-
ნინებდათ იმ ცუდ ამბავთან.

ხილს მიადგნენ. ხიდი ვიწრო იყო,
მოაჯირები არ ჰქონდა. მეჩხერი ფიც-
რები ალაგ-ალაგ ჩატეხილი და მორ-
ყეული იყო.

— რამდენჯერ გადავმხტარე არ აქე-
დან. — თქვა ნოუმ, რომ ცოტნე ფიქ-
რიდან გამოეყვანა.

— ვიცი, ნოუ. მე შორიდან გითვალ-
თვალედი. როგორ მინდოდა შენს
გვერდით ცურვა.

— ნეტა რა გაკავებდა?!

— არ ვიცი, რა მკავებდა. ამაღამაც
რომ არ შევხვედროდით ერთმანეთს
ასე პირისპირ, ვინ იცის...

— რა ვინ იცის, ცოტნე?! — ჰკითხა
ნოუმ.

ცოტნემ არ უპასუხა.

— რა ვინ იცის, ცოტნე? — ჰკითხა
ისევ ნოუმ.

— გავუმხედლით თუ არა ერთმანეთს
გულს.

— მართლა ვინ იცის, გავუმხედლით,
თუ არა ერთმანეთს გულს, — უთხრა
ნოუმ და გულში გაიფიქრა, მე გაგიმ-
ხედლიო. — რა ბედნიერ ფეხზე შემხ-
ვლი, ცოტნე.

— ნეტა ბედნიერად დამთავრდეს ეს
შეხვედრა, ნოუ.

ქარი ზურგში სცემდათ. ცდილობ-
დნენ ნაბიჯი შეენელებინათ.

— იცი, ცოტნე, ხილზე რომ შემხვ-
დებოდი, ისე ავირეოდი, მეშინოდა,
ჩატეხილებში ფეხი არ ჩამვარდნოდა.
შენ კი ისე გაივლიდი, არც შემომხე-
დავდი.

— თვალს გარიდებდი, ნოუ. მეც მე-
შინოდა ჩატეხილებში ფეხი არ ჩამვარ-
დნოდა. — გაუღიმა სიბნელეში ცოტ-
ნემ.

— აწი აღარ შეგვეშინდება, ცოტ-
ნე, — უთხრა ნოუმ. — აღარ ჩაგვივარ-
დება ჩატეხილებში ფეხი.

— აღარ ჩაგვივარდება.

— მაგრამ მაინც უნდა დააქედონ
ფიცრები. ვინ იცის, ჩვენსავით, სხვებ-
საც ეშინიათ, — უთხრა ნოუმ, — რა
კარგია ასეთი შიში, ცოტნე.

— კარგია, ნოუ.

— ფიცრები მაინც უნდა დააქედონ,
თორემ მართლა ჩაუვარდება ვინმეს
ფეხი.

— ახლა ფიცრების დასაქედად ვის
სცალია, ნოუ.

— სიყვარულისათვის ხომ სცალიათ,
ცოტნე.

— სიყვარულისათვის აღამიანს ყო-
ველთვის სცალია, ნოუ.

— რანაირად, ცოტნე?!

— ეს ომი სიყვარულს იცავს, ნოუ.

— სიყვარულს იცავს?!

— სიყვარული რომ არ იყოს, არც
ომი იქნება, ნოუ.

— რანაირად, ცოტნე?!

— ვინც გვიყვარს, რაც გვიყვარს,
იმას ვიცავთ, ნოუ.

— რა კარგად ლაპარაკობ, ცოტნე, —
შეხედა სიბნელეში ნოუმ, — მართლა
ასეა, ცოტნე.

— ასეა, ნოუ.

— გახსოვს, ცოტნე, ბესია ბერაიას
ბიჭი, ზოცვა რომ გადავარდა ამ ხიდი-
დან!

— კიკინია კაცულიამ გადაარჩინა მა-
შინ ზოცვა.

— კიკინია და კიკი ერთად წავიდნენ
ჯარში.

— კიკინია ქერჩში დახვრიტეს ფა-
შისტებმა.

— ტანში მბურძგლავს დახვრეტის
გაგონებაზე, ნოუ.

— დაკითხვის დროს მოუკლავთ.

— კიკინიას სიტყვას ვერც მუქარით,
ვერც ეშმაკობით და ვერც მოფერე-
ბით დასტყუებდნენ.

ხიდს მიადგნენ.

— ჩემოდანი აქ დავტოვოთ.

— დავტოვოთ.

დადგეს ჩემოდანი. ცოტნემ ხელზე
ხელი მოკვიდა ნოუს და გაუძღვა

— აღარ მეშინია ჩატეხილებში ფე-
ხის ჩავარდნის. — უთხრა ნოუმ.

ხიდი კრაქუნებდა, მაგრამ, მისი ხმა
არ ისმოდა ტალღების ზატქში და შუ-
ილში. მორყეული ფიცრები სრიალებ-
და. ხელიხელ ჩაკიდებულნი მაინც თა-
მამად მიდიოდნენ უკუნში. — „ვინც
გიყვარს, რაც გიყვარს, იმას ვიცავთ“.
— იმეორებდა ნოუ ცოტნეს სიტყვებს,
არ უყურებდა სად აღდგამდა ფეხს, მინ-
დობილი ცოტნეს ხელს, არ უყურებდა
სად აღდგამდა ფეხს. შუა ხიდი არ ჰქონ-
დათ გავლილი, რომ უცებ გაღმიდან კი-
ვილი და მოთქმა შეესმათ.

„კიკი სკუა, რათ გამოტყერი ყელო
შენს უბედურ ბაბას!“

ზღუქუნებდა იადი.

„უჩანას დალუბვა არ მაქმარა ღმერ-
თმა!... ავავი, სკუა!.. ვაი, შენს ბაბას,
სკუა!“

შედგნენ ნოუ და ცოტნე. ირგვლივ
ყველაფერმა დაკარგა ხმა: მდინარემ,
ქარმა, ხეებმა. მხოლოდ კივილი და
მოთქმა ესმოდათ ნოუს და ცოტნეს.

„დიდუ, კიკი! რა უთხრას შენმა და-
სამიწებელმა დედამ შენს ცოტნეს, ნა-
ნა!.. რათ შემასწარი ამ შავ ღღეს, ამ
უბედურ ღღეს, შემოგველოს დედა! შენ
და უჩანა მიწაში უნდა იწვეთ და მე,
მიწის საქმელი, ფეხზე დავდიოდუ, შე
სული მედგას, ნანა! სადაა ღმერთი,
ხალხო! ჩემი დამპირებელი ჩემი დასა-
ტირი გახდი, ვაი სკუა. ვაი, დედათქვე-
ნის გულს, უი დედა თქვენის სულს.“

ცოტნემ ხელი შეუშვა ნოუს და
გაიქცა.

ამოძრავდა ხიდი, ჩაიზნიქ-ამოიზნიქა,
აყირავდა და დაყირავდა მორყეული
ფიცრები. ნოუ კინალამ გადავარდა ხი-
დიდან. არ შეშინდა, ყველა მისი გრძნო-
ბა კიკის დალუბვამ შეჰკრა, იადისა და
ალათის მოთქმამ შეჰკრა, ქალების კი-

ვილმა შეჰკრა. თავზარდაცემული იდ-
გა. მერე ის იყო, გადაწყვიტა, ცოტნეს
დადევნებოდა, გაიგონა მისი შემობრუ-
ნებული ნაბიჯის ხმა. უფრო ამოძრავ-
და ხიდი, უფრო ჩაიზნოქ-ამოიზნოქა,
უფრო მეტი ფიცარი აყირავდა და და-
ყირავდა.

ყველა სხვა ხმა კვლავ არ ესმოდა
ნოუს. მოიბრინა ცოტნემ, ჩასტაცა ხე-
ლი, სირბილით გაიყვანა გაღმა. ნოუმ
გაიფიქრა, ახლა მეტყვის, ამიხდა ჩემი
წინაგრძობაო, მაგრამ ცოტნეს ამის
აზრი არ ჰქონდა, ჩემოდანი აიღო და
ნოუს სახლისაკენ გაეშურა. ცალ ხელ-
ში ჩემოდანი ეჭირა, მეორეში — ნოუს
ხელი.

ნოუ არ გაძალიანებია. მიხვდა, ცოტ-
ნე მანუგეშებლად არ მიიყვანდა იმ
ცუდ, იმ საშინელ ამბავთან. არ უნდო-
და ნუგეში. რა ნუგეში, რის ნუგეში!
აღარ არის კიჭი, აღარ არის უჩანა.
რანაირად შეიძლება ნუგეში სცე ახლა
ცოტნეს! ან რას ქვია ნუგეში! აღარ
არაიან კიჭი და უჩანა.

სირბილით გაიარეს გზა ხიდიდან
ნოუს სახლამდე. ჩემოდანი ჰიშვართან
დადგა, სიტყვა არ უთხრა ნოუს, შებ-
რუნდა, მძიმე ნაბიჯით გაუდგა გზას.
მძიმედ იმიტომ კი არა, რომ დაღლი-
ლი იყო, არც იმიტომ, რომ არ უნდოდა
იმ ცუდ ამბავთან, იმ საშინელ ამბავთან
მალე მისულყო, ის ამბავი უკვე მომ-
ხდარი იყო, ვერავითარი ძალა, განგება
ვერ შესცვლიდა მას. მძიმედ იმიტომ მი-
დიოდა, რომ არ შეეძლო შეეხედა დე-
დისათვის, მამისათვის, ნათესავ-მეზობ-
ლებსათვის. კიდევ რომ ჰყავდეს ძმა,
ალბათ, იმასაც წაიყვანდნენ და მას
დატოვებდნენ.

კიჭი და უჩანა მტრის პირისპირ იდ-
გნენ, ტყვის პირისპირ იდგნენ. ის კი
კიჭისა და უჩანას უკან იდგა. ახლაც
მათ უკან დგას, მათ ზურგს მოფარებუ-
ლი, მათ უკან დგას. ათასის, ასი ათა-
სის, მილიონობით კიჭისთანა და უჩანას-
თანა ჯარისკაცის ზურგს მოფარებული.
მტერმა მოკლა კიჭი და უჩანა. მტერი
კლავს ათასებს, ასი ათასებს, მილიონ-

ნებს. მტერი! მტერი! სასოწარკვეთი-
ლება, მწუხარება და შური ჰმწუხრებდა
და მის სულში. მის თვალწინ მტერი
და მტრის სახეები, მტრის სისხლიანი
სახეები. გაბოროტებული, გახელბუ-
ლი, არ უყურებდა გზას, თვალამღვრე-
ული უყურებდა სიბნელიდან წამოდ-
გარ მტერს. მტერი! მტერი! — იმეო-
რებდა გონება. მტერი კლავს ათასებს,
ასი ათასებს, მილიონებს, კიჭისა და
უჩანასთანა მილიონებს. მე მათ ზურგს
უკან ვდგავარ.

სიბნელიდან დგებოდა კიჭისა და
უჩანას სახეც. ისინი მასთან ერთად
დადიოდნენ ამ გზით სკოლაში. უჩანა
წინ, კიჭი და ცოტნე — უკან. ერთად
გადადიოდნენ ამ ხილზე. რამდენჯერ
დაუქედებიათ მოწყველი ან ამოვარდ-
ნილი ფიცარი, რამდენჯერ გადახტა-
რან ამ ხიდიდან, რამდენჯერ დადევნე-
ბიათ ნაპირ-ნაპირ დედა წივილ-კვივი-
ლით. ამოდით, თქვეე ჰინკებო, ე მანდ
ცეცხლი არ წამოიკოდოთო, წყალმა არ
წაგილოთო. „ჰინკებს“ არც წყლის ეში-
ნოდათ, არც დედის. — დარდი ნუ
გაქვს, დედა, წყალი ვერ წივილებს შენს
ჰინკებს. — გამოსძახებდნენ კიჭი და
უჩანა. ცოტნესა და კიჭის ერთნაირი
ხმა ჰქონდათ. დედა-მამის მეტი ვერა-
ვინ არჩევდა მათ ხმებს. სოფელში ბევ-
რი ვერც გარეგულად არჩევდა მათ.
თითქოს ახლა გვერდით მიჰყვებოდა
ცოტნეს კიჭი, მისი ტყუპის ცალი, მი-
სი სისხლი და ხორცი, მისი გული და
სული, მისი გონება და ხასიათი. ცოტ-
ნე აეად რომ ვახდებოდა, კიჭიც აეად
ხდებოდა, ცოტნე რომ უგუნებოდ შე-
იქნებოდა, კიჭისაც წაუხდებოდა გუ-
ნება, ცოტნეს რაიმე რომ მოეწონებო-
და, კიჭისაც მოეწონებოდა. კიჭისაც
მოსწონდა ნოუ. მაგრამ ისიც მალავდა.
კიჭისაც უყვარდა ალბათ, კიჭიც ნოუს-
თან პირისპირ შეხვედრისთანავე იგრძ-
ნობდა ამას და ისეთი ბედნიერი იქნე-
ბოდა, როგორც ამ ხილზე ფეხის შედ-
გამამდე იყო ცოტნე, შუა ხილზე მისე-
ლამდე იყო ცოტნე.

უჩანა დიდი ხანია დაიღუპა. აღამი-

ნი ყველაფერს ეჩვევა. დიდი ხანია აღარ მოუძღვის წინ უჩანა კიკისა და ცოტნეს, ამიერიდან კიკიც ვეღარ გაივლის მის გვერდით. ვეღარ გაივლის ამ გზაზე, ამ ხილზე, ვეღარ დააქედებს მორყეულ ფიცრებს, ვეღარ გადახტება ხიდიდან, ვეღარ გაიგონებს დედის შემოთვებულ ძახილს: ამოდით, თქვე კინკებო, ე მანდ ცეცხლი არ წამიკიდოთ, წყალმა არ წაგილოთო.

ცეცხლი წაუკიდა დედას მტერი. რამდენ დედას, რამდენ მამას, რამდენ დას. ცოტნეს თვალწინ კვლავ მიცურავდა მტრის სახეები, მტრის სისხლიანი სახეები. მტერი! მტერი! სასოწარკვეთილება, მწუხარება და შური ხმაურობდა მის სულში.

ხილზე რომ გავიდა, ისევ გაიგონა მამის მოთქმა:

„ავავაი, კიკი! ავავაი, შენს საცოდავ ბაბას, სკუა!“

გაიგონა დედის მოთქმაც:

„რა ქნას ცოტნემ, სკუა!.. რა ეშველება, ცოტნეს, წიე!.. დიდუ, სკუა! შენ შემოგველოს დედაშენი სკუა! რა ვქნათ, შე საცოდავო იაღი!.. გვითხარი რა ვქნათ, ქესკუნჯ კოჩი!“

„შენი ცოდეა, ადათი!.. შე უბედურო, იაღი!“

ტიროდა ქესკუნჯ ქეცბაია.

ისევ დაიწყო წვიმა. გადაუღებელი, შავი წვიმა.

2

წვიმადა მეორე დღესაც, მესამე დღესაც, წვიმადა, წვიმადა.

მთელი სოფელი ტიროდა კიკის. ღამით ტიროდნენ. დღისით არც ქალს ეცალა სატირლად, არც კაცს. გათენებიდან, დაღამებამდე წილებზე ფეხს იდგამდნენ. შეღამებისას ყანებიდან და ბლანტაციებიდან პირდაპირ კიკის სატირალში მიდიოდნენ. უსმელ-უტემელი, ტანისამოს-გამოუცვლელი, დაუბანელი, არავის ახსოვდა ოდიშური წეს-ჩვევა, იმდენად დიდი, იმდენად მწარე იყო სოფლის წუხილი, აღარავინ ფიქრობდა იმაზე, რომ სატირალში დაუბანელ-დაუვარცხნელი,

საგარეოდ ჩაუცმელი არ მიესვლებოდა. კიკისა და უჩანას ნიშანი ერთად იყო გაშლილი ტახტზე, სასთუმალთან. სურათები ბალიშზე იყო მიყუდებული. ძმებს სამხედრო ფორმა ეცვათ. ორივე ერთნაირად იღიმებოდა. სხვადასხვა დროს იყო გადაღებული სურათები. ერთი ბრესტში, მეორე უკრაინის ფრონტზე. უჩანას მესაზღვრის ფორმა ეცვა, კიკის — ტანკისტის. მარტო იმით კი არ ჰგავდნენ ახლა, ამ სურათებში ერთმანეთს, რომ ძმები იყვნენ, ალბათ იმიტომაც ჰგავდნენ, რომ სიცოცხლე უყვარდათ, ადამიანი უყვარდათ და მისთვის გასწირეს თავი. იქნებ ამით ჰგავდნენ ყველაზე მეტად ერთმანეთს, იქნებ ამიტომ ტიროდა და გოდებდა ასე მწარედ, ასე ერთიანად ხალხი, ისე, როგორც ღვიძლ შვილებს.

ოთხივე კედლის გასწვრივ, ოდიშურ დაბალ კედლებზე ისხდნენ ქალები, თმჩამოშლილები, ძაძით მოსილები, გულხელდაკრეფილები. რიგრიგობით მოთქვამდნენ დედები, ერთი რომ მოათავებდა სატირალს, მეორე ჩამოართმევდა, ჩამოიხოკავდა დაწვებს, ისე ჩამოისვამდა თმაზე ხელებს, გეგონებოდა, თმა თან ჩამოიტანათ. თითქმის ყველა მოტირალი დედა იყო, დედა დაღუპული შვილისა, კიკისა და უჩანასთან ერთად თავის შვილსაც დასტიროდა, თავის უბედურ დედობასაც დასტიროდა, თავის ქვეყნის შავბედიტობასაც დასტიროდა. და ეს ზარი დღეიდან დღეაზე გადადიოდა.

ქალებმა თან მოიტანეს ომში დაღუპული შვილების, ქმრების, ძმების, მამების და დების სურათები, კიკისა და უჩანას ნიშნის დაყოლებით ტახტის სიგარძეზე დაალაგეს. ერთად სტიროდნენ დედები, დები, შვილები, მამები.

სოფლის მოთქმა-გოდება მთელ კვირას გაგრძელდა. გატყდნენ ქალები. ფრონტი სულ უფრო მეტ შრომას მოითხოვდა. ტირილით ვერ დაიბრუნებდ-

გრიგოლ ჩიქოვანი
ძმები

ნენ დაღუპულთ, ცოცხლებისათვის უნდა ეზრუნათ, მათთვის უნდა ეშრომათ. მაინც ტიროდნენ პლანტაციებში, ცრემლს აყოლებდნენ ჩაის ფოთოლს, ლიმონის, ფორთოხალის, მანდარინის ფოთოლს, ცრემლი ეცემოდა ყანებში სიმინდის ფოთლებსა და პურის თავთავეებს, ცრემლი ეცემოდა მიწას, სიმწრითა და ოფლით მორწყული პური მისდობდა ფრონტზე შვილებს, ძმებს, ქმრებსა და მამებს.

შეწყდა იადის სახლში მოტირალთა მისვლა, მხოლოდ ქესკუნჯ ქეცბაია მიდიოდა იადის და აღათისთან. შრომამ და დარღმა ისე დააძაბუნა ეს ძველი მეეტლე, ერთი შეხედვით ახლობლებიც კი ვერ ცნობდნენ. იადის თუ დაღუპული შვილების დარდი კლავდა, ქესკუნჯს თავისი ვაჟების ამბის უცოდინარობა უღებდა ბოლოს, არ იცოდა, ცოცხლები იყვნენ, დაიღუპნენ თუ ტყვედ ჩავარდნენ.

იადიმ და ქესკუნჯმა თავისი დღე და მოსწრება გაჰირეგებაში და შრომაში გაატარეს, მაგრამ ერთი რამით მაინც იყვნენ კმაყოფილნი — სიმწარე არ უნახავთ, დარდი და ვარამი რა იყო, არ იცოდნენ. დღე და ღამე მგზავრებში ტრიალებდნენ, მათი საუბრით ერთობოდნენ. ჭორსა და ქვეყნის ავკარგს პირველნი იგებდნენ, ცხოვრებით კმაყოფილნი იყვნენ, შვილები გზაზე ჰყავდათ დამდგარნი.

და აი სიბერეში ჩაუშვარდათ სიცოცხლე. ყოველი დღე შავად უთენდებოდათ და შავად უღამდებოდათ. ამ შავ დღესა და შავ ღამეს კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა აღათი. დღისით თუ როგორცაეც საქმეს აყოლებდა გულს, საღამოთი კმუნვა მოერეოდა. შრომით ქანცაწყვეტილი აივანზე დაჯდებოდა, რომ არ წაქეუულიყო, იატაკზე ფეხს მოიერთხამდა, ზურგით კედელს მიეყრდნობოდა, მკერდზე მჯიღს იცემდა და დაბალი ხმით მოთქვამდა.

დაბალი ხმით კი მოთქვამდა, სხვა რომ არ შეეწუხებია თავისი გოდებით, მაგრამ ისე გულსაკლავად ტიროდა, ქვა

აღუღლებოდა მისი ცოდვით. მისი მოთქმა მთელს სოფელს ესმოდა. სამუშაოდან დაბრუნებული, გზაზე მამაკაცები ქალი და კაცი იმ მოთქმას რომ გაიგონებდა, ვაი შენი და შენი შვილების ცოდვაო, წამოიკენესებდა და თან შიშის ზარი დასცემდა, შიშის ზარი იმისა, რომ მათ შვილებსაც იგივე ბედი არ სწევოდათ. ამ ელდით დაზაფრულები ცდილობდნენ შორიდან მოველოთ იადის ოდისათვის, გასცლოდნენ იმ ტირილს, იმ გოდებასა და ვაებას, მაგრამ საით გაქცეოდნენ, ტირილი სოფლის ყოველი მხრიდან ისმოდა.

იადიმაც არ იცოდა, სად გაქცეოდა ამ ტირილს. ეზოში ვერ ჩავიდოდა, გზაზე ვერ გავიდოდა, ოთახში ჩაიკეტებოდა, კარ-ფანჯრებს დახურავდა, ყურებზე ხელებს აიფარებდა, იჯდა და მუნჯებული, გახევებული დაჰყურებდა კიქისა და უჩანას საწოლებს, ზედ მათი ნიშანი რომ ესვენა. ოთახში მესამე საწოლიც იღვა. იქით არ იხედებოდა. ეშინოდა იქით გახედვის, რათა იქაც არ დაენახა ნიშანი. წყეული შიში. შიშის ქარი ეჭდა ტანში და მოსვენებას არ აძლევდა. ის მესამე საწოლი ცოტენსი იყო. იქით არ იხედებოდა, მაგრამ მაინც ეჩვენებოდა ცოტენს საწოლზე გაშლილი ნიშანი. — „დამიფარე, ღმერთო, მაკმარე, ღმერთო, — ფიქრობდა ძრწოლივით, თვალებზე ხელს იფარებდა, ათრთოლებულ, უღონო ხელს, ხელს, რომელიც აღვირის ერთი მოწყევით წინათ ოთხ თავაწყვეტილ ულაცს კისერს უჯრებდა. — დამაბრმავე, ან მომკალი, უფალო, — ცოტენს საწოლზე ისევ ესვენა ნიშანი. იადი წამოდგებოდა, ლანდივით გავიდოდა ოთახიდან, სამზადში ჩავიდოდა, კარს მოიხურავდა, იჯდა სიბნელეში, მაგრამ ის საწოლი, ის ნიშანი აქაც დაუდგებოდა თვალწინ. წამოდგებოდა და ისევ ოდაში ავიდოდა, იქნებ ცოტენე დაბრუნდა ფაბრიკიდანო, უნდოდა ხელით შეხებოდა შვილს, დალაპარაკებოდა, გაეგონა მისი ხმა, ეხილა მისი შემოხედვა, უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ის

ნიშანი მოჩვენება იყო. თავის ქუთუხზე არ იყო იაღი. კიკისა და უჩანასთან ერთად ცოტნესაც გლოვობდა.

იმ დღის შემდეგ, რაც კიკის დაღუბების ამბავი მოვიდა, ცოტნე ფაბრიკიდან არ გამოდიოდა. დედისა და მამის საცოდაობის ყურება არ შეეძლო. იაღი ხედებოდა, მარტო იმის გამო არ ბრუნდებოდა. შინ ცოტნე, რომ ფაბრიკა სამი ცვლით მუშაობდა. ამიტომ თვითონ მიდიოდა შეილთან. ოდიდან გავიღოდა და ჩაის ფაბრიკისაკენ გასწევდა. იქ ღობეს მიადგებოდა, ფანჯარას მიაჩერდებოდა. ფანჯრის იქით საწნებ მანქანასთან დაინახავდა თუ არა ცოტნეს, გულზე მოეშვებოდა.

იღვა და თვალს არ აშორებდა, ვიდრე მუხლი არ უმტყუნებდა, მერე იქვე, ღობის ძირას ჩაჯდებოდა. ცოტნეს ველარ ხედავდა. ღობე მაღალი იყო, მაგრამ ღობის ზევიდან უზარმაზარ თეთრ კედელზე ცოტნეს ლანდს ხედავდა, ესმოდა მისი საწნები მანქანის ხმა. ლანდი მოძრაობდა — ცოტნე მოძრაობდა, საწნები მანქანა ხმაურობდა — ეს ცოტნეს ხმა იყო. ასე იჯდა დიდხანს, დიდხანს ღობის ძირას.

3

იაღის შიში უსაფუძვლო არ იყო. ცოტნემ დედის კივილის გაგონებისას ზიდზევე გადაწყვიტა ძმების გზას გაჰყოლოდა. მაგრამ იცდიდა, დედ-მამისათვის კიკის გამოტირება უნდა ეცლია. იცოდა, კიკისა და უჩანას ისინი თავის სიცოცხლეში ვერ გამოიტირებდნენ. ცოტა ხანი მაინც უნდა დაეცადა, დრო უნდა მოეკლა, ამიტომაც არ გამოდიოდა ჩაის ფაბრიკიდან.

ნოუზედაც ფიქრობდა ცოტნე. იმ ღამის შემდეგ არ შეხვედრია ნოუს, დარწმუნებული იყო, ნოუც ფიქრობდა მასზე. იგი არ მოსულა კიკის სატირალში. თავს ვერ შეიკავებდა და ხალხს გაუმხელდა ცოტნეს სიყვარულს. ეს არც ცოტნესთვის ვარგოდა. ნოუ ან აფთიაქში იჯდა, ან შინ ქესკუნჯთან და ცოტნეზე ფიქრობდა, მა-

მას ისეთი გულისყურით ვეღარ უხელოდა, გრძობდა, ცოტნე აღარ გაჩერდებოდა სოფელში, ჯავკით რომ ბათ სამხედრო კომისარიატში, მაინც აიწყვეტდა.

ნოუ თითქმის შერიგებული იყო ამ ამბავს. სხვანაირად არც უნდა მოიქცეს ცოტნეო, ეუბნებოდა ნოუ თავის თავს, არწმუნებდა თავის თავს. ეს დარწმუნება, ეს ფიქრი ისეთი აუტანელი იყო, სუნთქვა შეეკვრებოდა, შხამივით მწარე გორგალი გაეხიზებოდა ყელში, ცრემლი მოადგებოდა თვალებზე და სული რომ არ შეგუბებოდა, ცრემლი რომ არ წასკდომოდა, აფთიაქში თუ იყო, უკანა კარიდან გავარდებოდა, მამასთან თუ იყო, თავის ოთახში შეიკეტებოდა.

ასე გრძელდებოდა მთელი თვე.

ერთ ღრუბლიან საღამოს, იმ დროს, როდესაც ქესკუნჯი იაღისთან იყო, ცოტნემ ნოუს ეზოს ჭიშკარი ფრთხილად შეაღო, რომ ჭრიალი მეზობლებს არ გაეგონათ. ჯერ აფთიაქში მიაკითხა ნოუს და იქ რომ არ დახვდა, აქეთ გამოეშურა.

ნოუმ ფანჯრიდან დაინახა ოდისაკენ მომავალი ცოტნე, გოცებული წამოფრინდა ტახტიდან, ოთახიდან გამოირბინა და ეზოში შეეგება. ისე იყენენ აღლევებულნი, საღამო არ მიუციათ ერთმანეთისათვის. ნოუ მშშინვე მიხვდა, რატომ ესტუმრა ცოტნე. ტყუილად არწმუნებდა თურმე თავს, არ ყოფილა შერიგებული იმ ფიქრთან, რომ ცოტნე ძმების გზას უნდა გაჰყოლოდა. არა, არ ყოფილა შერიგებული იმ ფიქრთან, თორემ რატომ აუბორგდა ეს ოხერე გული, რატომ აერია ვონება, რატომ აელანძა სახე, რატომ შეეკრა კრიკა?

ცოტნე მიხვდა, რომ ნოუმ იგრძნო, რისთვის მოვიდა... დამნაშავეს გამომეტყველებით იღვა მის წინ, არ უყურებდა, მაგრამ იცოდა, როგორ დედავდა ნოუ.

— ნოუ, — დაარღვია დუმილი ცოტ-

ნემ, — მტერმა ორი ძმა მომიკლა. უჩანა და კიკი... აღარ არიან ისინი, ნოუ.

ნოუ თავჩაღუნული იდგა.

— მტერმა მოკლა პეხუს, იროდის, თუდას, უტუს, სარდიონის, პლატონის შვილები.

ნოუს ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა.

— მტერმა მოკლა თანაყვას, გუჯას, შუდულის, ზიყვას შვილები. ისინი ჩვენი სკოლის ამხანაგები იყვნენ, ნოუ.

ნოუმ რომ არ წაქცეულიყო, მკლავზე ხელი მოჰკიდა ცოტნეს.

— რამდენი ძმა იღუპება იქ, ნოუ.

ნოუმ მეორე ხელიც მოჰკიდა მკლავზე.

— სანამდე ვიჯდე შინ? სანამდე ვუყურო შორიდან ძმების ყლეტას? ასე მგონია, დაღუპული ძმები მეძახიან. მეჩვენება, როგორ დგებიან ისინი ბრძოლის ველიდან და კვლავ ბრძოლაში მიდიან. მობრუნდებიან და საყვედურის თვალთ მიყურებენ. იმიტომ მიყურებენ საყვედურის თვალთ, რომ ჩვენ შინ ვზივართ. გესმის, ნოუ? ჩვენ შინ ვზივართ. მკვდები მიდიან ბრძოლაში და ჩვენ შინ ვზივართ.

„მკვდრები მიდიან ბრძოლაში და ჩვენ შინ ვზივართ“. — გაიმეორა ნოუს გონებაში.

— დამშვიდდი, ცოტნე! — უთხრა ნოუმ.

— ახლა ქვეყანაზე ჩემს მეტი არავინა მშვიდად, ნოუ.

— ცოტნე.

— ისე მივდივარ, არც დედისათვის მითქვამს, არც ბაბასათვის.

— ცოდვანი არიან დედა და ბაბა, ცოტნე.

— რამდენი დედა და ბაბაა ატირებული, ნოუ. რამდენი დედა და ბაბაა ცოლვა.

არ წახვიდეო, რომ არ წამოცდენოდა, სახე მიაბრუნა ნოუმ.

— გუშინ სამხედრო კომისარიატში ვიყავი. დროზე რომ გავეშვით; იქნებ უჩანა არ დაღუპულიყო, არ დაღუპულიყვნენ პეხუს, იროდის, შუდულის,

გუჯას, თუდას, თანაყვას, სარდიონის, პლატონისა და ზიყვას შვილები. ინვეტიც რომ გაეშვათ დროზე, არ დაღუპულიყვნენ ისინი.

— სხვების წასვლა მათ ვერ გადაარჩენდა, ვერც შენი წასვლა გადაარჩენდა მათ. — უთხრა ნოუმ.

— გადაარჩენდა, — მიუგო სწრაფად ცოტნემ, — გადაარჩენდა იმიტომ, რომ ჩემისთანები კიდეც ზიან შინ. უქკუო ექიმების, უგულო ექიმების, უქკუო სამხედრო კომისრების წყალობით.

— ყველას ხომ ვერ გაიწვევენ, ცოტნე?!

— მკვდრები დგებიან ბრძოლის ველიდან, ჩვენ კი შინ ვზივართ.

— დედას და ბაბას რა ეშველებათ, ცოტნე?!

— სხვების დედასა და ბაბას არ ეშველებათ, ნოუ? რამდენი დედისა და ბაბას შვილი აღარ არის ქვეყანაზე. რამდენი დედისა და ბაბას შვილმა დაღო იქ თავი! — გაჩუმდა და მერე გამოცვლილი ხმით — მწარე სინანულით უთხრა მოულოდნელად ჩუმად: — იმ ძმების სიყვარულს მიყვევარ იქ, ნოუ.

— ცოტნე, — ნოუმ ფეხის წვერებზე აიწია და სახით სახეზე მიეკრა ანგარიშშიუცვლად.

ცივი იყო მისი სახე, ცივი იყო ცოტნეს სახეც.

მზე ჩავიდა და სიბნელე დაეუფლა ქვეყანას.

— ხელი მომიკდე, ცოტნე, — უთხრა ჩურჩულით, რომ მღელვარებისაგან ხმა არ გაწყდომოდა, — თვითონ მოჰკიდა ხელი.

ცოტნემ ფრთხილად მოიშორა მისი ხელი.

„დედა მინდა გავხდე, ცოტნე. შენი შვილის დედა“. — კინალამ უთხრა. იცოდა, ცოტნე უარს ეტყოდა და მაინც კინალამ უთხრა.

— ნუ მიშორებ, ცოტნე.

— არა, ნოუ.

— ნუ მიშორებ, ცოტნე.

— არა, ნოუ.

„შენი შვილის დედა მინდა გავხედე, ცოტნე“, — უთხრა უსიტყვოდ. იცოდა, ფიქრსაც მიუხედავებოდა ცოტნე და უარს ეტყოდა, მაინც უთხრა.

— არა, ნოუ.

— ეს ჩემი ვალია, ცოტნე... ეს ახლა ყველა ქალის ვალია, ცოტნე. გესმის, დედების ტირილი?

— მესმის, ნოუ.

— დედებმა შობეს ისინი, ცოტნე.

— დედებმა შობეს, ნოუ.

— დედებმა გაზარდეს ისინი, ცოტნე.

ტიროდა სოფელი, მოთქვამდა სოფელი, წკვარამით მოცული სოფელი.

„დედა მინდა გავხედე, ცოტნე, რომ შენმა შვილმა, რომ ჩემმა შვილმა დაიკავოს იმ ძმების ადგილი“.

— არა მაქვს ამის უფლება, ნოუ.

— „მე მაქვს ამის უფლება. — უთხრა სწრაფად ნოუმ. — ახლა ყველა ქალს აქვს ამის უფლება. ყველა ქალს, ვისი ქმარიც ომში მიდის“.

ცოტნე შებრუნდა და ჰიშკრისაკენ გაემართა.

— ცოტნე!.. ცოტნე!.. — ნოუს ეგონა, ეძახდა, მაგრამ მხოლოდ გონება იმეორებდა ცოტნეს სახელს, ცივი, გახევებული ბაგე არ მოძრაობდა.

ცოტნე ჰიშკრისაკენ მიდიოდა. გრძნობდა, ნოუ ეძახდა, თვალს არ აშორებდა, მაინც არ იყურებოდა უკან.

ნოუ ადგილიდან მოწყდა, ხელებგაშვერილი გამოუდგა ცოტნეს.

„ცოტნე!.. შეჩერდი!.. არ წახვიდე, ცოტნე!“

ეზო გრძელი იყო, ჰიშკრამდე დიდი მანძილი იყო. ცოტნე ჩქარა მიდიოდა, უკან არ იხედებოდა. ნოუ ეძახდა, თხოვდა შეჩერდიო. ცოტნე ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ნოუ მაშინ დაეწია, ცოტნე ჰიშკარში რომ გავიდა. სულს ძლივს იბრუნებდა, ფეხზე ძლივს იდგა. ცოტნემ ჰიშკარი მოიხურა. ნოუ რომ არ დაეცემულიყო, იმ მოხურულ ჰიშკარს დაეყრდნო.

წვიმა დაიწყო. იმ ღამესავით წვრილად ცრიდა, შავად ცრიდა.

ცოტნე ჰიშკრის იქით იდგა, ნოუ ჰიშკრის აქეთ. ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. აღარაფერი ჰქონდათ სათქმელად. ეს ორივემ იცოდა, ორივე დუმდა. უნდოდათ ცოტახნით, სულ ცოტახნით ყოფილიყვნენ ერთად. ერთმანეთს შეჰყურებდნენ, რათა დაეხსომებიათ, სამუდამოდ დაეხსომებიათ ერთიმეორის სახე, მაგრამ სიბნელეში ვერ ხედავდნენ.

ტიროდა სოფელი, მოთქვამდა სოფელი, ისე, როგორც გუშინდამ, იმის წინ, მთელი კვირა, მთელი თვე, წელიწადი.

მღუმარედ იდგნენ ნოუ და ცოტნე.

— შენ თქვი, ნოუ, დედებმა არასოდეს არ უნდა იტირონო. — დაარღვია დუმილი ცოტნემ.

ნოუმ ვერ უპასუხა. ყბები შეკრული ჰქონდა და ვერ უპასუხა. ჰიშკარზე დაყრდნობილი იდგა, რომ არ წაქცეულიყო. იმ ჰიშკარზე, ცოტნემ რომ მოუხებრა.

— კარგად თქვი, ნოუ. დედებმა არ უნდა იტირონ. — უთხრა ცოტნემ, ჰიშკრიდან ხელი აიღო და წავიდა.

ნოუმ არ დაუძახა. გონებამაც არ დაუძახა.

ტიროდა სოფელი, მოთქვამდა სოფელი, ისე, როგორც გუშინდამ, იმის წინ, მთელი კვირა, მთელი თვე, წელიწადი. ტიროდნენ დედები. ყველა დედის ხმას ცნობდა ნოუ, მაგრამ ვიღაც სხვა დედა ტიროდა კიდევ.

ნოუ სველდებოდა. არ გრძნობდა წვიმას. მთელი გულისყურით ცოტნესაკენ იყურებოდა. არ ხედავდა ცოტნეს. წვიმის ბაღე და ღამის ფარდა ფარავდა ცოტნეს. არ ისმოდა მისი ნაბიჯის ხმაც. ნოუ ხელით ჰიშკრის იმ ადგილზე ეყრდნობოდა, წელან ცოტნეს ხელი რომ იყო. ის ადგილი არ სველდებოდა. უნდოდა, წვიმას არ გადაერეცხა ჰიშკრიდან ცოტნეს ხელის სითბო. ესლა დარჩა ნოუს. ახლა მეტ

გრიგოლ ჩიკოვანი
ამბობ

აღარაფერი უნდოდა ნოუს, მეტი აღარაფერი ესმოდა. იმ სხვა დედის მოთქმაც აღარ ესმოდა ნოუს.

4

დღე ისე არ გავიღოდა ან წასვლისას, ან მოსვლისას ჭიშკართან არ შემდგარიყო. არ მოეცილა ხელი იმ ადგილზე, ცოტნეს რომ ეკიდა და არ ეგრძნო ის სითბო, მისთვის შერჩენილი ის სითბო. დიდხანს იდგა და გაჰყურებდა ამ მხარეს, წვიმის ბაღესა და ღამის ფარდას რომ მიეფარა ცოტნე.

სოფელში ბევრმა მიაქცია ყურადღება ჭიშკართან გარინდულ ნოუს, მიჩერებულს ერთ მხარეს, გარშემო ყველაფრისგან გამოთიშულს. არავინ იცოდა, რატომ იდგა ნოუ, ვის უცდიდა, რას უყურებდა. სოფელში მითქმამოთქმაც კი დაიწყეს ქესკუნჯ ქეცბაიას გოგოს უცნაურ საქციელზე.

ნოუ სადგურშიაც მიდიოდა და იდგა იქ, სადაც იმ ღამით ცოტნეს შეხვდა. იდგა ისე, როგორც მაშინ ცოტნეს წინ, ესმოდა ცოტნეს ხმა, უყურებდა ცოტნეს.

„გამარჯობა, ნოუ!.. თქვენი სახელი დიდი ხანია ვიცი... ფეხის ადგმის დღიდან ვიცი...“

სიტყვანიტყვით ახსოვდა იმ ღამით ნათქვამი ცოტნეს ყოველი სიტყვა. სადგურიდან იმავე გზით ბრუნდებოდა, მისი და ცოტნეს ნაკვაღვით, ისე მიდიოდა, თითქოს ცოტნე გვერდით მიჰყვებოდა. წვიმიან ღამეშიაც გვერდს არ აუვლიდა იმ ღრმა გუბეებს. იმ ევკალიპტების ბნელ ხეივანში ფოთლებს მოწყვეტილი წვიმის მსხვილი წვეთები ეცემოდათ თავსა და მხრებზე, ფეხქვეშ ტალახსა და წყალს ქყაბაჰყუბი გაუღიოდა. ნოუ იდაყვით მაგრა იკრავდა ცოტნეს ხელს.

„მოდი, ნუ ვილაპარაკებთ ომზე, ფიქრიც არ შემიძლია ომზე... იმიტომ, რომ მე იქ არა ვარ, იმათთან არა ვარ... დადგება კარგი ამინდი, ნოუ“.

ხედავდა წვიმით განზანთილ ცოტნეს სახეს.

„დასასრული ყველაფერს ნოუ“.

„არ მინდა დასასრული რომ ჰქონდეს, — ეტყოდა ნოუ, — ომის გარდა არ მინდა დასასრული ყველაფერს რომ ჰქონდეს“.

„კიდევ რას არ გინდა დასასრული რომ ჰქონდეს?“

ორივე ხელით ეხებოდნენ ერთიმეორეს და არ აშორებდნენ ხელებს ერთმანეთს. პირისპირ იდგნენ. ძალიან ახლო იდგნენ, მაგრამ მათ შორის ჩემოდანი იყო.

„სანამდე ვიდგეთ ასე?! — ეკითხებოდა ნოუ. — ღამის დასასრულამდე?“

„გათენებამდე“. — გაუსწორებდა ცოტნე.

ასე მეორდებოდა ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა, ვიდრე შუა ხიდზე კვილი და მოთქმა არ შეესებოდათ.

ნოუ ხიდიდან დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა, მივიღოდა ჭიშკართან და ისევ იმ ადგილზე ჰკიდებდა ხელს. ისევ შერჩენილი რომ ჰქონდა მისთვის ცოტნეს ხელის სითბო.

გადიოდა დღეები, თვეები. მტერი წინ მიიწეოდა. უკან იხევდნენ ჩვენი ჯარები, ტოვებდნენ დანგრეულ, აოხრებულ, გადამწვარ და გადაბუგულ ქალაქებსა და სოფლებს.

ზაფხული შემოდგომამ შეცვალა, შემოდგომა ზამთარმა, დადგა გაზაფხული.

ყოველ დილას ნოუ აფთიაქში მისვლამდე, ფოსტაში შეივლიდა. ათანია ანთელას ჯერ ფოსტა არ ჰქონდა ჩაბარებული, სირბილით გულამომჯდარი რომ მიაღებოდა ნოუ. იადი ივარდას ბიჭის წერილი არ მოსულაო? ჰკითხავდა, ცოტნეს სახელს არ ახსენებდა. ათანია ფოსტალიონს ასე ჰკითხავდა, მაგრამ გულში სხვანაირად ეკითხებოდა: ბაბა იადის, ცოტნეს წერილი ხომ არ მოსვლიათ. გაცვირვებული იყო ათანია, — ეს გოგო, იადის ვაჟის წერილს რატომ ელის ასე გულისხმეთქვითო.

ნოუ გრძნობდა, რაღაცას ხედებოდა ათანია და სახეწამოწითლებული მაშინ-

ვე დაუმატებდა: იადისა და ალათის
ცოდვით ქვაც კი ტირისო. ორი შვილის
დაღუპვა არ აკმარა ღმერთმა იმ უბე-
ღურებს. აგერ წელიწადი სრულდება
და მესამე ბიჭის ამბავი არ იციანო.

იმ მესამე ბიჭის ამბავი ჯერ კიდევ
ზამთარში მოვიდა, მაგრამ ფოსტის გამ-
ვისა და ათანიას მეტმა არაფერს იცოდა.
მათ ვაღწევითეს, არ ეჩვენებოდათ წე-
რილი იადისა და ალათისათვის. ცოტ-
ნეს მეგობარი სერჟანტი პეტრო მედ-
ვედი სწერდა: მე და თქვენი შვილი
ცოტნე ივარდა ერთად ვიბრძოდით,
ერთ-ერთი შეტევის დროს ჩვენს ტანკს
ქურვი მოხვდა, ახლოდან პირდაპირი
ღამიზნებით გვესროლა „ვეფხვმა“. მე
და ქეცბაია ტანკზე ვიდექით, ის სან-
გარში გადავარდა და იმ სანგარს ზედ
იმ წყეულმა „ვეფხვმა“ გადაუარა. მე-
ტი არაფერი ვიცი თქვენი შვილის შე-
სახებო. ეს წერილი მაშინვე მოუსწრა-
ფავდა სიცოცხლეს ისედაც სიკვდილის
კარადღე მისულ იადისა და ალათის.
დიღხანს ატყუებდა ათანია ცოტნეს
შობილებსა და ნოუს: სად ეცლება,
ცოტნეს, ბარათის მოსაწერად. მტერი
ნაბიჯ-ნაბიჯ მოსდევს ჩვენს ჯარს, სუ-
ლის მოთქმის საშუალებას არ აძლევს.
მალე შეტრიალდება ომის ბედი და
მოიცლის ცოტნე ბარათის მოსაწე-
რადო.

მოსტუცის ეს იმედია, თბილი სიტ-
ყვები ახლოს არ ეკარებოდა ნოუს
გულს. ომის ბედის შეტრიალების იმე-
დი არ აშშვიდებდა მის აფორიაქებულ
სულს. ნოუ ნათლად ხედავდა, რომ
ათანიას სიტყვები სხვას ამბობდა, მი-
სი თანაგრძნობით სავსე თვალები
სხვას. განა არ იცოდა ნოუმ, წერილის
ამდენი ხნით დაგვიანება კარგის მომას-
წავებელი არ იყო. ასე „იგვიანებდა“
მათი წერილები, ვინც წავიდნენ და
ალარ იწერებოდნენ.

ერთ მთვარიან ღამეს აფთიაქიდან
გვიან დაბრუნებულმა ნოუმ ჩაის ფაბ-
რიკის ლობესთან ჩამჯდარი იადი ივარ-
და დაინახა. გაოცდა — სული კბილით
უჭირავს და რა განგებამ მოიყვანა ამ

შუა ღამისას აქო. მაშინვე მიიბრუნა
იადისთან.

— ბაბა იადი!
იადი მიწაზე იჯდა, ზურგით ჯირკზე
მიწოლილი, თავი რომ შეეკავებია, იდა-
ყვებით ჯირკზე ეყრდნობოდა. ნოუს
ხმაზე სახე ისე მიაბრუნა, როგორც
ბურანიდან გამორკვეულმა, მისმა
ბინდვადაკრულმა თვალებმა ვერ დაი-
ნახეს ნოუ, მაინც იყურებოდა მის-
კენ.

— რა გინდათ ამ შუალამეში აქ, ბა-
ბა იადი?! — ჰკითხა ნოუმ.

— ცოტნეს ვუცდი, ძღაბი.

— ცოტნეს?! — თავზარი დაეცა
ნოუს.

— ჰო, ძღაბი, ჩემს ბოშის ვუცდი.

— სადაა, ბაბა, ცოტნე?!
— ვერა ხედავ, ძღაბი?
— ვის, ბაბა?!
— ცოტნეს. — სახე ფანჯრისაკენ
მიაბრუნა იადიმ, — შეხედე იმ განიერ
ფანჯარას. აი კედელზე, ძღაბი!

— რა კედელზე, ბაბა იადი?!
— ცოტნე ძღაბი, მისი ლანდი.
— ლანდი?!
— თვითონ ცოტნეს ვერა ხედავ,
ძღაბი?
— ვხედავ, ბაბა იადი. — კინლამ
დაიყვირა ნოუმ.

— შენ ვისი ბაღანა ხარ, ძღაბი?
— ვერ მიცანი, ბაბა?
— ვერ გიცანი, ძღაბი. თვალში ვე-
ლარ ვიხედები.

— ქესკუნჯ ქეცბაიას ძღაბი ვარ —
ნოუ.

— სადაა ქესკუნჯი. ერთი კვირაა
ალარ მოსულა ჩემთან.

— მოვა, ბაბა, იადი. ცოტა უგუნე-
ბოდ არის.

— უგუნებოდ ახლა ვინ არ არის,
ძღაბი!

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

— მართალია, უგუნებოდ ახლა ვინ
არ არის. ბაბა, ცოტა შეუძლოდაც
არის.

გრიგოლ ჩიქოვანი
შემაგი

— იქნება, ძღაბი. შენი ძმების წე-
რილი ხომ არ მოსულა?

— არ მოსულა, მაგრამ მალე მოვა.

— მოვა, აბა არ მოვა. ყველა ჩემის-
თანა უბედური ხომ არ იქნება.

— შინ წავიდეთ, ბაბა იადი. წვი-
მას აპირებს.

— ცოტნეს დაფუცდი, ძღაბი, — ცის-
კენ აღაპყრო თვალი, მაგრამ ცა ვერ
ღაინახა, — წვიმა არ მოვა. სუნით
გვრძნობ, არ გაავდრდება გვეყოფა,
რაც იავდრა, ძღაბი.

— ჰო, გვეყოფა, — უთხრა ნოუმ. —
მანც წამოღით შინ, ბაბა იადი! — შე-
ეხვეწა ნოუ, — გათენებას აღარაფერი
უკლია.

— ვიცი, ძღაბი. მალე გათენდება.
აწი ცოტნეც გამოვა და ერთად წა-
ვალთ შინ.

ნოუს ქვითინი რომ არ წასკდომო-
და, კბილი კბილს დააჭირა.

— მე და ცოტნე ყოველ დილით ერ-
თად ვბრუნდებით შინ, — უთხრა ია-
დომ, — მოსვენება რაა არ იცის ჩემმა
შვილმა. რაც უჩანა და კიჭი ომში წა-
ვიდნენ, მათ მაგივრადაც მუშაობს
ცოტნე.

ნოუს ცრემლი ახრჩობდა.

— აბა სხვა ვინ გააკეთებსო ჩემი
ძმების გასაკეთებელს. — განაგრძობ-
და იადი.

— ბაბა. — აღმოხდა შეკავებული
ჩურჩული ნოუს.

— რა იყო, ძღაბი?! — თავი ასწია
იადიმ და სახე ისევ მიბრუნდა ნოუსა-
კენ, ისევ ვერ ღაინახა ნოუ. — შენა
თქვი, ბაბა შეუძლოთაც არისო.

— შეუძლოთ არის, ბაბა.

— დაბრუნდებიან შენი ძმები. უთ-
ხარი ქესკუნჯს, დაბრუნდებიან-თქო,
გვი და კოტე. ჩემი უჩანა და კიჭი
აღარ დაბრუნდებიან, ძღაბი... წამომა-
ყენე, ცოტნეს მინდა შევხედო. სანამ
ვუყურო მის ლანდს?

— ბაბა იადი? — შეჰყვირა ნოუმ,
მეტი ვერაფერი თქვა.

— რა იყო, ძღაბი?!

ნოუმ მეტი ვერაფერი თქვა. კისრის

ძარღვები დაეჭიმა. შეტრიალდა და გე-
იქცა. გარბოდა. არ უყურებდა მის
ოკრობოკრო ორმოებიან გზას, არა
დებოდა თხრილებს, არ ხედავდა არა-
ფერს, თვალი ცრემლით ჰჭონდა სასესე,
გული სიმწრით ჰჭონდა სასესე. — „წა-
მომაყენე, ცოტნეს მინდა შევხედო,
სანამ ვუყურო მის ლანდს?“ —
მეორდებოდა მის გონებაში იადის სიტ-
ყვები. უნდოდა, გაქცეოდა ამ სიტყვებს.
ისინი სულ უფრო ძლიერ, ჯიუტად
მეორდებოდა მის გონებაში. ბორძიკობ-
და, მუხლზე ეცემოდა, დგებოდა, ტი-
როდა, ქვითინებდა.

მეორე დილით ფაბრიკის დარაგმა
ბუხუია ბუკიამ მკვდარი იპოვა იადი
ივარდა. ამ ჭირკზე წუხელ იდაყვებით
რომ იყო დაყრდნობილი, ზურგით იყო
გადავარდნილი და გაყინული თვალები
ცისკენ ჰჭონდა აპყრობილი.

სოფელში ნოუს მეტმა არავეინ იცო-
და, რამ მიიყვანა იქ, ფაბრიკის ლობის
ძირში და რამ მოკლა. ქალებმა გაას-
ვენეს. კუბოს ამწევი კაცი აღარ იყო
სოფელში. მარტო იადის არ ტიროდ-
ნენ ქალები და ბერიკაცები, დროს დას-
ტიროდნენ, ეს რა შავი დღე დაგვიდ-
გა, რას მოვესწართ, მიცვალებულის
დამმარხავი კაცი აღარ დარჩა სოფელ-
შიო.

მამაკაცთაგან მხოლოდ ქესკუნჯ ქეც-
ბაიამ მიაყარა მიწა ძველი მეგობრის
კუბოს. მერე დიდხანს იდგა იადის საფ-
ლავთან. ყველა წავიდა, ყველა შინსა-
კენ და საქმისაკენ ეშურებოდა, მარტო
ქესკუნჯი დარჩა საფლავთან და მის
უკან მოშორებით — ნოუ. მწუხარებით
სავეს თვალებით შეჰყურებდა მამის
მიწისკენ უღონოდ დაშვებულ მხრებს.

სასაფლაო მაღალ, განიელ გორაკზე
იყო გაშლილი, ძველთა-ძველი, დაბუ-
რული ბებერი ხეებით და ბუჩქებით,
აქრელებული ყვავილებითა და ვარ-
დებით, საფლავის ქვებსა და ლო-
ბეებს ხავსი და სერო ედო, აქა-
იქ წყურგილები ლივლივებდა ხეების
ჩრდილში. პაპანაქებაში აქ ყოველთვის
სიგრილე იყო. ახლა მზე ზღვისკენ ეშ-



ვებოდა. მისი ყვითელი სხივები საფლავების ქვებზე ეფინა, ხავსი და სურო მწვანედ ხასხასებდა.

აქ ემარხნენ ივარდავები, ყორშიები, ესებუები, ეგუტიები, ბუკიები. აქ ემარხა ქესკუნჯის ცოლი, მშობლები, ახლობელი და შორეული ნათესავები, აქ ემარხა მებზობლები. აქ დაამარხავდნენ ქესკუნჯისაც.

აქვე იადი ივარდას საგვარეულოს გვერდით იყო ქეცბაიების საგვარეულოს საფლავები. მალე მოასვენებენ აქ ქესკუნჯისაც. რა პირით მოვიდეს, რა თვლით შეხედოს ცოლს, რა უთხრას შვილებზე? თავის ვალის მოსახდელად წავიდნენო, ეტყვის. მეტი რა უნდა უთხრას! მაგრამ ახლა ცოლის საფლავისკენ არ იყურებოდა. ჯერ იადისთვის ჰქონდა სათქმელი.

— რკინის გული მქონია, ჯიმა! — ჩასძახა ყრუ, ჯაერისაგან ჩახლეჩილი ხმით იადის, — შენმა გულმა ვერ გაუძლო შენი ბიჭების დაღუპვას, ჯიმა ჩემმა კი გაუძლო. ალბათ იმიტომ, კიდევ აქვს მაშის გულს რაღაც იმედი. უყალბადებული ხავსს ეჭიდებოდაო. რა ექნა აბა, ჯიმა! იქნებ დაბრუნდნენ ჩემი გივი და კოტე. იმედი აღამიანის დიდი შემწეა, ჯიმა.

არ იცოდა, რომ უკან ნოუ იდგა. მარტო იყო ეგონა, ამიტომ ელაპარაკებოდა ასე იადის. ნოუ სულგანაბული შესცქეროდა მამას, წასვლა უნდოდა, არ უნდოდა მამის ამ სიტყვების გაგონება, მაგრამ განძრევის ეშინოდა, მამის ყურადღების მიქცევის ეშინოდა.

— შენმა გულმა დაკარგა იმედი, ჯიმა. ჩემმა არ დაკარგა და ამ იმედით მიდგია სული. მაპატიე, ჯიმა. მე ავიტანე, შენ ვერ აიტანე. ვაი იშმეტი!, ჯიმა, თავს ვიტყუებ, თავს ვიმაგრებ, თვარა ჩემს გულსაც ის ცეცხლი წვავს, შენი გული რომ დაწვა. ნოუ მეცოდება, ჯიმა. როგორ დავტოვო უპატრონოდ ბალანა. არც დედა, არც ძმები. ნოუ მეცოდება, ჯიმა. ვისი იმედით

დავტოვო, ნოუ. უღედოდ გაზრდილი ძლაბი!

„შენ ვისი იმედით დავტოვობა?“ — ფიქრობდა ნოუ. გადაწყვეტილი ჰქონდა, ცოტნეს გზას გაჰყოლოდა. ხშირად ეჩვენებოდა, ეს მან ცოტნეს წასვლის ღამეს გადაწყვიტა, იქ, კიშკართან. ეგონა, იმიტომ ვერ დაუძახა არ წახვიდო, რომ მაშინ გადაწყვეტილი ჰქონდა. არა, მაშინ არ გადაწყვეტიდა, ცოტნეს წერილი რომ აღარ მოვიდა, ალბათ მაშინ გადაწყვიტა, ან იქნებ იადის სიკვდილის შემდეგ! არ იცოდა, როდის გადაწყვიტა — განა სულერთი არ არის, როდის გადაწყვიტა?“

ერთად ბრუნდებოდნენ მამა და შვილი სასაფლაოდან. დაღმართზე ეშვებოდნენ. ნოუს ქესკუნჯი ხელკავით მიჰყავდა, ყვითელი იშვე სახეში უცქეროდათ. თავდახრილი მიდიოდნენ. ჩათავეს დაღმართი. აქედან სოფლის გარეუბანი იწყებოდა. ნოუ შედგა.

— რა იყო, ბაბა? — ჰკითხა ქესკუნჯმა.

— რა იტყვი, ბაბა, მეც რომ წავიდე ომში?

შედგა ქესკუნჯიც, შეხედა შვილს და მაშინვე წაიკითხა ყვითელი მშით განათებულ მის სახეზე, რომ ნოუს ეს გადაწყვეტილი ჰქონდა. გული მუცელში ჩაუვარდა. ღრმად, მტკივნეულად, მთელს სხეულში აუტანელი სისუსტე იგრძნო, უჩვეულო, ჯერ განუცდელი სისუსტე და ტკივილი.

ნოუ იდგა და პასუხს უცდიდა. ყვითელ შუქზე სახე უფერული ჩანდა. ყოველთვის მორჩილი, თვალში რომ შესცივინებდა მამას, თავზე რომ ეგებოდა, თავს რომ ევლებოდა, ახლა პირდაპირ შეჰყურებდა ცივად, უნდობლად და პასუხს ელოდა. ხედავდა, რა დაემართა მამას, უკვირდა, აოცებდა თავის უწყალობა, თავისი სისასტიკე. ეშინოდა, არ წაქეუულიყო მამა, არ გასკდომოდა გული, მაგრამ დუმდა და პასუხს

გრიგოლ ჩიქოვანი
შემზი

1 ვაი ამის მეტი.

უცდიდა. რა პასუხს? რას უცდიდა? ხო-
ციოდა, ყველაფერი გადაწყვეტილი
ქონდა და უკან არ დაიხვედა, მამას
რაც უნდა ეთქვა, ეთხოვა, მაინც უკან
არ დაიხვედა.

— რა გითხრა, ბაბა! — დიდი ხნის
დუმილის შემდეგ ძლივს ამოიღულულუ-
და ქესკუნჯმა, — როგორც გულმა გი-
კარნახოს, ისე მოიქეცი, სკუა.

— სადაც შენი ძმებია, შენც იქ წა-
დიო, მეუბნება გული, ბაბა.

— როგორა?! ჰო, სადაც შენი ძმე-
ბია, შენც იქ, სკუა.

— შენ რა გეშველება, ბაბა, ვისი იმე-
დით დაგტოვო?

— მე?! შველა ქვეყანას ჰირდება,
სკუა.

— კი, ბაბა, შველა ქვეყანას ჰირდე-
ბა, — უთხრა ნოუმ, — მაპატიე, ბაბა!
აპატიე შენს უგულო შვილს... სხვანა-
ირად არ შემიძლია, ბაბა. შენ კარგად
თქვი, ბაბა. შველა ქვეყანას ჰირდება.

— არ თქვა, უგულო შვილსო! შენ
კარგი გული გაქვს, ოქროს გული გაქვს,
დიდი გული გაქვს. გივისა და კოტესაც
ასეთი გული აქვთ.

კოტნესაც ასეთი გული აქვსო, კი-
ნალამ წამოცდა ნოუს.

— ამიტომ მიდიხარ ძმების გზით,
სკუა.

კოტნეს გზითაცო, ესეც კინალამ წა-
მოცდა ნოუს.

მეტი არაფერი უთქვამთ მამასა და
შვილს, ნელა გაუყვნენ შუკას. ყვითე-
ლი სხივები აიკრთა მიწიდან და ბინ-
დი დაეშვა.

შუკიდან თემშარაზე რომ გავიდნენ
ნელი, ზარისებური მოთქმისდაგვარი
სიმღერა შეესმათ. არა, სიმღერას არ
ჰგავდა ეს ხმა, იგი გლოვის, სიკვდილ-
სიციოცხლის საგალობელი იყო.

დობლურიდა, დომინგარი, გომინთხორი
საფულე,
სქანი სქვამი ზე-კუჩხითი, დიხა
ქომნოკაბულე.

1 თუ მოკვდი, დამიტრე, საფლავი გამოთხა-
რე, შენი ლამაზი ზელ-ფეხით საფლავის მიწა
მომისწორე.

რამდენ ქაბუკს არ ეღობსა შეტე-
რებულის — ხელ-ფეხით მისი საფლავ-
ვის ბორცვის მოსწორება. ოდიშში წი-
ნათ ბევრს სწამდა, რომ შიკვალეშ-
ლის სული იქვე კუბოსთან დგას და
თვალყურს ადევნებს მორტირალთ, თუ
როგორ გულმწარედ ტირიან ქირისუ-
ფალნი. რამდენი სული არ ხედავს,
რამდენს არ ესმის ახლა სოფლის ტი-
რილ-გოდება, ფიქრობდა ნოუ. არ ხე-
დავს ცოტნეც, არ ესმის ცოტნესაც-
ცოტნეს სიკვდილი მაინც არ სჯერო-
და ნოუს და აღარ ტიროდა. იმ ლამის
შემდეგ აღარ უტირია. არ უნდოდა და-
ეჯერებია, რომ ცოტნე აღარ იყო და
არ ჯეროდა. ღმერთო, უცნებელი და-
მიბრუნე ჩემი ბიჭები. ნუ ჩამიყვან
საფლავში მათ უნახავს, ღმერთო, მა-
შორე უბედური იადის ბედი, ფიქრობ-
და ქესკუნჯი.

მეორე დღეს ყველაფერი დაურეცხა
და დაუსუფთავა მამას ნოუმ, გაუშე-
ურა ლოგინი, დაუგავა ოდა, სამზადი,
ეზო. მერე სამხედრო კომისარიატში
წავიდა. — „არ ყოფილან სამხედრო
კომისარები ისეთი უქკუონი და უგუ-
ლონი“. — გაიფიქრა, როცა კომისარ-
მა გადაწყვეტილება მოუწონა, მამა-
შვილურად მზარზე ხელი მოხვია. —
არც ეჭიმები ყოფილან ისეთი უგულო-
და უქკუო. ალბათ, მართლა არ შეიძ-
ლებოდა ცოტნეს ომში გაწვევა“.

იმ დღის მერე, კიქის დაღუპვის ამ-
ბავი რომ მოვიდა, ქესკუნჯს ეტლში
ცხენები არ შეუბამს, ეტლი გადახუ-
რულში ედგა, ზედ არ უყურებდა, არ
წმენდა, არ რეცხავდა ქათმებისა და
ჩიტების მიერ დასკლინტულ, გამტვე-
რიანებულ ეტლს, წინათ ნიავს რომ არ
აკარებდა, ენით არ ლოკავდა, თორემ
სხვა არაფერს აკლებდა. არც ცხენებს
უვლიდა, მინდურად ჰყავდა გაშვებუ-
ლი, არ აჰმევდა და არ ასმევდა, მგე-
ლი შეჰამდა, თუ კაცი წაიყვანდა, არ
აწუხებდა. ამიტომ დღეს ყველა, ვინც
კი გზაზე ხვდებოდა, გაცხებული იყო
— რა მოხდა, ქეცბაიამ ცხენები რატომ
შეაბაო. თან მისი ზეიმური შესახება-

ობაც ეცათ თვალში. ქესკუნჯი გამართული, მხრებგაშლილი და თავაწეული იჭდა კოფოზე. აღვირები უწინდებურად მარჯვედ ეჭირა და მოძულეებულ ცხენებს ალერსიანად ერეკებოდა. თითქოს ცხენებიც ჯაგლაგებს არ ჰგავდნენ, ისე მიაგლეგებდნენ ეტლს პატრონის ხმით ვალადებულნი, როგორც ათი წლის წინათ გაზულუქებული ულაცები რომ იყვნენ.

ცა მოწმენდილი იყო. გზა მანდარინისა და ფორთოხლის პლანტაციებს შორის იყო გაჭრილი.

ეტლში ნოუ იჭდა, შემკრთალი და შეშფოთებული, თითქოს აქამდე არ ჰქონოდა გადაწყვეტილი, რომ ომში მიდიოდა, იმ გზას ადგა, რომლითაც ბევრი არ დაბრუნდა. ამისი არ ეშინოდა, ამიტომ როდი იყო შემკრთალი და შეშინებული. არც იმიტომ, რომ უცხო მხარეს მიდიოდა, უცხო ადამიანებთან, ასე შორს, ასე იდიდ ხნით. ქესკუნჯზე სწუხდა, არასოდეს მიუტოვებია მამა ბედის ამარა.

ქესკუნჯი ვითომ შეურიგდა ნოუს ომში წასვლის ამბავს, გამაყებულნი იმით, რომ მესამე შვილს ისტუმრებდა სამშობლოს დასაცავად, გზაზე შემხვედრებს ხმამაღლა ესალმებოდა, თავს აწონებდა, მაგრამ ნოუმ კარგად იცოდა, მამა მხოლოდ გარეგნულად ჩანდა ასეთი. მთელ გზაზე ერთხელ არ მოხედა ნოუსაკენ, რათა არ დაენახა ნოუს, რომ მოსაჩვენებლად იყო ასე მხნედ, ასე მხიარული და ვაჟაყებულნი.

ნოუს მუხლებზე ჯარისკაცის ჩანთა ედო, თავისი ხელით გამოჭრილი და შეკერილი. ჩანთაში მცირე საგზალი ელაგა, ჰვიშტარი¹, გამხმარი სულუგუნნი, შემწვარი ვარია, რამდენიმე ჯანჯუხა, და კიდევ ერთი ხელი საცვალი. ჩანთას მავრა უჭერდა ხელს, ყოველნაირად ცდილობდა მღელვარება დაეფარა.

სადგურში სამხედრო ეშელონი იღ-

გა. დახურული და ღია სატვირთო ვაგონები ჯარისკაცებით იყო სავსე, ჯარისკაცები ვაგონების სახურავებზე და საფეხურებზეც იდგნენ თუ ისხდნენ, დაქანცულები, გამტვერიანებულები და დასიცხულები. ზოგი წელს ზევით ტიტველი იყო, ზოგიც პერანგის ამარა. ჯარისკაცებს ქალებიც ერია. ღია ვაგონებზე საზენიტო ქვემეხები, დაზგის ტყვიამფრქვევები, სამხედრო მანქანები და ჭურვებით სავსე ყუთები იდგა.

ეტყობოდა, ეშელონი მალე დაიძვრებოდა. სადგურის ახლომხლო მოსახლე ქალები და ბერიკაცები ქაღსა და ყველს, დოქით ღვინოს, ბოთლით არაყს, ბალს, თუთასა და ალუჩას აწვიდიდნენ, გზას ულოცავდნენ, გამარჯვებასა და მალე დაბრუნებას უსურვებდნენ, ლოცავდნენ, ზოგი ტიროდა, ზოგი უხმოდ იცრემლებოდა. ჩემი შვილიც იქ არისო, სლუკუნებდა ვიღაცა, ჩემი ძმა ჰოსპიტალში წვესო, მამჩემი გამანადგურებელის მფრინავია, ეუბნებოდა ზოგი ქართულად, ზოგი რუსულად.

— ნუ გეშინია, დედილო. ეს შენი შვილის მალე დაბრუნებისა იყოს. — არყით სავსე ჭიქას სცილიდა მწითური ჯარისკაცი.

— გმადლობთ, დაიკო. გამარჯვებას ეუსურვებ შენს ძმას.

— იცოცხლე, ბაბუ.

— თუ დამიცდი, შენს მეტს არავის შევირთავ.

— ასეთი კალმით ნახატისათვის კი ღირს თავის გაწირვა.

— ომში კი არ უნდა მივდიოდე, ვენახში უნდა ვტრიალებდე ამ დროს.

ნოუ და ქესკუნჯი ბაქანზე ვავიდნენ. ჯარისკაცებმა მაშინვე დაინახეს ისინი.

— ბიჭებო, აი, იმას შეხედეთ, გოგო კი არა, ანგელოზია.

— აქეთ, ლამაზო!

— აქ მოიყვანე, ბაბუ!

— ორადგილიანი კუბე მაქვს. —

გრიგოლ ჩიქოვანი
ძმები

¹ სიმინდის ფქვილით გამომცხვარი ხაჭაპური.

იციანოდა საფეხურზე მდგარი, ჩია ტანის ქერა ჯარისკაცი.

— ყელზე არ დაგადგეს, ბერდიეც.

— დამთავრდება ომი და რომელი ბიჭი ეტყვის უარს.

— შე ახლაც მზადა ვარ, მუხლი მოვუყარო.

— რამდენს უყრი მუხლს, ბიკოვ.

— ყველა ლამაზს. ასეთი ლამაზები იმიტომ გაჩნდნენ, რომ მათ წინ მუხლზე დაეცე. შენ რა იცი, რა ძალა აქვს სილამაზეს.

— ასეთი დედოფლები არ უნდა იბრძოდნენ.

— ჩვენში დედოფლებიც იბრძოდნენ. — თქვა იმან, ვენახში უნდა ვტრიალებდე ამ დროსო, რომ თქვა.

ნოუ თბილის-სოხუმის მატარებელს უნდა გაჰყოლოდა. სოხუმში გაანაწილებდნენ, ჯარისკაცებს საიდან ეცოდინებოდათ ეს, რაკი ჯარისკაცის ჩანთა დაუნახეს, მიცივიდნენ, ხელში აიტაცეს და ვაგონისაკენ გაარბენინეს.

— გამიშვით, რას სჩადიხართ?! — ვაიბრძოლა ნოუმ.

არავინ უგდებდა ყურს, ყველა ცდილობდა თავის ვაგონში შეესვა, ერთმანეთს ეცილებოდნენ. ქესკუნჯი იღვა დაბნეული, არ იცოდა რა ექნა, რამე არ ატკენინონ ამ გადარეულებში, შეეშინდა და გაიქცა, რომ გამოეგლიჯა შვილი იმ „გადარეულებისათვის“, მაგრამ მატარებელი დაიძრა. ჯარისკაცებმა ნოუ ღია ვაგონში აისროლეს და თვითონაც შეახტნენ საფეხურს.

5

როსტოვ-თბილისის მატარებელი სწრაფად შეაქროლა ელმავალმა სადგურში და ერთბაშად შედგა. ბუფერები ტკაცუნით არ მიწყდომია ერთმანეთს. რამდენიმე კაცი და ქალი ჩამოვიდა ვაგონებიდან.

ბაქანზე გუბეები აღარ იდგა, ასფალტი დაეგოთ და ისე იყო გახურებული და დარბილებული მცხუნვარე მზისგან, რომ სიმხურვალე ფეხსაცმელში

ატანდა და ფეხსაცმლის კვალი რჩებოდა.

ის რამდენიმე კაცი და ქალი გურს უკან გაეჩქარნენ. იქ, როგორც მაშინ, ახლაც არ იდგა ოთხი-ხუთი ეტლი. მხოლოდ ქესკუნჯ ქეცბაიას ეტლი და ჩაის ფაბრიკის ძველი, დანჯღრეული სატვირთო მანქანა ელოდა მგზავრებს. მათ მაშინვე დაიკავეს ადგილი ეტლში და მანქანაში.

მარტო ერთი მგზავრი არ აჩქარდა, არ გაეშურა სადგურის უკან, იქ, არც ეტლს ელოდა და არც მანქანას. ომის ქარცეცხლში გამოვლილ, მრავალგან დაკერებულ, დალაქავებულ გიმნასტურაზე ეფრეიტორის სამხრულები ეკეთა. ხელში ასევე გამოხუნებული, გაქუქიანებული, თითქმის ცარიელი ჩანთა ეკირა. ეფრეიტორი გამხდარი, დაქანცული იყო, შუბლზე მარცხენა საფეთქელიდან მარჯვენამდე ძველი ნაჭრილობევი აჩნდა. სადგურის უკან რომ გავიდა, ეტლი და მანქანა დაძრული იყო. მან მაშინვე იცნო ქესკუნჯი, მაგრამ არ დაუძახა, არ გამოუდგა. ეტლში ოთხი მგზავრი იჯდა, ყველა ადგილი დაკავებული იყო.

ეფრეიტორი იქ იდგა, სადაც იმ დამეს ნოუს შეხვდა. ეტლი მოსახვევს მიიფარა, ეფრეიტორი იმ მხრისაკენ მიტრიალდა, ნოუ სადგურისაკენ შებრუნებული რომ დაინახა მაშინ.

„გამარჯობათ, ნოუ“. — უთხრა ფიქრში ნოუს.

„გავიმარჯვით. — შეესმა ნოუს ხმა. — საიდან იცით ჩემი სახელი?!“

„თქვენი სახელი დიდი ხანია ვიცი... ფეხის ადგმის დღიდან ვიცი“.

„მეც ვიცი, თქვენი სახელი, მაგრამ ფეხის ადგმის დღიდან არა“.

„აბა რომელი დღიდან?“

„არ მახსოვს, რომელი დღიდან“.

„ეტლს ელოდით?“

„ბაბა უნდა დამხვედროდა“.

„მეც უნდა დამხვედროდა, ბაბა“.

ეფრეიტორი იდგა და მის გონებაში მეორდებოდა ნოუსა და მისი სიტყვები. ეს სიტყვები ხშირად ესმოდა იქაც,



ფრონტზე შესვენების დროს, სულს მოთქმის დროს. ესმოდა ცხადლივ, იმავე ხმით, როგორც აქ სადღურზე, გზაზე. ძილში და ღვიძილში და თვით ბრძოლაშიც ნოუ ყოველთვის მასთან იყო. ხშირად, როცა მარტო დარჩებოდა, ერთად ეჭირათ ის ჩემოდანი, გრძნობდა ნოუს თბილ ხელებს და ახლა ეს სიტყვები ბოლომდე რომ გამეორდა, ნოუსთან ერთად გავიდა გზაზე, რომლის ორივე მხარეს ფორთოხლები-სა და მანდარინების პლანტაციები ხასხასებდა. გზაზედაც შეორდებოდა ყოველი მათი სიტყვა, იმ ღამინდელი მათი ყოველი მოძრაობა. მაგრამ ნოუ აღარ იყო მის გვერდით, არც ცოტნე იყო ისეთი. ჭრილობებს, ხოცვა-ჭლებს, დანგრეულ, გადამწვარ სოფლებსა და ქალაქებს, უსახლკაროდ, უბატრონოდ დარჩენილ ქალებსა და ბავშვებს, შიმშილს, წყურვილს, სიცხესა და ყინვას, სევდასა და სნებას წარუშლელი დადი დაეტოვებია მის სახეზე, მის სულში, მის იერზე და მაინც იმ დაყურადებით, იმ შეკრთომით, იმ პირველი შეხებით, პირველი სიხარულითა და სიბოთით აღსავსე მიდიოდა — ნოუ გვერდით ეგულებოდა.

გზა შეეკეთებიათ. ორმოები ამოვსებული იყო. მაინც ისე მიიბიჯებდა, თითქოს გუმბეში ტოპავდა: არც ცა იყო ღრუბლიანი, არ წვიმდა, ფირუზისფრად კრიალებდა ზესკნელი, არ ბნელოდა ევკალიპტების ხეივანშიც კი. ისიც მშითა და ჩრდილით იყო აჭრელებული.

„ევკალიპტებიც იბრძვიან“ — გაიცინა ცოტნემ.

„სადღაც წავიკითხე, დედამიწაზე ყველა და ყველაფერი იბრძვისო“.

„იბრძვის, რომ იცოცხლოს, ნოუ“.

სოფელში ისე შევიდა, არ გაუგია. ირგვლივ სიჩუმე იდგა. ოდესა და ეზოებში აღმიანის ჭაჭანება არ იყო. ამ დროს დიდი და პატარა ყანებსა და პლანტაციებშია გაკრეფილი. ამიტომ არ გაუჟვირდა ეს სიჩუმე.

გზის მარჯვნივ და მარცხნივ მდგარი

ოდების აივნის სვეტებზე გაჭიმული იყო ფართო და გრძელი ძაძა.

„უბედური მუფლზე მარიაში, და ელისკნელი დავტირით ომში დაღუპულ ქართამ ქანჩას“.

ეწერა ძაძაზე მსხვილი, თეთრი ასოებით.

ნაბიჯი შეანელა. ეს რა შემოუღლიათ! ჯარში წასვლამდე არავინ ჰკიდებდა ასეთ ძაძას. ესეც ის გზა იყო, იმ ღამეს ნოუსთან ერთად რომ შევიდა სოფელში. მაშინ ოდები გზის ორივე მხარეს თვალწამქარალი იდგა. ახლა აივნის სვეტებზე ძაძა იყო გაჭიმული და თითქოს ოდების თვალი ახლაც ჩამქარალი იყო.

„დედა ტახია, მამა ევკთიმე, დები თამარი და მავა მღვდარე ცრემლით დავტირით ომში დაღუპულ შალვა კორძაბას“.

მარჯვნივ და მარცხნივ, ყოველ მემვიდე, მერვე ოდის აივნის სვეტზე მზისა, წვიმისა და ქარისაგან ფერშეცვლილი ძაძა მუქშავად ბზინავდა.

დავტირით... დავტირით... დავტირით... ცოტნეს ეჩვენებოდა, კი არ კითხულობდა, ესმოდა დედების, მამების, ძმების, დების, შვილების, ნათესაებისა და მეზობლების ტირილი. ქართამი, შალვა, გუგუშა, ჯოტო, გუდუ მისი კბილა ბიჭები იყვნენ. აღარ არიან ისინი, მიწაში წვანან. მიდიოდა ნელა. ძაძებზე სხვადასხვა სახელები და გვარები ბზინავდა. ომში დაღუპული, ომში დაცემული. — „რამდენი დაღუპულა, რამდენი დაცემულა. რამდენის დედა, მამა და შვილი ატირებულა!“ — ისევ ძაძები, ისევ ნაცნობი სახელები და გვარები.

აღვის ხეების იქით გამოჩნდა ნოუს ოდა. — ჯერ ნოუსთან შევალ, — ეუბნებოდა ერთი გული, — არა, ჯერ დედასთან და ბაბასთან მივალ, — ეუბნებოდა მეორე გული, — დედასთან და ბაბასთან უნდა მივიდე. ჩემს მეტი არავინ დარჩათ. უჩა და კიკი აღარასოდეს

გრიგოლ ჩიქოვანი
შემაღი

არ დაბრუნდებიან. ჩემს მეტი არავინ
დარჩათ. — გაუსწორდა ნოუს სახლს,

„მამა ქესკუნჯი, ძმები გვი და კოტე
დავტირით ომში დაცემულ ძვირფას
ნოუ ქეცხაიას“.

შედეგა.

— მამა ქესკუნჯი, ძმები გვი და
კოტე დავტირით ომში დაცემულ ძვირ-
ფას ნოუ ქეცხაიას, — გაიმეორა და
გული გაუჩერდა, — ომში დაცემულ
ძვირფას ნოუ ქეცხაიას. — გახვედრუ-
ლი იდგა გზაზე, თვალს არ აშორებდა
ძაძას, — არა, არა, — დახუჭა თვალე-
ბი და გაახილა. გამსხვილდა ძაძაზე
ასოები, სიტყვები, სწრაფად მიუახ-
ლოვდა უზარმაზარი სიტყვები. თვა-
ლებზე ხელი აიფარა. მაინც ზე-
დავდა. სიტყვები მთელ მის სიმაღ-
ლეზე ედგა წინ. გადაწია ხელით. გადა-
წია, მაგრამ სიტყვები კვლავ დაუდგა
წინ. იშორებდა მარჯვენა და მარცხე-
ნა ხელით. სიტყვები ისევ და ისევ დგე-
ბოდა მის წინ. უნდოდა დაეყვირა, მომ-
შორდით და ხმა არ ამოსდიოდა. სული
ყელში მოადგა, საყელო შეისხნა, არ
გაუგია, როგორ გადადგა ნაბიჯი, ჭიშ-
კარი შეაღო და ეზოში შევიდა.

ოდის წინ ჭადრის ჩრდილში ორი
მამაკაცი იჯდა. სიცხისაგან შეწუხე-
ბულები პერანგის ამარა იყვნენ, ჯარის-
კაცის გაცვეთილი შარვალი ეცვათ. ერ-
თი ზურგით იჯდა, თოხის ტარს რან-
დავდა, მეორე ცოტნესაკენ იყო მიბრუ-
ნებული, მაგრამ ვერ ხედავდა. თოხის
ტარის რანდვის ხმაურში, არც ზურგით
მჯდარს გაუგია მისი ეზოში შესვლა,
მხოლოდ მაშინ აიხედა ზევით, ცოტნე
რომ თავს წაადგა. უცებ ვერ იცნო.
რანდვა მიატოვა და გაკვირვებული
შეჰყურებდა.

— ვინ მოვიდა, გვი? — ჰკითხა
იმან, წელან ცოტნესკენ პირშექცევით
რომ იჯდა.

ცოტნემ ახალა დაინახა, გვის უმ-
ცროს ძმას კოტეს ორივე თვალი დამ-
წვარი ჰქონდა. არ გაკვირვებია. მას
ფრონტზე გასვლის დღიდან არაფერი

აკვირვებდა. ისიც დაინახა, რომ
გვიმ ვერ იცნო.

— ცოტნე ვარ, გვი, — ეჩვენა
ვის, — გამარჯობა, კოტე.

— ცოტნე?!

— ცოტნე დაბრუნდა?! — წამოიძა-
ხა კოტემ.

წამოდგნენ ძმები.

— ცოცხალი ხარ, ბოში?!

— შენი ჭირიმე, ბოში.

— მადლობა ღმერთს, ცოტნე. — კო-
ტემ ცოტნეს ხელი იპოვა, მოუჭირა,
უნდოდა დარწმუნებულიყო, მართლა
ცოტნე იდგა თუ არა მის წინ. — ხმა
გამოგვცლია. თვალში არ ვიხედები,
მაგრამ ხმით ვცნობ ყველას. შენ ვერ
გიცანი. შენი დაღუპვის ამბავი დიდი-
ხნის წინათ მოსულა. ცოცხალი არა-
ვის გონიხარ. სასულეთიდან ზომ არ
მოხვედი, ბოში?! მოდი, აქ დაჯექი
ჩემთან, — გვერდით მოისვა კველა-
ზე. — მე არ უნდა დავბრუნებულიყა-
ვი ასეთი. ამგვარ სიცოცხლეს სიკვდი-
ლი ჯობია.

— სუ, კოტე! — უთხრა გვიმ
ძმას. — სიცოცხლე ყველაფერს ჯო-
ბია-მეთქი ვეუბნები. — მიუბრუნდა
გვი ცოტნეს. — არ მიჯერებს.

— არ ვუჯერებ იმიტომ, რომ თვი-
თონ ხედავს. ვინც თვალბილულია, არ
იცის, რაა ბრმის სიცოცხლე.

ცოტნე ყურს არ უგდებდა ძმებს,
ნოუზე ფიქრობდა. არ იცოდა, როგორ
ეკითხა ნოუს ამბავი. ისევ ის უზარმა-
ზარი ასოები ედგა წინ.

— ქესკუნჯი როგორაა? — იკითხა,
რომ ნოუზე არ ეფიქრა, ის ასოები
არ დგომოდა წინ.

— როგორ იქნება, ბაბა! — უპასუხა
კოტემ, — მე მკვდარი მაინც დავბრუნ-
დი, ნოუ არ დაბრუნდა.

— როგორ მოხვდა ნოუ ფრონტზე?!

— თვითონ წასულა შენსაკით. —
უთხრა გვიმ.

— ჩემსაკით?!

— მკვდრები მიდიან ბრძოლაში,
ჩვენ კი შინ ვზივართო. — უთქვამს
კიკი კიკბერიას ძღაბისთვის.

— მერე?

— რა მერე?! — ჰკითხა გვიმ და აივნისაკენ გაიხედა: — აი მერე!

ცოტნემაც იქით გაიხედა, კოტემაც დიდხანს დუმდნენ სამივენი. მერე გივი ცოტნეს ნაპრილობებს დააცქერდა და უხერხული, მძიმე დუმილი რომ დაერღვია, უთხრა:

— ბეწვზე გადარჩენილხარ, ცოტნე, თავის ქალა რომ არ გადაუხდია ტყვიას.

— სადაა დაპრილი? — ჰკითხა კოტემ ძმას.

— შუბლში.

— მე მართლა ვნახე თავის ქალა გადახდილი. ჩემი კაპიტანი იყო ის უბედური, — თქვა კოტემ, — ჰე, რა არ ნახეს ჩემმა თვალებმა. სად დაიჭერი, ცოტნე?

ცოტნეს არ უყვარდა ამ ამბის გახსენება. არავისთვის მოუყოლია ეს ამბავი. დავიჭერი ისე, როგორც ათასობით ჯარისკაცი დაიჭრა, უბასუხებდა ხოლმე. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ბრძოლებში მკერდშიაც იყო დაპრილი, მკლავშიაც. მაგრამ ეს ჭრილობები ექიმებისა და ექთანების მეტს არავის უნახავს.

შუბლში მაშინ დაიჭრა, იერიშზე გადასულ ტანკებზე შემსხდარი მისი ნაწილი მტრის სიღრმეში რომ შეიჭრა მისი ტანკი ყველაზე წინ მიდიოდა ცოტნე ავტომატით ცელავდა ფაშისტთა ტანკების უკან მომავალ ფეხოსნებს. მის ტანკს სულ ახლოდან მტრის ტანკის ჭურვი მოხვდა. ცოტნე მოცულივით გადავარდა სანგარში. როგორც უკვე ვთქვი, სანგარს „ვეფხვმა“ გადაუარა და ცოცხლად დამარხა.

გვიან ღამით მოვიდა გონზე. ყვეთი წვიმა ასხამდა. წყალში და ტალახში იწვა. სიცივემ და პირში ჩასულმა წყალმა გამოაფხიზლა. შუბლზე ხელი მოისვა. თავი ტკივილით უსკდებოდა. განძრევა უჭირდა. წყალი თანდათან მატულობდა სანგარში, რომ არ წამოქცდარიყო, დაიხრჩობოდა. უნდა ამდგარიყო როგორმე, მაგრამ ცა და მიწა ირწეოდა მის ტანკეშ. მაინც წამოიწია,

ხელებით სანგრის კედელს მიეყრდნო. კვლავ დატრიალდა, დაირწა ცა და მიწა. წამოიჩოქა. იდგა და ძალას იკრებდა.

თქეში ჩამოდიოდა ციდან, ისეთი ძალით ეცემოდა თავზე, დაჭრილ თავზე, მხრებზე, მოხრილ ზურგზე, ისედაც ღონისაგან დაცლილს, დასუსტებულს, დაძაბუნებულს, წელის გამართვის საშუალებას არ აძლევდა. როგორც იქნა, ორივე ხელით მოებლაუჭა სანგარის ნაპირს, მაგრამ წყალი იმ ნაპირზე ღელესავით ჩამოდიოდა, კინაღამ დაახრჩო, ხელები დაუსხლტა. მიტრიალდა, მეორე ნაპირს მოებლაუჭა და წამოდგა. სადღაც ახლოს ტყე ეგულებოდა. როგორმე ტყეში უნდა შეეღწია. თორემ ტყვედ ჩავარდებოდა. მთელი ღამე მიხობხვდა ტყისაკენ ტალახში, წყალში. წვიმა ასხამდა და ასხამდა.

მესამე დღეს იპოვნეს პარტიზანებმა. მკვდარი ეგონათ. მზისგულზე იწვა. სიცხეს სახე დიდი ხნის მიცვალებულივით შეეშუპებინა, თვალებზე, დაჭრილ შუბლზე სქელი, წებოვანი ჩირქი ედო და ზედ ბუხები ეხვეოდა, ცხვირი ჩირქით ჰქონდა გამოტენილი, — ტუჩები დასიებული. ისეთი სუნი ასდიოდა, ახლოს ვერავენ გაეკარა ის იყო, საფლავის გათხრას შეუდგნენ, რაზმის ექთანს ტატიანა ილინას გულმა არ მოუთმინა, ჩაიმუხლა და მაჯა გაუსინჯა.

— სცემს, სერგეი პეტროვიჩ — უთხრა კომისარს, შუა ხნის ფართოწვერიან მამაკაცს.

— სჯობდა მომკვდარიყო, ტანიშუა ცოცხლად დამპალა კაცი, — სახეზე დახედა: — სახე კი არა, აფუებული ცოშია. სიმპინჯა, — თქვა სინანულით, — სუნთქავს?

— ჰო, სუნთქავს, სერგეი პეტროვიჩ. ორი კვირა არ მოშორებია ილინა ცოტნეს საწოლს. სიცოცხლე გაუმწარა ექიმს, არც ის დაძინა და მოასვენა. სად არ აფრინა კაცი წამლებისათ-

გრიგოლ ნიჟოჯანი

მშენი

ვის, ზანებადის ბალიშისათვის, სიკვდილს გამოგლიჯაო, რომ იტყვიან, სწორედ ასე მოხდა.

ერთი თვის შემდეგ წამოჯდომის ნება დართეს, მერე მიწურიდან ჰაერზე აპოიყვანეს. სახე დაეწმინდა, დაეწმინდა თვალებიც. შუბლზე ჯერ არ ხსნიდნენ სახევეს. ერთხელ, როცა ხისძირას საკაცეზე წამოგდარი ფიჭვში იყო წასული, კომისრისა და ილინას საუბარი შეესმა. ისინი რაზმის საველე სამზარეულოსთან იდგნენ. კომისარი მორიგი ოპერაციიდან ახალი დაბრუნებული იყო, მაღიანად შეექცეოდა ილინას მიწოდებულ წვნიანს.

— სიმანხივე კი არა, ისეთი ლამაზია, სერგეი პეტროვიჩი, კაცის უნახავს გაგბდის. — ჩურჩულით ეუბნებოდა ილინა.

— შენ ყველა ქართველი ლამაზი გეჩვენება.

— ყველა არა, სერგეი პეტროვიჩი.

— ყოჩაღ, ტანიუშა. შენ მკვლარი ფეხზე წამოაყენე.

— ღირდა მისთვის გარჯა, სერგეი პეტროვიჩი.

— ვნახოთ მართლა თუ ღირდა. კაცს მარტო სილამაზე არ ამშვენებს, ტანიუშა.

კიდევ გავიდა ერთი თვე. დამით რაზმმა მტრის აეროდრომის საწყობები ააფეთქა და მხოლოდ დილით დაბრუნდა ბანაკში. ილინას ცოტნე სამგზავროდ გამოწყობილი დახვდა.

— საით, ივარდა?!

— ჩემს ნაწილში.

— ვინ იცის, სად არის შენი ნაწილი.

— მოვძებნი, ტანიუშა. — ტანიუშა კომისრის კილოზე უთხრა ცოტნემ.

— ხომ არ გადაირიგე, ცოტნე! შენთვის ჯერ სიარულიც კი არ შეიძლება. ჯერ სამკურნალო ხარ.

— მეყოფა, რაც მიმკურნალე, დაიკო. — ტანიუშა აღარ უთხრა. — მე შენ სიცოცხლე მაჩუქე. არასოდეს დამავიწყდება.

— არც მე დამავიწყდება, — თბი-

ლად გაუღიმა ილინამ, ძლივს იკავებდა მღელვარებას. — არასოდეს, ვერცხა მომეცი, იპოვნი თუ არა შენს ნაწილს, ჰოსპიტალში დაწვები. — მღელვარედი ხნის მკურნალობა გპირდება, ცოტნე.

— ვერ მოგატყუებ, დაიკო. — უთხრა ცოტნემ, — ჰოსპიტალში ვერ დაეწვები. ახლა ამის დრო არ არის. ბერლინამდე მიიდა ჩავიდე.

— მეც მიიდა ბერლინამდე ჩავიდე...

— ყველას გვინდა ეს, ტანია.

ცოტნე კიდევ ბევრჯერ დაიჭრა ბერლინში მისვლამდე, იწვა საველე ჰოსპიტლებში, იბრძოდა დაჭრილი, იყო ტყვედ, გაიქცა ტყვეობიდან, ისევ მოძებნა თავისი ნაწილი.

— როდის მოვიდა, ნოუს ამბავი? — ჰკითხა ცოტნემ გივის.

— ორი წლის წინათ მოსულა, — მიუგო გივიმ, წამოდგა და ოდისკენ გაემართა.

— სად მიდის?

— წერილის მოსატანად. — უთხრა კოტემ.

— ვისი წერილის?

— ვის ხელშიაც დალია სული. შენ რომ არა, მაინც წავიდოდა, ნოუ.

— წავიდოდა — თქვა ცოტნემ, გულისჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო, ასანთს გაჰკრა.

— პაპიროსს რომ არ ეწეოდი! — უთხრა კოტემ.

— არც ახლა ვეწევი. თავს ვიქცევ.

— მომეცი.

ცოტნემ კოლოფი გაუწოდა.

— არ იშოვება პაპიროსი.

— გქონდეს.

— არა, — კოტემ უკან დაუბრუნა კოლოფი. პაპიროსს მოუკიდა, ზედზედ მოსწია, სახეზე სიამე მოეფინა, — ათანია ფოსტალიონი შოულობს ჩემთვის.

გივი დაბრუნდა, ცოტნეს პირდაპირ დაჯდა და წერილი მისცა.

ცოტნემ წერილს დახედა. რუსულად იყო დაწერილი.

— ვიხ სახელზეა? — ჰკითხა გივის
ცოტნემ.

— ბაბას. მაგრამ იგი ყველას სახელ-
ზეა.

— როგორ?!

— ყველას სახელზე, ვინც ომს გა-
დაურჩა, ვინც ომში დაეცა, ვინც აწი
დაიბადება.

— ბრმების სახელზედაცაა. — უთხ-
რა კოტემ.

ცოტნემ გაკვირვებით შეხედა ძმებს.

— წაიკითხე. — უთხრა გივიმ.

„ძვირფასო მამილო! — ეწერა
წერილი, გაურკვეველი ხელით რეჟუ-
ლის გაყვითლებულ, გაცრეცილ ცალ-
ხაზიან ფურცელზე. ეტყობოდა, წე-
რილმა ბევრის ხელში გაიარა, ბევრმა
წაიკითხა. — თქვენი სახელი არ ვი-
ცი და ამიტომ მოგმართავთ ასე. კიდევ
იმიტომ, რომ ნოუ ქეცბაიას მამა ჩემ-
თვისაც მამაა. ალბათ, გაგიკვირდებათ,
ვიდაც რუსი ბიჭის მამა რანაირად გავ-
ხდიო, მაგრამ ამ წერილს ბოლომდე
რომ ჩაიკითხავთ, არ გაგიკვირდებათ.
სანიტარი ნოუ ქეცბაია ჩვენთან, ჩვე-
ნი გვარდიული, წითელდროშოვანი
მსროლელი ლეგიონის შევსებისას მო-
ვიდა ფრონტზე. იცით, მანამდე რა ხდე-
ბოდა ფრონტებზე? არც ჩასაცემელი
გვყოფნიდა, არც საკმელი და იარაღი.
მკვდრებს ვაცილით თოფს, ტყვიას
ვიზოგავდით, მკვდრების სისხლიან ტან-
საცმელს ვიცვამდით, მკვდრების პურს
ვჭამდით. ყელში არ გადაგვიდოდა,
მაგრამ მინც ვჭამდით, რომ არ დაე-
ცემულიყავით. მტერი კალიასავით მო-
დიოდა, კბილებამდე შეიარაღებული,
მძლარი, გასიებული ჩვენი პურით,
მედიდური. ახლა რომ ვიგონებ მათ
ცხვირ-პირს, გული მერევა, ცეცხლი
მეკიდება. როგორც იქნა, სტალინმა გა-
დაწყვიტა, მეტი არ დაგვეხია. არც
გვქონდა დასახევი გზა. მოგვყარეს
ჩასაცემელი, სურსათი და რაც მთავა-
რია, იარაღი და მერე რა იარაღი. სწო-
რედ ამ დროს მოვიდა თქვენი ქალი-
შვილი ჩვენს ლეგიონში. პერიპა, ძა-
ლიან შორიდან დავიწყე. ასე რომ გა-

ვგარძელო, რეჟულის ეს ფურცლები
ნახევარი სათქმელისათვის არ მეყოფა.
სად არის ქალაქი! ეს ფურცლები
ძლივს მიშოვა ჩემმა ექთანმა. პირდა-
პირ დავიწყებ. ჩვენი ლეგიონი მთელი
წელიწადი შეუსვენებლად იბრძოდა.
რა მემართება. კვლავ შორიდან ვიწყ-
ებ. იმიტომ, რომ ყველაფერი მინდა
გვიამბოთ. ცოტა რამ ჩვენს ლეგიონზე-
დაც უნდა იცოდეთ. ვერ წარმოიდგენთ,
რა ლეგიონი იყო. როგორ ლეგიონში
იბრძოდა ნოუ. ხუმრობა ხომ არ არის,
გვარდიული, წითელდროშოვანი მსრო-
ლელი ლეგიონი. ნოუ ქეცბაია ღირსე-
ული ჯარისკაცი იყო ლეგიონის. ღირ-
სეული ის სიტყვა არ არის, ნოუ ქეც-
ბაია ღირსეულზე მეტი იყო. თავში
ვარ დაჭრილი, ამაზე უკეთესი სიტყვა
ვერ გამოვნახე. გაკვირვებული ვარ, ან
ამის წერას როგორ ვახერხებ. თანაც
მალალი სიცხე მაქვს. ომში მეცხრე
კლასიდან წავედით. განა მარტო მე,
მთელი კლასი — გოგო-ბიჭები. თვი-
თონაც კარგად მოგვეხსენებათ, ასე იყო
საჭირო. სამშობლო გვიხმობდა დიდ-
სა და პატარას, კაცს და ქალს.
გავგარძელე. ექიმები მეუბნებიან, ტვი-
ნის შერყევა გაქვსო, ამიტომ ვერ ვა-
ბამ თავს ამბავს და გრძლად ვწერ.
ვლევავ, მამილო, და ეს მიშლის ხელს.
დიახ, ეს მიშლის ხელს და არა ტვინის
შერყევა თქვენც არ დაიჯეროთ, მამი-
ლო. ჩვენს ტვინს ვერავითარი ძალა
ვერ შეარყევს, სხვა ყალიბისაა ჩვენი
ტვინი. ნოუს ამბავს აუღელვებლად
ვერ დაწერ. საერთოდ, რა დავიმალოთ,
ბევრი ლაბარაკი მიყვარს. ნოუ დამცი-
ნოდა. ისეთი კარგი და კეთილი სი-
ცილით დამცინოდა, მემამყებოდა. ერ-
თი უსახელო მალღობისათვის ვიბრძო-
დით. უსახელო იყო ის წყეული, მაგ-
რამ ძალიან დიდმნიშვნელოვანი. მდი-
ნარის გაღმა იყო მალღობი. ის მდინა-
რე უნდა გადაგველახა. ოხ, მამილო,
რამდენმა ვერ გააღწია გაღმა. ჩვენი

გრიგოლ ჩიქოვანი
ძმები

ასეული ყველაზე ღრმა და ფართო ადგილზე გადადიოდა. მე და ჩემი მეორე ნომერი, ნიაზი ზეინალოვი ტყვიამფრქვევით ვიფარავდით ასეულს. ხის ქვეშ ვიყავით შენიღბული. ჯერ მარტო ზეინალოვი უჭდა ტყვიამფრქვევს. მარტო იმიტომ, რომ თუ ზეინალოვს მოკლავდნენ, მე უნდა შემეცვალა. ნოუ ჩემთან იყო. მდინარეზე გადასვლის დაწყების წინ ფეხში დაიჭრა და ასეულს ვერ გაჰყვა. მე და თქვენი ქალიშვილი გვერდი-გვერდ ვიწევეთ ზეინალოვის უკან, თავზე ლაბადა-ქარავი გვეფარა. შიშით შევცქეროდით ზეინალოვს. იგი ბრაზისა და ბოღმისაგან მთელი ტანით ცახცახებდა. მაინცდამაინც მისი ტყვიამფრქვევი ვერ იფარავდა მეორე ნაბირისაკენ ცურვით, ნაგებითა და ტივებით მიმავალ ჩვენს ბიჭებს. მაინც ზეინალოვის ტყვიამფრქვევი რომ არა, მეოთხედი ასეულისა ვერ გააღწევდა გაღმა. შიშით იმიტომაც შევუშურებდით, რომ ზეინალოვი მტრის სნაიპერებმა იპოვეს. გამართლდა ჩვენი შიში. ზეინალოვის გვერდით ორი ტყვია ზედიზედ ჩაერჭო მიწას. კარგად ისროდნენ ის ძაღლის შვილები. გადაწვევიტე, ზეინალოვისათვის რაიმე ამეფარებია, მაგრამ გარშემო ისეთი არაფერი იყო. როგორც მოგახსენეთ, ის უსახელო მალღობი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სინანულით შევიგინე, ბინძურად შევიგინე, მამილო. ნოუმ გაკვირვებით შემომხედა. მასთან, როგორც წესი, არ ივინებოდნენ ჩვენი ბიჭები. რომც იყოს „ისეთი“, მაინც არ გაგიშვებდი, მითხრა ნოუმ, ორივე ერთად რომ მოგვლან, ამაზე არ ფიქრობო? ნოუმ ტყვიამფრქვევის ხმარება არ იცოდა. სნაიპერის ტყვიამ მალე იპოვა ზეინალოვი. ტყვიამფრქვევი დადუმდა. ახლა კი წადიო, მანიშნა ნოუმ. სნაიპერს მიზანი მოძებნილი ჰქონდა. მიუღუჭეტი თუ არა ტყვიამფრქვევს, ბარძაყში დავიჭერი. მამილო დაინახა ნოუმ. სწრაფად მომიხიხდა და ამეფარა. რას სჩადიხარ-მეთქი, დაუწყვირე გაცოცხელმა. ნოუმ

მკაცრად შემომხედა. შენ კი არ გიფარავ, აი იმით ვიფარავო, მდინარისაკენ გადაიქნია თავი. ძმებს ვიფარავო, ნოუ იმ წუთს კეთილ სუსტ გოგონს არ ჰგავდა. თვალები რისხვით უელავდა. ვინ არ იყო, ჩვენს ლეგიონში: რუსი, ყირგიზი, ბელარუსი, სომეხი, უზბეკი, ჩუვაში. ქართველი ქალიშვილი მხოლოდ კინოეკრანიდან გვეყავდა ნახული. ნოუზე თვალი ზედ გერჩებოდა, მაგრამ ნოუ ყველას ძმას გვეძახდა. ამიტომ მედიცინის დას კი არა, ჩვენც ნამდვილ დას ვეძახდით. ძმებს იფარავდა თქვენი ქალიშვილი, მამილო. ვინ მოსთვლის, რამდენი დაჭრილი გამოუყვანია ბრძოლის ველიდან, რამდენი გადაარჩინა სიკვდილს. მე მხოლოდ მამინ მივხვდი, რატომ გვეძახდა ძმებს. ჩვენ ყველანი მართლაც ძმები ვიყავით. თვრამეტი წლის ბიჭმა გამოვიარე სტალინგრადის ჯოჯოხეთი, მაგრამ ნოუსაგან მაინც ბევრი რამ ვისწავლე, ამიტომ მივედი რაიხსტაგამდე. მოწმე ვიყავი, ჩვენმა ძმებმა, ეგოროვმა და ქანთარიაშ, როგორ აღმართეს რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა და გავიფიქრე, იმიტომ აღმართეს, რომ ნოუ გვიფარავდა, ნოუსთანა დები გვიფარავდნენ. ჰო, იმას ვამბობდი. მეგონა, ჭრილობის შესახებ ვად მომიხიხნა. გაგიგონია, არც უფიქრია, სად იყო ამის დრო. ჩემთვის დამინებულ ტყვია მამილოვს მოხვდა ნოუს. არ დაუგუნესია. ისე იქცეოდა, თითქოს ტყვიას არც გაუქაწრავს. მეორედ დაიჭრა. არ ვიცოდი, სად მოხვდა მეორე ტყვია. მთელი ტანით მოეშვა. ფერდობზე ვიწევეთ რომ არ ჩაცურებულყო და არ ჩამომცლოდა, გიმნასტურაში ჩამქვიდა ხელი, უფრო ახლო მოიწია, მთელი ტანით ამეფარა. კიდევ ცოტაც, ვანია, და გადავლენ ჩვენები, მეჩურჩულებოდა მისუსტებული ხმით. ტყვიამფრქვევის კაქანში მაინც მესმოდა მისი ხმა. ისეთი ხმა ჰქონდა, ზარბაზნების გრიალშიც გაიგონებდი მის ჩურჩულს. ტუჩების კუთხეებში სისხლში გამოუქრთა. ნოუ მამხნევებდა, თან შემშვიდობებოდა, ხელს

არ მიშვეებდა, რომ არ ჩამომშორებოდა, კვდებოდა და ხელს არ მიშვეებდა. ნოუ ძმებისათვის კვდებოდა. შესამე ტყვიით დაიჭრა. სამივე ტყვია შე უნდა მომხვედროდა. ასეთი იყო, მამილო, თქვენი ქალიშვილი. ვერ დაგიმალავთ, მამილო, ნოუს გულის მეგობარი ჰყავდა. მაპატიეთ, ინტიმურ საკითხს ვეხები. ის მეგობარი ალბათ, სხვა ფრონტზე იბრძოდა, იქნებ, აქ, სადმე ჩვენს ახლოს, სხვა დივიზიაში, ჩვენს გვერდით. არავისათვის გაუმხელია მისი სახელი, მაგრამ ვგრძნობდით, როგორ ვანიცდიდა მის ამბავს, როგორ ძლიერ უყვარდა. ხანდახან განმარტოვდებოდა, მამილო, და თავისთავს ელაპარაკებოდა ქართულად. იმ მეგობარს ელაპარაკებოდა. იცდევ ბევრი რამის მოწერა მინდა, ნოუზე, მაგრამ ქალაღი მითავდებდა. არ გავყვიე ჩემს ნაწილს. არ შემეძლო ნოუს დაუშარხავი დატოვება. როგორც ჯარისკაცმა თვითონაც ვიცო, წესდება დავარდევ. სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. თქვენ თვითონ განსაჯეთ, ნოუს რომ არ დავეფარე იმ სნაიპერის ტყვიისაგან, ასეული გაღმა ვერ გააღწევდა. ასე რომ არავითარ დანაშაულს არ ვგრძნობ არც ჩემი ლეგიონისა და არც ჩემი სინდისის წინაშე. ლაბადა-კარავზე დავასვენე. დავიჩოქე და ლოყაზე ვაკოცე. ცივ, ფერწასულ ლოყაზე. როგორც ძმამ დას, ისე ვაკოცე. ნოუსთანები ფეხზე კოცნის ღირსნი არიან. ასეთმა აღამიანებმა მოიგეს ომი, მამილო. გამოვეთხოვე, იმ ლაბადა-კარავში გავახვიე. ხის ქვეშ გავუთხარე საფლავი. ზეზე დანით ამოვჭერი: აქ მარხია გმირი ქართველი ქალიშვილი ნოუ ქეცბაია. მან ძმებისათვის, სამშობლოსათვის გასწირა თავი. მაპატიეთ, მამილო, კარგად ვერ დავწერე. გონება ისე მქონდა არეული, მიკვირს ამის დაწერაც როგორ მოვახერხებ. ნოუს ახალ საფლავს გაუთხარიან. ძეგლს დაუდგამენ და უკეთეს სიტყვებს ამოკვეთენ ქვაზე. მადლობელი ვარ ასეთი შვილის გაზრდისათვის. ნე-

ბას ვაძლევ ჩემს თავს და მთელი ჩვენი გვარდიის, წითელდროშოვანი მსოფლიო ლეგიონის სახელითაც მადლობას. ქალაღი მითავდებდა. ნოუს მეგობარი თუ დაბრუნდა, გთხოვთ, იმასაც წააკითხოთ ეს წერილი. გაიგოს, რა აღამიანი იყო მისი ნოუ. ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, № 30სპიტალში ვწევარ. რაისტაგში დროშის ამართვის მეორე დღეს დამჭრეს. მაინც არ ისვენებენ ფაშისტი უწმინდურები. როგორც კი აქედან გავწერები, თქვენთან ჩამოვალ, ნოუს საფლავზე წაგიყვანთ. მარად თქვენი პატივისმცემელი, გვარდიის სერჟანტი ივანე კუზნეცოვი“.

ცოტნემ კითხვა დაამთავრა. თვალს მაინც არ აშორებდა წერილს, სახეზე წარამარა ეცვლებოდა ფერი.

— წაიკითხე? — ჰკითხა კოტემ.

ცოტნეს არ გაუგონია.

— წაიკითხა, — უთხრა გვიმ. უნდოდა წერილი ჩამოერთმია, მაგრამ ცოტნეს ისე მაგრა ეჭირა, შეატყო, მიცემას არ აპირებდა. შეატყო, კიდეც უნდოდა ჰეროდა. კიდეც რალაც შეატყო: — შენ და ნოუ მგონი არ იცნობდით ერთმანეთს. არასოდეს მინახებხართ ერთად.

ცოტნემ არ უპასუხა.

— ამხანაგები ყოველ დღე აკითხვენ, ნოუს. — თქვა კოტემ.

— სად?!

— მის ოთახში. დადგებიან ნოუს ნიშანის წინ. დიდხანს დგანან. მთელმა სოფელმა წაიკითხა ეს წერილი. მთელმა სოფელმა დაიტრია ნოუ. არავინ ისე არ უტირიათ, როგორც ნოუ.

— დღესაც არ ვიცით, ვინაა ის მეგობარი. — თქვა გვიმ და დააკვირდა ცოტნეს.

— მეც მინდა დავდგე, ნოუს ნიშანის წინ. — თვალი აარიდა ცოტნემ და წამოდგა.

გრიგოლ ჩიქოვანი
ძმები

წამოდგნენ გივი და კოტე, წინ გა-
უძღვნენ.

ლოგინზე ესვენა ნოუს ნიშანი — ის
კაბა იმ ლამეს რომ ეცვა, ბალიშზე მი-
სი ქიცა ეფინა, პატარა, მრგვალ მაგი-
დაზე — ნოუს თია! იღო.

— ამდენი ხანი გავიდა და საუზმეს,
სამხარს და ვახშამს მაინც უშლის, ბა-
ბა. — უთხრა ცოტნეს გივიმ. — შენს
სახლში სამი ნიშანი ასვენია, სამისათ-
ვის იშლება სუფრა. ამიტომაც ეს წე-
რილი ყველას მისამართით.

ცოტნე ყურს არ უგდებდა გივის,
არ გაუგონია მის სახლში სამისათვის
რომ იშლებოდა სუფრა.

¹ მიცვალებულს მეორმოცე დღემდე სულის
მოსახსენებლად თავის წილ კერძს უდგამენ
სუფრაზე.

წერილი სასთუმალთან დადო.

დიღხანს, ძალიან დიდხანს იდგნენ
სამივენი მღუმარედ. მერე დუმილი
ჭიშკართან ეტლის გაჩერების ხმამ და-
არღვია.

— ბაბა დაბრუნდა, — თქვა კო-
ტემ, — ომის დამთავრების შემდეგ ჯა-
რისკაცებმა დაბრუნება რომ დაიწყეს,
ბაბამ ისევ შეაბა ცხენები კვირა ისე
არ გავა, ვინმე არ ჩამოვიდეს.

— იადი არ აბამს ცხენებს? — ჰკით-
ხა ცოტნემ კოტეს.

— იადი?!

— იადი?! არა, იადი არ აბამს. —
მიუგო დაგვიანებით გივიმ.



პასილ ლაბაზიძე

ლენინის ორდენი

დიდი სამამულო ომიდან დემობილიზაციით დაბრუნებულმა მუშაობა დაიწყო პარტიის ახ-
მეტის რაიკომში, კადრების ინსტრუქტორად,
პირველმა მდივანმა დამავალა, შემესწავლა თე-
ლაის რაიკომიდან ჩამოტანილი კადრების პი-
რადი საქმეები, რათა საქმიანი და შრომის-
მოყვარე ადამიანები დაგვეწინაურებინა. კად-
რების პირადი საქმეების შესწავლის დროს
თვალში მომხვდა ლენინის ორდენით მკერდ-
დამშვენებული ახლავანი ვაჟაკის სახე. ეს იყო
ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმე-
ურნეობის თავმჯდომარის — ანდრო ბორძი-
კიძის სურათი.

მას ბავშვობიდანვე ვიცნობდი და გამიკვირდა,
როდის მიიღო ლენინის ორდენი. მაგრამ სუ-
რათის დანახვისას ჩემს თვალწინ სწრაფად გა-
იზრბინა 10 წლის მანძილზე ჩემი ჯერ რუსეთ-
ში სწავლის, ხოლო შემდეგ სამამულო ომში
მონაწილეობის პერიოდში სოფლად მომხდარ-
მა ცვლილებებმა და მივხვდი, რომ ანდრო
ბორძიკიძეს ლენინის ორდენი უნდა მიეღო
საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში მოპო-
ვებული მიღწევების გამო.

ერთხელ კოლმეურნეობის საქმიანობის შე-
სასწავლად მომიხდა ზემო ალვანში ჩასვლა.
ვინახულე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ან-
დრო ბორძიკიძე და ვთხოვე მოეთხრო, რო-
დის და რა დამსახურებისათვის ჰქონდა მიღე-
ბული მთავრობის მაღალი ჯილდო. ანდრო
ბორძიკიძემ მაშინ კანტიუენტად მიაშობ ცხოვე-
რების სარბიელზე გამოსვლისა და ლენინის
ორდენის მიღების ამბავი. გავიდა დრო-ჟამი და
მიმავიწყდა მონაყოლი... ჩვენც დიდი ხანი
აღარ გვენახა ერთმანეთი... ლენინის დღეებმა
კვლავ გამახსენა დიდი ბელადის ორდენის კა-
ვალური ანდრო ბორძიკიძე და ხელმეორედ
ვესტუმრე სახლში.

აი, რა მიაშობ მან:

1929 წლის შემოდგომაზე, წითელი არმიის
რიგებიდან დემობილიზაციით დაბრუნებული,
ჩემს მშობლიურ სოფელ ზემო ალვანში ვის-
ვენებდი. აღმასრულებელმა შარავზიდან გად-
მოგვძახა, ანდროს საბჭოში იზარებნენ. დიდ-
ხანს არ დამიყოვნებია, სასწრაფოდ ჩავიციე
წითელარმიული ფორმა და სასოფლო საბჭო-
ში ჩავედი. საბჭოს შენობაში სოფლის აქტივს
მოეყარა თავი, რაღაცაზე გაცხარებით კამა-
თობდნენ.

— სულ!... ჩუ!, — გაისმა აქეთ-იქიდან. დარ-
ბაზში რაიონის წარმომადგენელი და სასოფლო
საბჭოს თავმჯდომარე შემოვიდნენ — აქტივის
კრებას გახსნილად ვაცხადებ, — თქვა საბჭოს
თავმჯდომარემ და დარბაზში მსხდომთ მრავალ-
მნიშვნელოვნად მოავლო თვალი.

— ჩვენი დღევანდელი შეკრების მიზანზე
გელაპარაკებთ რაიკომის წარმომადგენელი და
გთხოვთ ყურადღებით მოისმინოთ!

— ამხანაგებო! — დაიწყო რაიკომის წარ-
მომადგენელმა, — რუსეთის საბჭოთა ფედერა-
ციულ რესპუბლიკაში, უკრაინისა და ბელო-
რუსიის რესპუბლიკებში ახალი მოძრაობის
ტალღამ, წვირილი, დაქსაქსული გლეხური მე-
ურნეობის მსხვილ, კოლექტიურ მეურნეობად
გარდაქმნის ამბავმა ჩვენს რესპუბლიკამდეც
მრალწია. მართალია, აღრე ჩვენშიაც შეიქმნა
ცალკეული კომუნები: ქედში, სამთავისში და
სხვაგან, მაგრამ, როგორც ამხანაგმა ლენინმა
თქვა, ეს პირველი ცუორტები იყო ჩვენი
ქვეყნის ვრცელ ტერიტორიაზე, რომლებიც
შემდეგ უნდა გამოლიყვნენ და გაფურჩქნუ-
ლიყვნენ, და მართლაც ასე ხდება დღეს.

მარტო ჩვენი რაიონის მაგალითი გვიჩვე-
ნებს, თუ როგორ იბრუნა პირი ღარიბმა და
საშუალო გლეხობამ საკოლმეურნეო წყობი-
ლებისაკენ. ვარდისუბანში, ლაფანყურში, ლე-
ჩურში, სანიორეში, ახმეტაში და სხვაგან შექ-

შნლია კოლექტივები. დღეისათვის, — განაგრძობ მომხსენებელმა, — რაიონში სულ 17 კოლმეურნეობაა ჩამოყალიბებული. რაიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოგვლაპარაკოთ და თქვენი დახმარებით დავაარსოთ კოლმეურნეობა, კოლექტივში მოწინავე მეცხვარეები ჩავაბათ და ვამრავლოთ თქვენი შემოსავლის ძირითადი წყარო — ცხვარი და ჩვენი მზარდი სოციალისტური მრეწველობა უზრუნველყოთ ძვირფასი ნედლეულით.

მომხსენებელი შეჩერდა და დარბაზს თვალი მოავლო, უნდოდა შეემოწმებინა — რა შთაბეჭდილება დარჩა ხალხს. დამსწრეებს გამოცოცხება დაეტყუთ, დარბაზი ახმაურდა, აქეთ-იქედან სიტყვით გამოცვლაც კი ითხოვეს, მაგრამ მომხსენებელმა მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო: — მაშ ასე, ამხანაგებო, ამ საქმის მოგვარებას ძალიან ფრთხილად და მოფიჭრებულად უნდა შევედგეთ, რადგან კლასობრივ მტრებს არ სძინავთ და გადაწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებიან. ამის ფაქტები ჩვენ უკვე გვაქვს, წინააღმდეგობის გაწვევა გამოირიცხული არ არის.

ამ სიტყვებს რომ ვისმენდი, თვალნათლივ წარმოვიდგინე, მეექვსე ქართულ ლეგიონში, მეთათრთა შეკრებაზე, პოლიტბელი გოგოლაძე როგორ ელაპარაკებოდა დამსწრეებს ახალი ცხოვრების შექმნის შესახებ და დემობილიზაციის დროს რა დავალებით გამოგვისტუმრებს; ჩვენ პირდაპირ დაგვაუაღეს, როგორც კი დაბრუნდებით სახლებში, თქვენ იქნებით ახალი საქმის წამომწყებნი, თქვენ უნდა ჩამოყალიბოთ სოფლებში კოლმეურნეობები და ჩაუღვეთ სათავეშიო. გაიფანტა მოგონების ბურუსი. რამდენიმე დამსწრეს სიტყვაში გამოსვლაც კი მოესწრო. აქტივის კრებამ ერთხმად მოიწონა ორატორის სიტყვები და გადაწყვიტეს, აღვანშიაც ჩამოყალიბებინათ კოლექტივი.

გაზაფხულის პირი, მარტის თვე, განსაკუთრებით ცვალებადია შირაქში. ნახარკებიდან კასრის წყლისაკენ მონაბერმა ქარმა შეიძლება დღეში სამჯერ და უფრო მეტჯერაც შეცვალოს ამინდი და იქ მყოფ მეცხვარეებს თავზე უბედურება დაატეხოს. შეიძლება მიდამო თოვლით დაფაროს, ახლადფეხადგმულ ბატკნებს და სუსხიან ზამთარში გაღვერილ და დასუსტებულ ცხვარს დიდი ზარალი მიაყენოს, მაგრამ 1929 წლის გაზაფხულზე სულ სხვა ელფერი ედო კასრიწყლის მიდამოებს. თითქოს ამინდსაც ეგრძნო ქვეყნის გარდაქმნის მოახლოებული მაყისცემა. კასრის წყლის კორდებს გაზაფხულის ელფერი გადაეკრა და მისი ფერდობები მოლურჯო-მოყვითალოდ აეჭრებოდნენ ენჭე-ლასა და იას, შიგადაშინე კი მწვანედ აბიბინებულყოფ ურო, ავშანი და ძურწა; ყაშბინი კი, ნაადრევ გაზაფხულის სურნელმა ტრიალებდა, მიდამო მწვანე ქათებით შემოსილიყო. შიშვე და თოვლიან ზამთარში ილაგაწყვეტილ

ცხვარს ბარაკიანი მსუყე ბალახი ჩანს უმატირე და და მუხლს უმაგრებდა. თითქოს ყაშბინსაც ვაეყო, რომ ცხვარს საზაფხულო ძარღვებსაც კენ ძნელი და შორეული მგზავრობა უწოდებოდა.

1929 წლის მარტის დამლევის კასრის წყალზე საზამთრო საძოვრებზე მყოფი თუში მეცხვარეებისათვის მოწვეული იყო კრება. კრების მოწვევის მიზანი ჯერ არავინ იცოდა, მაგრამ გამოცდილი ადამიანები ალგოთი ხვდებოდნენ, რომ მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. ზოგიერთმა წინასწარ ხმაც კი დაარხია, თუშ მეცხვარეთა არტელი უნდა შეიქმნასო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თუშეთში მეცხვარეობა დიდად განვითარდა. საბჭოთა ხელისუფლებამ მეცხვარეობის განვითარებას დიდი ყურადღება მიაქცია. წერილ და საშუალო მეცხვარეთა დიდი ნაწილი შეღავათიანი კრედიტებითა და დახმარების მიღებით შეძლებულ მეცხვარეთა რიგებში ჩადგა. პარალელურად გაძლიერდა მიღირს მეცხვარეთა ეკონომიკა, მატყლის იზარება და კომბავტრობის გაერთიანება „მწყემსი“ და შეღავათიან ფასებში იძლეოდა მარჩის, ფქვილსა და საჭირო აჩსაემელ-დასახურს. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოიხსოა მესაქონლეობისათვის დამოუკველი გადასარეო ბაჟები, თითქმის უფასო გახდა საზამთრო და საზაფხულო საძოვრები, ასეთმა შეღავათებმა სწრაფად გაზარდა ცხვრის სულადობა თუშეთში და, განსაკუთრებით, ზემო აღვანში, ახლა 60-80-მდე ოჯახის ცხვრის ფარები 3000-5000 სულ ცხვარს ითვლიდა. კასრის წყალზე კრების მოწვევისა და თუშ მეცხვარეთა არტელის ჩამოყალიბების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო შირაქის მიდამოებს, რამაც განსაკუთრებით აამხებდა მეცხვარეთა ზედა ფენის ერთი ნაწილი. მათ კარგად ესმოდათ, რომ სასაფლო სამეურნეო არტელის ჩამოყალიბების შემთხვევაში ხელიდან გამოეცლებოდათ მწყემსების დიდი ნაწილი და ძალზე გაუძნელებოდათ ცხვრის მოვლა-პატრონობა. თუმცა მათ ჯერ არ ესმოდათ მთლიანი კოლექტივიზაციის მიზანი, მაგრამ ხვდებოდნენ, მომავალში მიაინ და მიაინ კარგი დღე არ დაადგოდათ. პარტიის მიერ კულაკური მეურნეობის შეზღუდვის პოლიტიკა, რომელიც თუშეთში 1929 წლის იანვრიდან გაიდებული „ნალოგების“ შემოღებით დაიწყო, დიდ უკმაყოფილებას იწვევდა შეძლებულ მეცხვარეთა შორის. ამიტომ, ბუნებრივია, ახალი მოკლენის წინააღმდეგ ისინი მთელი თავიანთი ძალ-ღონით აღდგებოდნენ.

შირაქში კრების ჩატარების ღონისძიებას განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდა რაიონის ხელმძღვანელობა, რაიკომის და რაილმასკომის გაერთიანებულ სხდომაზე ყველაფერი წი-

ნასწავან აწონ-ლაწონეს და გადაწყვიტეს, ადგი-
ლობრივი აქტივიდან შეედგინათ შირაქში გა-
საზღვრენ ბრიგადა, სადაც უნდა შესულიყვნენ
რაიკომისა და ოლქის წარმომადგენლები.
ბრიგადის დანარჩენ წევრებთან ერთად მეც
გამომიძახეს რაიკომის ბიუროზე. შირაქში გამ-
გზავრება და თუშ მეცხვარეთა კოლექტივში
ჩასამხმელდ ფართო საავიტაციო მუშაობის
გაშლა დაგვაკლეს. ბრიგადა, რომელიც თელა-
ვიდან გაემგზავრა, ცხენებით უნდა ჩასულიყო
ოლქში. ოლქის ცენტრში, გურჯაანში, დაცვის
ორგანოებთან შეთანხმებით, უნდა მიგველო
იარაღი და თავდაცვის სხვა საშუალებები, ვი-
ნიიდან ამ დროს ყველასათვის ცნობილი იყო.
რომ სიღნაღის რაიონში მოქმედებდა 15 კაცი-
ანი კულაკური ბანდა.

10 კაციანი ბრიგადა, წითელწყაროში ღამის
გათევის შემდეგ, დილაღრიან გავიდა რაიო-
ნულ ცენტრიდან და კასრის წყლისაკენ აიღო
გზა. ათიოდე კილომეტრიც არ გვექნებოდა
გველილი, მალაშე ტბასთან აჩქარებით მომავე-
ლი კაცი შემოგვავდა. პირიქითელი თუში აღ-
შინდა, სასიფლო საბჭოს თავმჯდომარის ნაც-
ნობი. მგზავრს ძალზე გაუხარდა ცხენოსანთა
შორის ნაცნობის დანახვა. ცალკე ვაიხმო თავ-
მჯდომარე და 10-15 წუთი რადაცაზე გატე-
რებით ელაპარაკა. როდესაც შემოგვეერთდა,
თავმჯდომარემ პირიქითელი თუშის ნაამბობი
გადმოგვცა. თურმე ყველას სცოდნია თუშ-
მეცხვარეთა შორის კოლმეურნეობის ჩამოყა-
ლიბების თაობაზე კრების მოწვევის ამბავი და
მომზადდნულან რაიონის წარმომადგენლებთან
ანგაბოშის გასასწორებლად. სიღნაღის ბნდან
ორი თუში შეერთებდა და კავშირი დაუმყარე-
ბია გლემა მხარის ერთ-ერთ ცნობილ ყაჩაღ
ალისთან, რომელიც შიშის ზარსა სცემდა აზერ-
ბაიჯანის ტერიტორიის მშვიდობიან მოსახლე-
ობას.

ახალი ამბის გაგებისთანავე ბრიგადამ გადაწყ-
ვიტა, რაც შეიძლება სწრაფად ევლო და
კრება ორი დღით ადრე მოეწვია, რათა თავი-
დან აეცილებინა მომავალი სისხლისღვრა.

...მარტის შუა რიცხვები იქნებოდა, როდეს-
საც საჭაროთელის მოსაზღვრე აზერბაიჯანის
სოფელ ალიაბათის მცხოვრებ იბრაჰიმ-ხანის
სახლის ჭიშკარს შევიდოდე ცხენოსანი მი-
ადგა. ეტყობოდა მგზავრები შორიდან უნდა
ყოფილიყვნენ მოსულები და ფრიალ სასწრა-
ფო საქმე უნდა ჰქონოდათ. ცოტა ხანს დაა-
ყურგეს. რა დარწმუნდნენ, ახლო-მახლო სავე-
ლო არავინ იყო, კარებზე ფრთხილად დაეაყუ-
ნეს. ეზოს სიღრმეში, ერთსართულიანი სახლის
ფანჯრებში ჯერ სინათლე ჩაქრა, შემდეგ კი
ჭიშკარს ვიღაც მიუახლოვდა ფეხაკრფით და
წყინარად იკითხა — ვინ ხარო! — ყონალი აღი
ჯაფარი გახლავარ, — გამოეხმაურა გზიდან
ერთ-ერთი მგზავრი და დაუმატა, — სასწრა-
ფო საქმეზე მოვედი, ჭიშკარი გააღეო. სახლის

პატრონმა იბრაჰიმ ხანმა, ზაქათალისა და ალი-
აბათის მიღამოებში საკმაოდ ცნობილმა მო-
ლამ, კარები სასწრაფოდ გააღო. დაუმატებენ
ბელი სტუმრები სიბნელეში გაუჩინარდნენ,
აიენის წინ სიბნელეში ყონამღა მოსულები
სათითაოდ დაათვალიერა. რომ დარწმუნდა,
მათში საეკვო არავინ იყო, მთელ აზერბაიჯან-
ში ცნობილ აღი ყაჩაღს მიმართა: — დიდად
მოხარული ვარ თქვენი სტუმრობით, ჩემი
სახლის კარი, ყონად, თქვენთვის ყოველთვის
ღია იქნება! — საღმისა და მოკითხვის შემ-
დეგ სტუმრები უკანა კარით მიიპატიჟა შუა
ოთახში და სინათლე აანთო. მოლა იბრაჰიმ-
ხანმა ერთხელ კიდევ შეამოწმა, ოთახიდან სი-
ნათლე ხომ არ გადის, ოჯახის წევრები ან გა-
რეშენი ყურს ხომ არ გვივადებენო, რომ დარ-
წმუნდა, საეკვო არავინ იყო, სტუმრებს
ნოხზე თავთავიანთ ადგილებზე მიუთითა. —
დიდი გზა გექნებათ გამოვლილი. ცხელი ჩაი
და ცხერის ხორცი თ შენელებული შილაფლავი
მიირთვიო და შემდეგ გავაწყობ გასარიგებ-
ლი საქმეო, — უთხრა მასპინძელმა. — ალა-
პია თქვენი მოწყალე და მფარველი, — დაე-
თანხმა აღი ძმობილს. ვახშამმა ერთ საათს
გასტანა. მასპინძელმა ერთხელ კიდევ შეამოწ-
მა, ხომ არავინ გვითვალთვალესო და, რომ
დარწმუნდა ყველაფერი როგვე იყო, სტუმარს
მიმართა: „აღი ევენდი! დარწმუნებული იყა-
ვიო აქ თქვენსა და ალაპის მეტი არავინა და
თუ ვინმე შეეცდება გაიგოს ჩვენი საიდუმ-
ლოება, მას თვით ალაპი დასჯის“.

მოლაპარაკებისათვის რომ უფრო საქმიანი
ეღვერი დაედო, აღი ყაჩაღმა ორივე ხელი
ზეცისკენ აღაპყრო და შეჰძლავდა: „ალაპ, შენ
გვიშველე და იყავ ჩვენი მფარველი!“ შემ-
დეგ კი დაიწყო: „გუშინ გურჯებიდან სამი
კაცი გვესტუმრა და შემამარწუნებელი ამბავი
შეგვაცაყობინა. გურჯისა და თუშის მეცხვარე-
ებს გადაწყვეტითი ქედის მაგალითით კომუნა
შეადგინონ და ქვეყანა წაბილწონ. ალაპისა და
ჭრისტეს დალუპვა მოუწადინებიათ. თუ ასეთი
სისამაღლე სისრულეში მოიყვანეს, ჩვენი საქ-
მეც წამხდარია. ჯერ ერთი, ალიაბათისა და
ნუნის საზამთრო საძირებზე საბალახო გადახ-
დაზე უარს გვეტყვიან და ასობით სულ ცხვარს
დაკვარავთ, მეორეც, ჩვენი პარტუჯრედის
წევრები გურჯების მაგალითს მიბაძვენ და
აქედან გაგაჟივებენ. გადაწყვეტი ზომების
მიღება საჭირო, რათა ჩინაფქრის სისრულეში
მოყვანის საშუალება არ მიეცეთ. მწყემსების
უმრავლესობა უარზეა, მაგრამ რაიონიდან თუ
კასრის წყალზე ჩამოსვლა მოახერხეს, ზოგი-
ერთი სუსტი ნებისყოფის მწყემსი დაეთანხმე-
ბა ამ სიგითეზე და კოლექტივში შევლენ.“

**გასილ ლაგაზიმი
ლინინის ორდენი**

მამინ მათ წინააღმდეგ ბრძოლა გაგვიძინელ-
დება. ამიტომ აქაურ ჩვენს ყონალებს დაუ-
ყოვნებლივ უნდა მოვლაპარაკო, ათი კაცი და
ათასი პატრონა უნდა მოგვაშველო დაინუნული
დღისათვის, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა
შევაგროვოთ ხალხი, რადგან ან გზები უნდა
შევეკრათ ორ-სამ ადგილას და რაიონიდან
წარმომადგენლები არ დავეუსვათ კასრის წყალ-
ზე, ანდა 24 მარტს კრების მოწვევამდე ერთ-
თიანად ამოეწვიტოთ ჩამოსულები. იქ ადგი-
ლობრივი ძალებიც დაგვეხმარებიან და საქმეს
ადვილად გადავწყვეტო.

სიტყვის დამთავრების შემდეგ ალი ყაჩაღმა
მრავალმნიშვნელოვნად გადახედა იქ მყოფთ,
რომ დიანახა მასპინძელი გამბრწყინებული თვა-
ლებით შესქეპროდა, დაამოლოდა: „ჩემთან არი-
ან გურჯებისა და თუშების წარმომადგენლები
და საქმის წარმატებით დაგვირგვინების შემ-
თხვევაში ვასამარჯლოდ 200 სულ ცხვარს
გვპირდებიან. აქ მცირე პაუნა გააკეთა ყა-
ჩაღმა და დაუმტაცა: „ყოველ შემთხვევისათვის,
შენ ათიოდ სიმედო ოჯახს უნდა გვაკედეს
შეპირებულნი, რათა საჭიროების შემთხვევაში
ჩვენ შესაძლებლობა გვქონდეს დაჭირლები გა-
დავმალეთ ან შევფაროთ დროებით“. მასპინ-
ძელმა აღუთქვა, რომ ყველაფერს ზუსტად
შესასრულებდა. დამხმარე ძალებთან შეხვედრის
ადგილი და დრო დათქვეს. დილაადრიან ალი-
ყაჩაღი იბრაგიმ ხანის ეზოდან გამოვიდა და
თავისი ცხენოსანი რაზმით გაუჩინარდა ტყე-
ში. მათ აღაზნის ჭალით გააჩქარეს გზა, სა-
დად დანარჩენი ყაჩაღები იყვნენ დაბანაკე-
ბულნი, რათა სამოქმედო გეგმა შეედგინათ.

კასრის წყალზე ჩამოსვლისთანავე ჩვენი
ბრიგადა, რომლისთვისაც უკვე ნათელი გახ-
და მოწინააღმდეგის მოქმედების გეგმა, დაუ-
ყოვნებლივ შეუდგა მეორე დღისათვის კრე-
ბის მოსაწვევ თადარიგს. ახლომასობ ბინები-
დან შეირაკები ვაფრინეთ მეცხვარეებთან, რომ
მეორე დღის 12 საათისათვის მოგროვოლიყუ-
ნენ კასრისწყალზე. კრების მოწვევის დღის
დილა, მართალია, მზიანი იყო, მაგრამ საკმაოდ
ციოდა, წინა დღეს წვიმით დასველებულ დე-
დამიწას გამშრობა და გათბობა ვერ მოესწრო,
და ამიტომ დღის სიცივე სუსხიანი და გამჭ-
ვალავი იყო. ხალხი ნელ-ნელა გროვდებოდა,
10 საათისათვის კასრის წყალზე მოსულიყუ-
ნენ აღაზნისა და ივრისპირიდან, ნახარლებიდან,
მაგრამ ჭერ კიდევ არ ჩანდა გალმა მტრის, მლა-
შეებისა და სამუხის ბინების ხალხი. მოსულები,
თავიანთი ცხენებითა და ბარაგით, გვარისა
და თემების მიხედვით ბანაკდებოდნენ. შემალ-
ლებულ გორაზე ბობოლა და შეძლებული თუ-
შები შერგროვოლიყუნენ, ეტყობოდათ ვიღაცის
მოლოდინი ჰქონდათ და ერთიანი ძალით აპი-
რებდნენ იერიშის მიტანას დღევანდელი კრე-
ბის წინააღმდეგ, რაიონიდან ჩამოსულებმა
შირაქის ბნალი ვითარების გაგებისთანავე ზემო

ქედიდან წითელწყაროს რაიონულ ხელმძღვანელობასთან დაეამყარეთ კავშირი და ვერ-
ვეთ, ყოველ შემთხვევისათვის, გამოეწვევებინათ
დამხმარე ძალა. კრების მოწვევის დღეს სიტყვი-
ძალზე ფრთხილად დავიწყეთ თვალყურის
დევნება, თუ ვინ საით მოძარბობდა და როგო-
რი იყო განწყობილება. დღის პირველი საა-
თისათვის შირაქის საოკრებდიდან 450 თუშმა
მეცხვარემ მოიყარა თავი. კრების მონაწილენი
თავიდან ორ ჯგუფად გაიყვნენ; ერთ მხარეს
მწვემსები და ლარიბი მეცხვარეები იყვნენ,
მეორე მხარეს კი, უფრო შემალლებულ და
თვალსაჩინო ადგილზე, თავი მოეყარათ ბევრი
ცხვრის პატრონებსა და მათ თანამგრობებს.
ეტყობოდა ორ ჯგუფს შორის უთანხმოება და
იწყებოდა, მაგრამ ეს უთანხმოება არ უნდა
ყოფილიყო უბრალო, როგორც ეს ხდებოდა
საოკრებებისა და საბალახო განაწილების დროს;
რაც უმრავლეს შემთხვევაში შერიგებითა და
შეთანხმებით მთავრდებოდა. დღევანდელი
უთანხმოება უნდა ყოფილიყო მომავალი
სამკედრო-სანიცოცხლო ბრძოლის დასაწყისი,
დასაწყისი ბრძოლისა ძველსა და ახალს
შორის.

მწყემსთა კომიტეტის სახელით მეცხვარეთა
საერთო კრება გახსნილად გამოაცხადა რაიონის
წარმომადგენლებმა. თავმჯდომარისა და
მდივნის არჩევის შემდეგ სიტყვა მიეცა კახე-
თის ოლქის წარმომადგენელს.

— ამხანაგებო! — დაიწყო ოლქის წარმო-
მადგენელმა, — ჩვენი ქვეყნის დიდი გარ-
დაქმნებით მილონობით დაჩაგრული და დაბე-
ჩაებულნი აღამიანის სასწუკარი ოცნება
ფრთხის ისხამს; ახლა ჩვენი რესპუბლიკის და
სხვა მოკავშირე რესპუბლიკების გლგხთა ფარ-
თო ფენები დიდი ლენინის ნაჩვენები გზით
კოლმეურნეობებში ერთიანდებიან; გზას იკა-
ფავენ ახალი ცხოვრებისაკენ და ჰქმნიან ჩვე-
ნი ხალხის ბედნიერ მომავალს. ლენინის მიერ
ნაჩვენები გზა არის ერთადერთი სწორი გზა
ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სოცი-
ალისტური საზოგადოების აშენებისა; ეს გზა
უღარიბებს და საშუალო მეცხვარეთა გაჭირვე-
ბულ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი
სწორი გზა იქნება.

მომხსენებელმა მოკლედ დაახასიათა ქედის
კომუნის მიერ მოპოვებული მიღწევები. აქე-
დის კომუნა ჩვენი ლამპარია და მისი მაგა-
ლითით თუ ვავერთიანდებით, მეტი შესაძლებ-
ლობა გვექმნება ვაპრავლეთ ცხვარ-ძროხა და
თავი დაველწიეთ ღუშპირ ცხოვრებას.

სიტყვის დასასრულს დამსწრეთ გააცნო რა-
იონისა და ოლქის ხელმძღვანელობის აზრი
აღვანში ლარიბი და საშუალო მეცხვარეთაგან
კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შესახებ და უსურ-
ვა მათაც, მტკიცედ გადაეღათ ნაბიჯები ახა-
ლი ცხოვრებისაკენ.

კრების დასაწყისშივე შეძლებულთა წრიდან

ვილკამ წამოიყვრა „ჩვენ არც კოლექტივი გვინდა და არც თქვენი მიღწევები“, მაგრამ ადგილზე შეაჩერეს და მომხსენებელს საშუალება მისცეს სიტყვა დაემთავრებინა. მოსენების ბოლოს კი ერთიანი აღმართი ერთი ჯგუფით და შეეცადნენ ვიწრო რკალიში მოემწყვდიათ კრების პრეზიდიუმში მყოფნი. მაგრამ ამ დროს ზეზე წამოიჭრა საბჭოს თავმჯდომარე და თანასოფელთა მოწინავე რიგებს უკან დაახევინა. ხალხს მღელვარება გაძლიერდა. გახშირდა შემახილები და ხმები: „არ გვინდა კოლექტივი!“, „წაითრიეთ აქედან!“ აღმოსავლეთის ფრთას თავი მშვილობიანად ეჭირა, მაგრამ ვერც თანასოფელელების წინააღმდეგ გამოსვლა გაებედათ, ისე კი რაიონიდან ჩამოსულებს თანაუგრძნობდნენ და შეიძლება გაკირავების შემთხვევაში დახმარებაც აღმოეჩინათ. კრების მონაწილეთა რკალი ვიწროვდებოდა, გაძლიერდა ლაშქარ-გინება. საჭირო გახდა ვადამწყვეტი ზომების მიღება, რათა მტერს არეულობით არ ესარგებლა და პროვოკაციული მოქმედებით მსხვერპლი არ გამოეწვია. ვილკამ შუაგულ ხალხში თოფიც კი გაისროლა. საბჭოს თავმჯდომარემ გამბედაობა გამოიჩინა და წამოშლილ ხალხს თოფადმართული შეეგება: „შეჩერდით, თავს ნუ იგდებთ, თუ არ გინდათ კოლექტივი შეესხა, აღიშალოთ და ამით დაემთავრეთ!“ ხალხის აბოთქრებულმა გუგუნვმა დაფარა მისი ხმა. მე და ჩემი ამხანაგები მაგიდას რკალად შემოვერტყით. 10 ზალპმა პაერი გააპო. საბედისწერო წუთები საათებად გვეჩვენა. არც რაიონიდან გამოძახებული დამხმარე ძალა ჩანდა. მზად ვიყავით იარაღით დაგვეცვა თავი. აღმოსავლეთის ფრთიდან, სადაც ჩვენს თანამგრძნობი ბევრი იყო, ხალხს გამოეყო კიბო მიქელაძე და პრეზიდიუმის მდივან გიორგი ბაინდურაშვილთან ერთად წინ აღუდგა ჩვენსკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მომავალ ხალხს და წესრიგისაკენ მოუწოდა. მაგრამ მოწინააღმდეგეთა მოწინავეებმა მათ თითო ჯოხი უთავაზეს და უკან დასწიეს. ამ დროს ათიოდე ხანჯალამოწყვდბლი თუში იერიშზე გადმოსულ ხალხს წინ შეეგება და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაახევინა. ორი მოპირდაპირე ძალა წამიერად შეჩერდა და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ამ მდგომარეობით ვისარგებლეთ და მიძიმე-მიძიმე უკან დახვევა დაიწყეთ, რათა როგორმე გავერღვია რკალი და თავისუფალი მოქმედების საშუალება გვქონოდა. მაგრამ მოწინააღმდეგეთა რიგებში ხმაური უფრო გაძლიერდა, უკანა რიგებიდან წინა რიგებს მოაწყნენ და ხალხი უფრო მეტად აირია ერთმანეთში. აქტიური მოქმედებასა და ჩვენს წინააღმდეგ შეტევაზე გდმოსვლას უკვე ვერაინ ბედავდა, ჩვენც არ გვინდოდა უმიზეზოდ სისხლისღვრა და სიმშვილეს ვინარჩუნებდით, რადგან პარტიის და

ხალხის წინაშე ყველაფერზე პასუხისმგებელი ვიყავით. მაგრამ გაქცევა და მტრისათვის ზურგის შექცევა არც ჩვენ გვინდოდა. მისი მიზნის მიღწევას აშკარა საფრთხე ემუქრებოდა. კოლექტივის ჩამოყალიბება ასეთ დაძაბულ ვითარებაში ყოველად შეუძლებელი შეიქნა. მართალია, დამსწრეთა უმრავლესობა ჩვენს წამოწყებულ საქმეს თანაგრძნობით შეხვდა და ერთი ნაწილი კოლექტივის ჩამოყალიბების მსურველიც კი იყო, მაგრამ ახლა თანასოფელეთა წინააღმდეგ აშკარა გამოსვლა ვერ გაბედდეს, ალბათ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ჩვენს მიერ სუსტად იყო ჩატარებული. კრების ნაჩქარევად მოწვევამ და ღარიბ-მოკაშიაირე მწყემსებს შორის სათანადო ახსნა-განმარტების გარეშე მოწვეულმა კრებამ მარცხი გვაგებო. კრებამ მუშაობა შეწყვიტა გვიან საღამოზე.

შირაქის ვრცელ მინდორზე ბინდი ჩამოწოლილიყო და უმთვარო, უკუნი ღამე დაღვლებოდა არემარეს. ჩვენმა ბრიგადამ ვადაწყვიტა მომავალი მოქმედებისათვის გვემის შესამუშაველად მოეთათობრა. ხანმოკლე მოთაობირების შემდეგ ჩვენ გადაწყვიტეთ კოლექტივის ჩამოსაყალიბებლად ალაზნისპირა სახამთრო საძოვრებზე მოგვეყვია მწყემსთა კრება, მაგრამ კრების მოწვევამდე უნდა გავვეშალა საავიტაციო მუშაობა ცალკეულ ბინების მეცხვარებთან. თათბირის და მთავრების შემდეგ ოლქის წარმომადგენელმა დამავალა დაგზრუნებულიყავი კრების მოწვევის ადგილას და ღარიბი მეცხვარებისათვის მეთხოვე კრებაზე დასწრება, თან კოლექტივის შედგენის მსურველებიც მომიწანა. იქ რომ აევიდა, თუშების შორეული ბინებიდან მწყემსები უკვე ღამის გასათევად განლაგებულყიყენ. მე მათ მოველაპარაკე კრების მოწვევაზე და ვთხოვე დასწრებოდნენ. როგორც იქ ზოგიერთებმა გადმომცეს, ჩვენი ცხენების უმრავლესობა კულაკებს წაყვანა. დარჩენილი ცხენებით ამხანაგებთან რომ ებრუნდებოდი, გზაში შემხვდა მეცხვარეთა ჯგუფი, რომელთაც ახლდა მანდილოსანი. იგი ნათესავად მეკუთვნოდა და მთხოვე, ამხანაგებით ღამის გასათევად მის ბინას ვწვეოდო. წინადადება სიამოვნებით მივიღე და ეს ამბავი ჩემს ამხანაგებს შევუცხადებინე, ბინა, სადაც ჩვენ უნდა ვაგვეთია, მდებარეობდა პატარა შირაქის აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ეკუთვნოდა ტირანე ლავანიძეს. მას სოფელში მეტსახელად ჭიკობია ეძახდნენ. რომ გეკითხათ ტირანეს შესახებ, ყველა გიპასუხებდათ მის გამბედაობაზე, მამობასა და პურმარილს მაღლზე. იგი შეძლებული მეცხვარის მეუღლე იყო, მისი ფარები 2000 სულ ცხვარს ითვლიდა. ქმრის სიყვ-

ვასილ ლავანიძე
ლინიონის ორდენი

დილის შემდეგ ნათესავების შემწეობით თვითონ უძღვებოდა მეურნეობას და ამ არეულობის ეამს, როგორც თვითონ განაცხადა, ჩამოსულიყო შირაქში, რათა ცხვრის საზაფხულო საძოვარზე გამგზავრების თადარიგი დაეკრავა. ლამის გასათვალ ბინაში მისვლიამდე განცხადებულ კრების მოწვევის ადგილი, დავნიშნეთ დღეც — 25 მარტი. ბინაში საკმაოდ მოგვიანებით მივედი. მეცხვარეებს ცხვარი დაეცლია და ვახშმის თადარიგს შესდგომოდნენ. ბინაზე კრების მონაწილე რამდენიმე თუშიც დაგვხვდა. მე მათ მოველაპარაკე და ვთხოვე, მომავალ კრებას ისინიც დასწრებოდნენ. ვახშმის შემდეგ უფროსები ქობში მოგათავსეთ დასაძინებლად, ჩვენ კი კარებთან დავბინავდით. დიდი ხნის იმე დაგვიბინებოდა, რომ ვერც კი გავიგეთ, როდის გაიშალა ფარები საძოვარზე, ჩვენი მასპინძელი ფეხზე ტრიალებდა და განკარგულებებს იძლეოდა. რომ დამინახა, ფარების ვეროზე გამიხმო და მიაშპო:

„გუშინდელი დღის შემდეგ ჩემს ქვუაზე აღარა ვარ. ორი დღე გავიგე, თურმე თუშებს ალი ყაჩაღთან და სიღნაღის ბანდასთან კაცები გაუგზავნიათ, რომ შეერთებული ძალებით ანგარაში გაესწორებინათ თქვენთან. თვითონ კი ჩუმაღ ეღვევებინათ თვალყური. ადრე ამოვიდი, რომ გამეფრთხილებინეთ, მაგრამ ზღაპრად ხალხში ვეღარ მოგვარებთ თქვენი ნახვა. რა კარგი ბჭენი, რომ კრება ორი დღით ადრე მოიწვიეთ და იმ ყაჩაღებს არ მიეცით განზრახვის სისრულეში მოყვანის საშუალება. ისინი ალბათ დღეს ან ხვალ გამოჩნდებიან. ნუ გამეცმ და, ახლაც დიდი სიფრთხილე გმართებთ. ისინი კიდევ შეეცდებიან ანგარაში გაგისწორონ. კარგია, რომ ქედის გავლით მიდებართ ალაზნის ველისაკენ და არა მლაშეებზე. ალი ყაჩაღს იქედან ელიან“...

ამის გაგონებაზე შიშის ქრავატელმა დამიარა ტანში. ამ ყაჩაღის ვერაგობაზე ბევრის რამ მქონდა ვაგონილი. გადმოცემით, ის განსაკუთრებით სასტიკად უსწორდებოდა მათ, ვინც ასე თუ ისე თანაგრძობით ეკიდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. მისი ბანდა არც ჩვენ დაგვყარდა ხერის. ახლა ჩემთვის ნათელი გახდა მლაშე ტბასთან პირიქითელი თუშის ნაამბობი და ჩვენი ჩვეულის ვადაწყვეტილება — კასრის წყალზე მწყემსთა საერთო კრების ადრე მოწვევის შესახებ.

დილით მასპინძელს ვთხოვეთ, რამდენიმე ცხენი და ვამცილებელი მოეცა ალაზნის ველისაკენ უმოკლეს გზის სასწავლებლად. როგორც სამხედროდანი დაბრუნებულმა, მგზავრობის თადარიგი მე ვიკისრე. ორ მწყემსს დავაუვალე, 5-10 კილომეტრით წინ ევლით და თუ რაიმე საეჭვო მოძრაობას შეამჩნევდნენ, ჩვენთვის სიგნალი მოეცათ. ალაზნის ველის ბინებში ნაშუადღევს მივაღწიეთ. გზადაგზა მწყემსებს ვესაუბრებოდა და ვთხოვდით,

ალაზნის ველის ბინებში მოგროვდებოდნენ. კრებაზე საკმაოდ დიდძალმა ხალხმა მოიყარათაი. ვადაწყვეტეთ, მეცხვარეთა კოლმეურნეებზე შეგვექმნა. კოლმეურნეებში გაერთიანდა 14 მეცხვარე. ვავაერთიანეთ 1400 სული ცხვარი, 80 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 75 ცხენი და კოლმეურნეობას „გუბესი“ სახელი მივეცით. ახალი ვაზაფხულის მათუწყებელი მერცხალი, მართალია, ჯერ კიდევ უსუსური იყო, მაგრამ ჩვენ ყველას გვეჩვენა, რომ მომავალში ის გაიფურჩქნებოდა და ძილავარად გამოიფურთებს. ეს იყო მტკიცედ გადადგმული ნაბიჯი ახალი სოფლებისაკენ.

ცხვარი ადრინად დავმართო ლეკის მთებისაკენ. თელავის ხელმძღვანელობას ჩვენთან საზიოში შეხვედრა ვადაწყვეტა და შაქრიანის ხილთან სახელდახელო მიტინგი მოეწყობა. მიტინგზე მოსულიყვენ თელავის, კურდღლეთრისა და სხვა ახლომახლო სოფლის მშრომელები, პიონერები და მოსწავლე ახალგაზრდობა, აქვე აღვანიღან ჩამოსულიყვენ ჩვენი თანამებრძოლები — კასრის წყლის კრების მონაწილენი. მიტინგზე ბევრი პატრიოტული სიტყვა წარმოითქვა. ჩვენ პირობა ვადადეთ, რომ ვაგვემრავლებინა ცხვარი და სხვა საჭონელი და ვყოფილიყავით სხვებისათვის მავალითა მიმცემი. მიტინგის დასასრულს პიონერებმა წითელი ყელსაბეჭები ვაგვიკეთეს და სკოლმეურნეო წყობილების პიონერები გვიწოდეს.

კოლმეურნეობის ეკონომიკა დიდიხდევ მტკიცდებოდა. ერთიორი წლის შემდეგ ასობით კომლი შეგვემატა და ვამრავლდა ცხვარბატკანი. 1931 წელს დაწყებულმა საკოლმეურნეო მოძრაობამ, აღვანში კიდევ ორ კოლმეურნეობას ჩაუყარა საფუძველი. ყველაზე ძლიერი კოლმეურნეობა ჩვენი იყო. 1932 წლისათვის ჩვენი კოლმეურნეობა აერთიანებდა 100-ზე მეტ ოჯახს, ვეყავდა 60.000 სული ცხვარი, 300-ზე მეტი ცხენი, 200-ზე მეტი მსხვილფეხა რქიანი საჭონელი. მელნარეობისა და მექათამეობის ფერმები. კარგი იყო 1934-1935 წლების მონაცემებიც. აქტით ვადმოგვეცა სახნავეი მიწა და მრავალი ასეული მექტარი საძოვარ-სათიბი. ჩვენი მეცხვარეობის კოლმეურნეობა მრავალდარგოვანი გახდა და ვუღადა და დიღმა შემოსავლამ საშუალება მოგვეცა ავეშენებინა კეთილმოწყობილი ბინები საქონლის და მწყემსებისათვის. თუში მეცხვარის ყოფაში სოფლის მეურნეობის ძვირფასი კულტურა, ვენახიც შევიდა.

უკვე რამდენიმე წელიწადი ფერმის ვამგვედევშობადი და მიხაროდა, რომ ვამრავლებდით ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს. 1936 წლის იანვარში სასწრაფოდ ვამომიძახეს რიონის მიწებანში, მაგრამ არ მიწდოდა ვახურებული დიდი მიმეტრებინა. მეორედ ვაფრთხილებს შემდეგ იძლეობელი ვაგვხი ვავსულიყავ შირაქი-



დან. ჩემს სიხარულს სახლვარი არ ჰქონდა, როცა მითხრეს, საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე უნდა წახვიდე და სიტყვა მოამზადეო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეები თბილისში შეეკრიბებოდნენ და პირველ თებერვალს ჩქარი მატარებლით გავემზავრეთ მოსკოვისაკენ, ბაქოს ვაკლით. 2 თებერვალს ბაქოს რკინიგზის სადგური ზეიმით შეგვღებდა. სადგური მორთული იყო წითელი დროშებით და ლოზუნგებით. მოეწყო სახელდახელო მიტინგი. გამოსულმა ორატორებმა მოკლედ დაახასიათეს თავიანთი მიღწევები და ერთმანეთს გაუზიარეს მომავალი პერსპექტივები. ბაქოს რკინიგზა ძმობისა და მეგობრობის სულსკვეთებით ჩაიარა. აქვე, ბაქოში, შემოგვიერთდა მომე სომხეთის დელეგაცია, ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა წარმომადგენლები თბილისის მატარებლით გავემზავრეთ მოსკოვისაკენ. გზადაგზა ერთმანეთს გავუზიარეთ აზრი მოპოვებულ მიღწევებზე და, ურთიერთ გამოცდილების შემდგომ უკეთ ვაზიარებდით მიზნით, დავთქვით, რომ ჩვენც მოგვეწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გაფართოებული თათბირი.

მოთმინება არ გავოფნიდა, გეინდოდა მალე ჩავსულიყავით მოსკოვში, გვენახა ჩვენი ქვეყნის დელეგატი და გვეგრძნო მისი ცხოვრების მაჩასცემა.

ოთხი ღლის მგზავრობის შემდეგ სტუმართმყოფარე მოსკოვმა გუღლიად მიგვიღო, მაგრამ რუსულმა ზამთარმა ყურები დავვისუსხსა. ზამთარი ჩვეულებრივზე სუსხიანი იყო, ძალზე გვიძნელდებოდა კავკასიურად ჩაძულვებს. გამოგვიცხადეს, დღეს თქვენთან შეხვედრას მოაწყობს ს.კ.პ.(მ) ცენტრალური კომიტეტის საპრეზიუმოს წარმომადგენლობა და თქვენ თქვენი მონაცემები გამოამზადეთო.

ჩვენი დელეგაციაში იყო ქედის ყოფილი კომუნის, შემდეგ კი ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე კობა ჩოხელი. დელეგაციის წევრთაგან მხოლოდ მან იცოდა რუსული და ამიტომ თანარჩნა იმ გამოყვეს.

სამღიენოს წარმომადგენლები ჯერ სიღნაღის რაიონის საჭობოს სტალინის სახ. კოლმეურნეობის ფერმის გამგეს ბალიაშვილს ესაუბრნენ. მან განაცხადა: 100 სული ღედა ცხვრიდან 102 ბატკანი მივიღე და 100 სული გამოვზარდეო, მე კი მოვახსენე, რომ 100 ღედა ცხვირიდან მივიღე 100 ბატკანი, მაგრამ 98 სული გამოვზარდე-მეთქი. მამინ მითხრეს: ანა, ბალიაშვილმა როგორ შეძლო 100 სული ცხვირიდან 100 ბატკნის გამოზარდაო? არ დავბნეულვარ და ვუპასუხე: მავათი ცხვარი თრიალეთზე დადის, მთა-ვაყევა, დასაგორებელი ნაკლებია და შესაძლებელია მონაცემები სწორი იყოს. მე კი კავკასიონის მთებში დავდივარ, მთა ციკა-

ბო-კლოვანია და ხშირია დაგორების გამოზარდი-მეთქი.

9 თებერვალს აგვისრულდა დიდუბის ნატრა; ჩვენ უკვე კრემლის გიორგიველი სხდომათა დარბაზისაკენ მივიჩქაროდით. აქ შეგვხვდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული მრავალი ერისა და ეროვნებათა წარმომადგენლები. დელეგაციის შემადგენლობაში აღმოჩნდა 3400 კაცი. განსაკუთრებით გაგვაოცა სარკეებით გაბრწყინებულმა კრემლის სადარბაზო შესასვლელებმა, იატაკი პრილებდა. დროდადრო კოლმებიდან ანარეკლი სხივები სარკეებით მოპირკეთებულ სადარბაზო შესასვლელში თვალს სჭირდა კაცს. უცხოელ მისული აღამიანი დაიბნეოდა და შეიცვალა ერთგვარ უსიამოვნებასაც კი ვადაპყროდა, როგორც ეს დაემართა ალტაის მხარის ერთ მეცხოველეს, ჩვენი შეკრების პირველ დღეს. მას შერ გაერჩია შესასვლელი კარები და კედლისა და დატანებული სარკეები, დარბაზში შესვლის მაგიერ ჯიქურ მისულიყო, სარკეს დასჯახებოდა და შუბლი გაეტეხა.

სხდომათა დარბაზში საქართველოს წარგზავნილეს მეხუთე რივი ჰქონდათ მიჩენული. მე სულ ბოლოს ვიჯექი. სცენაზე ამსვლელთა ღიად დარჩენილ კარებიდან ვხედავდი. დასხდომიდან 5 წუთიც არ იქნებოდა გასული, შევევიწნე, მიხვილ ივანეს ძე კალინინი, რომელიც კარებიდან გამოვიდა და ტალანში, სცენაზე ასასვლელი კიბისაკენ, გაემართა, როგორც კი კიბეზე შედგა ფეხი, მამინვე გავაფრთხილე ჩვენი ბიჭები და პირველად დარბაზის მეხუთე რივიდან ივრიალა ტაშმა. ქართული შეძახილებიც გაისმა: „გაუმარჯოს მიხვილ ივანეს ძე კალინინს!“ მთელი დარბაზი ავეყეა. და მრავალენაზე ივრიალა შეძახილებმა კალინინის მისამართით. დარბაზი დაწყნარდა, სიჩუმე ჩამოვარდა. იმავე კარებიდან გამოვიდა სტალინი, მას მოჰყვებოდა ორჯონიკიძე. ორივე შესასვლელ კიბისკენ გაემართა, მაგრამ სტალინი ცოტა შეყოვნდა და ფიქრებში წასულმა ორჯონიკიძე შეაჩერა. ღიად დარჩენილი კარებიდან დარბაზში მსხდომთ შებრა ესროლა და ორჯონიკიძეს რაღაცაზე საუბარი ჩამოუვლო. საუბარი დიდხანს არ გაგრძელდებულა. როგორც კი სტალინი ფეხი შედგა ასასვლელ კიბეზე, ვანიწნე ბიჭებს: სტალინი მოდის-მეთქი და ახლაც პირველებმა, ფეხზე ადგომით, შეგძახეთ ქართულად: „გაუმარჯოს სტალინს, გაუმარჯოს სერგო ორჯონიკიძეს!“ — ჩვენს შეძახილებს მთელი დარბაზი აყევა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე დიდხანს ისმოდა შეძახილები სტალინისა და პოლიტიბუროს მისამართით. ოცაცა და შეძახილები თანდათან მიწყნარდა, დარბაზი დამშვიდდა. თათ-

ვასილ ლაგაჩიძე
 ლინენის ორდენი

ბორის დაწყების წინ სცენაზე აინთო სინათ-
ლებები და ჯვარედინად გადაკვეთილ ელექტრო-
შუქზე გამოჩნდა ლენინის გაცოცხლებული
პორტრეტი. ის თითქოს შეჰხაროდა თათბირის
მონაწილეთა შეკრებას და მადლობას წირავდა
მისი კოლპერატულ გეგმისათვის ხორცშესხ-
მას. დიდ ბარელიეფზე იყო გამოსახული მეო-
რე ხუთწლიანი გეგმის კონტურები და დიად
მშენებლობათა ძირითადი ობიექტები. თათბირ-
ზე სიტყვით გამოვიდა სოფლის მეურნეობის
მინისტრი ანხ. იაკოვლევი. მან თავის სიტყვა-
ში ნათლად ასახა სულ რამდენიმე წლის წინათ
დაწყებული საკოლმეურნეო მოძრაობის მიღ-
წევები და ჩვენი ქვეყნის გარდაქმნის ძირითა-
დი პერსპექტივები. მინისტრი საქართველოს
მიღწევებსაც შეეხო ნაწილობრივ.

თათბირი 6 დღეს გაგრძელდა. პრეზიდიუმის
ტრიბუნაზე ორატორები ორატორებს სცვლიდ-
ნენ. მრავალი ჩვენთვის საყურადღებო და სა-
ინტერესო რამ მოვისმინეთ. ჩვენი ქვეყნის
სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მეცხოველეე-
ბი ერთმანეთს ვეზიარაბოთ ჩვენ გამოცდი-
ლებას. ვეცნობოდით მოწინავე კოლმეურნეო-
ბების მიღწევებს. მე ამ თათბირზე ბევრი რამ
შევიწყალე. შევიძინე მრავალი მეგობარი ციმ-
ბირიდან, უკრაინიდან, ჩრდილოეთ კავკასიი-
დან. თათბირის დასასრულს მიხეილ იფანეს ძემ
მიგვიწვია კავშირის სვეტებიან დარბაზში, სა-
დაც უნდა მიგველო მთავრობის მაღალი წილ-
დოები. კავშირების სვეტებიან დარბაზში დაე-
ვირიგეს გაზეთები, გაზეთ „იზვესტიის“ ოთხი
გვერდი დათმობილი ჰქონდა სსრ კავშირის
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
დადგენილებას, სოფლის მეურნეობის მოწინა-
ვეთა დაჯილდოების შესახებ ჩემს სიხარულს
საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სხვა დაჯილ-
დობულებთან ერთად, მეცხოველეობაში მოპო-
ვებული მიღწევების გამო ლენინის ორდენით
დაჯილდოებულთა შორის ჩემი გვარიც ამოვი-
კითხე...

...მალე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ამირ-

ჩიეს. რამდენიმე წელი ვიდრე კოლმეურნე-
ობის სათავეში. საკოლმეურნეო წესობის
გაზეთ თუშმა მეცხვარეებმა მალე ^{ორიდან}
წარმატებას მივაღწიეთ და ჩვენი ^{კვლევის}
ნეობა საქართველოში მოწინავე შესაქონლო-
ბის კოლმეურნეობად გადაიქცა.

...ანდრო ბორძიკიემ გაბრწყინებული თვა-
ლები მიაპყრო საწერი მაგიდის წინ კედელ-
თან დაკიდებულ ლენინის პორტრეტს და აღ-
ვრთოვანებით წარმოთქვა: „ყოველივე ჩვენს
ბილწეებს დიდ ლენინს უნდა ვუმადლოდეთ“.
შემდეგი თვლები დახარა და ხალხიანად
წარმოთქვა: „მასსოვს ჩემი ბავშვობის უღიმ-
ღამო ცხოვრების წლები. ჩემს მდგომარეობაში
ასეულობით თუში მწყემსი იყო. გვიძნელდ-
ებოდა ცხოვრება, კავკასიონის მთის კალთებზე
მცხოვრებ მრავალრიცხოვან ტომთა შუღლსა და
მტრობას ყოველწლიურად ათეულობით ადა-
მინი ეწირებოდა მსხვერპლად. ახლა კი სა-
კოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ შეაკე-
შირა და შეადგადა ოდესღაც მტრობით გამს-
ქვალული კავკასიონის ქედის კალთებზე მცხოვ-
რები სხვადასხვა ტომი და ლენინის ანდერძის
შესასრულებლად თავდადებით შრომობენ ხალ-
ხთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის“.

ლენინის ორდენის კავალერი, საკოლმეურ-
ნეო მოძრაობის ვეტერანი, თუში ანდრო ბორ-
ძიკიემ ახლა 72 წელს გადაცილებულია და მო-
ხუცებულობის პენსიითაა უზრუნველყოფილი,
მაგრამ კვლავ აქტიურად მონაწილეობს ალვა-
ნის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ცხოვ-
რებაში. იგი ახლაგაზრდული ენერგიითა და
მთელი შემართებით მუშაობს და ყოველ-
დღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს.

„მე მინდა, რომ საბჭოთა მეურნეობა ყველა
დავალებას გადაჭარბებით ასრულებდეს, ჰქმნი-
დეს უხვ დოვლათს, რადგან სოციალიზმის სა-
ძირკვლის პირველ აგურებს ვაწყობდი, ეამზა-
დებდი დღევანდელ მომავალს, და აჰა, შედე-
გიც! — ამბობს ლენინის ორდენის ერთ-ერთი
პირველი კავალერი ანდრო ბორძიკიემ.



ბანტიადი ენგურზე

ვარდისფერი ციდან არეკლილი ალიონის სხივი თვალებში გვეხამუშება და მოტორის გამაყრუებელ ზუზუნში იფლითება დილის მყუდროება. „მაზი“ თავგამოდებით ებრძვის ასფალტს. მანქანის მოზრიალე თვლები და შავად მოლაპლაპე გზატკეცილი სრბოლის კინს შეუპყრია.

გზა მთებისაკენ მიდის. საქვს ვარლამ ფოჩხუა უზის, სამოც წელს ვადაცილებული მძღოლი.

სადღაც მარცხნივ, ჩაის პლანტაციებსა და ქარსაცვე ზოლს იჭეთ, უკვე დაბლობს ჩამოსული ენგურის ტალღები ნელა მიზოზინებენ ანაქლისკენ.

ვარლამი ტკბილმობაასე კაცია. პირზელი, საშუალოზე ცოტა მაღალი. კაცმა რომ თქვას, მძღოლობა არც უხდება. როიალზე დამკვრელივით ნაზი, გრძელი თითები აქვს, მაგრამ ეს ნაზი, გრძელი თითები აგერ უკვე ორმოცი წელია საოცარი ენერგიით ჩასჭიდებია საქვს. მას ამ გზის დაბადებაც ახსოვს.

გზა კი სულ ას კილომეტრზე მიუყვება მთებს, ზუგდიდში იწყება და ხან ასწლოვან ნაძვის ძირთან მთავრდება, ხან კიდევ უფსკარულის თავზე გაღმოყუდებული ქარაფის ფერხითი. ეს ის გზა არ არის, მსოფლიოს ათჯერ რომ უვლის და არსებობის ათასობით წლებს ითვლის, მაგრამ მასზე ჩვენი ხალხის დიდებული ისტორიის ერთმა მონაკვეთმა უკვე მოასწრო გავლა და დღესაც მწვერვალებისკენ მიდის.

ზუგდიდიდან ჯვარამდე ცხენიან კაცსაც უჭირდა გავლა. სვანეთამდე კი ოცნებაშიც ვის შეეძლო წარმოედგინა, თუნდაც საურმე გზაც. თუმცა, ჯერ კიდევ ნიკოლოზ პირველის დროს, 1858 წელს, უძლიათ გზის გაყვანა აქეთ. შემდეგ მომდევნო ნიკოლოზსაც გაუგრძელებია ეს საქმე 1910-ში, მაგრამ რომანოვების ურემმა მაინც ვერ შეაღწია სვანეთში.

მერე მოვიდნენ ადამიანები და თითქმის ცარიელი ხელებითა და მომავლის უღიდესი რწმენით შეებნენ ქარაფებს.

1926-27 წლებში კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მესანგრეთა ბატალიონმა საცხენე გზა გაიყვანა ჯვარიდან მესტიამდე, რისთვისაც მას შრომის წითელი დროშის ორდენი მიენიჭა.

1932 წლის 12 ნოემბერს კი ფილიპე მახარამე მდინარე მაგანას ხიდზე ლენტი გაჭრა და სვანეთისკენ პირველი ავტო წაიდა. მას ზუგდიდისა და ახლო-მახლო რაიონებში ერთადერთი მძღოლი გერმანე მგალობლიშვილი მართავდა. თავზეხელაღებულებს ეძახდნენ მაშინ მძღოლებს, რომლებიც აქეთ დადიოდნენ. ისეთი იყო გზა, ისეთი იყო მანქანები. გზა არც ეთქმოდა ჯერ კიდევ, აქეთკენ გაკვალულ ბილიკს, მაგრამ ორთაყვირების დგაფუნში, მეტივეთა ყიციში და ყინულოვანი შეხფებით გაქედნილი ალიონების ცვალებადობაში მოდიოდა ზვალინდელი დღე, რომელსაც თანასთან ერთად ახალი ცხოვრება მოჰყვებოდა დას.

მზეს შეეასწარიტ ჯვარში. ვარლამის „მაზი“ აქედან მარცხნივ უხვევს, ენგურს გაღმა გადადის და ერისწყლის ხე-ტყის დამზადების უბნისკენ მიდის. გზები აქეთკენ შედარებით ადვილსავალია.

ჩვენი „ვილისი“ კი ენგურს აღმა აუყვია. ამჯერად ენგურპეის გვერდზე ვტოვებთ. იქ, მაღლა, მწვერვალებთან ახლოს საბჭოთა საქართველოს ისტორიის პირველი ფურცლები გველოდება გადასაფურცლი.

* * *

კინამა გადაირია იმ ღამეს ხაიშურა. დილით, სახეამდგრეული და ალივით შეწითლებული, ხახაში უფარებოდა ენგურს. ვედში თავსხმა წვიმებს დაეჭკია მივები. ნაზვაიარი და ნანიალწრალი შუბლზე ეტყობოდა ხეობას.

ჯვარიდან ნიკოლოზ აფაქიძემ გამოგვიცლა, წალენჯიხის ტყემრეწმებურნიების დირექტორმა.

ერთ დიდებულ სვანს ვიცნობდი და მან თქვა ამ კაცზე: — ჩვენი „ჩაფრასტალივით“ ატარებენო მის პატივისცემას. იმ სვანს ვალიკო ჰქადავდა ერჭვა და ორიოდ წლის წინათ მოწყდა პიტალოს. დიდი მონადირე იყო და აღბათ, ასე ეწერა ცხოვრების ეფუთში, ჩემში კი ჭილაგიანი კაცის გამოცნობის უბაღლო უნარის შკონედ და კლდეს შერჩენილ სახელად დარჩა ეს კაცი.

მთაში არაფერი იყარგება. კარგი საქმე მით უფრო.

ვალიკო ჰქადავს სიტყვა დაეჭვებოდა.

ნიკოლოზ აფაქიძემ ამ სიყვარულს, აღბათ მამინ ჩაუყარა საფუძველი, როცა 18 წლის ჰბუჯი ამოუყვა ქარაფებზე გამავალ ბილიკს და პირველად რომ დაეჭიდა ბირდაბირსა და ოწინარს. მას მერე 34 წელმა ვანელი. შრომაში შრომის წითელი დროშის ორდენი დაიმსახურა. საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50-ე წლისთავის იუბილეს დღეებში კი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოვეს.

ენგურზე ხე-ტყის დატურების კანტორის ყოფილმა დირექტორებმა და გამგებებმა ჰველ ჩახაიამ, სიმონ შუბლაძემ, ნესტორ კეჭყაძემ, ამბაკო გიორგობიანმა, შალვა სიკინავამ და სხვებმა საფუძველი ჩაუყარეს ჰიუხებისკენ მიმავალ გზას, რომლითაც ბუნების სიმდიდრე ჩამოდიოდა ბარში, ხოლო მთაში ადიოდა ცოდნა და სინათლე.

საერთოდ, შრომის მოყვარე კაცის ცხოვრება ენგურსა ჰგავს. აი, ამ ენგურს, ახლა ხაი-შურა რომ შეებნია სამკედრო სასიციცხლოდ, ენგურს დაუოკებლად, რომ ბორგავს. მხოლოდ საქმე ისაა, რომ ადამიანები უფრო ჩქარა ვიცულებით, ვინემ ეს მშოფთავარე გოლიათი. ამიტომ სანამ ხარ, უნდა იყო კაცურად, ადამიანი კი არა, გზა ცხოვრობს თავისი ცხოვრებით, ისიც იმიით ფასდება, საითაც მიდის.

* * *

... ორი დღეა კარში არ გაისვლება. „ვილი-სი“ ერთი სვანის ეზოში დაუყენებია გურამ შონიას.

აივნიდან შაქრის ნატეხებით ჩანან ქარაფის ძირში მიდგმული ქეთიკარის სახლები. ხილზე ხანდახან თუ გადაირბენს ვინმე. ჩაბეჭობულა წვიმაში ჰქადავების სოფელი ხაიში.

— რა არის, რა წარდგნა წამოგვიშინა კაცი... — წუხს ინდიკო ციმიტია. ათისთავი ორი დღეა არ ყოფილა უბანში. ასეთ ამინდში ვერც გაისვლება იქით. შეიძლება ლოდევით ჩაგებერგოს ზეაგმა სადმე.

ღია კარში სიგარეტის ბოლი ქურდევით იპარება. გარეთ ხაიშურა ბორგავს.

— ჯორითაც ვერ დავდიოდით ამ ენგურზე... — სხვათაშორის თქვა ბუხუტი კვიციანი, ველის უბნის უფროსმა, კაცმა, რომელიც „უბნის ბაბუას“ ეძახიან.

— კი ჯორი ახლაც კია! — წაიკუდულტა გურამ შონიამ.

სიცილს ვერც ერთი ვერ იკავებს. შემდეგ ისევ „უბნის ბაბუას“ წამოწყებულ საუბარს უბრუნდებიან და მოწყენილობა საინტერესო ამბის მოსმენის ეინმა ჩაახშო.

* * *

პირველი მორი ჯერ კიდევ, 1921 წელსვე დაატურეს ენგურზე საბჭოთა საქართველოს ადამიანებმა. სისხამ დილით ხეობებში მოგომანე ალონის სიმღერაში დაიბა დიდი საქმე. მეჩარადრებებსა და კერძო დამამზადებლებს აეკრძალათ ხალხის საყუთრებით სარგებლობა.

ხოლო, 1925 წელს ზუგდიდში სვანეთის ხე-ტყის დამზადების უბანი გაიხსნა. გამგედ ჰველ ჩახაია დანიშნეს, კაცი, რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა ხე-ტყის დამზადების საქმეში. ერთი წლის შემდეგ ენგურის ზემოწვილიანაც დაიწყეს ხე-ტყის დატურება. პირველ ხანებში შორის ვერ შედიოდა ნაჯახი და ბირდაბირი. შემდეგ კი პრაქტიკაში შემოვიდა ტრანსპორტის პრიმიტიული, მაგრამ მთიან პირობებში მეტად ხელსაყრელი სახე, — ხის მშრალი და სველი ღაროები. მას მოჰყვა ხისავე სარონოდ გზა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სატყეო მრეწველობაში პირველად აქ, ენგურის ხეობაში გამოიყენეს. სახალხო კომისარიატის ბზიფის საცდელი სადგურის მიერ მოვლენებულმა ინჟინერმა კარაბლინოვმა სქელტანიანი სახელმძღვანელოც კი შექმნა ამ მეთოდზე დაყრდნობით. საინტერესო ის იყო, რომ გამოგონების ავტორი წერაქითხვის უცოდინარი, ჯვარელი გლეხი, სილოვან მანია გახლდათ.

სილოვანი საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლები დამყარებამდეც ატურებდა ენგურზე ხე-ტყეს, მაგრამ მამინ მის შრომას მხოლოდ სხვისთვის მოჰქონდა სარგებლობა. ახლა კი გასაქანი მიეცა ადამიანის ნიჭს.

თუ აქამდე ენგურის პირამდე „ქოლით“ მოჰქონდათ მორი, სილოვანის მიერ შექმნილი ხის ღარი პირდაპირ მდინარეში ყრდა მას. ხლო სარონოდ ხის გზამ, ამ მიუვალ ჰიუხებში ერთი ათად შეამცირა ყუბოფუტ ხე-ტყის დამზადებაზე დახარჯული დრო და შრომა. სილოვანი მალე კვალიფიკაციის ასამაღლებელ სპეციალურ კურსებზე გაავზავნეს თბილისში. მან ორ წელიწადში მთლიანად აითვისა საშუალო სკოლის სრული კურსი.

სილოვან მანია იყო პირველი თვითნასწავლი ინჟინერი, რომელმაც სვანეთის ამ თვალშეუდ-

გამ მთებში საფუძველი ჩაუყარა მექანიზაცია.

ახალი დროის ადამიანები ენგურთან პირისპირ დგებოდნენ და გამარჯვებულნი გამოდიოდნენ. მშენებელი ერმინე და ისონ ქანთარები, მიხეილ შუბლაძე, იაგორა ფანჯავიძე, სამსონ თოლორაია, ბესარიონ კვებლიანი, ელზა ჭალდანი, არი შამუგია, ნიკო ავობია და სხვები, აი მათი ერთი ნაწილი, ვინც წვლილი შეიტანეს პირველი ქართული ქალაქის დაბადებაში.

ოცდაათიან წლებში სვანეთის გზისა და შემდეგ ენგურ ქალაქ-კომბინატის გახსნასთან დაკავშირებით ენგურტყვერეწველობაშიც მოხდა ძირეული გარდატეხა, — დაიწყო შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია.

— შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია ახლა მხოლოდ სამი სიტყვით ითქმის ეს... — მაგონდება ვარლამ ფოჩხუამ, რომ მითხრა გზაში. ამ სამ სიტყვაშია მითხრობილი რეინისა და კლდის, კაცისა და სტიქიის ორთაბრძოლის დიდებული ისტორია.

კლდეებზე ჩამოყიდება, ტალღებთან ბრძოლა, ქიუხებში აკივლებული სირენები, ელექტრო და ბენზო ზერხების კრიახი, ტრაქტორების დგანდგარი და მანქანების თვლების სალტებზე შეიდროდ მიკრული მუხრუჭების წივილი — აი ესაა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია დღეს ამ მთებში.

ენგურპეისის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, 1962 წელს ხე-ტყის დაცურება ენგურზე მთლიანად შეწყდა. 1963 წლის ზაფხულში უკანასკნელად გაიდგაფუნა ტივმა ჭვარიდან ზუგდიდამდე და ამ დღიდან წარმოებას სახელიც შეეცვალა და სახეც. ენგურ ხე-ტყის დაცურების კანტორას წალენჯიხის ტყემრეწველობის მეურნეობა ეწოდა, ხოლო, თუ ადრე, მხოლოდ ენგურის ხეობას მოიცავდა მისი მოქმედების არე, დღეს დასავლეთ საქართველოს 8 რაიონის ტყეებში შედის ამ წარმოების გზები და 20-მდე სხვადასხვა ობიექტი აქვს.

ერთ-ერთია სვანეთის ხე-ტყის დამზადების რაიონი.

* * *

მეთხუთმე დღეს როგორც იქნა გადაიყარა ქანდი ზეკამი. ხაიშურაც დაიწმინდა და მთის ბროლივით მოლივლივე მხეფებით შესცინა აგვისტოს კრიალა დილას.

„ვილისი“ ფრთხილად გაეოცდა ნანიადგრალზე. ტყის სიღრმიდან მოტორების გუგუნე ისმოდა. ათასში ერთხელ ადამიანებიც გაჰკვივლებდნენ ერთმანეთს. ამ ტყეებში საქალაქე წიწვიან მერქანს ამზადებენ.

ვეღში ძიხიტის საოსტატოს ოსტატი გრიგოლ ჭკალუა გავიციანთ.

ზუგდიდს იყო წასული სვანეთის ხე-ტყის დამზადების რაიონის უფროსი ევგენ კახიანი.

ჯვარის უბანში კი წარმოების ვეტერანს გოლ აქუბარაძის ვეწვიეთ.

ხოკოს საოსტატოში მათ ვესაუბრეთ, ვისაც უშუალოდ ტყესთან აქვს საქმე. ოსტატმა ბოჩო მანიაძე, მხერხავეებმა ბიძინა ქარდვამ და გრიშა მატუამ, ტრაქტორისტებმა ივანე ბოდნიაძე და რემიკო არქანიამ, მუშებმა დიტო ცანაფა, ალიონა ქარდვამ, ვანო ფიფიამ და სხვებმა მიმასპინძლეს აქ.

... და გზა ისევ ჩამოვიდა ბარში.

ქალაქიდან ხე-ტყის დამზადების უბნის უფროსს, შრომის წითელი დროშის ორდენოსან ნაზო გაბისონიას ტყის ყოველ კუნჭულს შევეყვართ. აქეთ „ვილისი“ ვერ შედის. ტრაქტორები წელამდე ჭაობში მიდგაფუნებენ. ტანშოლტილი თხმელის ტყე უზრუნველად შრიალებს...

თითქმის ყველა უბანს ვეწვიეთ. ვნახეთ მათი დღევანდელი საქმეებიც, პროცენტების გარდა საქმისა და ქვეყნის სიყვარულში რომ გამოიხატება და უნებურად ერთი დიდი საზრუნავი გამიჩნდა; როგორ უნდა მომეთავსებინა ყველაფერი ეს ერთ ნარკვევში.

გამოსაველი პარტორგანიზაციის მდივნის კაბინეტში ევიპოვე. ქალბატონმა მავრა კოდუამ მოკლედ ჩამომიწერა წარმოების წარმატებები:

მერვე ხუთწულის გეგმა და ნაკისრი ვალდებულებები წარმოებამ 1970 წლის 10 ნოემბრისათვის შეასრულა და მილიონობით ზეგემითი სასაქონლო პროდუქტია მისკა მრეწველობას. ვადაქარბებიანი შესრულდა სკვპ 24-ე ყრილობის შესახვედრად ნაკისრი ვალდებულებები.

ვ. ი. ლენინის იუბილეს დღეებში წალენჯიხის ტყემრეწვეურნეობა საიუბილეო სიგელით დაჯილდოვდა. 70-მდე მუშა-მოსამსახურემ კი ორდენები და მედლები მიიღო.

საბჭოთა საქართველოს იუბილეს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელით აღნიშნა წარმოებამ.

გაათქეცილი მონდომებით შრომობენ ოცდამეოთხე ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განსახორციელებლად.

შრომითა და ბრძოლით მოიპოვება დიდება, და არცაა ვასაკვირი, რომ მანიებთა და ფანჯავიძეების, ჩახაიებისა და ქალდანების, მგალობლიშვილებისა და შამუგეების შთამომავლები კვლავ ვეყვარებად მიუყვებოდნენ ცხოვრების ბილიკებს, მათ ხომ მამა-პაპათა სისხლმა უანდერძა ეს ტრადიცია.

ზაურ ფიფია
ბანთიადი მნებურზე

სენათისაკენ რომ მივიდოდით, სადგურზე მე გობარი შემხვდა. ფოტოაპარატმომარჯვებულს მასაც ზუგდიდისკენ ელა გზა. რედაქციას ენგურ-ქალღელ კომბინატზე ფოტორეპორტაჟი შეეკეთათ. როცა გაიგო ჩემი მიზანი, გაოცებულმა ვადმომხვდა და მითხრა:

— ეაცო, როგორ ვერ გაიგე, რომ ტყე-მრეწველებზე უფრო დიდი მტერი არავინ არ ჰყავს ტყეს?

ასევე მოუყევი ეს ამბავი წალენჯიხის ტყემრეწვეურნობის დირექტორის მოადგილეს, რესპუბლიკის დამსახურებულ მეტყევეს, იონა თარგამაძეს. მან გაიცინა და მითხრა:

— სამწუხაროდ, ასე ჰგონიათ. საქმე კი სულ სხვანაირადია. ტყე ადამიანის სამსახურში იქცევა სიმდიდრედ, მხოლოდ ეგაა, რომ ჰქვიანთ რად უნდა მას გამოყენება. თუ მოჭრი, უნდა იზრუნო მის აღდგენაზე. ჩვენს ქვეყანაში დიდი ღონისძიებები ტარდება ტყის დაცვის სათვის. არც ჩვენი წარმოებაა გამონაკლისი, ინერგება ახალი მეთოდები, ახალი ტექნიკა, რომელიც ნაკლებმტკივნეულად გააქეთებს იგივე საქმეს. სენათის ტყეში შემოვიყვანეთ ჯალამბრიანი ტრაქტორი. მას საკმაო მანძილიდან შეუძლია გამოზიდოს მორი, ისე, რომ არაფერი დაუშაადეს ახალგაზრდა ხეებს. დღეს-დღეობით მისი გამოყენების გაუმჯობესებაზე ვფიქრობთ.

— ამის გარდა, თუ აქამდე საქალღელდ მხოლოდ საუკეთესო ჯიშების მერქანი იხარჯებოდა, დღეს სწორედ, საქართველოს ტყემრეწველებმა შეცვალეს იგი. ენგურ-ქალღელ-კომბინატის პირველმა დირექტორმა ბესარიონ ჯანაშიამ, მთავარმა ინჟინერმა ინდიკო კუხალეიშვილმა და სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ზაქარია ჩხუბიანიშვილმა თხმელის მერქნისგან მიიღეს ქალღელი. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ნაძვის, სოჭის, ფიჭვის დაცვის საქმეში. წიწ-

ვიან ჯიშებს საუკუნეები სჭირდება „დღეს-დღეობისათვის“, თხმელის ტყე კი პირველ მტრადან, სულ რაღაც ათ წელიწადში, კარგად შეიჭრება გაიჭრას. ამდენად კოლხეთის წამბისა, სადაც ათასობით ჰექტარზეა ამოლტლი თხმელის ტყე, ულვეი მარაგია საქალღელ მერქნისა.

... ჩემს მეგობარს ზუგდიდში ეტყოდნენ, ალბათ, ამის შესახებ.

* * *

ჯვარიდან რომ გამოვიდი, მზე ოხანჭუეს მთას მოფარებოდა უკვე. კანტორის წინ ძველი მეტივეები და მეჯორგეები შეგროვილიყვნენ. მათ შორის დავით ჯოღოზავა, პილა ჩალიგავა, ჯოტო კვიციანი ვიცანი. მეორდს ლენინის ორდენები უმწვენებდათ და კიდევ ერთხელ იხსენებდნენ კლდისა და ადამიანის ორთაბრძოლის ამბავს, ამბავს ძმობისას, ეაციასა და ენგურისას.

იქვე, დაბის ცენტრში კულტსახლის შენობა ხარაოებში იჯდა. იგი ჯერ კიდევ ომის წლებში ააშენეს ტყემრეწველებმა და პირველი ეპიტალური შენობა იყო ახლომახლო სოფლებში. სულ მალე კი მის რეკონსტრუირებულ დარბაზში ისინი თავიანთ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს იხეიმებენ. ენგურზე პირველი მორი ხომ მაშინ დააქურტეს ახალი დროის ადამიანებმა, როცა თავის ბიოგრაფიაში დაბადების სულ რამდენიმე თვეს ითვლიდა საბჭოთა საქართველო.

ამიტომ, იმ პირველ მორს ვუძღვნი ამ ნარკვევს. იმ პირველ ქალღელსაც, ისტორია რომ დაიწერა ზედ ადამიანისა და გზისა. იმ გზასაც, თეთრი მთებისკენ რომ მიდის და გმირული საქმეების ჩანჩქერად იღვენთება ისტორიის ქარაფებში.

თვით ენგურს მინდა მივუძღვნა ეს ნარკვევი.



საქართველოს პეიზაჟი, 1939 წელი

... იმ წლის აგვისტოს, მოსკოვში ცხელი ამინდები იდგა; ხოლო საქავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, საქართველოს პავილიონში მომდინარე ფიცხელი მუშაობა უფრო აგრძობინებდა კაცს სიცხესა და ჰაერის დაბუთულობას.

პავილიონის ოფიციალურად გახსნის დღედ სექტემბრის პირველი იყო გამოცხადებული და თუმცა ეს თარიღი ზუსტად სამი თვით ჩამორჩებოდა სხვა მომხმ რესპუბლიკების ასეთივე პავილიონების გახსნის თარიღებს — მაინც, თუნდაც მიახლოებით, ერთნაირი როდი იყო შენობის არქიტექტორის ინტენერ არჩილ ქურდიანის, პავილიონის მთავარი მხატვრის ვალერიან სიღამონ-ერისთავისა და მთავარი მეთოდისტის ავრონომ გიორგი რცხილასის სულიერი განწყობილება და ხვალინდელი დღის მოლოდინით გამოწვეული მღელვარება...

შედარებით დაწყნარებულად გამოიყურებოდა არჩილ ქურდიანი, რადგან შენობის წინა მხარეზე ცადაწვდენილი სვეტების მშვენიერი უცებ მოტაცება თვალს და ვინც იცნობდა ქართული არქიტექტურის სიძველეებს — ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის სილიადეს შეახსენებდა, ხოლო თანამედროვეობის მოვლენათა მოყვარულებს, თბილისში, მთაწმინდის ზედა პლატოზე გადმომდგარ სრაპალატებს მოაგონებდა, თანაც მთლიან შუშად ჩასმული მისი უკანა კედელი თვალწინ კოლხეთის, აჭარისა და სამეგრელოს ჩიის ბუნებებით დაფარულ ქედებსა და ციტრუსოვანთა პლანტაციებით დატვირთულ ველებს წარმოადგენდა... დიას, საქართველოს სიკვლევით და ხელოვნობა, მრავალფეროვნება და თავისებური სადაობა თვალს მოკლე, ერთგვარულად გადაბმულიყო ამ მაქმანა შენობაში და აღარ რჩებოდა შესაძლებლობა დაფიქრებისათვის, საამერიკო შთაბეჭდილება იმონებდა გონებას...

გამოფენა — ერთობლივ შენობაც და ცალ-

კეული სტენდიც — მარტო გარეგნული უხადლობით როდი უნდა ხიზლავდეს მნახველს, — ფიქრობდა ვალერიან სიღამონ-ერისთავი — არამედ იმათაც, თუ როგორია საქავშიროციო საგანთა რაობა, მათი ჩვენების თანამედროება და სიმრავლე, რა ემოციებს აღძრავს საჩვენებელი სამერმისოდა!

— ექსპონატი შთაბეჭდავი უნდა იყოს არა მხოლოდ თვისთავად, — შეფოთავდა მთავარი მეთოდისტი გიორგი რცხილამ, — არამედ მნახველზე შთაბეჭდილებას უნდა აღიერებდეს მოწოდებული დამატებითი განმარტებებით; და ამიტომ ექსპონატების დარბაზთა გამგეობიც, ექსკურსიების გამძღოლი თანამშრომლებიც ცდილობდნენ ბევრი და კიდევ უფრო ბევრი ცნობები დაეგროვებინათ და გარკვეულ სისტემად ჩამოყვალალებინათ მათი ჩვენება და თხრობა.

იხანად საქართველოს პავილიონის კონსულტანტად ვმუშაობდი და ჩემს თვალწინ მიმდინარეობდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მოპოვებულ მიღწევათა ჩვენებისათვის ეს სამუხადისი, რომელიც თითქმის ჩამორჩენილად ჩანდა, რადგან 1939 წლის საქავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ, ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ეჩვენებინათ სამ ცალკე პავილიონად (სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოსი) — ნაცვლად აღდრ ნავულები ერთისა), სათანადო გადაკეთებები განაზღვრა.

მე მეგვლებოდა აგრეთვე სათანადო მეცადინეობები ექსკურსიის გამძღოლებთან, უწინარეს ყოვლისა კი არაქართველ სტუდენტებთან, საქართველოს პავილიონის შტატში რომ ირიცხებოდნენ.

და აი, ასეთგვარი დატვირთვით დამაშვრალნი, აგვისტოს ერთ-ერთ ბოლო საღამოს, ვალერიან სიღამონ-ერისთავი და მე, საქართველოს პავილიონის პორტალში შდრევენებთან ვისხე-

დით, ცენტრალური საწყობიდან პავლიონის სტენდებისათვის დამატებითი ექსპონატების მოლოდინში, როდესაც პავლიონის წინ ათიოდე მანქანამ შექაზაზაიის საყავშირო პავლიონის მიმართულებით ჩამოიჭროლა, ხოლო იქიდან ციბირის პავლიონის მიმართ...

მთავრობის ხალხი იქნებო, ჩაილაპარაკა ვალერიანმა. სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ პორტალში შინსახოცის ფორმაში გამოწყობილი ბრვე ახალგაზრდა შემოვიდა.

— დირექტორის ნახვა სად შეიძლება, ამხანაგო? — იკითხა მოსულმა.

— დირექტორი არ არის პავლიონში, — მიიღო პასუხად.

— მაშინ, დირექტორის მოადგილისა? — განაგრძო შეკითხვები ბრვეტანიანმა.

— არც ის არის ადგილზე.

— როგორ?! პავლიონი უპატრონოდ არას!

— უპატრონოდ რად იქნება, დირექტორისა და მისი მოადგილის გარდა არიან პასუხისმგებელი პირები, რომელთაც ზოგი რა შეკითხვებით, — დაუფარავი წყნით ვუპასუხე მე.

— პირადად თქვენ ვინ ხართ? თუ შეიძლება მიჩვენეთ თქვენი საბუთი.

გაუფწოდე პირადობის მოწმობა. მან ჩააწერა გვარი, თანამდებობა, გაიხედა ციბირის პავლიონისაკენ და კატეგორიულად მითხრა:

— ოციოდე წუთის შემდეგ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები მოვლენ თქვენს მიღებისათვის პასუხისმგებელი. ზედმეტი ხალხი მოაცილეთ დარბაზებს, — თქვა და მიმოიხილა ათიოდე დამლაგებელზე, რომლებიც დარბაზების იატაკს აკრიალებდნენ და მტვერს წმენდნენ.

„ადვილად იტყვის ენაო, — გავიფიქრე; ცენტრალური კომიტეტის წევრები... მიღებისათვის პასუხისმგებელი თქვენ იქნებით... ზედმეტი ხალხი მოაცილეთ აჭაურბაზს... ვინ არის ზედმეტი?!

თუმცა ფიქრის დრო აღარ იყო!... საკოლმურნეო მოედანზე, ციბირის პავლიონის წინ, ხალხი ჩოჩოლებდა. გაისმოდა შეძახილები:

— ვაშა, კომუნისტურ პარტიას!

„ვაშა, სტალინს!..“

„ვაშა, საბჭოთა ხელისუფლებას!..“

ამ შეძახილებზე ხალხი საკოლმურნეო მოედნისაკენ ჭგუფ-ჭგუფად მოემართებოდა ირგვლივ მდებარე პავლიონებიდან.

მაგრამ ვინ არის ეს კოპწიად გამოწყობილი შუახნის მოქალაქე, ჭიბეებში ხელებჩაწყობილი რომ ტრიალებს დარბაზში დამლაგებელთა შორის?

— მოქალაქე, პავლიონი დახურულა, გთხოვთ დატოვოთ დარბაზი, — მომთხოვნი

კილოთი ვუცხადებ უცნობს, რადგან მიღებისათვის პასუხისმგებელი დღეს აქ მე ვარ, ასე ჩააწერა ბრვეტანიანმა შინსახოცის ფორმის წიგნაკში!..

— რუ დეავეთ, ყმაწვილო, თქვენ საქმეს მიხედეთ, მე კი ჩემსას მოვუვლი...

პასუხის კატეგორიულობა იმდენად არ ყოფილა დამაჭერებელი ჩემთვის იმ სიტუაციაში, რამდენადღაც დარბაზის ყოველ კუთხესა და კარბში ასეთივე კოპწიად გამოწყობილი და ჭიბეებში ხელჩაწყობილი ზოგი ახალგაზრდის და ზოგი შუახნის მოქალაქეთა გამოჩენა... უცერად მიხვდები, რომ დღეს აქ მიღებისათვის პასუხისმგებელი პარტი მე არ ვიქნებოდი!..

საკოლმურნეო მოედანზე კი, ციბირის პავლიონის წინ, ხალხი მატულობდა და გაისმოდა მისალმებები, შეძახილები სტალინის, ცუ-ის და საბჭოთა ხელისუფლების მისამართით, როდესაც მილოციონერაა რაზმმა შეაჩერა ხალხი და საქართველოს პავლიონის მაქანისებრი და ზვიადი შენობის წინ დარჩა ადამიანთა მცირე ჯგუფი: პარტიისა და ხალხის მეთაურები, ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წევრები — სტალინი, მოლოტოვი, მიქოიანი, ბენედიქტოვი, ციციანი, რამდენიმე ამხანაგი სამხედრო უწყებიდან და სხვა პირები.

— აბა, ჩქარა, ყველანი დირექტორის კაბინეტში, კრებაზე, — ჩემთვისაც მოულოდნელად შეუუძახებ დამლაგებლებს და იატაკის მწმინდავებს, თანაც პირველმა შევადე ცარიელი კაბინეტის კარი ისე, თითქოს მართლაც ვინმე გველოდა სათათბიროდ; ფეხდაფეხ მომყვანენ წითელთავსაფრიალები, ფეშტაშილიანები, მკლავებდაკაშირებული ადამიანები.

— ამ წუთში მოვიყვან დირექტორს და გავხსნათ კარები, — მივაყვირე ვილაცას, სასწრაფოდ გამოვევარდი კაბინეტიდან, კარი გადავკეტე და ვასალები ჭიბეში ჩავიდე... რისთვის?! მე ხომ მიღებისათვის პასუხისმგებელი ვარ და ზედმეტი ხალხი ოცი წუთით მაინც იქაურობას უნდა მოვაცილო!..

„ეს ერთი საქმე ადვილად მოგიცილეთ, — კმაყოფილებით გავიფიქრე და თვალთ ძებნა დავეწყე კოპწიად გამოწყობილ შუახნის მოქალაქეს, რომელიც აღარსად ჩანდა: „ალბათ, მიხვდა, რომ ზედმეტი იყო და გაუჩინარდა“, მოუფწონე ჩემ თავს ნამოქმედარა...“

საკოლმურნეო მოედანზე თავმოყრილი ხალხის ხმაური მიწყინარდა, რადგან გამოშვებები მიზნუბი მოსცილდა და საქართველოს პავლიონისაკენ გამოემართა. მარმაროლის პორტალოს საფეხურებზე ადიოდა ქვეყნის ხელმძღვანელთა ჯგუფი პავლიონის მზადყოფნის შესამოწმებლად, ხოლო პავლიონის მესვეურთაგან მთავარი მხატვარი სადარბაზო კართან გვერ-

დღე მიმდგარიყო ჩამჭრალი პაპიროსით ხელში, განურჩეველი იერით, თითქოს არც დღეს, არც გუშინ და არც თვეების მანძილზე არ ეფიქროს ამ შეხვედრის გამო!.. ყურადღებას მხოლოდ ის იპყრობდა პავილიონის მთავარი მხატვრის გარეგნობაში, რომ ამ საღამოს აურზაურში მაინც მოქმედობდა ლურჯი სპეცხალათის ჩაცმა, ალბათ იმ ვანზრახვით, რომ ხაზი გაესვა თავისი ხელობისათვის... თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა თეთრი ხალათებით დაიარებოდა, ჩვეულებრივ...

— მე რომ სპეცხალათი არ მაცვია? — შეეწუხდი სიღამონ-ღრისათვის შემხედვარე და გულის წამოიერი ტყვილით განვიცადე ეს ხარვეზი. მაგრამ წუხილობა უცებ გამიარა, რადგან სადარბაზო კარის წინ იდგა სტალინი, მის გვერდით მიჭოიანი და მოლოკოვი, შემდეგ მჭკრივი — ბენედიქტოვი და აადამიყოსი ციკინი, ხოლო გვერდის ბოლოს ჩანდა ის შინსახომელი, მე რომ მასპინძლობა დამევალა, პირმოღიძარე იყო და ყურადღებადქცეული...

სპეცხალათზე ფიქრი გადამაფიქვდა და ახლა ისლა მაწუხებდა, თუ სად უნდა დამდგარიყავი სტუმრების შესახვედრად: სადარბაზო კართან თუ პოლიტიკური სტენდის წინ, შუა დარბაზში. რომელი ადგილი უფრო შემეფერებოდა როგორც მასპინძელს?!

უცებ გადაფიქვითი: «ყველაზე საპატიო სტუმრისათვის და აგრეთვე მასპინძლისათვის კარიბჭეა-მეთქი», და მეც დარბაზის კარს მივბატანე. სწორედ დროზე მივესწარი; სტალინი ზღურბლს გადმოდიოდა და საღმად ხელი გამომიწოდა.

დავით ავლაძე, პავილიონის მთავარი კონსულტანტი! — რიხიანი მოვახსენე. თუმცა საშინლად ვვლავდი.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გავიხსენე ეს წუთები, გუნებაში ჩამეცინა, ჩემს თანამდებობას „მთავარი რომ მივბატანენ“. „მთავარი კონსულტანტი“ პავილიონის საერთოდ არ ჰყოლია... ალბათ ლეღვით აღძრული თვითგანდილების ბრალი იყო, ავიოტაჟოური და უაზროს...

საპატიო სტუმრებს საითათოდ ხელის ჩამორთმევი მივესალმე, დარბაზში მივიწვიე, ბოლოყავად მეც უკან მივეყვი. ერთხანს ყველანი მდუმარედ შეყურებდნენ სტალინის ახალგაზრდობის დროინდელ ქანდაკებას, 1905 წელს თბილისისა და ბათუმის მუშათა დემონსტრაციების ამსახველი ფართო პანოების ფონზე რომ აღმართულიყო.

— სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა 1905 წელს, — ჩაილაპარაკა ვილაძემ, ალბათ იმისათვის, რათა უხეზბული სიჩუმე დაერღვია.

— მაწოდეთ განმარტებები! — მიიჭრჩულა ერთმა სამხედრომ.

— აქ არიან ამხანაგი ბენედიქტოვი და ცი-

კინი. ალბათ ისინი გასწვევენ ყოლაუზობას! ვუპასუხე და თან თვალს არ ვაქცობდებ სტალინს, რომელმაც მომხიზლა სისადავით და ქვევის უბრალოებით...

— სტენდი ასახავს ამხანაგ სტალინის მუშათა მარჯანიზებულ მუშაობას საქართველოში 1905 წლის რევოლუციის პერიოდში — დაიწყეთ ბენედიქტოვმა საქართველოს პავილიონში ექსპერსიათა გამძლეობებისათვის შემუშავებული ტექსტის სიტყვებით.. მე ირგვლივ მიმოვიხიბე, ვეძებდი ვალერიან სიღამონ-ღრისათვის. თვალა მოვკარი დარბაზის კარს უკან, პორტალში, ლურჯი სპეცხალათით და კვლავ ჩამჭრალი პაპიროსით. შინსახომელს არ შემოვხედი დარბაზში, როგორც „აქაურობისათვის ზედმეტი“... პავილიონის ხელმძღვანელობას მხოლოდ მე წარვადგენდი და მასპინძლობის ტვირთიც მხოლოდ მე დამწოლოდა, ჩემდაუნებურად და ჩემი სურვილის წინააღმდეგ...

პოლიტიკურ სტენდთან ბენედიქტოვს პირველი წინადადება არც კი დაუმთავრებია, რომ სტალინმა ზურგი შეაქცია სტენდს, ანაზღვიოდ უკან მოტრიალდა და დარბაზის კართან კედელზე დაკიდებულ შუქიან რუკას მიმართა, რომელიც მომავალ ხუთწლეულებში საქართველოს ინდუსტრიული ცენტრების განვითარებას ასახავდა. ყოველი დარგი თავისი ფერის მქონებული იყო და ყოველი ხუთწლეული მორიგეობით ჩაერეოდა სხვადასხვა ფერის პატარა ნათურით წელთა სრბოლას. 1939 წლის აგვისტოს საღამოს საქართველოს პავილიონის მთავარი დარბაზის კედლიდან რუკა ამცნობდა მნახველს, თუ როგორი შემართებით ემზადებოდა ჩვენი რესპუბლიკა მომავალი ხუთწლეულების შესახვედრად. აქ, უპირატესად, მრეწველობა იყო წარმოდგენილი იმ სქემატურობით, რაც პერსპექტიულ რუკას ჩვევია და, მიუხედავად ამისა, მაინც გრანდიოზული და გონებაწარმატაცი იყო ეს პერსპექტივა...

იქვე, მეზობლად, მდებარეობდა დარბაზი, რომელიც ჩაისა და ციტრუსოვანთა მომავალზე ლაღდებად უახლოესი წლების საქართველოს სოფლის მეურნეობაში. დარბაზის დასაწყისში კედლის ღრუ კოლხეთის დამრობისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების მოძრაე დიაგრამას ეკავა. ეს იყო იმეამინდელი ქართველი აგრონომების სანუკვარი ოცნება, უფროსი თაობისაგან მემკვიდრეობით რომ შეიღოთ და ახლა პავილიონის მეთოდისტის, მხატვრისა და ინჟინრის შეთანწყობილ ფანტაზიად ტრიალებდა მნახველის წინ, უკეთესი მომავლის თვალსაჩინოებად.

დღეს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეო-

დავით ავლაძე

საქართველოს პავილიონი, 1939 წელი

ბის განვითარების მეტზე ხუთწლედის პირველ წლებში ამ დიავრამით ილუსტრირებული ავტონომიული ოცნებანი უკვე ხელშეხსნები სინამდვილეა, ქართულ შრომელთა მიერ ნაწოდუნევი, მაგრამ მაშინ ის მხოლოდ მოძრავი ლამაზი დიავრამის თემა იყო.

ვატაცებით ლაბარაკობდა კავშირის სოფლის მეურნეობის მესვეური აზი. ბენედიქტოვი. დიავრამისა და შუქიანი რუსის მაჩვენებლებზე.

მე — კვლავ ჩემდა უნებურად და ჩემი სურვილის წინააღმდეგ — პირველ რიგში, სტალინის გვერდით აღმოვჩნდი, სადაც მიქოიანი იდგა ხოლმე: მასპინძელი და მიღებისათვის პასუხისმგებელი გახლდით.

ისე ვიყავი მზერადქცეული, რომ ვერაფერს ვხვას ვერ ვამჩნევდი, ვარდა შუატანის, კიტლში გამოყოფილი შუახნის კაცისა, რომელსაც მოხრილი მარცხენა ხელის მუჭაში თუთუნჩამქრალი ჩიბუხი ეჭირა და აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს ასანთს დაეძებდეს... მაშ რაღა მასპინძელი ვიქნებოდრი, თუ ასანთზე დავაფიქრებდი სასურველ სტუმარს და ხელი ჭიბისაკენ წვიღე... საკუთარი ასანთი უნდა ამოწავო და ჩიბუხი ამბოლებინა: ვილაცამ ხელში ხელი მტყვა: „ეს თქვენი საქმე არ არის,“ — წამჩურჩულა სწორედ იმ კოპწიად გამოწყობილმა შუახნის მოქალაქემ, ნახევარი საათის წინ დარბაზიდან რომ დავითხოვე როგორც იქაფრობისათვის ზედმეტი აღმოჩანი! ასანთით მოლოტოვმა აუნთო ჩიბუხი, სტალინმა ნაფაზი დლარტყა, თვალის შეავლო მოძრავი დიავრამის თავზე მოსაკაზმავად ჩარჩოს ზედამხარეზე გაყოლებულ ევკალიპტის ტოტს და უმისამართოდ იციოხა:

— ეს რა ტოტია, არყის ხისა ხომ არ არის? უმეტესობას არ გაუგია ეს კიოხვა; მოლოტოვმა არაფერი უპასუხა; მე რა ვამბედვიებოდა ხმის ამოღებას; გავეოციდი კი, რომ სტალინმა ევკალიპტი არყის ხედ მიიჩნია და ამ გაუგებრობის ახსნა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეეძელი, როდესაც პავლიონის დირექტორმა ბუკიაშვილმა საწარმოო თათბირზე გაგვაცნო სტალინის შენიშვნები ჩვენი საქმიანობის თაობაზე.

დღეს — ამ ამბების ოცდაათთხმეტა წლის თავზე — როდესაც ცხოვრებამ უხვად გამოავლინა და დაადსტურა საამისო ფაქტები, შეიძლება ითქვას, რომ გადაჯარბებული და საფუძველმოკლებული სრულიადაც არ არის შემთხვევითად გამოყენებული შედარება ქართული სუბტროპიკებისა გელათის ყვილითან, გელათის — როგორც ეს პოეტს წარმოედგინა.

მრავალია საქართველოში ხუროთმოძღვრების უნიკალური ნაშთები, გელათზე წინიერად და გელათის შემდგომი პერიოდისა; მაგრამ ძნელად შესაძლებელი თუ იქნება ისეთი მეორის დასახელება, რომელიც მისებრი საგანე

ყოფილიყოს სიბრძნის, მეტყველებისა და სიტყვაკაზმულობის ხელოვნებისა. კიტლში იცის ქვეყნები, სადაც ჩაი და მწერნი იყვნენ დიდი ხანია მოჰყავთ, ვარნა ძნელია თქმა, თუ სად არიან და სად ყოფილან ჩაის ისეთი დახელოვნებული მომყვანი და მკურფავნი როგორც ყუფენია და სართანია? ვინ მოახერხა მანქანით შეინაცვლებინა მტკად ფაქიზი და მტკად ძნელი საქმის მკეთებელი აღმოჩინები ჩაის ფართობებზე? არავინ — არც დღეს და მით უფრო მაშინ, როდესაც საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოვენახზე საქართველოს პავლიონი მოძრავი დიავრამით და შუქიანი რუკით ერთგვარად წინაწარმეტყველებდა ყოველზე ამას...

იმ დღეს კი, სუბტროპიკული კულტურების სტენდებთან საქართველოს პავლიონში ეს დაპირისპირებანი აზრად არავის მოსდიოდა, რადგან მოძრავი დიავრამით ნახევნები ფრამენტები — კარგად გააზრებული და დამაყრებელი — მაინც ფაქტობრივი სინამდვილე არ იყო და მისი რეალურობის დასტურს მომავლისათვის ის მასალა წარმოადგენდა, ათასობით კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ რომ მიზიდა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოვენახზე საქართველოს პავლიონში. მასალა კი უხვად იყო მოზიდული, რადგან:

— კარგია, ზეგვიანობა ჩანს; მაინც უფრო მეტია სასურველი, — იმეორებდა ყოველი სტენდის წინ სტალინი და აკვირდებოდა ბენედიქტოვს, რომელიც ახსნა-განმარტებებს აწვდიდა. თითქოს მისგან დასტურს მოელოდა.

— ეს ახალი კულტურაა ჩვენი სუბტროპიკების წარმოებაში, — გრფიფრტულია — და მის მასობრივად დანერგვას ვაწარმოებთ ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, — ამბობდა ბენედიქტოვი.

— რამდენი ძირი გვაქვს სულ? — დაინტერესდა სტალინი.

...პასუხმა დააგვიანა: ეტყობა, ბენედიქტოვს დაავიწყდა სათანადო ცნობა და — უხერხულურისი თავიდან ასცილებლად გავებდე ჩურჩულით წავეშელებოდი: სულ სამოცდაათი ათასი ძირია... სტალინმა ყური მოჰკრა ჩემს წაჩურჩულებას და ახლა მე დამისვა კიოხვა:

— რამდენია საბჭოთა მეურნეობაში და რამდენი კოლმეურნეობებში?

— ორმოცი ათასი ძირი კოლმეურნეობებშია, რამდენი ათასი საბჭოთა მეურნეობებში, — მივაწოდე ექსკურსიის გამძღოლთა ტექსტით დაზუპირებული ცნობა.

პასუხით დავმყოფილდა, მაგრამ შუბლმეჭმუნხილი დააცქერდა ჩაის შეუფუთავ გროვას, რომელიც შეფუთულ პროდუქტასთან შედარებით აშკარად მცირედ გამოიყურებოდა. აღმაცერად ვაღახედა იქვე მდგარ თაბაშირის დიდ

ეახს, რომლის ფართო კედლები ძველი ორ-
ნამენტებით იყო მოჩუქურთმებული, ხოლო
შიგ ჩაწყობილი მანდარინის სიმრავლე აშკა-
რად მეტყველებდა დიდ მოსავლიანობას პლან-
ტაციებში. ამ ვახედვასაც თავისი მიზნები ჰქო-
ნია, როგორც პავლიონის დირექტორ ბუჯია-
შვილიან მოწყვეულ საწარმოო თათბირზე გა-
მოირკვა შემდგომ დღეებში.

ციტრუსების დარბაზიდან ნარგავობათა ორან-
ჟერიაში გავდიოდით. განახლებული საქართვე-
ლოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის
თვალ-მარგალიტი აქ ტრიალებდა, მზერას იტა-
ციებდა ნაყოფით დახუნძლული ნარინჯოვანები,
დაუკრფავი ჩაის ბუჩქის ხელოვნური ფერადი-
ბი, რომელიც ორანჟერიას მარცხენა კედელს
მიჰყვებოდა. ჩაის ბუჩქები თავისი ყვერბას
ნიადაგით სავსე კასრებში იყო ჩარგული და
ბუჩქიანი კასრები ქმნიდნენ ბეჭობს, ასე რომ
მიემსგავსებოდა საქართველოს დასავლეთი
ნაწილის ლანდშაფტს...

ორანჟერიის ბილიკი მხარდამხარ ორ კაცზე
მეტს ვერ დაიტევდა; ბენდოქტოვმა უკან დაი-
ხია, გზა მისცა სტალინს; მოლოტოვი კვლავ
გვერდში ედგა, ხოლო მეგზური ისევ მე აღ-
მოვჩნდი. ციტრუსოვანთა ნარგავებს პავლიო-
ნის ორენჯერეაში აგრონომი სევერიან მეგვანა-
ძე მეთვალყურეობდა. ხეების მოწაწყავდად მო-
სულიყო და ორენჯერეის ჩრდილოეთით დატა-
ნებული ჰიპოკრიტის შემოსული, არხენი დღი-
ნით მოიმართებოდა იმავე ბილიკით, რომლი-
თაც მე მიმყავდა ამხანაგების ჭვუფი, ჭერ კი-
დევ სრულად მიახლოვებული არ ვიყავით
სევერიან მეგვანაძესთან რომ ჩვენი ჭვუფის
ბოლო რიგებიდან მიქოიანმა ხმაშილა მიმარ-
თა სტალინს:

— აი, ამხანაგო სტალინ, ნახეთ, ჩაის ბუჩქს,
თურბე, მოსკოვშია შესძლებია ზრდა და გაზა-
რება!..

— მაგრამ, მხოლოდ იმ პირობით, — მოუ-
ქრა სიტყვა სევერიან მეგვანაძემ მიქოიანს, —
თუ ქართულ ნიადაგზე დგას... ამ თქმას განმარ-
ტება აღარ სჭირდებათ, რადგან ბუჩქების
მოვლი ბუჩქები კოლხეთის, სამეგრელოს, გუ-
ბრიის და აჭარის ნიადაგინი კასრებით იყო
წარმოქმნილი, ზედ ანასეულს სადგურში
სელექციონირებული ჩაის ბუჩქებით... დიხხ,
ქართული სუბტროპიკები მოსკოვში, სსოფ-
ლო-სამეურნეო გამოყენება, ავტორიტეტს
იშკრიცებდა და მის პირველ ნაბიჯებს კმაყო-
ფილებით შესცქეროდა ამხანაგი სტალინი...

ორანჟერიიდან პავლიონის მესამე დარბაზ-
ში გავდიოდით და მეგვანაგობა-მელენიკობის
სტენდს მივადექით სადაც წინანდლის მეურნე-
ობის პანოთა ფონზე ჩამწყრავებულყო ლამაზ-
არლიყიანი ბოთლები ქართული ღვინისა:
წინანდლი, მუქუხანი, კახური, ხვანჭკარა, ქინ-

ქმარაული, ტიბაანი, ახმეტა და სხვა. მრავალი
ქვევრები და საწნახელი, მარნის საერთო ხე-
დით პანოების შემადგენელ ნაწილებზე, მარ-
დარიყენ და მხოლოდ ტიკები და ტიკუორები
— ბოთლებს შორის რომ დაგორებულდნენ —
კახეთის მეღვინეობის წარმოების საშუალო-
ბებს მოგვამებდა. ყურძნის საწურის მანქა-
ნა, მუხის დიდი კასრები, ღვინის სარდაფების
ინდუსტრიული ხედები — წინანდლისა და მუ-
ხანის სასახლეების ფონზე — ხაზს უსვამდა,
რომ ქართული მეღვინეობისათვის უცხო არ
ყოფილა არც ევროპული წესები ღვინის დაყე-
ნებისა, მაგრამ მაინც თავისი აქვობიანება...

მეხილეობის სტენდისაკენ გადავსლა დავა-
შირე და ქართლის სიძველესთან ერთად საქარ-
თველის პურის მეორე ბედლის საჩვენებლად
მოვეშხადე, რომ სტალინი გამოყო ჩვენს
ჭვუფს და ისევ მეღვინეობას დაუბრუნდა.

წინანდლის ზურების არც ფართობმა რაო-
დენობის სტატისტიკამ და არც მოსავლიანო-
ბამ არ მიიპყრო მისი ყურადღება; ღვინის რე-
მელოდაც ქარხნის ხედმა დაინტერესა და
— ღვინის ტიკებისა თუ ტიკუორებისათვის
რამდენჯერამე თვალის გადასვლების შემდეგ —
ერთ მთავანს სწრაფად მიუახლოვდა და ყველას
განსაცხევრებლად — ფეხი დაჯიკრა... არც
ქარვამ ვადმოყონა ტიკისპირიდან და არც
ლალმა... შვკარა იყო ბუტაფორიის ელემენტი
იმ მისწრაფებისას, რომ ყველაფერი გრანდი-
ოზულად და მართლად ეჩვენებინათ!..

ისევ აღმაცერი ვახედვა მეხილეობის სტენ-
დისაკენ, სადაც ნიჭური მხატვრების მიერ
შესრულებული მდინარული პანოები ვერ აქვ-
ბდა ნატურით ჩვენების ხარვეზებს, რადგან
მოსაბტლ-მოჩუქურთმებულსა და მოოჭროვილ
ანდა ბავეგამობილი ბროფეულის კისკისა კომ-
წიოობა თუ გუდალედის თავდაპერილი ღიმი-
ლი; ჩვენებური გოგო-ბიჭების ოცნებათა არა-
იმეიათი თანამგზავრი... „მშობლი საფთველებში
ელვარებს ვაშლი სისხლივით წითელი“... სევე-
ლიანად გამახსენდა ბავშვობის ლექსი.

სიუხვის საჩვენებლად გამოყენებული მრავა-
ლი ლარნაკი გადატვირთული იყო ორჯერ გაე-
ლებული კახური ჩურჩხელებით, მკლუ ჯანჭუ-
ხით, ტბილყვარი და ოსტატურად შეფერადე-
ბული ხილვულის მულაყებით — თუმცა ლა-
მაზებით, მაგრამ უსიციოცხოლად და უეჭურად
მიყრილ-მოყრილი რომ იყვენ აქა-იქ გაფან-
ტულ ქართულ დელიკატესებში.

— მეტი ხილი, მეტი ტბილყული, თანაც პიო-
ნერთა ექსკურსიებისათვის დასარგებლად,
— რამდენჯერმე გაიმეორა სტალინმა, ვიდრე
მეხილეობის სტენდს მოსცილდებოდა.

ეს მოთხოვნა დაბეჭივებით გაიმეორა პავი-

დაპით აბლაძე
საქართველოს პავლიონი, 1939 წელი

ლიონის დირექტორმა საწარმოო თათბირზე რამდენიმე დღის შემდეგ.

ახლა კი მეცხოველეობის სტენდი. ალპური საძოვრები, მთის კალთებს შეფენილი ცხვრის ფარებით, რომლებიც, თითქოს, ფართო ცილოდან გადმოდიოდნენ დარბაზის პარკეტთან იატაკზე, სადაც ცხიმუღლიან ნახევრად ნაზაფხისიანი ქართული ცხვრის ახალი ჯიშის დოდოროვებულ გაკეთებულ ეგზემპლარებს უერთდებოდნენ. იღუწია სრული იყო და პავლიონის მთავარ მეთოდისტსა და მთავარ მხატვარსაც შეეძლოთ კმაყოფილებით ეთქვათ, დასახულ მიზანს მივალწოთ და ამოცანაც ამოვსენითო.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს პავილიონმა ფრიალი — ნიშნით შეფასება მიიღო და სექტემბრის პირველიდან ფართოდ გაუხსნა კარი ათათაობით მწახველს, რომელთა საშუალო რიცხვი სამოცდახუთი ათასი იყო ყოველდღიურად, ორი წლის განმავლობაში.

მის შემდეგ ოცდაათობმეტმა წელმა განვლო — აღსავსემ დაუღალავი შრომით ჩვენი ქვეყნის ასაყვავებლად და შეუღრქეელი ბრძოლით ჩვენი სამშობლოს მტერთაგან დასაცავად.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო ყოფილი გამოფენის ტერიტორიაზე კვლავ ღვას პავილიონის მაქმანისებური შენობა, ოღონდ სხვა, ახალი დანიშნულებით. ბევრი ადამიანი, რომელიც 1939 წლის აგვისტოს იმ საღამოს აქ რუდუნებდა — ახლა ცოცხალთა შორის აღარ არის, ხოლო ის რისთვისაც ის რუდუნებდა — სწორედ იმ აზრით, როგორც ეს ადამიანები ვარაუდობდნენ — არის და არის ოღონდ იმ ახალ ნახედ, იმ ახალი მასშტაბებით, ახლებურად დახვეწილი, დაყურსული და დაწახნაგებული, როგორც მუდამ სჩვევია ახალს. ზორც-ასხმიდან გარკვეული ჯამის მანძილზე...

იმ პავილიონის მთავარი დარბაზის სამხრეთ კედელში მოძრავი დიავარამა და შექიანი რუკა ამტკველებდა მაშინდელი შემოქმედი ადამიანების ნაჯარაუდევეს.

გამიზნული ყოველივე სწორედ იყო ნიშანში ამოღებული, რამდენადმე სათუო იყო მხოლოდ ეყოფოდათ თუ არა ადამიანებს ძალა და გამძლეობა დასახელის განხორციელებისათვის...

რომ უნდა ჰყოფნოდათ, ამის ფაქტობრივად დამადასტურებელი აღმოჩნდა სამამულო დიდი ომის ბრძოლის წლები, ხოლო იღუერად — ის უღდიოთ რქმენა კომენიზმისა, ლენინმა რომ დაანთო სამარადეამო ჩირაღდნად.

ამ ჩირაღდდნის შუქზე კიაფობდა მაშინდელი გამოფენის საქართველოს პავილიონში ქართული სტატროპიკები — დარგობრივი რა-

ობით სრულიად ნორჩი და წელგაუმართავი; სწორედ ამ სინორჩეში იფარებოდა ფართოდ განვითარების პოტენციალი და შექმნილიყო წლებმა გაამართლა კიდეც ეს გარსტყუანს ცილებლობა; საჭირო იყო სათანადო წინასწარჭერება და სისტემატურად მტკიცე ნაბიჯები...

ოცდაათობმეტმა წელმა ცხადყო და განამტკიცა ეს ნაბიჯები და საქართველოს პავილიონში ოდესღაც მოძრავი დიავარამა ჩვენი თანამედროვეობის მიმდინარე ყოველდღიურობად გადააქცია.

... ყოველივე ეს მეტად მცირე ფრაგმენტებია ძლიერ დიდი ისტორიისა, რომელიც თავის მთხრობელს შოვლის. ყოველი ჩვენი ამ ისტორიის წარმოქმნის მონაწილეც არის და მდინარეების ზედაპირზე ამოტეტილებული ნაფოტაც.

თითოეული ეს ნაფოტი რაღაც ნაწილას შეიცავს იმისა, რასაც გარდასულ დღეთა ქემ-მარტივი ვითარებანი უნდა ეწოდოს და ამ ვითარებათა ერთობლიობა კი იმას გვაძლევს — საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს პავილიონის მაგალითს თუ ეიგულისებებთ — რასაც დღეს საბჭოთა კავშირისათვის 270 000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნიშნავს, ქართველი მეჩაიეები რომ უზრუნველყოფენ, ნაცლად ოდესღაც საქართველოს პავილიონის სტენდზე გამოტანილი ორიოდე ათეული კილოგრამისა.

მე მახსოვს პავილიონის დირექტორმა ბუჩიაშვილმა საწარმოო თათბირზე გვითხრა, რომ ხელმძღვანელობას არ დაუწუნებია მაშინდელი ეს მიღწევა და დღეს იმასაც ხედავ, რომ 270 000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი საქართველოს სუბტროპიკული კულტურების ზონისათვის ზედახლეარი სრულიადაც არ არის. ზომ იმეორებდა იმ აგვისტოს საღამოს ამხანავი სტალინი ყოველ სტენდის წინ: — კარგია, ხვავიანობა ჩანს; მაინც უფრო მეტია სასურველი!

ესეც მახსოვს და ისიც მიღვას თვალწინ, თუ როგორ წამოუარა მეღენიეობის სტენდს წინ მიმოყრილი ტყეებს და ტიკოურებს და როგორ იკითხა მოძრავი დიავარამის თავზე გავლებული ევკალიპტის ტოტის შესახებ, არყის ხის ტოტი ზომ არ არისო. პავილიონის დირექტორის კაბინეტში საწარმოო თათბირამდე ჩემთვის გაუგებარი ეს შეკითხვა და რამდენიმე სხვა საქციელი სტალინისა ადვილად გასაგები გახდა.

ევკალიპტის ტოტი, დიავარამის თავზე, შემხმარიყო, რადგან არაყის გახსენება მისი გამოცეკა და შემხმარი ტოტის კანი არყის ხის მსგავსი იყო, ამ კითხვის მეშვეობით გამოთქმული შენიშვნა მოუწოდებდა პავილიონის მუ-

შაქებს უფრო მეტი ყურადღებისაყენ და ბუტაფორიის ლოკედაციისათვის ყველგან და ყველადღერში. მანდარინებით საესე თაბაშირის ვაზა სუბტროპიკების დარბაზში ამოვსებული იყო ქალაღდის ნაქრებით და ბურბუშელით, რომლის ზედამირზე ორიოდღე ათეული მანდა-რინის ნაყოფი ეწყო. შთაბეჭდილება ინეთი იყო, თითქოს ეს უზარმაზარი ვაზა პირთამდღე ყოფილიყოს საესე ნაყოფით, ზოლო რომ ჩუქურთმას შორის გამოსქვიოდა სიცარიელღე — ამისათვის არავის მიუქცევია ყურადღება. სიუხვის შთაბეჭდილებას ბუტაფორია შეანე-ლებდა და სწორღდ ამ ბუტაფორიამ მიიპყრო სტალინის ყურადღება — მიიპყრო და მისი ვრთვეარი უქმყოფილებაც გამოიწვიო.

ასეღე, წყლით საესე ტიკები და ტიკტორე-ბი გაზდა სტალინის შენიშვნის საგანი არა მხოლოდ იმის გამო, რომ ღვინის მაგივრად წყლით იყვნენ საესე, არამღდ იმის გამო, რომ თავიანთი სიღიღით შთამბეჭდავად ვერ გამოი-ყურებიან; ტიკტორების გვერღით ნამღვი-ლი ღვინით საესე რუმბიც უნდა ყოფილიყო; ასეღე ითქვა აგრეთღე ზიღის მულაყებზე და ჰურეუღის ადგილობრივი სხვადასხვა ჯიშის

მარცვალზედაც... ყველგან სიუხვე და ყველგან ბუნებრივი სინამღვიღე უნდა ყოფილიყო. ეს სიუხვე რეალურად უნდა განეცხვადღე-ვეღს, ამიტომ მოითხოვდა სტალინი გონივ-რულად და ლამაზად აღტურვიღ სტენღებს არც ერთი წუთით არ მოყღდებოდა შეესება, რავინღ მრავალრიცხოვანი ყოფილიყო სკოლე-ბის პიონერთა ორგანიზებული ექსკურსიები: მათ ვაშლი და სხვა ზიღეუღი საჩუქრად ეძღე-ოღათ ჩურჩხელასა და სხვა ტკბიღეუღთან ერთად...

სიმრავლის და მსპინღელთა გულუხვობის გრძნობა თან მაყვებოდა პავილიონიღან ახალ-გაზრდა მნახეღებს და გრანდიოზული მომავ-ლის შთაბეჭდილება — ხანში შესულთ და მოზრდიღებს.

ასეთი იყო 1939 წლის აგვისტოს ბოლოს საღამოსაგან მიღებული საერთო შთაბეჭდი-ლება.

და ასეთია ჩენი დღევანღეღობის ვითარე-ბა და მთავარი გეზი საქართეღოს საბჭოთა სოციღლისტური რესპუბლიყის სოციღლისტურ სახალხო მეტრნობაში..



ბორის შაგზარაშვილი

მაცოცხლებელი წყალი

ჩემს ყმაწვილობაში ერთხელ ხელში ჩამი-
ვარდა ცნობილი ამერიკელი სწავლულ-აგრო-
ნომის ლიუთერ ბერბანკის წიგნი, სადაც მოთ-
ხრობილი იყო ადამიანის მიერ მიწის განახლე-
ბაზე. მაშინ იგი ერთ-ერთ „ამერიკულ სასწა-
ულად“ მიგვაჩინდა და გვშურდა კიდევ. მსგავსი
რამის ჩვენში გაკეთება წარმოუდგენლად
გვეჩვენებოდა. ამაზე ოცნება თუ შეგვეძლო.

ახლა, როცა თბილისის ზღვის ნაპირებსა და
განახლებულ სამგორის მიწას ვაეყურებ, ყო-
ველთვის მახსენდება ის წიგნი და ჩვენი ახ-
დენილი ოცნება.

აი, ჩემს თვალწინ ნებიერად გადაშლილა
ხელოვნური ზღვა, იერის ყინულოვით ცივი
წყლით რომ არის პირთამდე გავსებული. ვარს
ზურმუხტისფერი პარკებით, ბალებითა და
ზერებით დაფარული ბორცვები არტყია.

გარშემო ყველაფერი კრიალებს, ყველა-
ფერი სუფთაა და ნათელი, თითქოს ერთ ლა-
მეს იშვა ყოველივე ეს.

გონებაში ერთმანეთს ენაცვლება ამ ადგილ-
თან დაკავშირებული მოგონებები. იქ, სადაც
ახლა ტალღები ტყალაშენობენ, მზით გამომწ-
ვარი, ხრიოკი მიწა იყო, ბალახიც კი არ ხა-
რობდა. ვარს მომდგარი ბორცვები და ქედები
ზაფხულში ნახევრად უღამბროს წარმოადგენდა,
სადაც არხინად გრძნობდნენ თავს გველები
და ხელოკები.

სამგორს წყურვილი ახრჩობდა. და ადამიან-
მა მოუტლა მას წყურვილი.

სამგორის მორწყვა ერთ-ერთი ნათელი ფერ-
ცელია იმ დიდი ეპოპეისა, საბჭოთა ხალხმა
რომ განახორციელა მიწის განახლების საქმეში.

სამგორზე უზარმაზარი შრომაა დახარჯუ-
ლი, ამაზე ერთ ნარკვევში ლაპარაკი შეუძლე-
ბელია. მე მინდა მხოლოდ მოგიხსროთ ის, რა-
მაც ყველაზე უფრო იმოქმედა ჩემზე, რაც
ყველაზე უფრო შთამბეჭედა გულში.

ფლორის საუფლო

„ზღვის“ ნაპირის გაყოლებით, მთების ფერ-
დობზე უზარმაზარ ხალიჩად გადაჭიმულა თბი-
ლისის დენდროლოგიური პარკი. 1956 წელს
ჩაეყარა მას საფუძველი, იგი ჯერ კიდევ ძა-
ლიან ახალგაზრდაა და ამიტომ არცაა ცნობი-
ლი, როგორც სხვა სახელგანთქმული ბოტანი-
კური ბალები, მაგრამ ეს როდი ამცირებს მის
ღირსებას.

ასეთი ვერცელი, მცენარეების სიმდიდრით
უნიკალური პარკი იშვიათად თუ მოიძებნება.
მისი 256 ჰექტარი — ზღაპრული სამეფოა.

დეკორატიულ ბაღში ხშირად წააწყდები-
ხელოვნურობის უბეშ ანაბეჭდს, ბუნებაზე ძა-
ლადობის ნიშნებს, ამის გამო ასეთ პარკში
მცენარეები შემთხვევით სტუმრებად გამოიყუ-
რებიან. თბილისის „ზღვის“ სანაპიროს პარკი
ყველაზე უფრო ყურადღებას თავის ბუნებრი-
ობით იპყრობს. მრავალფეროვანი მცენარე-
ების ოჯახი ისეა განლაგებული, რომ მაქსიმალ-
ურად არის მიახლოებული მათი აღმოცენე-
ბის ნატურალურ პირობებთან. ჭიშები და სა-
ხეები წარმოდგენილია არა ეგზოტიკურ ერ-
თეულებად, არამედ მთელი მასივებით.

ღირვეტორი იოსებ ივანეს ძე ჩოღდრიშვილი
გვიყვება:

— ვცდილობთ, ცოცხალ კოლექციაში რაც
შეიძლება სრულად წარმოვადგინოთ თვითუ-
ლი ჭიში. ჩვენ, მაგალითად, გავგაჩინია თბილისის,
ალღის ხის, მუნის, ნეკერჩხლის, ფიჭვის ყვე-
ლა სახეობა. მცენარეები ისეა დარგული, რომ
გამოიკვეთოს მრავალფეროვანი ტყეების თა-
ვისებურება, მათი თავისთავადობა. ამისთვის
დიდი ფართობია საჭირო. პარკი არამარტო
საშუალებას მისცემს დენდროლოგებს, ბოტა-
ნიკოსებს მოახდინონ დავიკრება, მეცნიერუ-
ლი კვლევა-სიება, არამედ იგი ათასობით თბი-

ლისტელა შესანიშნავი დასასვენებელი ადგილი იქნება.

ვიცი, რომ 15 წელი პარკისათვის ყრმობის კი არა, ბავშვობის პერიოდია და ამიტომ მეგონა, პარკში ვიხილავდი ჭერ კიდევ ნორჩ, ზრდადაუსრულებელ ხეებს და, ახ საოცარი იყო, რომ პატარა მდელოებზე, ხეივანებში გვხვდებოდა მდიდრულად გაშლილი ცაცხვები, კედრები, ფიჭვები. ბევრი მათგანი, უკვე სამკობდ მოზრდილი, ფრთხილად, სათუთად გადმორგეს პარკში.

მწევან ნარგავების გამოყვანა, მათი მოვლა შეუძლია მხოლოდ სათუთი სულისა და მარჯვე ხელების მქონე ადამიანებს: პარკის დაარსების დღიდან მუშაობს აქ მთავარი აგრონომ-მდელოატორი გარსევან ნესტორის ძე კალანდამე, მეოლი თავისი სიცოცხლე „მწევან მშენებლობას“ რომ მიუძღვნა. ისი მხოლოდელი ხელები მონაწილეობდნენ უნიკალური ფლორის შეგროვებაში, მათ პარკში აღმოჩენილი ნარგავებში სხვადასხვა ადგილებსა და ზონებში.

სად არ ყოფილა იგი იმისთვის, რომ ოღონდ ეპოვა და შეერჩია მცენარე პარკისათვის. მცენარეებს აგზავნიდნენ შავი ზღვისა და კასპის ნაპირებიდან, ტიან-შანიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, ურალიდან, ბელორუსიიდან.

გ. კალანდამე უკვე ხანშიშესული კაცია, მაგრამ როგორც კი მცენარეებზე ჩამოვარდება ლაპარაკი — ახალგაზრდად ვეხვეწები იგი ისე ყვება, როგორც შეიძლება ილაპარაკო მხოლოდ ძვირფას, საყვარელ მეგობრებზე...

— ზოგს ეჩვენება, რომ ყველა ხე ერთნაირია. მაგრამ სინამდვილეში ისინი ადამიანებივით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თვითნებურად ქონს თავისი ხასიათი აქვს, თავისი განსაკუთრებული თვისებები, თვითნებური თხოვლობის თავისებურ მოვლა-პატრონობას. ჩვენი საქმიანობა ბევრ შრომასა და ზრუნვას მოითხოვს...

შეუპოვრობისა და მონღოების, ე. წ. შინაგანი ცეცხლისა და თავდადების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმ წინააღმდეგობათა დაძლევა, რაც წინ ედგებოდათ ასეთი არაჩვეულებრივი მწევან სამეფოს შექმნისას. წინააღმდეგობები და სიძნელებები კი მართლა უამრავი იყო.

მთავარი სიძნელე ნიადაგის დიდი მარილიანობა და გამოფიტულობა გახლდათ. დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე მცენარე აქ ვერ იხიერებდა. ამიტომ ხშირი მორწყვა აქ პირველი საზრუნავია. ამხე წლის ყოველ დროს ეჭირობენ. საერთო გრაფიკით მოწოდებული წყალი პარკს არ ჰყოფნის. იმულებული შეიქნენ ავეჯით სატუმბავი სადგური.

პარკში არ იციან, რა არის „მკვდარი სეზონი“, როცა შეიძლება დაისვენო ფიჭვისა და ზრუნვისაგან.

აქ ზომიარ-ზაფხულ გიხურებელი მუშაობა ეს თოვლისდაკეება იქნება თუ შემობარბერებდა თუ მკურნალობა და ათასი სხვა რამ. სანამ პარკი ახალგაზრდაა, განსაკუთრებით მონღოებში უნდა ჩატარდეს ეს სამუშაოები.

კოლექტივში უკვე მრავალი წელია იცნობენ მარამ აფაქიძესა და ალექსანდრა ქრისტესიან-შვილს, რომელთაც ალურის „ბებოებს“ ეძახიან. ისინი მცენარეებს ისე უვლიან, როგორც ბებია მოუვლის საყვარელ შვილიშვილს. აფაქიძის მკერდს ამშვენებს შრომის წითელი დროშის ორდენი.

აქ ყველა „აეადა“ ტყის სიყვარულით. ამაში დარწმუნდებიან, როცა გაიცინობთ ღირებუტორის ახალგაზრდა მოადგილეს ვინელი გერგაქეს, აგრეთვე საწარმოო განყოფილების უფროსებს. როცა მათ მძიმე, დავიდარაბიან მუშაობას უყურებ, უნებურად გაივლებ ხოლმე გუნებაში, მთავარია თურმე გიყვარდეს შენი საქმე, მთავარია აქონდეს მოწოდება და შეგეძლოს შენი შრომაში დაინახო სიღამაზე.

პარკის გაშენებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს თბილისელებმა. ისინი ათასობით მოდიოდნენ აქ შმაბთობებზე, რათა თავიანთი წვლილი შეეტანათ მიწის განახლების ამ ეკთილშობილურ საქმეში. ხალხის ასეთი მხარდაჭერის გარეშე ძნელი იქნებოდა მილიონობით მცენარეთა დარგვა.

...პარკში თქვენ იპოვით ადგილებს, ტყეების პეიზაჟთა სურათებს რომ იმეორებენ. აი ახლად შეფთოვლილ ხეთა ფონზე წვერწამახული კედრები დარაჯებივით აღმართულან. ხშირი ტოტების ქვეშ მეფობს ჩრდილი და მყუდროება. განზე კი ბუჩქივით იზრდება მორჩილი ტანის მუშალა. მას ენაცელება მაღალი, მსხვილტოტება ცაცხვი. მზერას ვერ მოწყვეტ კვიპაროსების ტერესს.

უყურებ ამ ერთად თავმოყრილ ტყეთა მაცხოვრებლებს, და თვალნათლივ წარმოგიდგება, რა მდიდარი და მრავალფეროვანია ჩვენი მთების, მინდვრებისა და სტეპების ფლორა. ხეების 250 ჯიში და სახეობა იზრდება პარკში, ხოლო სხვადასხვანაირი ბუჩქების ნაირობას ვინ მოთვლის. ფერებისა და ფორმების რა სიუხვეა, რა მრავალფეროვნება!

ყველაფერს ვინ ჩამოთვლის, მაგრამ სამუდამოდ დაგამახსოვრდება ალვის ხეების ჭალა. მათში არის რაღაც პოეტური, ლბილი, ლექსივით ანდა სიმღერასავით რომ ჩაგრჩება მეხსიერებაში.

პარკში ყოფნის დროს უნებურად გამახსენდა „პრავდაში“ წაითხული ვიეტნამური ნარკვევი. მასში მოთხრობილი იყო, რომ ეს გმირი ხალხი ცეცხლისა და ბომბების წვიმაში

ბორის შატაბერაშვილი
მაცოცხლებელი წყალი

პოელობს დროსა და ძალას, რათა დარგოს მწვანე ნარგავები. აღადგინოს ომით განადგურებული ტყეები.

მწვანე ნარგავები სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების სიმბოლოა. ჩვენ ხშირად გვესმის მეცნიერთა, მწერალთა შეშფოთებული ხმები, რომლებიც გვაფრთხილებენ, თუ რა შედეგი მოჰყვება ბიოსფეროს ვაკუუმიანებას. მას წამლავს მილიონობით მანქანების ძრავთა გაზები, სამრეწველო ნარჩენები... ჰაერს სისუფთავეს და გამჭვირვალებას დაუბრუნებს ჩვენი მწვანე მეგობრები. მათზე ზრუნვა კამპანიური ხასიათის როდია, ეს უბრალო გეგმიური ღონისძიება არაა, იგი უდიდესი მნიშვნელობის მქონე ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაზე დაბრუნებულია ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობა.

პარკში ისეთი წამები განვიცადე, რომელთაც ვერასოდეს დავიფიქვებ. ჩვენ მიხვეწულ-მიხვეწულ ბილიკზე მივდიოდით. ანახლად, ზედ ფეხებთან, ავეიფრინდა ზოხობი, რამდენიმე მეტრზე ისევ მიწაზე დაეშვა. იმავე წამს უხეილით აფრინდა მეორე, მესამე... პარკში, ბუჩქებშია აბრღვლიადღენ თვალწარმატაცი ფრთოსნები.

დიდი, ხმაურიანი ქალაქის ახლოს ამ მშვენიერი ფრინველების ხილვამ აველეღვა და ერთხელ კიდევ გვაგრძნობინა ის საოცარი ცვლილება, რაც ამ ზრიოკმა მიწამ განიცადა. ზოხბები უკვე პარკის გარეთაც მომრავლდნენ, პარკის მუდმივი ბინადარი გახდა კურდღელი, გაჩნდა მტაცებელი მელაც

თავლი ტყებზე სანახაობით, მცენარეთა მწვანე ფერი ერწყმის წყალსაცავის ფირფხისფერ ზედაპირს. ირგვლივ ყველაფერი ცურავს მზის კაშკაშა, ნათელ სხივებში. ფრთათეთრა თოლიცები დაფრთხატებენ ზღვაზე.

ჩვენ მივჩვიეთ, რომ უხვად ვისარგებლოთ ბუნების სიკეთით, მოსი სიმდიდრით, და ხშირად გვაფიქვლება, რომ იგი ჩვენს დახმარებას საჭიროებს.

თბილისის „ზღვა“ იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რა შეუძლია ადამიანს!

აქ ცდილობენ ორგანიზულად შეუხამონ ერთმანეთს ტყის მცენარეთა ბუნებრივი მომხიბვლელობა და დეკორატიულობა, — ის, რაც იქმნება მებაღე-მხატურის ოსტატობით.

თავი უდაბურ ტყეში გგონია, სადაც ადამიანის ნაკვალევი არსად ჩანს. და უეცრად, ბილიკის რომელიღაც მოსახვევში გვხვდება ტალავური, რომელიც ლურჯი მტევენებით დახუნძლული, სურნელოვანი გლიცინიის ტოტებით არის შემოხარბოთული, ცოტა მოშორებით კი მოჩანს კოხტა ბორღიფრები, ბუჩქები და ხეები, მკაცრად მოხაზულ იარუსებს რომ ქმნიან.

ერცულ ფართობზე ბევრი ასეთი დეკორატიული კუთხეებია მიმოხილული. შესანიშნავი იქნება პარკის მთავარი შესასვლელი. ახლა აქ

ყველაფერი ანგრეულ-დანგრეულია, მაგრამ გველის ცოტა ხანი და ადამიანი დატკემა მტის სილამაზით. ფერადი ვარდებით, ვეტულისფერი ნაძვებით, ზუბით შემოფარგულნი გვხვდებიან ნებით დაყოფილი, — იგი გაიქიმება კილო-მეტრნახევრიან დიდებულ ზოლად.

მოშორებით, ჩინარებისა და წყავის ქალებს შორის მალე აციმციმდება ხელოვნური ტბა. ტბის ნაპირების გასწვრივ ირგვება ტუიისა და ფთლოვანი ჯიშის მცენარეები. ტბაში ილივლივებენ შავი და თეთრი გედები...

რამდენი ხანია დაგხტიალობ პარკში, წასვლა კი მანც არ მინდა. კიდევ ბევრი რამ დამარჩა უნახავი. პარკში ხომ მთელი მეურნეობაა! საწერგებში იზრდება ათასობით ნარგავები, როგორც პარკის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ასევე სხვებისათვის — „მწვანე მშენებლობებზე“ გასავაზენად.

პარკის სიამაყეა საყვავილეები, სადაც იზრდება ვარდები, მიხაკები, ტულპანები. ისინი არა მარტო ამშვენებენ პარკს, არამედ შემოსავლის წყაროცაა, თანხა კი კიდევ საკმაოდ დასჭირდებათ პარკის კეთილმოსაწყობად. თბილისი „ზღვის“ მიმართულებით გაიზრდება. 15-20 წლის შემდეგ მის ნაპირზე ახმაურდება ქალაქი, აშენდება მრავალი ნათელი შენობა, გაიჭრება ფართო ქუჩები. მათ შორის ვივანტურ ტყედ აბიბინდება ეს ხშირი, აყვავილებული პარკი.

ვინდა, რაც შეიძლება მალე გაიხსნას მისი კარი შემსვლელთათვის, რათა მრავალმა ადამიანმა ნახოს, შეაფასოს და დატკეპს სიმშვენიერითა და სიმდიდრით.

სამგორის ოპროსფერი ვაჭი

თუ ვინდათ იხილოთ ადამიანის მზრუნველი ხელით გარდაქმნილ-განახლებული მიწა, უნდა ჩახვიდეთ სამგორის მევენახეობის მეურნეობაში. თქვენ აქ ზღაპრის აცხადების მოწმენი გახდებით.

მე ხელში მიჭირავს ძველი სურათი, რომელზეც აღბეჭდილია სამგორის უდიდებო, სეველის მომგვრელი პანორამა.

ვაკეკერი მწვანე ფერების ნიაღვარს და უნებურად მაგონდება ოდესღაც ერთი კახელი გლეხის ნათქვამი სიტყვები:

— მიწას უნდა მოუარო, მიწა უნდა გიყვარდეს, უნდა ელოლიავებოდე მას. იგი სამაგიეროს ყოველთვის მოგეცმს.

მიწისადმი ასეთი დაბოლოებული დევიზად ქცეულა მეურნეობაში.

ჭირვეულმა ბუნებამ არა მარტო გამოაზრო მიწა, არა მარტო წყალი წაართვა მას, არამედ მძინეწარე ქარბიც მოუვლინა. საჭირო იყო მიწის დაბრუნება და ამავე დროს მისი დაცვა ქარების შეშოტეებისაგან!

ორივე მიზანი მიღწეულ იქნა. არხმა მოიყ-

ვანა ნინატრი წყალი, ხოლო ხშირმა, მწვანე ნარგავებმა გზა ვალდებულს ქარებს.

მეურნეობაზე გვიყვება მისი დირექტორი ზაქარია ალექსანდრეს ძე ორჭონიკიძე. იგი ნამდვილი „მეურნეა“, ამ სიტყვის საქმიანი, მაღალი გავებით. მისი მრავალწლიანი მუშაობა მეურნეობის ხელმძღვანელად დაფასებულა ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. სიტყვატუნწი კაცი ჩანს, ცდილობს მოკლდ ილაპარაკოს:

— ჩვენი მეურნეობა საკმაოდ დიდია. ორ ციფრს დავასახელებ. მარტო მსხმოიარე ვახის ფართობი შეადგენს 372 ჰექტარს, ხოლო კარგ წელიწადში მოსავალი 1300-1400 ტონას აღწევს. ვახი, სავითოდ, დიდ მოვლას ითხოვს, ხოლო ჩვენს პირობებში ვინსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებს. აქ ყოველი ჰექტარი, როგორც იტყვიან ხოლმე, ოფლით არის მორწყული. იმ მაღალ მოედანზე რომ ავიდეთ, — დამთავრა დირექტორმა, — უკეთ დავინახავთ, რამდენი რამ ვაკეთდა ირგვლივ.

პავლიონის სახურავზე ავედით. აქედან დაუფიქსარი, ვრცელი ხედი გადაიშალა. ყოველ მხარეს ვალდებულ იყო ზერები. ისინი ქმნიდნენ კვადრატებს და სწორკუთხედებს. თვითველ მათგანს გარს ერტყა ხეთა მაღალი კედელი.

თვალუწვდენი სივრცე აღსავსე იყო იმ სიმშვენიერითა და თავისებურებით, რისი შექმნაც ადამიანის ხელს თუ ძალუძს.

აქ მეურნეობა კი არა, გვიანტური დეკორატიული პარკი რომ ვეშენებოთ, ალბათ მაშინაც კი ვერ შეძლებდნენ ეს ბორცვები და დაბლობები ასე მოერთოთ ზურმუხტისფერი სამოსელით.

თვითველი ჰექტარი რომ მოირწყოს, 800-1000 კუბური მეტრი წყალი უნდა დაიხარკოს დღე-ღამეში. ეს მთელი მდინარეა.

ჰოდა, ეს მდინარე მოედინება ზემო სამგორის სარწყავი არხიდან, მილების რთული სისტემით. აზბესტციმენტისაგან დამზადებული მილების დიამეტრი 141-იდან 258 მილიმეტრია.

ადგილის რელიეფი ბორცვიანი, დაქანებულია, მაგრამ დაზურული მილაგატარი ქმნის წნევას, რაც საკმარისია, რათა წყალმა თვითღინებთ შეადლოს ზერების თვითველ უბანში. მორწყვის ასეთი სისტემა შედარებით ძვირია, რადგან, სამავებროდ ეფექტურია. ამით აქ სამართლიანად ამაყობენ.

მეურნეობაში მოყავთ უმთავრესად ორი სახის ვახი. სახელგანთქმულ „ტაქაწითელს“ 210 ჰექტარი უყავთ, ხოლო არანაკლებ ვანთქმულ „თავრიზს“ — დაახლოებით 125 ჰექტარამდე. დანარჩენ ფართობზე იზრდება „ჩინურია“, „შასლა“, „პინო“, „ალიგოტი“.

უკანასკნელ ათწლეულს ზერების ფართობი ორჯერ გაიზარდა.

1960 წელს იგი ძლიეს აღწევდა 200 ჰექტარს. საშუალო საექტარო მოსავლიანობა, 40 ცენტნერი — აქაური პირობებისათვის მაღალი მაჩვენებელია.

მთავარ ეზოში დგას მოწინავეთა დარბაზი — მწვანე მცენარეებითა და ყვავილებით გარშემორტყმული. მასზე მოწინავე ადამიანების სურათებია გამოკრული. მათ შორის: განყოფილების უფროსი აგრონომი რევაზ კოჯელაშვილი, ბრიგადირი ნიკოლოზ კობახილი, მუშა მარია გუდუკოვა, ტრაქტორისტი ორდი ბიძიალიანი.

მეურნეობის კოლექტივში, ისევე როგორც ათასობით სხვა წარმოება-დაწესებულებაში, ჩვენი ქვეყნის მრავალ მშენებლობებზე, სუფევს ინტერნაციონალური სული.

ყოველდღიური შრომის სილაშხის შეცნობა შეიძლება მესამე უბანში. უბნის უფროსი რევაზ კოჯელაშვილი სასოფლო მეურნეობის ერთ-ერთი კვალიფიციური ორგანიზატორთაგანია. კოჯელაშვილი ოცდაათ წელს ბევრით არ არის გადაცლებული, მაგრამ მან გაიარა ცხოვრების კარგი სკოლა. მუშაობდა ჯერ რიგით კოლმეურნედ, მერე აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, მიიღო უმაღლესი აგრონომიული განათლება და, აი უკვე მესვიდე წელია, ხელმძღვანელობს მეურნეობის მოწინავე განყოფილებას. მისი ცოცხალი სახე, ქვიანური, დიწვი ლაპარაკი იზიდავს ადამიანს. მას მსურვალედ უყვარს თავისი პროფესია.

ჩვენს საუბარში მონაწილეობს ფირან მალრაძე — მეურნეობის ვეტერანი. ამ გამრჩე ადამიანმა შესანიშნავად იცის ენაში მუშაობის ყველა „საიდუმლო“.

ვლაპარაკობთ მოსავალზე, ნარგავების მოვლაზე, იმ სიმწვანეებზე, რაც წინ ელობებათ.

ტრაქტორისტებმა ტოლიაშვილმა, ალიხანიშვილმა და ბიძიალიანმა, რთაე ერთი დღის განმავლობაში ვერ მოასწრეს ვენახის შეწამვლა, გადაწყვიტეს ემუშავათ ღამით, ტრაქტორების ანთებულ ფარების შუქზე. დავალმა შესრულებულ იქნა. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. ასეთი რამ ხშირად ხდება მეურნეობაში.

ოსტატის საქმიანობაზე მისი საუბრო აღვილის მიხედვითაც მსჯელობენ. ზერები ხომ მათი „სამუშაო ადგილია“. აქ ვახი ჩინებულადაა მოვალნი. ზერებს ირგვლივ ალუბის რვა-ლი შემორტყმია. უმათოდ, ისევე როგორც უწყლოდ, ვახი დაილუპებოდა. ალუბებმა შესბორკეს ქარები. ალუბების რიგი შესანიშნავი ქარსაკავი საშუალებაა.

მეტყვევ-აგრონომი აბესალომ ჩიჭოვანი ხალისით გვიამბობს იმაზე, თუ როგორ შეიქმნა აქ ქარსაკავი ზოლი.

ბორის შატბერაშვილი
ბატონოვლიანი წყალი

იგი თვითონ რგავდა პირველ ნერგებს, უკლდა მათ და საყურთარი თვალით ხედავდა, როგორ იზრდებოდნენ ისინი და თანდათანობით როგორ ქმნიდნენ ქარისთვის გუჟვალ მწვანე კედლებს.

— ალებების ზოლი სხვადასხვა მიმართულებით ირგვებოდა, რათა ყოველი მხრიდან დაეცვა ვენახი ქარისაგან. მთავარი იყო, სწრაფად გაზრდილიყვნენ. ალვა ამ მხრივ ყველაზე ხელსაყრელი მცენარე გამოდგა ჩვენი პირობებისათვის. შეხედეთ, რა მოხდენილები არიან. აქ დარგული ხეები ერთ რიგზე რომ ვაგამწყობოდათ 500 კილომეტრზე გაივლიდა.

ამ ბოლო დროს ბევრი რომ შეიცვალა მეურნეობაში. აქ კარგად ახსოვთ, როგორ არ ჰყოფნიდათ მანქანები. მუშას, ვენახში რომ გადიოდა სამუშაოდ, ხელში თოხი, ცელი ეჭირა, ზურგზე კი აპარატი ჰქონდა მოკიდებული.

მანქანები შეამსუბუქა შრომა, გაზარდა შრომისნაყოფიერება. ასე მავალითად: აპარატი, რომელიც ტრაქტორზე დგას, დღის განმავლობაში შეწამლავს ხოლმე ათ, ზოგჯერ თორმეტ ჰექტარს, ხელით კი ერთი ჰექტარის შეწამლასაც ვერ მოასწრებ. მეურნეობას ათობით ასეთი ტრაქტორი და სპეციალური აგრეგატების მთელი არსენალი აქვს. მანქანები ბევრია, მაგრამ უხედურება ისაა, რომ ცუდადაა სათანადო ნაწილებით მათი მომარაგების საქმე.

მეურნეობა უკვე კარგა ხანია რენტაბელური გახდა.

ვენახებში იკრიფება ასობით ტონა დიდებული სუფრის ყურძენი „თავრიზი“. მათ შესანახად აგებულია მძლავრი მაცივარი. აქედან თითქმის მაისის თვემდე მიაქვთ თითქოს ახალდაკრეფილი მტკეპნი.

მეურნეობის პრაქტიკამ აჩვენა, რომ საშუალო საჰექტარო მოსავალი 40 ცენტნერი ზღვარი როდია. ზოგიერთ ნაკვეთზე ხომ 70 და 120 ცენტნერსაც კი იღებენ ჰექტარიდან.

მევენახეობა — მთავარი და გადამწყვეტი დარგია, მაგრამ მეურნეობაში არის ხილის ბაღი. აქ შესანიშნავად ხარობს მსხვილი, სურნელოვანი ატამი.

შეცნიერული ცოდნითა და მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულმა ადამიანმა სოფლის მეურნეობაში ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ დამემორჩილებინა ბუნება, აღარ ყოფილიყო მისი მონა-მორჩილი.

გასულ ზამთარში უჩვეულო ყინვებმა ძლიერ დააზიანა ვენახი. ასეთი რამ სხვა პირობებში მეურნეობას კატასტროფას უქადდა. მეცნიერების დახმარებამ, მთელი კოლექტივის ერთსულოვნებამა ღონისძიებებმა მაქსიმალურად შეამცირეს დანაკლისი.

რასაკვირველია, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო ებოძა წინ, მაგრამ სამგორელებისათვის ახალი როდია ბრძოლა სიძნელეებთან. ისინი ყველა-

ფერი გააკეთებენ იმისათვის, რომ ზურგზე კვლავ იყვიელონ, რომ კვლავ მიიღონ უკვე მოსავალი.

ადამიანები იძენენ ახალ ენერგეტიკულ ცოდნას. ისინი, ვინც აქ მუშებდა მოვიდნენ, ახლა სპეციალისტები არიან. ერთ-ერთი მათგანია ახალგაზრდა კომუნისტი თამაზ კოხჩორიძე. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან ბრიგადაში დაიწყო მუშაობა, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ შევიდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. ახლა იგი აგრონომ-მელიორატორია.

მეურნეობა — ეს მართო ვენახი და ბაღები როდია. იგი ამავე დროს თანამედროვე დაბაა, სადაც ათასამდე კაცი ცხოვრობს.

18 წლის წინ აქ გადმოსახლდნენ ღარიბი სოფლის — ნახშირგორის გლეხები. გადმოსახლდნენ და თავისუფლად ამოსუნთქეს. — ასეთ ცხოვრებაზე აღერ იცნებდა თუ შეეძლოთ.

დაბაში შეგხვდებით უამრავი კაპიტალურად ნაგები, ფართო აივნისანი სახლები. ესენი მუშების საკუთარი სახლებია. გაიზარდა კომუნალური საცხოვრებელი ბინების რიცხვიც. მეურნეობას აქვს დიდი კლუბი, ბიბლიოთეკა, არის საშუალო სკოლა.

5 ჰექტარზეა გამშენებული დეკორატიული ბაღი. ეს ბაღი, სადაც გაშლილან ვარდები და იზრდება ტუიის ბუჩქები, ელდარის ფიჭვები, ჰიმალაის კედრები, თითქოს ხაზს უსვამენ გარემო სილამაზეს და ამავე დროს განსაკუთრებულ სიმყუდროვეს და სითბოს ქმნიან.

საწარმოო კოლექტივის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვის ხტუნვა მეურნეობის წინსვლის განუხრებელი პირობაა.

ადამიანებს უყვართ თავიანთი მეურნეობა, აქ აღარ არის მუშახელის დენადობა, რაც ასე ხელს უშლის მრავალ სხვა მეურნეობას.

— ჩვენ ვცდილობთ კმაყოფილი გვყავდეს მუშები და სპეციალისტები. ძალიან ბევრი აქ მუშაობს ათი და უფრო მეტი წელია, — ამბობს პარტორგანიზაციის მდივანი, აგრონომი მერი ჯავახვილი და ხუმრობით დასძენს: — ჩვენთან ხალისით მოდიან, მაგრამ წასვლით არაიენ მიდის აქედან. მიწა უხმობს ადამიანებს შრომისაკენ. არ მოიქმნებნა კაცი, ვსულგრილი რომ დარჩეს მისი სილამაზისა და სიმდიდრისადმი.

დიდებულ სამკოლომეტრიან ხეივანს დაეუყვიეთ. ხეივანს ქმნის ნაძვები და ალგები. მათ შუა თვალს იტაცებს ვახუშის რიგი. ხეივნის თავზე ცის ვიწრო ზოლი მოჩანს. ასე გგონია, სადაც უზარმაზარ პარკში იმყოფებით...

ასეთად დარჩა ჩემს მგსნიერებაში ეს მეურნეობა — აღმოცენებული სამგორის განახლებულ მიწაზე.



აბელ ქიქვიძე

ქართველი სოციალისტური პარი

სოციალისტური ერები წარმოიშობა ბურჟუაზიული ერების ნანგრევებზე. წარმოებისა და გაცვლის წესების ინტერნაციონალიზაცია, კაპიტალიზმის ეს გარდაუვალი ტენდენცია, ამზადებს მატერიალურ წინამძღვრებს სოციალისტური ერის ნიადაგისათვის.

კაპიტალიზმი მსოფლიო მეურნეობაა. ამ მეურნეობის ერთ კერაში ე. ი. ერთ ქვეყანაში სამრეწველო ძვრები ცვლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობას და იდეოლოგიას სხვა ქვეყნებში. მაგალითად, სამრეწველო გადატრიალებამ ინგლისში დააჩქარა, შეიძლება ითქვას, გამოიწვია საფრანგეთის დიდი რევოლუცია, ხოლო ორთავე ისტორიულმა მოვლენამ განაპირობა გერმანული იდეოლოგიის (ჰეგელის დიალექტიკა, რევოლუციური მეთოდი) წარმოშობა.

კაპიტალისტური წარმოების წესი იყო ახალი თვისობრივი მოვლენა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ბურჟუაზიული ერი ამ ახალი წესის საფუძველზე ყალიბდებოდა. ამიტომ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს ისტორიოგრაფიაში ამ ბოლო ხანებში გამოთქმული მოსაზრება ქართველი ერის ფეოდალური წარმოების წესის საფუძველზე აღმოცენების შესახებ.

წარმოებისა და გაცვლის წესების ინტერნაციონალიზაცია იმას ნიშნავს, რომ აქ ძირითადი სოციალური ძალა გამოყვანილია დამოუკიდებელი, განკერძოებული შესაკუთრული წრიდან, განკერძოებული ეროვნული კუთვნილებიდან. ეს ძალა არის მუშათა კლასი, რომელიც ებრძვის ეროვნულ კარჩაკეტილობას და ბუნებრივად ატარებს სოციალიზმის იდეას.

ეს არის არა ფრაზა, არამედ ხორცშესხმული სინამდვილე. 1905 წლის 9 იანვრის ამბების გამო საფრანგეთის პროლეტარიატის მიმართვენი რუსეთის მუშათა კლასისადმი ნათქვამია: „მეუბნე, ვერავითარი სახლვარი, კედ-

ლი (რომლის აშენებას ხალხებს შორის ცდილობენ ყველა ქვეყნის დესპოტები) ვერ დაგვაშორებს ჩვენ ერთმანეთისაგან. ჩვენ თქვენთან ერთად გვაქვს ერთი და იგივე წვალეზა, ერთი და იგივე ოცნება. თქვენ — საზოგადოებრივ მთავრობის უღელში შეებმული, თქვენ — თვითმპყრობელობის მონები, იმ თვითმპყრობელობისა, რომლის მოკავშირე შეიქმნა საფრანგეთის ბურჟუაზია, თქვენ — ჰეშმარტების ძიებაში დაღლილი, დაბოლოს მიმართავთ დაჩაგრულთა უმწიკველ დამცველს — რევოლუციას... პარიზის მუშები, რევოლუციის ამ დედაქალაქის მუშები მთელი არსებით თქვენთან არიან“¹.

მუშათა კლასი კაპიტალიზმის წიაღში თავისი საწარმოო პირობებით ამზადებს წინამძღვრებს სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილებისათვის. ამ დებულების სისწორე პირველმა რუსეთის პროლეტარიატმა აჩვენა.

ბურჟუაზიული ერების ნგრევა განპირობებულია იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმადლესი სტადიის, შინაგან წინააღმდეგობათა გამწვავებით, რასაც მოჰყვება სოციალისტური რევოლუცია. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია რუსეთში იყო მსოფლიო იმპერიალიზმის ყველის შენგრევა. ამას მოჰყვა ძველი რუსეთის ფარგლებში მოქცეული ბურჟუაზიული ერების ნგრევა და ახალი ერების — სოციალისტური ერების ფორმირება. საბჭოთა სოციალისტური აღმშენებლობა ვახდა სოციალისტური ერების კონსოლიდაციის მტკიცე საფუძველი.

ქართველი სოციალისტური ერი, ისე, როგორც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი სხვა სოციალისტური ერები, ჩამოყალიბდა სოციალიზმის მატერიალურ და იდეურ ბაზაზე. სოციალიზმის ეპოქის უდიდესი მო-

¹ „1905 წლის 9 იანვარი“, თბ., 1926 წ., გვ. 20.

ნაპოვარი ვახდა კაბიტალიზმის ხანაში წარმოქმნილი ეროვნული ზღუდვების მოშლა. ისტორიული მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ რკპ(ბ) X ყრილობას, რომელმაც თავის გადაწყვეტილებებში დიდი ადგილი დაეთმო უცილობელი ღონისძიებების გატარებას ძველი რუსეთის განაპირა ქვეყნების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევისათვის, რათა ეს მხარეები ცენტრალური რაიონების თანაბრად დადგომოდნენ ინდუსტრიალიზაციის გზას.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციამ შექმნეს მატერიალური საფუძველი სოფელ სოციალისტური ურთიერთობის გამარჯვებისათვის, ერთპიროვნული, წერილი გლეხური მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობად გარდაქმნისათვის. სოციალიზმის მშენებლობის პროცესში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი ვახდა ვადაწყვეტილ ფაქტორი გლეხთა შემორჩენებისათვის სოციალიზმისაგან და თვით მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განხორციელებისათვის. ეს ღრმა და დიდი სოციალური მნიშვნელობის პროცესი ასახულია შოლხოვის ღირსშესანიშნა ნაწარმოებში — «გატეხილი ყაბირი». ამ კავშირის საფუძველზე თანდათანობით დაძლეული იქნა წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის.

ბურჟუაზიული ერები ემყარებიან ქალაქსა და სოფლის დაპირისპირებულობას. ქალაქი კაპიტალიზმის დროს იზრდება სოფლის ჩამორჩენილობის ხარჯზე. სოციალისტური ერები პირიქით, ემყარებიან ქალაქსა და სოფელს შორის მტკიცე კავშირს. სოციალიზმის დროს ერთი და იგივე მატერიალური და სოციალური ძალები წარმართავენ როგორც ქალაქის, ისე სოფლის ცხოვრებას.

აქედით საქართველოს მავალითი. ახალი სოფელი კეთილმოწყობილი ვახდა რკინიგზით, ფართო გზატკეცილებით, საპერო ტრანსპორტით, სატელეფონო ხაზებით, რადიოკვანძით. ქალაქთან დაკავშირებული ეს სოფელი ძირითად ნიშნებში იმეორებს ქალაქის საწარმოო ცხოვრებას: ელექტრიფიკაცია, სოფლის მეურნეობის დარგების მექანიზაცია, ფაბრიკები, ქარხნები, მანქანატრაქტორის სადგურები, საკოლმეურნეო ფერმები, საწარმოო-სამომხმარებლო კოოპერაციული დაწესებულებები, ჯანმრთელობის, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები — სოციალისტური, იგივე საკოლმეურნეო სოფლის კუთვნილება.

კარჩევტილობის ნაცვლად ახლა სოფლის მცხოვრებთა ხვედრია ფართო მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ვარდა იმისა, რომ კოლმეურნე ჩამხულია სოფლის საწარმოო ცხოვრებაში და ქმნის საზოგადოებრივ დოვლათს, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს თვითშემოქმედებით საქმიანობაში, მოისმინოს

რადიო, წაიკითხოს ვახუთი, წიგნი, დავსწავლოს წარმოდგენებს, თვით ვახდეს მხატვრულ მოქმედებით ძალად. კოლმეურნის შედეგად უმაღლეს სასწავლებლამდე ფართო ასპარეზი ეშლება ფიზიკური და ვინებრივი ზრდა-განვითარებისათვის. მას შეუძლია თავისი მიდრეკილებისა და ნიჭის მიხედვით ვახდეს სპეციალისტის ინჟინერი, აგრონომი, ექიმი ან მასწავლებელი, მეცნიერი მუშაკი თუ ხელოვანი. ამრიგად, სოციალიზმის გამარჯვება მოასწავებს განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების გააძევევას ხალხის კუთვნილებად.

მხოლოდ სოციალიზმმა შეუძლარჩუნა ქართველ ერს მისი დედა ქალაქი, რომელიც ჩვენს დროში ვახდა ეროვნული კულტურის უდიდესი ცენტრი. საბაზო მეურნეობის რეკონსტრუქციამ გამოიწვია დიდი სოციალური ძვრები, მოხსნა კლასობრივი ანტაგონიზმი, განხორციელდა კულტურული რევოლუცია, რაც მოასწავებს სულერად ე. ი. იდეურად ადამიანის გარდაქმნას. კლასობრივი ანტაგონიზმის მოხსნამ სრულყო საზოგადოების იდეური გარდაქმნის საფუძველები. სოციალისტური საზოგადოების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა საბჭოთა ხალხების ურთიერთდახმოვებამ საწარმოო გამოცდილების ურთიერთდახმობის ნიადაგზე.

როცა მხახრამისა და დუშეთის რაიონებში ჩამოდიან კოლმეურნეები უკრაინიდან ან დარესტინიდან და პირიქით, ან რაიონების კოლმეურნეები ესტუმრებიან ხოლმე უკრაინელებს ან დარესტინელებს, ეს მართო საზიგოო შეხვედრა კი არ არის, არამედ ხალხთა დაახლოების, ინტერნაციონალიზმის რეალური გზა და მისი უტუყარი მაჩვენებელია.

ამრიგად, სოციალისტური ერების არსებობა საბჭოთა კავშირში ხალხთა ინტერნაციონალური ერთიანობის ცხოველყოფელი გამოხატულებაა.

ბურჟუაზიული ერებისაგან განსხვავებით, ერებისა, რომელთათვის, დამახასიათებელია ეროვნული ჩავგრა, ერთა შორის ქიშპობა, სოციალისტური ერები ახორციელებენ და იცავენ ერთა თანასწორუფლებიანობას და მეგობრობას, რადგან სოციალისტური ერების ხელმძღვანელია ინტერნაციონალური ბუნების მქონე მუშათა კლასი და მისი პოლიტიკური პარტია, კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის სოციალიზმის გამარჯვებამ მოსპო კლასობრივი ანტაგონიზმი, ნაციონალიზმი და შექმნა ერთა-შორის ინტერნაციონალური მეგობრობის მტკიცე ნიადაგი.

ინტერნაციონალიზმი, რომელსაც კაბიტალიზტური წარმოების პირობებში ყოველთვის უპირისპირდებოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, თავის განხორციელებას პოულობს სოციალისტური ერის ფორმირების და განვითარების

პროცესში. მისი ცხოველყოფილობის საფუძველია უპირველესად ინტერნაციონალიზმის იდეის თავდაპირველი მატარებელი მუშათა კლასი, წარმმარაველი ძალა სოციალისტურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმი იყო და არის მუშათა კლასის იდეოლოგია. მარქსიზმ-ლენინიზმში, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი მთელი სოციალისტური ერის იდეოლოგია გახდა.

მოიშალა ეროვნული კარჩაეტილობა. ქართველი მუშა, ქართველი ინჟინერი ახლა ისეთივე მონაწილეა მოსკოვის, თუ დნებროპეტროვსკის წარმოებებისა, როგორც თბილისისა და ბათუმის წარმოებების.

როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო მნიშვნელობის საწარმოებში, საქართველოში თუ საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა რესპუბლიკებში ქართული მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, აგრონომები, ექიმები აქტიურად არიან ჩაბმულნი უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა დიდ ფერხულში.

სოციალისტური ერების ეკონომიური ცხოვრების საერთო ნიადაგი არ ეწინააღმდეგება მათი ყოფაცხოვრების ეროვნულ ფორმას. პირიქით, იგი უფრო უწყობს ხელს ამ ფორმის შემდგომ განვითარებას და სრულყოფას.

ამიტომ, გასაკება, თუ რატომ განვითარდა ესოდენ უჩვეულო სისწრაფით ქართული კულტურა. ბურჟუაზიული წყობილების დროს როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოში განათლება და კულტურა მოსახლეობის ზედაფენების კუთვნილება იყო. მხოლოდ სოციალისტურმა დემოკრატამ განახორციელა სახალხო განათლება და აამალა ხალხის კულტურული დონე.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ნიჭიერი ქართველი პუბლიცისტის ნ. ურბნელის აზრი ისეთ დიდ ეროვნულ კულტურულ დაწესებულებაზე, როგორც იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

სახალხო განათლება, ნ. ურბნელის სიტყვით, განუხორციელებელია ბურჟუაზიული წყობილების დროს; ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა ვიდატაკებულია და საშუალება არ აქვს კანონით დაშვებული განათლების უფლებით ისარგებლოს. ხოლო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც მოწოდებულია სწორედ ღარიბ მოსახლეობას დაეხმაროს სწავლა-განათლების მიღებაში, ქველმოქმედების ფარგლებს ვერ გასცილდება. ეს, რათქმა უნდა, მდგომარეობას ვერ ცვლის...

მაგრამ, აი შეიძლება ეს ბურჟუაზიული წყობილება და რა მოხდა? საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 15 წლის თავზე იგრძნობოდა მანამდე არნახული ვერტიკალი მდინარების უმნიშვნელოვანეს დარგებში. რესპუბლიკაში, 1936 წელს, ითვლებოდა 19 უმაღლე-

ნი სასწავლებელი და 20 საკლავი-სამეცნიერო ინსტიტუტი. საბუნებისმეტყველო, მათემატიკური და ჰუმანიტარული მეცნიერებებს სწავლებები ამოერიდან ხალხის წიაღიდან გადმოიყვანა დალებმა დაიჭირა.

საქართველოს მუშათა კლასი კოლმეურნი გლეხებთან ერთად თავის ბედის პატრონი გახდნენ. ისინი საწარმოო ცხოვრებასთან ერთად მაღალ კულტურულ შემოქმედებითი მუშაობას ეწევიან.

საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში, რომელიც სოციალისტური ერის პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს, ტარდება უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი ეროვნული კულტურის ძეგლების აღდგენისა და დაცვისათვის. ყოველ კულტურულ ერს წარსულში ჰყოლია გამოჩენილი მოღვაწეები, რომლებიც თავიანთი აზრითა და გონებით, ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ, ჰყვებოდნენ ხალხის გრძნობასა და გონებას. ქართველმა სოციალისტურმა ერმა მხურვალედ მიიღო წარსულის მემკვიდრეობა და თავის სამკაულად გაიხიდა იგი.

სოციალისტური ერების უპირატესობას ბურჟუაზიულ ერებთან შედარებით კიდევ ის შეადგენს, რომ აქ ფართოდ ეხსენება გზა ეროვნული კულტურის მიღწევებს და ერთი ერის საგანძური მეორისათვის გასაცემი და მისაღები ხდება. სოციალიზმის პირობებში გონდება ხალხური ეპოსის უცვლადი სახეები, რომელიც მალანიჭიერ შემოქმედებისათვის ხდება უშუალო წყარო ეპიკურ ნაწარმოებთა შექმნისათვის. ქართული ხალხური მუსიკა მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების შედეგად გახდა ქართველი სოციალისტური ერის სამკაულად.

ქართველი სოციალისტური ერი თავისი მატერიალური და სულიერი კულტურის ძალებით გახდა სოციალისტური ერების დიდი ოჯახის — საბჭოთა კავშირის ღირსეული წევრი. საბჭოთა კავშირი ხალხთა სახელმწიფოებრივი გაერთიანების მტკიცე და ურყევი საფუძველი შეიქმნა იმიტომ, რომ იგი ეწყარება სოციალისტური ერების ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ძალთა ერთიანობას.

ქართველი სოციალისტური ერის ტრიუმფი იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლის თავის აღსანიშნავი საიუბილეო დღეები. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის, უკრაინისა და ბელორუსიის სსრ, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქების, ბალტიისპირა რესპუბლიკების, შუააზიის რესპუბლიკებისა, მოლდავეთის სს რესპუბლიკისა და უშუალო მეზობლების საბჭოთა აზერბაიჯანისა და სომხე-

აბელ აივაშიძე
ქართველი სოციალისტური მირი

თის დედეგაციების გამოსვლები საიუბილეო სტომოზე იყო საბჭოთა სოციალისტური ერების ძმური, მეგობრული დამოკიდებულების ბრწყინვალე დემონსტრაცია.

სიყვარულით გაიხსენა საიუბილეო სტომოზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ქართული მემდარმთავარი კონსტანტინე ლესელიძე, რომელმაც არა ერთი სახელოვანი ფურცელი ჩასწერა სამამულო ომის ისტორიაში და თავი დასდო დიდ სამამულო ომის ფრონტზე საბჭოთა ხალხების გამარჯვებისათვის. სამამულო ომი იყო დიდი გამოცდა სოციალისტური ერების ინტერნაციონალური თანამშრომლობისა. საიუბილეო სტომოზე გამოსული დედეგატები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვ. აღნიშნავენ ქართულ მეომართა თავდადებისა და ლეგენდარული გმირობის შესახებ ფრონტებზე. საქართველოს 3,5 მილიონი მოსახლეობიდან 700 ათასამდე კაცი გაწვეული იყო სამამულო ომის ფრონტებზე. სკვ პარტიის პროგრამაში ვკითხულობთ: „სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანებში შეიქმნა სულიერი სახის საერთო ნიშნები, რომლებიც წარმოშობილია ახალი ტიპის საზოგადოებრივი ურთიერთობით და რომლებშიც განსახიერებულა სსრ კავშირის ხალხთა საუკეთესო ტრადიციები“. ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რაც საუკეთესო შექცა ამა თუ იმ ერს, კი არ იშლება, არამედ აქვს საერთო კულტურის საგანძურში“.

სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანების სულიერი სახის საერთო ნიშნების მკაფიო დამადასტურებელია რუსთაველის ძეგლი მოსკოვში, ხოლო პუშკინის, გოგოლის და გრიბოედოვის ძეგლები — თბილისში. არავის უთქვამს და არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ძეგლები ეროვნული მოვლენა არ იყოს.

საყურადღებოა პროფ. კალტახჩიანის სტატია — Советский народ—новая историческая общность людей («Правда», 17 марта 1917).

ავტორი სწორ დასკვნებს აკეთებს მუშათა კლასის როლზე საბჭოთა ერების განვითარების საქმეში, მაგრამ იგი თავისებურად ხსნის ხალხთა დაახლოებას მათი ეკონომიური ერთობის საფუძველზე სულიერი კულტურის ერთობის შექმნას. ხალხების მიგრაცია ანუ ნაციონალურ რესპუბლიკებში მათი შერევა, პროფესორ კალტახჩიანის აზრით, იწვევს იმას, რომ მოსული ხალხი ითვისებს ადგილობრივი ხალხის ენას, ჩივივებს, ამ გზით ხდება მათი დაახლოება და მამასადამე ნაციონალური ერთობის უმაღლეს საფეხურზე ხალხების მოქცევა. მაგრამ კალტახჩიანი აღარაფერს ამბობს იმაზე, რომ მოსული ხალხი ადგილობრივ ხალხის ენის შეთვისებით სრულიად არ იფიქსებს თავის ენას, თავის ზნეს და ჩვეულებას. უკანასკნელ პერიოდში დისკუსია გაიშალა ერის განსაზღვრების საკითხზე. ავტორთა ერთი ნა-

წილის აზრით არაა საკმარისი ერის წინააღმდეგობა, საჭიროა მეხუთე ნიშნის დამატება. მეხუთე ნიშანი — სახელმწიფოებრივი ერთობა. ამასთანავე ნავე, ერის ნიშნები: ტერიტორია, ენა, კულტურა შეიძლება შეიცვალოს ერთი ცნებით — ეთნიკური ერთობა“.

ჯერ კიდევ ფერდალოზმის ხანაში, საუკუნეების განმავლობაში ერთიანი სახელმწიფოებრივი ძალით იშლებოდა ეთნიკური კარნაკტილიცა.

ერობაში ერების კონსოლიდაციას ემთხვეოდა ეროვნული სახელმწიფოების გაჩენა, მაგრამ არა ყველგან. საკუთარი სახელმწიფოს უქონლობა ხელს არ უშლის ბურჟუაზიულ ერად ხალხების ჩამოყალიბებას და განვითარებას. ავიღოთ ირლანდიელები, ჩეხები, სლოვაკები, და სამხრეთ სლავები. ვანა მათ თავიანთ ეროვნულ განვითარების გზაზე სახელმწიფო უქონდათ? რასაკვირველია, არა, მაგრამ კაპიტალისტური განვითარების გზაზე ისინი ჩამოყალიბდნენ ბურჟუაზიულ ერებად.

ქართველები და სომხები კაპიტალისტური განვითარების გზაზე სახელმწიფოებრივობის გარეშე შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყვნენ ბურჟუაზიულ ერებად და ასედაც მოხდა.

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მაგივრობა ქართველი ბურჟუაზიული ერის ჩამოყალიბებაში წვედა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, სხვა არის და ოფიციალურ პოლიტიკურ დაწესებულებათა კრებადობა, სახელმწიფოს სახით კიდევ — სხვა. მათ შორის არაფერია საერთო.

მკვლევარები უფრო შორს მიდიან. ისინი მოითხოვენ არ ვიხმაროთ ცნება — „ბურჟუაზიული ერი“ რადგან, მათი აზრით, ბურჟუაზია მხოლოდ ნაწილია ერისა და მამასადამე, ტერმინი „ბურჟუაზიული ერი“ არ გამოხატავს ერის შინაარსს. ზოგი ავტორი ტერმინის „სოციალისტური ერი“ წინააღმდეგაც გამოდის. რატომ, რა საბუთით? ერი, მათი აზრით, არის „სოციალ-ეკონომიური განვითარების უმაღლესი საფეხური“. ამიტომ უნდა „ვიხმაროთ ბურჟუაზიული ერის ნაცვლად ერი კაპიტალიზმის (ბურჟუაზიის ეპოქაში), სოციალისტური ერის ნაცვლად, ერი სოციალიზმის ეპოქაში“. გამოდის, რომ ერი კი არ იცვლება, იცვლება მხოლოდ ერის შემადგენელი საზოგადოებრივი კლასები, ერი კლასზე მაღლა დგას, ის ზეკლასიური მოვლენაა. ასეთი თვალსაზრისი მცდა-სიერი.

აქ არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლო ხანებში გავრცელებული არა სწორი თვალსაზრისი ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ. ამბობენ, რომ ქართველი ბურჟუაზიული ერი ყალიბდებოდა ადრეულ საუკუნეებში. ვანა ეს მართალია?



ყოველთ, XI—XII საუკუნეში მთლიან საქართველოს ე. ი. ყოველ საქართველოს (როგორც მაშინ იტყობდნენ) ჰქონდა ტერიტორიის, ენისა და კულტურის ერთობა. განა ეს ერთობა, რომელიც აუცილებლად ნიშნავს პოტენციურ ერთობას, გაგრძელდა ისე, რომ შესაძინებელი შემდეგ საუკუნეებში პროცესი ერის ჩარყვლიბებისა? ცხადია არა. XVI—XVII საუკუნეებში სრულიად გამორიცხვლია XII საუკუნის მონაპოვარი ქართველი ხალხის ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებაში. მხოლოდ ისტორიულმა მოვლენებმა; მაგნიზ ზღვაზე ოსმალეთის გაბატონებამ, ამერიკის აღმოჩენამ და მხოლოდ საავტორო-სააღმზრდელო გზების აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადასვლემამ საქართველო და მთელი ამიერკავკასია მოაქცია დამპყრობელი ჩამორჩენილი ფეოდალური ქვეყნების ირანისა და ოსმალეთის რკალში. ამ მუსლიმანურმა მსოფლიომ დიდად იმოქმედა ჩვენი ქვეყნის შინაგან განვითარებაზე. დაიწყო ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის კონტრაქცია, რაც დაავიკრიგინა ფეოდალურმა სტატუარობამ, როგორც პოლიტიკურმა საქრამმა. ამის შედეგი იყო საქართველოს ექცემა ცალკეულ მხარეებად.

ქართველი ერის რომელ ჩამოყალიბებაზე ვსიძლება ღამარაკი XVI საუკუნეში, როცა მერეთის, ქართლის თუ მესხეთის პოლიტიკური ხელისუფალი ერთმანეთს თავს ეხსობდნენ და ვარეუდ დამპყრობ ძალებს ერთი მეოხის, წინააღმდეგ რაზმადენენ! სწორედ ამ პირობებამ განაპირობა ქართული კულტურის დიდადი ცენტრის მესხეთის მოწყვეტა საართველოსაგან და მამადაინობის მორფეში მისი დენაციონალიზაცია. ფეოდალურ ყოფიეობაში, როცა კულტურის ერთობის ინშენების მონასტრო ცენტრები ატარებენ, ქალაქ თბილისს არ შეეძლო განემტკიცებინა ეს ერთობა, მისი, როგორც პოლიტიკური ცენტრის უდიდესი ენიშვნელობის მიუხედავად და რამდენი თუ ვნისობლი, საყმაოდ ხანგრძლივიც, როცა აბილისი ირანელ დამპყრობლებს ეკირათ, მკრამ ქართლის სამეფოს პოლიტიკური ცხოვრება არ წყდებოდა, იგი ანანურს, მცხეთას, თუ გორს აფარებდა თავს. აქედან გასაგებია ს დიდი ხარეეებში, რაც დამახასიათებელი იყო ფეოდალურ საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში. მამ სიადან შეგვიძლია ვამტკიცოთ საუკუნეების განმავლობაში ქართველი ერის ჩამოყალიბების ერთიანი პროცესი? ამ რიგის ადვილი არ ჰქონია, მაგრამ იყო ლიერი ფეოდალური ქართული კულტურა, ყვე ეროვნული კულტურა, რომელსაც შეედეგნდა საქართველოს ყველა კუთხეებისათვის ერთო ხელოვნება და ლიტერატურა.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში

ამ ბოლო დროს ისე დააყენეს ავტონომიზმი საქიბით და გამართლებას აძლევენ ქართველ ფედერალისტების პროგრამულ მოთხოვნებს. რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ ავტონომიურად შეეყვანათ საქართველო მემამულურ-ბურჟუაზიულ რუსეთის ფარგლებში.

ქართველი მარქსისტები ამ მოთხოვნის ჟერ კიდეც 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში გამოდნენ და ახლა, ვინც კი ერკვევა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებში, უეჭველად დაგმობს და რეაქციულად მიიჩნევს ფედერალისტების ეროვნულ პროგრამას.

ავტონომია უპირველესად ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივი კატეგორიაა, მაგრამ იგი როდი მოასწავებს სიკეთეს ავტონომიურად მოწყობილ პატარა ერისათვის. ის მხოლოდ დიდ ერს უწყობს ხელს პატარა ერის ყოველმხრივ შეზღუდვაში, მისი დოვლათის მითვისებაში. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიული წყობის დროს ავტონომია პატარა ერის სახელმწიფოებრიობისათვის ერთადერთი გამართლებული ფორმა, მაგრამ არა ნაციონალური, არამედ საოლქო ავტონომიის სახით, რომელიც უზრუნველყოფს განსაზღვრულ ტერიტორიებზე მოსახლე სხვადასხვა ერებისა და ხალხების სოახლოვეს მუშათა ინტერნაციონალური ერთიანობის ნიადაგზე. ხოლო სოციალური რევოლუციის იმ ეტაპზე, როცა საჭირო იყო მუშათა კლასის შეერთებული ბრძოლით თვითმპყრობელობის დამხობა, ავტონომიზმიც გამოყოფა არა რუსი მუშებისა რუსეთის მუშათა კლასისაგან მოასწავებდა მუშათა რევოლუციური ბრძოლის დებორჯანიზაციას, ცარიზმისათვის ხელის შეწყობას. ავტონომიის დამცველი, მამსისადამე, თვითმპყრობელობის საქმე აყუთებდნენ, ისინი რეაქციულ პოზიციებზე იდგნენ.

მხოლოდ სოციალისტურ წყობილებაში შესაძლებელი ავტონომიურად ერების სახელმწიფოებრივი მოწყობა ისე რომ ავტონომიის მქონე ხალხი დაწინაურდეს, ის არ ინაგრებოდეს. მაგრამ აქაც საჭიროა ანგარიში ეწყოდეს ეროვნული ერთეულის თუ ეროვნული განვითარების გზაზე ხალხის ჭკუფების საერთო მდგომარეობას.

როგორც ცნობილია, ე. ი. ლენინმა დამგმო ავტონომიზმი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების საქმეში. კომისია, რომელსაც ე. სტალინი ხელმძღვანელობდა, რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ავტონომიურად გაერთიანების პროექტს აყენებდა. ლენინმა მოითხოვა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნა, ამ კავშირის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც კიდევეც განხორციელდა, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მალე იღღესასწაულებს გამარჯვებულ საბჭოთა ხალხი.

გრიგორი სკოპოროლა

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნება XVIII საუკუნის გამოჩენილი უკრაინელი ფილოსოფოსის, პოეტის, პედაგოგისა და განმანათლებლის გრიგორ სკოპოროლას დაბადების 250 წლისთავი.

ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოში პირველად ითარგმნა სკოპოროლას რჩეული ნაწარმოებების კრებული. წიგნს სცემს გამომცემლობა „მერანი“.

უურნალ „ციცკრის“ მკითხველებს ვთავაზობთ სკოპოროლას რამდენიმე ნაწარმოების ქართულ თარგმანს ხსენებული წიგნიდან.

კრებულიდან „ღვთაებრივი სიმღერების ბაღი“.

მე-3 სიმღერა

ჰა, სანუკვარი ღვთით გაზაფხული მოვიდა — ტყეთა, მინდორთა მკობად...
 აჰა, წავიდა მკაცრი ზამთარი, აყვავდნენ ბაღნი, — ბუღბუღლთა ხმობენ...

შენ ლამაზ სოფლებს ნუ ეკარები, გულს ნუ უკაწრავ ბასრი ბრჭყალებით, ჩადი ჭაობში, ჩადი წვევარამში შავი კარებით, ო, მწუხარებავ!

ჯოჯოხეთს ჩადი წყვილიადის ტვირთად! შენ რა ხელი გაქვს სამოთხე — მტილთან? სული მიერთო კაშკაშა სხივთა იღუმალების, ო, მწუხარებავ!

უნუგეშოდაც სვიან არს ოდით, ვინც დაამარცხა სიკვდილის ცოდვა... უფლის ქალაქი — სულია მისი, ო, სულთ მისი — ბაღია ღვთისა!

ყვავილოვანი ის მარად ნახონ, ის ბაღი მარად მოისთელის ნაყოფს... ყოველ გაზაფხულს აყვავდეს ისა და არ დაცვივდეს ფოთოლი მისი!

ღმერთო, შენა ხარ ჩემი ქალაქი, ჩემი სამოთხე კეთილსამყოფი... უბიწოება ყვავილებია, სიყვარული და ზავი — ნაყოფი!

მა არის სული სხივთამებნელი,
წალი ხარ მისთვის მაცოცხლებელი...
მის ცაზე დარდს და ვარამს წაშლიდე...
ო, ტანჯვათაგან მე დამამშვიდე!..

მე არაფრისა არ მეშინია, —
ცოდვათა მხოლოდ — გულგვამის მწველთა!
მოსპე ისინი, ჩემს სულში მოსპე! —
ჰა, გასაღები ნუგეშთა ჩემთა!



თარგმან ანა კალანდიაძე

მე-8 სიმღერა

უბედურება თავს დამატყდა ჯოჯოხეთური
და სასიკვდილო ჭრილობებით გაეხდი ბედკრული.
შიში, ბნელეთი და წყვდიადი ჩემს შთანთქმას ლამობს,
ო, უღმობელო, ბოროტო ჟამო!

სენის საშინელ ეკლებიგან მეწვის სხეული
და მწუხარება სული ჩემი, სული ეული.
ვინ ამაშორებს ამ განსაცდელს, შევთხოვდი გამჩენს,
ვიცოდე მაინც, ვინ გადამარჩენს!

როგორც ირემი შორეული მთისაკენ ჩქარობს,
ფრინველზე სწრაფი ეშურება ანკარა წყაროს.
წყურვილი ახრჩობს და გულდვიძლი დაუწვას ლამის,
მთელი სხეული სავსეა შხამით!

გოლგოთისაკენ ვეშურები, მივჭრი მწყურვალი,
ორ ავკაცს შორის იქ ჰკიღია ჩემი მკურნალი.*
ეს იოანეს ხმა მომესმის, მოთქმის და ლოცვის,
ლოცვადქცეული წმინდა ჯვარს ჰკოცნის.

იესო ჩემო! აქა ცხოვრობ? აქა გაქვს ბინა?
ღმერთო, ტანჯულთა სიხარულო, იმედად ბრწყინავე,
მომეც წამალი განკურნების, შენს ერთგულ მლოცველს,
ოღონდ დაცემის ნება არ მომცე!

თარგმან რევაზ მარგინაძე.

მე-20 სიმღერა

ვინც წმინდანია სასუფეველს იხვეჭს მარადის,
მას არ სჭირდება არც ჯავშანი, არც მუზარადი.
უბიწოება არის მისი ჯაჭვის პერანგი,
რომ აიცილოს შეცოდება ან ფათერაკი.
ღვთაება მისი მასწავლია, მისი ფარია,
სულით აღმასის კედელია და ნეტარია.

* იქ ჰკიღია ჩემი მკურნალი — ივულისხმება ქრისტე.

ბოი ქვეყანავ, შურისა და ცოდვის ქვეყანავ,
მეფეთა სკიპტრას და სიავეს რათ თაყვანე.
იმ აღთქმულ ნაპირს ვლტვის სული და სათნობა,
გრიგალი დანთქავს ამქვეყნიურ ამოებას.
შენი სიგორი* — სიწმინდეა, ცაა ისევე,
ო, იქ დასახლდი, იქ დასახლდი და განისვენე.

იმ წმიდა ადგილს მეუფება იცავს სამების,
მას ვერც ისრები მისწვდებიან ცილისწამების,
ვერც ყუმბარები, ვერც ნალმები მიეკარება,
იგი მარადი წალკოტია და ნეტარება.
სულით კეთილი, სულით სათნო იყავ ისევე,
ო, იქ დასახლდი, იქ დასახლდი და განისვენე.

იქ მტრებიც უყვართ — სიყვარული ისე დიდია,
იქ ყოველი გზა სიყვარულის გზა და ხიდია.
მანც სად არის ეს ქალაქი ასეთი წმინდა
ნუთუ ცაშია და იღვრება ნათელი ციდან?
იგი შენა ხარ, თუ ცოდვები სულში ალაგმე
შენა ხარ წმინდა ტაძარი და წმინდა ქალაქი.

თარგმანა შოთა ნიშინიძეა.

კრებულიდან „ხარკოვული იგავები“.

ღამურა, მტრადისა და გვრიტის ბარტყები

ქვესცნელის ბინადარი დიდი ცხოველი, თხუნელას რომ ჩამოგავს, ერთი სიტყვით, — დიდი თხუნელა, დათაფლულზე-დათაფლულ წიგნსა სწერდა ზმელეთის მკვიდრ მხეცებსა და ზეცაში მონაჯარდვ ფრინველებს.

— მაოცებს თქვენი ცრუმორწმუნეობა; იმი-სი წყალობით ქვეყნად ისეთი რამ იპოვეთ, რაც არსად არ არის და არც არასოდეს ყოფილა; ვინ შთავაგონათ უგნური აზრი, თითქმის ქვეყნად მზე არსებობდეს? თქვენ თხუქლებებშიც ის არის ხობამესხმული, ყველა საქმის თავკაცად იმას მიიჩნევთ, ვითომც ის ატკობდეს ცნობრებას, ცხოველებს ასულდგმულეზდეს, აცისკროვნებდეს წყვილიადს, ნათელს ასხივებდეს, დროს ანახლებდეს, რომელ დროს? წყვილიადი ერთია ქვეყნად, ასევე ერთია დრო-უამიც, სხვა დროის არსებობა

თქვენი მოგონილია, ჭორია, წმინდა წყლის ზღაპარია... ეს ერთი სისულელე სხვა სიბრძნეა ნაყოფიერი დედაა, თქვენთან ყველა ცრუობს, ყოველ ნაბიჯზე სტყუიან: სინათლე, დღე, საუფენე, სხივი, ელვა, ცისარტყელა, ქეშმარიტება — რას არ ჩმახავენ. ყველაზე სასაცილო კი ის გახლავთ, თაყვანს რომ სცემთ ქვეყნის თვალად წოდებულ ქიმერას, თითქმის და ის იყოს სამყაროს სარკე, სინათლის მეგობარი, საღარო სიხარულისა, ქეშმარიტების კარიბჭე... ბარბაროსობაც ამას ჰქვია! ჩემო ათილო მეგობრებო, ნუ ხართ ბრყიყები, ვადიდეთ ცრუმორწმუნეობის უღელე. სანამ არ მოიხელთებთ — ნურაფერს დაიჭერებთ. ცხოვრება ქვრეტად ჯდომა როდია.

1774 წლის, 18 აპრილს, ქვესცნელიდან N. N. ეს წიგნი, არწიეისა და შევარდნიის ვარდა, ბევრ ფრინველსა და ცხოველს მოეწონა, მაგალითად: ბუს, მიკიოტს, ოფოფს, ქორსა და ქოტს. ყველაზე მეტად მანც ღამურა აღფრთოვანდა. დაინახა თუ არა გვირტიხისა და მტრედლის ბარტყები, მაშინვე ამ ბრძნული ფილოსოფიით იმათი გაბედნიერება მოიწადინა.

* „შენი სიგორი — სიწმინდეა, ცაა ისევე“ — სიგორი — ბიბლიური მითოლოგიის მიხედვით ქალაქია სამხრეთ პალესტინაში. ამ სახეს აქ ავტორი „თავშესაფარის“ მნიშვნელობით ხმარობს.



მამინ თქვა გვრიტმა:
 — ჩვენი შრომები შენზე უკეთესი მას-
 ქელები არიან. მართალია, წყვედიადისაგან
 ქვეით, მაგრამ სინათლის შვილები ვართ.
 თქვა მტრედმა:
 — ბატყუარას ვერაფერს დაგიჭერებ, შენ
 ეწინაა მარწმუნებდი, მზე არ არსებობსო,
 სიკრამ მე ერთ მოქუფრულ დღეს დაბადე-
 ხულმა, პირველსავე კვირას, დილაადრიან,
 რეთონ ვიხილე ამოხდომა ქვეყნიერების უმშ-

ვენიერესი თვალისა. შენ და ოფოფს კი ოც-
 მაკი დაგპატრონებიათ და იმიტომაც ჰყარ-
 ხართ.
 შეგონება: ნათელი და წყვედიადი, ხრწნაღღა
 და მარადისობა, რწმენა და ურწმუნოება —
 აი, ქვეყნიერების შემოქმედნი, ერთურთისა-
 თვის ფრიად საჭირონი. ვინც ბნელია, დაე,
 ბნელადვე დარჩეს, ხოლო ვინც სინათლის შვი-
 ლია — ნათელ იყოს. ყოველს ნაყოფით შვიც-
 ნობდეთ.

ორი თვალის კატროსანი: აღმასი და ზურმუხტი

შევის კარზე ბატყვსა და დიდებაში მყოფი
 ზურმუხტი თავის მეგობარ აღმასს სწერდა:
 კეთილო ჩემო!
 მებრალეები ფრიად, სახელისთვის არ ზრუნავ
 და ნაყარწყარილი ცხოვრობ. მე კარგად ვუწ-
 ყი ყოველი ღირსება შენი. დია ღირსი ხარ
 ზეტის წარჩინებისა, მაგრამ იმ შანდალს მომა-
 ყონებ, იღუპალის ალით შუქთა ჰვენდეს და
 მწიად დაღვლულ იყოს. რაღა ფასი აქვს იმა
 სხვათა, თუკი კაცთა მზერას არ განაცვიფ-
 რებენ, არა ჰხიბლვენ. ყოველივე ამა სიკეთეს
 მივისურვებ მეგობარი შენი ზურმუხტი.
 ძვირფასო ჩემო! — მისწერა პასუხად აღ-
 მასმა, — ნათება ჩვენი მოკვდავთა თვალს
 აბურებს მხოლოდ. ჩვენთა შემაცქერალთა ისა
 ბოლომ, ელვარე ცას ზე ახელონ ხშირად, რა-

მეთუ ჩვენ ოდენ მკრთალი ათინათი ვართ მი-
 სი. მთრამავნი ფასს კი არ გვაღებენ, საცნაურ
 გვეყოფენ. კაცთაგან ხოტბის შესხმითა, წარმო-
 ჩინებითა, არც ღირსება შეგვემატება და არც
 მოგვაცლდება შეზიზღებითა, დაეწყებითა და
 გმობითა. ამა ფიქრებით დაეშთები შენდა მე-
 გობრად — აღმასი.
 შეგონება: ფასი და ღირსება — ორივე ერ-
 თია. ვისაც ესენი არ მოეძევება, გარეგან
 ბრწყინვალეებას იძენს ყალბი აღმასისა და ნა-
 ქურდალი მონეტის მსგავსად, განათლება, სულ-
 გრძელობა, სამართლიანობა, სიმტკიცე და
 უბიწოება — აი, ჩვენი ფასი და ღირსება!
 ძველი ანდაზა გვეუბნება: უგნური გამოსაჩენ-
 ადგილს ეძებდა, გონიერი კი კუთხეშიც ჩანდა...

აკლემი და ირემი

აფრიკული ირემი გველებითაც იკვებება.
 ერთხელაც გვირანად გამოძლა და შხამმა გა-
 ეთხაბა რა შიგნეული, მოაწყურა. ჩიტებზე
 წრავად მიაშურა მთის წყაროებს. გზად აქ-
 ლემს გადაეყარა, მღვრიე წყალს რომ დასწა-
 ვებოდა.
 — საით მიიქტარი, ქორბუდაც ბატონო,
 ბოდი, დამეწვიე, — გამოეხმაურა აქლემი.
 — მღვრიე წყალს გემოს ვერ ვატან, — მო-
 სილოშია ირემმა.
 — თქვენი მოდგმა მართლაც მეტის-მეტად
 ეჭიზი და გონიერია, მე კი განგებ ვამღვრე
 წალს: მღვრიე უფრო მეგობრივდება.
 — მჭერა, — უპასუხა ირემმა, — მაგრამ
 მე ანკარა წყლის სასმელად ვარ გაჩენილი. ეს
 სადღელი სათავემდე მიმიყვანს. მშვიდობით
 ჩაბნდებოდეთ, ბატონო.

შეგონება: ... ვინც აქლემია, იგი სიტყვათა
 მღვრიე ნაკადს ეწაფება, ისე რომ ვერასოდეს
 აღწევს იმათ თანაკარა სათავეს... სიტყვა,
 სახელი, ნიშანი, გზა, ნაკვალევი, ფეხი, ჩლი-
 ქი, ტერმინი — ეს ის ხრწნადი ბრჭენია, უხ-
 რწნელი წყაროსკენ რომ მიგვიძღვება. ვინც არ
 დაჰყოფს სიტყვათა ნიშნებს ხორციელად და
 სულიერად, იგი ვერასოდეს ვიარჩევს წყლებს.
 ერთმანეთისაგან, ზეციურ მშვენიერებას ლაყ-
 ვარდისა და ცვრისა... ცხოველთა ცხოვრების,
 აღმწერელნი მოგიეთხრობენ, აქლემი ვიდრე,
 წყალს დაეწაფება, ჯერ აამღვრევს, ირემი კი
 წმინდა წყლის მოყვარულიაო.
 ეს იგავი დაიწერა აღდგომა დღეს, ნაშუა-
 დღევს, 1774 წელს, სოფელ ბაბაიაში.

თარგმნა ჯაბა ასათიანმა.



დიდი ავსტრიელი პოეტის რაინერ მარია რილკეს (1875-1926) პოეტური შემოქმედების ზოგიერთ ნიმუშს ქართული მკითხველი უკვე იცნობს ბოლო ხანებში გამოქვეყნებული თარგმანების სახით. მაგრამ ქართულ ენაზე დღევანდლამდე არ დაბეჭდილა რ. მ. რილკეს არც ერთი პროზაული ნაწარმოები.

„სიმღერა კორნეტ ქრისტოფ რილკეს სიყვარულსა და სიკვდილზე“, რომელსაც ამჟამად ვთავაზობთ მკითხველს, პოეტური პროზის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. იგი რ. მ. რილკეს ქმნილებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია. თბრობის თავისებური მანერა, რიტმიული და ხშირ შემთხვევაში რითმოვანი პროზა, უაღრესად დახვეწილი ლირიზმი და ჭეშმარიტად ჭაბუკურ განცდათა სიწმინდე განუმეორებელ იერს აძლევენ XX ს. უდიდესი ლირიკოსის ამ პატარა შედევრს. ეს ნაწარმოები დაიწერა 1899 წელს, როდესაც ავტორი 24 წლისა იყო. პირველად გამოქვეყნდა 1906 წ. და საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

სიმღერა კორნეტ ქრისტოფ რილკეს სიყვარულსა და სიკვდილზე

„...1663 წლის 24 ნოემბერს ლინდაში ოტო ფონ რილკეს (ლანგენაუდანი) გრენიტცი და ციგრა) ეწყალობა მისი უნგრეთში დადუპული ძმის, ქრისტოფის, ლინდის მამულის ნაწილი; მაგრამ, ამასთანავე მას უნდა დაედო ხელწერილი, რომლის თანახმად მამულის წყალობა გაუქმდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი ძმა, ქრისტოფი (რომელიც, წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობის მიხედვით, ავსტრიის საიმპერატორო შეისტერის პოლკის ბარონ ფონ პიროვანოს რიტის კორნეტის წინაში ცხენზე იქნა მოკლული), დაბრუნდებოდა...“

ჰენება, ჰენება, ჰენება, მთელი დღე, მთელი ლაშე, მთელი დღე.

ჰენება, ჰენება, ჰენება.

და მხნობადაც ასე მოიქანცა და სევედაც ასეთი დილია. აღარც მთებია უკვე, აღარც ხეები. ველარაფერს გაუბედავს წამოდგომა. უცხო ჭობმახები მწყურვალნი ჩაცუქქულან ჩაქაობებულ ჰებთან. ირგვლივ არც ერთი კოშკი. და ყოველთვის ერთი და იგივე სურათი. თითქოს ორივე თვალი ზედმეტია. მხოლოდ ლამლაობით გზა ზოგჯერ თითქოს გეცნობა კიდევ. იქნებ ჩვენ ლამით კვლავ გავდივართ იმავე მანძილს, რომელიც დღისით უცხო მზის ქვეშ ძლივს გადავლახეთ? ეს შესაძლოა. აქ მზე მწველია, როგორც ჩვენთან შუა ზაფხულში. მაგრამ ზაფხულში ჩვენ მოგვიხდა დამშვიდობება. და ქალბატონთა კაბების შუქი ფოთოლთა შორის კიდევ დიდხანს გამოისკვიოდა. დიდი ხანია, რაც ჩვენ ასე მოვექვენებით. შემოდგომაა ალბათ

უკვე; იქ მაინც, სადაც ვეფიქრებით მწუხარებას.

ლანგენაუელი უნაგირზე წამოიწევა და ამბობს: „ბატონო მარკიზო...“ მისი მეზობელი, პაწა, კომწია ფრანგი, თავიდან სამ დღეს ვაბძით ლაპარაკობდა და იცინოდა. ახლა მას უკვე აღარაფერი გაეგება. იგი თვლემამორეულ ბავშვად იქცა. მის თხელსა და თეთრმაკვანიან საყელის მტვერი ეღება. ის ამას ვერც ამჩნევს. იგი თავის ხავერდოვან უნაგირში თანდათანობით ჰენება. მაგრამ ლანგენაუელი მას უღიმის და ეუბნება: „თქვენ საოცარი თვალები გაქვთ, ბატონო მარკიზო. თქვენ ალბათ დედას ჰგავხართ...“

აქ პაწია ფრანგი კიდევ ერთხელ იფურჩქნება და საყელოდან მტვერს იბერტყავს. და იგი თითქოს განახლებულია.



ვიღაც იხსენებს თავის ღედს. ეტყობა, გერმანულია. იგი ხმადალა და აუჩქარებლად არჩვეს სიტყვებს, როგორც თავიულის მკონავი გოგონა, რომელიც დაფიქრებით სინჯავს ყველ ყვეილს და ჯერ კიდევ არ იცის, ამ ყველაფრისგან რა გამოვა: იგიც ასევე წინავს თავის სიტყვებს. სასიკეთოდ? საშუწხაროდ? მას ვეღა უსმენს. ფურთხებასაც კი თავს ანებებენ. ვინაიდან ისინი წმინდაწყლის ბატონები ბრძანდებიან და იციან, როგორ უნდა მოიქცნენ. და ჩაბჭმი გერმანულის არამკონდნენიე კი მას უცებ უგებენ, ჰქერენ ცალკეულ სიტყვებს: „სალამოს...“ „ზეგვებოსისას...“

ამგვარად ისინი ყველანი ერთმანეთისათვის ახლომელნი ხდებიან. ის ბატონები, წამოსულნი საფრანგეთიდან და ბურგუნდიიდან, ნიდერლანდებიდან და კერენტნის ველებიდან, ბოქმიის კოშკებიდან და იმპერატორ ლეოპოლდისაგან წარმოგზავნილნი. ვინაიდან ის, რასაც ერთი მოუთხრობს, მათაც აქეთ განცდილი და ზუსტად ასევე. თითქოს მხოლოდ ერთადერთი დედა არსებულყოს...

ასე მიეჭენებიან გვიან ღამემდე, რომელიც ღამემდე. ყველანი ისევე მღუღარებენ. მაგრამ მათ თავს ახლავთ ნათელი სიტყვები. მარკიზი უცებ იხდის მუზარადს. მისი თმა ფაფუკია და როდესაც თავს ხრის, დალალები ქალურად ეშუება კეფაზე. ახლა ლანგენაუელიც ამჩნევს: შორს რაღაც წამოიშართვის და მისიწრავვის ნათებისავენ, რაღაც მუქი და ტანადი. განმარტობული სვეტი, ნახევრადჩამოქცეული. და კარგა ხნის შემდეგ, რაც იგი უქან მოიტოვებს, ლანგენაუელს აზრად მოსდის, რომ ის იყო მაღლი.

ბანაკი, კოკონი. ირგვლივ უსხედან და იცდიან. იცდიან, რომ ვინმემ წამოიწყოს სიმღერა, მაგრამ ისეთი მოქანცულობაა. მძიმეა წითელი შუქი. იგი წივს დამტვერილ ფეხსაცმლებზე. მოცოცავს მუსხებზე და გადაჯვარდინებულ ხე-ტოვით კი იჭყიტება. მას ფრთები არა აქვს. სახეები ჩამუჭებულია. პაწია ფრანგის თვალები მხოლოდ ერთი წამით უფერად ნათდება საკუთარი სინათლით. იგი ჰკოცნის პატარა ვარდს, რომელსაც ახლა ისევე შეუძლია ვანაგრძოს მის მკერდზე ტკნობა. ლანგენაულმა ეს შეამჩნია, ვინაიდან იგი ძილგამფრთხილია. ის ფიქრობს: არა, მე არა მაქვს ვარდ.

შემდეგ ის მღერის. ძველი და ნაღვლიანია ეს სიმღერა, რომელსაც შინ გოგონები მღერიან ზოლმე, მინდერებში, შემოდგომით, მოსაყლის აღების მიწურვისას.

პაწია, მარკიზი ეკითხება: „თქვენ ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით, ბატონო?“

და ლანგენაული ნახევრად სველიანად და ნახევრად ჭიუტად პასუხობს:

„თერამეტის“. შემდეგ ისინი სდუმან. ფრანგი ისევე ეკითხება: „თქვენ გყავთ შმმმმმ ცოლე, ბატონო იუნკერო?“

„თქვენ?“ — უბრუნებს შეკითხვას ლანგენაული.

„ის თქვენსათი ქერაა.“ და ისინი კვლავ სდუმან, სანამ გერმანელი არ წამოიძახებს: „ეშმაკებსკენაც გქონიათ გზა, მაშინ რატომღა შემომხსნარხართ უნაგირებზე და ამ შხამიან ქვეყანაში თურქი ქოფაყების შესახვედრად რაღად მიეჭენებით?“

მარკიზი იღიმება: „დასაბრუნებლად.“

ლანგენაული ნაღვლიანდება. ის ფიქრობს რომელიც ქერა გოგონაზე, რომელთანაც იგი თამაშობდა, ველურ თამაშებს. მას გული შინისკენ მიუწევს, თვალის მხოლოდ ერთი დხამხამებით, მხოლოდ იმდენი ხნით, რომ მოასწროს თქმა: „მაგდალენა, მამატე, რომ ახეთი ვიყავი ყოველთვის.“

როგორი ვიყავი? ფიქრობს ჰაბუკი. — და ისინი უწყვე შორს არიან.

ერთხელ, დილით, გაჩნდა მხედარი, შემდეგ მეორე, მეოთხე, მეათე.

ყველანი რკინაში, უზარმაზარნი. შემდეგ ათასნი მათ უქან: ლაშქარი.

უნდა განშორდნენ.

„შინ ბედნიერად დაბრუნება, ბატონო მარკიზო.“

„გფარვილეთ მარიაში, ბატონო იუნკერო.“

და მათ ერთმანეთი არ ეთმობათ. ისინი მეგობრებად იქცნენ უცებ. ძმებად. ისინი ერთმანეთს უფრო მეტად უნდობიან; ვინაიდან უკვე ამდენი იციან ერთმანეთისა. ისინი ყოყმანობენ. მათ ირგვლივ ფაციფუტია და ფლოქებების თქარუნი. უცებ მარკიზი წაიძრობს დიდ, მარჯვენა ხელთათმანს. ამოიღებს პატარა ვარდს, მოაყლის მას ერთ ფურცელს, ისე, როგორც ჰყოფენ სეფისკვერს.

„ეს თქვენ დაგიცავთ. მშვიდობით.“

ლანგენაულს უყვირს. იგი დიღხანს უცქერის მომავალ ფრანგს. შემდეგ კურტაკში ინახავს სხვისი ვარდის ფურცელს. და იგი ნანაობს მისი გულის ტალღებზე. საყვირის ნიშანი. იუნკერი თავისი რაზმისკენ მიემართება. იგი ნაღვლიანად იღიმის: მას იცავს უცნობი ქალი.

დღე ალაზე გატარებული. ვინება, სიჭრელე, სიცილი: აქაურობა თვალისმოშვრელია. შორიანი კრელა-კრულა ბიჭ-ბუჭები. წივილი და გაწამაწია. მოდიან გამოლილ თიებზე ალისფერ-

რანიერ მარია რილკა
სიმღერა კონრანტ შრინსტოფ რილკას სიუპარტულსა და სიპავრილზე

ქედანი კახები. თვალების ჩაყრა, მინიმუმ-
ბები. მოდიან საკურველმტკირთველი, შავ-
რკინამოსილი მოხეტიალე ლამეებივით, სწედ-
ბიან გოგონებს. ახვევ კახებს. იხუტებენ დაფ-
დაფებზე. და სწრაფი ხელების ველური გაძა-
ლიანებისაგან დაფუფხები იღვიძებენ, თითქოს
ძილშივე ხმაურობენ, ხმაურობენ. საღამოს კი
ისინი მას უწველიან სანთურს, უცნაურნი: ღვი-
ნო, რკინის ჩაქვებში მგზინავი. ღვინო? თუ
სისხლი? ვინ ვაარჩევს?

ბოლოს შორაკის წინაშე. თავისი თეთრი ცხე-
ნის გვერდით აღმართულა გრაფი. რკი-
ნისფრად ბზინავს მისი გრძელი თმა. ლან-
გნაუღელს არაფისთვის უკითხავს. იგი სცნობს
გენერალს. უმაღ ზამოქვეითდება და მტერის
ლორწელში ქედმოხრით ესაღმება. მას თანა
აქვს სარეკომენდაციო წერილი. გრაფი იძლე-
ვა ბრძანებას: „წამიკითხე ეგ ნაფლანო“. მისი
ტურჩები არ შერბულან. ისინი მას ამისთვის არ
სკირდება. ისინი მხოლოდ ვინებისთვის არიან
გამოსადგენი. დანარჩენს კი მარჯვენა იტყვის.
წერტილი. მას ეს ეტყობა. ქაბუკა ღიმი ხანია
დაამითავრა კითხვა. მან უკვე აღარც კი იცის,
სად იმყოფება. შორაკი ყველაფერს ფარავს.
ცაქ კი აღარ ჩანს.
ამ დროს შორაკი, ღიმი გენერალი, ამბობს:
„კორნეტი“.
და ეს ბევრს ნიშნავს.

ასეული რააბის გაღმა დაბანაკებული. ლანგე-
ნაუღელი იქით ცხენს მართო მიაქუნებს. ვაყე-
სილაო. მტვერში უნაგირის მოვარაყებული
ტახტა ბრჭყვიანებს. შემდეგ ამოჩნდება მთავ-
რი. ამას ის თავის ხელებზე ამჩნევს.
იგი ოცნებობს.
მაგრამ უცერად მას რაღაც უხმობს.
უხმობს და უხმობს,
ურღვევს ოცნებებს.
ჭოტი არ არის, თანაგრძნობა:
ხე ერთადერთი
მისკენ ხშიანობს:
აღამიანო!
და ხედავს: რაღაც წამომართვის. წამომართ-
ვის ხესთან სხეული,
ვიღაც ასულის შიშველი ტანი,
ნაწამები და სისხლდანთხეული,
მას ევედრება: მოდი, მიხსენი!

შავ სიმწვანეში ჩამობტა უცებ
ქინებადქვეულ ცხენდაოკებით,
შივერა უცებ ხეს და აპყავა
ცეცხლოდებული ცხელა თოკები.

ხედავს, ანთია თვალები მისი,
იკბინებთან თეთრი კბილები.
ნუთუ იციანის?
მას შიში ზარავს.

და იგი უკვე თავის ცხენზეა, შავად მარჯვე-
ლამეს უჯიათს.
და სისხლიანი თოკების გროვა
ტად ჩაუბღუჯიათ.

ლანგენაუელი წერს წერილს, ფიქრებში წასუ-
ლი. მძიმედ გამოჰყავს ღიმი, მედიდური, გულ-
უბრყვილო ასობები:

„ჩემო კეთილო ღედა,
„იამაყეთ: მე მიმაქვს დროშა,
„ნუ იღვლევათ: მე მიმაქვს დროშა,
„ველავაჲ გიყვარდეთ: მე მიმაქვს დროშა“

შემდეგ ის წერილს კურტაჲში ინახავს. იღუ-
მალ ადგილას, ვარდის ფურცელთან. და იგი
ფიქრობს: აქვს მალე გადაედება კეთილსურ-
ნელი. თან ფიქრობს:
იქნებ იპოვოს ვინმე... და ფიქრობს... რადგან
მტერი ახლოა.

ისინი გადაუქროლებენ გლეხის გვამს. მას ფარ-
თედ აქვს გახელილი თვალები და მათში რა-
ღაც ირეკლება: არა ცა. სადღაც ძაღლები
ყმუიან. მაშასადამე სოფელი, ბოლოსდაბოლოს.
ქობხაშთა თავზე კლდედაღმართული ცხე-
კოშკი. მათს წინაშე ვანიერად იმართვის ხიდი.
ფართოდ იღება კარიბჭე. მჭახედ ხშიანებს ბე-
კი. უსმინე: გრიალი, წყარუნი, ყუფა! ეზოში
ქიხენი, ფლოკების თქარუნი და შეძახილი.

შესვენება და სულის მოთქმა. თუნდ ერთხელ
მაინც იყო სტუმარი და ყოველთვის უცარი
კერძით ან უმასინძლო შინის სურჯილებს. და
ყოველსავეს ყოველთვის მტრულად არ იხვეჭდე:
ბოლოს და ბოლოს დაემორჩილო მას, რაც
ხდება და თან იცოდე, რომ ის, რაც ხდება, სი-
კეთა. მხნობაჲ ერთხელ მაინც ხომ უნდა
გაიზმოროს და აბრეშუმის ფაფუკ საბნებზე გა-
წოლილი კვლავ გაეხიოს თავის თავშივე. ჯა-
რისკაცი არ იყო მუდამ. თუნდ ერთხელ მაინც
გაიშალო ხუტუჭი თმები, შეიხსნა ლილი, გაი-
ღვლო ფართე საყულო და აბრეშუმის საგარბ-
ლებში იყო ჩაფლული ანგვარად, თითის ფრჩხი-
ლებამდე: ნაბანაგები. და კვლავ თავიდან შეის-
წავლო, რანი არიან ქალები. როგორ იქცევათ
თეთრნი, ცისფერნი. ან მათ როგორი ხელები
აქვთ. როგორ მღერიან თავიანთ სიცილს მაშინ.
როცა ქერა ბიჭუნებს შემოაქვთ ხოლმე მწიფე
ხილით დამძიმებული და დახუნძლული მშვე-
ნიერი, ღიმი ლანგრები.

დაიწყო ისე, როგორც სერობა და შეუმწნე-
ლად ზემიად იქცა. წაგრძელებული ცეცხლის
ენები ცახცახებდნენ და ხმები კრთებოდნენ.
ხმაშუუწყობელ სიმღერად ეღერდა ბროლის და
ბზინვის მღეთრი წყარალი. და ბოლოს უკვე
მოაწიფებელი ტაქტებისაგან იშვა თეთი ცეცხ-



და ყველა უცებ გაიყოლია. ეს იყო ფართე დარბაზებში ტალღების რწყვა, მიახლოება ერთმანეთთან და არჩევანი. გამოთხოვება მცირე ხნით და კვლავ მოპოვება, ბზინვით ტბოვა და ბრწყინვალეობით თვალთა მოკვება, რწყვა ზაფხულის სიოებში, რომლებიც მხოლოდ თბილი ქალების კაბებიდან მონანაობენ. უამრავ ვარდად და მუქ ღვინოდ მჩქეფარე ქაჩი ღამეულ სიზმრად მიედინება.

და დვას ვიღაცა და აოცებს ეს ბრწყინვალეობა. და ის ისეა განწყობილი, რომ ელოდება, როდის გაკრთება თვალთავან ძილი. რადგან მარტოდენ სიზმარშია შესაძლებელი ასეთ ბრწყინვალე სამკაულთა და ასეთ ლამაზ მანდილოსანთა ამღავეარი ზეიმის ხილვა: მათი ოდნურ მოძრაობა არის ნაოჭი, რომელიც ქალად გასდევს ზოლზე სალუქ აბრეშუმს. ისინი ვერცხლად მოწყობილ საუბრისაგან ჰქვნიან საათებს და ხანდახან ასწევენ ხელებს — და შენ გვინა, რომ ისინი იმყოფებიან სადაც იქ, სადაც შენ ვერაა გზით მიგდევნებია, და კრეფენ შენთვის ვერსახილველ უნახეს ვარდებს.

და შენ ოცნებობ: რომ შენც იყო მათით შემეცნო. და შენც გვეწვიოს სულ სხვაგვარი ბედნიერება, გვირგვინს ეღირსოს შენი შუბლი, ჩერაც შიშველი.

და ვიღაც, თეთრ აბრეშუმში გამოწყობილი, ხედება, რომ გამოღვიძება არ შეუძლია, რადგან ის ფხიზლობს და სინამდვილით არის შეცხუნებული. და აი, იგი შეშინებული გარბის ოცნებაში და ის ბალში დვას. მარტოდმარტო მე ბალში. ზეიმი კი შორს არის. შუქი მაკლდობა. ღამე მის ირგვლივ ახლოა და გრადია. იგი ეკითხება მისკენ ვადმოხრილ ქალს: „შენ ღამე ხარ?“ ქალი უღიბის.

ქ ვას სცხენია თავისი თეთრი სამოსისა. და მას უნდა, რომ იყოს საღმე შორს, მარტოდმარტო, იარაღსმხელი. თავით ფეხამდე იარაღსმხელი.

„შენ დავაიწყდა, რომ დღეს ჩემი პატი ხარ? ტოვებ? სად მიხვალ? შენი თეთრი სამოსი უფლებამოსილს მხდის შენზე“.

„შენ გენატრება შენი უხეში სამოსი?“

„გვიკა“ — გული შინ მივიწვევ? ქაფის მეუღლე იღივება. აი. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სიყვარული მოსწყდა მხრებიდან, ის მბილი, მუქი სამოსი, ვინ ჩამოართვა? შენ? — ეკითხება იგი იმ ხმით, რომელიც მას თავისში არასოდეს სმენია. „შენ!“

და აი, მას უკვე აღარაფერი მშობას. ის რწმუნელია, როგორც წმინდანი. ნათელი და ტანადი.

ციხე-კოშკი თანდათან იძირვის უკუნეთში. ყველა დამძიმდა: მოიქანცნენ, ან სიყვარულმა დასძალათ, ანდა ღვინომ. ამდენი ცარიელი, უგრძესი, ველადნათევი ღამეების შემდეგ: საწოლები. მუხის განიერი საწოლები. აქ ლოცვა-სხვაგვარია, ვიდრე მუჟყიან გზისპირა თხრილში, რომელიც, ძილი თუ მოგვრია, სიამარედ გვეტყვია: „ღმერთო, როგორც გენებოს!“ ლოგინში ლოცვა უმოკლესია. მაგრამ უღრმესი.

კოშკის ოთახი ჩაბნელებულია. მაგრამ ისინი ერთმანეთს ღიმილით უნათებენ სხებებს. ისინი ბრმებით, ხელისფათურით იკვლევენ გზას და ერთმანეთს ისე პოულობენ, როგორც კარს. თითქოს სიბნელით შეშინებული ბავშვებივით ეკვრიან ერთმანეთს. და მანც არაფერს უფრთხიან. აქ არაფერია ისეთი, რაც მათ წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული: აღარ არსებობს არც გუშინ, არც დღეს, რადგან დრო დაინთქა. და ისინი მის ნანგრევებზე ყვავილობენ.

ვაი არ ეკითხება: „შენი მეუღლე?“ ქალი არ ეკითხება: „შენი სახელი?“ მათ ხომ ერთმანეთს იმიტომ მიაგნეს, რომ ერთმანეთისათვის ყოფილიყვნენ ახალი მოდგმა. ისინი ერთმანეთს მისცემენ ასობით ახალ სახელს და უქანვე ჩამოართმევენ ისე ფრთხილად, როგორც საყურეს იხსნიან ხოლმე.

შემოსასეღელში სავარძელზე ჰკიდია ლანგუნაუელის კურტაკი, საბეჭური და ფარაჯა. მისი ხელთათმანები იატაკზე ყრია. მისი ტანადი დროშა ფანჯრის ჯვარს მიჰყუდებია. იგი შავია და სწორი. გარეთ ცაზე გრიგალი მძვინვარებს და ღამეს თეთრ და შავ ნაფლეთებად ზეეს. მთვარის შუქი ხანგრძლივ ეღვასავით ჩაივლის გვერდით და უმოპარო დროშასთან მოუსვენარი ჩრდილები ფათურობენ. იგი სიზმარშია.

ფანჯარა გაიღო? შინ ქარიშხალი შემოიჭრა? კარს ვინ ახეტებეს? ვინ დაბორიალობს ოთახებში? — მოეშვი. ვინც არ უნდა იყოს. ვერ მოგვანებენ ჩვენ ამ კოშკში. თითქოს ასობით კარს მიღმა ეს სიზმარი უზარმაზარი, ისე საერთო, როგორც დედა ანდა სიკვდილი.

უკვე გათენდა? რა მზე ამოდის? რა უზარმაზარი მზე. ეს ჩიტები არიან? ყველგან ისმის მათი ხმაური.

რანინამ მარია რილკა
სიმღამე კორნეტ ძრისტოვ რილკას
სიყვარულსა და სიკვდილზე

ყველაფერი ნათობს, მაგრამ ეს არ არის დღე.
ყველაფერი ხშიანობს, მაგრამ ეს ჩიტები არ არიან.

აღმოდებელი დირებია, რომ ანათებენ. ეს სარკმლებია, რომ გაჰკვივან.

მტერს უკვივან აწითლებულნი, გარეთ ცეცხლოვან შემოვარენზე ჯარად შემომდგარ მტერს უკვივან: ხანძარიან.

და ყველანი, სახეებზე სიზმრებშემოფლეთილნი, ნახევრად აპყარასხმულნი და ნახევრად შიშველნი აწყდებიან ოთახიდან ოთახს, კოშკიდან კოშკს და ეძებენ კიბეს.

ეზოში საყვირებს სუნთქვა ეკვრებათ და ძლივს ლულულდებენ:

შეკრება, შეკრება!

და ცახცახებენ დაფთაფები.

მაგრამ სად არის დროშა ფრიალა.

ხმები: კორნეტო!

ცხენთა ჰენება, ლოცვა, ღრიალი,

წყევლა: კორნეტო!

ბრძოლის ნიშანი, რკინის ტრიალი,

მტერევა: კორნეტო!

უცებ სიჩუმე და სადღაც ერთხელ

ისევე: კორნეტო!

და ცხენოსანთა რაზმმა კოშკიდან გაიგრიალა.

მაგრამ სად არის დროშა ფრიალა.

იგ• გარბის ცეცხლოვან დერეფნებთან გასწრებაზე დანიძლევებული კარიდან კარში, რომლებიც აღმოდებულნი ერთყმიან გარს, კიბიდან კიბეზე, რომლებიც სწვავენ და ტუსავენ. გამოვარდება გადარეული ნაგებობიდან. მას ატატებული მოაქვს დროშა, როგორც გულწასული

ქალი. იგი იბოვის ცხენს და გავარდნა როგორც კივილი: წინ, ყველასა და ყველათის მიღმა, თავისიანთა მიღმაც. დაუკრეკ დეჰქეკ გონს ეგება. მას არასოდეს ჰქონია: ნერწყვეთი მეფურთ; ახლა მას ყველანი ხედავენ შიშა, წინ და სცნობენ უმუნჯარადო, ნათელ მეომარს და სცნობენ დროშას...

და აი, მათი დროშა იწვას მტერშემორტყმულ და ისინი მისკენ ისწრაფვიან.

ლანგნაუელი მტერს ღრმად შეეჭრა, მაგრამ სრულიად მარტო. შიშმა მის ირგვლივ შექმნა სივრცე შემორკალული და ის შუაში შეტერდა. უცებ ნალევრლად ქცეულ თავის დროშის ქვეშ. აუტქარებლად, თითქოს რაღაც ფიქრში წასული, ის იხედება თავის ირგვლივ. მის წინ ბევრია უცხო სიჭრელე. ფიქრობს: ბალები, — და ელიმება. მაგრამ გრძნობს იგი, მზერა ანერებს და არჩევს უკვე ადამიანებს და იცის, ირგვლივ რომ ახვევია—ეს წარმართების ძაღლთა ხროვაა — და მათ სიღრმეში მიავდო ცხენი. მაგრამ, როდესაც ზურგიდან უცებ თავზე დაეცა რაღაცა მძიმედ, მას კვლავ ეგონა, რომ ეს ბალია, და მოღუნული თექვსმეტი ხმალი, თავზე სხივებად გადმოწვართული, მას მოეჩვენა დღესასწაულად. ვით შადრევანი გაცინებული.

კურტაკი კოშკში დაიწვა, წერილიც და უცნობი ქალის ვარდის ფურცელიც. — შემდგომ გაზაფხულზე (რომელიც იყო ცივი და ნალვლანი) ბარონ ფონ პიროვანოს კურიერი მძიმედ შევიდა ლანგნაუში. მან იქ იხილა მოკვითინი ხნიერი ქალი.

გერმანულიდან თარგმან
პასუხი კობახიშვილმა.



გ უ ლ ი

შორეულ მხარეს გადაკარგულმა ქმარმა წერბილი გაუგზავნა ცოლს, რომელიც არ უყვარდა და ორი წელი იყო, რაც მიეტოვებინა.

იგი იწერებოდა: „ნუ თამაშობს ბავშვი ბრტოს, თორემ ბურთის ცემის ხმა აქ მომდის და ზედ გულზე მხედება“.

ვოგონას, რომელსაც ცხრა წელი უსრულდებოდა, დედამ ჩამოართვა ბურთი.

ქმრისაგან კვლავ მოვიდა წერილი, ახლა კიდევ უფრო შორეული მხარიდან:

„ნუ ატარებ ბავშვს სკოლაში ტყავის მაშვიტბო. მაგის ბრავაბრუვი აქ მომდის და ისეთი ყრნობა მაქვს, თითქო ზედ გულზე მაბიჭებენ“.

დედამ ტყავის მაშვიტბის ნაცვლად ფეტრის რბილი სანდლები ჩააცვა ვოგონას. ბავშვი ერთხანს ტიროდა, მერე — სულ მიანება სკოლას იყო.

თვე გასრულდა და ქმარმა კიდევ ერთი წერილი მოიწერა. ეს უკვე ბერიკაცის უღონო ნაქლამი იყო:

„ნუ ატარებ ბავშვს ფაიფურის ჯამიდან. მაგ ბერტლის ჩხარტნი აქ მესმის და გულს მიფელთს“.

და ქალმაც ხის ჩქიფებით დაუწყო ბავშვს ქამდის მიცემა. ვაახსენდა, როცა ბავშვი მართლაც სამი წლისა ჰყავდა და ქმარიც, კმაყოფილი და ხალისიანი, ჭერაც შინ იყო.

ერთხელ ვოგონა დედის უეთხიხად მიიღვა კარდას და თავისი ფაიფურის ჯამი გამოიღო. დედამ მაშინვე გამოსტაცა ჯამი და ბაღში ვადისროლა. ჯამი მოკირწყულულ ბილიცზე დაეცა და ნამსხვრევებად იქცა. ქალს მოეჩვენა, თითქო ჯამი კი არა, მისი ქმრის გული დაიმსხვრა. სახემოქურუხებულმა თავისი ჯამიც მოისროლა. კვლავ განვიორდა ხმა უცნაური. იქნებ სწორედ ახლა დაიმსხვრა ქმრის გული? ეცა ერთი ბეწვა სასაიდლო მაგიდას და ჯამებს ისიც მიიყოლა. ო, ნეტავ რას მოასწავებს ეს ხმა?! ქალი შესწლილივით მივიარდა მუყაოს ტიხარს და ისე დაუშინა მუშტები, რომ ტიხარმა ვერ გაუძლო და გაიფლითა. თვითონაც იატაკზე დაეცა.

— დედა! — ტირილით მიიბრინა მასთან ვოგონამ. — დედა, დედილო...
ქალმა წამოიწია და ბავშვს სილა გააწნა.
— არ გაიგონე? არ გაიგონე? შე საძაგელო?!..
და აი, კვლავ გამოგზავნა ქმარმა წერილი. ახლა, სადღაც მოუსაველეთიდან. იწერებოდა:
„ამის მეტად კრინტი არ დასძრათ. აღარ დაკეტოთ და ვაალოთ კარები, აღარც სლომი. ნურც საათს მომართავთ, ვერ ვიტან მაგის წიციკის. არ გაბედოთ ამოსუნთქვა“.

— „არ გაბედოთ... არ გაბედოთ... ღმერთი არ გაგიწყრეთ... არ...“ — ჩურჩულებდა ქალი და ცრემლი სდიოდა.

სახლში უკვე ბიბურთი არ ისმოდა... ორივე მიიცივლა, დედაცა და ქალმედილიც.

მაგრამ, უცნაური რამ მოხდა, მიცვალებული ქალის თავთან მისი ვარდაცკელი ქმრის სახეც ესვენა ბაღშივე.

ქალწულთა ღოცვა

- დაინახე?
- დავინახე.
- შენც დაინახე?
- მეცა...

ასე ჰკითხავდნენ ერთიმეორეს დაფეთებულ ბეჭებში, კაცნი თუ ქალნი, და მთავლებიდან მარჯვანზე ჩამოდიოდნენ შეურეებულნი.

მართლაც საოცარი და იღვმალეებით მოცული ვახლდათ თუნდაც ის, რომ ამოდენა ხალხმა, ზოგი სად და ზოგი სად რომ მუშაკობდა მთასა თუ ბარში, ზუსტად ერთსა და იმავე წამს, თითქო პირი შეითქვესო, ერთსა და იმავე მხარეს გაიხედა და ყველანი შიშმა დაზაფრა.

სოფელი მრგვალ ტაფობში ჩაუყუდელიყო. ტაფობის შუაგულში ბორცვი იდგა, რომელსაც რკალად ჩამოსდევდა ნაკადული, ბორცვის თავზე კი, სოფლის სასაფლაო იყო.

და აი, სოფლის სხვადასხვა კუთხიდან თითქმის ყველამ ერთდროულად დაინახა რა ულოდნელად, თითქო თეთრი მოჩვენებააო, შექანდა და ქვემოთკენ დაგორდა საფლავის ლოდი. ეს რომ ერთ ან ორ კაცს დაენახა და მოეყოლა, უეჭველად მასხრად აივდებდნენ, ეტყოდნენ მოგვლანდაო, მაგრამ მწელი დასაჭერებელი იყო ამდენ ხალხს, თანაც ასე ერთდროულად, ერთი და იგივე მოსჩვენებოდათ.



მერმე წამოიწია, მიახლოვდა და აკანკალებულ ხელებით შეეცადა კრიბა შეეკრა მისთვის. მათღ ხელი მოაშორა თუ არა, მიცვალბებულს წესს მორთია დაღრეჯილობა. ხელახლა მოუტყუნა პირი, მაგრამ ბაგეები კვლავ ნელ-ნელა მოიღავდა და ახლა უფრო მეტად საჩინო შეიქნა სახარად გამონახვერილი კბილები. მაინც არ შეებუა ამას და ცდა არ დააკლო. არაფერი ვაზიდიოდა. თუმცადა ტურპირის გარშემო მონარული ტანჯვისმიერი ნაოჭები ოდნავად შეღბილდა და განაზდა...

გაქმნობდა კაცი, თითები უხურდა. მთელი სხეულის სითბო თითებში ჩაღვრილიყო, ძალუზღ და დანღობილად უხეღდა ამ მკაცრ ნაოჭებსა და შეღბზე ამოყვანძულ ძარღვებს, ვიდრე ხელისგულებზე აღმუერი ამ მოედრო.

ისევე გვერდით მოუჯდა და ჩააქცერდა მიცვალბებულის სახეს. ხელებს სითბოს იგი გადაე-

სხეფერებინა. წყნარი, მშვიდი იერი მოჭუენოდა.

ოთახში მიცვალბებულის დედა და უმრწემესი და იღანდა.

— დაიღლებოღით გზაში. მიირთვით რაიმე და მოისვენეთ.

მაგრამ უეცრივე ცრემლები წამოსცივედა და სლუეუნით თქვა:

— ღმერთო რა არ შესღბებია კაცის გულს საბარლო გოგოს როგორ ეწადა თქვენს მონრუნებამდე ეცოცხლა! და ავე! დასტურ სასწაული მოხდა. ერთი თქვენი შეხედვა და სახე ჩაუწყნარა — ნულარ ვაშფოთებთ... სუფევა მისდა... საწყალობის.

მიცვალბებულის უმრწემესმა და მ ენით უთქმელი თმშვენიერთი აბრწყინებული თვალები უსწორა სიძის არეტებულ მზერას და ქვითინით მოიყარა მუხღი.

ბამბუკის ხმა. აგვის ყვაილი

ეს როღიდანაა, ბამბუკის ხმა და ატმის ყვაილი რომ შეიერძნო თავისთავში?

ახლა განა მარტო ეყურებოდა ბამბუკის ხმა — უშზერდა კიდეც ამ საოცარ ხმას, და ატმის ყვაილსაც შორიდან აღარ ესიყვარულებოდა — თავად მასში აფეთქებულყო ატმის ყვაილი.

ხღება ზოღმე, ბამბუკის ხმინაობას რომ სულგანბული დაყურადებ, ფიჭვის ხის ჩურჩელიც ჩაგვისმის, თუმცა ფიჭვი და ბამბუკი სულაც არ ჰგვინან ერთმანეთს; ანდა, შესტყერი ატმის ყვაილს და გგონია ქლიავისა, თუმცა მისი ყვაილობის დრო ჯერაც არ დამღგარა. ამგვარი რამ კაცს არც ისე იშვიათად ემართება, ზისაო მიაკავას კი უკვე ხანმორეულს მოეღონია ეს შეგრძნება.

შარშანწინდელ გაზაფხულს მიაკავამ თავისი სახლის მახლობელ ბორცვზე იხილა ფიჭვის ხეზე შემომჯდარი შევარღენი და მასუკან ეჩვენება, თითქო ახლაც ხეღავს ამ ფრინველს.

დაბალი მთაგრეხილი ზედ მიაკავას სახლს უკან მთაგრღება ამაღლებული ბორცვით, ისე, როგორც საწთელზე ჩამონაღღენი წვეთი შემძივღება ზოღმე ბოლოში. ბორცვის ძირა ტყვისსუფერი კღღეები სულერთინაღ ტროპიკულ გვიმრინარს დაუფარავს. ფერღობზე ერთი მაღალი ხეც არა ღვას. ისეა იქაურობა გაღავალტამებული, კაცს ფერღობი კი არა, მუქმწვანე თეიერი ეგონება. მხოლოდ მწვერვალზე ზეობს გოღიათი, ხმელი ფიჭვის ხე.

მრავალმა წელმა განვლო მას შემღდეგ, რაც ეს მარტოხელა გოღიათი გახმა. სულერთინაღ დასცივედა წიწები, ჩამოეშალა წერილ-წერი-

ლი ტოტებიც და დარჩა მარტოღღენ აჩხვერილი ზრო, რამღენიმე მომსხო ტოტითურთ. იმ ტოტებსაც ჩამოსტყდათ ბოლოები. ახლა ღვას ასე, თითქო შერჭვია ზეცას.

კენწეროზე მჯდარი შევარღენი რომ დაინახა, მიაკავამ ლამის იციღლა გაოციებულმა. ფიქრადაც არ მოუყიღოდა თავის ღღეში, თუ ამის მომსწრე შეიწინებოდა. ეს ამბავი რადაც სასწაული ეგონა. მაგრამ შევარღენი მართლა იჯდა ხის წვეროზე; მამაკვი, ძალოვანი ფრინველი.

ვეებერთელა ფიჭვის ხე თითქო დაგინდა მას შერე, რაც შევარღენი დაეშვა მის კენწეროზე. იგი უძრავად იჯდა, ამაყად წამოეჩინა გულბოყვი. მიაკავა ტებებოდა მისი მზერით და გრძნობდა, როგორ ეღვრებოდა ტანში შევარღენის ძალოვანება.

გაზაფხულის საღამო იღდა. ხმელი ფიჭვის ხე მიაგავდა შავ მახათს, მსუბუქი ნისლით მობურულ ნახვარღისფერ ზეცაში შემსტყვალულს. იქ, მწვერვალზე, რადაც ისეთი ხღეებოდა, რაც სრულიადაც არ უკავშირღებოდა გარემოს.

— არა, სულაც არ მოფრინილა შევარღენი ამ საღამურ, მონისღულ ცაში. აქ იშვა, ამ აღღელას ჩემი გღლისათვის გაჩნდა და არსაღაც არ გაფრინღება!... — ფიქრობდა მიაკავა, ჰკვირობდა თავისსავე ნაფიქრალს და თან შევარღენსაც უმზერდა.

მას თვალწინ წარმოუღდა, თითქო გამძვინვარებულ აღში ლოტოსის თეთრი, ვეებერთელა ყვაილი გაიშალა. გაზაფხულის მქრქალი

ინასწნარი კამაგაბაბა მოთხროგებანი

გლეხების მოყაყანე დღღგოს შევერიე და სასაფლაოს შესამოწმებლად მეც აეუყვეი გზას ბორცვისაყენ.

პირველ ყოვლისა გულდასმით მოგჩხრიკეთ ბორცვის ძირი და ფერდობები, მაგრამ საფლავის ქვა ვერსათ მოვიძიეთ. მერმე ბორცვზედაც ავედიოთ და ერთიმეორის მიყოლებით შევეუდექით საფლავთა თვალიერებას, ყოველი ლოდი წყნარად და მშვიდობიანად ესვენა თავთავის ადგილზე. შეურევბული გლეხები კვლავ მიაჩერდნენ ერთმანეთს.

— აიკ შენ დიანახე?

— ჰო.

— შენაც, არა?

— მეც, მეც, — ყველა ერთხმად იმეორებდა და ისე გაჩქარებით ჩამოდიოდნენ ბორცვიდან. თითქო სასაფლაოს გაურბიანო. იმ აზრს დაადგინენ, ნაღდად მოჩვენება იყო და რაღაც უბედურებას გვიქადისო. სხვა რა უნდა ყოფილიყო თუ არ განრისხებული ღმერთი, სული ბორცვი ან რომელიმე მიცვალებული; უნდა დაედგეთ ლოცვად, რათა სათნო ვეყოთ შრისხანე. შურისმაგებელ სულს და უწმინდურმა ძალმაც დაუტევოს სასაფლაოო, — ასე განსაჯეს.

შეკრიბეს სოფლის ყველა ქალწული და მზეს ჩასვლის წინ თანასოფლელებით გარშემორტყმილი თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი გოგონა გაეშარათ ბორცვისაყენ. მეც თან ვახლდი.

ქალიშვილები სასაფლაოს შუაგულში ჩამაწყრივს. წამოდგა წინ ჰალარა თავაკაცი სოფლისა, და ასე მიმართა მათ:

— უმანკო ქალწულო! იცინეთ! იცინეთ, ვიდრემდის მუცლები არ დაგისკდებათ! სიცილით განდევნით წყევას, ჩვენს სოფელს რომ ჩამოახვედა!

და თვითონ პირველმა წამოიწყო:

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

ქალიშვილებმაც ამოაყოლეს ჯანმრთელ ფილტვებს:

— ჰა, ჰა, ჰა!

— ჰა, ჰა, ჰა!

— ჰა, ჰა, ჰა!

თავდაპირველად გამოცა ამ უჩვეულოდ ხმა მალამა სიცილმა, მაგრამ მალე ჩაქრდა მხვეტი გაღმომედო და ხმა შევეუწყვე საყრცხლთა მხრისხოს, რომელიც მთელს ხეობას არყევდა.

— ჰა, ჰა, ჰა... ჰა, ჰა, ჰა, ჰა...

რომელიღაც გლეხაკმა ხმელი ფოთოლი და ჩინჩხვარი მოაქუნა. კოცონი ააგვიგზია. თმა-გაწწილი, სიცილით ილაჯგაწყვეტილი გოგონები ვარს უვლიდნენ კოცონს, ახლა რომ ჭოჩხეთის გვენიას მოჰგავდა. დროდადრო ეცემოდნენ მიწაზე, უკვე შეაშრათ სიცილის დაწყებისას მოძალებული ცრემლი და უცნაურად უციანთებდათ თვალები. ხარხარის არმური თანდათან მატულობდა. კაცი იფიქრებდა, მალე ისეთ ქარხნულად გადაიქცევა, ყოველივეს აღგვისო პირისაყენ მიწისა. და ამა, ქალიშვილებმა ცევა იწყეს. ცეკვავდნენ კოცონის ირგვლივ. მტაცებლებივით ჰქონდათ კბილები დაკრკვილი. რაღაც ველური და შეუცნობი იგრძნობოდა ამ აღვირახსნილ როკვაში.

მოხარხარე გლეხობას უკვე გულს მოჰფონებოდა, სახეებში დაწმენდოდა ყველაკის უცებ სიცილი შევეწყვიტე და კოცონის ალით გაშუქებულ ერთ-ერთ საფლავთან ჩავიჩოქე.

„მალღობა ღმერთს, განწმენდის მადლი მომეცო!“ — გუნებაში გამელიმა.

რაც შეიხება გლეხებს, ისინი მზად იყვნენ ქალწულეთთან ერთად ეხარხარათ მანამდე, სანამ სიცილის ტალდა თვით ბორცვს არ აისროდა ცაში.

— ჰა, ჰა, ჰა!

— ჰა, ჰა, ჰა!

— ჰა, ჰა, ჰა!

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

ერთ-ერთ ქალწულს საეარცხელი დაუფარდა და დანარჩენებმა მყის გადათქერეს. მეორეს ხამლებს თასმა შეეხსნა. ამ თასშივე გოგონებს ფეხები გაეზღანდათ და პარტყა-პურტყით დაგორდნენ მიწაზე. წრის ბოლო კოცონს დაცვა და აბრიალდა.

..და გქვლარება იხვეალა იჩრი..

— ვიცი, ერთი სული გაქვთ ვიდრე საბრალოს დახედავდეთ, — ჩილიაპარაკა სიდედრმა და აჩქარებით წარუძღვა ოთახისაყენ. იქ მისი შეუძლე ესვენა. — ამა, ნახეთ, რა ძალუშია სიყვლედი. თავის თავს აღარა ჰგავს, — თქვა და მიცვალებულის სახიდან სუდარის გადახანა და აპირა.

— მოითმინეთ. მარტოკამ მინდა შეველო თვალს. თუ შეიძლება ყველამ დამტოვეთ. ოთახში შემოკრებილი ნათესავეები შეუტუნდნენ. უჩუმრად გაიკრიფნენ და მოიხტრეს სკოძი.

მან მიცვალებულს თეთრი საფარი გადახანა. ტანჯული იერი შეჰყინვოდა ქალის უსიციცხლო სახეს. გახვეებული, სისხლისაყენ გაყვლილი ლოყები ჩასცივიწოდა. ღრიჭოდ დარჩენილი პირიდან ჩაყვითლებული კბილები უჩანდა. პერგამენტივით სიფრიფანა და მჭვირვალი ზემოთა ქუთუთოები თითქოსდა დასწებებოდა გუგებს. შუბლზე ამოღებული ძარღვები ამხელდა, რა სატანჯვევაცი გაველო.

ქმარი დიდხანს, დიდხანს იჯდა უძარკად და მიცვალებულის უღაზათო, განაწამებ სახეს ჩასჩერებოდა.

ზეცა არაფრით ჰკავდა ბობოქარ ალმურს და არც შევარდენს გააჩნდა თეთრ ლოტოსთან რაიმე მსგავსება. და მაინც, გამხმარი ხის კენწეროზე დაშლულ ქლივრი ფრთოსნისაგან მონაბერი სიმშვიდე დაევენებულყო, ბობოქარ ალში გადაშლილი თეთრი ლოტოსის სიმშვიდე. თეთრი ლოტოსი...

ვაოცება და სანეტარო თრთოლვა, რამაც სუნთქვა შეუქრა, ნელ-ნელა შესცვალა რწმენამ, რომ შევარდნის მოფრენა კარგის ნიშანი, კეთილის წინამოსწავება იყო. მიაკავამ უნაპირო სიხარული იგრძნო.

აღრე მას არც თავად ენახა და არც ვინმესაგან გაეგონა, რომ ტოკიოს მახლობელ ამ პატარა, ზღვისპირა ქალაქში შევარდნები მოფრენილიყვნენ. ახლა კი, იგი მის თვალწინ იყო. როგორ მოხვდა აქ? შემთხვევითობა ხომ არ იყო ეს — ხომ არ აებნა გზა და დასასვენებლად ხომ არ დაეშვა ფიჭვის ხის კენწეროზე? ანდა, იქნებ რაიმე მიზანი ჰქონდა აქ მოფრენას? ბოლოს და ბოლოს, რალა მაინცდამაინც ამ ხეზე დაფრინდა?

მიაკავასათვის ეს არ ვახლდათ ბედის თამაში. არა, ეს ასე არ მოხდებოდა. შევარდენი იმიტომ მოფრინდა, რომ რალაც უნდა აეწყოს მიაკავას.

«კიდევ კარგი, ეს დამპალი ფიჭვი არ მოეჩეხე, — გაუთლვა თავში, — იმიტომ ხომ არ მოფრინდა შევარდენი სწორედ აქ, რომ ეს მაღალი და ხეული ფიჭვის ხე დგას მწვერვალზე? ეს ხე რომ არ ყოფილიყო, შეიძლება თავის დღეში, ერთი წამითაც კი არ მომეტყობა თვალზედ ჩემ სახლთან მოფრენილი შევარდენისათვის.»

რა კარგი ვქენი, ფიჭვი რომ არ მოვჭერი, — ისევ და ისევ ფიქრობდა მიაკავა. — აქი რამდენიმეჯერ დავაპირე“.

ერთი დრო იყო, მიაკავა გულისტკივილით აღევნებდა თვალს ხის ჭკნობას, რომელიც მისი სახლის უკან აზევებულყო, როგორც თვალსაჩინო რამ ნიშანი, ვითარ მისი კერის მფარველი ღვთაება.

ფიჭვის ხე რკინიგზის ბაქნიდანაც მოჩანდა. სადაც ელექტრო-მატარებლის ვაგონები ჩამოდგებოდნენ ხოლმე. მიაკავასა და მისი ოჯახის წევრებს დასჩემლათ, როცა ვაგონში სხდებოდნენ, ანდა, მშობლიურ ქალაქს დაბრუნებულნი, ბაქნაზე გადმოდიოდნენ, თვალს გაესწორებინათ თავიანთი ფიჭვის ხისათვის. ისინი კიდევ გახედვდნენ ხოლმე ხეს და თან, ვითომცველარ ამჩნევდნენ მას.

მაგრამ ერთ დროს, ეს ხე გულს უძვეკრებდა, სულის უნახეს სიმებს უთრთოლებდა მიაკავას. საკმარისი იყო ბაქნაზე გადმოსულს შეეხებოდა ამ მარტოხისათვის, რომ სულს სიმშვიდე ეფონებოდა, ხოლო გულს ტკბილად უწყ-

რავდა შეუცნობი ნალველი. მიაკავა რომც დაეხრა წლისა იყო, აქ რომ დისახლდა, რამდენიმე წლის წინ კი სამოცდაათწამამდე, სამდროს განმავლობაში ფიჭვის ხეზე იმყოფებოდა არ შეეცვლილა. ნეტავი, რამდენი წლის იქნებოდა ახლა? საუკუნენახევარს არც არაფერი უკლდა ალბათ.

მუხაც, ქაფურის დაფნაც, ღობის კიდევ რომ იზრდებოდნენ და ეზო-კარს უცხო თვალთვან იფარავდნენ, ინდური იასამანიც, ბალის შეუაგლონი რომ გაეშალა ტოტები, ძველისძველად დაერკათ აქ, მაგრამ ხნოვანებით, როგორ მიედრებოდნენ ბორცვზე აღმაართულ ფიჭვის ხეს. ამ არემარეში, სიდიდითა და სიმალლითაც არარა გაუტოლდებოდა. ნუთუ მისი თანატოლები ყველა დალბა და გადაშენდა? ნუთუ მარტო ეს შემორჩა ბორცვს?

ნამდვილად, ეს გოლიათი ფიჭვი მეტი თე არა, ორჯერ დიდხნოვანი მაინც იქნებოდა მიაკავაზე. თავიდანვე, როცა აქ სახლდებოდა, მიაკავას სწამდა, რომ ფიჭვის ხე მასაც მოინებდა. პატარაობიდანვე ტყე-ღრეში ყოლისას, მულად კრძალული შედგებოდა ხოლმე ხნიერი, ძალოვანი ხეების წინაშე, დღევანდლობის სიმბოლოდ სახავდა მათ, თუმცა ეს ერთის მხრივ, ისინი სულაც არ იწვევდნენ გერგანებას აღამაინათ სიცოცხლის, ხანმოკლეობის, პირიქით აიძულებდნენ დაეწყებოდა, რომ წამია კაცის სიცოცხლე. და მიაკავას ეჩვენებოდა, თითქო თავდაცვ ერწყმოდა ამ უძლეველ ხეთა ცხოვრებას, ასე ღრმად რომ ჩაეშვათ მიწაში ფესვები.

დიდი ხანია, რაც ბორცვზე აზევებულნი ფიჭვის ხე შეიგრძნო თავისთავში. ფერდობებიც ციციბო იყო და არც ერთი ბილიკი არ აღიოვდა მწვერვალამდე. იმიტომ მიაკავას არ შეეძლო გოლიათ ხესთან მისვლა. იგი მეზღვესაც ვერ დაავალდებდა ფიჭვის მოვლას. ჩანდა, ეს ბუმბერაზი თავიდანვე ვაკტიურებული ყოფილიყო, მომკითხველი არცინ ებოდა. მიუხედავად ამისა, მისი ტოტები უსწორმასწოროდ როდი გაბრძნოლიყვნენ, თვით ხეც როდი ჰკავდა მოუხელეს, თუმცაღა ძალზე წლოვანი კი ვახლდათ. მის მძლავრ ტოტებს ტაიფუნიც ვერას აკლებდა.

ტოტები კი არა, წიწვებიც უვნებელი რჩებოდნენ. წინკარის მაღალ სარკმლიდან მზირალ მიაკავას არავრთხელ უნახავს, ხეებს როგორ აწიოვებდა მერეხი. ავღარში სახლის ყველა მუშპრუტანა იგრანებოდა. ფანჩრები დარაბეზიანად იკეტებოდა. მხოლოდ ამ სარკმლიდან იხილვებოდა ბორცვის მწვერვლი. შეუტრებელი მიაკავა უმზერდა ფიჭვის ხეს. ლეწვები გამეტებით ასკდებოდა მინებს და ღვარღვართი ჩამოდიოდა ზედ. უწყალოდ დავეკრილი ფოთლებით ივსებოდა ეზო, ფიჭვის წიწვები კი



ენებელნი რჩებოდნენ, თუმც შესაძლოა, შორი თვალისაგან შეუძინველად ცვიოდნენ კიდევ. მიაკავას კი ეგონა, ერთი წიწვი რაა, ისიც რ დაქარაგვილია ხეს. ბორცვის ფერდობებს რომ ღრიალით დაეგერებოდა გამხეცებულნი ტიფუნნი და ჯგროდ ააბორიალებდა დაქაქებულ ფოთლებს, სხვა ხეთა ტოტებს ტარციალი გაუდიოდდათ, ვოლიათი ფიჭვი კი ისევ ზღვიდურად იღვავ, თითქო ტიფუნნი სულაც არ მზინვარებდა მის გარშემო. სარკმელთან მდგარი მიაკავა ხელებს იწვლიდა ხისაყენ, თითქო ელში უნდა ჩახუტროს იგი...

უცნაური სანახაობა წარმოუდგა თვალთ. ანთებული ქრიზანთემების ფურცლები უჩუმრად ცვიან. თეთრ საქორწილო კაბაში გამოწყობილი, ყვავილიებით შემეკული პატარაძალი სასტუმროს ტალანში მიიჩქარის. ალბათ, ქორწილში არ ნიშნობაზე ეშურება. კაბის კალთა იატაკზე დასტრეკს. ერთი-მეორის მიყოლებით ცვიან ანთებული ქრიზანთემების უთეთრესი ფურცლები. კოპწია პატარაძალის დობილი მსუხეპად იხრება ღია-მწვანე ნოხზე, კრფს დაცვივნილ ყვავილთა უნახავს ფურცლებს...

ყოველდღე ეს ოდესღაც მართლა იხილა მიაკავამ, სასტუმროს ტალანში ჩაედოლიმა. დობილი ცდილობდა ისევე უჩუმრად აეკრიფა ყვავილთა ფურცლები, როგორც იხინი ეფიჩბოდნენ ძირს. ნეტავ, პატარაძალი თუ გრძნობდა, როგორ იძრკვნებოდა ქრიზანთემების თაიფი მის ხელთ? არაფერს იმჩნევდა კია, ვიდრე მიაკავა უწყვლო მებაღეზე ფიჭობდა, მუხღვზე, ვინაც მობერებელი ქრიზანთემებისაგან შეუკრა პატარაძალს თაიფული. მას გაუელვა ბრმა, რომ ეს ამბავი მშვენიერი სიუჟეტი უნებოდა ტრაგედიისა: თეთრი ქრიზანთემების უჩუმრად ჩამოცივნილი ფურცლები — ნაწმეტი სიყოცხისა, დღითი-დღე რომ ეცლება პატარაძალს ცხოვრებისეულ დავიდარასში...

რკინიგზის ბაქანს ქვემოთ, ქალაქისაყენ მიხვალ გზიდან, ფიჭვის ხე და ბორცვი სახლებს ევარება და არა ჩანს, მაგრამ საქმარისია გადუბხვითი კუთხეში, საცა მწვანე ფარდული ევას, რომ მაშინვე გამოჩინარებდა და თვით მიაკავას სახლამდე თვალს აღარ მიეფარება.

ფიჭვის ხე ზღვიდანაც მშვენიერად ჩანს. თბილ მიაკავას თავისმა ქალიშვილმა კაჟომ ეგბო, როგორ შეაცურა იგი ზღვაში მისმა სატრფომ მამამისის სასიერნო ორჩხომელით. შტრემ მაინც ხედავდა ფიჭვის ხეს, თუმცა ნაბირიდან შორს იყვნენ. ნაპირის ნისლოვანეში ბორცვი ძლივს ირჩეოდა, ფიჭვის ხე კი სრკვევით ჩანდა. გოგონას უცნაური გრძნობა დაეუფლა და ატირდა.

მიაკავას ეს ამბავი კაჟოს ნიშნობის დღეს გახსენდა. მამას ძალიან უნდოდა გაეგო, რა-

ტომ ატირდა ფიჭვის დანახვისას მისი გოგონა მაშინ... მაგრამ ახლა, კაჟოს საქმრო სხვა მებაღეი გახლდათ და მამას ეუბნებულეებამ ამბზე საუბარი. მერე კი, მერე... ველარტის მოითალა ამბზე სალაპარაკოდ.

მიაკავა თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, თუ ფიჭვის გახმობას თავად შეეწრებოდა. ისევე, როგორც ადრე ვერ იფიჭრებდა, დასახლებას ამ ბორცვის ძირას, რომელზედაც ეს ასწლოვანი ფიჭვის ხე დახვდებოდა. მაგრამ მას აროდეს სტოვება აზრი, რომ ეს გოლიათი, სწორედ მასთან, მიაკავასთან შეხვედრას ელოდა. ასე, რომ იგი არ დაიღუპებოდა მიაკავას მოსვლამდე. იგი ხომ მისთვის იზრდებოდა.

ახლა მიაკავას აღარც კი ახსოვს, ფიჭვის ხეს თავდაპირველად რომელი ტოტები გაუქვდალდა: ზედა, შუანა თუ ძირისანი, აღარც მის ჯალაბს ახსოვს, ხან რას იტყვიან ხოლმე, ხან რას.

ფიჭვს რომ შეეციოლებული წიწვიები პირველად დაუნახა, არც უფიჭრია თუ ეს ხის კედომას მოასწავებდა. თავისი მებაღე არა ჰყავდა — სასწრაფოდ უხმო მეგობარ მებაღეს. მოსულმა გარდუვალად სცნო გოლიათის ხისეფილი: ხეს მავნე მწერა შესელოდა და სხნა აღარ იყო. იქნებ რაიმე უწყალო, შეხვეწეა მიაკავა მებაღეს, მაგრამ იმან უმწეოდ გაშალა ხელები: არაფერი შემოძლიათ.

სახლიდან, ეზოდან, ქუჩიდან თუ რკინიგზის ბაქნიდან — ყოველი მხრიდან ბრალი იყო ამ ვეება მარტობის აღსასრულის ყურება აგონია დიდხანს გრძელდებოდა. აღარც ერთი მომწვანო წიწვი აღარ შეჩრა ხეს. ყველა გამრეშდა. ხანდისხან, ეს ერთიანად აელალებული ფიჭვი მიაკავას ამზრუნენდა და ავისმოამსწავებლად ესახებოდა. „ნეტავ, თვალითაც აროდეს მენილა“, — ფიჭობდა იგი ხშირად, მაგრამ, მიუხედავად ამ აზრებისა, უნებურად მაინც შეაკეტიდებოდა საბარლო ხეს. ფიჭობდა, რაც შეიძლება მალე უნდა მოეკრაო. ამას მარტო იმისთვის კი არ იზრახვიდა, თავისთავში აღეკვეთა შეგარძნება ამ ხისა, არამედ იმისათვის, რომ საბოლოოდ დაესამარებინა იგი.

რამდენიმე წელიც გავიდა. ფიჭვს გაჭარცებული წიწვიებიც დასცივდა. წვრილწვრილი ტოტებიც შეალა, მერმედ მსხვილი ტოტებიც მიჰყვა.

ეხლა მიაკავა იშვიათად თუ იხსენებდა წამხდარი ხის არსებობას. ისიც დაივიწყა, მოჭრას რომ უპირებდა. დღედათვილ ტოტებს ედებოდა თოვლი და თითქო აახლებდა ხეს. ტო-

იანუზარი კავახაბა
მოთხრობები

შეგი ფოკლექემ გაყინულ იყვნენ, მაგრამ ეამი-
ყამ ოთქოსდა საოცარ სიტბოს გამოსცემდნენ.

და აი, შევარდენი იხილა ფიჭვის კენწერო-
ზე. ფრთოსანი იმიტომ დაეშვა ხეზე, რომ მია-
კვამ არ მოჩება იგი. ფიჭვი თავისმავე მიუღ-
ვომლობამ გადაარჩინა. შესაძლოა მიაკავას
მცონარობამაც დაინდო. ასე იყო თუ ისე, გო-
ლიათი ხე ძველებურად აზვეებულიყო ბორც-
ვზე და ზედ მდლიდურად იჭდა უშველებელი
ფრთოსანი.

შევარდენი უძრავად იჭდა. სუნთქვაშეკრუ-
ლი მიაკავა ზევით იყურებოდა და ვჩეენებო-
და, თითქო შევარდენის უღვეი ძალა იღვრებო-
და მასში და ამ გამხმარ ხესაც გადაეცემოდა.
მიაკავას უნდოდა ცოლისათვის დაეძახნა,
რათა ისიც დამტკბარიყო ამ სილამაზის ცქე-
რით, მაგრამ ცოლი შორს იყო და ხმამალა
თუ არ დაუძახებდა, ვერ გააგონებდა. ძაბილი
კი ფრინველს დააფრთხოდა. მიაკავას შეე-
შინდა და ვადაიფიქრა ცოლის ხმოზა.

შევარდენი კი უძრავად იყო. თითქოსდა სა-
მარადეამოდ მისციებოდა ხეს კლანჭებით.

სიკოცხლით საესე ფრინველი — ქანდაკი
ხომ არ იყო, ოდესმე მაინც ვაფრინდებოდა.

გამხმარი ფიჭვი კი არსით მოიკვლიდა ხეებს.
ხე, იღვებოდა ასე ეულად. შევარდენის ხე-
დევს კი სამუდამოდ დამჩნეველად დაეშვა.
კვამ ერთხელ დაადგა თვალი, მაგრამ ფრ-
ველმა სამუდამო დაიბუდა მის ხსოვნაში.

რა აუწყა მიაკავას შევარდენმა? თუ კი მის
ვამოჩენა აკრვის ნიშანი და კეთილის წინა-
მოსწავება იყო, როგორიღა იქნება ის ბედნი-
რება და ხარება, რაც მიაკავას უნდა მოველ-
ნოს აწ? მარტო შევარდენის ხილვა იყო აწ
ლაფერი?

ეს მოხდა შარშანწინდელ ვაზაფხულს. მია-
კავას სახლს მიღმა ბორცვზე მდგარი ვამ-
მარი ფიჭვის ხე, მას უყან თითქმის არ შეე-
ვლილა. აღარც შევარდენი მოფრენილა ბე-
ტად. იქნებ მოფრინდა კიდევ, ოღონდ მიაკ-
ვას არ შეუენიშნავს.

ახლა მიაკავა ფიქრობდა, რომ თვით მასში
ჩასახლებულიყო შევარდენის არსობა.

მოყოლით რომ მოეყოლა, მაინც კაციშეიღო
არ დაუჩერებდა, რომ ამ პატარა ქალაქში, რა-
ღა ქალაქში — ზედ მის სახლთან, ბორცვზე,
შევარდენი დაეშვა!

გულში მტკიცედ ამოიჭრა, არავისთვის არა-
ფერი ეთქვა.



მზიულა ხსოვნები

ბარათაშვილის პოეზიის პასტერნაკისეული თარგმანები

ბორის პასტერნაკის წერილში ქართველი მე-
კობრების მიმართ, რომელიც დაწერილია ავად-
ყოფობის დროს, ყურადღებას იპყრობს შემ-
დეგი სტრიქონები:

«Я думал, что в случае моей смерти не
пройзойдет ничего несвоевременного, непо-
правимого. У —моей жены и ребенка бу-
дут друзья, никто их не обидит. А конед
не застанет меня врасплох, в разгаре ра-
бот, за чем-нибудь недоделанным. То есть
то, что можно было сделать среди
суетливости, которые ставило время, сде-
лано (перевод Шекспира, «Фауст», Бара-
ташвили)!»

ყველაზე მძიმე წუთებში, რომლებიც პოეტს
სიცოცხლის დასასრულად მიაჩნდა, ბ. პასტერ-
ნაკმა თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა
და ეს მისია იყო მისი მთარგმნელობითი საქ-
მიანობა. საგულისხმოა ისიც, რომ ისეთი დი-
დი მნიშვნელობის თარგმანების გვერდით, რო-
ცნობრივად გოეთეს „ფაუსტი“ და შექსპირი, ბ.
პასტერნაკი ბარათაშვილის პოეზიის თარგმა-
ნებსაც იხსენიებს.

როგორც ყველა დიდი პოეტის, ისევე პას-
ტერნაკის შემოქმედება განუყოფელია მისი
პოეტიკისაგან.

პასტერნაკმა ხანგრძლივად და მჭიდროდ და-
კავშირა თავისი ბედი ქართულ ეროვნულ
ელტურას. მრავალწლიანი მეგობრობა აკაე-
მურება მას ქართველებთან და საქართველოს-
თან. მისთვის ახლობელი და გასაგები იყო
ქართული სული, საქართველოს ისტორიულ-
ელტურული წარსული, მისი სიღრმე და ხა-
რათი. სწორედ ამ სიახლოვეთა ნაკარნახევი
სტერნაკისეული ბარათაშვილის საუკეთესო

სტრიქონები, სადაც ბარათაშვილის პოეტური
სამყაროს ღრმა წვდომა შეხამებულია ჰემსბ-
რიტი შთაფონების მქონე პოეტურ ძალასთან.

მხოლოდ მთარგმნელობითი ოსტატობა ვერ
შექმნიდა თარგმნის ასეთ ბრწყინვალე ნიმუ-
შებს, თავად რომ არ იყოს პასტერნაკი განუ-
მეორებელი ინდივიდუალობის პოეტი, რომელ-
საც შეუძლია ურთულესი და უღრმესი აზრი
საუკეთესო რითმისა და რიტმის ჩარჩოებში
მოაქციოს. მისი პოეტური ხელოვნების დიამა-
ზონი განუსაზღვრელია. ბუნებრივი ინტონა-
ცია, დაბეჭდილი ქესტები, მდიდარი ბგერწერა
და მკაფიო დიქცია მის არა ერთ თარგმანს თა-
ვისი მხატვრული სრულყოფილებით ორიგინა-
ლის სიმძლავრე აყენებს. რაც შემთხვევებში
ჩნდება ილუზია, რომ ბარათაშვილის ლექსები
შექმნილია რუსულად. პასტერნაკი თარგმნის
არა ცალკეულ სტრიქონებს, არამედ თავის ენა-
ზე გარდასაბავს ქართველი პოეტის მეტყვე-
ლებას, მის სტილს, მის პათოსს, შინაგან გან-
წყობილებას. პასტერნაკსაც ისევე, როგორც ბა-
რათაშვილს, შეეწინააღმდეგა იმ ეპოქის
იდეალები და ტიპიულები, რომლებმაც წარმო-
შვა ქართველი რომანტიკოსი. განსაკუთრებით
ძლიერია ის თარგმანები, სადაც პასტერნაკი
ხვდება მისთვის მახლობელ სულს. ამ ლექსებს
აღვილად იცნობს პასტერნაკი პოეზიის შეჩ-
ვეული ყური, იმდენად მკვეთრი ბეჭედი აზრს,
მით იმისა, რასაც „პასტერნაკის ლექსი“ ჰქვია.
მკითხველი აქ ხვდება დიდ სულიერ ენერჯიას,
გამოკვეთილ მხატვრულ სხანს, მაღალ პარმო-
ნიას, რაც ესოდენ დამახასიათებელია თვით,
პასტერნაკის პოეზიისათვის.

იმ პერიოდისათვის, როდესაც შესრულებუ-
ლია ბარათაშვილის თარგმანები (1945 წ.), პას-
ტერნაკის პოეტურმა მეტყველებამ მნიშვნე-
ლოვანი ცვლილებები განიცადა. თუ ადრე სა-
ჭირო იყო მის ლექსებთან თითქმისდა „შერჩე-
ვა“ და ხშირად მათი სტილი და აზრის გად-

! Письма Б. Пастернака к грузинским
исателям. Вопросы литературы, № 1,
1966, გვ. 194.

მოცემის საშუალებები ერთგვარი ბუნდოვანებით იყო მოცული, 30-40-იან წლებში დიდი სტილისტური ძიების შედეგად ეს სტილი თანდათან დაიხვეწა და მისი შემდგომი დიდი პოეზია თავისი კრისტალური სისადივითა და ავტორის ნათელი ხედვით თავისუფლად უტოდებდა რუსული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. ამ გარემოებამ საგრძნობლად გააღრმავა პასტერნაკის მთარგმნელობითი შესაძლებლობანიც.

პასტერნაკმა რუსული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის არა ერთი შედეგის თარგმანთ ვამაღიღრა. ვადაძარბეული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა შეადგენს მეორე პოეტურ სახეს, რომელიც პასტერნაკის დიდი პოეტური მემკვიდრეობის ტოლფასია. ყველა იმ მაღალი თვითშეფასებით, რომელიც ახასიათებს პასტერნაკს პოეტს, აღჭურვილია პასტერნაკი-მთარგმნელი. ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მთარგმნელობით საქმიანობას თვით პოეტს. მისი ჩანაწერები შექსპირის თარგმანების შესახებ შეიძლება მივიჩნიოთ მთარგმნელობითი მუშაობის საუკეთესო თეორიულ ნაშრომად. შექსპირისდრამის დიდი ისტორიული გარემოს ღრმად შესწავლის, თვითეული ღრამის საფუძვლიანი ანალიზის და ცალკეული გმირების ფსიქოლოგიის შესწავლისა და ვათვალისწინების შედეგადაა შექმნილი რუსული შექსპირი. ტიპური შრომაა ჩატარებული გოეთეს „ფაუსტის“ თარგმანზეც. რუსული „ფაუსტის“ უბრალო, სადა ხალხური ლექსი სავსებით შესაბამებდა „ფაუსტის“ ორიგინალის ელვადობას. როგორც ცნობილია, „ფაუსტი“ გერმანულ ენაზე თავისი სისადივითა და უბრალო სალექსო წყობით გამოირჩევა.

რაც შეეხება ბარათაშვილის პოეზიას, პასტერნაკმა იგი განზრახ გაათავისუფლა არქაიზმისაგან თავის თარგმანებში. არქაული სიტყვები და გამოთქმები ბარათაშვილთან თავისებურ კოლორიტს ქმნის, რაც საჭიროა რელიგიური განწყობილების გადმოსაცემად, რითაც ხშირად შეპყრობილია პოეტი. ზომიერი, დახვეწილი თანამედროვე რუსული ლექსით ეღერს პასტერნაკის ბარათაშვილი. სამაგიეროდ, პასტერნაკმა ბარათაშვილის თარგმნისას პოეტის შინაგან მუსიკალობაზე და სულეტიკ ექსპრესიულად გადითანა ყურადღება. მან თავისი თარგმანები არ შეზღუდა ორიგინალის მეტრიკის შენარჩუნების აუცილებლობით და ბარათაშვილის პოეტურ ხმას ადექვატური რუსული საზომი მიუსადაგა.

პასტერნაკისათვის ბარათაშვილის პოეზიის თარგმნისას ამოსავალი პოეტის სამყარო და ცხოვრება იყო. ბარათაშვილის ბიოგრაფიული ელემენტების ვათვალისწინებით პასტერნაკმა გამოძერწა პოეტური არისტოკრატიზმით გამსჭვალული ლირიკული გმირი, რომლისთვისაც

უცხო არაა ლიტერატურული სილოზი, დაქვილი ტონი. პასტერნაკის მაღალმა ხელოვნებამ ქართული რომანტიკული სულისკანონის სიკეთხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა.

ამ მაღალი მისიის შესრულებისას პასტერნაკი-მთარგმნელი ხშირად შეუზღუდველ ნებს იჩენს სათარგმნელი ტექსტის მიმართ. თავის პოეტური ალლოთი ცელის და ამუშავებს მხატვრულ სახეებს, რათა ქართველი პოეტის ნაზრევი რუსული ლექსის სიმსუბუქითა და ერთობლივანებით გამოხატოს. იგი თავის თარგმანებში, ისევე, როგორც საკუთარ პოეზიაში, არ სარგებლობს მზა მხატვრული სახეებით. ქართველი პოეტის გონებრივი და ემოციური სამყაროს რუსულ ენაზე გადმოსაცემად, იქნება ეს მსუბუქი განწყობილების ლექსები თუ დრამატუზმით სავსე სტრიქონები, ფილოსოფიური ხასიათის მედიტაციები თუ ბედისწერის პრობლემები, პასტერნაკი ქმნის ახალ, თავისებურ მხატვრულ სახეებს და ცდილობს ბარათაშვილის აზრის წყობა — საკუთარი პოეტური ენით წარმოდგენილი — უცვლელად მიიტანოს რუს მკითხველამდე. ხშირად ბ. პასტერნაკს ამგვარი თარგმანების შესრულებში მეტოქე არ გააჩნია.

საკმაოდ დიდი როლდნობით არსებობს თეორიული ნაშრომები თარგმანის შესახებ. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და განსაკუთრებული მეთოდებისა, ვფიქრობთ, ახარა სადავო — რა საშუალებით აღწევს მთარგმნელი თარგმანის მაღალ ხარისხს, რომელია „სწორი“ გზა — მიუხედავად თუ თავისუფალი დამოკიდებულება სათარგმნელი ტექსტის მიმართ. მიზანი ერთია — შეუცლოვლო, ცოდნისა და შემოქმედებით ინტელექტის მთელი დაძაბვით, ტექსტის მიმართ გარკვეული მსხვერპლის ვალდებით, მთელი რიგი ავტორისეული დეტალების გარდასახვა-დაკარგვით და ორიგინალისაგან ნებისმიერი დაშორებითაც კი მთარგმნელმა უნდა გამოიმუშოს სათარგმნელი ლექსის კონტენტისა და ვააკოეხლოს იგი საკუთარ ენაზე, რა საშუალებით მიაღწევს მთარგმნელი ამ მიზანს დამოკიდებულება მხოლოდ მის პოეტურ ინდივიდუალობაზე.

«Искусство поэта-переводчика начинается с умения найти угол расхождения между подлинником и переводом. Угол этот неизбежен. Задача в том, чтобы безошибочно — по точнейшему расчету, диктуемому знанием и творческой интуицией — его определить». წერს ეტიკინდი თავის წიგნში «Поэзия и перевод»².

სწორედ ამ თვალსაზრისით მინდა განვიხილო ბარათაშვილის პასტერნაკისეული თარგ-

² Е. Эткинд. Поэзия и перевод. М. Л., 1963 г. гл. 43.



მანები. ჩემი მიზანი არაა თითოეული ლექსი-სა და ბუკარის დეტალური განხილვა და შეფასება. როცა საქმე გვაქვს ისეთი მალალი კლასის მთარგმნელთან, როგორც პასტერნაკი, აღარ ვლაპარაკობთ შესრულებული თარგმანის ხარისხზე. აქ მეტად საინტერესო საკითხებთან გვაქვს საქმე.

ბარათაშვილის პოეზია — ეს არის საკმაოდ რთული, თავის თავში ჩაღრმავებული, ფილოსოფიური აზროვნებით მიღღარა პოეზია, სადაც პოეტურ ინტროსპექციასთან ერთად დასმულია ზოგადსაქაობრიო და ისტორიულ-ფილოსოფიური პრობლემები. აქ არის დასმული ისეთი ფართო ასპექტის საკითხები, რომლებიც ხშირად ბარათაშვილის ფაქტურ სულზე ალაპარაკებს მკვლევარებს. მინდა გამოვიყო რამდენიმე ძირითადი ასპექტი ბარათაშვილის პოეზიისა და პასტერნაკის თარგმანებში დაეძებნო მათი გამოხატულება. საინტერესოა, თუ რამდენად იქნა ეს ძირითადი საკითხები დანახული და რა საშუალებებით იქნა გადაჭრილი უფრო რუსი პოეტის მიერ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბარათაშვილის ფილოსოფიური პოეზიისათვის, რომელიც ხშირად ტრადიციული პიროვნების პოეტურ ბიოგრაფიას წარმოადგენს, უცხო არაა მსუბუქი, სალონური ტონი. ამ ტონით ბარათაშვილს არა ერთი ბრწყინვალე ლექსი აქვს წარმოთქმული. სატრფიალო ლირიკა და მსუბუქი განწყობილება მისი პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. საინტერესოა მთარგმნელის დამოკიდებულება ამ კატეგორიის ლექსებისადმი. ხშირია შემთხვევა, როდესაც პასტერნაკი სრულიად ცვლის ბარათაშვილის ლექსის სტროფიკას, სიტყვიერ მასალას, საგრძნობლად შორდება შინაარსს, თამამად შეაქვს თავის თარგმანში ახალი შედარებები და მეტაფორები და ამავე დროს ზუსტად გადმოსცემს ბარათაშვილის სათქმელს. ზოგი მათგანი ძნელად განსხვავდება პასტერნაკის ლექსებისაგან. აქ ხდება სწორედ ის „თანაეტროპობის“ აქტი პოეტისა და მთარგმნელის, როდესაც ძნელდება მათ შორის ზღვარის გავლება. როდესაც ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული პოეტური ხმის მქონე ავტორი ერთმანეთს ეცილებს ლექსის თემას და ხშირად სრულიად სხვადასხვა პოეტური მეტყველებით სხვადასხვა ენაზე ერთსა და იგივე ლექსს ქმნის.

პასტერნაკი-მთარგმნელის შეუზღუდველი ნების ნიმუშია ლექსის — „მოიყვარს თვალები მიზნედილები“-ს თარგმანი. აქ საოცარი სითამამითაა ტაბუები გადატყვევებული ერთ ლექსიკურ ერთეულად და ერთი სიტყვა კი თარგმნილია მთელ სტროფად. რუსულ ლექსში აღარაა ფტორისეფული: „ისრები, რომლებიც განეწონვიან ზამბახვარდთ ველად“, „თვალნი-მკვლელე-

ბი“, „უენო მსხვერპლი“, სამაგიეროდ ჩნდება «Руки белые как лилии», «взгляды отчужденные как ножницы». ბარათაშვილის ტაბუები — „მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდლის თქვენგან გაქცევას“ მთელ სტროფადაა ვარდასახული:

Руками белыми, как лилии
Нас страсть заковычивает в цепи.
Уже нас не спасут усилия,
Мы пленники великолепия.

ამ შესანიშნავ რუსულ სტროფში ადვილად გამოიკნობა თვით პასტერნაკი, მისი მანერა, მხატვრული სხის მისებური წყობა და უფრო მეტიც — მისი დამოკიდებულება ქალისადმი. უნებური რემინისცენცია:

А я пред чудом женских рук,
Спины, и плеч и шеи,
И так с привязанностью слуг
Весь век благоговеею.

ბარათაშვილის სტრუქტურები:

ვიცი, რომ მტრობენ გულსა მგრძნობელსა,
უწყალოდ სტანჯვენ უენო მსხვერპლსა.

თარგმანში მოხდენილიადა გამოხატული ერთი სიტყვით: «бессердечность».

ბოლო ორი ტაბუები, სადაც ბარათაშვილი სატრფოს თვალთავან სიკვდილში უკვდავებას ხედავს:

თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა
ძლიერსა ბასრობას,
თუ არა სუერტდეს თქვენგან სიკვდილში
თვით უკვდავებას

თარგმნილია ასე:

И жизнь Вам отдаем в заложницы,
Чтоб выкупом нам стала вечность.

ეს თარგმანი ნიმუშია იმისა, თუ როდენ დიდი სითამამე შეუძლია გამოიჩინოს მთარგმნელმა ორიგინალის ტექსტის მიმართ და ეს სითამამე გამოისყიდოს ავტორის განწყობილებისა და ლექსის ძირითადი აზრის აბსოლუტური შენარჩუნებით. ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ლექსში „შენნი დალანი“. მომყავს ორიგინალიც და თარგმანიც:

3 Объяснение. Б. Пастернак. Стихотворения и поэмы. М., Л., 1965 г., стр. 431.

გივილა ხუციშვილი
ბარათაშვილის კომიუნიზმის პასტიტრანსკრიპციული თარგმანები

შენი დაღალნი ყრილობენ გველად
სპეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად,
და თვალთა ჩემთა ადვირზედ
ხან ნუგეშისთვის, ხან დასაწველად!

ოდეს ნიაგი ლამაზ დაღალენს
მიგვიშლ-მოვიშლის და სიამოვნებს,
მაშინ ჩემს თვლებს ალაგზნებს შური
და გლახ ჩემს გულსა ის ავალალებს!

Как змен, локоны твои распались
По nive счастья, по твоей груди.
Мои глаза от страсти разбежались,
Скорей оправь прическу! Пошади.

Когда же ветер, овеяв ниву,
Заматывает локоны в клубки,
Я тот час же в своей тоске ревнивой
Тебя ревную к ветру по-мужски.

აქაც სრული სიკბადით ჩანს პასტერნაკის „მე-
თოდი“, — მთელი რიგი ავტორისეული ფრა-
ზებისა უარყოფილია. მათ მთარგმნელი თამა-
შად ცვლის ტოლფასოვანი სუბსტიტუტით.
თარგმანის ბრწყინვალედ ნიმუშია „ნა... ფორ-
ტეპიანოზედ მომღერალი“-ს პასტერნაკისეული
ვარიანტი:

Звуки рояля сопровождали
Наперерыв

Части вокальной

Плавный, печальный

Речитатив.

Ты мне все время

Слышалась в теме,

Весь я был твой.

В смене гармоний,

В гулкой погоне

Их за тобой.

Мало-помалу

Ты распрямляла

Оба крыла.

И без остатка

Каждую складкой

В небо плыла.

Каждым изгибом

Выгнутых дыбом

Черных бровей,

Линией шеи,

Бездною всею

Муки моей.

აქაც ტექსტთან მეტად თამამი დაშორების
საშუალებით მთარგმნელი სულ ახლოს მი-
დის ორიგინალთან. აქ სიზუსტე ნიშნავს სტრუ-
ქტურულ-არქიტექტონიკული თავისებურების
შენარჩუნებას. შენარჩუნებულია ბარათაშვილის
ლექსის პლასტიკა, მუსიკალობა, სილაბიკა და
შეჭმნილია მაღალი კლასის რუსული ლექსი,
რომელიც თავისუფლად დაიჭერს პირველთაგან
ადვილს პასტერნაკის შემოქმედებაში.

დიდის ოსტატობითაა შესრულებული ლექ-
სის „საყურე“-ს თარგმანი. მთარგმნელი საყ-
მოდ ახლოს მიჰყვება ორიგინალს, მისი
შემოაქვს რამდენიმე ახალი საწე. ბარათაშვი-
ლის ლექსის თემა-ნეტარების განცდა, გამოწვე-
ული. ქალის ყურზე საყურის რხევით—რუსულ
ლექსში განიცდება ისეთივე სიძლიერითა და
პლასტიკობით, როგორც ქართულში. მისი
ბოლო სტროფი სამართლიანად ექიშება ორი-
გინალისას. აქ უარყოფილია სტრიქონები:

ჰოი, საყურეო, გრძნობით ამრევო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
შენ უკვდავების შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

და მთელი ყურადღება გადატანილია ავტო-
რისეულ „უკვდავების შარბათზე“, რომელზე-
დაც აგებულია მთელი სტროფი:

Богов блаженее,
Он на мгновение
Бессмертье купит,
И мир безгрозя
В парах амброзии
Его обступит.

ჩნდება რელიგიური „პარ ამბროზი“, რაც ასე
მახლობელია ბარათაშვილისთვის და ლექსის
ფინალი კიდევ უფრო ამალტებული და დახვე-
წილია, ვიდრე ორიგინალში.

თარგმანში „სატრფოვ, მისსოვს“ მთარგმნე-
ლი ერთდროულად ინარჩუნებს ორიგინალთან
შედარებით შინაარსობრივ და ინტონაციურ
სიზუსტეს და ამავე დროს ხიბლავს მეთხველს
რუსული ლექსის ბუნებრივი ხმოვანებით. გასა-
ოცარი ოსტატობით გამოირჩევა თარგმანი
სტროფისა:

მეგრამ, სულო, იგი ცრემლი
არ სტიროდა ამ სოფელსა,
სახე შენი მოწყენილი
არა ჰგავდა ზორციელსა!

Не о земном уроне
Ты думала в тот миг.
Красой потусторонней
Был озарен твой лик.

აქ საქმე გვაქვს იშვიათ შემთხვევასთან.
როდესაც მთარგმნელი ქმნის მაღალხარისხოვან
ლექსს თავის ენაზე ავტორისეული ყველა დე-
ტალის შენარჩუნებით.

ბარათაშვილის პოეზიაში დიდი ადგილი
უჭირავს ბუნებას. ბუნების ფონზე იშლება პო-
ეტის მედიტაციები სულზე, საწყურთობზე,
შენაარსზე... ბუნების წიაღში იხადება მაღა-
ლი ზრები სულის გამარჯვებისა დროსა და
სივრცეზე. ბუნებასთან შეხვედრული განიცდის
პოეტი უკვდავების იშვიათ წყურებს. იგი აქ
თავისუფლდება დროისა და სივრცის ზორცი-



ლებსაგან და იქმნება სრული ილუზია მისი ზუნებასთან შერწყმისა. უდიდესი ინტიმი კაცისა და ბუნებას შორის, გამოხატული ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზე“, იძლევა საწყურთოს დაიწყებისა და სულის ამაღლების წარმატალ სურათს. პოეტი ბუნებასთან შეზავებული ცდილობს „ზენაართ სამყოფის“ წვდომას. მთაწმინდის შემოგარენი, მოკლული ღვთაებრივი ილუმინაციით, რაღაც უხილავ კავშირშია ზეცასთან. მთელი ბუნება ჰავის გარინდებულ მლოცველს — ზეცისაკენ თვალემზიპრობითს. პოეტი, ორგანული ნაწილი ამ ბუნებისა, მწუხარე და სევდიანია, როგორც ეს ალამო, ისიც აღმართავს ზეცისაკენ თავის ფიქრებს, მისი გულისთქმა ცდილობს განეშოროს ამქვეყნიურ ამოღებას და იერ განგებას ეზიაროს. ლექსში გამეფებულ ილუმინაციას თითქოს ერთგვარად არღვევს ფინალის უეცარი ოპტიმიზმი: „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს“. მზიანი დილა და ბინდის განათლება არაა ამ ლექსის ავტორის საოცნებო მზიანი. მთელი მისი არსება მიმართულია იქით, რათა თავისი ფიქრები და გულისთქმა მიაწვდინოს ზენაართ სამყოფს. მისის მწუხრით გარშემორტყმული შესტყერის იგი ზეცას ტრფობით და მხოლოდ ღვთაებრივთან ზიარებაა მისი სურვილი.

სავულისხმოა, რომ „შემოღამების“ პირველი ვარიანტის ბოლო სტრიქონები ამ განწყობილების გამომხატველია და ფიქტობ, უფრო ორგანულად ეხმიანება ლექსის საერთო განწყობილებას. თუ ლექსის საბოლოო რედაქციით სალამო აძლევს პოეტს ნუგეშს, „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“, პირველ ვარიანტში უტყვი ამოთხერით მიპაყრობს თვალს მიმწუხრის და აყეობს უფრო მეტი შინაგანი შეკავშირების ცდას — იგი თხოვს მიმწუხრს „მისთვის მისნობას“, ე. ი. მოიხმობს თავისი სულის მესაიდუმლედ.

როს უტყენი ჩემნი აღმოხებრანი შემომახვევენ ფიქრიანობას, მაშინ მზიარლი შეწუნდან თვალნი ითხოვენ შეწგან მისთვის მისნობას.

ამ ლექსის რელიგიურ განწყობილებას ბუნების, გარემოს აღწერით ქმნის ბარათაშვილი. მისი სულისა და აზრის მოძრაობა შინაგან კავშირშია ლექსში აღწერილ პეიზაჟთან. ეს პეიზაჟიც მდუმარება და გარინდებული. ბუნების თუ პოეტის სულის ამ სტატიკურ სურათს არ არღვევს არც ერთი ფრაზა, არც ერთი მეტონიშია. აქ ვერ შეხვდებით მკაფიო და მკვეთრ კონტურებს. „ღამაფიქრეღლი“, „უღაბურნი“, „იღუმალობა“, „ბუნდოვანი“, „მიქანცებული“, „შექმიბინდული“, — აი, ლექსიკური არსენალი „შემოღამების“ ავტორისა. ლექსში ყოველივე ჩემია და ამაღლებული.

პასტერნაკის პოეზიისათვის უცხო არაა ბუნების წვდომა, მაგრამ მისი ზედვა საკმაოდ განსხვავდება ბარათაშვილის ხედვისაგან.

თუ ბარათაშვილის ბუნება ზოგადი მონაზნებოთაა დახატული, პასტერნაკის პეიზაჟი ზუსტად აღწერით გამოირჩევა. მის ლექსებს ბუნებაზე პორტრეტული სიზუსტე ახასიათებს, რაც, რათქმა უნდა, არ შემოიფარგლება მხოლოდ აღწერით. აქა უდიდესი პარაზონია ბუნებასა და ამაღლებულ სულს შორის. პასტერნაკისათვის გარემოს ზუსტი ასახვა თვითმიზანი კი არ არის, არამედ ბრწყინვალე საშუალებაა იმ დიდი და რთული ფიქრების გადმოსაცემად, რომლითაც ესოდენ მდიდარია მისი შინაგანი სამყარო.

მაგრამ, სამწუხაროდ, „შემოღამების“ რუსულ თარგმანში პასტერნაკმა ვერ შეძლო შეექმნა ბარათაშვილისეული მხატვრული სახე — ის დიდი იღუმალება, დიდი ინტიმი პოეტის სულსა და ბუნებას შორის და ამ ორი ფენომენის გაერთიანებით უზუნაესის წვდომის ცდა. ბარათაშვილის ლექსში გამეფებული მდუმარება ერთგვარად დარღვეულია, „ახმაურებულია“ თარგმანში. „ნელად მქროლინი ნიავნი“ და „ჩუმი შემოგარენი“ რუსულ ლექსში ქლერს, როგორც

«И естер налетал по временам в ущелье И громко шелестел весеннею листвою».

„ვიითარი მაშინ იღუმალება დაისადგურებს შენს არემარეს“ თარგმნილია უბრალო და ყოფითი სიტყვით „не налюбуешься“. ბარათაშვილის ეპითეტები ფართოა და ზოგადი.

„ჰოი, მთაწმინდა, მთაო წმინდა, ადვილინი შენი ღამაფიქრეღლი, ვერანანი და უღაბურნი“...

რუსულ თარგმანში ეს ფართო ცნებები დაშლილია პასტერნაკის თვალისათვის ადვილად შესამჩნევ ნაწილებად. მთაწმინდის პეიზაჟში მთარგმნელმა დაინახა «закат», «огни», «верхи», «рошчи», «луговины» და ა. შ.

ბარათაშვილის მთვარეც კი რუსულ თარგმანში იქცა კონკრეტულ საგნად — მთვარის ანარკულად წყალში.

გინახავთ სული, ჯერეთ ღმანკო, მხურვალე ლოკით მიქანცებული, მას გავლა მთვარე, ნახად მთარე, დისკო — გადახრით შექმიბინდული.

ეს სტრიქონები თარგმნილია შემდეგნაირად:

Как инокини лик, как символ благочестия, Как жаркая свеча, луна в воде светла.

მხიულა ლუციონი
ბარათაშვილის პოეზიის პასტერნაკისმსული თარგმანები

ისევ კონკრეტული — «Луна в воде».

მთაწმინდის შემოგარენის მთლიანი სურათის დეტალზე დაშლამ ორიგინალის მხატვრულ სახეს მლიანობა დაუკარგა. დაარღვია ცდილი პარამონია, ის დიდი განზოგადება, რაც ბარათაშვილის პეიზაჟს აკისრია.

უდიდესი ინდივიდუალობისა და საკუთარი, მკვეთრად გამოკვეთილი ხელწერის პოეტიკითარგმნელი ვერ აღწევს თავს საკუთარ ხედვას, და თუმცა შინაგანად მისთვის სრულიად გასაგები და ახლობელია ბარათაშვილის სულის მოძრაობა, აღწერის საკუთარი მანერით ერთგვარ ზიანს აყენებს მისთვის საკმაოდ ხელმისაწვდომ მხატვრულ სახეს.

მაშინ, როდესაც პასტერნაკის მიერ შემჩნეული და საკუთარ პოეზიაში სათუთად შეტანილი დეტალები ქმნის განსაკუთრებული იტიმპრობის ამაღლებებელ განწყობილებას, რუსი პოეტის ეს თავისებურება შეუფერებელი აღმოჩნდა ბარათაშვილის რუსულ ენაზე გარდასახვისას. ეს არის პასტერნაკის ხედვა, მისი პრინციპი სამყაროს აღქმისა და აღწერისა, რომლისთვისაც არ უღალატნია მთელი თავისი ხანგრძლივი პოეტური ბიოგრაფიის მანძილზე. პასტერნაკისათვის სამყარო შედგება დეტალებისაგან, რომლებიც ხშირად სხვისი თვალისათვის შეუმჩნეველია, თვით კი არა მარტო ამჩნევს, არამედ დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებს. ის არის პოეტი, «Кому никто не мелко», ამ თავის ხედვას ერთ-ერთ აღრინდელ ლექსში მიუჩინა კიდევ «Восемьдесят бог деталей», და მთელი სიცოცხლის მანძილზე გაატარა პრინციპი:

Не знаю, решена ль
Загадка зги загробной,
Но жизнь, как тишина
Осенняя. — подробно⁴.

სწორედ ეს დეტალები (Подробности) დაინახა პასტერნაკმა ბარათაშვილის «შემოღამების» მიღმა. ორივე პოეტი ხედვას ერთსადაიმევე პეიზაჟს, ორივე შალალ მნიშვნელობას ანიჭებს მას, მაგრამ მათი ხედვა განსხვავებულია. იქ, სადაც ერთისთვის არსებობს რამდენიმე ზოგადი მონახაზი, მეორე ამ პეიზაჟის უმცირეს შემადგენელ დეტალებს ქვრტობს.

სულის უკიდურესი დეპრესიის შედეგია «ჩემი ლოცვა». ეს ლექსი ყველაზე მეტადაა გამსჭვალული რელიგიური მორჩილებით. აქ არის უტყვე ლალადისი უზენაესისადმი, სადაც პოეტი განწყობილდასა და სულიერ სიმშვიდეს თხოულობს მხოლოდ. ლექსის ინტონაცია სანებით შეესაბამება პოეტის რელიგიურ განწყო-

ბილებას. ეს ინტონაცია შესანიშნავად განხორციელებული რუსულ თარგმანში. აქ მთარგმნელი ორიგინალთან მაქსიმალურად სწავლივით ქმნის ბარათაშვილისეულ სექციონს განწყობილებას, რომელიც დრამატიზმადეა მისული. რუსულ ლექსშიაც პოეტი მლოცველად გვეპოვებით:

Ключ жизни, утоли мою печаль
Водою из твоих святых истоков.
Спаси мой челн от бурь мирских пороков
и в пристань тихую его причаль

როგორც ინტონაციურად, ისე აზრობრივად ეს არის ზუსტი გარდასახვა სტროფისა:

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმინდათა
წყალთაგან შენთა,
დამინთქე მთში საღმობანი სულისა სენთა!
არა დამქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვენებისა,
არამედ მოეც მას საღგური მყუდროებისა!

მაგრამ ლექსის დასასრული, სადაც ბარათაშვილის დრამატიზმი სავეტ მეტყველება ტაძრულ დუმილადია ქცეული, სადაც ეს დუმილი მეტი, ვიდრე ყოველი, რაც ბავთეა «დაუშთოთ სთქმელად», პასტერნაკის თარგმანში ერთგვარად ჩავარდნილია.

Мои нечаянные умолчания
В молитву мне по благости зачти

ვფიქრობ, აქ მთარგმნელი დალატობს იმ ინტონაციას, რომელიც ასე შესანიშნავად აქვს მოქმენილი ბარათაშვილის ლექსისათვის. ის დიდი დუმილი, რომელზედაც ლაპარაკია ბარათაშვილის «ლოცვაში», სრულიად არაა შემთხვევითი (нечаянно) და არც სიტყვა უმოწყაანე გამოხატავს მის მნიშვნელობას. ხოლო ალიტერაციული ხმოვანება ამ სტრიქონისა — «Нечаянные умолчания» — ასეთი ამაღლებული ლექსისათვის, ვფიქრობ, ერთგვარად შეუფერებელი მხატვრული საშუალებაა.

მხატვრული სახის მონუმენტურობით გამოირჩევა ბარათაშვილის ლექსი «ევოვე ტაძარი». პოეტის განცდის დრამატიზმი აქ მრწყინვალ სიმბოლიკით არის ვადმოცემული. ბარათაშვილი კიდევ ერთხელ უბრუნდება რელიგიურ თემას და შეუდარებელი ხატოვანებით ქმნის პოეტური წარმოსახვის გრანდიოზულ სურათს.

ტაძარი წმინდა სიყვარულის სიმბოლიკა, სადაც დამაშვრალი და მიუსჯარი სული უდიდეს შვებას პოეებს. ეკლესიური სიმყუდროვე და ამაღლებული განწყობილება სუფევს ბარათაშვილის სტრიქონებში:

ანგელოსთაგან იკვროდა მუნ დავითის ქნარი
და განისმოდა ციურ დასთა ვალობის ზარი.

და რამდენადც გრანდიოზულია ტაძრული სიმყუდროვის სურათი, იმდენად გრანდიოზუ-

⁴ Давай, ронять слова... Б. Пастернак, Стихотворения и поэмы. М. Л. 1965 г. გვ. 150.



ლია მისი ნგრევა და ამ ნგრევით გამოწვეული სასოწარკვეთა. თუკი „შემოღებებაში“ ნახი, მკრთალი ფერებითა და რბილი საღებავებითაა სულის მდგომარეობა გაღმოცემული, აქ პოეტის სულის კატასტროფა ტაძრის ნგრევის გუგუნს გამოსცემს.

პასტერნაკის „ვპოვე ტაძარი“ იწყება ბარათაშვილის განწყობილების შესანიშნავი გამოხატვით.

Я храм нашёл в песках. Среди тьмы
Лампада вечная мерцала,
Неслись Давидовы псалмы
И били ангелы в кимвалы.

პასტერნაკიე ბარათაშვილის მსგავსად შედის ტაძარში და ღვთაებრივი სიღაღისა და სიმყუდროვის სურათს ქმნის: „Лампада вечная мерцала“ თითქოს „წმინდა ლამპარის“ თარგმანი ყო არის მხოლოდ, არამედ ბარათაშვილის ყოველდღიური მეტყველებიდან აღებული სიტყვებია: „Луна тускло освещает могилы, как догорающая лампада усопшего“.

წერდა პოეტი ერთ-ერთ წერილში თავის მეგობარს. პასტერნაკი ზიარებულია ბარათაშვილის განწყობილებას და მისთვის ჩვეულებრივი ოსტატობით ასრულებს წმინდა მსხვერპლ-მწიქრვის აქტს:

Жрецом и жертвой был я сам
В том тихом храме среди пустыни
Курил я в сердце фимиами
Любви — единственной святыне.

მაგრამ, როდესაც ამ ნეგეშის ტაძრის დანგრევით გამოწვეული სასოწარკვეთა ბარათაშვილის ლექსში უმაღლეს დრამატიზმს აღწევს, პასტერნაკის თარგმანში ეს ვანცია თითქოს შერბილებულია, გაუფერულებულია მისი სიმკვეთრე და ლექსიც ერთგვარად კარგავს თავის გრანდიოზულობას. განა შეიძლებოდა ბარათაშვილის პათეტიკური სტრიქონები „განჭრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მღუმარებს“ შეცვლილიყო უღიმამო სტროფით:

И что же, в несколько минут
Исчезли зданье и ступени
Как будто мой святой приют
Был сном, или обманом зренья.

ისევ ის დაკონკრეტება ერთიანი და შეკრული სურათისა. „Несколько минут“, „зданье“, „ступени“ — ეს არაორიგინალისეული დეტალები მთლიანობას უკარგავს ბარათაშვილის კომპაქტურ და ძლიერ მხატვრულ სახეს.

მთარგმნელს განუსაზღვრელი უფლება აქვს

ნებისმიერად გამოტოვოს ან შეცვალოს ტექსტის ესა თუ ის ნაწილი, ოღონდ შეინარჩუნოს ლექსის ძირითადი აზრი და განწყობება, შეუცვლელად მიიტანოს მკითხველამდე ავტორისეული მხატვრული სახე. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ერთ ფრაზას, თუნდაც ერთ სიტყვას ლექსში უდიდესი მოვლენობა აკისრია. მისი დაყარვა ორიგინალის მხატვრულ სახეს საგრძნობ ზიანს მიყენებს. გაუმართლებელია ლექსში „ვპოვე ტაძარი“ ისეთი აზრობრივი ერთეულის უგულებელყოფა, როგორცაა სიტყვა „მწირო“. „მწირო“ ბარათაშვილის პოეზიაში კონცეფციური ორიენტირია, რომელსაც პოეტი არა ერთხელ ხმარობს: „მწირო სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით“, „და დავალ თბლად ისევ მწირო, მიუსაფარი“, პერსონაჟი ლექსისა „სუმბული და მწირო“. სიტყვებს „მწირო“, „უდაბნო“ ბარათაშვილის პოეტურ სამყაროში კონცეფციური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. პოეტი თვითონ არის მწირო, ხოლო თავისი გარემო მღუმარე უდაბნოდა აქვს წარმოსახული. მხატვრული სახე მეუღაბნოვე მწიროსა ბარათაშვილის ლექსებში არა ერთგვანს გვხვდება:

მწირო სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით
პასტერნაკს თარგმნილ აქვს:

Там отрясал я прах от ног
И отдыхал душой разбитой.

სასოწარკვევისა და ტრაგიზმის პათოსს მოკლებული თარგმანის ბოლო სტროფი

Где прах бы я от ног отряс
И тихо помолвился снова

ვერ ავლენს სასურველი სიმღიერით მღელვარებას სულისას, რომელსაც უკანასკნელი „ნეგეშის კარი“ დაეჭმო.

არის შემთხვევები, როდესაც იცვლება ლექსიკური შესატყვისობანი და ამით იცვლება ლექსის ინტონაცია და შინაარსიც კი, რადგან სრულიად შეცვლილია ლირიკული გმირი, მისი ხმა, მისი მეტყველება, მისი დამოკიდებულება ცხოვრებისა და ბედისწერისადმი.

„სულა ბოროტო“ შემთხვევითი ლექსი არაა ბარათაშვილისათვის. თავისი ბედის, ხვედრის საკითხი მთელი მისი სიცოცხლისა და პოეზიის ამაღლკვებელი საკითხია. „სულა ბოროტოში“, რომელიც ცხოვრების მიწურულშია დაწერილი, თითქოს პასუხია გაცემული იმ კითხვაზე, რომელიც ჭერ კიდე 1836 წელს დაწე-

გიულა ხუციშვილი
ბარათაშვილის პოეზიის პასტარნაკისეული თარგმანები

5 წერილი მიხ. თუმანიშვილისადმი, ნ. ბარათაშვილი, თხზულებები, 1968 წ. გვ. 171.

რილ „ხმა იღვმალში“ აქვს სრულიად ჰაბუე პოეტის დასმული:

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი?
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომიწაევებ,
სიცოცხლეს ჩემსას რას განწმუნადებ?

ბარათაშვილისათვის ბედისწერა არის ფატალური ძალა, რომელთან ჰიდილს შეალია თავისი ფიზიკური და პოეტური არსებობა. სრულ დაუმორჩილებლობასთან ერთად ერთგვარი მოკრძალებაც კი იგრძნობა ამ ძალის მიმართ. რუსული თარგმანის შეუფერებელი ტონი ძალასა და მნიშვნელობას უქარავს ისეთ დიდ მოვლენას, რასაც პოეტის ბედისწერა ჰქვია:

Кто навязал тебя мне, супостата?
Куда ты заведешь меня, вожак?
Что сделал ты с моей душой, проклятый.
Что с верою мою сделал, враг?
Ты это ли мне обещал вначале,
Когда ты обольщал меня, смутьян?

ბოროტი სულის მთარგმნელისეულ ეპითეტებს არაფერი აქვს საერთო ბარათაშვილის ლექსიკასთან და ერთგვარ უხერხულობას იწვევს თავისი ტონით ისეთი ამაღლებული პოეზიისათვის, როგორც ბარათაშვილის პოეზიაა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მიმართვის საგანს უბოროტესი მტერი წარმოადგენს:

სულო ბოროტო, ვინ მოგიზო ჩემად
წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ
აღმაშფოთრად,
მარქვი რა უყავ, სად წარმიღე
სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა
სარწმუნოება?

იმ მაღალ განწყობილებათა შესაქმნელად, რომლებითაც მოცულია ბარათაშვილის პოეზია, პოეტი იდეალური ინტონაცია აქვს მოქმენილი. სტილი მისი ლექსებისა ამაღლებული და პათეტიკურია. ლექსიკური მასალის ძირები ბარათაშვილის ბიბლიასა და ქართულ საგალობლებში დაეძებნება. ამიტომაც, რომ ისეთი ყოფითი და ხალხურ-რუსული სიტყვები და გამოთქმები, როგორცაა *Супостат, вожак, смутьян*. „სულო ბოროტოს“ თარგმანში გაუმართლებელია ისევე, როგორც შეუფერებელია სიტყვა „хандра“-ს ხმარება რომანტიკული განწყობილების ლექსში „შემოღამება“:

მანსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი
კლდე ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი.
ის დიდი ნაღველი, რომელსაც მოუცავს მთელი
მთაწმინდა და თვით პოეტი, შეუძლებელია
გამოიხატოს სიტყვით хандра:

Минутами хандры, когда бывало
ან კიდეც, ესოდენ მაღალი აზრის, გაბრწყინებული
ველი ცნობილი სტრიქონის, რთვად მოქმედებდა
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი შევდარსა
ემსგავსოს

თარგმნისას შეუფერებლად მიამჩნია სიტყვა
мертвечина-ს ხმარება:

И жалок тот, кто в памяти земли
Еще при жизни станет мертвечиной

საკვირველია, საიდან ჩნდება სიტყვა „ворчун“
ლექსის „აღმობდა მნათის“ რუსულ თარგმანში:

Я радость люблю и совсем не ворчун

როდესაც მსგავსი არაფერია ქართულ ლექსში:

მამ გამობრწყინდი, მღინე შეუი ეგ საოცარი
და განანათლე კვლავ ცა ჩემი, ესრეთ სწავრი.
აქაც, ისევე როგორც „სულო ბოროტოს“
თარგმანში, პასტერნაკმა შეუფერებელი ლექსი-
კური საშუალებებით შეცვალა ბარათაშვილის
ლექსის ინტონაცია.

პასტერნაკს განსაკუთრებული სიმძაფრით
უყვარდა რუსული ენა, ფლობდა მას მთელ
თავისი სიღრმითა და ნიუანსებით და ხშირად
ხმარობდა კიდეც ყოფით, უბრალო სიტყვებს
თავის დახვეწილ და ამაღლებულ პოეზიაში,
სადღე ისინი სპეციფიკურ განწყობილებებს და
ღრმა კოლორიტს ქმნიდნენ, შეჰქონდათ ლექსში
უდიდესი ინტიმი და რაღაც განსაკუთრებული
რუსული სურნელი. თარგმნისას კი ასეთ-
მა სიტყვებმა გამოიწვიეს არააეტრონიკული,
ბარათაშვილის სამყაროსათვის უცხო ასოციაციები,
შექმნეს ორიგინალის არაადეკვატური
განწყობილება. სპეციფიკურმა რუსულმა სიტყვებმა
და გამოთქმებმა ინტონაცია შეუცვალეს
ბარათაშვილის ლექსებს და ამით ზიანი
მიყენეს მათ არსს.

ბარათაშვილის პოეტური მექანიკურება შეიძლება
ვინიხლოს როგორც მთლიანი, კომპაქტური
ნაწარმოები და არა ცალკეული ლექსები.
ამ ნაწარმოების ლირიკული გმირი — პოეტის
სული ემოციურ განწყობილებათა მიერ
გამას ქმნის. ამქვეყნიური ამოებების ეცლესიას-
ტური აღქმა, უზუნაეის წვდომის ცდა, მლოცველის
სანოწმარკვეთილება, მიუსაფრობისა და
სულის ობლობის განცდა, ტაძარი სიყვარულისა
და მისი ნგრევა და უდაბნოში დარჩენილი
პოეტის სულის უქანასენელი ამბოხ-
მერანი!

ბარათაშვილის პოეტური სულისკვეთება და
განწყობილებათა სიმძაფრე უკიდურეს ზღვარს
„მერანში“ აღწევს. „მერანი“ შინაარსეულად
დაკავშირებული მთელ პოეზიასთან და მის
ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენს. „მერანი“

ბარათაშვილის პოეტური და ფილოსოფიური აზროვნების კვინტესენციაა.

«Взрывы изобразительной стихии в его бесподобном, бешеном и вдохновенном «Мерани» ни с чем несравнимы. Это символ веры большой борющейся личности, убежденной в своем бессмертии и в том, что движение человеческой истории отмечено целью и смыслом» — წერდა პასტერნაკი ერთ-ერთ გამოქვეყნებულ წერილში ბარათაშვილის «მერანის» შესახებ.

როგორც ვხედავთ, პასტერნაკს შეუძინებელი არ ღაჩენია «მერანის» განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა ბარათაშვილის პოეზიაში. «მერანში» პოეტის ღრამატიზმით და შეუვებელი თავგანწირულობით აღსავსე სულისკვეთება, უკიდურესი შინაგანი დაძაბულობა და ენებათაღელვა გადმოცემულია ამ განწყობილების ადეკვატური რიტმიკული დინამიკით. ლექსის რიტმიკა, ავებული 14 და 20 მარცვლიანი სტრიქონების მონაცვლეობით, თარგმანში იჭკება რუსული ვერსიფიკაციისათვის დამახასიათებელ ათმარცვლიან ლექსად, რითაც ერთგვარად შენელებულია დენდისეული განწყობილების სიმამართე.

ბარათაშვილის «მერანში» ექპრესიული რიტმითაა გადმოცემული პოეტის დამუხტული ემოციური მდგომარეობა, კონფლიქტი იდეალებსა და სინამდვილეს შორის, შეურიგებელი შეკიდება ბედისწერასთან და სრული თვითგანადგურების წილ უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვა. ყოველივე ამის შესანარჩუნებლად მეორე ენაზე მთარგმნელს უნდა გამოეყენებინა რუსული ენის ყველა რესურსი, ინტონაციური-მელოდიური, სტილისტური, აზრობრივი, ყველა შესაძლებელი ასოციაცია, რათა შექმნილიყო ჭარბული «მერანის» ტოლფასოვანი უმაღლესი დაძაბულობის მქონე რუსული ლექსი — სასიკოცხო მნიშვნელობის შინაარსის მატარებელი. ბარათაშვილის თავგანწირული მიმართვა მერანისადმი:

ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა
სიციხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემებარლებ დაქანცულობით
თავგანწირულსა შენსა მხედარსა!
რუსულ თარგმანში ძღვრს:

Ты должен сохранить мне дни и годы.

ან კიდევ ბარათაშვილისათვის უცხო განწყობილება «Я слаб, но ничего не значит», «Я слаб, но я не раб судьбы своей». «Я слаб» ზომ აზრობრივად ცვლის ბარათაშვილას სტრიქონებს:

ვასწი, ვაფრინდი, ჩემო მერანო, გადამატარე
ბედის სამზღვარო,

თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემნოსს
შენი მხედარი.

და მეორე შემთხვევაში:

ვერ შეამინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი

ორივე შემთხვევაში სწორედ «Я слаб»-ის საწინააღმდეგო აზრი, ე. ი. სიმტკიცეა გამოხატული. პოეტის დაუმორჩილებელი და შეუვებელი განწყობილების გამოხატველი ეს სტრიქონები არასწორადაა გამოთქმული ფრაზით «Я слаб».

«მერანის» თარგმნისას სასურველი იყო ბარათაშვილის პოეზიის მთლიანობის ვათეალისწინება და მისი ლოგიკური კავშირი სხვა ლექსებთან. ტრფობის ნაშთი, რომელიც სიყვარულის ტაძარის დანგრევის შედეგად დარჩა პოეტს, «მერანში» მზადაა შესწიროს აღულებულ სტიქიონს.

კენესა გულისა, ტრფობისა ნაშთი, მიეცე
ზღვის ლეღვას...

თარგმანში ეს სტრიქონები ასეთ სახეს ატარებს:

Я вверюся скачке бешеной твоей
И исповедуюсь морскому шуму.

თითქოსდა უმნიშვნელო შეცვლამ სიტყვების გამოიწვია ამ ლექსის ამოვარდნა ბარათაშვილის სულის პერიპეტეების საერთო გამიდან. ბარათაშვილის პათეტიკური სტრიქონები:

ნუ დაეიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა
წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტაროს სატრფომ გულისა, ნუღა
დამეცეს ცრემლი მწუხარის.

თარგმნილია შემდეგნაირად:

Пусть я не буду дома погребен,
Пусть не рыдает обо мне супруга.

წინაპართა საფლავები, მამული — ბარათაშვილისეული სახეებია და მისი ბიოგრაფიის ერთგვარი კომპონენტები და მათი გამოხატვა ასე უბრალოდ სიტყვით «ДОМА» არასწორია, ისევე როგორც გაუმართლებელია სატრფოს ნაცვლად «Супруга»-ს ხმარება. ეს ცვლილებები «მერანს» ავტობიოგრაფიულ ხასიათს უქარავებს. ბარათაშვილის განწყობილების სერიოზულობას ერთგვარ ზიანს აყენებს პასტერნაკის მეტაფორული ფრაზა:

Я к звездам неба в подданство впишусь—

ნუთუ შესაძლებელია, პოეტის თავგანწირული:

მზიულა ხუციშვილი
ბარათაშვილის პოეზიის პასტერნაკისეული თარგმანები

სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს
ჩემი მიწა, სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო
გულისა მე საიდუმლო.

შეველილიყო დედნისათვის ესოდენ უცხო
სიტყვიერი ფაქტურით. „მერაზში“ ყველა პოე-
ტური საშუალება ემსახურება ღრმა აზრისა
და მიზნის განხორციელებას.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თარ-
გმანი ლექსისა „ცისა ფერს“. აქ მხოლოდ ბა-
ბართაშვილის ინტონაციის შენარჩუნება და
რუსული ლექსის სრულყოფილება არ იქნე-
ბოდა საკმარისი. აქ სიზუსტე ნიშნავს, პირველ
რიგში, აზრის სიზუსტეს. ეს ლექსი ერთგვარ
ეპილოგს წარმოადგენს ბართაშვილის შემოქ-
მედებისას. აქ სრულდება მისი პოეტური სი-
ცოცხლე. მბორგავი სული ნგრევისა და განდ-
გურების შემდეგ მისწრაფის ზეცისაკენ, რათა
ეზიაროს ღვთაებრივს. ამქვეყნიური თანაგრძ-
ნობისა და მშობლიური ცრემლის სანაცვლოდ
სული მძლღდება და მისი შერწყმა ცის სი-
ლურჯესთან კმნის პოეტურისა და ღვთაებრი-
ვის ბრწყინვალე ჰარმონიას. პასტერნაკის რა-
ფინირებული ბუნებისათვის უცხო არაა ეს
სულისკვეთება. მას არ დარჩა შეუმჩნეველი
ლექსის ავტორის სულის არც ერთი მოძრაობა
და მისთვის ჩვეულებრივი სითამამით ორიგი-

ბალის მიმართ შეექმნა ბრწყინვალე თარგმანი:

Цвет небесный, синий цвет
Полюбил я с малых лет.
В детстве он мне означал
Синеву иных начал.
И теперь, когда достиг
Я вершины дней своих,
В жертву остальным цветам
Голубого не отдам.
Он прекрасен без прикрас
Это цвет любимых глаз.

Это взгляд бездонный твой,
Напоенный синевой.
Это цвет моей мечты, არტისტული
ბიზნისიტივისა

В этот голубой раствор
Погружен земной простор.

Это лёгкий переход
В неизвестность от забот
И от плачущих родных
На похоронах моих.

Это синий, негустой
Иней над моей плитой.

Это сизый, зимний дым
Мглы над именем моим.

„ვეიქრობ, ეს სწორედ ის თარგმანია, რომელიც ინარჩუნებს ორიგინალის პარალელურად არსებობის უფლებას. მსგავსი ხელოვნება ხელუწიფება მხოლოდ თარგმნის დიდოსტატს, რომელიც ფლობს არტისტული გარდასახვის იშვიათ თვისებას. აქ საჭიროა არა მხოლოდ მთარგმნელობითი ტალანტი, არამედ განსაკუთრებული პლასტიკურობა გონებისა, რის შედეგადაც ახალ ენაზე იძერწება უცხო ავტორის პოეტური სამყარო.

დიდი და ღრმა ინტელექტი, მაღალი პოეტური კულტურა, პოეტური მეტყველების მუსიკალური და ინტონაციური საშუალებების შეუღარბელი ოსტატობით გამოყენების უნარი, საღეჭო ფორმების მრავალფეროვნება, რომლებითაც სარგებლობდა ბორის პასტერნაკი, მკეთოდან განასხვავებს მას თანამედროვეთაგან. სულიერმა სიფართოვემ და ყველა ქვეყნის კულტურული ფასეულობის აღქმის უნარმა განაპირობა მისი მთარგმნელობითი საქმიანობაც. ქართველები და საქართველო, რომლებიც ყოველთვის წარმოადგენდნენ პასტერნაკის შთაგონების წყაროს, დიდად არიან მისგან დავალებულნი.



ბიოგრაფიული

ლადო ასათიანის დღეები და ლექსები

„დაე სიკაბუჯე მღეროდეს სიყვარულზე“

პროპორციუსი

I

ძველი რომაელი პოეტის სექსტ პროპერციუსის ერთ-ერთ „ველგიაში“ ნათქვამია: „კაბუჯე უკრი ასაკი მღერის ვნებებზე, ხანდაზმული კი ქარიშხალთ უმღერისო“. არ ვიცი, პროპერციუსმა მშობელი ლათინებისაგან აიღო ეს გამოთქმა, თუ ლათინებმა თავიანთი შვილისაგან ისესხეს ფრთოსანი აზრი: Amorem (ueneres) Canat aetas prima — „დაე სიკაბუჯე მღეროდეს სიყვარულზე“.

ეს მშვენიერი გამოთქმა უნებლიედ გამახსენდა, როცა ლადო ასათიანის ცხოვრებასა და პოეტურ შემოქმედებაზე ფიქრს ვაყუევ. ის ჰაბუკო წაიხსენებდა ჩვენგან, ჰაბუკად დარჩა მარად, როგორც ნიკა ავიაშვილმა მოხდენილად თქვა თავის ცნობილ წიგნში — „ჰაბუკები დარჩნენ მარად“, და მთელი ცხოვრებით ის დაამტკიცა, რომ, მართლაც, ჰაბუკობა სიყვარულზე შემართებული, დაუსრულებელი სიმღერაა, რომ სიკაბუჯის ტანაყრილ ქორფა ხეზე სიყვარული ახლადმოსული ნორჩი ყლორტია.

ლადო ასათიანი ბარათაშვილის ასაკამდეც არ იყო მიღწეული, როცა ლერმონტოვის წლოწინებამ ვარდაიცვალა. თითქოს ამითაც სურფა დიდი აღამიანების ბედს ზიარებოდა ან პრაქტიკულად დაემტკიცებინა მენანდრეს დეონიკია, რომ ღმერთებს ვინც უყვართ, ადრე ხსკავთ თავის საფლგობელში.

მაგრამ ლადო ასათიანი მეტისმეტად ადრე წაიხსენებდა ჩვენგან, სულის მოთქმაც ვერ მოასწრო, თუმცა რაც დაგვიტოვა, დიდი ხელოვანის ფლმით არის აღბეჭდილი და მიმზიდველ ტალანტს ვანასახიერებს. ის მინც დარჩა ორმო-

ციანი წლების ქართულ პოეზიაში განუყოფელ მოვლენად და მისი თაობიდან ვერავინ შეიძლო მსგავსის გაკეთება. რალაც უცნაური მადლის ლექსებით სულ მოკლე ხანში გაამდიდრა ქართული პოეზია, ლექსებით, რომლებშიაც აეტორის შინაგან ლამაზ სულიერ ქვეყანას გარეგნულადაც ამშვენებდა მადლიან სიტყვის ლაზათიანი მოქნევა.

აჩაერთვზის განვიზრახე ვრცელი კრიტიკული ნარკვევი დამეწერა ლადო ასათიანის შემოქმედებაზე, მაგრამ არ იქნა და საწადელს ვერ მივაღწიე. რა მიშლიდა ხელს? ის, რაც ყველაზე ახლობელს იმდენად დაგაშორებს, რომ სულ თვალწინ გიდგას და ხელის შეხებასაც ველარ ახერხებ. ასეთ შემთხვევაში, თუ შინც რამეს ვააკეთებ, უმეველად სუსტი ნაწარმოები გამოვივა. ანალოგიური მაგალითები ლიტერატურის ისტორიაში მრავლად მოიპოვება. საკმარისია ბელინსკის გახსენება. ამ დიდმა რუსმა კრიტიკოსმა, მრავალთა შორის, კოლცოვიც აღზარდა, მაგრამ გენიალური წერილების აეტორს, თავისი ყველაზე უახლოესი მოწადის შესახებ საერთოდ არა თუ ძლიერი, სუსტი კრიტიკული ნარკვევი გამოუვიდა. ბელინსკის არ ვედრები, არც ლადო ასათიანს ვადარებ კოლცოვს, მათ შორის საერთო არაფერია, მაგრამ მე ისევე მივირს ამ ჩემი უსაყვარლესი პოეტის ლექსების გარჩევა, როგორც რუსული აზროვნების სიამაყეს ვაქმედლდა კოლცოვის ნაწარმოებები მისთვის ჩვეული სიღრმითა და სილამაზით განეხილა. ლადო ასათიანის ლექსები ჩემთვის სულის ორგანიულ ნაწილად არიან ქვეუღნი, და როგორც საკლთარ ნაწარმოებს პოეტი ობიექტურად ვერ შეაუასებს, ისე მე არ შემიძლია მისი მაღალ-

პოეტური სიმღერების სრულყოფილი ანალიზი მოეხდინო. და, ეს სხვათა გააქეთოს, ვისაც შეუძლია მათ ისე შეხედოს, როგორც უცნობი პოეტის შედევრებს.

როცა ლაღო ასათიანის სახელი მესმის, უნებლიედ უკან ვიხედები, მოგონებით გადადივარ 30-იანი წლების სინამდვილეში და გონების თვალწინ წითლად დგებიან ახლობელი, საყვარელი სახეები...

ეს იყო პერიოდი, როცა დიდი ისტორიული მოვლენების პარალელურად, მცირე მასშტაბის პროცესებიც ხდებოდა; როცა ლიტერატურაში ფრანგი სიმბოლისტების გავლენით მოღვაწილი პოეტების ფსევდონიმები იცვლებოდა ისევ უცნობი, მშობლიური სახელებებით; როცა ევროპეაში ხსტდებოდა, ვანერის ისევ ვალერიანს უბრუნდებოდა, მოდიოდნენ მთლიანად ქართული მასალისაგან გამოკეთილი სოციალისტური ენებათაღვლის ადამიანები და მოქონდათ ლირიკისათვის სავსე მადლი პოეზია, პატრიოტიზმი და მოქალაქეობრივი პათოსით ანთებული სიმღერები; მოდიოდნენ ახალი პოეზიის ნამდვილი ტალანტები, რომლებსაც უცხო გვარები აღარ ქირაობდათ, რაკი ისინი უკვე იყვნენ ლაღო ასათიანები, მირზა გელოვანები, რევაზ მარგაიანები, იოსებ ნონეშვილები, სევერიან ისაიანები, ალექსანდრე საჭაიბაძე... მათ ვაბედულად მოქმედებდათ ახალი პოეტური სუნთქვა და ახალი მეტრიკი.

ჩემთვისაც ახალი პერიოდი დგებოდა. 1934 წლის 31 იანვარს თბილისს ეტოვედი, უმაღლესდამთავრებული ახალბედა კრიტიკოსი, და საქართველოს მეორე ცენტრში გადავიდიოდი სამუშაოდ. „ახალგაზრდა კომუნისტსა“ და „კომუნისტი“ გატარებულ წლებს ამოდ არ ჩაუვლია. ლიტერატურულ-სარედაქციო მუშაობის ერთგვარი გამოცდილება შეძენილი მქონდა... გამოქვეყნებულმა წერილებმა ახალგაზრდა კრიტიკოსს სახელი მომიბოვა. უკვე მიცნობდნენ, ლიტერატორთა შორის ვიყავი!

რამდენიმე თვის შემდეგ ჩემი პირველი წიგნის ბეჭდვას შევეუდექი. დიდი დახმარება გამოიწვია საყვარელმა კაცმა ვლადიმერ ბენიძემ. სტამბის ვეტერანი იყო და „ლიტერატურული საკითხები“, რედაქორმირანი ჩემი პირველი წიგნი, მან გამოსცა. პირველი რეცენზია გამოაქვეყნა მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტმა, ნიჭიერმა ოთარ ბერძემ. იმ დროს ჩემთვის, 21 წლის ახალგაზრდასათვის, ეს დიდი სიხარული იყო. ირანაკლებად გამახარა ლიტერატურული ვაზეთის — „სიტყვა და საქმე“ სარედაქციო კოლეჯის წევრობამ.

სწორედ ამ დროს, 1935 წელს ჩემმა დამ თამარმა მიხარა: ერთი ნიჭიერი ახალგაზრდაა, შენი გაცნობა სურს და როდის შეგიძლია რე-

დაქციაში ან სახლში დაბარო...
მედავოგოური ინსტიტუტის დაუსწრებელ სექტორზე ლექციებს გეითხულობდა. რედაქციაშიც ვიყავი, რედაქციაშიც უამრავი სამუშაო შეიქმნა და (საწერი, სასწორებელი, კორექტურა) და ასე დატვირთული ცხადია, სახლში მხოლოდ გვიან ღამით ვბრუნდებოდი. ამიტომ ერთადერთი ადგილი რედაქცია იყო, სადაც ჩემი ახალი პროტექსს ნახვა შემეძლო. მე მეგონა ესეც ჩვეულებრივი შემთხვევა იქნებოდა, როგორც მანამდე არაერთი მქონია, უთქვამთ — ნიჭიერი ახალგაზრდაა, დაეხმარეო, მაგრამ ხშირად იმედები არ გამართლებულა.

როცა ჩემი სამუშაო ოთახის კარები პირველად შემოაღო ტანმალაღმა ვაბუშმა, გამხდარი სახით, დიდრონი, ჭკვიანი თვალებითა და მიწვილველი ღიმილით, რომელიც ადამიანური სითბო შინაგან ღირსებებს ერთხელად ამგულავებდა, ვიგრძენი რაღაც კეთილი განწყობა მისადმი, რაც შემდეგ არასოდეს შეცვლილა. ლაღო ასათიანი — ეს მართლაც ვუნდერკინდი, ჩემი საყვარელი სტუდენტიც შეიქნა, უმცროსი მეგობარიც და კიდევ უფრო სათაყვანო პოეტი. მთავორიანი ლეჩხუმის ლანტეობიდან ეს მალაღი, მაგრამ პატარა ბავი მოვიდა — ლატაქურ სამოსელში გამოწყობილი, რომ თავისი მდიდარი სულით მშვენიერი სიმღერები ეთქვა ტოლ-მეგობრებისა და უსაზღვროდ საყვარელი დედა სამშობლისაკენ. თუ მის ფორმირებაში ერთგვარი წვლილი შევიტანე, ეს მე ყოველთვის სამაყოდ დამჩნება.

რა იყო ეს წვლილი?
სულ მცირე, მაგრამ ვაბუშის პირველი ფუნის ადგმის დროს შეიძლება უფრო მეტად მნიშვნელოვანი, ვიდრე თვით წვლილი: ზრუნვა ინსტიტუტში პროფილის შეცვლისათვის, საშუალოზე მოწყობა რედაქციაში პარტენ შედგენას, ნიკა ავაშვილის, პეტრე პატყუაიას, ელიოზ ხუციშვილისა და ჩემი უშუალოდობით მაშინდელი ჩვენი დაუღალავი რედაქტორის — ნიკოლოზ ცხაკაიას წინაშე, რომელმაც თავისი ერთგული თანამშრომლების თხოვნა დაუყოვნებლად დააკმაყოფილა.

მაგრამ უფრო ადრე მონბა ყველაზე ღირებულ აქტი: როგორც აღვნიშნე, პირველი ჩვენი შეხვედრა 1935 წელს რედაქციაში მოეწყო; ლაღომ ლექსი გადმომცა, დავიტოვეთ, ვთხოვე შინ მხლებოდა დასვენების დღეს სალაპარაკოდ და პოეზიის საკითხებზე მსჯელობისათვის. არ მახსოვდა რომელი იყო ეს ლექსი, მაგრამ რომ დავბეჭდე მისი პირველივე გადმოცემული ნაწარმოები ეს უნდადო მაინაინდა. ახლახან ვაარკვევს (შ. ჭურბიძემ), რომ ეს ლექსი ყოფილა „ჩვენ კვლავ მოვედით“, რომელიც 1935 წლის 15 სექტემბერს გამოქვეყნებია გაზეთ „სტალინელში“. შემდეგ

მას მოჰყვა მისი სხვა ადრინდელი ლექსების რედაქცია, ასევე დაბეჭდვა. ეს იყო ერთი სფერო, რომელსაც უნებლიედ მეორედ მოჰყვა.

ასპირანტურის დამთავრებისთანავე ლექსები დაუწერებელი ვანოფილებიდან სტაციონარზე მომეცეს. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მაშინდელმა სასწავლო ნაწილის გამგემ, დოცენტმა ვანო გვერდუთელმა, უმაღლესი სკოლის უადრესად კვალიფიციტრმა მუჰამა, რომელსაც ამ მხრივ რესპუბლიკაში მაშინ ბაღალი არ ჰყავდა, ერთბაშად სამი საგნის წაიკითხვა დამავალა. ეს საგნები იყო: ლიტერატურის მეთოდოლოგია (რაც მეორე სასწავლო წლიდან ლიტერატურული კრიტიკის ისტორიით შეიცვალა) და მე-19—მე-20 საუკუნეების ქართული მწერლობა. პირველი სასწავლო წლიდანვე ისეთი ძლიერი ჭკუთვანი შემხვდა, განსაკუთრებით № 33, რომ მთავან გამოედინენ ცნობილი მოღვაწეები: ლადო ასათიანი, მიხეილ ალაფიძე, გიორგი შალამბერიძე, ლევან კეცაძე, შოთა ქურიძე, ნელი დუმბაძე, აქსენტი მიშველაძე და მრავალი სხვა. ლადო არაჩვეულებრივი მონდომებით ისმენდა ლექსებს. ბუნებით მოუსყენარს, გონებაშახველსა და ბუნტარს ჩემს ლექსებზე დისკუსიონა არასოდეს დაურღვევია. მის ლექსებში ანტიკური ხელოვნებისა და მისი გამოჩენილი ოსტატების განდიდება შეიძლება ჩვენი იმდროინდელი ლექსებიტაც იყო შთაგონებული.

უშუალო, გულწრფელი, მეგობრების უანგაროდ მოყვარული ლადო ასათიანი ადვილად იჩენდა თაყვანისმცემლების წრეს. თვითონვე სხვისი ერთგული, მეგობრების მხრივაც ერთგულებით ტყებოდა. საკმარისია მიხეილ ალაფიძის მაგალითი. ისინი ერთად სწავლობდნენ, განუყრელი მეგობრები იყვნენ, და არავის გაუყუთებია ლადო ასათიანის ხსოვნისათვის იმდენი, არც ადამიანობის, არც დაფასების მხრივ, რამდენიც დღეს უკვე ცნობილმა მეცნიერმა მიხეილ ალაფიძემ გააკეთა. თავისი საყვარელი მეგობრის შესახებ მისი ყველა წერილი ერთად რომ შეჰკრა, საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია გამოვა. უნდა ვეცადოთ, რომ ეს მონოგრაფია რაც შეიძლება მალე დაიბეჭდოს ცოლკე წიგნად. სხვა ავტორი, უფრო ძლიერი, არ მეგულება. მიხეილ ალაფიძის სახით ლადოს ჰყავს მისი შემოქმედებისა და ცხოვრების ზუსტად მცოდნე, ენერგიული მკვლევარი-მეცნიერი, თან ცოცხალი მემკვიდრე.

ლადო ასათიანს თანაყრსელთაგან სხვა ერთგული მეგობრებიც ჰყავდა.

არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა.

რომელიც ლექციის დროს, 1938 წელს (მაისის ბოლო რიცხვები იყო, სასწავლო წელი მთავრდებოდა) ჩემთან საპროფესოროში

მოვიდნენ მისი ამხანაგები და გამაფრთხილებლად სხვანაირ მდგომარეობაშია, ჩვენს რჩევას — სახლში წავიდეს — არ ლებულან. მათი იძახის — ლექცია არ გავადიდნო, თან უნებლად უქრის, გთხოვთ გაითვალისწინოთ.

ელა მეც!

უნდა გამოვტყდე, რომ ლექციაზე ყოველთვის მკაცრი ვიყავი, სტუდენტის ოდნავ მოდუნებასაც კი ვერ ვუროგდებოდი, არა თუ ისეთ მოქცევას, რომელიც ლექტორის შენიშვნას დაიმსახურებდა. მით უფრო მაშინ, როცა ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და იმდროინდელი სტუდენტები ჩემზე მხოლოდ 3-4 წლით იყვნენ უმცროსნი.

ლადოს მხრუნველი მეგობრების გაფრთხილება ყურად ვიღე, მაგრამ რა უნდა გამეკეთებინა? ერთი ფიქრი თავიდან არ მშორდებოდა: ნუთუ ლადო ისე მოიქცევა, რომ ამდენი ხნის კეთილ დამოყიდებულებას, ისიც სრულიად უმიზეზოდ, წყალში ჩამიყრის? არ მინდა დავიჯერო, მაგრამ... მისი საყვარელი მეგობრების გაფრთხილება?

ზარის დარეკვას ველოდები, იმედი მაქვს, რომ ჩემი სტუდენტები, რომლებიც ყოველთვის კარგად შექცეოდნენ, ისე მოვლენ და მომხაზებენ — საშიშროება აღარ არის!

მაგრამ არავინ ჩანს, არავინ მოდის, მე კი სხვა ლექტორებთან ერთად კორიდორში ნელა მივმართები ლექციის წასაითხვად... ვხედავ აუდიტორიის წინ (სხვა სტუდენტები უკვე შესულნი არიან) ლადო დგას და მელოდება...

მე შინაგანად დავიძაბე, მაგრამ არ ვიმჩნევ, თითქოს არაფერი ვიცი, თითქოს მასაც ვერ ვამჩნევ.

დაღვა გადამწყვეტი მომენტი. იმ დროს, როცა აუდიტორიაში ფეხი უნდა შევდგა, ლადო მოვიდა, წინ დამიდგა და ბორძიკით მითხრა: — ბატონო გიორგი, ნება მომეციოთ ლექციაზე დაგესწროთ!

ოდნავ მოვაბრუნე თავი. ტანი არც შემირხვია, და ხმადაბლა, სინანულის გამოშხატვლი გულისწყრომით ვუთხარი: — ჩემი სტუდენტები არასოდეს მთხოვენ ლექციაზე დასწრებას, თქვენც თხოვნა არ გესპვიროებათ, ისედაც უფლება გაქვთ დამესწროთ, მაგრამ თუ ამ უფლებას ახლა გამოიყენებთ, მაშინ, ცხადია, დამესწრებით, მე კი სამუდამოდ დამკარგავთ!..

— ბოდიში!.. მომესმა უცებ და აუდიტორიაში შევედი.

ლექცია ნორმალურად ჩატარდა.

ლადო კი სახლში მაინც არ წასულა, ინსტიტუტის ეზოში თავისებურად ნავარდობდა.

ვერ დავივიწყებ იმ კეთილ გრძნობებს, რომ-

გიორგი ჯივლაძე
ლადო ასათიანის დღეები და ლექსები

ლებიც ლადო ასათიანმა გამოხატა ჩემი პირველი დისერტაციის დაცვის დროს თბილისის უნივერსიტეტში, 1939 წლის 5 ივნისს. თემა საკმაოდ რთული იყო — „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშენებლობისა“. თონენტობას მიწვედნენ მაშინ უკვე სახელგანთქმული პროფესორები მოსე გოგიბერიძე და მიხეილ ზანდუკელი. ლადომ ერთ-ერთმა პირველმა მომილოცა წარმატება მისთვის ჩვეული უშუალოდ. 1940 წელს ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ცალკე წიგნად დაბეჭდა გამომცემლობა „ვედერაკიამ“, რომელსაც იმ ხანებში ყველასათვის საყვარელი პოეტი და რომანიტი რაჟდენ გვეტაძე ხელმძღვანელობდა. ლადომ თბილი წერილით გამახარა, ისევ წარმატება მისურვა.

როცა 1941 წლის აპრილში ვახუთ „კომუნისტის“ რედაქტორის პირველ მოადგილედ გადმომიყვანეს თბილისს, და ლექციების კურსი განვაგრძე სახელმწიფო უნივერსიტეტში, ლადოს არ დაუყოვნებია მოსულიყო თავის უფროს მეგობართან და ეთქვა: — რა კარგია, რომ აქ იმუშავებთ, ახლა ეს თქვენი და ჩვენი შემდგომი ზრდისათვის აუცილებელია.

მაგრამ ორი თვის შემდეგ დაიწყო საშინელი ომი. ყველაფერი შეიცვალა. ჩემზე ადრე სამუშაოდ თბილისში გადმოსული ნიკა აგიაშვილი და ელიოზ ხელიშვილი ფრონტზე წაიყვანეს.

მე ვერც წარმოვიდგენდი, თუ ერთს ან მეორეს ფრონტზე გაიწვევდნენ, თუ მათ იარაღი უნდა აეხსათ. მთელი ცხოვრების მანძილზე ნიკასა და ელიოზის ერთადერთი იარაღი კალამი იყო, ახლა კი იარაღი უნდა აეხსათ, ნაადვილი იარაღი?! ისინი მხოლოდ უფრანკლანტები, მწერლები იყვნენ, და არასოდეს მიგობნენია, რომ შეეძლოთ თოფიც ესროლათ.

მაგრამ ომმა თურმე ყველაფერი იცის, თურმე ფრონტზე ისეთ ადამიანებსაც მოუხმობს, როგორც ნიკა და ელიოზი იყვნენ.

ომის დროს, მძიმე პერიოდში, ლადო ხშირად მოდიოდა რედაქციაში, რამდენჯერმე ლექსიც მოიტანა (აგრეთვე წერალები), ხოლო, როცა ულმოებულმა სენმა ლოკინად ჩააფარა, მე ვეღარ ვნახე, ჩემი მაშინდელი დატვირთვის გამო, რასაც თან ერთვოდა პირადი მდგომარეობა. მახსოვს ორჯერ თუ სამჯერ ჩემთან მოვიდა მისი ძმა გოვიტა, რომელიც ლადოს თხოვნით, როცა ქუთაისში რედაქტორად ვმუშაობდი, თანამშრომლად ავიყვანე. მალე ყველაფერი ტრაგიკულად დამთავრდა. გოვიტა ესწრებოდა თავისი საყვარელი უფროსი ძმის დაკრძალვას, მაგრამ ისიც უმალ იმსხვერპლა ლადოს ულმოებულმა სენმა.

ჩვენ უკანასკნელად მივაციკლეთ საფლავამდე ლადო ასათიანის უსულო გვამი და მივტირ-

დით მის უდროოდ გარდაცვალებასთან ერთად ქართული პოეზიის აუნაწავურებელ დრამა-ლისს. ლადოს გულწრფელი მეგობრები გრძნობდნენ. ერთელ მოსურნეებს მისი შუბლი შეუძრებლად, იმდენად მაღალი სული ჰქონდა, მაგრამ უმჯობესია დროს მივანდოთ შენობაც და მიტყუებაც.

ლადო ასათიანისადმი ჩემი დამოკიდებულების სხვა მომენტები უკვე გადმოცემულია მიხეილ ალაიძის, ნიკა აგიაშვილის, თვით ლადოს ახლო მეგობრების მოგონებებსა და წერილებში. ამიტომ აქ აღარ ვავიშვებ.

ადამიანს რაინდული სული გარდაცვალებამდე მიჰყვება! არ ვიცი რამდენად მართალია საერთოდ, მაგრამ ლადო ასათიანს რომ სამარემდე ვაპყვა ვაჟაკური შემართება პოეზიაში და სასიკვდილო სარეცელზე, სრულიად უთქველია. ქალქისაგან ფილტვებდაურეცილი, ჩონჩხად ქცეული ეს ახოვანი კაბუკი ისე ებრძოდა ულმოებელ სენს, როგორც დაჭრილი გლადიატორი სიკვდილის უკანასკნელ ზმანებას. ის წერდა ლექსებს, სიყვარულით და პატრიოტობით სავსეს. ოცნებობდა სამშობლოს მაღალ მწვერვალებზე სულიერად ამალებული და ეტრფოდა იმ ენას, რომელზედაც დამიწერა თავისი შესანიშნავი ლექსები. თითქმის სასიკვდილოდ აგონიაში, 1943 წელს, უცნაურად გადმოიღვარა მისი საარაკო ლექსი „ქართული ენა“. რომელიც იონა-ზოსიმეს მსგავსად მშობლიურ მეტყველებას განადიდებს. არავის მოუფიქრებია ეთქვა, გარდა ლადო ასათიანისა, რომ საქართველოს ბუმბერაზი მთების წიაღში დაბადებული ქართული ენა — ეს არის უსაზღვრო სიყვარულის, ამღერებული ლექსის, შთაგონებული საღვთაო ძელოს, შლეგი ჩანჭქერების, ამაყი მყინვარების, უქველესი ტომის, ქართული ფარისა და მწიფე ყანის, ვარსკვლავებისა და მთვარიანი ღამის, ერთი სიტყვით, უნივერსალური, მამასაღამე, „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“. ასე ღრმა ხედვა და კალმის ძლიერი ხმამა მხოლოდ დიდი პოეტური ტალანტის გვედრია და ლადო ასათიანში ეს ხედური ფართოდ ვახელილი თვალთ იცქირებოდა.

მე ბედს ვუმადლო, რომ წილად მხედა პირველი ლექსები დამებეჭდა ისეთი პოეტებისათვის, როგორც არიან ლადო ასათიანი, ხეტა ბერულავა, ლადო სულაბერიძე, გრიგოლ იმედაძე, ანდრო თევზაძე, ვიორჯი ნაფცვარიძე, დავით პატაკიშვილი, ვასო გვეტაძე და ზოგიერთი კიდევ სხვა. ისინი მოვიდნენ ქართულ ლიტერატურაში, როგორც ახალი შემოქმედებითი გზებით ანთებულნი, და მოიტანეს მხატვრულ ასპექტთან შეერთებული პოეტური უშუალობა. ძალიან ახალგაზრდები იყვნენ. თეხის ადგმას მხოლოდ იწყებდნენ, მაგრამ პო-



ენიასაც ხომ ვაბუტური სული აქვს და ვაბუ-
ტური თვლით ხედავ უყვარს სინამდვილისა.
მათ შორის ყველაზე უმცროსი მგონი ლადო
სულაბერიძე იყო, ჯერ კიდევ ტექნიკუმის
მოწაფე. მე ის მახსოვს სულ პატარა ბიჭუნა,
როცა აჯანყებულნი ხელით ლექსები მომი-
ტანა გაზეთში დასაბეჭდად. თვალები უელა-
და, თვითონაც დღეაღად. შემოქმედებითი ცეც-
ხლისა და შინაგანი ღრმა სულიერი განცდის
ერთიანობას გამოხატავდა. როგორც პირველ
სოციალისტს, ისე პოეტი თავის პირველ ლექსს
ვერ დაივიწყებს. ლადო სულაბერიძეს, რომ-
ლის პირველი ლექსების დაბეჭვდა ქუთაისთან
არის დაკავშირებული, ახლა უკვე ცნობილი
პოეტის სახელი აქვს მოპოვებული, როგორც
მშვენიერი ლირიკული სიმღერების ავტორს.

ალარაფერს ვიტყვი სევდრიან იხიანის, ბონ-
დო კეშელავას, მიხეილ ალავიძის, გიორგი სამ-
ხარაძის... ლექსებზე. ეს პოეტები მაშინ უკვე
დღიე ხნის გამოსულნი იყვნენ.

და გვიხაროდა, რომ ჩვენს გაზეთს ხშირად
ესტუმრებოდნენ, ლექსებს სთავაზობდნენ ისე-
თი დიდი პოეტური მეუღენი, როგორც იყ-
ვნენ გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრამაშვილი,
გიორგი ქუჩიშვილი, კოლაე ნადირაძე... გა-
ლაკტიონ ტაბიძემ მაშინ ჩვენთან ერთად სუ-
რათიე გადაიღო ქუთაისის ბაღში.

ლოტერატურულმა გაზეთმაც — „სიტყვა და
საქმე“ გარკვეული რაოდენი შეასრულა ახალი
საუბრის დაწინაურებაში და გახარდა მათი
ავტორიტეტი. საქალაქო გაზეთი კი დიდი რა-
ოდენობით ვრცელდებოდა თბილისში და
პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული. არ მახ-
სოვს არც ერთი წერილი, რომელიც იქ და-
ბეჭდვდებოდა რომელსაც თბილისში იმ დროს
გაზაფერობდა არ გამოეყვია. „ვუთას პეიზაჟები“
იქნება, „პოეზიის ეფემერალები“, თუ „გაბაა-
სება პოეზიასთან“, საკმარისია ამ დებულების
ნათელსაყოფად.

პოეტები და კრიტიკოსები კამათობდნენ, ლი-
ტერატურულ პრობლემებს არკვევდნენ; ფი-
ლოსოფოსებს, ისტორიკოსებს, ენათმეცნიერებს
უსმენდნენ; ერთი სიტყვით, დულდა შემოქ-
მედება, ახალი მეცნიერული აზრი თავის ლირ-
სულ მწვერვალებს ეძებდა.

ასეთ ვითარებაში, კარგად მახსოვს, როგორ
სჯავსწორე და დასაბეჭდად გვაგზავნდნენ ლადო
ათიანის ლექსი — „თებერვლის დილა“
— პოეზია, ეს ლექსი 19 წლის ყმაწვილის მი-
ერ არის დაწერილი, მაგრამ დააკვირდით მას:
როგორც ფორმალურ-მხატვრული, ისე იდეუ-
რი თვალსაზრისით მთლიანად დამთავრებული,
ერთიანი ჩანს, და თუ მკითხველმა არ იცის,
ინ არის მისი ავტორი, უსათუოდ ლექსის
წელ ოსტატად წარმოიდგენს. პოეტებს, საერ-
ოდ, პირველი ლექსები სუსტი ან გაუმარ-

თავი აქვით, მაგრამ ლადოს ლექსზე ამას ვერ-
ვინ იტყვის. როგორც პოეტი, ის ამ სიტყვით
ბედნიერია. მისი პირველი ლექსიც — „ჩვენ
კვლავ მოვედით“ მშვენიერი საბავშვო ნაწარ-
მოებია, რომელიც შინაგანი მთლიანობითა და
სიმღერის ხმაზე აწყობილი ასევე შინაგანი
რიტმით გამოირჩევა. ბევრი როდია პოეტი,
რომელსაც პირველი დაბეჭდილი ნაწარმოები
იდეურად და ფორმალურად ისე გამართულ
ჰქონდეს, როგორც ლადო ასათიანს ლექ-
სია — „ჩვენ კვლავ მოვედით“.

უფრო დეტალურად მახსოვს მომდევნო ლექ-
სების გასწორება და დაბეჭვდა: ეს ლექსებია—
„ჩემი სამშობლო“ და „ჩემი ქვეყნის ოქრო-
ყანა“, რომლებშიაც იხსენება ლადო ასათიანის
დღემდე გამოცემული ლექსთა კრებულები.

როგორც ყველა შემოქმედს, ისე ლადო ას-
თიანსაც პოეტური თავმოყვარეობა ახასიათებ-
და. ეს მე კარგად ვიციდი, ამას ყოველთვის
ვგრძნობდი. ამიტომ ვეძლიოდა არ შემეშ-
ხა მისი ბუნებრივი, ნამდვილად შემოქმედი
ადამიანის განუყრელი თვისება. ისიც ვიცი-
დი, რომ ვიდრე მე მომიტანდა, ლადო თავის
ლექსებს სხვებს წაუკითხავდა ხოლმე. ამჭე-
რადაც ასე მოხდა, როცა დასაბეჭდად გადმოშ-
ცა „ჩემი სამშობლო“.

ლექსი ძალიან მომეწონა, სახლში წაიღე-
და მთელი დღე გაეათენე. როცა შობაბეჭდილუ-
ბის ძალა დაეკრა, ყოველ სიტყვას მივუღე
მკაცრა კრიტიკოსის თვლით. არამართო შე-
დარებები, შეტყფორები, არამედ პუნქტუა-
ციაც — ყოველი წერტილი, მძიმე, ტირე, თუ
კითხვის ნიშანი სამსჯავროს ობიექტად ვაქცი-
რამდენიმე სტრიქონი, რომელსაც ვერაფერი
მოუხერხებ, და ზედმეტ მეჩვენა ამ უზრწყუნ-
ვალეს პოეტურ ანსამბლში, ამოვსალე, რომ
„ტაბილია“ შეტისმეტად ტავტოლოგიური, უზო-
მოდ გრძელი არ გამოსულიყო. მე არ შემეშ-
ლო ლადოსათვის, რომელიც ერთი ზიტყვის
გასწორებასაც მტკიცეულად იტანდა, ამ სა-
ხით მეჩვენებინა მისი დედანი. დილით აღრე
შემანქანეს გადავაბეჭდინე, ერთხელ კიდევ წა-
ვიკითხე და ავტორს ტექსტი ვუჩვენე. მახსოვს,
ლადომ ხარბად გადაიკითხა, ეშმაკურად გაი-
ცინა და ფართოდ გახელილი თვალებით დამიწ-
ყო ცქერა. ერთ სიტყვაზე შემომდგა, ძალე
შეთანხმდით, და ლექსი დაბეჭდა იმ სახით,
როგორითაც დღემდე შედის მის კრებულებში.
თითქმის იგივე განმეორდა მეორე ლექსის —
„ჩემი ქვეყნის ოქროყანა“ დაბეჭდვის დროს.
თუ დააკვირდებით, ეს ლექსი პირველის გაგრ-

გიორგი ვიზილაძე
ლადო ასათიანის დღეები და ლექსები



ქლებას წარმოადგენს არამართო თემატკუ-
რად, მხატვრული შთავგონებითაც, და ორივე
ერთსადაიმავე დროს, ერთი განწყობილებით
არის დაწერილი ლადო ასათიანის პოეტური
დაბადების წელს — 1936 წელს, როცა ის ჯერ
კიდევ ოცი წლის კაბუციკ არ იყო.

მაგრამ კიდევ რამდენი მარგალიტი შესძინა
ქართულ პოეზიას ამ ღირსსასოფარ წელს
ჩვენმა პოეტურმა ტალღამ: „ქუჩა პალმებში“,
„პუშკინი ჩემთან“, „ილიასადმი“, „ესპანელ
მეგობრებს“, „ოცდაორჯერ“. ეს მართლაც
პოეტური აფეთქება იყო და 1936 წელი მი-
მართა ლადო ასათიანის პოეტური დაბადების
მშველად უბედნიერეს წლად.

ძლიერი ტალანტებიც სწორად საჭიროებენ
პირველი ნაბჯის ვადასადგმელად სხვების წაშ-
ველებას, მაგრამ იმთავითვე ამჟღავნებენ, რომ
სრულიად დამოუკიდებელი სიარულიც შე-
უძლიათ. ლატერატურაში, ხელოვნებაში სა-
ერთოდ, ამ წაშველებას ჩვენ ვეძახით შორეულ
რემინისცენციას, რომელიც ბოლოს მხოლოდ

რუდიმენტად გვევლინება. ამგვარი რემინის-
ცენციები აქვთ გოეთესა და ბაქუნტეხუშკინ-
სა და ბარათაშვილს, ბლოკსა და მანკეჩსკის.
მაგრამ ყველა ისინი სრულიად დამოუკიდებ-
ელი პოეტები არიან, როგორც გენიოსები, და
მათი პოეზიის სამყაროში რემინისცენცია მარ-
ტოოდენ ერთ წერტილს თუ წარმოადგენს.

საესებოთ დიდი პოეტების მსგავსად, ლადო
ასათიანის შემოქმედებებშიც რემინისცენცი
ერთი წერტილია და უმაღლეს გენიონებს თვით
მყოფ მომღერალს. მაგალითად შეიძლება
დაგვესახელებინა ტრაგიკული სულის „სასაფ-
ლაო“, მანანასადმი მიძღვნილი ლექსი, სადაც
მომავლადი პოეტი თავის ერთადერთ ასულს,
საოცრად ადამიანურ განცდით, წინასწარმეტყ-
ველურად ესაუბრება მაღალი რანგის ხელოვ-
ნების ენაზე. ამ ლექსში თქვენ იგრძნობთ ეპი-
ლაქტიონ ტაბიძის ლექსების — „ხელოვნები-
სა“ და „მესაფლავის“ შორეულ გამომახილს,
მაგრამ თვით ლექსი თავიდან ბოლომდე მხო-
ლოდ ასათიანურია. ღირს ვახსენებთ:

ვის უნახავს სასაფლაო, უფლის ხელით დახატული:
აქეთ-იქით საფლავები და მათ შორის ნაკადული,
და მათ შორის ნაკადული, ვით სიცოცხლის ლურჯი თვალი,
ვით იესოს ტანჯულ მკერდზე გადმოსკადარი სისხლის ღვარი?
ვის უნახავს სასაფლაო, უფლის ხელით დახატული,
ვის უნახავს, საფლავებში როგორ მოჭრის ნაკადული,
როგორ მოჭრის, როგორ მოქუსს, ვით სიცოცხლე უშიშარი,
და როგორ სდუმს სასაფლაო, ვით იესოს ლურჯი ტანი?
ვის უნახავს ყვავილები ნაკადულის ნაპირებზე
და პეპლები, ყვავილებზე დაფრენს რომ აპირებდნენ,
დაფრენს რომ აპირებდნენ შავი ჯერების მღვლობიდან
და ტყებოდნენ ნაკადულის სამური გალობითა?
ვის გინახავთ სასაფლაო, თავს რომელი იმეტებდით?
მე მინახავს, მეც მიცენია დაკარგული იმედები,
ვაფრენილი ოცნებები, გაძარცვული გვირგვინები,
მე მინახავს ვით სიცოცხლეს, მე — სიცოცხლე ვიგინები.
ეს მე ვმღგარვარ, შეილო ჩემო, ცივი ქებების პირდაპირა
და სიკვდილი შეაფრთიანი ყელს მხვევია ბირდაპირად.
მე მიგრძენია შავი შიში ამ მღუმარე ლოდებიდან:
მეც აქ უნდა დამეძინოს! მეც აქ უნდა მქონდეს ბინა!
იქნებ ეგ სულ მალე მოხდეს, იქნებ ღირს ვარ გასაწირად,
მანინ ერთი დაიხსომე, ჩემო ქალო, პაწაწინავე:
მოკრიალდი ჩემ საფლავთან, ვით სიცოცხლის ლურჯი თვალი,
ვით ეს შლეგი ნაკადული, ვით ყვავილთა დედოფალი,
დაიხარე პიტალოზე ამაყი და დამამშვენი
და ყვავილთა დედოფალი, მოიგონე მამაშენი,
მოიგონე მამაშენი, შუშა-ოქროდ გასაზრდელი,
სიჭვი, რომ მოყვდა სიყვარულით — შეუყვარდა საქართველო.
სიჭვი და ისე გაიციენ, მანანაო თვალხატულავ,
რომ მე გულზე გადმიქროლოს სიცოცხლედ და ნაკადულად!

ძლიერი, თანაც წინასწარმეტყველური ლექ-
სია, რომელშიაც მართო პოეტური ფანტაზია კი
არ მტყუველებს, საშინელი ტრაგედია დემო-
ნისა და ანგელოზების ორთაბრძოლაში ტრია-
ლებს.

ლადო ასათიანს სხვაგვარი ძლიერებაც მოს-
დგამდა.

როცა ერთი პოეტი ვერაფერს პოულობდა,
ვარდა იმისა, რომ სახელოვანი წინაპრები
აუვად მოეხსენიებინა, ლადო ასათიანი, რო-



გორც ლეილი შვილი ერისა, წინაპრების მზეს
 ლოცულობდა, მათი გმირობის წინაშე ქედს
 იხრიადა, წერდა განმავიფრებლად რაფინირე-
 ბულ, თავიდან ბოლომდე უსაზღვრო პატრი-
 ოტული გრძნობით აღსავსე ლექსებს: „ჩრწა-
 ნისის ყაყაჩობი“, „ცხრა ძმა ხერხეულიძე“,
 „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“;

„ჩემი სამშობლო“, „ჩემი ქვეყნის ოქროსა“,
 „საქართველოში“, „ქართული ენა“ და პირველი
 პირ ჯადოქრულ „სალადობს“, რომელმაც უკვე
 თველ სტრიქონს ყოველი გენიოსი პოეტი
 უყოყმანოდ ხელს მოაწერდა. აბა, ვინ სთქვა
 ამ თემებზე უფრო ძლიერად, გარდა ლადო
 ასათიანისა:

დაუჯარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
 გაისარჯოს და ბრძოლებში დაიხარჯოს!
 გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
 საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!
 დაუჯარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში
 ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,
 ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში
 საქართველოს ცხელი გული ასვენია!
 დაუჯარით! და იმღერეთ ისე მაგრად,
 რომ ფილტვები გვეტყინოს და დაგვებეროს!
 დაუჯარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად,
 რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!
 დაუჯარით! და იმღერეთ შადიანი,
 ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი.
 დაუჯარით ძველებური დარდიანი,
 დაუჯარით არწივების ასაფრენი!
 ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრაჯერ გულში,
 მტრის ჭინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიციენებ,
 დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
 სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!
 დაუჯარით! მოასწარით თორემ ჰერი...
 და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება.
 დაუჯარით ძველებური მოსალხენი:
 — შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიხტება!
 დაუჯარით ძველებური ლოთიანი,
 საიათნოვა რომ მღეროდა შაითანთან,
 დაუჯარით! განა ყველა ლოთი არი?!
 განა ყველა სიყვარულით დაიშანთა?!
 დაუჯარით ძველებური ლოთიანი,
 თორემ დარდი ღრუბელივით ვასივდება,
 გაფრინდება სიყმაწვილე შფოთიანი,
 წრფელი გული, ცხელი გული გაიცივდება!

მთელი ლექსი ასათიანურია და ამერიდან
 ქართულ პოეტიკაში უნდა შემოვიდეს ლექსის
 თავისებურად ახალი ფორმის სახელწოდება —
 „ასათიანური“. ნუ მოგვერიდება ვთქვათ,
 რომ ლადო ასათიანი ქართული საბჭოთა პო-
 ეზის ერთ-ერთი ბრწყინვალე სახელი და
 უქცნობი სილამაზეა. არ დაინახო ეს ბრწყინ-
 ვა — ბრმა უნდა იყო, ვერ შენიშნო ეს სი-
 ლამაზე — რალაც უბედურება უნდა გემართოს.
 ესაეც ქართული პოეზია ნამდვილად უყვარს,
 შეუძლებელია ლადო ასათიანი არ უყვარდეს
 ვინც ქართულ პოეზიას უანგაროდ პატივს
 სცემს, შეუძლებელია ლადო ასათიანს პატივი
 არ სცეს. ვინც ქვეშაობრტებას მაღლა აყენებს,
 ვიდრე საკუთარ ცდომილებას, შეუძლებელია
 ჩვენთან ერთად არ აღიაროს ლადო ასათიანის
 შთავონებული პოეზიის დიდი ღირსება, ისიც,

რომ უდროოდ გარდაცვლილი ჭაბუკი პოეტი,
 მართალია, ფიზიკურად დღეს ისტორიის საკუთ-
 რებაა, მაგრამ სულიერად ყოველთვის იქნება
 ქართული კულტურის თანმხლები, როგორც
 უკვდავება.

მე დღეს ისევე გატაცებით ვეითხულობ ლა-
 დო ასათიანის მალა-პოეტურ ლექსებს, რო-
 გორც მათი გამოქვეყნების პირველ წლებში.
 მაგრამ ვგრძნობ, რომ ეამთავლა კიდევ უფ-
 რა აძლიერებს ამ ნაწარმოებთა ძღერადობას,
 ვანვის მოკლებების ნაცვლად, თვითველ მათ-
 განს ბრწყინვა ემატება, თითქოს ოქრო თა-
 ვისუფლდებოდეს გარედან მოხვეული ხელოვ-
 ნური გარსისაგან.

გიორგი ჯიბლაძე
 ლადო ასათიანის დღეები და ლექსები

შეირად მეკითხებიან: როგორ უყურებთ ლადო ასათიანის პოეზიას, რა მიგაჩნიათ მისი ლექსების ყველაზე დიდ ღირსებად — პოეტური უშუალობა, გრძნობის სიძლიერე, ეროვნული კოლორიტი, თემატიკური სიხალღე, შინაარსისა და ფორმის ორგანული ერთიანობა, ვულწარფელობა, ქართული სიტყვის მოულოდნელი შემობრუნება, მხატვრული სახეების ამაღლებული, მაგრამ სავსებით რეალისტური ვახანა, თუ შემოქმედებითი სილამე, რითაც ყველა მისი ლექსი გამოირჩევათ! არც ერთ ამ კითხვზე დღემდე ოფიციალური პასუხი არ გამოცია, გარდა პირად საუბრებში გამოთქმული ფრაგმენტული მოსაზრებებისა. ახლა შინადა ვცადო ვვაკეთო ეს, თუ შევიძელი იმ სიძნელეების მიუხედავად, რაზედაც ზევით უკვე შეჩინდა საუბარი.

დავიწყებ ზოგადზე კონკრეტული მითითებით.

ლადო ასათიანის პოეზია მთლიანად, თავისი ძირითადი ნიშანსებებით, თავიდან ბოლომდე ოპტიმიზტურია, მაგრამ ჰაბუკის მწარე ზვედრამ მის კალამს რამდენიმე სევდიანი ლექსიც დააწერინა. ეს ნურავის გაუყვირდება. საკვირველი ის იქნებოდა, თუ ოცდაექვსი წლის ასაკში მომავლადე პოეტი არაფერს იტყოდა საყვარელი ქვეყნისაგან ასე უდროოდ, ასე ტრაგიკულად, ასე უღვთოდ განშორებაზე. საშინელმა სენმა ისე ძლიერად ააყენესა უნიკიერესი მომღერალი საკუთარ უბედურებაზე, რომ შთაბავთებლად დაწერილი სამიოდე ლექსიც საქმარისი აღმოჩნდა ზოგადი რაიისათვის ლადო ასათიანის შემოქმედებაში პესიმოზმის გაბატონება დენახა. მაგრამ დაავიწყდათ, რომ პრევალირება აბსოლუტურად გამორიცხულია, ხოლო ურეა-წუხილის მართოდენ პირადული, უღერესად ლოკალიზებული, ხასიათი აქვს. სამაგიეროდ მთელი მისი პოეზია ხავხვა სიცოცხლით, მზით, ხალიხით, სიყვარულით, ყველაფრით, რასაც ოპტიმიზმი ეწოდება. თუ პესიმოზმს მხოლოდ წმინდა სუბიექტიური, პირადული მოტივი ამოძრავებს, ოპტიმიზმი თავიდან ბოლომდე საზოგადოებრივია და მისი შემართება ისე ძლიერია, რომ მკითხველს აჯადოვებს. ყველა ლექსი აღბეჭდილია უღერესად თავისებური, ორიგინალური, სხვემისაგან გამორჩეული დიდი ტოლანტითა და რაინდულ სულისკვეთებაში გადასული პატრიოტიზმით. ენა ლალი, ბუნებრივი, არაჩვეულებრივად ფიგურალური, შთამბეჭდავია, როგორც ერთიანი გაბმული სიმღერა. ვაგრძნობინებს, რომ სხვაგვარად ამის თქმა არც შეიძლება. არსად არა ჩანს ხელოვნურობა, მიძალემა ან ძალდატანება. პასეიზმიც განსალია, თავისუფალი ყოველგვარი ყალბი აღტაცები-

საგან, ისეა გააზრებული, რომ წარსუტადან აწმუოს ვხედავთ, ხოლო აწმუოდან მომავალს. ორიგინალურია შედარებები, მეტაფორები, პასაჟები, სიტყვის მოქნევა საესტეტიკურ-მხატვრულ ნელობით, რაც ვანციფერებას იწვევს. მალალი გრძნობა ყველგან იმდენად გულწრფელად არის გამოთქმული, რომ ხიბლობს, ატყუავებს მკითხველს, რომელსაც არაფერი ისე არ უყვარს პოეზიაში, როგორც გულწრფელობა და სიმართლე. მღერის მთელი ხმით, მთელი არსებით, მთელი გულით, სულმოუთქმელად, ისე, რომ ყელი სრულებით არა ჩანს, მარტო გული მღერის.

ამგვარი პოეტები ხომ იშვიათად იბადებიან! ვერ ნახავთ ლადო ასათიანის ვერც ერთ ლექსს, ნაწყვეტის ან ციტატის ისე მოსატანად, რომ დანარჩენებზე გული არ დაგწყუდეთ. მისი ციტირება მთელი ლექსის ამოწერას მოითხოვს, თუ გასურთ სრული ილუსტრაცია მიილოთ. ყოველ ნაწარმოებზე პოეტი ისე შექრავდა, ისე დაასრულებდა, როგორც მოქნადაც ქვაში გამოსახულებას. მთლიანობას აღწევდა იშვიათი ოსტატობით. შემოქმედებითი წერტილის დაუსმელად არც ერთი ნაწარმოები არ დაუტოვებია. ზეალსვლეს აკეთებდა, როგორც გაბეღული აღმინისტი იპყრობს მათა მწვერვალს. მისი დიდი ოპტიმიზმის დამათასტურებლად მარტო ერთი ლექსიც იკმარებდა, ერთი ლექსიც — „საქართველოში“, რომელმაც ასე განაღიდა სიცოცხლე, ცხოვრება, ახალგაზრდობა, საერთოდ, ამ ქვეყნად კაცის დაბდებდა. დაავირდით ამ ლექსის სუნთქვას, მის შინაგან ცეცხლს, კარგი ვაგებით თვითდაცრებულობაში გადასულ ოპტიმიზმს, სიკვდილის ყველა კარს რომ ჰკეტავს და მართოდენ სიცოცხლეს უმღერის მგზნებარედ:

საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე:
«ეხ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!»
თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს,
ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გარტყვდეს ქვეყნად და განმეორდეს.
საქართველოში როცა კვდებოდნენ,
უფრო და უფრო წუხდნენ ამაზე:
«ეხ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!»
ჩვენ ვაჟაკობა ძველთაგან მოგვდეს,
ყველამ ვაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!
რადგან სიცოცხლე ასე ნაყარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!

არც ერთ ოპტიმისტ პოეტს ამაზე უფრო ოპტიმისტური ლექსი მგონი არ დაუწერია. ლადო ასათიანი სიცოცხლის, სიკვამლის, სიყვარულის მომღერალი იყო და მიუხედავად საშინელი პირადი ხვედრისა, ჩვენგან წყვილად, როგორც ცხოვრებაზე უსაზღვროდ შეყვარებულნი, როგორც თვითდაცვრებული ოპტიმისტი. პოეტს შემთხვევით როდი უთქვამს: „სულ ახალგაზრდა ვიქნებით, გული არ დაგვიბერდებაო“, არც ის იყო უნებლიედ ნათქვამი, როცა ინატრა: „მეც მსურს ამ სიცოცხლის დავრჩე მომღერალი მომღერლების ქვეყანაში“.

თუ კარგად დავეყრდნობით ლადო ასათიანის თვითმოდებულ ლექსს, შეუძლებელია არ იგრძნოთ შემოქმედებითი სითამამე, რასაც პოეტი თავის ნაწარმოებებში ყველგან ამჟღავნებს, ფიგურალურად რომ წარმოვიდგინოთ, ლადო ასათიანი ჰგავს უწიშარ მხედარს, რომელიც ფაფარაყარულ მერანს გაშლილ ველზე სულ-მოუთქმელად მიაგლეხებს. შორია მათი გზა, მაგრამ დაღლა არ ეტყობა არც ერთს, არც მეორეს. ასე თავგამებულნი ქუენდა მხოლოდ რაინდსა და პოეზიაში მარტოოდენ ნამდვილ ტალანტს შეუძლია. სიილუსტრაციოდ ერთი ლექსიც საკმარისი იქნებოდა. წაიკითხეთ „კრწანისის ყაყაოები“, სამასი არაგველის ხსოვნისადმი მიძღვნილი, და თქვენ ერთბაშად

იგრძნობთ იმ თავგამებულ მხედარს ნაეარდს, ახლა რომ დავახასიათებ. პოეტი პირველი სტრიქონიდანვე უმაღლესად დადიანობაშია და საყვირველი უშუალოდ უაღრესად ახლო მოჰყავს ჩვენთან მთელი ეს ისტორია. მაგრამ მოჰყავს არა თხრობითი, პირდაპირი მიმართვის ფორმით, თითქოს ისინი, სამასი არაგველი ვაჟაკი, რომლებმაც კრწანისის ველზე თავი შესწირეს თბილისის დაცვას ალა მამლახანის ურდოებთან ბრძოლაში, მისი გუშინელი მეგობრები არიან, ყაყაოების ლამაზ ფერებზე რომ გადაქცეულან. ცოცხლდება ისტორია, მეტყველებდა კრწანისის ველი, გვემის ხმაურიც ლეგენდარული ჭურხაის ფარისა, პრილეგს პატარა კახის ქარქაშში ჩაუგებელი ხმალი, ელერს წინაბრების საღიდეგელი ომბიანი სიმღერა და არაგველების საფლავებთან მუხლოდრეკილი პოეტის სახე ათავრებს მთელ ლექსს, როგორც ბაზილიკას მისი განმადიდებელი გუმბათი. ისე ბუნებრივად, ლაღად, ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი ყოველივე ეს, იმდენად უშუალოდ, ლაკონურად, დიდი ხალასი გრძნობით, პათოსით, რომ გვეგონებათ სინამდვილის ცოცხალი სურათი, რომლის მონაწილე თქვენცა ხართ. დავეყრდნობთ ლექსის ამაღლებულ პოეტურ სულს და მაჟორულ მდინარებასაც:

პეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადლარო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.
შაეროხიანო ვაჟაკო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია!
ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაოების ცეცხლია?
შაეროხიანო ვაჟებო, ასე რამ გავახალისათ,
ერიალი ხომ არ მოგესმათ ოვა ჭურხაის ფარისა?
სიმღერა ხომ არ მოგესმათ პატარა კახის ხმალისა?
იქნებ მე თვლი მატყუებს, ზეცა მამრმეუებს კრიალა,
მაშინ თქვენ თვითონ აღსდევით და მარტვეთ ომბიანად,
თუ არც ყაყაოს ცეცხლია და არც ახალი იარა,
მა ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბღღერიალა?
პეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადლარო ომითა,
თქვენ საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა!

აქ არც ერთი სიტყვა, არც ერთი სტრიქონი ხელმოწერილი არ არის, ყველაფერი მალაღ ხელოვნებას განეკუთვნება, როგორც გენიალური ყალბით ამტკუებული ფერწერული ტილო. და რამდენია მასში პოეტური მარჯალიტი, პატრიოტული გრძნობა, მუსიკალური ზმეზი. მთელ სიმფონიად რომ გადაქცეულა! და განა ზედმეტი იქნება აღვნიშნოთ, რომ ბარათაშვილის გენიის შემდეგ ქართულ პოეზიაში კრწანისზე უკეთესი რამ არავის უთქვამს?! ეინ შეიძლო უკეთესად დაეხატა ლექსით სამასი არაგველი?

ყოველივე, რაც ითქვა, საფუძვლად ედება ლადო ასათიანის პოეტური შემოქმედების კრიტიკულ შეფასებას, რომელსაც ჩვენ ქვევით

უფრო დაწვრილებით წარვუდგენთ მიუდგომელ მკითხველს. არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ყოველ პოეტს თავისი ადგილი აქვს ლიტერატურის ისტორიაში. კრიტიკოსის ვალაა არამარტო განსაზღვროს ეს ადგილი, დასაბუთოს კიდევ თავისი მოსაზრების გარდუვალობა. ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, სრულიად ბუნებრივი დადასტურება იმ ქვეშაობებისა, რომ ქართული პოეზიის ისტორიაში ლადო ასათიანი დგას პირველ ადგილზე თავისი უფროსი თაობის პოეტების შემდეგ, სახელით კი მათთან ერთად. რაც უფრო გადის დრო, ჩვენ მით

პიორგი ჯივლაძე
ლაღო ასათიანის დღეები და ლექსები

უფრო ვერცხვით ვილაპარაკოთ და ვწეროთ — გიორგი ლეონიძე და ლადო ასათიანი, იოსებ გრიშაშვილი და ლადო ასათიანი, ტიციან ტაბიძე და ლადო ასათიანი... ერთი სიტყვით, დრო ზოგჯერ შეეთესად ანაწილებს ლიტერატურულ ადგილებს, ვიდრე თვით ლიტერატურა. იმ პოეტთაგან, რომლებიც ჩვენ ახლა დავასახელებთ, ბევრი რამ შეისისხლბორცა ლადო ასათიანმა, მაგრამ ყველაზე მეტად გვალაქიონ ტაბიძის პოეტური გენიისაგან, რომლის უდიდეს პატივისცემელიც იგი ბოლომდე დარჩა.

არ დამაიწყებდა 1938 წელს ჩემი ლექცია გვალაქიონ ტაბიძის შესახებ. ლექციის დამთავრების შემდეგ, ლადო ასათიანი მოვიდა ჩემთან, რათა გამოეხატა თავისი უსაზღვრო სიყვარული «ლურჯა ცხენების» ფეტორისადმი. «გვალაქიონი უმკველად გენიოსია, მაგრამ გულს მიკლავს ბოლო დროს გამოქვეყნებული მისი ზოგიერთი ლექსი. რა კარგად მოიქცეით, რომ იმ ლექსებს თქვენ გვერდი აუარეთო».

ასე პრინციპული იყო ლადო ასათიანი პოეზიაში, შეურიგებელი, მომთბოვნი, ერთ ურიგო სტრიქონსაც ვერ ითმენდა!

ლადო ასათიანი ტოლთაგან პირველი იყო, რომელმაც მამაცურად გასცურა საშუალო ნიჟის მორევი და ვაბედლულად ხელი გაუწოდა დიდ პოეზიას. ამ საზღვრების პირველი გარღვევა და ამ გარღვევის რისკზე წასვლა მას უმკველად ჩაეთვლება როგორც მოქალაქეობრივი, ისე პოეტურ გამარჯვებად. ის არავის ებრძოდა, მაგრამ მთელი მისი შემოქმედება უნიჭო სალდაფონური პოეზიის წინააღმდეგ ამხედრება იყო, პოეზიისა, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა, გარდა პოეზიისა. ლადო ასათიანი მისდევდა ქართული კლასიკური პოეზიის მაგისტრალურ ხაზს, რუსთაველისა და ჩახრაშვილის შემდეგ, ბესიკისა და გურამიშვილის ჩათვლით, ასე ბრწყინვალედ რომ გაგრძელდა ალექსანდრე პოეზიის, გრეგორ ბებელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გვალაქიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის გრძნულ ლექსებში. ეს იყო მისი მხატვრული იდეალი და მისივე პოეტური შემოქმედების მეტრი.

IV

ლადო ასათიანი არ ჰგავდა იმ პოეტებს, რომლებიც ათასგვარი ინსინუაციით იძენენ წარმავალ სახელს, გარეგნულად ბრჭყვილას მხოლოდ მოჩვენებას და განცხრობაში. ამგვარ პოეტებს ის დასცინოდა, იბრალებდა კიდევ, ვინაიდან იცოდა უსაფუძვლოდ მოზიემზარე პოეზიის სავალალო აღსასრული — საყოველთაო დაიწყება! მათი შემოქმედება არავითარ ევალს არ ტრეფბდა ისტორიაში «და არაფერი მოგვაგონებდა მათ აქ ყოფნასა», ლადო ასათიანის იდეალი ნამდვილი ტალანტი იყო, უეშ-

მარიტი პოეზია, ნიჭი ვაშლილი, როგორც ვერდის ვარდი, და სურნელოვანი, როგორც გაზაფხულზე აყვავებული ბალი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველივე ლექსებით ლადო ასათიანმა ისე ძლიერად მიიპყრო მეთიხველის ყურადღება, ისე დაიმორჩილა მათი გული, რომ უმაღლესი მოიპოვა ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის სახელი. მისი ყოველი ახალი ნაბიჯი პოეზიაში რომელიდაც ახალი ფარდის აწვევას ჰგავდა თეატრში, სადაც ერთ მოქმედ პირს მკვლადიდებდა რამდენიმე ამოუღებელი ხოლმე პერფორირებული ცხოვრება წარმონისახება თავისი სიხარულით, ტკივნეულით, განცდათა ოკეანით. ეს ლექსები იყო «თებერვლის დილა», «ჩემი სამშობლო», «ჩემი ქვეყნის ოქროყანა», «ქუჩა პალმებში», «ისმინეთ ქება ვენახის», «ზეითი ცა მჭურავს», «ლექსებიდან «ძველი და ახალი ქუთაისი», «ისიღერა ხორაგით დატვირთულ ვიტრინებზე», «ერთი საღამო აფხაზეთში», «ძველი დღისათვის», «პუშკინი ჩემთან», «ილიასადმი», «ქაბახის», «სიზმარი», «მოსაგონარი», «ესპანელ მეგობრებს», «ოცდაოთქვან», რომლებიც 1936-1937 წლებში ჩემი რედაქციით დაბეჭდა.

ორი ცნობილი ლექსი — «ჩემი სამშობლო» და «ჩემი ქვეყნის ოქროყანა» თექვსმეტმარცვლოვანია, დაწერილი ჰიპერტროფიული მხატვრული შედარებებით, მაგრამ საოცრად ბუნებრივი მდინარეების გამაზე. პოეტურ ოდათა შორისაც კი ერთ ლექსში ამდენი შედარება იშვიათად გვხვდება ხოლმე და ლადო ასათიანი ამ მხრივაც ჩვეულებრივი არ არის. თითქოს დაუსრულებელი შედარებები და მეტაფორები, ერთმანეთზე ისე მიკრული, ისე ჩახვეული როგორც კავკასიონის მთათა გვიხილები, საქართველოს მრავალფერად პანორამას წარმოსახავს მთელი თავისი სიღაილით, ანდამატური მიმზიდველობით, სიუხვითა და სილამაზით. პოეტმა ყველაფერი იგარანო, ყველაფერი შეისისხლბორცა, ყველაფერი გულში ჩაიკრა, როგორც დაუფიწყარი ხსოვნა მშობლიური ალერსისა, და ჩვენც იმავე ძალით გვაგრძნობინა უნაპირო სიყვარული სამშობლოსადმი, რა ძალითაც თვითონვე განიცადა. ყველას როდი შეუძლია ეს გააცეთოს. ლადო ასათიანი სრულებით არ ჰგავდა იმ პოეტებს, რომლებიც თავიანთ ლექსებში თვითონ იწყებინ, მკითხველს კი ცეცხლის ერთი ნაპერწკლის სითბოსაც ვერ აგრძნობინებენ. თუ დააკვირდებით, ორივე ლექსი სუნთქავს ქართული სურნელებით, ამაღლებულია, როგორც ჩვენი მთები, მიედინება კლდიდან მოსხლეთილი ჩანჩქერის ხმაურით, გამთბარია სამხრეთის მზის მხურვალეობით და აჭრელებულია ათასგვარი ყვავილის ფერადონებით. შინაგანი ღინამიკა ორივე ლექსში ორგანიზულად ეწყობა ყველა დანარჩენ აქსესორს, რაც თავისთავად ჰქმნის მთლიან ჰარმონიას კონტრასტებისა და ანტიკონტრასტების სრული



თანხმობის მიღწევით. უღვევი ენერგია, ლტოლვა, ძლიერი გრძნობა, სიტყვის ფერადოვნება, შემართებული ნაპარტი ამღერებელი — რაღაც უჩვეულო ძალას ბადებს და ერთიან სიმ-

ფონიას მაჟორად ევლინება. ეს სიმფონია და ეს მაჟორი პირველ ლექსში უმაღლესად გვიხილავს გვაოცებს, ალტაცებას გვეგრის სამშობლოში მიმართული შთაგონებული სიტყვებით:

ტბილია, როგორც დედის რით ბაღლი ტუნშეუშრობელი,
 ტბილია, როგორც ცის ნამი, როგორც ალერსი მშობელის,
 ტბილია, როგორც ველზე ჭეჭილის მწვანე ფაფარი,
 ტბილია, როგორც ძილისპირს ძველი ქართული ზღაპარი...

მეორე ლექსში ეს პატრიოტული გრძნობა ვარიაციული პოეტური თემებით იმავე ძალას აღწევს და სავსეა ალიტერაციებზე გამართუ-

ლი შედარებების უწყვეტი ნაკადით, თითქოს მეტაფორების ხშირი ტყე ამოსულიყოს. პირველივე სტროფები ასეა ამტყველებული:

ჩემი ქვეყნის თქროყანავ, დიდი გარჯით მოწვეულო,
 ნიწითლისგან დაბრაწულო, კანდამსყდარო ბროწეულო,
 ნაქრისფერი ღრუბლის ძნებო, ფიჭვის ტვერში გარეულო,
 მეგობრებო, მეზობლებო, შინაურო, გარეულო...

და მთელი ლექსი დინამიური რიტმით ამგვარად მიედინება ბოლომდე, როგორც გაზაფხულზე მთიდან მომსყდარი ნიაღვრები გრვენივან-გროლით აზანზარებენ სალი კლდეების ხეობებსა და გაერ მიდამოს. ვის შეუძლია ეჭვი დაეხადოს, რომ ორივე ლექსი სრულიად კვაბუცი, ოცი წლის ახალგაზრდა კაცის მართლად დიდი პოეტური სუნთქვაა, დაწერილი პარცელაციის პოეტური ხერხის გამოყენებით. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ორივე ლექსი ასინდეტონის პოეტური ხერხის ოსტატური ხმარების ნიმუშია; ამიტომ არის, რომ კავშირებში, მაგალითად „და“ პირველ ლექსში მხოლოდ რვაჯერ გვხვდება, მეორეგან კი ათჯერ რითაც პარცელაცია სრულ გამოვლას პოულობს, ლექსები სულმოუთქმელად იკითხება, თითქოს გამბეულ სიმღერებს ვისმენდეთ. შეადარეთ ეს ლექსები პარცელაციისა და ასინდეტონის ხერხებით გალაკტიონის ზოგიერთ ნაწარმოებს და თქვენ დაინახავთ, თუ რამდენად დავალებული იყო ლადო ასათიანი „ლურჯა ცხენების“, „მთაწმინდის მთვარის“, „ქარი ჰქრის“, „მე და ლამის“ აეტორისაგან. ისევე როგორც „მერი“, ეს ლექსები სულმოუთქმელად იკითხება, პარცელაციისა და ასინდეტონის კლასიკური ნიმუშებია. პირველ ლექსში მხოლოდ ოთხჯერ არის ნახმარი „და“, მეორეში — რვაჯერ, მესამეში — სულ არა, ხოლო მეოთხეში — ექვსჯერ.

მაგრამ დროებით თავი დავანებოთ ფორმალურ მხარეს. მთლიანად ავიღოთ ეს ლექსები, როგორც შემოქმედება, როგორც პოეტური ტექტი.

V

როცა ლადო ასათიანის ლექსებს კითხულობთ, შეუძლებელია არ მოგეჩვენოთ, რომ მათში ისტორიული თემატიკა პრევალირებულია. მაგრამ ეს უფრო გარეგნული შთაბეჭდილებაა, ვიდრე შინაგანი ლოგიკური აზრი. ყვე-

ლაფერს პოეტი თანამედროვეობის ასპექტში წყვეტდა, ყველაფერი ჩვენი დღეების კოორდინატებიდან ჰქონდა გაზარებული და ამდენად ისტორია უფრო ფონად იყო გამოყენებული, ვიდრე თემატიკად. ლადო ასათიანის ლექსების ძირითადი თემაა საქართველო, ქართველი ხალხი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, — ეს არის პრევალირებული; ამიტომ შემთხვევით არ ამბობდა პოეტი: „მე, მეგობრებო, ამამდღერებს ყველაზე უფრო ჩემი ქვეყნისა და სამშობლოს აღორძინებაო“. ამიტომ არაფერია იმაზე უფრო მცდარი, თუ იტყვი, რომ მის მხატვრულ მემკვიდრეობაში ისტორიული თემა სჭარბობს, წამყვანი — ისტორიაა, მით არის პოეტი გატაცებული. არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ის ელემენტარული კეშმარტიბა, რომ ისტორიულ თემატიკაზე შეიძლება ყველაზე თანამედროვე რომანი დაწერო, აღსაყვ თანამედროვეობის საჭირობოტო კითხვებია და საკითხებია. ვერ დაასახელებთ ლადო ასათიანის ვერც ერთ ნაწარმოებს, რომელსაც თანამედროვეობის ელერადობა არ ჰქონდეს, დღევანდელობას არ ემსახურებოდეს, სიმბოლურის გარდა, უშუალო ცოცხალი მნიშვნელობა არ ენიჭებოდეს ჩვენი დღეებისათვის — განეწლილი, აწმყო და მომავალი დღეებისათვის! მაგრამ დავანებოთ თავი საკუთრივ ისტორიულ წარსულს, როგორც მხატვრული შთაგონების ფონს. რამდენი ლექსი დაწერა ახალგაზრდა პოეტმა უშუალოდ თანამედროვეობის თემატიკაზე, მიმდინარე დღეების შესახებ, საერთოდ, ყველაფერზე, რასაც ირგვლივ ხედავდა, ისმენდა, გრძნობდა, ეხებოდა. ამიტომ ისტორიული თემატიკით გატაცება ლადო ასათიანის პოეზიაში არ არის და ეს შენიშვნა, საყვედური, თუ ბრალდება მის შემოქმედებას უნდა მოეხსნას. ისტორიულ თემატიკას ამ შემ-

ვიორბი ჯიზლაძე

ლაღო ასათიანის ღლიბი და ღმქსები

თხევამი ისე უნდა ვუყუროთ, როგორც ზე-
მოთ დაცვახასიათეთ, და აღვადგინოთ ჭეშმარი-
ტება, რომელიც ოდესღაც მიჩქმალეს ან ვერ
შეინიშნეს მხატვრული შემოქმედების ზერელე
მიმოხილველებმა. პოეტს, რომელიც ასე შეს-
ტრფოდა, თავის სამშობლოს, ხალხს, რუსთავე-
ლის პრისიპეტს, პოეტს, რომელიც თავდავიწყ-
ებამდე მღეროდა:

ქართული ზეცა, ქართული ზეარი,
მტკვარი მღვრივ და მტკვარი ანკარა...
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

მართებული არ იქნება ვუთხრათ, რომ მის
შემოქმედებაში ისტორიული წარსული თითქმის
პრევალირებულია, მით უფრო, როცა წარსუ-
ლიც თანამედროვე თვალთაა დანახული და
თანამედროვე ასპექტებითაა გააზრებული.

მაგრამ შეიძლება მეტყვიან: ლაღოს „პირ-
ველი მჭედლები“ ხომ ისტორიული თემატიკაა.
ო. ლიპა, ისტორიულია, მაგრამ რა არის
მასში, ისტორიული მასალის გარდა, საყუთ-
რივ ისტორიული? მთელი ლექსი გააზრებუ-
ლია თანამედროვეობის ასპექტში და ვინც ამას
ვერ დაინახავს, მას არ ჰქონია ლექსის შინაგა-
ნი არსების არც გაგების, სერითოდ, არც ღრმა
კრიტიკული აზროვნების უნარი. ლექსი და-
წერილია 1941 წელს, როცა დაიწყო გუგონ-
იანი მასშტაბის მეორე მსოფლიო ომი, და
პოეტი იმით კი არ არის გატაცებული, რომ
მარტოოდენ აღწეროს, თუ როგორ აღნობდნენ
ქართულ ფოლადს ძველი იბერიელები, რო-
გორ ჰედდნენ იარაღს მტრის ასალავმავად,
როგორ ეკიდა კედლებზე თხუთმეტყურთიანი
შუბლები, „დასახარჯავი ხანჯლები და პერანგე-
ბი ნაბღისა“, არამედ, იბერიელთა გმირული
სული გამოხატოს, რათა მაგალითად მისცეს
ქართველ საბჭოთა მეომრებს ფაშისმის წინა-
აღმდეგ სამკედრო-სასიციცხლო ომში. ეს არის
მთელი ლექსის შინაგანი ღრმა აზრი, რომელიც
ისტორიული სურათის წარმოსახვითაა გამო-
თქმული. პოეტს რომ მიეყვარება ლექსის ბო-
ლოს თუნდ ერთი სტრიქონი — „და თქვენც
იბრძოლეთ, როგორაც იბრძოდნენ იბერიელ-
ნი“ — ჩვეულებრივი, ტრივიალური, ტრაფარე-

ტული სიმღერა გამოვიდოდა, რაც ისე უნდა
არ ჩააფიქრებდა მკითხველს, როგორც ქაბ-
სოდ აფიქრებდა: ზოგჯერ ხომ საგანგებო შემთხვე-
ვითი თემა უფრო ძლიერად მოქმედებდა, ვიდრე
თვით საგნის ამტყვევლება. აქ წარსულის სუ-
რათი პოეტურად არის გააზრებული, არსად
პასეისტური განწყობილება არა ჩანს, პირიქით,
გმირული, ვეჟაკური სული ტრიალებს, რო-
გორც „ცხრა ძმა ხერხეულიძეში“, სადაც ქარ-
თველითა ოდისეა წარმოსახულია მხატვრულად,
მაგრამ ტრაგედიას შარავანდედად ედგმება
ამაღლებული გრძნობა, როგორც დამარცხება-
ში მომავალი გამარჯვების საწინდარი. „ცხრა
ძმა ხერხეულიძე“ იმავე პოეტური კანონები-
თაა დაწერილი, როგორც „პირველი მჭედლე-
ბი“, და შემთხვევითი არც ისეა, რომ პოეტმა
იგი შექმნა 1942 წელს, როცა ომის ბოროტი
გენია ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე მძინეა-
რებდა.

რომ ეს პოეტური კანონი ლაღო ასათიანის
შემოქმედებაში სისტემად იყო ქცეული, მოწი-
ვობენ უფრო ადრე, 1940 წელს დაწერილი
„ციხის სიზმარი“, 1939 წლით დათარიღებუ-
ლი „საქართველო იყო მათი საოცნებო სახე-
ლი“, „გააფიქრებ და გაიხიარდება“ (1940).
ყველას ჩამოთვლა საჭიროდაც არ მიგვაჩნია
პირველ ლექსში — „ციხის სიზმარი“ ისტო-
რიკულად აღწერილია არა როგორც გარდასუ-
ლი მკვდარი ღრე, რომელიც სამუდამოდ დაი-
ლუბა, არა, იგი ცოცხალია მორალური ფაქტო-
რის სახით, მხნე და გმირული, ვეჟაკობის
შთამაგონებელი, რაკი ძველი ციხის „ხაესიან
გალავანზე არწივები სოვლებენ“ დიდ შტა-
კებათა მოლოდინში. მეორე ლექსი — „სა-
ქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“ გა-
ნაღიღებს ქართველ ვეჟაკთა გვერდით ქართ-
ველ ქალთა გმირობას, მთლიანად ამაღლებუ-
ლი სულის ხობტაა და ჩვენს პატრიოტულ ლი-
რიკაში ერთ-ერთ უმშვენიერეს ქმნილებას
წარმოადგენს. შეუძლებელია ამ ლექსიდან
ცალკე ამონაწერი მოვიტანოთ, იგი ერთი სუნ-
თქვითაა დაწერილი და ყოველი სტრიქონი
ისეა ერთმანეთზე მიბმულ-მიწყობილი, რომ
მთლიანად უნდა წავიკითხოთ:

ძველად თურმე, როცა მტრების უთვალავი ჯარები
მოდოდნენ, რომ გავლოთ საქართველოს კარები,
მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები, —
და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები, —
ისე მტცივე იყვნენ, თურმე, ვით მტეხის კედელი,
გმირი თამარ ვაშლოვანელი და მათა წყნეთელი.
მათი ხმალი ციცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰკავდა ფერი მათი მერანის.
სადაც უნდა ყოფილიყვნენ მარად დაუზრახველნი —
საქართველო იყო მათი საყვარელი სახელი.
ბრძოლის ველზე მოდიოდნენ რაინდული ოცნებით,
მიდიოდნენ და მიჰქონდათ ჩაღისფერი დროშები,

ბევრჯერ სისხლით შეღებილან მათი ავგაროზები,
სადაც უნდა ყოფილიყვნენ, თუნდ სამარის კარამდის,
ოსმალეთის მიწა იყო, თუ მინდორი მარაბდის,
საქართველო იყო მათი საყვარელი მარადის.
სადაც უნდა აღმართათ სატევარი და გორდა,
ვაეკატურად მიიწევდნენ, ვაეკატურად გაჰქონდათ,
სპარსეთში თუ დაღესტანში, კრწანისთან თუ შამქორთან,
საქართველოს ერთი მუქა ცხელი მიწა თან ჰქონდათ.
სიკვდილის წინ რუსთაველის შაირების ძახილით,
მიწის გულში ჩაიკრავდა ქართლელი თუ კახელი, —
საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი.
შვილებს თმში აგზავნიდნენ წარბშეკრული ღეღები;
აგზავნიდნენ, აბარებდნენ ღედურ დაიმედებით:
თუ ისარი ზურგში მოგხვდეთ, არ დაიჭრათ მეკრდები,
ხელმეორედ ნუ გენახთ საქართველოს ქედები!
ისე მტკიცე იყვნენ, თურმე, ვით მეტეხის კედელი,
გმირი თინა წაეკისელი და მათა წყნეთელი.
მათი ხმალი ცეცხლს აფრქვევდა, მტერი თრთოდა ვერანი,
საქართველოს ცის ფერს ჰგავდა ფერი მათი მერანის,
მამულისთვის დაილუბნენ ვაეკატობის მსახველნი,
საქართველო იყო მათი უწმინდესი სახელი.

შესამე ლექსიც — „გაიფიქრებ და გავიხარ-
ლებდა“ ქართველ გმირ ქალთა ვანდილებია, იმა-
ვე ასპექტში, როგორც ეს-ესა ვნახეთ, გარ-
და იმისა, რომ ავტორი უხმობს გულმართალ
შეგობარ პოეტებს ემთხვიონ „სისხლიან ლე-
ჩაქს“, უმღერონ „მთაწმიდის ნიავს და ვაშ-
ლოვანის ვაშლისფერ ზეცას“. არსად, არც ამ
ლექსებში, არც რომელიმე სხვა ნაწარმოების
მავალითზე ლაღო ასათიანს არ დაურღვევია
ჩვენი თანამედროვე ისტორიული კონცეფცია,
და ჰაბუკობის მიუხედავად, ყველგან დარჩა
საესეებით მომწიფებულ, გულმართალ, აზრით
და გრძნობით მოწინავე საბჭოთა პოეტად.

VI.

შემთხვევითი არ იყო, რომ ლაღო ასათიანი
ზმირად წერდა ლექსებს პოლიტიკურ თემებზე,
ეხებოდა იმდროინდელ მიმდინარე მოვლენებს,
მაგრამ ყოველთვის ცდილობდა პოეტურ სთა-
გონებას არ დაშორებოდა, მშრალ პუბლიცის-
ტიკად არ გადაეცია თავისი ნაწარმოები. კარ-
გიდ იცოდა, რომ პოლიტიკური ლექსი მხო-
ლოდ მაშინ აღწევს მკითხველის გულამდე, რო-
ცა ის მთლიანად პოეტურია, და არასოდეს
მოწონებას არ იმსახურებს, თუ მარტოოდენ
პოლიტიკურია. შემოქმედის ამოცანაა პოლიტი-
კური თემა მხატვრულად აამეტყველოს, ხო-
ლო მხატვრულს პოლიტიკური ელვარება მის-
ცეს. შიშველ პუბლიცისტიკას ნამდვილ პოე-
ზიამდე არასოდეს მიუღწევია. რამდენი ლექს-
ი დაიწერა პოლიტიკურ საკითხებზე, მაგრამ
ლიტერატურის ისტორიას მათგან მხოლოდ ისი-
ნი შერჩნენ, რომლებშიაც პოეზიამ თავისი
ნამდვილი ბინა დაიღო. თუ პუბლიცისტიკა
პოეზიაში ფორმითაც ისევ პუბლიცისტიკად

დარჩება თავისი პრინციპებით, ლოზუნგებით,
თეზისებით, მაშინ რაღა საჭიროა ლექსები
წეროთ პუბლიცისტიკაზე? პუბლიცისტიკა აზ-
რის გამოთქმის ისეთივე ეანონიერი ფორმაა,
როგორც პოეზია. რატომ უნდა წავართვათ მას
თავისი ბუნებრივი ფორმა, თუ არ შეგვიძლია
მისი აზრი პოეტურად ავამეტყველოთ? მაშინ
პუბლიცისტიკა დარჩეს ისევ პუბლიცისტიკად,
ეს უფრო გამართლებული იქნება, ვიდრე პუბ-
ლიცისტიკას ფორმა წავართვათ, პროზის მა-
გიერ რთმებით ავუღეროთ და სახელი გავუ-
ტეხოთ როგორც ერთს, ისე მეორეს, რაე-
ორივე შემთხვევაში ამორფულ მოვლენებად
ქცეულან. შიშველ პუბლიცისტურ ლექსს ისევ
პუბლიცისტური წერილი სჯობია, თუნდაც სა-
შუალო რანგისა, მაგრამ, როცა პოეტი ნამდ-
ვილად მიმზიდველი მხატვრული სახეებით
აამეტყველებს პოლიტიკურ თემას, ჩვენ აღ-
ტაცებას ვეძლევი, აღფრთოვანება გვიპყრობს
და მზადა ვართ რამდენჯერმე გადავიკითხოთ
მისი გრძნული სტრიქონები. დააკვირდით რა
ყარვად ახერხებდნენ ასეთ გადასვლას პოლი-
ტიკურიდან მხატვრულში პუბლიცისტიკის
ბოლომდე შენარჩუნებით ვალაქტიონ ტაბიძე,
გიორგი ლიონიძე, იოსებ გრიშავილი და რა
წარმატებას აღწევდა ლაღო ასათიანი, დიდი
გალაქტიონი ამ მხრივაც შეუდარებელი იყო
ჩვენს პოეზიაში და ვისაც სურს ერთხელ კი-
ლევ დარწმუნდეს, თუ რა ვააკეთა „მერის“ ავ-
ტორმა ჩვენი დროის პუბლიცისტიკის პოეტურ-
ი ამეტყველებისათვის, რა ღრანტები გადაიარა,
რა ყმაირი გადახანა მე-19 საუკუნის ყვე-
ლაზე ძლიერი პოეტების შემდეგ, მას სპეცია-

გიორგი ჯიჯლაძე
ლაღო ასათიანის დღეობი და ლექსები

ლური ძიება არ დაჰირდება. წაიკითხოს თუნდაც ის ლექსები, რომლებიც „კრიტიკული ეტიუდების“ მესამე ტომში გვაჩარჩოვს, დაწყებული „გემი დალანდით“ და დამთავრებული „იმ დღეებს ძეგლი უნდა აეუფოთ“. გალაციონ ტაბიძეს პოლიტიკური თემისადმი დამოკიდებულებაში ეს პრინციპული პრეკალირება ახასიათებდა. ან წაიკითხეთ გიორგი ლონისის „მერვე ყრილობის დელეგატის მოგონება“, იოსებ კრიშაშვილის „სინათლი“ და მიხედვებით, რომ პუბლიცისტიკა მშვენივრად ვლერს ლექსში, თუ ავტორს კემშარიტი პოეტური ცეცხლი მაღლად მოჰფენია და არა ნაცრად.

საილუსტრაციოდ მე ავიღებ მხოლოდ ორ ლექსს — ლადო ასათიანის „ლენინის ტომს“ და „საკ. კ.პ.(ბ) მე-5 ყრილობის დელეგატებს“. პირველი ლექსის თემაზე იმდენი დაწერია საბჭოთა პოეზიაში, რომ ჩამოთვლასაც ვერ შეეძლებო. მაგრამ შეეძლება ასევე ვერ შევიძლო იმ ლექსების დასახელება, რომლებშიაც პოეზიამ თავის სიმალეს ნამდვილად მიაღწია. ამ ნაწარმოებთა შორის ლადო ასათიანის ლექსი უმკველად დაიკავებს ერთ-ერთ პირველ ადგილს თუნდაც შემდეგი მაღალმხატვრული სტრიქონებით:

ბევრი წიგნი მაქვს ყმწვილს ნანახი,
ბევრჯერ მიგრძენია აღფრთოვანება,
ზოგში მომწონდა იგავ-არაკი,
ზოგში — მარტოდენ ხატოვანება.
ბევრი მათგანი სულ არ გაციოლა,
გაჰყვა საყვარელ ქალს თუ მეგობარს,
ბევრი კი შერჩა ჩემს შავს განჩინას,
ვით მტვერწყაროლი უიმედობა.
ბევრი გახუნდა ბედის ტრიალში
და ნელ-ნელ მიდის ბნელ სამარემდის,
მაგრამ ეს ერთი ცისფერყიანი
ჩემს მავიდაზე დარჩა მარადის.

როგორც იტყვიან, კომენტარები აქ მართლაც ზედმეტი იქნება, გარდა იმაზე მითითებისა, რომ ლექსი თავიდან ბოლომდე ორიგინალურია.

მეორე ლექსშიც პოეტი ასევე სრულიად ორიგინალური მხატვრული სახეებით გვევლინება. დააკვირდით პირველივე სტრიქონების აზრსა და ელერადობას, თუ როგორ მიმართავს იგი უმადლესი პარტიული ფორუმის სრულფულუბიან მონაწილეებს — დელეგატებს:

ის თვით განსაჯეთ თქვენ აზრინანდ,
შრომით, გმირობით ვინ ვის აჯობა.
მე კი ავიღებ ქართულ ფილას
და ვადღეგრძელებ თქვენს ვაქაცობას!
ის თქვენ განსაჯეთ, ვინ ვერ იარა
და ვინ იგემა გზებზე დაცემა,
მე კი ავიღებ ქართულ ფილას
და ვადღეგრძელებ თქვენს გატაცებას!

სხვამ სხვა ინატროს, მე კი... რომ ასე
მიყვარს ძვირფასი მისი ხატება,
მე ვინატრებდი თქვენს ყრილობაზე
დიდი ლენინის გამოცხადებას.

ეს მართლაც პოეტური შთაგონება, მხატვრული ენით მეტყველება, ორიგინალური ხედვა და როგორც არა ჰგავს იმ უდიდებულ ლექსებს, რომლებშიაც აზრის მხრივ ყველაფერია, მაგრამ ხელოვნების ნასახეც არ მოიპოვება. ლადო ასათიანს არც ერთი ასეთი ლექსი არ დაუწერია. მისი ლექსები მდიდარია აზრითაც და მხატვრობითაც, ხოლო ორივეს საცხებით ორიგინალური ნათება აქვთ. წაიკითხეთ „მებერების დღეა“, „გვერალი უქუივი“, „მამაც მფრინავეებს“, რომლებიც გრიზოლდუბოვას, ოსიპენკოს, რასკოვას ცნობილ გაფრენას ეძღვნება, აგრეთვე „მოდით, გგონებო, სთქვით ნორიოს ნავთის დიდება!“, „კალმხები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე“, „ფიქრები სმოლწში“, „მოსავლანარა“, „ესპანელ მეგობრებს“, „გეორგ ვიეოს“, „ჩახიევის ჯავშნოსანი“ და თქვენ მიხედვით, რომ ლადო ასათიანს ყველა თემა, რომელსაც შთაგონების საგნად გაიხდიდა, პოეტურ სიმალდზე აყავდა, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით ჰქონდა გამზარბი. ესაა ლადო ასათიანის პატრიოტული ღირსება; რომელიც უაღრესად გულწრფელი, უშუალო და ღრმა ვანცდების შემცველია. პოეტი არასოდეს კმაყოფილი არ იყო იმით, რაც გააკეთა თავისი ქვეყნისათვის, მეტი უნდოდა, მეტს სთხოვდა როგორც საკუთარ პოეზიას, ისე სხვებსაც. ეს გრძობები და ეს აზრები მაღალპოეტურად არის გამოხატული ლექსში — „თქვენ გეუბნებით ძებნო გგონებო“, რომელშიაც გკითხულობთ დღეს უკვე პოპულარულად ჰქეულ სიტყვებს:

რა ქართველი ხარ და რა ქაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე, —
ეს აწვალდება ცოტან დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მწვალებს.
რომ ელგეარ ახლა თბილისის ქართან,
შენ გეკითხები, ცაო ნათელო,
ამ უხეირო ლექსების გარდა
რას გაეუკეთებ მე საქართველოს?

ყველა პოეტი როდი ბედავს ასეთ დამოკიდებულებაში იყოს თავის თავთან და საკუთარ პოეზიასთან. მხოლოდ ძლიერ ადამიანურ სულს, პოეტურად შთაგონებულს, შეუძლია ამგვარი თვითკათარზისი მოახდინოს. შესაძლოა აქ იგრძნობოდეს რემინისცენცია გალაკტიონის ლექსისა:

რას მომცემს ისეთს მე საქართველო,
და ან რას მისცემს მას ჩემი ქნარი?

მაგრამ მთელი ლექსი სულ სხვა, სხვა ას-

პეტია, ვიდრე გალაქტიონის „სად ვპოვებ შეებას?“

თუ რა ძლიერი იყო ლადო ასათიანის პატრიოტული გრძნობა, ზემოდანმოთვლილ ნაწარმოებთა გარდა შეგიძლიათ დინახოთ ომის დროს, 1941 წელს დაწერილი ლექსითაც — „ქართველ ცხენოსანს“, რომელშიაც პოეტი

მეტრთან მებრძოლ თანამემამულეებს შეუპოვრობასა და გმირობას შთაავიწყებს. მიმართვის ფორმა ლექსში, როგორც იტყვიან, ნაქვედობა დატვირთული არის გამოყენებული, სწორედ სტრიქონი ამხედრებულია, მსგავსად აბრესატიისა, ხოლო ყველაფერი აელვარებულია მხურვალე გრძნობათა შეუჩერებელი ნაკადით:

ამხედრებულო ეაქვაციო, წვერ-ულვაში რომ გიხდება,
როცა გულხარბი შტარვალი ხმალდახმალ გადმოგიტება,
ასიხე, სანამდისინაც მარჯვენა გადავიწვდება,
გახსოვდეს, რომ ხარ ეაქვაციო, ნურასდროს დაგავიწყდება!
გახსოვდეს, ლამპიონებით განათებული ასპინძა, —
მამულისათვის ქართველი მტერს როგორ გაუშვასპინძლა.
გალაღებული თეთრონით ვადერია ლაშქარში,
რომ დუშმანთ თავბრუ დაესხას შენი ფრანგულის კაშკაშით.
მოსკოვს და თბილის-ქალაქსა წინ აღემართე ფარადა,
დასქექე, დააგუგუნე მამაბაპური „ვარადა“.

როცა სატევარივით მომართულ ამ ლექსს ვკითხულობთ, ჩვენ უნებლიედ გვახსენდება 1936 წელს დაწერილი ლადო ასათიანის უსათურო მინიატურა „ჩვეთი ცა მზურავს“, რომელშიაც პოეტმა მართებულად განსაზღვრა თავისივე მისია, თუ ომის ქარიშხალი ამოვარდებოდა. პოეტი მაშინ წერდა: კრაილა ცა მზურავს, ირგვლივ მკერდდავლეჯილი მთებია, ჩემი სამშობლო იალაღია, რომელზედაც ჯეჯილი ხარობს...

მოვიხმარ ლექსებს, როგორც იარაღს, მოვიხმარ ლექსებს, როგორც სატევარს!

ეს წინასწარი აღთქმანი ლადო ასათიანმა ისევე სპეტაკად შეასრულა, როგორი სპეტაკიე თვითონვე იყო სულით, გულითა და გონებით. საკმარისია თუნდაც ერთი ლექსი დავასახელოთ — „ახალი წლის ხმა“, რომელშიაც მომავლადი პოეტი პირადად მისთვის საბედისწერო, მაგრამ კაცობრიობისათვის ბედნიერ — 1943 წელს ასე აღფრთოვანებული შეიგება:

მოვივიარ უბედნიერეს დღეების გამოჩნარხველი,
ცხრაასორმოცდასამია ჩემი გვარი და სახელი.
მომაქვს რა განადგურება შემოსული მტრებისა,
სამარადვამოდ იქნება განათებული ჩემი ცა.
მომაქვს რა ბედელ-მარნებში დაუღვეელი პურ-ღვინო,
ამიერიდან ერთი დღეც არ გათენდება ულხინოდ.
მომაქვს რა ხალხთა ბელადის ჯან-ლონე დაუცხრომელი,
ამიერიდან მშვიდობით იცხოვრებს ყველა მშრომელი.
შენს პირს შაქარი, ბედნიერ მომავლის მხარობელი,
სტალინგრადადღო დეე-გმირო, ურალის სტახანოველო!

კითხულობთ ამ ლექსებს და გრძნობთ, რომ პოეტი ერთნაირად ძლიერია გრძელსა და მინიატურულ ლექსებში. სინამდვილის მხატვრული აღქმა მისთვის ნიშნავდა რეალურის შემოქმედებითად გასაგნებას ფერწერული სურათოვნებით. ყოველ სტრიქონში იმდენ ვერბალურ ენერჯიას ათავსებდა, რომ ცოტას თუ გადაამეტებდა, მხატვრული სახე შეიძლებოდა იმანენტურად აფეთქებულიყო და მას საკუთარი უარყოფისათვის მიეღწია. დამაბულობის უკიდურეს საზღვართან ეს პირდაპირ კატასტროფული დგომა ლადო ასათიანის ლექსებს აძლევდა დიდ შინაგან ძალას და მკითხველს ხიზლავდა შემოქმედებითი გაქანების მაღალი კოორდინატებით. სულ უბრალო დეტალშიც ის საოკრად ორიგინალური რჩებოდა; ისეთ ნი-

უანსებს ხედავდა, რაც ჩვეულებრივზე უფრო ძლიერ თვალსაც შეუძლებელი იყო თავისი დაკვირვების ობიექტად გაეხადა. მისი ოთხსტრიქონიანი მინიატურა — „წისკელი“ ყოველივე ამის დამადასტურებელია. აქ მთლიანად აცილებულია ტრადიციული მხატვრობის ტრადიციული და სახე გამყდნებულია, როგორც ტრივიალურიდან ორიგინალური გამოხედვა. ბოლო ორი სტროფი საყვებით ახალი პირველთქმაა ქართულ პოეზიაში, სრულიად მოულოდნელი, უცაბედი შემობრუნებით:

გიორგი ჯიზღაძე
ლაღო ასათიანის დღეები და ლექსები

გათეორებულა პატარა სხენი, ობობა ქსელებს აბამს და ლამაზეს, და სარეკლას მადლიან ენით წისქვილი ყვება მოსავლის ამბავს.

ეს ყველასათვის ნაცნობი სახე, გარდა იმი-სა, რომ გარეგნულად აღწერილია პორტრეტული სიუჟეტით, გამობარია შინაგანი მხატვრული ლოგიკის სინათლეზე, რაც ანახდევულად გადადის აზრობრივად გამართულ პერსექტივაში — „და სარეკლას მადლიან ენით წისქვილი ყვება მოსავლის ამბავს“. ჩამოთვლილ ღირსებათა პარალელურად, „წისქვილი“ შეიძლება პოეტური ლაიონურობის ბრწყინვალე მაგალითად დაგვესახელებინა.

ეს ლაიონურობა ლადო ასათიანს სატრფიალო ლირიკაშიც ახასიათებდა.

VII.

სიყვარულის გრძნობის პოეტურ ხილვაში ლადო ასათიანი ყოველთვის ბავშვურად უშუალო, საოცრად გულწრფელი, უაღრესად სადა იყო, როგორც პირველივე სტრიქონები მისი ლექსისა — „გზაში“, ასე რომ ვეზიბლავს თავისი ადამიანური სულით:

სიხარულს ვთხოვ, — მწუხარებას მთავაზობ.
ნუთუ ასე დაგატყვევეს ფიქრებმა?
ცოტა კიდევ მოითმინე, ლამაზო,
და ნანატრი მთა-გორებიც იქნება.

აქ არ არის ტრაფარეტი სიყვარულისა, არც იქ, სადაც პოეტი სილამაზეში უყეთეს სილამაზეს ნატრობს და გვეუბნება: ლამაზია, მაგრამ „შე უფრო ლამაზი მინდა, — ატმის ხე-სავეთ აფეთქებული და მოქნული გაეზოვიეთა“. მისი ლირიკა მართლა იყო „ერთი მართალი კაცის ცხოვრება“, როგორც თვითონვე სიტყვა ლექსში — „წარწერა სურათზე“. ხოლო სიყვარული მუდამ ნატიფი, დაუბერებელი, სამშობლოს ტრფობასთან ასოცირებული, აწმყო-სა და წარსულის მხურვალეობით გამთბარი. ამ სიყვარულში ის ერთვული იყო, ისე მღერობდა, რომ „კაცი ლექსად იქცა“, ხოლო ახალი ტრფობა ისევე ძველის განმეორებლად მიიჩნდა:

რა დამაინფიცებს შენს ლამაზ თვალებს,
რამ დამაინფიცოს ეს ალუბლები!
იცოდე, როცა სხვას შეუყვარებ,
ამ სიყვარულზე ვეისაუბრები.

ასეა ნათქვამი 1939 წელს დაწერილ ლექსში — „ააბოშიდანი“, ხოლო ერთი წლით ადრე, ამავე სათაურთან ნაწარმოებს, პოეტი ახატვინებულად უფრო მძაფრ გრძნობებს:

— ისე გავიდა ეს გაზაფხული
შე ერთი სიტყვაც არ მახსოვს შენი.
რა დაგიშავე, მოთხარი, ბარემ,
რად ამითრთოლე მგზნებარე გული,
რისთვის მომიკალ, რად გამიმწარე

ეს სიკაბუჯე და გაზაფხული.

შე სიყვარული ამიტანს უცებ,
დაგებებ, დამსდევს ფიქრთა კრებულს
დავიარ თბილის-ქალაქის ქუჩებს
და დაებრუნდები აცრემლებული.
ვაი, სად ვნახო, საით იქნები,
ვიცი — გარბიხარ და მეშალები,
შენ დაგებებენ ჩემი ფიქრები
და ამღვრეული ჩემი თვალები.
ჩემთვის ერთია, სადაც იქნები,
ჩემს სიყვარულში დაგაჭერებენ,
შემოგხედებიან ჩემი ფიქრები
და ჩემს მაგივრად გაგაჩერებენ.

სიყვარულში გრძნობა და აზრი აქ იმდენად გასაგნებულ, იმდენად აუვანილია ადამიანური რანგის მწვერვალებამდე, რომ შეუძლებელია მაღალ ესთეტიკურ განცდას არ ეზიაროთ ლექსშიც — „ქველი დღისათვის“ სატრფიალო გრძნობა მთლიანად უშუალობაშია გადასული, ვახსენებულია გაფრენილი ბავშვობა...

და, აი გუშინ, როცა კარადის
თაროსთან წიგნებს ვეძებდი დილით,
უეცრად ვნახე თქვენი ბარათი,
თქენსაერთ მკრთალი და ფერმიხდილი.

ეს სევდამინარევი გრძნობა სიყვარულში ლადო ასათიანის სატრფიალო ლექსებს გასდევს, როგორც ბუნებრივი თანხმლები, როგორც კონცეფცია. და თუ მართალია ყოველივე ის, რასაც პოეტები გვეუბნებიან, რომ სიყვარული „კაცია შეიქმს გულმოყუღულად“, **ახვარა ტახტად მოითხოვოს**, მაშინ გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ სევდამინარეობა სატრფიალო ლირიკაში, რასაც ასე ხელშეისახებად გვაგრძნობინებს ლადო ასათიანის პოეზიაც. ქეშმარიტი სიყვარული კვდამამოსილებია, სილამაზე უნდა თვისსუფლებია, რომელსაც სინატრიფე თან ახლავს, როგორც მისი შინაგანი არსების უძირითადესი ფერმტერი. იქ აღვილი არა აქვს გრძნობის გამეშვევებას, შაბლონურობას, რაც უნდა თანხმობა ჰქონდეთ, ორი არსება მაინც ეკვით არის შეპყრობილი, თითქოს ერთმანეთს არ ენდობიან, ვიდრე ყველაფერი არ დაგვირგვინებულა, და, კაცმა რომ თქვას, ის სიყვარული რა ტრფობა, სადაც ეკვი ერთმანეთს არ ავსებენ სულთა ნამდვილ შეერთებამდე, სიყვარულში თანხმობა ისე აღვილად მისაღწევი რომ იყოს, როგორც „გამარჯობას“ ვეუბნებით ნაცნობს და პასუხად უმაღ ვლუბულობთ „გავიმარჯოს“, მაშინ ამ გრძნობისათვის რაღაც სხვა სახელი უნდა გვეწოდებინა და არა სიყვარული, სიყვარული, რომელიც ვეამალლებს და ვეაკეთილშობილებს. წმინდა სიყვარულს კეთილშობილი სევდაც თან ახლავს, კეთილშობილი ეკვიც, ხოლო იქ, სადაც ასე არ არის, სადაც ყველაფერი სულ იოლად მიიღწევა, იქ გრძნობაც გაუფასურებუ-

ლია, სიღაღე დაკარგული, ვინაიდან დარღვე-
ულია ის ელემენტარული კვშმარობება, რომ-
ელიც ცხოვრებამ, სინამდვილემ, პრაქტიკამ
ტრადიციულად ასწავლა ადამიანებს — მშვე-
ნიერება და სიღამაზე იოლად როდი მოიპო-
ვებიან. ამ საკითხზე შეგვეძლოს მთელი გამოკ-
ვლევა დაგვეწყობა, მორალისა თუ ზნეობრივი
კოდექსის არსებითი პრობლემები წამოგვეყე-
ნებინა, მაგრამ აქ საამისოდ არც დრო, არც
ადგილია, ეს საუბარი მხოლოდ იმიტომ წამო-
ვიწყეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ რამდენად
გულწრფელია პოეტი, როცა სიყვარულს ასე
ბუნებრივად, უშუალოდ, ადამიანური ფსიქი-
კის ცოდნით გადავიშლის ხოლმე. ზოგან იქ
პგოდებს, კიდევაც ტირის, ცრემლებს ზღვა-
საც აყენებს, რაკი ევეკი და სევედა ყველგან
თან ახლავს სიყვარულში, როგორც იქ, სა-
დაც „სპარსელ ასულს“ ეტრფიალება, რუსთა-
ველს, საკაქებს, აღმოსავლეთს, ფერეიდანსა
და სააღის ასხენებს. ერთი სიტყვით, ლადო
ასათიანის სატრფიალო ლირიკა უღრესად
ადამიანური, გრძნობით ძლიერი, უშუალო და
წრფელია, რომელიც გვიზიდავს სიყვარულზე
თავისი მართლაც ქაბუჯური სიმღერებით.

ეს პოეტური უშუალობა, ბუნებრივობა და
გულწრფელობა ძალიან კარგად იხატება მშობ-
ლიური სოფლის თემებზე დიდ სიყვარულით
დაწერილ ლექსებში. წაიკითხეთ მისი „სოფ-
ლისკენ“, „ნამკაშურის წიხქვილები“, „ღმრ-
ნშუმური შემოდგომის სურათები“, „მარბნა-
ლა“, „ცაგერის ბაზრობა“, რომლებსაც არავი-
თარი კომენტარი არ ესაჭიროებათ. მაგალი-
თად, „ცაგერის ბაზრობაში“ ყველაფერი ისეა
აღწერილი, როგორც სინამდვილეში ხდება, და
მკითხველი პოეტთან ერთად დადის ცაგერის
ბაზარში, რომელიც ავტორმა პირდაპირ წარ-
მოსახა თავის პოეტურ კოლორიტულ პალიტ-
რაზე. იმ ნაწარმოებში კი, რომელსაც „პაპა-
ჩემის ლექსებიდან“ ეწოდება, შემდეგი აზრია
მხატვრულად გამოთქმული: ყველას თავისი
ქაბუჯობა, თავისი ბავშვობის სიხარული აქვს
და ღრმად მოხუცის გულშიც პატარაობის
ცეცხლი გიხვივებს; ამქვეყნად ხომ ყველაფე-
რი შედარებითია, პაპაც თავის მშობლებსა და
პაპებს იგონებს, თვით ცხოვრება კი მოგონე-
ბათა გრუხილის უმისოდ არ არსებობს!

ან აიღეთ უღმობელ სენთან ჭიდილის გმი-
რულ წლებსა, იმედთან თვეებსა, მწარე დღე-
ებსა და სასოწარკვეთილ წუთებში დაწერილი
ლექსები „აბასთუმანში პატარა ვალა“, „რო-
ლოზ არ მინდა, ძლიერო სენო“, „უცნობა პოე-
ტის რვეულიდან“ (სადაც გვხვდება განთქმუ-
ლი სტრიქონი — „ადრე წახული კაცის ფიქ-
რები“, „საჩწყული“, „წარწყრა ერთი სამა-
რის ქვისა“, „აბასთუმანი“, რომელშიაც შემოქ-
მელებითი ცეცხლით ანთებული კაცი და უმძი-
მესი დაავადების ტყვე მთელ ტრაველიას ან-
საჩიერებს. ლადო ასათიანი რაინდულად იტან-

და ამ ტრაველიას, უცრემლოდ და აუტირე-
ლა!

რატომღაც ცალკე არ მინდა გავარჩიო ლა-
დო ასათიანის მშვენიერი ლექსები გამოჩენილ
ადამიანებზე. შეიძლება იმიტომაც, რომ ამ
ლექსებს კრიტიკოსების დაუნებარებლადაც
კარგად იცნობენ ქართველი მკითხველები. წა-
იკითხეთ „პუშკინი ჩემთან“, „ფიქრები სმოლ-
ნში“, „ილიასადმი“, „ეძახის“ (ილია ქაჭკაე-
ძის ხსოვნას რომ ეძღვნება), „შეგჩენკოს სამ-
შობლოში“, „ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი“,
„ნიშნარი“ (ბალადა ვანო სარაჯიშვილზე),
„ივანე ჭავჭავაძისადმი“, „ვერიკო ანჭაფა-
რიძეს“. მარტო ამ უცანასკნელი ლექსითაც
სრულად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა
ორიგინაა იყო საქბუჯი პოეტი, როცა მიძ-
ღენებს წერდა, საბუნდოვან ადამიანებს გვიხა-
ტავდა, მთლადმი თავის დამოკიდებულებას მის-
თვის ჩვეული უშუალობით გადმოგვეცხლა.
მთლიანად ვავისხენოთ ეს ლექსი:

სხვა რომ არ იყოს, ჩვენ ამ ლამაზი
ქალებს ეშხი დაგვიფარავდა,
თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს,
ერთხელ ხმამალა რომ ვთქვათ — მარაბდა!
მიხარის, როცა სცენაზე გიმზერ,
ანათებ, როგორც ზღაპრული დალი
და როგორც ნისლი უფსკრულის პირზე,
ირჩევა შენი ლამაზი ტანი.
ირჩევა შენი ლამაზი ტანი
და განა ძალმიძს არ გითვალთვალო,
საქართველოს მზით სახედამწვარო,
ანჭაფარიძის ზვიადო ქალო!
მინდოდა ერთი ნატერა მენატრა
და სანატრელი ისევე შენა ხარ:
მოემკვდარიყავ და ამ ჩვენს სცენაზე
შენი ქართველი ქალო მენახა.
მოემკვდარიყავ და ქართულ ლენაქში
მენახა შენი ქართველი დალი,
დამაბრმეებდა, ვერიკო, მაშინ
შენი მიმქარალი შარავანდედი!
როცა გიყურებ შევ სამოსელში,
ეხედავ — ჩაუცვამს ძამა ბუნებას.
მე ნუ მომესწროს შენზე ტრიოლი
და შენი სიტყვის დაძახუნება!
სხვა რომ არ იყოს, ჩვენ მარტო შენი
და ნატოს ეშხი დაგვიფარავდა,
თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს.
ერთხელ ხმამალა რომ ვთქვათ — მარაბდა!

იმდენად მშვენიერი ლექსია, რომ განმარ-
ტებას არ საჭიროებს. მაგრამ უცნაურად ჟღერს
სიტყვა „მარაბდა“. რატომ იხმარა პოეტმა,

გიორგი ჯიბლაძე

ლადო ასათიანის დღეები და ლექსები

ისიც ძალის, ძლიერების გამოსახატავად, მტრის დასაწინებლად „მარაბდა“, როცა უღმობელი ისტორიიდან ვიცით, რომ მარაბდა ჩვენი წინაპრების ტრაგედიაა, მათი ერთ-ერთი საბედისწერო დამარცხების სინონიმი. ეს ტრაგედია 1624 წლის ზაფხულში დატრიალდა, როცა ყიზილბაშებმა შაჰ-აბასის სარდალ ისა-ხანის მეთაურობით მარაბდის ომში გაიმარჯვეს. 23 ათასი კაცი გაჟვდა, მაგრამ 14 ათასი მარტო ყიზილბაში იყო. სპარსელების მიერ ომის მოგება არსებითად პირობის გამარჯვებას უდრიდა, თუმცა ქართველებისათვის საშინელი შედეგები მოჰქონდა. პოეტმა იცის, რომ მარაბდის ომში ქართველებმა გმირულად იბრძოლეს, დიდძალი ყიზილბაში ამოწყვიტეს, რიცხობრივად ჰარბ ძალეზე პირველ დღესვე გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ თავრიზის ბეგლარ-ბეგის მოულოდნელმა გამოჩენამ, აგრეთვე ყალბი ხმების გავრცელებამ (შაჰი მოვიდა დიდი ჯარით, თეიმურაზი დაიღუპა), დალოდოლ ლაშქარში არეუ-ღარევა შეიტარა. ქართველები დამარცხდნენ, თუმცა მტერს მხოლოდ პირობის გამარჯვება დარჩა.

ახლა დააკვირდით რა სწორი აზრია ჩაქსოვილი ერთი შეხედვით მცდარად ნახმარ სიტყვაში — „მარაბდა“, რა სიამაყე, რწმენა და პატირიტული თვითდაჯერებულობაა! თუ მარაბდაში დამარცხებდა კი ისეთია, რომ მტერს შეაწინებს, რა დამარცხება მას, როცა ქართველთა უთვალავი გამარჯვების ფაქტებს დავუსახელებთ. ვარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ პოეტკაცა: გამოთქმა — „თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხნამალა რომ ვთქვათ მარაბდა“ ოქსიმორონია, როგორც პოეტრუსრი ზერბი, რომელიც პოეტმა ასე ოსტატურად გამოიყენა, აქედანაც შეიძლება დაეინახოთ, რომ ნიჭი მისი ძლიერი და განსაკუთრებული იყო.

როცა მის გვერდით ვიყავი, როგორც მასწავლებელი და უფროსი მეგობარი, ვგრძნობდი: ტოლთაგან არავის ჰგავდა, არავისთან მისი შედარება არ შემეძლო. ნამდვილი ტალანტი იყო, ხალასი და უშუალო. მაგრამ საპირობება თვითონვე ეძებდა გარეშე ფაქტორების ამოქმედებას. როგორც ფანტაზია სთხოვდა მას ლექსებდ გადმოღვრას, ისე შინაგანი გულის ძახილი მოუწოდებდა დიდი ცოდნისაკენ. წიგნებს დაეძებდა, ხოლო რასაც მოიხელთებდა, ხარბად კითხულობდა. თუ იმედი არ გაუმართლებოდა, შეწუხებული იყო, წიგნს გვერდზე ვაღებდა მწარე ირონიით. ამ ირონიაში გულისტყვილი უფრო იგრძნობოდა, ვიდრე თვით დაცინვა ან ძაგება. შემოქმედების ფასი იყო. მაგრამ სუსტ შემოქმედებას ვერ იტანდა. უნიჭო შემოქმედი, როგორც აღმიაინი კი არ

სძულდა, უნიჭო შემოქმედება ეხარბოდა. მისი იდეალი იყო, როგორც შესანიშნავად გამკლავნა 1938 წელს დაწერილ ლექსში „მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ“, მსგავს შემოქმედება, რომელიც ყველა თავისი ძირით მშობლიური მიწიდან ამოდის, დაკავშირებულია ბუნებრივთან, აღამიანური და უშუალოა. ალგორითულად არის ნათქვამია: „მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ და დოლის ნამით გაოლუმები“; „ან როცა იწყებ სიმინდის მოროდს და ფეხზე სველი მიწა გეყრება“; „მე ქალის თმების სურნელის მსგავსად ვეტრფი მოხნული მიწის ოხშივარს“; „მე ქალის თმების სურნელის მსგავსად მათობს სიმინდის ულვამის სუნი“, და ბოლოს:

მე მხოლოდ მისი სახელი მიყვარს, ვისაც სიცოცხლე ამგვარად მიყვავს, და მხოლოდ მისი ცეცხლი მეღებდა, ვისაც ასე სწამს შემოქმედება.

ეს თვითონ ლადო ასათიანი, მისივე შემოქმედება თავისი ორგანიული ძირებითა და ბუნებრივი ფერმენტებით მოელვარე.

შემოქმედების ამგვარი გაგება სრულებით არ ატარებდა ეპიზოდურ ხასიათს. მეორე ლექსშიაც — „ა. ვ.“, რომელიც პოეტის ერთგულ მეგობარს ანიყო განაძენ ეძღვნება და ორი წლის შემდეგ, 1940 წელს არის დაწერილი, იდენტური სურათი გვაქვს. პოეტი ისევ იმეორებს, ვარიაციულად, თავის კონცეფციას:

მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა, ვისაც სახელი შორს გუჟვარდა, ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა, მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა!

ესეც თვითონ ლადო ასათიანი, მისივე შემოქმედება, მთელი თავისი კიდე-განიით, და ჩვენც შეგვიძლია გავიმეოროთ პოეტის მიმართ: ის მართლაც „კაცი იყო და ლექსად იქცა“.

მაგრამ არა ყოველგვარი ლექსი იყო მისი იდეალი. ლადო ასათიანი, ხალისითა და ოპტიმიზმით სავსე, ცხოვრებაზე უსახლვროდ შეყვარებული, იმედიანი, ომახიანი, ექცეკური ხმით მომღერალი თვითონვე გვეუბნება, თუ როგორი ლექსი იზიდავს ან რას თვლის პოეტის გამარჯვებად. წაიკითხეთ მისი ორკუბლეთიანი უსათაურო ლექსი, რომელსაც ქვემოთ მთლიანად მოვიტანთ, და თქვენ უკვე მიხვდებით ყველაფერს კომენტარის დაუხმარებლად:

დე ჩავდეს ლექსში უთვისტომო ქეთიანი, მოთქმა, ფოლადის სალტი ვაიშართოს პოეტის წელიც, არ მინდა, არა, ჩემი ლექსი იმღეროს ლოთმა ან ეპიგრამად წააწეროს საკუთარ წერისს. საქმე ის არის ლექსი მოწყდეს, როგორც კომეტა, პოეტის გულს და გაშრილდეს მანქანის ჩარხთან. მაშინ ჩათვალე, მხოლოდ მაშინ თავი პოეტად, როცა იხილავ ლექსისა და მანქანის ჩახჩახს.

პოეზია მართლაც უნდა იყოს მოჩახჩახე, ერთ ღროს გიორგი ლეონიძეს პოეტურად ამდლებულ სიმღერაში რომ ეზმანებოდა „ცა ატმებოთ მოხმარე ჩახჩახა“. მაგრამ ლექსი იმავე ღროს უნდა იყოს გულიდან კომეტასავით ამოვარდნილი, როგორც ერთი ამოსუნთქვა. თვით ლადო ასათიანის საუკეთესო ლექსებიც ხომ ასე კომეტის მსგავსად მოისწრაფვიან მისი გულის სიღრმეებიდან.

შეუძლებელია ისიც არ ვავიხსენოთ, რომ ლადო ასათიანის პოეზია გვზიბლავს ძლიერი პოეტური ვაგებით, სახეებითა და მეტაფორებით. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ვავიხსენოთ: ქართული ნაძვების სიმძლე რომ გამოხატოს, პოეტი მიმართავს ჰიპერტროფიას: „ცადმიჰედელი ნაძვები“. მართლაც დიდებულა ეს „ცადმიჰედელი ნაძვები“. სამშობლოს სიღამაზეს გაზაფხულის ნათებას ადარებს: „ტბილია, როგორც აპრილში ტყემლების შემონათებაო“, ან კიდევ თამარის საარაკო დარბახს: „ხომ ღამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ღამაზი მინდა, — ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის დარბახითა“. უცნაური სურათია დახატული, როცა აფხაზეთის მთაგრობლებს ეხედათ: „შორს, მწვერვალებზე უინოლებს ღოკავს შაქარყინულით ვაზრდელი ჭივი“.

და ჩვენ ისევ უნებლიედ მივადექით ლადო ასათიანის შემოქმედების პოეტურ მხარეს, რაზედაც ზევით უკვე გვქონდა ზოგადად საუბარი.

IX

შემიძლია დაბეჭდებით ვთქვა, რომ მოყოლებული რუსთაველის დროიდან, ქართული ლექსისათვის დამახასიათებელი ალიტერაცია ლადო ასათიანს მოსწონდა, როგორც მხატვრულ გამოთქმაში აქცენტირების ერთ-ერთი ეფექტური ფორმა, და თვითონაც მიმართავდა მას არაერთ ნაწარმოებში. ვახსენეთ „მანანა ორბელიანის სურათზე“, სადაც პირველივე სტრიქონი მშვენიერი ალიტერაციაა: „შენ, შოსანო, შეთვალავ, შევ სამარეში გძინავს“. ეს ხუთი ბგერა „შ“ მუსიკალურ-ფერადოვან სურათს თავიდანვე ჰქმნის და მთელი ლექსი უკვე პირველი აკორდიდან დასრულებული განწყობილების სტადიაში გადაჰყავს. მეორე შემთხვევაში, როცა სურს ომის აბორგებულ სილს დემონი გამოაჩინოს, პოეტი მიმართავს

ვერბალურად ტლანქ ბგერას — „ჭ“ და „ჭა-ხივის ჭაფშოსანში“ შეაქვს გმირის პორტრეტისათვის უაღრესად საჭირო ალიტერაციული ფერებები: „ის თვითონ ჭმუხა ჭაბივიცა ჭალათებს ჭიქურ დაჭახუნდა“. მესამე შემთხვევაში „მ“-სა და „რ“-ს ალიტერაცია ორგანიზულად უერთდება პოეტის ალტერაციას, რათა შთაბეჭდილების მეტი ძალა შექმნას, მკითხველზე იმოქმედოს ისე, რომ ყველაფერი დაამახსოვროს. ვგულისხმობთ ლექსს — „ბარდნალა“, რომლის პირველი და უკანასკნელი კუბლეტი ასე იკითხება: „რა კარგი იყო ბარდნალა, ბარდნალებების ბორანი, ვარდებიანი ბარდნარი, ბულბულთა ნამბორალი“. ანლოგიური მავალითები ალიტერაციის მოზომილი, ბოლომდე გააზრებული მოხმარებისა, ლადო ასათიანის ლექსებში ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით „ჩემი ქვეყნის ოქროყანაში“, რომელიც მთლიანად ალიტერაციითა დაწერილი და „წ“-ს, „ო“-ს, „ქ“-ს, „ნ“-ს, „ტ“-ს, „ს“-ს, „შ“-ს და ა. შ. ალიტერაცია პირდაპირ მუსიკალურ სიმღერისა წარმოადგენს. საბავშვო ლექსებშიც პოეტი ხშირად იმართავდა ალიტერაციას, როგორც აზრობრივსა და მუსიკალურ საქაულს. ლექსი — „პირველი დღე სკოლაში“, „თ“-სა და „მ“-ს ასეთ ალიტერაციას შეიცავს: „თამაზი, თამარ, თემური“, „მერი, მირზა და მარიამ“.

მაგრამ ლადო ასათიანი არ აპირებდა დარჩენილყო მართოდენ ქართული კლასიკური პოეტის ტყუობაში. იცოდა, რომ პოეზია ისევე ემორჩილება განვითარებისა და სახესხვაობის კანონზომიერებას, როგორც ადამიანური ცხოვრების ყველა სფერო. მართალია, რუსთაველის პოეტიკა იმდენად გამძლე აღმოჩნდა, რომ საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა დამოუკიდებელი თვითმყოფობა, თავისი გავლენის ორბიტაში მოაქცია შემდგომი თაობების პოეტები, მაგრამ ეს როდი გამოირიცხავდა ცდებს გადაეხვიოთ მისი გენერალური ხაზიდან. სხვა საკითხია, თუ რამდენად წარმატებული იყო ეს ლიტერატურული ექსპერიმენტები, რამდენად ამართლებდნენ თავის თავს, მაგრამ, თვით რუსთაველის კალთაში აღზრდილი პოეტები შემთხვევით როდი მიდიოდნენ განსხვავებულ გზითაც, შემთხვევით როდი

გიორგი ჯიბლაძე
ლადო ასათიანის დღეები და ლექსები

ცდობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ პოეტისათვის დაეპირისპირებინათ ან შეეგუებინათ ის ახალი, რომლის შემქმნელებადაც იწოდებოდნენ. საყმარისია დავასახელოთ თეიმურაზ პირველის, არჩილის, თეიმურაზ მეორისა და გურამიშვილის მავალითები. ბესიკმა სულ სხვა პოეტია შექმნა და მისი ლირიკული ლექსები ისევე ახალი იყო, როგორც ნორჩი ყლორტები სრულწლოვან აღვანდრებზე.

ჩვენმა თავისებურად მიმზიდველმა მეცხრამეტე საუკუნემ, რომანტიკული სულითა და შთაგონებული რეალისტური ხედვით ვაციკროვნებულმა, ბევრი ახალი მოიტანა ქართულ პოეტიაშიც, რაკი ფორმას მეტაფიზიკური გარისი მოაშორა და შინაგანი სიმდიდრე მიუმატა. მას ძველი ფორმები არ დაუშლია; არც აუფეთქებია, მაგრამ ახალი ელვარება მისცა, როცა ეროვნულ გრძნობასთან ერთად, ლექსში წინ წამოსწია სოციალური მოტივი, ფილოსოფიური სიღრმე, მასშასადამე, პასუხი ვასცა თავის დროს როგორც რაფელესის საუკუნეს. პარალელურად შემოიჭრა ხალხური შემოქმედების ძლიერი ნაკადი, რაც ასე დამახასიათებელი იყო ჯერ კიდევ გურამიშვილის პოეზიისათვის. მეცხრამეტე საუკუნის პოეტია, კალედოსკოპური სიჭრელის მიუხედავად, მანც ერთგულებას იჩენდა კლასიკურისადმი, ხოლო ამ ერთგულებაში ახერხებდა ორიგინალური ყოფილყო. ეს გზა ვაგრძელდა მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე, როცა ქართველმა სიმბოლისტებმა, ფრანგულის წაბაძვით და მათვე უკვე ტრადიციულად ქცეული მავალითის საფუძველზე სრულიად ახალი ლექსი შექმნეს. აღარაფერს ვამბობთ 30-იან წლებზე, იმ პოეტის შესახებ, რომელსაც H_2SO_4 -ის პოეტურ ფირმაში რუსული ფუტურისმის თარგით აშენებდნენ ქართული მემარცხენეები. მათ სცადეს არამართო დაშლა, ქართული კლასიკური პოეტის აფეთქებაც კი, და იქამდე მივიდნენ, რომ ლექსს ყველაფერი წაართვეს, დაეტოვეს მხოლოდ ფრაგმენტული ვერბალობა.

ამ საკითხებზე ჩვენ მაშინ ლექციებს ვკითხულობდით, მოგვყავდა დიდძალი ფაქტიური მასალა, როგორც კლასიკური, ისე ახალი და უახლესი მწერლობიდან. სავანს ეწოდებოდა ლიტერატურის მეთოდოლოგია, და ძალიან კარგად ვგახსოვს, თუ რა გრატაციული იყო ლადო ასათიანი ქართული პოეტის როგორც ისტორიით, ისე თეორიით, რა ხარბად ეწაფებოდა მეთოდოლოგიურ ცოდნას, როგორ უყვარდა ეს სავანი. შემიძლია დანამდევილებით ვთქვა, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიას, მე-12 საუკუნიდან მოყოლებული, რუსთაველის შემდეგ, ის დიდი მონდომებით სწავლობდა, კარგად იცოდა რომანტიზმი, რეალიზმი, მაგრამ ნაკლებად ეწყობოდა ხალხისნებს.

მათი შემოქმედების შედარებით დაბალი მხატვრულობის გამო. სიმბოლისმის პოეტისადან ზოგიერთი რამ მოსწონდა, ფუტურისტებთან სულ არაფერი, მაგრამ იმასაც წყველადავთ, რომ ქართული ცისფერყანწილების შემოქმედებისადმი პატივისცემამ ყველაზე ძლიერი გამოხატულება ნიკო ფიროსმანიშვილის ფერწერული ტილოების სიყვარულში ჰპოვა. ქართველმა სიმბოლისტებმა ფიროსმანი არამართო შენიშნეს, ისევე აღმოაჩინეს, როგორც კოლუმბმა ამერიკა. მათ განადიდეს უხვად თეთმყოფი ტალანტი, საკვირველი გენია, რომელიც ტრავიკულად გაჰქრა, ჯერ კიდევ ხანდაზმული, და შეტყმნეს მისი კულტი. თუ სიმბოლისტების პოეტიადან ლადო ასათიანი მხოლოდ მცირე რაგმე იზიარებდა, ფიროსმანიშვილისადმი სიყვარულში ის არა თუ ჩამორჩებოდა მათ, მგონი ეჯიბრებოდა კიდევ. სხვანაირად ვერ აგხსნით ლადო ასათიანის ლექსებს ფიროსმანზე. ამ ლექსებში ის რჩება თავისი პოეტური მეტრის ერთგული, წერს მთელი გულით, უშუალოდ ამღერებელი და ასევე უშუალოდ ამაღლებელი სიყვარულის ტახტრევანზე. სიმღერა მისი ტრავიკულ შტრიხებში შემოქმედებითი ცეცხლით გამოწვეული სიხარულია და სიციცხლის გამარჯვება უსახელო სიკვდილის ბნელი ძალების წინააღმდეგ. ეს იყო ფიროსმანის უკვდავება, მაგრამ ეს იყო თეი თეი ლადო ასათიანის გამარჯვება!

X

მძიმედ ავადმყოფმა ვაცმა თავისი ხანმოკლე პოეტური სიციცხლის მანძილზე, მშვენიერი ლექსების გარდა, მოასწრო სამი მცირე დოქტოლის პოემაე შექმნა. ყველაზე ადრე დაწერილია „კოლიბია“ (1939 წელს), ხოლო ორი უკანასკელი — სიკვდილთან უთანასწორო ბრძოლის დღეებში, ერთს ეწოდება „ახსინდა“, მეორეს „ბახიანის ბრძოლა“. ორივეს თარიღად მიწერილი აქვს 1942 წელი, როცა მეორე მსოფლიო ომის თემაზე დაწერილი ლექსების გარდა, პატრიოტულ-გმირული სულით აღსავსე, წარსულის სურათებს აციცხლებდა ფრანტზე წასული თანამემამულეების გასამხნეველად. და თუ „კოლიბია“ მთლიანად სოციალისტური მშენებლობის პერიოდის გამოხატავს, არ იფიქროთ იგი ჰვადდეს იმ ტრავარეტული ლექსების კრებულებს, რომლებშიაც საკუთრივ პოეტური ძალიან ცრტა „კოლიბია“, მიუხედავად ავტორის სიახალგაზრდავისა, ისეთი მხატვრული ნაწარმოებია, რომელშიაც ძირითადი იდეა ბოლომდე ადეკვატურ პოეტურ ფორმას პოულობს, და გმირი პერსონაფიკირებულია მასში, როგორც გონიერული საწყისი. ნურც იმას დავიფიწყებთ, რომ თემის სირთულე თავისთავად აყენებდა ქაბუე პოეტს დიდი სიმწრეების წინაშე. მავ-



რამ, თუ როგორ დასძლია ეს წინააღმდეგობანი ავტორმა, შეიძლება იმითაც დადასტურდეს, რაც ჩვენ დღეს კოლხიდის თემაზე გვაქვს ქართულ პოეზიაში. არ მეგულება მეორე ნაწარმოები, რომელშიაც ახალი კოლხიდა უკეთესად იყოს დანახული პოეტურად, ვიდრე ლალო ასათიანის პოემა. უაღრესად პროზაულ მასალას, რომელსაც არაერთი უეფექტოდ შეეკიდა, „კოლხიდის“ ავტორმა ისეთი მხატვრული სამკაულები მოუწახა, რომ ლექსი ნამდვილად ხელოვნების სიმაღლეზე აიყვანა. მან თვითონვე უწოლა „**კოლხიდიანს გმირობისა და ბრძოლის პოემა**“¹. განაღდა ახალი ადამიანი, ვინც ძველი **ფაუსტის**გვით აუშხედრდა ჭიკაბისა და ლაქაშებს. ამიტომ ბუნებრივია, როცა პოემის პირველივე სტრიქონებში **ადამიანი** ეღერს, როგორც შთავონება, რაკი ჩვენს პოეტს ღრმად შეუღვნია, რომ

ადამიანი ბრძენი და გმირი
მარად ანთებდა მგოსნებს — პოეტებს,
ადამიანზე წერდა შექსპირი,
ადამიანზე წერდა გოეთე.

და პროლოგშივე ქებათა-ქება ეძღვნება ადამიანის განმადიდებელ ადამიანებს. პოეტი შეჰხარის მათ, თავის წინამორბედებსა და თანამედროვეებს, რომლებსაც მართალი კაცური სიმღერა უთქვამთ, სიცოცხლის ფასი მიუღწიათ, ხალხისათვის საჭირო ლექსი მიუციათ სულის საზრდოთ, ჰქონიათ მგოსნის სინიდისი და მიწაზე კვალი დატოვებით **ღიწიანობის** ნაფეხურების მსგავსად. ნუ გაგვიკვირდება, თუ ლალო ასათიანი პარალელურად აძაგებს უნიკოებს, ნაადრევი თოვლივით სუსტ პოეტებს, ერთხელაც რომ არ განუცლიათ **„ღივი ღელვა და აბობოქრება“**. მაგრამ ნუ გაუვევებით პერიფრაზას. თვით ლალო ასათიანი უკეთესად გვეტყვის:

ნეტავი იმას, ვინც ღია გულით
კაცსა კაცური უთხრა სიმღერა;
ნეტავი იმას, ვისი ჩონგურის
დღესაც გაისმის სიმუხის ეღერა!
ნეტავი იმას, ვინც მრავალ ბჭობით
გაიგო კაცის სიცოცხლის ფეიქვა,
მაგრამ ვაი მას, ვინც უნიკობით
ერთი მაგარი სიმღერაც ვერ სთქვა.
ვაი მას, ვინაც ისე სუსტია,
რომ ნაადრევი თოვლივით ქრება;
ვისაც ერთხელაც არ განუცლია
ღივი ღელვა და აბობოქრება;
ნეტავი იმას, ვინაც მოშპარა
ლექსის ვიქანი და ხალხს აწოვა,
მაგრამ, ვაი მას, ვინც ისე ვაქრა,
რომ მკორე კვალაც კი ვერ დატოვა!
ნეტავი იმას, ვისაც ჰქონია
კაცის შუბლი და მგოსნის სინიდისი,
ვისაც მფარველად მუხა ჰყოლია —

უკვდავი იყოს სახელი მისი!
ვინაც ყველაფერს ჩანგი არჩია, **ერკონეშელი**
არ შეუღვა ყველა მგზავრები **მეზღიქონეშა**
და რომლის კვალიც მიწას აჩნია,
ვით ნაფეხური ღიწიანობების.

ეს არის პოეტის credo. შეიძლება მიმოითონ ზოგიერთი სტრიქონის გულშეგრძობაზე პოემაში, ისიც ახალგაზრდა კაცისა, მაგრამ ვერაფერს ცუდს ვერ მტყუიან კოლხიდის ლეგენდაზე, რომელიც პოეტმა თვითონვე შექმნა **სახენათელი მოხუცის*** ნაამბობით, რომელშიაც პონტოს ზღვის ადიდება და კოლხიდის ჭიკაბის გაჩენა ტანჯული ხალხის ცრემლებით არის შეპირობებული, ხოლო, როცა ეს ცრემლი შრება, იმვე ხალხის ნებით მთაფრდება კოლხიდიანის ოდისეა. მერე როგორ პოეტურად არის აღწერილი ძველი კოლხიდის ლაშქ, უღუნეთი, ცივებით დასიგებული, გაყვირებული ავადმყოფები, ხალხის, ჭკრიკობლების ჭირ-ვარამი, შემდეგ კი ახალი კოლხიდის გაზაფხული, მისი აყვავილება, სიხარულისა და ბედნიერების ტრიუმფი.

და რა ბუნებრივად მიმართავს პოეტი თავის მეთხვედს, როგორ ზრუნავს მისთვის — ეპიკური ამბების თხრობით არ დაამძიმოს, ეკითხება კიდევ: „ხომ არ შეწყუხდა მკითხველი ჩემი ბესიკის ბაღში ნასეირნებო?“ მგონი სავსებით ვასაგებია, თუ რას გულისხმობს ან რატომ ამბობს ყოველივე ამას „კოლხიდის“ ავტორი. თუმცა ეს მოკმალება, მსუბუქი ირონიის გამომატველი, მას არც ჭირდება. პოემაში ბევრია **მალაპოეტური, ღირიკული პასუხები, ალეგორიები, ოსტატური რითმებით გამართული მეტაფორები და შედარებები**. დააკვირდით **ფაზისისადმი** მიმართვას: „შე შენს ხმაურში სიცოცხლე ეეძებ და სიჩუმეშიც შრიალი მესმისო“. ან კიდევ:

ო... მე არ მინდა სხვა საჩქარო
და არც ჰაფიზის ვნატრულობ ვარდნარს,
მე პოეტი ვარ ფიციხი და ჩქარა
და მიყვარს ციდან ვარსკვლავთა ვარდნა.

ნამდვილად მალაპოეტური სტრიქონებია, როგორც შედარება: **„მზე იუფრება ბავშვის თვლებით და დედამიწას უგზავნის ალერსს“**. ყველა ასე მხატვრულად ვერ იტყვიდა მთლიან კონტექსტში ლოგიკურად გამართულ აზრს (**მზე — ბავშვი — ალერსი**).

* ეს „სახენათელი მოხუცი“ ილიას ანრდით არის შთავონებული და მის ერთგვარ რემინისცენციას წარმოადგენს, თუმცა ავტორს არ უცლია მისი კანერცობა.

გიორგი ჯიბლაძე
ლ'ადო ასათიანის დღეები და ლექსები



პოემის მეკვეთრად გამოხატული ეპიკური ხასიათის მიუხედავად, იგი საესეა ლირიკული პასაჟები. ყველას ამოწერა მართლა შეუძლებელია. მაგრამ ერთის მოტანიც საკმარისია თვითული მითვანის საილუსტრაციოდ. იქ, სადაც განახლებული კოლხიდის მიწაზე ყვავილთა დედოფალს — ახლადამოსულ ვარდს უმღერის, ლადო ასათიანი მისთვის დამახასიათებელ ლირიკულ პასაჟს ურთავს:

ვარდი მეც მიყვარს გულის დამწველად,
სამშობლო მიწა, სამშობლო ცაო,
და, როცა მოვკვდე, იმას ვთხოვ ყველას, —
კოლხურ ვარდებში დამასაფლავონ!

პოემა „კოლხიდაში“ ბევრი ისეთი კოლორიტული აღვლია, რომ ლიტერატურის ქრესტომატიებსაც დაამწვენებს თავისი გამწყარული ქართულით.

მეორე პოემას „ასპინძა“ ეწოდება, როგორც უკვე მოვისხენით, და მკითხველი ალბად უმალ მიხვდა, რომ ამ ნაწარმოების თემა აღებულია 1770 წლის 20 აპრილს ერეკლე მეორის ბრწყინვალე გამარჯვება ოსმალებზე ასპინძაში. ფორმის მხრივ შეიძლება მისთვის ჰეროიკული ლირიკულ-რომანტიკული გრძელ ლექსი გვეწოდებინა და არა პოემა, მაგრამ ამ საკითხს იმდენი მნიშვნელობა როდი აქვს, რამდენიც თვით ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას. „ასპინძა“ სასევა ასათიანური ღირსებებით, პირველყოფისა გვუსლისნობთ ქართულის მარჯვედ ხმარებას, მოულოდნელ, ძლიერ შედარებებსა და ლირიკულ პასაჟებს. ნაწარმოებში ოთხი გმირია — ქართველთა ლაშქარი, საომრად გამზადებული, ერეკლე მეფე, ჯარის მხნე სარდალი, ბორჩალოში ხელია და აღაბამა, რომლებმაც ასპინძის ხიდის საყრდენები ჩახერხეს, რათა მტერი მდინარეში ჩახერხოთ. გადამწყვეტ მომენტში მართლაც ასე მოხდა. ოსმალთა დიდი ნაწილი აბოზქრებულ წყალში დაიღუპა. ერეკლემ თავი წაათლა კობტა ბელადს, მუსიკაგალო მტერს.

ამ ნამდვილად ისტორიულ ფაქტს გადმოგვცემს პოეტი და მისი ნაწარმოების ერთ-ერთი დიდი ღირსება დასაწყისშივე თვით ქართული ლაშქრის განდიდებაშია. ერეკლეს გვერდით ნაჩვენებია მეომართა პატრიოტული თავდადება. აი, „ნაომარ ქართველ მხედრობას ტრიალ მინდორში“ სძინავს, და პოეტი, მათი გმირული სახე რომ გვიჩვენოს, მიმართავს ჩვენს პოეზიაში სრულიად უცნობ პასაჟს: „სუნთქვა მძინარე რაინდთა აბიზინებდა ბალახსა“. ეს მართლაც გმირული, რაინდული სუნთქვაა, ხოლო ლირიკული პასაჟი — მთლიანად ასათიანურია. ასეთ რამ არავის უთქვამს, როგორც არავისაგან აცემენია ომის წინ სამარისებური მყუდროების ამგვარი წარმოსახვა: „წუთით

გატრუნულ ქარიშხალს ცხენის ფაფარში ეძინაო“.

მარტო ამ ორი მაღალი პოეტური სტილის ნისათვის ღირდა დაწერილიყო ეს პატარა, მინიატურული პოემა, საესე პატრიოტიზმითა და რომანტიკული ჰეროიკით. როგორც ყველგან, ისე აქაც ლადო ასათიანი უაღრესად სადა, უშუალო, თავის სტიქიაში ლაღად გაშლილ ჩანს, ამაღლებული სულითა და მოწეიზარ შემართებით.

მესამე პოემას — „ბასიანის ბრძოლა“ მკითხველი მიჰყავს მეცამეტე საუკუნის გარკვეულ წელს, როცა თურქული სამეფოს — რუმის სულტანმა რუჟანდინმა, 1205 წელს მუქარით საესე თავხედური წერილი გამოუგზავნა თამარ მეფეს და სრული მორჩილება მოსთხოვა. ისტორიამ შემოგვიჩანა უტყუარი ცნობები, თუ რა მოახსენა რუჟანდინის მოციქულმა დიდ თამარს: „უეტუე მეფემან თქუნდინა დავითეს სჯული, იყარას სულტანმან ცოლად; და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარკად სულტნისა“.

როცა ქართველთა მეფემ თამარმა, თავის დიდებულებთან ერთად საოსმინა უცხო ელჩის მიერ წაიხილები სოზილარი ფირმანი, მოხდა შემდეგი ფაქტი: „ვითარ ამბარტანად იტყოდა სიტყუათა ამათ, — წერს ანონიმი ავტორი ისტორიული თხზულებისა — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ — წარმოდგა ზაქარია ამირსპასალარი და უხეთქა ხელითა ბერსა, და ვითარცა მკუდარი დავიდა იღვა“. შემდეგ რუმის სულტანის ელჩი უკან გააბრუნეს, ქართველთა ლაშქარი თავს დაესხა მტერს, რომელიც ბასიანში ისე გაანადგურა, რომ თვით რუჟანდინი ტყვეობას ძლივს გადაურჩა.

ან ნამდვილად ისტორიულ მასალაზე გამართავთავის პოემა ავადმყოფმა, სიკვდილთან შექიდებულმა ახალგაზრდა პოეტმა, წინ რომ ერთი წლის სიცოცხლეც ძლივს ჰქონდა დარჩენილი. გამართა და მერე როგორ! დასრულებული ოსტატის ხელით, სულმოთუთქველად, კრიალოსანივით ააგო მთელი თნრობა მაღალ პოეტურ სახეებში. უხვად გამოიყენა ალეგორიები, ჰიპერბოლები, მეტაფორები, ზედასვლები, ალიტერაციები, მიმართა ჰეროიკულ შემახილებსა და ლირიკულ პასაჟებს; როცა ერთ სიტყვაში ვერ დაეცია, თვითონვე მოჰქმნა ისეთი ორიგინალური კომპოზიტიები, როგორცაა, მაგალითად, „ნათავთავარი“, „ტვირთავრებული“, „ფიცვრცხლნაკაში“, „ფრთებგანათებული“, „ჯვარისმტვირთველი“, „გულმარინიანი“, „გულმკერდეგაზურბულიანი“, „მარჯვენა წარბაჩივლიანი“, „გაფერნაირდენი“, „შიშვეუვალი“. ყველა ეს კომპოზიტი ბუნებრივად ჩასვა პოეტურ გამოთქმაში, რათა მიეღწია სტარქონის ექსპრესიულობისა და მჩქეფარე დინე-

ბისათვის. მიაღწია კიდევ! წაიკითხეთ მთელი პოემა, გაეცანით მას დაკვირვებით, თქვენ იქ ბევრ საგულისხმოს ნახავთ აზრის, გრძნობის, პატრიოტული შემართების, ორიგინალურობის, საერთოდ, მშვენიერთან ორგანიულად შერწყმული ამაღლებული სულის დამადასტურებელს. პოემა „ბასიანის ბრძოლა“ ქართული ლიტერატურის ამ ეპოქაში ისეთივე მარგალიტია, როგორც ისტორიული პოემები ჩვენი ყველა-

ზე გამოჩენილი პოეტებისა; შედეგია, რომელსაც სიციცხლის ზამთარი არასოდეს და უღებდა, როგორც ქვემარტად დიდი შემოქმედებითი გრიგალის ამოვარდნას. ნახეთ თუნდაც ის ადგილი, სადაც პოეტი ჩვენს მიერ ზემოთ პროზით გადმოცემულ ფაქტს — მხარგრძელის მიერ რუენადინის ელჩისათვის სილის გაწვევას, რა უშუალოდ, პირდაპირ ეფერებოდა გადმოცემას:

სისხლი მოაწვა მხარგრძელსა, გული ქარ-ცეცხლით აევსო, ერთი ხმამალა შეჰკვივლა: — რა სიტყვით სწამლავს ჰაერსო! — და პატრონივით ენაბილწს სილა გააწნა ისეთი, გონდაკარგული დაასკდა იატაკს ეშმაკისერით.

ნახეთ მეორე სურათიც, სადაც პოეტი აგვიწერს რუენადინის ელჩის უკან დაბრუნებას — ქართველთა საპასუხო გრავილთა და ძვირფასი საჩუქრებით. ისტორიაშიც ასეა ნათქვამი, მაგრამ იქ არ არის ის, რაც პოეტმა

მიუმატა სურათს ბოლოს სტრიქონში, როგორც პოეტური ირონია, თუმცა ეს ჩანართი აბსოლუტურად სწორი, მართალი და კოლორიტულია:

მეფე მსახურებს ეტყოდა: სასწრაფოდ დესპანს უხმეთო. შემოიყვანეს დიღეგში ღამენათევი, უღმერთო. უცხო სამოსით შემოსეს შავს მტვერში ამოგანგლილი და სიამაყით გადასცეს მას საპასუხო გრავილი. გულუხვად დაასაჩუქრეს, სხვას ვის არგუნეს იმდენი, ფეხმარდი ღაფშა მიართვეს, წაიღდა დიდის დიდებით. მიჰქონდა ოქრო და ვერცხლი, თვლები და მარგალიტები და ყბაზე დამლა — მხარგრძელის კელაპტრის სიმსხო თითები.

ასათიანური ირონია!

ნახეთ შეერთება მეტაფორისა და ჰიპერბოლისა, იქ, სადაც აღწერილია დესპანის ძირს

დაცემის შემდეგ თამარის ამირსპასალარის სომარი განწყობილება:

ომი მოუნდა მხარგრძელსა, ჯაჭვის პერანგის მორგება, ვაჟკაცსა სახელიანსა ისე არ დაედგომება. წინ ჩაუქროლეს განვილიშმა, გაციებულმა ომებმა... ეზოში ზარბაზნებით დაიღრიალეს ლომებმა.

ნახეთ ბატალური სცენების აღწერა — დავით სოსლანის, ზაქარია მხარგრძელის, შალვა და ივანე ახალციხელების, გაგვილისა და თორღელის, გრიგოლ ასათიძისა და ივანე ციხის-

ჯვარელის რაინდული შემართება! ეს ადგილები რომ ვაკაცნოთ, პოემის ნახევარი მაინც უნდა ამოვწერო. დაკმაყოფილებები მარტო ერთი ნაწყვეტის მოტანით:

ომი გაგრძელდა...
გამნელდა...

ჭენებით განახლები, წინმძროლი სპასალარ — სპასპეტთა ყველას მოუტყეს ცხენები. დაიქვეითეს მაშინვე სხვა დანარჩენმა ვაჟებმა და სარდლებს გვერდში დაუდგნენ რიგების გასაყავებლად. — ცხენოსანებო, ისმინეთ, ეს მე გიბრძანებთ თვითფულს, მარცხენა მხრისკენ მობრუნდით, უტიეთ დაქვეითებულთ! — ბრძანა სოსლანმა და ჯარი მოატრიალა მხარმარცხნივ, — —ქვეითონო, მარჯვნივ სასწრაფოდ, თორემ უომრად დაემარცხდით! — ხმა მიავლინა მხარგრძელმა არეც-დარეულ ქვეითთა, ჯარი ერთ ხაზზე გაეწყო და ომი ისევ შენევთა, ისევ შეიქნა მტრის თავზე ფხიანი ხმლების ქახება, შეშინებულმა სულთანმა იკადრა უკან დახევა. ისევ მიჰმართეს სარდლებმა მრავალჯის ნაცად ჯეგარდნებს და ნუქარდინის ლაშქარში ისევ გულდაგულ შეეარდნენ.

გასცა მტრის ჯარის სიმრულე, მტრის ბუქი დაღა სვეტებად,
 გაუგონარი რამ იყო უნასკენელი შეტევი!
 ბევრ ვაჟაკს გადაეფარა წყვედიანი შავი სამარის,
 სირტხელნაპამმა სულთანმა მოკურცხლა თავის ამალით.
 უკან დაედუნენ ქართველნი კაფვით, ხანჭლების კისკისით:
 — მეორედ აღარ გაბედოთ შემოჭრა ქართლის ჭიშკარში!



ნახეთ პოემის ფინალი, სადაც გამარჯვება განწირული ბრძოლით სამშობლოს დიდება
 აპოთეოზით დადგომა თავზე ბედნიერ სა- განამტკიცეს:

მალემსობოლიო! —

მხარგრძელმა მხედრებმა მხარგრძელს შესძახეს

და ერთი ჩვეულთაგანი

გაქანდა ოძრახსაკენ.

ჯარის წინ სახელოვანი სარდლობაც გამომზინადა,
 გახსნეს შეკრული თვალ-წარბი, ფარებს დაეყრდნენ ზვიადად.

წინ გადაშლოდათ საკუთარ მარჯვენით ნაპარტახევი,

მზეზე ელავდნენ ლომკაცთა ფოლადის ჩაბალახები.

უცებ სად იყო, სად არა... გაშეშდნენ გაკვირვებითა:

არწივთა გუნდი აფრინდა არაქსის ნაპირებიდან.

ჯერ გაჰკრეს, გაინეარდეს, მზის შუქში გაფერნაირდნენ,

და მერე მსხვილი ჭანგებით მხრებზე დაასხდნენ რაინდებს.

ამირანივით მოჩანდა მუხარადიან ტოლებში

ძლიერად მბრძოლი მებრძოლი, ბატონ-პატრონი ლორესი.

თამარის თანამეცხედრე, თვით მეფე გვირგვინოსანი,

ზერდაგზე იჭდა ბექბრტყელი, შიშშელუვალი სოსლანი,

და გაეშალა ლაქვარდში ისე, ვით ლომის ფაფარი,

გორგასლიანი ალაში — ვაჟაკთა თავშესაფარი.

ჯარი ძველ ლაშქრულს მღეროდა, ენანებოდა ტყე-ველი

და საქართველო იღგა ვით გოდოლი შეურყეველი!

ასეთია ის სამი პოემა, რომლებიც ჩვენ

მიმოვიხილეთ.

XI.

ამბობენ: ზოგიერთი პოეტი ისტორიაში ერ-
 თი ლექსითაც დარჩაო! ფრანგებს **ლეკონდ დე**
ლილი ჰყავთ ასეთი, ქართველებს მამია **გუ-**
რიელი — „ადამიანის“ მომღერალი და დღბუ
მეგრელი, რომელმაც ჩვენთვის დაუვიწყარი
 ლექსი — „**მე პატარა ქართველი ვარ**“ დაგ-
 ვიწერა. არც ერთი მათგანი დიდი პოეტი არ
 არის, მაგრამ სახელი დაუვიწყარი აქვთ. ეტ-
 ყობა ნიჭში ძუნწი ბუნება ამ რანგის პოე-
 ტებისათვის ერთ კარგ ლექსზე მეტს ვერ იმე-
 ტებს, თუმცა მისი ავტორი ისე მალე არ გამ-
 ყვავს ცხოვრებიდან, როგორც ხშირად ჰაბუ-
 კობაშივე სიცოცხლეს ართმევს უნიჭიერეს
 პოეტებს.

ხანმოკლე ასაკის მიუხედავად, ლადო ასათი-
 ანმა მოასწრო დაეწერა თხუთმეტი ისეთი ლექ-
 სი, რომ თვითველი მათგანით შეეძლო დაუ-
 ვიწყარი ყოფილიყო. ამ ლექსებს ეწოდება:
 „ჩემი სამშობლო“, „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“,
 „სხალალობა“, „საქართველოში“, „ა. ე.“, „არ
 ვიცი ასე რამ შემაყვარა“, „ოქვენ გუბუნებით,

ძმებო მგოსნებო“, „ქართული ენა“, „კრწანი-
 სის ყაყარობი“, „საქართველო იყო მათი სა-
 ოცნებო სახელი“, „გაიფიქრებ და გავიხარ-
 დება“, „მანანა ორბელიანის სურათზე“, „კე-
 რიკო ანჯაფარიძეს“, „უცნობი პოეტის რვე-
 ულიდან“, „სსსაფლო“. თუ ამ ლექსებს ცალ-
 კე გამოვყოფთ, არა იმიტომ, რომ დანარჩენებ-
 ზე რაიმე აუგის თქმა გვინდოდეს, არა, მაგ-
 რამ ეს ის ლექსებია, რომლებშიაც ლადო
 ასათიანის ტალანტი **სრულად გაიშალა** და
 მისმა პოეტურმა სულმა **ადექვატური გამო-**
ხატულება მოასწრო. 1956 წლის კრებულში
 111 ლექსია შეტანილი და თვითველი მათგა-
 ნი ავტორის დიდი ნიჭის დამადასტურებელია.
 ეს ნიჭი ანათებს მის სამ პოემასაც, რომლებიც
 ჩვენ უკვე განვიხილეთ. იმ თხუთმეტ ლექსს
 კი, ჩვენ რომ ცალკე გამოვყავით, ყველა დი-
 დი პოეტი სიხარულით მოაწერდა ხელს.

მაგრამ ჩვენს მიერ ზემოდახილული ნა-
 წარმოებების გარდა, პოეტმა ზოგი სხვაეც დაგ-
 ვიტოვა. კერძოდ, ლადო ასათიანმა გარკვეული
 ამაგი დასდო **საბავშვო მწერლობასაც**. ბავშ-
 ვებს მშვენიერი ლექსები მიუძღვნა — აზრია-
 ნი, კეთილშობილი მორალით სავსე, მათდამა
 უნახესი სიყვარულით გამთბარი, უშუალო და
 გულწრფელი. **ბავშვებს კი არაფერი ისე არ**



უყვართ, როგორც გულწრფელობა და უშუალოა. ყველაფერი ეს ძალიან ნათლად ჩანს ლექსებში: „ჩვენ კვლავ მოვედი“, „მზიას ბანაკში მიუხარია“, „ერთის თავგადასავალი“, „შემოდგომა“, „საუბარი წითელ ყელსახვევზე“, „პირველი დღე სკოლაში“, „ნორჩი ფიზკულტურელების სიმღერა“, „გაზაფხულა“, „ღალის მამალი“. ბავშვები ამ ლექსებში ისე ეამოიყურებიან, როგორც ქორთა ყვავილები ნორჩ ბაღში. მაგრამ; თუ აქა-იქ დამხრალი ყვავილიც გვხვდება, მეზაღვ ზრუნავს მისი გახარებისათვის, ასეა „ერთის თავგადასავალიც“. უქნარა და აბეზარა, ყოყონა და ცუდლუბი, მარტოოდენ ანცობით გატაცებული, სკოლის, მისწავლებლების, მშობლებისა და მეგობრების შთაგონებით ბეკითად იწყებს სწავლას, უკვე სამ ხუთიანს ღებულობს, და ლექსიც მთავრდება საესტეტიზმთ გამართლებული სასიყვობით:

ყველას სჯერა — მასწავლებელს,
მშობლებს, ამის დამწერ მგოსანს,
რომ სულ მალე ჩვენს პატარას
დაუქვამებთ ფრიადოსანს!

ყველა ამ ლექსში, საკუთრივ პედაგოგიკური მიდგომის გარდა, ავტორის მიზანია პატრიოტული გრძნობის გაღვივება მოსწავლე ახალგაზრდობაში, იმ შეგნების გაძლიერება, რომ სამშობლოს დიდებას ღირსეული შეილები ამრავლებენ.

მაგრამ ამ სენტენციების პარალელურად, ავტორი ბავშვებისათვის ადვილად მისახვედრ პირობებსაც ორიგინალურად გამოთქვამდა, მაგალითად, „ღალის მამალი“, სადაც ქარხნის საყვირი ახშობს ლალის მამლის ყიციციას, ის კი

სალამი და გამარჯობა ქუთაისის ქუჩის პალმებს,
სალამი და გამარჯობა: გოგის, პეტრეს, პლატონს, პარმენს...

პარმენს სთხოვე, მამატიოს, რომ იმ მწკრივეში ბოლოს მოხედა.
ეს, ძვირფასო, მეგობარო, რითმისათვის მარცხად მოხდა.
ელიოზს კი... ვერ მოეაწყვე, სულ რითმების გაღმა რჩება,
გთხოვ, გადასცე მას ულექსოდ სალამი და გამარჯვება!..

მითხარ, გოგიმ ჩემი ლექსი თუ გადასცა მემანქანეს?
თორემ მოვალ აგვისტოში, ძმაო ნიკა, მე მაქანე,
და ვუგზავნი გოგის „იმ“ ლექსს, წაიკითხეთ, ჩემო ნიკო,
ბასრ სატყუარს დაფიქრებ და „მტრისაკენ“ შევაქანებ.
თუ რაიმე ეკუთვნოდეს, თუ რაიმეს ღირსი იყო...“

მართალია, ელიოზი „რითმების გაღმა რჩება“ ამ ლექსში, მაგრამ ერთი წლის შემდეგ არჩევნების დროს, როცა იგი ჩვენგან მოულოდნელად მესტიაში გაფრინდა (იმ დროს ეს რაინდობა იყო) და ტელეფონით მასალა გადმოგვიცა, რითაც ყველა აღტაცებაში მოგვიყვანა, ლადოს უმალ დაუწერია კალამბურის მაგარი ოთხი სტროფი:

ასე ამბობს: მე ყიციციას ვერაინ ვერ დამაფიქვებს,
ყოველ დღით — სხვებს თუ არა ლალის მაინც ვავალიძებ!

ლადოს უყვარდა გონებამახვილობა, მსუბუქი იუმორი, სატირა, ამ მხრივაც ორიგინალური იყო.

ახლა ცრემლები მერევა, როცა ვკითხულობ ბარდანალადან 1936 წლის 23 ივლისს გამოგზავნილ წერილს ნიკა აგიაშვილისადმი. ბარათი ლექსად არის დაწერილი, მთლიანად მოტანილია წიგნში — „უბუდეები დარჩენ მარად“, სადაც ჩემთან ერთად იხსენიებიან საერთო მეგობრები, რომლებსაც ლადო უყვარდათ და შესაძლებელს აცეთებდნენ მისი ნიჭისათვის. ამ ლექს-ბარათში მთელი ლადო ასათინია თავისი სილალით, უშუალოდ, იუმორითა და პირველყოფისა ტალანტით. მივიჩნის, რატომ არ შეაქვთ ეს და ანალოგიური სხვა ლექსები მის კრებულეებში. პირადი წერილები? თარგმანები? მგონი დადგა დრო, როცა პოეტის მთელი შემეხიდრეობა, რაც გვაქვს და რაც მისი მეგობრებში პირად არქივებში ინახება, ერთად გამოიცენ, როგორც თხზულებათა სრული კრებული.

რომ ვამბობ — ცრემლი მერევა-თქო, იმიტომ, რომ ლექსში ისე კოლორიტულად არის წარმოსახული 1936 წელი, ჩვენი იმდროინდელი რედაქცია, მისი თანამშრომლები, ყველაფერი, რაც მაშინ გვახასიათებდა, თითქმის მხოლოდ ერთმა დღემ გაიარა, თუმცა მოხსენიებულთაგან ბევრი დღიხანია აღარა გვყავს. ლადო იწერებოდა:

ხომ ყოფილა ელიოზი
გენოსზე ვენიოსი?
წამს გაფრინდა მესტიაში,
მუნ საქმე ჰქნა ბლესტიაში.

ბიორბი ჯიზლაძე
ლალო ასათიანის დღეები და ლექსები

ეს სახუმარო ლექსი მოტანილი აქვს ნიკა აგიაშვილს და ვინ იცის რამდენია კიდევ ასეთი ნიჭიერი შემოქმედის მემკვიდრეობიდან კი არაფერი არ უნდა დაიკარგოს.

ლადო ასათიანს არც ერთი სუსტი ლექსი არა აქვსო, — თქვა მისმა უანგარო მეგობარმა მიხეილ ალაფიძემ, — და ჩვენ მხოლოდ იმის დამატება შეგვიძლია, რომ, დიახ, არა აქვს, როგორც სუსტი ლექსი არა აქვს ჩვენს დიდ ოქროპირს ბარათაშვილს. ისინი ამ მხრივაც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, როგორც **პოეტური შთაგონებანი**. ამიტომ ლადო ასათიანის ლექსთა კრებულები ვერ ითმენენ **თემაკიურ** დალაგებას. **ქრონოლოგიურად** უნდა მიყვნენ ერთმანეთს მისი გამწყვდარი პოეტური ხილვანი, როგორც მარგალიტები მძივის აცმავში.

ეს კრებულები თაობიდან თაობას გადაეცე-

მიან, პოეზიის მოყვარულთ დაატეხონ. **ქართველი მკითხველის ალტაცებას უოველთვის გამოიწვევენ და უკვდავოფენ ნმ. მოეტის**. სახელს, რომელსაც ჩვენ ასე ახლოს პირადად ვიცნობდით, სულ უბრალოდ, როგორც უნიჭიერებს ლადო ასათიანს!

როცა გადაივილიან ჩვენი თაობის მღვლეარე დღეები, დასცხრებიან ვნებათა-ლელეანი და ისტორიის უღმობელ სასწორზე ყველაფერი გადაიწონება, მაშინაც ნათლად დაინახავენ, რომ ლადო ასათიანი ნამდვილად ბრწყინვალე პოეტი იყო, რომელსაც არ დასცალდა დიდი შემოქმედებით სავსე თასი ბოლომდე დაეცალა. მაგრამ რაც მოასწრო, იმითაც უკვდავი დარჩა ქართულ პოეზიაში, ვიდრე პოეტის სახელი ამ ქვეყნად განდიდებული იქნება, როგორც ოდესღაც ქნარი ეოლოსისა!



დავით ქაშივაძე

ეპიგრაფიკული XV საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან

XIV-XV სს. საქართველოს ისტორია შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. ამ პერიოდისათვის ადგილობრივი, ქართული ნარატული წყაროები თითქმის არ გვგვჩანია, ამიტომაც იძულებულნი ვართ უცხოურ (ძირითადად სპარსულ და სპარსულენოვან) წყაროთა ცნობებს დავეყრდნობ.

გვიანი ხანის (XVII-XVIII სს.) ქართული ნარატული თხზულებათა ავტორები (ფარსადან გორგიჯანიძე, ვახტანგ VI „სწავლულ კაცთა“ კომისია...) აღებული ხანის საქართველოს ისტორიის გადმოცემისას XV საუკუნის სპარსულსა და სპარსულენოვან თხზულებებს იყენებდნენ. მათ ზოგი რამ სიტყვა-სიტყვით გადმოჰქონდათ ბირველწყაროდან, ზოგი რამ კი ქართველი ავტორის ხელში იცვლებოდა. საეხებით ბუნებრივია, რომ აღებული ხანის ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის დასადგენად ყველა ხელმისაწვდომის საისტორიო წყაროს ცნობების თავმოყრა, მათი ურთიერთშეჯერება და ისე დასკვნების გამოტანა აუცილებელი საქმეა.

ჩვენი მიზანია XV საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ერთი ეპიზოდის ჭეშმარიტების დადგენა. საქმე უნება გიორგი მეფის ძმის კონსტანტინე უფლისწულისა და ივანე ათაბაგის თემურ-ლენგთან მორჩილებით მისვლას 1403 წელს საქართველოში დიდი დამპყრობლის შემოჭრის დროს.

ეს ფაქტი ასახულია ერთი მხრივ, XV-XVI სს. სპარსულსა და სპარსულენოვან (შერეფ ად-დინ ალი იეზდის, ჰაფეზ-ე აბრუს, აბდ არ-რეზაყ სამარყანდის, მირზონდის, ხონდემირის), ხოლო მეორე მხრივ, XVII-XVIII სს. ქართულ

ნარატულ თხზულებებში (ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორია“, ვახტანგ VI „სწავლულ კაცთა“ კომისიის ნაშრომი, „ახალი ქართლის ცხოვრების“ II ტექსტი). მათ მონათხრობთა შორის ის განსხვავებაა, რომ ზოგი ავტორი (შერეფ ად-დინ ალი იეზდი, მირზონდი, ხონდემირი, ვახტანგ VI „სწავლულ კაცთა“, „ახალი ქართლის ცხოვრების“ II ტექსტის ავტორი) ამ ამბავს გადმოგვცემს თემურის მიერ ბირთვიის ციხის აღების წინ (ივანე ათაბაგი და კონსტანტინე უფლისწული თემურს კოლის მინდორზე ეახლნენ), ზოგი კი (ჰაფეზ-ე აბრუს, აბდ არ-რეზაყ სამარყანდი, ფარსადან გორგიჯანიძე...) თემურის მიერ ბირთვიის ციხის აღების შემდეგ. მუინ ად-დინ ნათანზის საისტორიო ნაშრომში ათაბაგი და უფლისწული თემურის მიერ ბირთვიის ციხის აღვის დროს მის ბანაკში, მასთან დაახლოვებულ პირთა შორის ჩანან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „სწავლულ კაცთა“ კომისიის ნაშრომში და „ახალი ქართლის ცხოვრების“ II ტექსტში თემურს თავისი სურვილით ემორჩილება მხოლოდ ივანე ათაბაგი, ხოლო კონსტანტინე უფლისწული გიორგი მეფის მიერაა გავზავნილი თემურთან ძღვენით.¹

ივანე ათაბაგისა და კონსტანტინე უფლისწულის თემურ-ლენგთან მორჩილებითა და სა-

¹ ახალი ქართლის ცხოვრება, — I ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959 გვ. 334, ახალი ქართლის ცხოვრება, II ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959 გვ. 468.

წყურებით მისვლის ფაქტს უურადლება მიაქციეს მ. ბროსემ, ივ. ჭავჭავაძის შვილი, დ. გვირიტოშვილი და სხვ.?

მ. ბროსეს მიხედვით კონსტანტინეს და დავითს (გიორგი მეფის ძმებს) საიდუმლოდ უჩვენებიათ თემურისათვის ქართლის შუაგულში შემოსასვლელი გზა.3 ივ. ჭავჭავაძის თვლით, რომ კონსტანტინე და ივანე თემურისა და გიორგი მეფეს შორის დადებული ზავის პირობების აუსრულებლობის გამო გადაუდგნენ გიორგის,4 დ. გვირიტოშვილის აზრით კი, ათაბაგი და უფლისწული თემურის თარეშით იყვნენ უკმაყოფილონი და ამასი გიორგის სდებდნენ ბრალს.5 იგივე ავტორი უფლისწულისა და ათაბაგის მოქმედებას განიხილავს, როგორც შინაჯალასობრივი ბრძოლის გამოვლინების ფაქტს.6 ამ სტრატეგების ავტორის მიერ ეს საკითხი სპარსულ-სპარსულენოვანი და ქართული წყაროების საფუძველზე სპეციალურად იქნა შესწავლილი. ჩვენი აზრითაც აქ საქმე გვაქვს შინაჯალასობრივი ბრძოლის ფაქტთან.7

ყველა დასახელებული მკვლევარი ერთხმად აღნიშნავს, რომ ივანე ათაბაგი და კონსტანტინე უფლისწული თავიანთი ნებასურვილით ეახლნენ შირხანე დამპყრობელს, მაგრამ როგორც ჩანს, ყველა არ იზიარებს ზემოაღნიშნული ფაქტის ტრადიციულ გაგებას. მაგალითად, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ტაბატაძე თავის ნაშრომში „ახალი ქართლის ცხოვრების“ ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ“ ცდილობს ყალბად გამოაცხადოს „ახალი ქართლის ცხოვრების“ I და II ტექსტების ცნობები თემურ-ლენგთან ივანე ათაბაგის თავისი ნებით მისვლის შესახებ. საამისოდ იგი ეყრდნობა მუნი ად-დინ ნათანის ცნობას, უპირისპირებს მას დანარჩენი სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების, აგრეთვე გვიანი ხანის ქართული წარატული თხზულებების ცნობებს, უპირატესობას ამ-

ლევს ნათანის ცნობას, როგორც თითქოს იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ ივანე ათაბაგი ტყვედ ივლო თემურსა ხელთ, ხოლო კონსტანტინე კი ალაბთ ივანესთან ერთად სპარსეთში ტყვეობაში, ან ელზობიდან უკან აღარ დაბრუნდა თემურსაო.8

რეალური ვითარების სურათის აღსადგენად მივმართოთ წყაროთა ცნობებს.

ჩვენ საკვებით ვითარებით კ. ტაბატაძეს იმაში, რომ „ახალი ქართლის ცხოვრების“ I და II ტექსტების ცნობა საქართველოში თემურ-ლენგის პირველი შემოსევის დროს ივანე ათაბაგის მტრის მხარეს გადასვლის შესახებ მცდარია. საქმე ეხება მხოლოდ საქართველოში თემურ-ლენგის უკანასკნელი ლაშქრობის დროს მომხდარ ფაქტს.

წინამდებარე ნაშრომის დასაწყისში აღნიშნული გვექონდა, რომ ცნობა თემურთან ივანე ათაბაგისა და კონსტანტინე უფლისწულის მისვლის შესახებ ზემოხსენებულ წყაროებში სხვადასხვა თანამიმდევრობითაა მოთხრობილი: ერთი ჯგუფი ისტორიკოსებისა ამ ფაქტის შესახებ მოგვითხრობს თემურის მიერ ბირთვისას ციხის აღების წინ, მეორე კი — შემდეგ.

შერეუდ აღ-დინ ალი იეზდი ვაღმომავტემს (მის ცნობას ოდნავი ცვლილებით იმეორებენ მირზა ხონდი, ხონდეშირი, ნაწილობრივ ეხატაბ VI „სწავლულნი კაცი“ და „ახალი ქართლის ცხოვრების“ II ტექსტის ავტორი), რომ საქართველოში ბოლო ლაშქრობის დროს თემური მენიკულში (კოლის ველზე) ჩამოხდა. აქ მას ეახლნენ ივანე ათაბაგი, ალბულას ბე, მრავალი საჩუქრით და ქართველ მბრძანებელთაგან კონსტანტინე, გიორგი მეფის ძმა, რომელიც მძაშთან (ე. ი. მეფე გიორგისთან) ნაჩუხბარი იყო, მანაც ძვირფასი საჩუქრები მიართვა თემურს. თემურმა ისინი კარგად მიიღო, დაასაჩუქრა და თავიანთ ადგილებში დააბრუნა.

ამ ფაქტის შესახებ გაცილებით უფრო ვრცელ მოგვითხრობენ ჰაფეზ-ე აბრუ, აბდარ-რუზაყ სამარყანდი და ამ უკანასკნელზე დაყრდნობით ფარსადან გორგიჯანიძე, მხოლოდ მათ ეს ფაქტი გადმოაქვთ თემურის მიერ ბირთვისის ციხის აღების შემდეგ.

* კ. ტაბატაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბილისი, 1971, გვ. 220.

8 შერეუ აღ-დინ ალი იეზდი, „ზავარ-ნამე“, II, თეირანი, 1957, გვ. 366. (სპარსულ ენაზე), მირზა ხონდი, „როუზათ ას-საფა“, 6, თეირანი, 1339, გვ. 443. (სპ. ენაზე); ხონდეშირი, „ჰაბიბ ას-საიარ“, 3, თეირანი, 1333, გვ. 2. მუნი ად-დინ ნათანის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი, 381, ფ. 298ა.

2 მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფილისი, 1895, გვ. 223, 224. ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1966, გვ. 419. დ. გვირიტოშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, I, თბ. 1962, გვ. 353. მისივე, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, II, თბ. 1965, გვ. 140, იხ. აგრეთვე დ. კაციტაძე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XIV საუკუნის საქართველოში (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), მასშობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1968, გვ. 137-142.

3. მ. ბროსე დასახ. ნაშრ. გვ. 223, 224.
4. ივ. ჭავჭავაძის შვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 419.
5. დ. გვირიტოშვილი, ნარკვევები, I, გვ. 353.
6. დ. გვირიტოშვილი, ნარკვევები, II, გვ. 140.
7. დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 137-142.



ჰაფეზ-ე აბრუს ცნობის დეტალური ანალიზი ქვემოთ გვექნება მოცემული, ამჟამად კი იმის დადგენაა საჭირო აღნიშნული ფაქტი როდის მოხდა. თვალი გვაფაქვენთ წყაროთა ცნობებს!

შერეფ ა-დინ ალი იეზიდის მიხედვით (მას იმპერატორ მირზინდი (და ზონდემირი) ივანე ათაბაგი და უფლისწული კონსტანტინე თემურ-ლენგს ეახლნენ კოლის ველზე, რაც ძალზე ბუნებრივად გამოიყურება. სამცხის ათაბაგი მორჩილების გამოცხადებით ცდილობს თავის სამომავლოს მტრის რისხვა თავიდან ააცილოს) მოგვითხროს, რომ საქართველოში თემურის წინა შემოსევების დროს სამცხე სძაფერ იქნა (ტრისიდან ახსრებულთ). ამჟვე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მუინ ად-დინ ნათანზის თხზულებში ცნობის მიხედვით თემურის მიერ ბირთუისის ციხის აღყის დროს მის პანაჟში ვხედავთ ივანე ათაბაგსა და კონსტანტინე უფლისწულს (ე. ი. ისინი უკვე მისულნი არიან შრისხანდ დაშკრობელთან).

ახლა ჰაფეზ-ე აბრუს და აბდ არ-რეზაყ საშარყანდის ცნობას მივხედოთ (რომელსაც ფარსადან გორგიჯანიძე იმეორებს). ზემოხსენებულ ისტორიკოსები გვამცნობენ, რომ ივანე ათაბაგი და კონსტანტინე თემურთან მივიდნენ მას შემდეგ, რაც იგი საქართველოს ვილაიეთს შეაგულს მივიდა!

ფიქრობთ, უბრაატესობა შერეფ-ად-დინ ალი იეზიდის ცნობას უნდა მივანაჟოთ. უფრო ბუნებრივად გამოიყურება, რომ ივანე ათაბაგი თავისი სამფლობელოს გადაარჩენის მიზნით კოლის ველზე ჩამომხდარ თემურთან მიხედული მოარჩილებით, ვიდრე ქვემო ქართლში. საფიქრებელია, რომ სანამ თემური კოლის ველიდან ქვემო ქართლში ვადმოედროდა, სამცხეს გამოივლიდა, ე. ი. ივანე ათაბაგის სამფლობელო დაზარალდებოდა. ბოლოს, თვითონ ფარსადან გორგიჯანიძე, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ მოვლენათა თანმიმდევრობა არეული აქვს. წერს: „მოვლა თემურისა სამცხეს და წინ მიგებება ივანე ათაბაგისა და მეფის გიორგის ძმა კონსტანტინესი, ძღვენის მიართმევა და შემოხვეწნა, ასე რომ ქემწიფის მოარჩილნი ვართ და რასაც გებობანებენ, იმისი მქნელნი ექნებითო.“¹⁰

ზემოთქმულის შემდეგ, ფიქრობთ, ცხადია, რომ ივანე ათაბაგი და უფლისწული კონსტანტინე თემურ-ლენგთან მოარჩილებით მივიდნენ კოლის ველზე. ამრიგად, ჰაფეზ-ე აბრუს, აბდ არ-რეზაყ საშარყანდი და ფარსადან გორგიჯანიძე მოვლენების თანმიმდევრობაში ცდებიან. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰაფეზ-ე აბრუს, რომელიც ძირითადად შერეფ ად-დინ ალი იეზიდის ნაშრომს ეყრდნობოდა, უფრო

დაშფოილებით აგვიწერს ამ ფაქტის, იგი სხვა წყაროებზეთაც სარგებლობდა და ზმირად ლეგალით ნანახის მიხედვითაც აღწერდა ამა თუ იმ მოვლენას.¹¹ ჰაფეზ-ე აბრუს საქართველოში არის ნამყოფი და ამდენად მისი თხზულება ძალზე ძვირფასი წყაროა იმ პერიოდის საქართველოს ისტორიისათვისაც. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ჰაფეზ-ე აბრუს მოვლენათა თანმიმდევრობა არეული აქვს, ზემოაღნიშნული ფაქტის შესახებ მისი ცნობის გათვალისწინება აუცილებელია.

ჰაფეზ-ე აბრუს ცნობას ივანე ათაბაგისა და კონსტანტინე უფლისწულის თემურთან მოარჩილებით მისვლის შესახებ იყენებს კ. ტაბატაძეც, მაგრამ მას მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები მოაქვს ამ ცნობიდან. აქ შეიძლება ისიც ითქვას, რომ თვით კ. ტაბატაძის მიერ მოტანილი ფრაგმენტები კი არ იძლევა იმგვარი დასკვნის შესაძლებლობას, როგორსაც ავტორი აკეთებს.¹²

ჰაფეზ-ე აბრუს მოგვითხრობს: როდესაც თემური დიდებითა და ბრწყინვალეებით იმ მხარეში მივიდა, ერთ-ერთი ქართველ ამირთვანს სხელად ივანე „ხმლითა და სუღარით“ („ბათილ ღ ქიათვან“) თემურთან მივიდა და სარეზები მიართვა. მას შემდეგ გიორგი მეფის ძმა კონსტანტინეც ეახლა თემურს. მათ გიორგისადმი მტრობა გამოამჟღავნეს და თემურს მოახსენეს, თუ ამ მხარეში გამოილაშქრებ, ჩვენ იმ ზაღბით, რომელიც თანა გვაყავს და სხვა ლაშქრითაც, რომელსაც ჩვენი ვილაიეთებიდან გამოვიყვანთ, ძღვევამოსილი ასკერების მეგზურები ვიქნებითო. თემურმა მათ ისლამის მიღება შესთავაზა. ივანემ მუხღმოდრეკით მოახსენა, რომ ჩემი ვილაიეთის ქვეშევრდომები

¹¹ Н. В. Пигулевская, А. Ю. Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, Л. М. Беденицкий, История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Л., 1958.

გვ. 312, ჰაფეზ-ე აბრუს თხზულებას, როგორც წყაროს XIV-XV სს მიჯნის საქართველოს ისტორიისათვის მალად შეფასებას აძლევს კ. ტაბატაძეც. იხ. კ. ტაბატაძის რეცენზია წაითხული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საქარო სხდომაში 1969 წლის 26 თებერვალს.

¹² კ. ტაბატაძე წერს: „ჰაფეზ-ე აბრუსა და აბდ არ-რეზაყ საშარყანდის ცნობათა ანალიზი, რომლებსაც ეს ამბავი ცალკე თავადაც კი გამოუყვითა, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არც ივანე და არც კონსტანტინე თავისი სურვილით არ იყვნენ მისული თემურის კარზე“. იხ. კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 218.

დავით კაიბიტაძე

მეცნიერი XV საუკუნის დასაწყისის საპარტიზმლოს ისტორიიდან

¹⁰ ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, საის-ტორიო მოამბე, II, თბილისი, 1925 გვ. 310.

ბევრი ხალხია და წლები კი არა, მეული ცხოვრება ამ რჩულზე მტკიცედ არიან. თუ მათთვის ცნობილი გახდება, რომ მე ისლამის რჩულზე მოქცევის დავთანხმდი, მათ შორის ცხოვრებას ვერ შევძლებ, რაღა ვილაპარაკო მმართველობაზე. თემურმა უღემები და მუფთიები მოიწვია და ამის შესახებ ბევრი იკამათეს, ბოლოს კი ერთხმად უთხრეს თემურს: „ეს ხალხი უარყოფელია მუჰამედის მოციქულობისა და მტრულად განწყობილია სანაქებო წინისადმი (ყურანისადმი) და გარდა ქრისტეს რჩულისა, გიზარალოს (მთავარანგელოზი გამარჯაი) მოსვლას და გამოცხადების მტკიცეობას არ სცნობენ. მაგრამ რადგან აწერილის ხალხთაგან არიან, თუ ჩიხის გადახდაზე დათანხმდებიან, ისინი უნდა შეწყალბულ იქნას.“ თემური უღემების ფეთვით გამო დათანხმდა. მან კონსტანტინეს და ივანეს მორჩენელობა და პატრონობა გაუწვია, კეთილგანწყობილებითა და წყალობით გამოარჩია და ისინი თავსაბურავისა და სარტყლის ბოძებით აღამალა.¹³

ჰაფეზ-ე აბრუს ზემოთ მოტანილი ცნობის ანალოზი, ვფიქრობთ, იმის საწინააღმდეგოს ვეუბნება, რასაც კ. ტაბატაძე ფიქრობს.

მოვევთ თავიდან: ივანე ათაბაგი თემურთან „ხმლითა და სუღარიით“ მივიდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ დამორჩილებას ნიშნავს. შემდეგ, დამორჩილდა კონსტანტინეც. ორივენი გიორგი მეფეს მტრობენ, საქართველოში მტრის ქარი მეგზურობას და თავისი ხალხით თემურსათვის დახმარების აღმოჩენას ეისტულობენ. ივანე ათაბაგი მუსლიმანობის მიღებაზეც იმ მოტივით ამბობს უარს, რომ გამუსლიმანებული ჩემს ქრისტიან ქვეშევრდომებში ვეღარ გავჩერდები, არ დამედგომებაო!¹⁴ იგი ჩიხის ვადალდას ეისტულობს. ჩვენი აზრით, ზემოთ მოტანილი ცნობა მხოლოდ და მხოლოდ ამგვარად უნდა იქნას გაგებული: ივანე ათაბაგმა თემურთან თავისი ფეხით მისვლით და მორჩილების გამოცხადებით საკუთარი სამფლობელო მტრისაგან აოხრებას გადაარჩინა. ე. ი. ივანე და

კონსტანტინე ჰაფეზ-ე აბრუს ცნობის თანახმად თავისი სურვილით არიან მოსულნი თემურთან და არა დატყვევებულნი.

ახლა კი მივხედოთ კ. ტაბატაძის მოხმობილს ივანე ათაბაგის დატყვევების დასამტკიცებლად.

კ. ტაბატაძის მოაქვს მუნ აღ-დინ ნათანზის ცნობა, რომლითაც თითქოს მტკიცდება ივანე ათაბაგის დატყვევება თემურის მიერ. აი ეს ცნობაც (მოგვაქვს კ. ტაბატაძის თარგმანი): „აღბულას რომ ილაჯი მიუწყდა და უეცრობის ფეხი გაჭირებდა ქვას ქამოყრა, ის დევბუნება, ფერის ნაშობი ქარისფეხა ბელაური მის უღლებულესობას (თემურს) გაუგზავნა და თვითონაც ვედრებითა და ზარით წარუდგა წინ. ხოლო რაკი სულთან საჰე-ყერანის (თემურის) სურვილი მისი ციხის ვარემოცვის დროს, იმ ცხენის ხელში ჩავდება იყო, ამიტომ მტრ არა ავნო რა და აღბულას სისხლის აპატია“.¹⁵

საკითხავია, სადაა აქ ათაბაგის დატყვევებაზე საუბარი? ეს ერთი, და მეორეც: მუნ აღ-დინ ნათანზის ცნობაში ხომ ივანე ათაბაგის ხუნებად არაა? იქ ლაპარაკია აღბულა ათაბაგზე, ივანეს მამაზე?

კ. ტაბატაძე საკითხის ამ მხარესაც არ ტოვებს უუფრადლებოდ. იგი წერს: „ათაბაგის მავიერ ნათანზის დასახელებული ჰყავს „აღბულა“ და ქვეყანასაც „აღბულას სამფლობელო“ ჰქვია. შემდეგ აღბულა ქრება და მის ადგილას ჩნდება ივანე, რაც გვაფიქრებინებს, რომ ოროვე შემთხვევაში ლაპარაკი ივანეზე უნდა იყოს აღსანიშნავია, რომ სამცხე სხვა სპარსულ წყაროებშიც ვერ „აღბულას ადგილად“, „სამფლობელოდ“ იხსენიება (ნუჰამ აღ-დინ შამი, ზაფარ-ნარე, გვ. 401; აღდარ-ეზუყე სპარსყანად, გვ. 269a), ხოლო მერე ჩნდება ივანე და მისი სამფლობელო) იქვე, გვ. 217; ტ. II, გვ. 248, გვ. 385 (ა)“.¹⁶

რასაკვირველია, ასეა და ასეც უნდა იყოს! აქ საყამთო რა არის? საესეგითი კანონზომიერი მოვლენა! საქართველოში თემურლენგის I შემოსევის დროს ათაბაგად აღბულა (1386 წ.), მეორე შემოსევის დროს ათაბაგის სახელი არ ჩანს, ხოლო მეთხე შემოსევის დროს კი ათაბაგად ივანეა (ქართული წყაროების მიხედვით ივანე 1391 წლიდანაა ათაბაგად).

აქედან გამომდინარე, კ. ტაბატაძის მიერ მოხმობილი მუნ აღ-დინ ნათანზის ცნობის ვფიქრობთ, არ მტკიცდება, რომ ივანე ათაბაგი ტყვედ ჩაუვარდა თემურს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენი აზრით, შეგვიძლია დავასკვნათ: საქართველოში თემურის ბოლო ლაშქრობის დროს დიდ და

¹³ Histoire des conquêtes de Tamerlan intitulée Zafarnama par Nizamuddin, Sami, t. II, Praha, 1956, გვ. 183.

¹⁴ ჰაფეზ-ე აბრუსთან კიდევ არის მაგალითები იმისა, რომ თემურთან მიღიან „ხმლითა და სუღარიით“, რაც დამორჩილებას ნიშნავს (იხ. ჰაფეზ-ე აბრუს, გვ. 49, 164), ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, რომ „გივის ციხის ქუთვალ... (კისტრზე) სუღარა და ხმალ-ჩამოკიდებული დროს ბელმწიფეთსთან გამოეშურა, ციხის კარების კლიტებზეც ვადალდა და თვითონ დაჭრილობის და დასაწყობების საგანი ვადაა“. იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი, ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურჩიძემ, თბილისი, 1969, გვ. 14, 5.

¹⁵ კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 220.
¹⁶ იქვე.



პრობლემათა თვისი ნება-სურვილით მისულან სამცხის ათაბაგი ივანე აღბუღას ძე და უფლისწული კონსტანტინე. ისინი თემურს არ დაუტყვევებია.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ I და II ტექსტების ცნობა თემურის ბოლო ლაშქრობის დროს მასთან. ივანე ათაბაგის თავისი ნებით მისვლის შესახებ სინამდვილეს შეეფერება, მხოლოდ აქ ივანეს გვერდით კონსტანტინე უფლისწულიც უნდა იყოს დასახელებული (როგორც XV ს. სპარსულსა და სპარსულენოვან წყაროებში).

თუ რა მიზეზები უნდა ჰქონებოდათ ივანე ათაბაგსა და კონსტანტინე უფლისწულს, როდესაც ისინი მტერს თავისი ნებით ეახლნენ, ამის შესახებ ჩვენს ზემოხსენებულ ნაშრომში საქმოდ ვრცელადა გვაქვს საუბარი, ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ გვინდა მოვავლოთ მკითხველს, რომ ფეოდალურ საქართველოში შინაქლასობრივი ბრძოლის ამგვარ ფაქტებს არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით. არც ვარეშე, მტრული ძალის თავისი მიზნებისათვის გამოყენება უცხო ამა თუ იმ მებრძოლი მხარისათვის¹⁷. შერისხული უფლისწულისა და სამცხის ათაბაგის კავშირის სხვა შემთხვევაც დასტურდება იმ დროინდელი ქართული საბუთებით (მაგ., კონსტანტინე მეფე გაფუჭრა უფლისწულ ალექსანდრეს და ეს უკანასკნელი თავს აღარებს ივანე ათაბაგთან)¹⁸. ამგვარად, XV ს. სპარსული და სპარსულენოვანი წყაროებში (აგრეთვე XVII-XVIII სს ქართული ნარატიული თხზულებების) ზემოხსენებულ ცნობაში დაუჭერბელი არაფერია.

არაჩალებს საინტერესოა აგრეთვე კონსტანტინე უფლისწულის გამეფების საკითხი ძმის, მეფე ვიორგის სიცოცხლეშივე. ჩვენ სპარსულ-სპარსულენოვან და ქართული წყაროების ცნობების ურთიერთშეჭრების საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ კონსტანტინე უფლისწულს უსარგებლია თემურის შემოსევა და გამეფებულა ჯერ იმერეთში, ზოლო შემდეგ, შესაძლოა ნომინალურადაც, მთელ საქართველოში.

კ. ტაბატაძე სპარსულ-სპარსულენოვანი წყაროების იმ ცნობების, სადაც კონსტანტინე სხვადასხვა ქვეყნების მბრძანებელთა შორისაა დასახელებული, თავისებურ განმარტებას იძლევა. იგი კონსტანტინეს მეფობას საქართვე-

ლოს რომელიმე კუთხეში ძმის სიცოცხლეში უარყოფს. კ. ტაბატაძეს მოაქვს პაფეზი, კარტრუს ცნობა, სადაც კონსტანტინე დასახელებულია სხვადასხვა ქვეყნების მბრძანებელთა შორის, რომელნიც მირანშაჰს დამორჩილდნენ და მისგან შეწყალებულ იქნენ¹⁹. შემდეგ იგი წერს: „აღსანიშნავია, რომ ამ ცნობაში ჩამოთვლილი პირების მიმართ ორჯერ მეორდება სიტყვა სარდლები (სარდარან) და კონსტანტინეს მეფობის კვალი არ ჩანს“²⁰.

მაგრამ სიტყვა „სარდარ“ ნიშნავს როგორც საკუთრივ სარდალს, ასევე ზელმწიფეს და უფლისწულსაც²¹. ზემოხსენებულ ცნობაში „სარდარ“ სწორედ ზელმწიფის, მბრძანების მნიშვნელობითაა ნახმარი (იქ ჩამოთვლილი არიან შეიხ იბრაჰიმ დერბენდი—შირვანის მბრძანებელი, ყარა ოსმან თურქმანი და სხვ. მათ შორისაა დასახელებული კონსტანტინეც. ვფიქრობთ, როგორც მბრძანებელი.

კ. ტაბატაძე ნაკლებ სარწმუნოდ თვლის მირზონდის ცნობასაც, სადაც კონსტანტინე სხვა მხარეთა მბრძანებლებს შორისაა დასახელებული. კ. ტაბატაძის აზრით, ეს ცნობა სანდო არაა იმიტომ, რომ მირზონდი კომპილატორია და საკუთარი სახელები მის თხზულებაში საქმოდ დამახინჯებულია²².

მირზონდი, ისევე როგორც საშუალო საუკუნეების ბევრი ისტორიკოსი, კომპილატორია, მაგრამ კომპილატორის თხზულებაში (მირზონდი იქნება იგი თუ სხვა) ხშირად სხვა, ჩვენამდე არ მოღწეული თხზულებიდანაა შეტანილი ცნობები.

ცნობილი ირანისტი პროფ. ი. პ. პეტრუშევსკი ასე ახასიათებს მირზონდს: «Хотя большой труд Мирхонда «Роузат ас-сафа» («Сад чистоты»), как известно, является компиляцией, но поскольку среди его первоисточников есть и ныне утраченные, у него мы находим некоторые детали, которых нет в других источниках»²³.

კ. ტაბატაძეს მოაქვს ადგილი მირზონდის თხზულებიდან: „ქვეყანათა გამგებლებს, როგორებიც იყვნენ ამირ შეიხ იბრაჰიმ შირვანი

¹⁷ ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინა-კლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965, გვ. 23-48.

¹⁸ ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1937, გვ. 40.

¹⁹ დ. კაციტაძე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XIV საუკუნის საქართველოში, გვ. 138-143.

²⁰ კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 216.

²¹ ი. დ. Ягелло, Полный персидско-арабско-русский словарь, Ташкент, 1910, გვ. 825.

²² კ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 214.

²³ И. П. Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV веков, Ленинград, 1960, გვ. 18.

დავით კაციტაძე
 ძვირფდი XV საუკუნის დასაწყისის
 სამართმელოს ისტორიიდან

და სოლოთან ისა მარდინის ჰაქემი, აგრეთვე კონსტანტინე ქართველი... ყველას ხალათები უბოძა და უფლისწულ ოპარის უხანგის მსლებლებად აქცია.²⁴

უნდა აღინიშნოს, რომ სპარსულ დედანში სიტყვა აგრეთვე არ არის. იგი მთარგმნელს ჩაუმატებია, რაც დედნის აზრს ცვლის. სპარსულ ტექსტში წერია: „ქვეყანათა გამგებლებს, როგორებიც იყვნენ ამირ შეიხ იბრაჰიმ შირვანი და სოლოთან ისა მარდინის ჰაქემი და კონსტანტინე ქართველი²⁵... ყველას ხალათები უბოძა...“²⁶ ე. ი. კონსტანტინე როგორც ქვეყნის მმართველი ისეა ნახსენები (შირვანშაჰისა და მარდინის ჰაქემის გვერდით.) ამასთან დაკავშირებით კ. ტაბატაძე წერს: „სახელმწიფოთა გამგებლები მირზონდისათვის ამ შემთხვევაში მეტად ზოგადი ცნება არის და ამიტომაც იქვე იწყებს მის დაკონკრეტებას და თვითუღ პირს ჩამოთვლის მისი სამფლობელოს აღნიშვნით, სადაც კონსტანტინეს წილად მხოლოდ სიტყვა „გურჯი“ — („ქართველი“) რჩება. და თუ იმ დებულებას ვერწმუნებით, რომ სიტყვა „გურჯი“ („ქართველი“) მართლაც „სოციალური ცნების აღმნიშვნელი ტერმინია და საზოგადოების რიცხვმრავალი ნაწილის, დაბალი ფენის — გლეხობის აღსანიშნავად იხმარებოდა (დ. კაციტაძე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XIV ს. საქართველოში, გვ. 144), მაშინ კონსტანტინე არა თუ საქართველოს რომელიმე კუთხის მეფე, სამეფო სახლის წარმომადგენელიც არ ყოფილა“²⁷.

როგორც ჩანს, კ. ტაბატაძეს სათუოდ მიჩნ-

ნია ჩვენი მოსაზრება სიტყვა „ქართველი“ („გურჯი“) კონკრეტულ შემთხვევაში სოციალური მნიშვნელობით ხმარების შესახებ.

ჩვენს ნაშრომში გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სიტყვა „გურჯი“ („ქართველი“) გლეხის აღმნიშვნელი უნდა იყოს. აი ის კონკრეტული შემთხვევა: ბირთიისის ციხეში გამაგრებულნი არიან ქართველი ამირა, ოცდაათი აზნაური და ასორმოცდაათი ქართველი²⁸ შემდეგ ჩვენ ვწერთ: „ჩვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ქართველი“ („გურჯი“) სოციალური ცნების აღმნიშვნელი ტერმინია: იგი საზოგადოების რიცხვმრავალი ნაწილის, დაბალი ფენის — გლეხობის აღსანიშნავად უნდა იხმარებოდეს²⁹. იქვე მოგვაქვს მაგალითები ეთნიკური სახელების სოციალური მნიშვნელობით შეცვლისა (მაგ. თურქი — ფეოდალის აღსანიშნავად, თაყიკი — მიწისმომქმედის, მარგალი ნიშნავს — მეგრულ გლეხს, ყინოსქუა — მეგრულ აზნაურს, თავალს და სხვ).

რასაკვირველია, კონსტანტინე უფლისწული გლეხად არ იქცევა იმის გამო, რომ მის საკუთარ სახელს სიტყვა „გურჯი“ დაემატა.

ამრიგად, სპარსული (სპარსულენოვანი) და ქართული წყაროების ცნობების ურთიერთშეჯერება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ივანე ათაბაგისა და კონსტანტინე უფლისწულის დამოკიდებულება აღნიშნულ მოვლენებთან.

²⁴ შერეფ ად-დინ ალი იეზდი, „ზაფარ-ნამე“, II, გვ. 383; აბდ არ რეზაყ სამარყანდი, ფ. 234; მირზონდი 3. 449, „თარიხ-ე თიმურ“, ედინბურგის უნივერსიტეტის ხელნაწერი, Pers 402, ფ. 25 ნ. 408, ფ. 25.

²⁵ დ. კაციტაძე, დსახ. ნაშრ., გვ. 144.

²⁴ კ. ტაბატაძე, დსახ. ნაშრომი, გვ. 213.

²⁵ კონსტანტინე გურჯინი.

²⁶ მირზონდი, როუზათ ას-საფა, 6, თეირანი, 1339, გვ. 463 (სპ. ენაზე).

²⁷ კ. ტაბატაძე, დსახ. ნაშრ., გვ. 214.





საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ

როგორც ცნობილია, ჩვენში გაბატონებულად რჩება აზრი, რომ კაცობრიობამ გაიარა ოთხი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია: პირველყოფილი კომუნისტური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და გაცივლის მეხუთეს — კომუნისტურს. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პირველყოფილი კომუნისტურის დაშლის შემდეგ კლასობრივი საზოგადოების პირველი ფორმა იყო მონათმფლობელობა, რომელიც უნივერსალურად (ტერიტორიის აზრით) გავრცელდა. ეს საზოგადოება შეცვალა ფეოდალურმა, რომელმაც ასევე ფართო გავრცელება პოვა. ასეთი თვალსაზრისი მიიჩნიათ ისტორიული მატერიალიზმის შეურყეველ დებულებად კაცობრიობის ევოლუციის შესახებ. რასაკვირველია, ასევე მიიჩნევენ, რომ მსგავსი შეხედულება ჰქონდათ მარქსსა და ენგელსს.

დავიწყეთ იქიდან, თუ როგორ წარმოდგინათ მარქსსა და ენგელსს კაცობრიობის ევოლუციის ფაზები, როგორ ვითარდებოდა მათი ეს თვალსაზრისი ისტორიული შეცნობების პროგრესთან ერთად. „გერმანულ იდეოლოგიაში“ მარქსი და ენგელსი საზოგადოების ევოლუციის უკავშირებდნენ შრომის დანაწილების გარბევაზე, შესაბამისად საკუთრების ფორმების განვითარებას. მათი აზრით, საკუთრების პირველი ფორმა იყო სატომო საკუთრება, რომელიც ეფუძნებოდა მონადირეობას, მეთევზეობას, მესაქონლეობას და მიწათმოქმედების საწყის სტადიას. ამ ეკონომიურ ბაზისზე სოციალური დიფერენციაცია ასეთი იყო: ტომთა პატრიარქი მეთაურები, მათზე დაქვემდებარებული თანამეტომენი და მონები. მონობა ამ საფეხურზე მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა.

საკუთრების მეორე ფორმა იყო ანტიკური სათემო და სახელმწიფო საკუთრება. ამ დროს ჩნდება მომარაგი ქონება, შემდეგ — უძრავი.

ხელისნობა მკვეთრად გამოყოფილია სოფლის მეურნეობისაგან, ხოლო მათგან — ვაჭრობა. ასევე მკვეთრია დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს, საქალაქო და სასოფლო ცხოვრების განმასახიერებელ ქვეყნებს შორის. მოქალაქეებსა და მონებს შორის კლასობრივმა ურთიერთობებმა მიალწიეს სრულ განვითარებას. მიწის საკუთრების კონცენტრაციისა და წვრილი გლეხობის ექსპროპრიაციის პირობებში საკუთრების ამ ფორმამ დაწყებული საზოგადოება დაიშალა. აღნიშნულ სოციალურ-ეკონომიურ პროცესებს მარქსი და ენგელსი უკავშირებდნენ მხოლოდ ანტიკურ სამყაროს, ე. ი. სამხრეთ ევროპის განვითარების განსაზღვრულ ფაზას და არა ძველ აზიასაც.

საკუთრების მესამე ფორმას შეადგენდა ფეოდალური ანუ წოდებრივი საკუთრება, ამ დროს გაბატონებული იყო მიწაზე ფეოდალთა მსხვილი საკუთრება. შემდეგში, ამასთან ერთად, ვითარდებოდა წვრილი კაპიტალიც ხელისნობისა და ვაჭრობის სფეროებში. ეს პროცესები ისტორიულად უკავშირდება დასავლეთ ევროპას. შემდეგ მოდის საკუთრების ახალი ფორმა, რომელზედაც ემყარება ბურჟუაზიული საზოგადოება. აღნიშნული საზოგადოება იმანენტური განვითარების გზით მიდის კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

„დაჭირავებულ შრომასა და კაპიტალში“ (1847 წელი) მარქსი წერდა, რომ ანტიკური, ფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოებანი წარმოადგენენ წარმოებით ურთიერთობათა ისეთ ერთობლიობას, რომელთაგან თითოეული მათგანი გამოხატავს განსაკუთრებულ საფეხურს კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში. 50-იან წლებში მარქსი და ენგელსი სწავლობენ აზიის საზოგადოებას, რომლის შინაარსითაც დააკონკრეტეს კაცობრიობის ევოლუციის პირველი ანტიკონისტური ფაზა.

„კაპიტალისტური წარმოების წინამორბედ ფორმებში“ (1857-1858 წ. წ.) მარქსი იწყებდა საკუთრების აღმოსავლური ფორმიდან. ამ შემთხვევაში მწარმოებელი უშუალოდ იყო დაკავშირებული წარმოების საშუალებებთან, მაგრამ იყო არა მათი მესაკუთრე, არამედ მფლობელი, მესაკუთრედ გამოდიოდა თემი, უშაღლეს ინსტიტუტში კი — სახელმწიფო, დესპოტიზმით სთავადასუქდა. საკუთრების ამ ფორმებზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ძირითადი მწარმოებელი იყო მეთემე გლეხი, ხოლო მონობა უმნიშვნელოდ გავრცელდა. ხელოსნობისა და ვაჭრობის გამოყოფის პროცესი სოფლის მეურნეობისგან მნიშვნელოვნად არ იყო განვითარებული. მიწათმოქმედებისა და შინახელოსნობის ერთად შერწყმა, შრომის უმნიშვნელო ეკონომიური დანაწილება თემში, თემებს შორის, წარმოშობდა სახელმწიფოს დესპოტიზმ ფორმას. დესპოტიზმი სახელმწიფო, მათაღალია, ასრულებდა საზოგადოებისათვის სასარგებლო მთელ რიგ ფუნქციებს—ეროვაციას, რომლის გარეშე აზიის ბევრ ქვეყანაში შეუძლებელი იყო საბრძოლველო წარმოება, თავდაცვას გარეშე მტრებისაგან—მაგრამ ითვისებდა ზედმეტ პროდუქტს. სახელმწიფოს წინაშე უშუალო მწარმოებლებს ჰქონდათ შრომითი ვალდებულება მშენებლობისათვის და ა. შ. აღნიშნული ფორმის საზოგადოების ეკონომიკა ღრმად ნატურალური იყო. ხელოსნობისა და ვაჭრობის კონცენტრაციას აქ ადგილი ჰქონდა მხოლოდ დესპოტიზმისა და მათი სატრაპების სადგომ ქალაქებში, ან ხელსაყრელ სატრანზიტო გზებზე აღმოცენებულ ქალაქებში. მაგრამ ეს მომენტი სულაც არ ცვლიდა საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას.

შემდეგ მარქსი ახასიათებდა ანტიკური ფორმის საკუთრებას, რომელიც, მისი აზრით, დამახასიათებელი იყო მხოლოდ საკუთრივ ანტიკური საზოგადოებისათვის. ეს ფორმა შეცვალა საკუთრების გერმანული ფორმამ, რომელიც, ჩვენის აზრით, უნდა განიხილებოდეს ამ ხალხებში პირველყოფილი კომუნისტურიდან ფეოდალურზე გარდამავალ ფორმად. ამდენად, საკუთრების გერმანული ფორმა შემაღვენელია საერთოდ ფეოდალური საკუთრებისა. განსხვავებით აღმოსავლური ფორმისა, საკუთრების ანტიკურ და ფეოდალურ ფორმებში ხდება უშუალოდ მწარმოებლების ჩამოშორება წარმოების საშუალებათაგან. ამდენად, პირველისაგან განსხვავებით, უკანასკნელნი ზსიათლებდა მნიშვნელოვანი დინამიზმით. ანტიკურ საზოგადოებაში კაპიტალის დაგროვება, ერთის მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, თავისუფალი სამუშაო ძალის გაჩენა ვერ იწყებს კაპიტალისტურ ევოლუციას. ამ წინამძღვრებთან ერთად არსებობენ არახელსაყრელი ფაქტორებიც, რომლებიც იწყებენ კაპიტალიზმის

განვითარებლობას და, საერთოდ, საზოგადოების დაშლას.

საკუთრების ფეოდალური ფორმის წინამძღვრები, სხვა ხელსაყრელ წინამძღვრებთან ერთად, კაპიტალისა და თავისუფალი სამუშაო ძალის გაჩენა იწყებს კაპიტალიზმის განვითარებას.

ენობილია, რომ წიგნის „ბოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ შესავალში, აქ, სადაც მოკლედ გადმოცემულია ისტორიის მატერიალისტული გაგება. მარქსი წერდა: „საერთო ხაზებში, აზიური, ანტიკური, ფეოდალური და თანამედროვე, ბურჟუაზიული წარმოების წესები შეიძლება გამოესახათ, როგორც ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქები“. იმავე წიგნში წინაკაპიტალისტური საზოგადოებები ასეთი თანმიმდევრობითაა (ზემოდან ქვემოთ) გადმოცემული: ფეოდალური, ანტიკური, აღმოსავლური (იხ. კ. მარქსი. ბოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. 1953, გვ. 290).

„წარმოების აზიური წესი“ ბევრს ახლავს მარქსის შემთხვევითი გამოხატვაში ჰგონია და ერთადერთ განსაზღვრულად ამ ტერმინში მხოლოდ გეოგრაფიულ დასახელება მიაჩნიათ. ჩვენის აზრით კი, წარმოების ამ წესის შინაარსის შესახებ მარქსს საკმაოდ გარკვეული შეხედულება ჰქონდა, განსაკუთრებით ეკონომიკის შესახებ, რაც მის მიერ ასე ნათლად იქნა გადმოცემული „კაპიტალისტური წარმოების წინამორბედ ფორმებში“ და გასული საუკუნის 50-ანი და 60-იანი წლების შრომებში. ასევე ცდილობდა ისინიც, ვინც წარმოების ამ წესში პირველყოფილ კომუნისტურ (!) გარდამავალ ან მონათფლობელურ წარმოების წესებს გულისხმობენ. ამ მიმართულებით აქ აღიარებენ ვიტყვი. მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ მარქსის მიერ კაპიტალიზმის ევოლუციის გააზრება საფუძვრების გამოსახებით მსგავსი იყო ისტორიის ჰეგელიანური გააზრებისა. ჰეგელი კაცობრიობის უწინდელ განვითარებას გამოსახავდა საფუძვრებით: აღმოსავლური სამყარო, ბერძნულ-რომაული სამყარო და გერმანული სამყარო; ასევე უღგებობა საკითხს მარქსი, მხოლოდ, ცხადია, ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისით. მაგრამ 50-იან-60-იან წლებში მარქსისათვის ჭეჭერობით გაურკვეველი იყო წარმოების აზიური წესის ნამდვილი ადგილი ისტორიაში.

ისინი, ვინც ცდილობს მარქსს მიაწეროს საზოგადოების ევოლუციის ისეთივე ფორმაციებად წარმოადგენა, როგორც დღესაა ჩვენთან მიღებული, იცხადებენ, რომ ლ. მორგანის „ძველი საზოგადოების“ გამოსცლის შემდეგ (1877 წ.), მარქსმა და ენგელსმა ლ. მორგანის მიერ პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების გაგების საფუძვლებზე მოკცეს ახალი სქემა, რომელიც ახლა გავრცელებულ



ხუმფერეიან სქემას ემთხვევა. მაგრამ თვალი გავადევნოთ მარქსისა და ენგელსის აზრთა მსვლელობას შემდგომ ხანაში. ე. ზასულჩისადმი წერილის მონახებებში (1881 წ.) მარქსი კაცობრიობის განვითარების სქემას ასე წარმოგიდგენს: პირველადი ანუ არქაული საზოგადოებრივი ფორმაცია, რომლის დაბალი საფეხურია საგვარეულო თემი — საერთო წარმოებით, თანაბარი განაწილებით, საერთო სახლით, ეზოთი და ა. შ. ეს საფეხური ბევრად უფრო დაბალი იყო, ვიდრე აზიური საზოგადოება. არქაული საზოგადოებრივი ფორმაციის ბოლო ფაზა, ანუ შეორად ფორმაციაზე გარდასული საფეხური არის სამიწათმოქმედო თემი. მეორადი ფორმაცია მოიცავს როგორც საზოგადოებებს, დაფუძნებულთ მონობასა და ყმა-გლეხობაზე.¹

სამიწათმოქმედო თემების შესახებ მარქსი წერდა, რომ მათთვის დამახასიათებელია დუალიზმი. ერთის მხრივ, საზოგადოებრივი საკუთრება მიიწევი, სახნავი მიწების პერიოდული გადანაწილებით; ხლო, მეორე მხრივ, — კერძო სახლი, ეზო, ინდივიდუალური წარმოება და მითვისება. თუ არქაული ტიპის თემი ემყარებოდა სისხლით ნათესაობას, სამიწათმოქმედო თემში ეს კავშირი დარღვეული იყო, რის გამოც მას მეტი შესაძლებლობა ჰქონდა საზოგადოების პროგრესისა და პროგრესების განვითარებისათვის. ამ საფეხურზე მდგომალ მარქსს მიაჩნია ინდოეთი, ავღანეთი, მთლიანად ძველი აზია, რუსეთის საზოგადოების თვალსაჩინო ნაწილი ამ ქვეყნებისათვის, როგორც სახელმწიფო ფორმა, დამახასიათებელი იყო დესპოტიზმი.

შემდეგ მარქსი უჩვენებს თუ როგორ დაიშალა პირველადი ფორმაციის ეს ბოლო საფეხური შრომის დანაწილების, საკუთრების განვითარების შედეგად. თუ როგორ მოხდა გადასვლა მეორად ფორმაციაში მონობის ან ბატონყმობის ფორმით. ეს ასე მოხდა ისტორიაში, სხვა ხელსაყრელი პირობების დროს. აზიის ქვეყნებში კი საზოგადოების დამოუკიდებელი ევოლუცია შეჩერდა სამიწათმოქმედო თემზე. ამ საზოგადოებების შემდგომი განვითარება მოხდა მათთან კაპიტალისტური ცივილიზაციის კონტაქტების პირობებში.

მთავარ ხაზებში ფ. ენგელსიც ანვითარებდა მარქსის მსგავს შეხედულებებს ფორმაციების შესახებ. მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მონობა ანტიკური ქვეყნების განვითარების საფუძველი ვახდა, რომ მონობის გარეშე არ იქნე-

ბოდა საბერძნეთი, ბერძნული კულტურა, რომის იმპერია და ა. შ.; რომ მონობამ დიდი როლი შეასრულა ანტიკური სამყარო, მაგრამ არასდროს იქნებოდა საფუძველი ედო ძველი აზიის ქვეყნებს, რომ ამ სოციალური ინსტიტუტის გარეშე არ იქნებოდა შემდგომი ხანის აზია და რომ იგი ძველი აზიის დაკემის მიზეზი იყო. როცა ეხებოდა მონობას აზიის ქვეყნებში, ენგელსი ყოველთვის აღნიშნავდა მის უმანაშენებელ განვითარებას, „სახლის ხასიათს“. ამდენად, მონათმფლობელობა, როგორც ფორმაცია, ფრ. ენგელსის აზრით, მხოლოდ ანტიკურ ქვეყნებში, ბერძნულ-რომაულ სამყაროში განვითარდა.

ამრიგად, ისტორიული მატერიალიზმის ფუძემდებლებს კაცობრიობის ევოლუცია არ წარმოედგინათ იმ ფორმაციების თანმიმდევრობის სახით, როგორც ეს ფართოდაა ჩვენთან გავრცელებული. თუ მთლიანად გავიზიარებთ მათ შემკვიდრებას მოცემულ პრობლემაზე, მაშინ მათ მიერ ლ. მორგანის, თეორიის გაცნობის შემდეგ სქემა კაცობრიობის ევოლუციისა შეიძლება ასე გამოვხატოთ: პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოება, აზიური ტიპის საზოგადოება, ანტიკური საზოგადოება, ფეოდალური საზოგადოება, კაპიტალისტური საზოგადოება, კომუნისტური საზოგადოება. ამდენად ხუთი ფორმაციის მაგიერ მათთან იყო ექვსი. შევამჩნევთ კიდევ ერთ დიდ განსხვავებულობას. პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული შემდგომი ფორმაციები მიაჩნიათ როგორც უნივერსალურად გავრცელებული. ჩვეულებრივად ასევე მიაჩნიათ, რომ მონათმფლობელობა მოიცავდა ყოველ შემთხვევაში აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ძველ ქვეყნებს; ე. ი. ხალხებს, რომლებიც ცივილიზაციის ფაზაში შევიდნენ ძვ. წელთაღრიცხვამდე 4, 3, 2, 1 ათასი წლის წინ. ფეოდალიზმი თითქოს მოიცავდა მთელ რიგ რეგიონებს დროის გარკვეულ მონაკვეთში, რომელიც დაიწყო დასავლეთ რომის იმპერიის კრიზისის დროს. ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ მარქსი და ენგელსი აზიურ, ანტიკურ და ფეოდალურ ფორმაციებს განიხილავდნენ როგორც უნივერსალურ: აზიური დამახასიათებელი იყო აზიის ქვეყნებისათვის, ანტიკური — განსაზღვრული ხანის სამხრეთი ევროპისათვის, ფეოდალური ძირითადად — დასავლეთ ევროპისათვის. „მსოფლიო ისტორია ყოველთვის არ არსებობდა; ისტორია, როგორც მსოფლიო ისტორია, — შედეგია“ — წერდა მარქსი. და ეს პროცესი მძლავრად დაიწყო მხოლოდ ახალ, კაპიტალისტურ ხანაში. მაგრამ მიუხედავად ამ საზოგადოების წიაღში შექმნილი მძლავრი

¹ ტერმინი „ფორმაცია“ მარქსის მიერ აქ ფართოდ აზრითაა ნახშირი და ამდენად, მარქსის ეს წერილი ე. ზასულჩისადმი არ შეიძლება საფუძველად დაედოს კაცობრიობის ისტორიის ფორმაციებში (ჩვეულებრივი აზრით) განსახებას.

გურამ ყორანაშვილი
საზოგადოებრივ-მაცნო-მეცნიერ
ფორმაციების შესახებ

ტექნიკური საშუალებების, შრომის მსოფლიო დანაწევლების და მსოფლიო ბაზრისა, გავრცელების მხრივ თვით კაპიტალისტური ფორმაციაც კი ვერ იქცა უნივერსალურად. ასეთი იყო პირველყოფილი კომუნისტური და იქნება მომავალი, კომუნისტური ფორმაცია. მათი შუალედი კლასობრივი ფორმაციები კი ლოკალური ხასიათის ატარებდნენ. და კიდევ ერთი დიდი განსხვავება: კაცობრიობის ევოლუციის აზიურ სტადიას მარქსი და ენგელსი მხოლოდ დროის იმ განსაზღვრულ მონაკვეთში კი არ გულისხმობდნენ, რომელიც წინ უსწრებდა ანტიკურ ან ფეოდალურ სტადიას, არამედ აზიის საზოგადოებებს მათთან კაპიტალისტური მანქანური ცივილიზაციის მძლავრ კონტაქტებამდე, როდესაც რკინიგზებისა და მანქანური წარმოების პირობებში მოხდა სამიწათმოქმედო თემების დაშლა.

ახლა განვიხილოთ როგორ შეიქმნა ხუთ-ფორმაციული სქემა. 20-იან და 30-იან წლებში საბჭოთა შეცნობებში დიდი დისკუსიები მიმდინარეობდა საზოგადოების ევოლუციის შესახებ. ვერ გავრკევით, როგორ გამოესახათ კაცობრიობის ევოლუცია, რა საზოგადოებრივი-ეკონომიური ფორმაციებია, როგორი იყო მათი რაოდენობა, თანმიმდევრობა, გადასვლა ერთიდან მეორეში. პირველყოფილი კომუნისმის დაშლის შემდეგ, ნაწილს მიიჩნდა აზიური საზოგადოების წარმოშობა, ნაწილს — ვეოდალიზმისა, ნაწილს — მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის სინთეზი. უმცირესობას შეადგენდნენ ისინი, ვინც კანონზომიერად თვლიდა მონათმფლობელური ფორმაციის განვითარებას ძველ აღმოსავლეთში უკვე რამდენიმე ათასი წლის წინ, ვიდრე ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი ანტიკურ სამყაროში. ისენი კაცობრიობის განვითარებას გამოსახავდნენ სქემით, რომელიც დღესდღეობით ჩვენში კვლავ გაბატონებულად რჩება. ერთ-ერთი მთავანი იყო ე. სტრუვე, რომელმაც 1933 წელს ჩამოაყალიბა კონცეფცია მონათმფლობელური ფორმაციის უნივერსალური გავრცელების შესახებ. მაგრამ, ამ შეცნობის აზრები ძველ აღმოსავლეთში მონათმფლობელური საზოგადოების არსებობის შესახებ მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე იდგა. მისი თვალსაზრისის მიჩნევა გამართული თეორიის დონეზე არ შეიძლება. ამიტომ უმეტესობას სტრუვეს კონცეფცია არც გაუზიარებია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტალინმა თავის შრომაში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ (1938 წ.) გადმოისცა სქემა საზოგადოების განვითარებისა, ე. სტრუვეს მოსაზრებამ თეორიის ძალა შეიძინა. მით უმეტეს, ამის შემდეგ შეწყდა ყოველგვარი დისკუსია ჩვენს მიერ აქ აღბრუნებულ პირობებზე. ფართოდ გავრცელდა აზრი, რომ მონათმფლობელობა უნივერსალური ფორმა-

ცია იყო, რომ იგი შეცვალა ფეოდალიზმმა. ამდენად, ადგილი აღარ დარჩა წარმეჭვინებულ თეორიისათვის, რომელიც ბევრისთვის მარქსისტული მარქსისტული“ გახდა.

ასეთი გზით გაბატონდა ჩვენში კაცობრიობის განვითარების სქემა. სქემა, რომელიც ბევრისათვის ანბანურ კეშმარტებას წარმოადგენს. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმას, რომ იგი მცდარი იყოს, უწინააღმდეგებოდეს მარქსისა და ენგელსის მემკვიდრეობას და თვით სინამდვილეს. ეს საცხები გასაგებია. სქემა, რომელიც გაბატონდა აშაიარად, რომელიც არ ეფუძნება პატარა მონოგრაფიულ გამოკვლევასაც კი, არ შეიძლება დიდხანს დარჩეს მეცნიერებაში.

იქნებ საჭირო იყოს შეგვირდეთ აღნიშნული სქემის კრიტიკაზე. აღარ ვილაპარაკებთ იმაზე, თუ როგორ უწინააღმდეგება იგი მას, რაც მარქსისა და ენგელსს უთქვამთ საზოგადოებრივი-ეკონომიური ფორმაციების რაოდენობაზე, თანმიმდევრობასა და შეცვლაზე. ერთი ფაქტის კონსტატაცია კი უაღრესად საჭიროდ მიგვიჩნია. როდესაც ე. სტრუვემ და მისმა მიმდევრებმა სცადეს ძველ აღმოსავლურ საზოგადოებათა ხასიათის გააზრება, როდესაც ეგებოდნენ პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების დაშლასა და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობას, გამოდიოდნენ და გამოდიან ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობიდან“. თითქოს აქ ასახული იყო კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის ისეთი უნივერსალური გზა, რომელიც საერთო იყო ყველა საზოგადოებისათვის, რომელმაც კი პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების ზღუდეები გადალახა. მაგრამ იმავე წიგნში ენგელსს ხომ სხვადასხვა გზები აქვს ნაჩვენები. ბერძნულ-რომაულ სამყაროში ძირითად ტენდენციად იქცა მონათმფლობელური სოციალური სტრუქტურის განვითარება, სხვანაირი იყო იქ სახელმწიფოს წარმოშობის გზაც. ბერძნული სამყაროს ნაწილში, სახელმძობრ, სპარტაში, ექსპლოატაციის ძირითად ფორმად იქცა ყმა-გლეხის შრომის ექსპლოატაცია. შესაბამისად განსხვავდებოდა სახელმწიფოს წარმოშობის გზაც. გერმანელებთან კლასობრივი დიფერენციაცია მოხდა ფეოდალურ საფუძველზე, სხვანაირი იყო სახელმწიფოს წარმოქმნისა და შემდგომში ევოლუციის ბედიც. ამდენად, სულ რაღაც 1500 წლის მანძილზე და ჩვენთან შედარებით ახლო დროში აღნიშნულ პროცესების განვითარება რთული და სხვადასხვაგვარი იყო. ასე რომ ენგელსის ეს ცნობილი ნაწარმოებები ერთნაირ მეთოდოლოგიურ საფუძველს როდესაც იძლეოდა სხვადასხვა ზალბებსა და დროში პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების

დაშლისა და კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნის პროცესების გასააზრებლად.

ეს კიდევ არაფერია. როდესაც ენგელსმა ბერძნულ-რომაულ სამყაროში გვაროვნული საზოგადოების დაშლისა და მონათმფლობელური საზოგადოების ფორმირების პროცესები გადმოსცა, ისინი დაუკავშირა ცივილიზაციის საფეხურს. „ცივილიზაციაში“ კი ფრ. ენგელსი სხვა აზრს გულისხმობდა, ვიდრე ეს დღესაა ფართოდ გავრცელებული როგორც ჩვენთან, ისე დასავლეთში. ფრ. ენგელსის მიხედვით, „ცივილიზაცია“ ჰქონდა ასეთი მნიშვნელობა: რჯანის მეტალურგიის გავრცელება, შრომის დანაწილებისა და სასაქონლო წარმოების მაღალი დონე, ქალაქის ბატონობა სოფელზე. იგი არსებობს სულ რაღაც 2500 წლის განმავლობაში და არა 6000 წელი, როგორც ეს ჩვეულებრივ წარმოდგენილია. ავტორი გულისხმობდა მთელ რიგ წინამძღვრებს, რომელთა არსებობის შემდეგ მონათმფლობელი და ამდენად მონათმფლობელური სოციალური სტრუქტურა ჩამოყალიბებული გახდა. ეს წინამძღვრები მდგომარეობდა: ლითონის ფულის და მასთან ერთად ფულადი კაპიტალის, პროცენტისა და მევახშეობის განქანაში, მიწაზე კერძო საკუთრებისა და ჰიპოთეკის, წარმოშობაში. სხვა დროსაც მარქსსა და ენგელსს არა ერთხელ აღუნიშნავთ ის წინამძღვრები, რის შედეგადაც წარმოიქმნა მონათმფლობელური საზოგადოება. ეს მოხდა ცივილიზაციის დროს, როდესაც შრომის საზოგადოებრივად დანაწილება, გაცვლამ ცალკეულ პირებს შორის და სასაქონლო წარმოებამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ გამოიწვია გადატრიალება მთელ საზოგადოებაში.

ერთი სიტყვით, ის დასკვნები, რაც ფრ. ენგელსმა გააკეთა გვაროვნული საზოგადოების დაშლისა და მონათმფლობელური საზოგადოების წარმოშობის შესახებ, ასახავს ანტიკურ სინამდვილეს მაღალი ეკონომიური განვითარებით. ეკონომიური განვითარების იმ დონით, რომელზედაც სხვა დროს მოხდა ფეოდალიზმის დამლა და კაპიტალიზმის ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ შემთხვევით არაა ის გარემოება, რომ აღნიშნულ ნაშრომში ცივილიზაციის წარმოშობის გასაგებად ენგელსს მარქსის „კაპიტალი“ ისეთივე აუცილებლად მიაჩნდა, როგორც ლ. მორგანის „ძველი საზოგადოება“ არქაული კომუნისტური საზოგადოების გასაგებად. ახლა ენათმ სადამდე მივიდა ვ. სტრუვე საკითხისადმი ასეთი მკაცრი მიდგომა.

ძველი აზრის პირობებში მარქსი და ენგელსი მიუთითებდნენ მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობას, მასზე მფლობელობას. მაგრამ როდესაც ვ. სტრუვე „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობიდან“ გამოდიოდა, აღიარებდა ამ მოვლენის ფართო გა-

ერცელებას ძველ აღმოსავლეთშიც. ასე, რომ მისი აზრით, მონათმფლობელთა კლასის წარმოქმნა დაკავშირებული იყო მიწაზე ჯგუფურ საკუთრებასთან, შემდეგ კი მიწის საკუთრების კონცენტრაციასთან. მარქსი და ენგელსი არა ერთგზის მიუთითებდნენ აზიამი სასაქონლო და ფულადი მეურნეობის, ქალაქების სუსტად განვითარებულობას, ვ. სტრუვე კი ხაზს უსვამდა ამ პროცესების მძლავრ „განვითარებას“. კლასიკოსები მიუთითებდნენ თემების იზოლირებულობას, მათ შორის შრომის ეკონომიური დანაწილების არარსებობას, ვ. სტრუვე კი აღნიშნავდა მათ შორის შრომის მნიშვნელოვან დანაწილებას, თემების დარღვევას და ამ საფუძველზე მიწის კონცენტრაციას „მონათმფლობელთა“ ხელში, მეთემე გლეხების ექსპლუატაციას. ეხებოდნენ რა აზრის ქვეყნების მოსახლეობის ექსპლუატაციას, მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ ზედმეტი პროდუქტის მითვისებას სახელმწიფო აპარატის მიერ (სამეფო გვარი, მთხვეობა, არმია, ქურუმები), რომ აქრებდა და გადასახადი ერთმანეთს ემთხვეოდა. ვ. სტრუვე კი ამ ქვეყნებში გულისხმობდა ანტიკური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ექსპლუატაციის ფორმის ვაბატონებას. ეს არ მოხდებოდა იმის გამო, რომ ვ. სტრუვე ახალმა ფაქტობრივმა მასალამ ასეთ დასკვნებამდე მიიყვანა. მას ეგონა, რომ არა „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობას“ უყრდნობოდა და ამ თვალსაზრისით უდგებოდა ძველი აღმოსავლეთის ისტორიული სინამდვილის გაგებას, შემოქმედებითად ავითარებდა მარქსისა და ენგელსის შემკვიდრებობას. სინამდვილეში კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

მისასალმებელია, რომ მოგვიანებით (1965 წელს) ვ. სტრუვე იძულებული გახდა ელიარებინა წარმოების აზიური წესის არსებობა, ისევე როგორც ერთ დროს აღიარებდა. მაგრამ ამჯერად იგი იფარგლებოდა მხოლოდ დიდი საირგაციო ქვეყნების (ეგვიპტე, შუმერი) ადრინდელი ისტორიით.

გვაროვნული წყობილების რღვევა და კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ხდებოდა სხვადასხვაანაირი პირობებში. სხვადასხვა იყო მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების დონე, გეოგრაფიული და გარემომცველი ისტორიული პირობები, სადაც ხდებოდა აღნიშნული პროცესების განვითარება. როგორ შეიძლება აღნიშნული პროცესების გააზრება ერთი შეპოლით? აბ. წელთაღრიცხვის ხანა, ვასკალუობრივი V საუკუნის შემდეგ თითქმის გასაგებია. ამ დროს მონათმფლობელობა ბერძნულ-რომაულ სამყაროში დაეცა. ამიტომ ახალი ხალხები სხვა ფორმაციით იწყებენ ეკო-

გვარამ შორანაშვილი
საზოგადოებრივ-ეკონომიური
ფორმაციების შესახებ



ლუციას, გამოტოვენ რა მონათმფლობელობას. თავი რომ დავანებოთ ასეთი არგუმენტაციის სისუსტეს, რატომ ბერძნულ-რომაულ სამყაროს არ შეეძლო გამოეტყობინა მონათმფლობელობა და დაეწყო ფეოდალიზმით, რომელიც თითქოს უფრო ადვილი იყო და უფრო საყიროც, მაშინ როდესაც მონობის კლასიკურმა განვითარებამ ჩიხში მოაქცია ანტიკური საზოგადოება? რატომ უნდა ყოფილიყო ძველი საზოგადოების განვითარება ერთნაირი მთელი 4000 წლის მანძილზე? რატომ ამ დროს არ შეიძლება ფეოდალიზმზე გადასვლა?

იმპლიციტურად ამ საკითხზე მსჯელობისას ტელეოლოგიიდან გამოდინა — ახ. წელთაღრიცხვით V საუკუნის წინ კლასობრივი განვითარება უნდა წასულიყო მონათმფლობელობის გზით, რათა შემდეგ საზოგადოება გადასულიყო ფეოდალიზმზე. მაგრამ რაში ჰირღებოდა კონკრეტულ საზოგადოებას მონათმფლობელობის გავლა ფეოდალიზმზე გადასასვლელად, ფეოდალიზმი ხომ ბევრგან გეაროენული საზოგადოების დამსის შედეგად განვითარდა და თანაც ბევრად უფრო იოლი გზით, ვიდრე კლასიკური მონათმფლობელობის ქვეყნებში? რატომ ახ. წელთაღრიცხვით V საუკუნის შემდეგ არ შეიძლება მონათმფლობელობის ფორმაციათად განვითარება? ხომ ცნობილია, რომ თვით კამბოჯისტური ევროპის განვითარების პრობლემებშიც კი ჰქონდა ადვილი მონობის განვითარებას კოლონიებში? ანდა ამერიკის კოლუმბამდელმა ცივილიზაციებმა რატომ არ გაიარა მონათმფლობელობა? ერთი სიტყვით, ამ მოვლენებს გააზრება სჭირდება და არა ფრაზები.

ძველ ადმისავლელებში განვითარდა მონათმფლობელური წარმოების წესი. ერთი წუთით დავეთანხმებით, რომ ეს ასე იყო. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმას გულისხმობენ, რომ ექსპლოატაციის ვაბატონებული ფორმა მონობა იყო. მაგრამ წარმოების წესის ვასაგებად ეს ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა. უნდა ვიცოდეთ ამ საზოგადოებების ეკონომიკა, ეკონომიკური ურთიერთობათა ერთობლიობა-ბაზისი, როგორც საფუძველი საზოგადოების სხვა მხარეების ვასაგებად. მაგრამ ეს მხედველობის არის მიღმა რჩებათ. ჩვეულებრივად ძველი ადმისავლეების საზოგადოების ბაზისი, ანუ როგორც XVIII საუკუნეში იტყოდნენ „სამოქალაქო საზოგადოება“, წარმოუდგენიათ მხოლოდ ექსპლოატატორისა და ექსპლოატირებულის ურთიერთობების ჩვენებით. მაგრამ თუ უფრო შორს წავალთ და მონათმფლობელურ წარმოების წესში ვიგულისხმებთ იმ ეკონომიკურ შინაარსს, იმ ბაზისს, რაც მას ჰქონდა ანტიკური სამყაროში, აღმოჩნდება, რომ ამ შინაარსით ძველი ადმისავლეების ქვეყნების ეკონომიკის ვაზრება ყოველ შემთხვევაშია. ამ მიმართულებით ვ. სტრუვეს მცდელობის მარცხი ბევრის მოქმედი.

ან რა ნორმალური გზა მონათმფლობელობის ფორმაცია ყველა ძველი ხალხისათვის ცნობილია, რომ ამ საზოგადოებრივი ფორმაციის პირობებში ექსპლოატაცია ძირითადად განვითარდა არა საზოგადოების შიგნით, არამედ საზოგადოებებს შორის. მონათმფლობელობის განვითარება ერთგან ემყარებოდა სხვა საზოგადოებათაგან მონების მოზიდვას. ამიტომ ხდებოდა განვითარების შეჩერება და უკუსვლითი მოძრაობაც კი. მაგრამ ძლიერი სახელმწიფოებისა და იმპერიების შექმნაც კი არა ემართა მონათმფლობელობის ფორმაციად განვითარებისათვის. მით უმეტეს, არ შეიძლება ეს მომხდარიყო ისეთი შედარებით სუსტი სახელმწიფოების არსებობისას, როგორც ამას აზიის უმრავლეს სახელმწიფოებში ჰქონდა ადვილი. მით უმეტეს, რომ ამ ქვეყნების მმართველ ზედაფენას ადგილობრივი გუბნობის სახით სამუშაო ძალა საქაზრისად ჰყავდა. ან როგორ შეიძლება უზარმაზარი მოსახლეობის შემცველი ძველი ინდოეთისა და ჩინეთის საზოგადოებების დამყარება სხვა ხალხების ექსპლოატაციაზე მთელი 3000-2000 წლის განმავლობაში, როცა ამ ძველ ქვეყნებში „მონათმფლობელური“ საზოგადოება არსებობდა?

ასევე ფართოდ ვაგრცელდა მონათმფლობელური საზოგადოებიდან ფეოდალიზმზე გადასვლის თვალსაზრისი, რომელიც ამ გადასვლას უკავშირებს ახალი საწარმოო ძალების გაჩენას, უშუალო მწარმოებლის დანტერგვების მიზნით მის გადაქცევას ყმა-გლეხად. ძველ ადმისავლეებში ამ გადასვლის პრობლემა არ სჭირებოდა ახსნას უბრალოდ იმიტომ, რომ მცენიერულად არაიყოს დაუმტკიცებია იქ მონათმფლობელური საზოგადოების არსებობა.

ალარ შეჩერდებით კაცობრიობის ევოლუციის ჩვენში ჯერ კიდევ ფართოდ ვაგრცელებული სქემის კრიტიკაზე. ეს სქემა სულაც არ წარმოადგენს თვით ევოლუციის ანალოგს, იგი ეფუძნება არა ისტორიას, არამედ, ასე ვთქვათ, ლოგოციას და მის შესახებ მსჯელობისას აზროვნების ჩაექვას თავის თავში, რაც, როგორც ცნობილია, მხოლოდ სქოლასტიკაა. ჩვენ აქ გვინდა ვ. ი. ლენინის აზრი მოვიტანოთ: „დაწყება საკითხებით რა არის საზოგადოება, რა არის პროგრესი? ეს ხომ ბოლოდან დაწყებას ნიშნავს. საიდან მიიღებთ წარმოდგენას საზოგადოებასა და პროგრესზე, როცა თქვენ ჯერ კიდევ არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ შეგისწავლიათ. კერძოდ, თვით ეს ცნებაც კი ვერ დაგიდგენიათ, ვერც კი შედგომიხართ რომელიმე საზოგადოებრივი ურთიერთობის სერიოზულ ფაქტურ შესწავლას, ობიექტურ ანალიზს? ეს ყველაზე თვალსაჩინო ნიშანია მეტაფიზიკისა, რომლითაც ყოველი მეცნიერი იწყება: სანამ არ იცოდნენ, თუ როგორ შედგომოდნენ ფაქტების შესწავლას, ყოველთვის

თხზავდნენ a priori ზოგად თეორიებს, რომლებიც ყოველთვის უნაკლონი რჩებოდნენ" (თხზულებანი, ტ. 2, გვ. 155. იხ. აგრეთვე გვ. 157). ვ. ი. ლენინის ეს აზრი უაღრესად აქტუალურია დღესაც, მეცნიერთა ერთი ნაწილის კრიტიკისას. ეგრძოდ, კაცობრიობის ევოლუციის განაზრებისას, ცალკეული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების არსის გადმოცემის დროს ისინი არ გამოდიან ცალკეული საზოგადოებების შესწავლიდან და ამ საფუძველზე განზოგადებული სურათის მოცემიდან. იწყებენ მსჯელობას ზოგადად თუ რაში მდგომარეობს კაცობრიობის პროგრესი, წარმოების წესი, მონათმფლობელური საზოგადოება, გადასვლა ერთი ფორმაციიდან მეორეში და ა. შ. მაგრამ საკმარისია მოვხაზინოთ მათი ნააზრევის კორექციის ისტორიულ სინამდვილესთან, რომ სწრაფად დაკრწმუნდეთ მათ უსაფუძვლოებაში. ერთი სიტყვით, ისინი ერთმანეთისაგან წყვეტენ თეორიასა და ისტორიას. ამით ავებს ისტორიის შესწავლაც და თვითონ ლოგიკაც. მაშინ როდესაც ისტორიულისა და ლოგიკურის დამოკიდებულება, როგორც ცნობილია, სულ სხვაგვარია.

საბედნიეროდ, აღნიშნული პრობლემების გააზრება საბჭოურ და უცხოურ მარქსისტულ ლიტერატურაში ისე აღარა დგას, როგორც ამ 10-15 წლის წინათ. დისკუსია დაიწყო ფრანგმა მარქსისტმა ისტორიკოსებმა (მ. გოდელიე, ჟ. სიურ-კანალი, ჟ. შენი, პ. ბუატო და სხვ.). აფრიკის შედარებით განვითარებული საზოგადოებებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის საზოგადოებების შესწავლისას ისინი მიხვდნენ, რომ ეს საზოგადოებები არ გაიაზრება არც მონათმფლობელური და არც ფეოდალური მოდელით, რომ ისინი მთავარ ზაზებში ჰგვანან იმ საზოგადოებას, რასაც მარქსი „აზიურში“ გულისხმობდა. ამან ბიძგი მისცა ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებების ახალ ინტერპრეტაციასაც. დისკუსია გავრცელდა უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვა ქვეყნებში. განსაკუთრებით ინტენსიურად კი სსრ კავშირში. ბევრი რამ ჭრჭერობით გაურკვეველია, ის რაც „ნათელი“ იყო გაბუნდოვანდა, კაცობრიობის განვითარების ერთი მაგისტრალური ხაზის ნაცვლად „გაჩნდა“ რამდენიმე ხაზი, აღმოჩნდა, რომ რაც თითქოს ერთიანაა პასუხით იაზრებოდა, მრავალნიშნა პასუხს საჭიროებს. იქ, სადაც „სისტემა“ იყო, წარმოიშვა ქაოსი. მაგრამ დისკუსიას ჰქონდა უთოოდ პოზიტიური შედეგები. ნაჩვენებია იქნა ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებების მონათმფლობელურად გამოცხადების უსაფუძვლოება (იხ. ი. სემიონოვის, გ. მელიქიშვილის და სხვათა სტატიები), ამ საზოგადოებების სხვაგვარი, ვიდრე მონათმფლობელური და ფეოდალური, ფიზიონომია, მარქსისა და ენგელსის შემკვიდრება აღნიშნული საი-

თხის ვაგებაში (იხ. ნ. ტერ-აკოპიანის, მ. ტერ-კინის, გ. ბალითურისა და სხვ. შრომები). კიდევ შემთხვევაში, ამ დისკუსიაში, ენგელსის რინდელთან შედარებით ბევრად უფრო მკაფიოა ლია.

მაგრამ, როგორც ვთქვით, გაჩნდა მთელი რიგი ხარვეზებიც. არასამართლად გააზრებულ თვით წარმოების წესის, ფორმაციის ცნებებში ცდილობენ, უკანასკნელი შეავსონ ტაქსონომიური ცნებებით. მოკამათოთა ნაწილი (ი. სტუჩეკსი, ლ. ვასილიევი) პირდაპირ აღიარებს, — სხვებში ეს იგრძნობა, მაგრამ ექსპლიციტურადაა ნაჩვენები, — რომ ძველი საზოგადოებების საწარმოო ძალების განვითარების დონესთან არ იყო დაკავშირებული წარმოებითი ურთიერთობანი, რომ ძველი აზიისათვის დამახასიათებელი ექსპლოატაცია, მონობა, ყმა-გლეხობა ვითარდებოდა საწარმოო ძალების განვითარების ერთნაირ ღონეზე. ლ. სედოვი აღიარებს, რომ ეკონომიკა განსაზღვრული ფაქტორი ვახდა კაპიტალიზმის დროს, უწინ კი ასეთ როლს თამაშობდა რელიგია, სახელმწიფო, ოჯახი, ტრადიციები. არქაული საზოგადოების მიმართ ასეთ ფაქტორად ნ. ტერ-აკოპიანს სიხსლით ნათესაობა მიაჩნია. განსაკუთრებით მიუღებელია ა. გურჯევიჩის აზრი: იგი ძველ ფორმაციებს რადიკალურად უპირისპირებს ახალთ იმ არგუმენტით, რომ პირველნი თითქოს დამყარებული იყვნენ პირად ურთიერთობებზე, უკანასკნელი კი საგნობრივზე. საზოგადოების ანალიზის დროს ევრაა გააზრებული ისტორიული მატერიალიზმის მთავარი კანონზომიერებანი, არ ჩანს საზოგადოების ბუნობა, საზოგადოება ზედნაშენური მოვლენების ჩათვლით. ძალიან უჭირთ კონკრეტული ფაქტებიდან ისეთი ცნებების შემუშავება, როგორცაა „წარმოების წესი“, „ფორმაცია“, „ბაზისი“ და სხვ. იგრძნობა ისტორიკოსთა სპეციალიზაცია ცალკეული ეპოქებისა და ქვეყნებისადმი, — ესეც უწყობს შემთხვევაში-რის გამოც, კაცობრიობის ევოლუციის თეორიული გააზრება მათ არ შეუძლიათ. ერთი სიტყვით, თვალში საცემია ისტორიული აზროვნების, ასე ვთქვათ, არც თუ მაღალი დონე.

დისკუსიაში აღძრული პრობლემების გაშეშებისას, უმჯობესია, ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია ევოლუციის. მაგრამ ფილოსოფოსთა დიდი ნაწილი დღემდე გაურბის ამ პრობლემების შესწავლას. ზოგადი მსჯელობები და კატეგორიები კი სინამდვილის შესწავლის გარეშე ძალიან ცოტას იძლევა. როგორც მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ: „ამ აბსტრაქციებს თვისთავად, რეალური ისტორიის გა-

გურამ ყორანაშვილი
საზოგადოებრივ-მაცნოეზური
ფორმაციების შესახებ

რუკე. არაერთიანი დირექტულები არა აქვთ. ისინი არ იძლევიან რეცეპტს ან სქემებს, რომელთაც მიეყენებიან ისტორიული ეპოქები, რომ სიმწვლეები მაშინ იწყებიან, როცა იწყებენ მასალის განხილვასა და მოწესრიგებას, ხეება ეს წარსულ ეპოქას თუ თანამედროვეობას, — როცა იწყებენ მის ნამდვილ ასახვას.

ახლა გადავალთ საკითხზე, თუ როგორ, რა ფორმაციებით შეიძლება გამოვსახოთ კაცობრიობის ევოლუცია. მაგრამ სანამ ამის გადმოცემას დაიწყოებდეთ, გვიჩინა გავამახვილოთ მუხრადლება შემდეგზე: განიხილავენ რა ცალკეულ ქვეყნებს, ისტორიკოსები ადვილად ამჩნევენ, რომ 5-ან 6 საფეხური ყველა მათგანს, განსაკუთრებით ახალ ხალხებს, როდი გაუვლია. პირველყოფილი ფორმაციიდან ზოგი გადავიდა ფეოდალიზმში, გამოტოვა რა მონათმფლობელობა, ზოგი კაპიტალიზმში, ზოგი — ფეოდალიზმიდან სოციალიზმში, ზოგიც პირველი ფორმაციიდან — სოციალიზმში. მსოფლიო ისტორიის მსვლელობა უაღრესად უთანაბრო იყო: ერთ ეპოქაში წინაურდებოდა ერთი ხალხი ან ხალხების ჯგუფი, მეორეში — სხვა. ახალი ხალხები ხელსაყრელ ისტორიულ გარემოში, მოწინავე ხალხების მიღწეებზე დაყრდნობით ტოვებდნენ და ტოვებენ იმ ფორმაციას, რაც უწინდელ პირობებში აუცილებლობას წარმოადგენდა. თუ მონღოლეთის უახლესა განვითარებისათვის კაპიტალიზმზე გადასვლა სულაც არ არის აუცილებელი, კაპიტალიზმი, როგორც ფორმაცია აუცილებელი იყო მსოფლიოს ევოლუციის თვალსაზრისით. თუ ჩვენი ზეცხურები ძველი საზოგადოებიდან ახალ საზოგადოებაზე გადავიდნენ, გამოტოვეს რა მთელი რიგი ფაზები, ეს საწევებით ვსააგებია. მაგრამ ცხადია, ეს არ ნიშნავს მონათმფლობელობის, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ზედმეტობას, არააუცილებლობას კაცობრიობის ევოლუციისათვის.

ისტორიკოსები ამჩნევენ რა ცალკეული საზოგადოებების მიერ გარკვეული ფორმაციის ან ფორმაციების გამოტოვებას, ჩიხში ექცევიან კაცობრიობის ევოლუციის ფორმაციების გააზრებაში. რაში მდგომარეობდა კაცობრიობის ევოლუცია, მისი აუცილებელი ფაზები — ეს მათთვის გაურკვეველია. ასევე ჩაიხში აღმოჩნდნენ ამ მხრით ნ. დანილიესკი, ო. შენგლერი, ა. ტოინი, პ. სოროკინი და სხვ. როგორც ცნობილია, უკანასკნელთა მიხედვით კაცობრიობა, მისი განვითარება, ფაქციებია. არსებობენ ცალკეული ელტურები თუ ცივილიზაციები, რომლებიც ექვივალენტურნი არიან და ევოლუციის ერთნაირ ფაზას გადაინა, ჩვენთან უმრავლესობას მიაჩნია, რომ კაცობრიობის ევოლუციის იდეა ემთხვევა ცალკეული ხალხების ევოლუციის იდეას, გ. ი. იმ ხალხებისა, რომელთაც ისტორიული

განვითარება ჩვენი წვლთალიტების წიქ დაიწყო. ეკუპტე, მესლოტამია, ინდოეთი, ჩინეთი, ირანი, საბერძნეთი და ა. შ., უკვე იწყებენ კაპიტალის ქვეყნებიც გადიოდა იმეცხურისა გორაკ მთელი კაცობრიობა. მაგალითად, თითქოს საკმარისია ეგვიპტის ისტორია შევისწავლოთ, რომ კაცობრიობის ისტორიის განვითარების შინაგანი მექანიზმი და ფაზები ნათელი გახდეს. ამ ფენზე ნათლად ჩანს რა უპირატესობა აქვს ჰეგელის თვალსაზრისს მსოფლიო ისტორიის განვითარების შესახებ, რომ არაფერი ეთქვათ მარქსსა და ენგელსზე!

მათ ასე მიაჩნდათ: განსხვავებით ცალკეული ხალხების განვითარებისა, კაცობრიობის ევოლუცია, მისი საფეხურები უნდა გააზრებულ იქნეს იმ სახით, რომელიც არც ერთი კონკრეტული საზოგადოების ევოლუციის საფეხურებს არ ემთხვევა. ზოგადი, მართალია, ამ შემთხვევაშიც არსებობს კერძო მოვლენები; საფუძველზე, მაგრამ ზოგადი (კაცობრიობის ევოლუცია) არ ემთხვევა კერძოს (ცალკეული ხალხის ევოლუციის).

ამ გარემოების აღნიშვნის შემდეგ გადავალთ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების ჩვენებაზე. თუ რამდენი ფორმაცია გაიარა კაცობრიობამ მარქსისა და ენგელსის აზრით, ამაზე ჩვენ ზემოთ შევჩერდით. ეს არის: პირველყოფილი კომუნისტური, აზიური, ანტიკური, ფეოდალური და კაპიტალისტური. რასაკვირველია; მათ ბევრი რამ არ უთქვამთ. რადგან ისტორიული მეცნიერების იმდროინდელ დონეზე დაყრდნობით, ვერც ატყობდნენ ამის გაკეთება კი ახლა შესაძლებელია. ვფიქრობთ, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადმოვეცეთ კაცობრიობის ევოლუციის პროგრესული მსვლელობის სურათი, ალტერნატივა, ა. ბ. ვიკოს მიმდევრების — ო. შენგლერის, ე. ტოინის და სხვ. — ონციეფციებისა. ამ ფორმის შესრულებას კი, ცხადია, მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა როდი აქვს.

მაშ ასე, ძალიან მოკლედ შევჩერდებით განვილი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციებზე.

პირველყოფილი კომუნისტური ფორმაცია

არ დაიწყებთ საზოგადოების ამ ფაზის თუნდაც მთავარ ხაზებში ჩვენებას. იგი ყველასათვის, ყოველ შემთხვევაში ჩვენში, ნათელია. მხოლოდ ვიტყვით, რომ მარტო ადამიანთა წარმოებითი აქტივობა არ იყო საკმარისი საზოგადოების განვითარების ამ საფეხურიდან.

1. ხეებიან რა ფორმაციებზე მარქსისა და ენგელსის შეხედულებების გადმოცემას, კაცობრიობის ევოლუცია ასეთივე საფეხურებით გამოსახეს მ. ვიტკინმა და ი. სემიონოვმა.



გამოსვლისათვის. ბუნებაც უნდა ყოფილიყო ხელსაყრელი, რომ საზოგადოება კლასობრივი სტრუქტურის მქონე გამხდარიყო. ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ფლორა და ფაუნა იმისათვის, რომ მომხდარიყო მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებელურზე, ე. ი. მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლა. თუ ვარკვეულ გეოგრაფიულ არეალში ეს ბუნებრივი პირობები არ იყო, სხვა განვითარებულ საზოგადოებებთან კონტაქტების წყალობით ეს მინუსი ანაზღაურებული იქნებოდა. იზოლაციის შემთხვევაში კი შემდგომი განვითარება ჩერდებოდა. ასევე ჩერდებოდა ეს გზა უდაბნოების, ნახევარუდაბნოების, მთიანეთის და უკიდურესი ჩრდილოეთის ხალხებისათვის. მათ მოწინავე საზოგადოებებთან კონტაქტებიც კი ვერ შეელოდა. მხოლოდ უახლოესი ფორმაციების განვითარების პირობებში გახდა შესაძლებელი აღნიშნული არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გადალახვა. არახელსაყრელი გეოგრაფიული პირობები იყო მიზეზი კაცობრიობის საქმოდ დიდი ნაწილის შეჩერებისა ამ პირველ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაზე.

აზიური ფორმაცია

კაცობრიობის ევოლუციის ამ სტადიაზე გადასვლა მოხდა ექვსი ათასი წლის წინათ ევკვიტესა და შუმერში. საერთოდ, კაცობრიობის ევოლუციაში ეს პერიოდი არსებობდა ძვ. წ. I ათასეულის დამდეგამდე, როცა ისტორიის არენაზე გამოვიდნენ ბერძნები და რომელები, განმსახიერებლები ახალი ფორმაციისა. ძველი ევკვიტის და შუმერის საზოგადოებები დამყარებული იყვნენ ნეოლითურ ტექნიკაზე. ის სოციალურ-ეკონომიური პროცესები, რთაც ხასიათდებოდა ამ ხალხების, — ისევე, როგორც სხვა ძველი ხალხების, — გადასვლა კლასობრივ საფეხურზე, სულაც არ ჰგავდა, პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასობრივად გადასვლის ნაცნობ სურათს. ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში (ნაყოფიერი ნიადაგი, სწორი რელიეფი ირიგაციისათვის, თბილი კლიმატი, რაც ამკირებდა აუცილებელ შრომის რაოდენობას), ნეოლითური ტექნიკა თვალსაჩინო ეფექტს იძლეოდა, რაც ნაყოფიერად ზედმეტი პროდუქტის მნიშვნელოვანი რაოდენობით დაგროვებაში.

მოსახლეობა უკვე ცხოვრობდა ტერიტორიულ სასოფლო თემებში. წარმოება ეფუძნებოდა დიდ ან მცირე ოჯახს. შესაბამისად ინდივიდუალური იყო მითვისება. შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონე საფუძვლად დაედო საზოგადოების კლასობრივ სტრატეფიკაციას. ხდებოდა შრომის დანაწილება მმართველობაში და მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთა შორის. კლასების წარმოშობის ასეთი გზა არა-

ერთგზის აღნიშნავს ფრ. ენგელსს. სახელმწიფო აქ წარმოიშვა როგორც საერთო ფუნქციები — ირიგაცია, ღრენაფი, თაღაცეა, უმცირესრულეველი ორგანო. ამავე დროს იგი უმცირესრულეველი იყო დაკავშირებული ორგანიზატორულ კლასთან. თუ რატომ არ წაივლიდა აღნიშნული სახის სოციალური სტრუქტურები მონათმფლობელობის გზით, ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა. მოვანდინოთ განზოგადება, რას წარმოადგენს წარმოების აზიური წესი. ეს კაცობრიობის ევოლუციის ის ფაზაა, სადაც კაცობრიობა ძველი აზიის ხალხების სახით შევიდა არქაულ საზოგადოების დამლის შემდეგ. იგი ხასიათდებოდა ნატურალური ეკონომიით, სასოფლო თემების იზოლირებულ არსებობით, ქალაქების უმნიშვნელო განვითარებით. მიწის საკუთრება აქ უმნიშვნელოდ იყო განვითარებული. ვაბატონებული კლასის არსებობა დაკავშირებული იყო არა საკუთრების კონცენტრაციასთან მათ ხელში, არამედ მათ მიერ ვარკვეული, საზოგადოებისათვის აუცილებელი ფუნქციების შესრულებასთან. ამ ტიპის საზოგადოებებში ეკონომიური ბაზისის განვითარების დაბალი დონე გვიხსნის ზედნაშენის ელემენტების განვითარებასაც დაბალ ფორმებში. შემდგომ ათასწლეულებში ეს საზოგადოება ხასიათდებოდა სოციალ-ეკონომიური სისტემის სტატიკურობით. ამ საზოგადოებათა ლოგიკა არ წასულა მონათმფლობელობის მიმართულებით. ჩვენის აზრით, ეს ფორმაცია არც ფეოდალურით შეცვლილა. პირველი კლასობრივი საზოგადოების შემდგომ ათასწლეულებშიც კვლავ ძველი სახით არსებობდნენ. იმავე ევოლუციის გზას იმეორებდა აზიის ბევრი „ახალი“ საზოგადოებაც (გამონაკლამი იყო იაპონია, სჯაჩრთელო და სხვ.). ევლილებები შეიმჩნეოდა მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში (რასების, ხალხების შერევა), დინასტიების ცვლასა და ახალი სახელმწიფოების წარმოქმნაში, კულტურის ამა თუ იმ მხარის განვითარებაში, მათ შორის ზოგან ანტიკური კულტურის გავლენით (არაბული კულტურა). მაგრამ ეს იყო ევლილებანი ძველი თვისების ფარგლებში.

ჩვენ ვეთანხმებით გ. მელიქიშვილს, როცა მან მთლიანად აზიური საზოგადოება სტადიურად უფრო დაბალ საფეხურად წარმოადგინა, ვიდრე ანტიკური და მით უმეტეს, ფეოდალური საზოგადოება. ზემოთ დავინახეთ, რომ ასეთი შეხედულება საკითხზე ჰქონდა ჯერ კიდევ მარქსსა და ენგელსს აზიის შემდგომი ხანის სპეციალისტებმა შესაბამის პერიოდებს თავს მოახვიეს „ანტიკურობა“, „შუა საუკუნეები“, „ფეოდალიზმი“. მაგრამ მათი შეხედულებანი

გურამ შორანაშვილი
საზოგადოებრივ-ეკონომიური
ფორმაციების შესახებ

ვერ უძღვებენ საფინანსო-საგარეო პარტიზანულ ტერორს. აზიის მიმართ ძველი, შუა და ახალი პერიოდების გამოყოფა გარეკვევილია დროის დარაკ მთავარია, არსის მხრივ. ჩვენ ეჭვი არ გვაპარება, რომ მთავარ ხაზებში „ძველი“ და „შუა საუკუნეების“ აზია მსგავსია და ეკუთვნის ერთ ფორმაციას, სახელეობრ, აზიურს.

იმთავც კი, ვინც აღნიშნულ ფორმაციაში იმავე შინაარსს გულისხმობენ, როგორც ეს ზემოთ გადმოვეცით, არ მოსწონთ თვითონ ტერმინი „აზიური საზოგადოება“, რადგან აღნიშნულ ტერმინს საზოგადოებანი არსებობდა აფრიკაშიც, ამერიკაშიც, ოკეანაშიც, ამდენად, ეპითეტი „აზიური“, თითქმის უფრო რელიგიონალურ მომენტზე მიუთითებს, მაშინ როდესაც ეს ფორმაცია გლობალურად იყო გავრცელებული. მართალია, აღნიშნულ რეგიონებში მსგავსი სოციალ-ეკონომიური სტრუქტურები არსებობდა, მაგრამ კაცობრიობის ევოლუციისათვის ისინი, ასე ვთქვათ, გვერდით შტოებს წარმოადგენდნენ. ამ ევოლუციაში მთავარი იყო აზიისა და ჩრდილოეთი აფრიკის საზოგადოების განვითარება, როგორც მომენტი მსოფლიო ევოლუციის მაგისტრალურ გზაზე.

ფრ. ენგელსი წერდა: „ძველი თემები, სადაც კი ისინი არსებობას განაგრძობდნენ, ათასი წლების განმავლობაში უტლანქესი სახელმწიფოებრივი ფორმის, აღმოსავლური დესპოტიზმის საფუძველს წარმოადგენდნენ, ინდოეთიდან რუსეთამდე. მხოლოდ იქ, სადაც ისინი დაიშალა, ხალხები წინ წავიდნენ დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით და მათი უახლოესი ეკონომიური პროგრესი მდგომარეობდა წარმოების გაძლიერებასა და განვითარებაში მონური შრომის შექმნაში“ (ანტი-დიუბინევი. 1952, გვ. 214), მიუხედავად კაცობრიობის ევოლუციის შემდგომ მსვლელობას.

ანტიკური ფორმაცია

ლ. ტოლსტოი პროგრესის იდეის კრიტიკისას გამოდიოდა აზიის საზოგადოებათა გაქვავებულობიდან. უკანასკნელთა მიმართ მან ბევრი რამ სწორად შენიშნა. მაგრამ კაცობრიობა არ შემოფარგლულა აზიით. სხვა რეგიონში, სხვა ხალხების სახით იგი ვადავიდა ევოლუციის ახალ სტადიაზე. ამას ადგილი ჰქონდა ბერძნულ-რომაულ სამყაროში.

ამ სამყაროს განვითარება დაიწყო მთელი რიგი ხელსაყრელი წინამძღვრების პირობებში — რკინის მეტალურგია, მრავალი ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების შეთვისება ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ხალხთაგან, დიდერენციურული გეოგრაფიული გარემო, ზღვები და ა. შ. ასეთ პირობებში დაიშალა თემები, ფართოდ გავრცედა ქალაქები,

როგორც ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრები. შემდეგ სასოფლო თემებში ფელაქები, ურნეობის გავრცელების შედეგად ეს უკანასკნელი დაიშალნენ. გაჩნდა კერძო საზოგადოება მიწაზე; მოხდა საკუთრების კონცენტრაცია სოფლის მეურნეობაში, ხელოსნობასა და ვაჭრობაში. ფელად-ლასაქონლო ურთიერთობების მაღალი განვითარების პირობებში თავისუფალ მწარმოებელთა მასა წყდებოდა წარმოების საშუალებებს. შესაბამის ხელსაყრელ წინამძღვრებში მონობა კლასიკური ფორმით განვითარდა, ე. ი. საზოგადოების წარმოება მნიშვნელოვნად დაეყვანა მონურ შრომას. თავის მხრივ, კლასიკურმა მონობამ ახალ დონეზე განვითარა ეკონომიკა, საზოგადოების ზედნაშენის სხვადასხვა სფეროები. როგორც საწარმოო ძალების, ისე ეკონომიური ურთიერთობებისა და ზედნაშენის შედარება აზიისა და ანტიკურ ქვეყნებში აშკარად უჩვენებს უკანასკნელ საზოგადოებათა თვისობურ განსხვავებულობას პირველთაგან. მონობის ასე ფართოდ გავრცელების მიზეზით ანტიკური საზოგადოება ჩიხში აღმოჩნდა. მოხდა არა საწარმოო ძალების შემდეგი პროგრესი, არამედ უაქსესალ მიღწეული დონიდანაც ე. ი. „ბარბაროსი ხალხებისა“ (ლ. მორგანის ტერმინოლოგიით) და ცივილიზებული ხალხების შერეული ჩიხისაგან ახალი საზოგადოება.

ფეოდალური ფორმაცია

ფეოდალურმა საზოგადოებამ ევროპაში წარმოების უფრო დაბალი დონით დაიწყო, ვიდრე ეს დაამყარა ანტიკურმა საზოგადოებამ თავისი აყვავების ხანაში. საწარმოო ძალების ზრდა ამ ფორმაციაში დიდხანს ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ხდებოდა ახალი კულტურების (ქვაი, შერია, ბრინჯი, ბამბა, თუთის ხე, ციტრუსები) გამოყენება, ახალი ფართობების ათვისება, ხალხთომისახლოების ზრდა. ყმა-გლეხობის შრომას არ შეეძლო გამოეწვია წარმოების თვისობრივი პროგრესი. პროგრესი ამ მიმართულებით უკავშირდება ქალაქებს, ხელოსანთა და ვაჭართა ფენებს, ნაწილობრივ, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მთელი რიგი წარმოებების შეთვისებას. აი ეს მიღწევები: ქარის წისქვილი, ალკოჰოლის მიღება, ბამბეულის, აბრეშუმის ქსოვილების წარმოება, თუქისა და ფოლადის გამოღობა, ბორბლისა და წყლის ენერჯის გამოყენება სამთო საქმესა და ქსოვილების წარმოებაში, მექანიკური საათი, ქალაღი, წიგნის ბეჭდვა, ფანჯრისა და ოპტიკური მიწის წარმოება, კომპასის გამოყენება ზღვისსანობაში, ახალი ზღვების: ჩრდილოეთის, ნორვეგიის, ბალტიის, ატლანტის ოკეანის ათვისება, პროგრესი გემთმშენებლობაში, ფარმაცევტიკაში, მშენებლობაში და სხვ., შრომის საზოგადოებრივი დანაწი-

ლება ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის, კომუნიკაციების განვითარება. საწარმოო ძალების ასეთი და შემდგომი აღმავლობის პირობებში, რომლებიც ანტიკურობასთან შედარებით დიდ ტერიტორიებს მოიცავდნენ, ფეოდალური საზოგადოება დასაველეთ ევროპაში შეცვალა კაპიტალიზტურმა, რომელიც შემდეგ ვაგრცელდა სხვა კონტინენტებზეც. ამ ახალი საზოგადოების ლოგიკის გაშლას კი მიეყვართ განვითარებული უკლასო საზოგადოებისავენ.

ასე წარმოგვიდგება ჩვენ კაცობრიობის მიერ განვლილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციების მსვლელობა. შეიძლება შემოგვედგინო, რომ კაცობრიობის ევოლუციისადმი ასეთი მიდგომა ევროპოცენტრისტულია და უარყოფს საზოგადოების განვითარების საერთო კანონზომიერებებს. ამაზე ვიტყვი, რომ სუბიექტური მიდგომა ევროპისა და აზიის ისტორიისადმი აქ არაფერ შეაშია. სწორედ ისევე როგორც აღიარება IV-II ათასწლეულებში (ძვ. წელთაღრიცხვით) მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრის აზიაში არსებობისა არ გულისხმობს „აზიატურ ტრიზმს“ და ევროპის დამცირებას. მეორე შესიტყვება კი უბრალოდ გაუგებრობაზეა დამყარებული. ისტორიული მატერიალიზმის მიერ დადგენილი კანონზომიერებანი არსებობს ყველა საზოგადოებისათვის. რაც შეეხება საზოგადოების შემდგომ წინსვლა-უკუსვლას ან სტაგნაციას, კონკრეტული საზოგადოების წარმო-

ებით აქტივობის გარდა, ეს დამოკიდებულია იყო ისტორიულ და გეოგრაფიულ ფაქტორებზეც. აზიის, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტების საზოგადოებების განვითარებაში მათი სახით წარმოდგენა, როგორც ევროპისა, — ცხადია, ევოლუციის უწინდელ ფაზებზე, — ჩვენის აზრით, მოკლებულია საფუძველს. ამას რომ ადგილი ჰქონოდა, მაშინ ისტორია საკმაოდ მისტიკური იქნებოდა. დასაველეთი და აღმოსავლეთი ნახევარსფეროების მოსახლეობის ევოლუციის ბედის განსხვავებულობის მიზეზზე ფრ. ენგელსი ლ. მორგანზე დაყრდნობით შენიშნავდა: „განსხვავებული ბუნებრივი პირობები იწვევს იმას, რომ ამიერიდან თითოეული ნახევარსფეროს მოსახლეობა თავისი განსაკუთრებული გზით ვითარდება და მიჯნები ცალკეული საფეხურების საზღვრებზე თითოეული მათგანისათვის განსხვავებულია“ (რჩეული ნაწ. ტ. II. გვ. 221). სხვა დასახლებული კონტინენტების — მხოლოდ ავსტრალიის მიმართ უშეუბუნ ვამონაცისს — საზოგადოებათა ევოლუციის იმავე სახით წარმოდგენა როგორც ევროპისა, საკითხისადმი ძალზე მცდარ მიდგომად გეჩვენება. ასეთი მიდგომა სულაც ვერ ასახავს კაცობრიობის ევოლუციის რთულ სურათს და კიდევ უფრო მცდარია, ვიდრე ცალკეული კონტინენტების თითოეული საზოგადოების განვითარების ერთნაირად წარმოდგენა.



პასილ ქოპალიანი

სვეჟანე ოგბელიანის „ოგბელთა ისტორიის“
ზოგოიკითი გარემოებების ნლოზის საკითხისათვის

XIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსს სტეფანე ორბელიანს¹ სომეხ ისტორიკოსთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მკვლევართა აღიარებით მისი თხზულება — „სისიკანის სახლის ისტორია“ (*Պատմութիւն Տանն Սիսական*) „სიენიეთის ისტორია“ (*Պատմութիւն Սիսեաց աշխարհի*) „მთლად პირველ წყაროებზე არის აგებული“². ივ. ჯავახიშვილის განცხადებით, „სტ. ორბელიანი არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ის სხვა დანარჩენ სომეხ ისტორიკოსთაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება, როგორც საისტორიო მასალების შერჩევით, ისევე მოთხრობის შინაარსით, არც ერთ მთავანს იმის მესამედი ცნობებიც არა აქვს, რაც სტ. ორბელიანმა სომეხეთის შინაური ყოფაცხოვრებისა და წესწყობილების შესასწავლად შეაგროვა თავის თხზულებაში“³.

სტეფანეს ვრცელი ნაშრომიდან ჩვენ გვიანტერესებს მხოლოდ კარინის ბრძოლაში ქართულთა მონაწილეობისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, რომელიც ავტორს თავისი თხზულების 66-ე (65) თავში — „ორ-

ბელთა ისტორია“ — აქვს გაუქმებული. მაგრამ მინდა წინასწარ შევნიშნო, რომ მიუხედავად მკვლევართა მიერ წყაროთა გამოყენების თვალსაზრისით სტეფანესადმი ესოდენი ნდობის გამოცხადებისა, „ორბელთა ისტორიის“ შესახებ მსჯელობის დროს სტეფანე ერთნაირად წარმოგვიდგენს მითსა და სინამდვილეს. ამასთანავე არასწორად გადმოგვიცემს ზოგიერთ მოვლენასა და პიროვნების ისტორიას. მხედველობაში მაქვს კლდეკარის ერისთავთერისთავების საგვარეულო, და კერძოდ, მისი ერთ-ერთი წარმომადგენლის ლიპარტ IV-სა და ზოგიერთი სხვა ქართველი და სომეხი მოღვაწის ისტორია.

სტეფანე ორბელიანი უსაფუძვლოდ მიაყუთვნებს კლდეკარის ერისთავთერისთავებს ორბელიანთა საგვარეულოს. მისი ცნობები უძველესად მარი ბროსეს⁴ და ზოგიერთი სხვა მკვლევრის მოსაზრებას, როცა ლიპარტ ბაღვაშისა და მისი სახლის წევრებს ორბელიანთა საგვარეულოს წარმომადგენლებად მიიჩნევენ. ამის შესახებ ჯერ კიდევ XIX ს. 80-იან წლებში დ. ბაქრაძე წერდა: „შესახებ რატისა (ლაბარაკია იმ რატის შესახებ, რომელიც 1021 წლის ბრძოლაში დაიღუპა — ვ. კ.) ამტკიცებენ, ვითომც რატი ეკუთვნოდეს ორბელიანთ გვარსა“⁵. მკვლევარი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ „ქ-ცბა ლიპარტიკის სახლს იხსენიებს ბაღვივაშებად ანუ ბაღვაშებად“ და ამის ნათელსაყოფად მოაქვს დაეთის ისტორიკოსის ცნობა: „მოკვდა ძე ლიპარტიკის რატი... და ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვივაშთა“⁶.

4 M. Brosset, Additions... გვ. 214—215.
5 დ. ბაქრაძე, წიგნში: ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, თბ. 1885, გვ. 148, შენ.
6 იქვე, გვ. 173; შენ.

1 სტეფანე ორბელიანი, როგორც თვით მოგვითხრობს გარკვევით, იმ ქართველ ორბელიანთა შთამომავალია, რომლებიც დემნას აჯანყების დამარცხების შემდეგ შემთხვევით გადაურჩნენ გიორგი III-ის რისხვას და შემდეგ გასომხდნენ. 1287 წლიდან სტეფანე სიენიეთის, ანუ სისიკანის მიტროპოლიტი იყო. გარდაიცვალა 1303 წელს.

2 ლეონ მელიქიეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, I, თბილისი 1949, გვ. 267.

3 ივ. ჯავახიშვილი, გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში, თბილისის უნივერსიტეტის „მოამბე“, II, 1922, გვ. 249-258.

თმცა, უფრო აღრე გამოქვეყნებულ ნაშრომში დ. ბაქრაძე უკრიტიკოდ იმეორებდა სტეფანეს ცნობებს ლიპარიტისა და მისი გვარის წევრების ორბელიანობის შესახებ.

ლიპარიტის გვარისსახელს შეეხო აგრეთვე თ. ფორდანიას იგი მიუთითებდა, რომ „ლიპარიტი იყო ბაღვაშის ანუ „ბაღვევასის“ გვარისა“⁷, მაგრამ სტეფანეს ცნობასაც ანგარიშს უწევდა და განაგრძობდა: „ანუ, როგორც სტეფანოს ორბელიანი გვარწმუნებს, ჯამბაყურიანთ შთამომავლი. უმთავრესი ამ ჯამბაყურიანთა შტოთაგანი, ორბეთის ციხეში დამკვიდრებული, ცნობილია ორბელიანის გვარით“⁸.

როგორც ვხედავთ, თ. ფორდანიამ თმცა აღნიშნა კლდეკარის ერისთავთერისთავების ნამდვილი გვარისსახელი — „ბაღვაში“, მაგრამ მათი ჯამბაყურიან-ორბელიანობაც აღიარა და, ამდენად, სტეფანეს ცნობასაც დაეთანხმა.

ამასთანავე, თ. ფორდანიამ უყურადღებოდ დატოვა საკითხი თუ რატომ უნდა წარმომდგარიყო სტეფანესუელი „ჯამბაყურ“—იდან ბაღვაში — „ბაღვევაში“? მას რომ გვარისსახელი — „ბაღვევაში“ ეტიმოლოგიური ანალიზი გაეკეთებია, ჯამბაყურიანთა მის კავშირს, ვეჭვობრე, გამოირკვევდა.

უქანსკენლად ავადმიყოსმა ს. ჯანაშიამ მოგვცა ამ საკითხზე კონკრეტული და სწორი განმარტება: კლდეკარის ერისთავთა ერისთავების „საგვარეულოს, — წერს მკვლევარი, — სრულიად შეცდომით ორბელიანებს ეძახიან, მაშინ, როდესაც მათი ნამდვილი გვარისსახელი იყო „ბაღვაში“⁹, მკვრულ-ქანური გვარებისათვის დამახასიათებელი ფორმის (დაბოლოება „ში“)“¹⁰.

სტეფანეს არა სწორი ცნობები აქვს ამ საკითხზე მხედველობაში აგრეთვე ს. ერეშიანს, როცა, აღნიშნავს, რომ ისტორიკოსის ცნობები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია.

ისტორიაში კლდეკარის ერისთავთერისთავების არა ერთი წარმომადგენელია ცნობილი, რომელთა შორის ყველაზე უფრო სახელგანთქმული, როგორც პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი ლიპარიტ IV, ლიპარიტის ძე იყო, მაგრამ ვარდა სტეფანე ორბელიანისა, მას და მისი საგვარეულოს რომელიმე წევრს ორბელიანის გვარის სახელით არაფერს იხსენიებს. ქარ-

თული წყაროები „ბაღვევის“ გვარისსახელით ხოლო უცხოური მართო სახელით იხსენიებენ. კლდეკარის ერისთავთერისთავების გვარისსახელი და დედენას ჩვენ მიზნად არ ვისახებოდა. დავოდ არ მიგვაჩნია, რომ მათი ნამდვილი გვარისსახელი „ბაღვაში“ — „ბაღვევაში“ იყო. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით გვინდა შევეხოთ ერთი ცნობილი მკვლევარის მოსაზრებას, რომელიც ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მიზნად ისახავს გრიგოლ ბაყურიანის ძის ეროვნების შესახებ საკუთარი არასწორი მოსაზრება კიდევ უფრო განავითაროს და ამ მიზნით გრიგოლი, ორბელიანები, და კლდეკარის ერისთავთერისთავები — ბაღვაშები, გენეალოგურად ერთმანეთს დაუკავშიროს. მხედველობაში მყავს აკად. ნ. მარი.

როგორც ცნობილია, პეტრიწონის ქართული მონასტრის შესახებ მსჯელობის დროს პროფ. ალ. ცაგარელი წერდა: «По словам византийских писателей (Анны Камниной), монастырь этот, называвшийся в старину также монастырем Богородицы Петрицониской... основан (?) в 1084 году двумя братьями грузинами (Иверами) Пакурианами (вероятно, из рода князей Джан-Бакуриан-Орбелиани), грузинскими выходцами, поступившими на службу в Византию и носившими высшие придворные звания великого domestika и вел. магистра при имп. Алексее Комнене (1081—1118 гг.)»¹¹.

თმცა, როგორც აკად. ს. ყუბანიშვილი მიუთითებს, „ცდებდა ალ. ცაგარელი, თითქმის ანა კომენენს თავის საისტორიო თხზულებაში ჰქონდეს მოთხრობილი მამათა ბაყურიანის ძეთა მიერ პეტრიწონის მონასტრის დაარსების შესახებ. ასეთი ცნობა ანას „ალექსიადში“ არ მოიპოვება“¹². ცაგარელის ეს შეცდომა შემდეგ თ. ფორდანიამაც გაიმეორა ისე, რომ წყარო არ შეუძომოვებია¹³. ნ. მარიმ კი ალ. ცაგარელის ამ შეცდომას დუმილით გვერდი აუარა და ავტორი იმ საკითხში გააკრიტიკა, რომელშიაც ის სწორი იყო. ნ. მარი წერს: «Профессор Цагарели... основателей Петрицонского монастыря братьев Пакурианов называет груз-

¹¹ Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. III, СПб, 1894, გვ. XII.

¹² გეორგიკა, VI, გვ. 108. შენ.

¹³ იხ. ქრონიკები, II, გვ. 155.

⁷ საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე (1027-1072), თხზულება დიმიტრი ბაქრაძისა, აბ. 1880, გვ. 221-225.

⁸ ქრონიკები, I, 1893, გვ. 194.

⁹ იქვე, გვ. 194-195.

¹⁰ ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, თბ. 1952, გვ. 477.

ვასილ კოპალიანი
სტამბანო ორბელიანის „ორბელთა ისტორიის“ ზოგიერთი გადმოცემის ნდობის საპიტიხისათვის

სინამი «по словам византийских историков (Анны Комниной)»¹⁴.

ალ. ცავარელის სიტყვები: «По словам византийских писателей (Анны Комниной)» რატომღაც ნ. მარის გაკვირვებას იწვევს და იგი წერს: «Каких еще византийских историков имеет в виду А. А. Цагарели, не знаю»¹⁵.

უნდა შევნიშნო, რომ თუ ცავარელი უმართებულოდ მიაწერს ანა კომნენეს იმაზე მეტს, რაც ანამ თქვა, ნ. მარის ზემოაღნიშნული განცხადებით მკითხველს საკითხზე არასწორ წარმოდგენას უქმნის. განა ბიზანტიური წყაროებიდან მარტო ანა კომნენე გვაწვდის ცნობებს გრიგოლ ბაკურიანის ძის ვინაობის გასათვალისწინებლად? ანა, შესაძლებელია, სხვაზე მეტს გრიგოლის მოღვაწეობისა და დამსახურების შესახებ მოგვითხრობდეს, მაგრამ მისი ეროვნების შესახებ მხოლოდ ორიოდ სიტყვას ამბობს და, როგორც ცნობილია, იმასაც შეეცდომით.

ნ. მარმა გვერდი აუარა კედრენე-სცილიცეს იმ ცნობებს, რომელსაც ისინი გრიგოლის ვინაობის გასათვალისწინებლად გვაწვდიან.

გიორგი კედრენე 1001 წელს ბასილ II-ის მიერ დავით კურაპალატის სამფლობელოს დაპყრობის შესახებ მოგვითხრობს და აღნიშნავს: როცა ბასილმა იბერიაში თავისი საქმე მოაგვარა, ფინიკიაში წავიდა და „თან წაიყვანა იბერიის დიდგვარაინები, რომელთაგან უმთავრესნი იყვნენ ბაკურიანი, ფეველატი და ფერსი, ღვიძლი ძმები, რომელნიც მან პატრიკიოსთა ხარისხში აიყვანა“¹⁶.

აღნიშნული პირები, როგორც ცნობილია, დავით კურაპალატის სამეფო კარის დიდი მოხელის ჯოჯიკის შვილები იყვნენ. ხოლო მათ შორის ბაკურიანი გრიგოლის მამა იყო, რომლის შესახებ თვით გრიგოლი წერს: პეტრიწონის მონასტრის წესდება „აღიწერა და დამტკიცა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისითა, ნებითა აღმოსავლთა სევესტროსისა და დიდისა დემესტრიკოსისა სეველისა დასავლეთისათა ძისა

სანატრელისა ერისთავთა მთავრისა ბაკურიანისათა, აღმოსავლელისა და ქართველისა“¹⁷ (ხაზი ჩვენი, ვ. კ.).

გრიგოლ ბაკურიანის ძის ეროვნების შესახებ საყოფად ჩვენ ბევრი სხვა ბიზანტიური, ქართული და სომხური წყაროებიც მოგვეპოვება უკანასკნელ წლებში ამ საკითხზე ბევრიც დიწერა და აქ სიტყვის გაგრძელება უხერხულიც იქნებოდა. მკითხველი ზემოაღნიშნული ორიოდ ცნობითაც მიხვდება, რომ ამ მხრით ალ. ცავარელის სიტყვები კი არა, თვით ნ. მარის გაკვირვებაცაა გასაკვირი. მაგრამ ჩვენი შენიშვნა ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნულით როდია გამოწვეული.

ნ. მარის განაგრძობს დავას ამ საკითხზე და წერს: «Сам от себя А. А. Цагарели далее делает догадку, что эти Пакуриани «из рода Джан-Бакуриани-Орбеллиани»¹⁸, ხოლო შემდეგ არ მოსწონს თ. ეორდანიას გამოხმობებზე ამ საკითხზე და მოუთხოვს: «Последнюю догадку Ф. Жордания... старается отстранить, но быть может, А. А. Цагарели прав, однако лишь в том смысле, что Бакуриани и Джанбакуриани (Орбеллиани) представляют разветвления одного княжеского рода»¹⁹.

როცა ავტორები განბაკურიანი-ორბელიანის გვარისსახელს ასხენებენ მათ მხედველობაში აქვთ სტეფანე ორბელიანის ცნობები და მიუხედავად იმისა, რომ ეს ცნობები არავითარ ამის საფუძველს არ იძლევა, ნ. მარის გვთავაზობს გრიგოლ ბაკურიანისძესთან ერთად ორბელიანები და კლდეკარის ერისთავთერისთავებიც სომხებად მივიჩნიოთ. თუმცა თ. ეორდანიას საკითხს არც სრულად ვანმარტავს და არც იმ დავის საფუძველს იძლევა, როგორსაც ნ. მარის მიმართავს. თ. ეორდანიას წერს: „პროფესორის ცავარლის აზრით ეს ბაკურიანი უნდა იყოს „ჯან-ბაკურიანი“-ორბელიანი“. მაგრამ ვი-

¹⁷ აკაკი შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, თბილისი, 1971, გვ. 61.

¹⁸ Арк'аун монгольское название христиан, гв. 21, შენ. 1, შტრ. А. А. Цагарели, сведения. III, გვ. XII, შენ.

¹⁹ Арк'аун монгольское название христиан, гв. 21, შენ. 1; Штр. თ. ეორდანიას, ქრონიკები, II, თბილისი, 1897, გვ. 155.

²⁰ სტეფანეს ცნობით ქართველი ორბელიანები თითქოს ტინელთა (ჩინელთა) მეფის „ჯიმ-ბაკურ“-ის შთამომავლები არიან (იხ. „ორბელთა ისტორიის“ ქართული ეგრისა, გვ. 54). ამ ლეგენდას სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. მაგრამ თუ „ტინელთა“-ში ტინელთა იგულისხმება, როგორც ეს სხვა შემთხვევაშიც გვაქვს, მაშინ ცნობა იქნებ ინტერესს მოკლებული არ გამოდგეს.



ზანტრელთა „პაეტრიაანი“ უმჯველად არის ოდნავ შეცვლილი ცნობილი გვიანი ბაქურიათა, რომელნიც მოხსენებულნი არიან 1080 წლის ახლო ხანებს ქ-ცხოვრებაში და ხიდისთავის ძეგლის წერაში²¹ (მოაქვს წყაროთა სათანადო აღვილები). როგორც ვხედავთ, თ. ჯორდანიას ამ სიტყვებიდან არ ჩანს თუ რას ეღაპება ის ალ. ცაგარელს. განა უქანასკნელისათვის ცნობილი არ იყო, რომ ბიზანტიურ და ქართულ წყაროებში დამოწმებული გრიგოლ ბაქურიაანის ძე (ანა კომნენესთან შეცდომით ბაქურიანი) ერთი და იგივეა? მაგრამ ნ. მარია ამას ყუ-რადღებას არ აქცევს. მას გარკვეული მიზანი აქვს და ცდილობს ალ. ცაგარელის მოსაზრება ამ მიზნის სასარგებლოდ გამოიყენოს.

რა თქმა უნდა, ყველა მკვლევარს აქვს უფლება თავისი აზრი გამოთქვას ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ ამ მოსაზრებას რაღაც საფუძველი უნდა ჰქონდეს. ასეთი საფუძვლის ძიება კი ნ. მარია საჭიროდ არ ჩათვალა აღბათ იმტომ, რომ ეს ძიება მას სხვა გზით წაიყვანდა, თავისი დებულების სასარგებლოდ არაფერს მისცემდა.

განა ნ. მარისათვის ცნობილი არ იყო, როგორც სტეფანეს ცნობები, ისე ქართული წყაროებიდან კლდეკარის ერისთავთერისთავების ნამდვილი გვირგვინი — „ბაღვაში“? მკვლევარი ვალდებული იყო მათი ნამდვილი გვირგვინის სახელიც — „ბაღვაში“ მოეტანა იქ, სადაც მათივე ჯან-ბაქურ-ორბელიანობაზე აქვს საუბარი.

როგორც აღენიშნეთ, კლდეკარის ერისთავთერისთავების გვირგვინის სახელის დადგენას ჩვენ მიზნად არ ვისახავთ. ვაკვრით შევხებით მხოლოდ იმტომ, რომ მკვლევართა მიერ აღნიშნული მსჯელობის წამოწყების საფუძველს სტეფანე ორბელიანი იძლევა, რომლის ზოგიერთი ცნობის სისწორის შემოწმებას ამ ნაშრომში მიზნად ვისახავთ.

სტეფანე თვით მოგვიხსრობს თავისი ნაშრომის იმ ნაწილის წყაროების შესახებ, სადაც ორბელიანთა საგვარეულოს ისტორია და ლიპარიტის მოღვაწეობა აქვს აღწერილი; წყაროების სიმძიმეს უჩივის და აღნიშნავს: „...ჩვენ ოდნავ (მკრთალად) ვცანით ქართველთა ისტორიიდან. მაგრამ გიორგი მეფის შურისძიებით, რომელმაც მათ (ორბელთ) გვართესლიანად ქართველთა მხედრობიდან მოსპო, წარბოცილ იქნენ მათი სახელები მათი (ქართველთა) ისტორიიდან და ყველა წიგნთა და ეკლესიათაგან. ამის გამო ჩვენ ვამოვიძიეთ და ვცანით რა, ვავიკონეთ მცირედ პრაქტიკულად მცოდნე კაცთაგან და აქა-იქ დარჩენილ მინაწერთაგან, აგრეთვე მათ (ორბელთ) შინაპართა ვაღმოცემთაგან, რომლებიც ვაღ-

მოსცენ წინაპრებმა მეგვიდრეებს (მაშგებმა შეილებს) ჩვენს დრომდე. და რადგანაც მათი (ორბელთ) წინაპართა ამბების ხსენება, აგრეთვე ორბელიანთა გვირგვინის ყველა გამოჩენილი სიმბოლო და საქმენი ქართლში წარბოცილი იყვნენ მათ ეპითა-აღწერილობაში, რომელსაც ქართლის ცხოვრებას უხმობენ, ამიტომ ჩვენც ვერ ვცანით ვითარება და რიგი სიტყვათა, რომ ჩვენც წესიერად დაგველაგა ამ წიგნში. ხოლო რაც სომხურ ენაზე მცირედ ხსენება მათი ეპითოვთ ვაგვარით, აგრეთვე დაბოლოება მათი დასასრულისა, რომელიც ეკვიპოტანლად გვამცნო ჩვენ მხითარ ანელის მშვენიერმა ისტორიამ²².

როგორც ვხედავთ, „ორბელთა ისტორიის“ შესაღვენად სტეფანე ორბელიანის წყაროები ყოფილა ზემოაღნიშნულები, ეპიგრაფიული ძეგლები და წერილობითი ცნობები, კერძოდ ის, რაც „ეკვიპოტანლად“ ვაგვცნო თურმე მას „მხითარ ანელის მშვენიერმა ისტორიამ“. მაგრამ, სამწუხაროდ, მხითარ ანელის თხზულების ის ნაწილი, სადაც ჩვენთვის საჭირო საკითხები შეიძლება ყოფილიყო გაშუქებული, დაკარგულია. ამ თხზულებიდან VII საუკუნემდეელი ამბებია მხოლოდ ცნობილი. „გაგაძელებას კი ჩვენამდე არ მოუღწევია“²³.

ამრიგად, ჩვენამდე მოღწეულ თხზულებიდან არ ჩანს თუ რა „ამცნო ეკვიპოტანლად“ სტეფანეს მხითარ ანელის „მშვენიერმა ისტორიამ“. შემოწმება და დაზუსტება კი, სტეფანეს თხზულებაში აღზრული, მაგრამ გაუგებარი ბევრი საინტერესო საკითხისა არსებული წყაროების პირობებში შეუძლებელი ხდება. ასეთ საკითხთა რიცხვი განეკუთვნება 1048 წლის კარიხის ბრძოლაში ლიპარიტ ბაღვაშისა და მისი ხელქვეითი ლაშქრის მონაწილეობას.

სტეფანე წერს: როცა იბერიაში მეფე იყო დავითი და სომხეთში (ვანადში) შაპანაშა ვაგიკი, ზოლო საბერძნეთში კეისრობდა მონომახი, მაშადაიანთა უთვალავი ლაშქარი მოვიდა ქრისტიანთა მოსასპობად და კარიხის ველზე დაბა-

²² ლ. მელქისეთ-ბეგი, „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს საისტორიო მოამბე №6, თბილისი, 1958, გვ. 39 (ციტირებული ადგილის თარგმანი ეკუთვნის ლ. მელქისეთ-ბეგს) შტრ. ქართული ვერსიის ტექსტი, იქვე, გვ. 55.

²³ იხ. ამის შესახებ ლ. მელქისეთ-ბეგი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, I, ნაწ. II, ფეოდალურ-ბატონყმური ხანის სომხური წყაროები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1949, გვ. 254.

გასილ კოპალიანი

სტაფანი ორბელიანის „ორბელთა ისტორიის“ ზომიერადი ბაზოციონის ნაწილის საკითხისათვის

²¹ ქრონიკები, II გვ. 155.



ნაკდა. ეს ამბავი რომ მონომახმა გაიგო, «გა-
ზანდა... კომინოსი ტრაპიზონის სამხედროთა და
სახოვე ერთბაშად შემწეობა ქართველთა და
სომეხთა... მსმენელმან ამისმან მეფემან დავით
და გაგიკ ვერა იკანიერეს წინააღმდეგობა ძალ-
თა ისპალიანთა, მაშინ დიდად ევედრნეს მსხენ-
ს მას უძღვევლსა ლიბარტი ორბელიანსა (ე. ი.
ბაღვაშ — ვ. კ.) და ჰქვეეს: «წარვედ შენ და
შევედ სამხედროსა საბერძნეთისათა და წინა
აღუდეგ მომდგარსა მტერსა. ხოლო თავადთა
სწავლდათ შესულა ქუბათა, კლდეთა და სიმავრე-
თა შინა».²⁴

სტეფანესავე ცნობით ლიბარტი დავითანხმა
მეფეთა ევედრებას და თითქოს დავითს სთხოვა:
«მეფეო, შეგვედრებ შენ შემდგომთა ჩემთა, რა-
თამცა შურის მეძებებელთა და ბოროტ მოქმედთა
ჩინებულთა ქართველთ ბირებითა არა უმზაკე-
რო, არა დასცე პატივისაგან და არა მიიმძღავრო
მამული მათი».²⁵

ამრიგად, სტეფანეს ცნობით თითქოს დავითი-
ანა და ვაგიკის თხოვნის თანახმად მიიღო კარინის
ბრძოლაში მონაწილეობა ლიბარტიმ, სინამდვი-
ლეში კი, როგორც ცნობილია, კონსტანტინე მო-
ნომახის მოწოდების თანახმად წავიდა მაშინ ლი-
ბარტი თურქთა წინააღმდეგ. მაგრამ სტეფანეს
ეს ცნობა სხვა მხრივაც ეწინააღმდეგება სინამ-
დვილს, კერძოდ, იგი აყალბებს ზოგიერთი მო-
ვლენისა და ბიროგების ისტორიას.

XI საუკუნის შუა რიცხვებში არც დავითი
მეფობდა საქართველოში და არც ვაგიკ შაპანუ
სომეხეთში. როგორც ცნობილია, მაშინ საქარ-
თველოს მეფე იყო ბაგრატ IV, რომელთანაც ლი-
ბარტი მტრული დამოკიდებულება ჰქონდა და
არ შეიძლებოდა თავისი შთამომავლების ბედით
იმ მომენტში ბაგრატიანთის მიენდო. ასე რომ,
სტეფანე ვერ იცნობს ბაგრატ მეოთხეს და არ
არის მისთვის ცნობილი ლიბარტიანსა და კონს-
ტანტინე მონომახის მტრული დამოკიდებულება
საქართველოს სამეფო ხელისუფლებისადმი.

კარინის ბრძოლის შედეგებისა და ლიბარტის
ბედის შესახებაც სტეფანეს ცნობები მოკლებუ-
ლია მეცნიერულ ღირებულებასა და სინამდვი-
ლეს. ამ ცნობების თანახმად ლიბარტიმ თავისი
გმირობით თითქოს «მოსრნა და სძლივა ისპა-
ლიანთა, და მკერენი დაშთომილი ლტოლვილ-
ჰყო».²⁶ ხოლო «შემდგომად სანუალსა დღისმასა
უკუნ-იქცა დიდ მოღვაწე შრომათაგან თვისთა
დიდისა მადლობითა და მრავლის მხიარულებითა.
ხოლო წყევულთა და მკულულთა უფლისა
თვისთა ჩინებულთა ქართველთა შეშინებულთ
გასაოცებელისა ძლიერებისა მისგან ზრახვა

ჰყვეს დიდებულთა და ძალთ-მოთქარათა თანა
ლიბარტიანთა. და უცებ შესკრეს...
ცხენსა მისსა და გარდმოაგდეს ცხენისა მისგან
მხენ იგი ლიბარტი, შუა შეიპყრეს და მოკლეს.
...ოდეს ესმით ესე ისპალიანთა, დიდისა სინა-
რულითა მოიქცენ და ხრძლითა მოსრნეს ძალნი
ქართველთანი და რომელნიმე ლტოლვილ იქ-
ნენ და ვანიზნიგენ ქვეყანასა ზედა».²⁷

სტეფანეს ეს ცნობა ამკარად ეწინააღმდეგე-
ბა, როგორც ქართულ, ისე სომეხურსა და ბიზან-
ტიურ წყაროებს ამ საკითხებზე. მოვიტანოთ
ზოგიერთი მათგანი:

«ქართლის მატინამ» ვადმოგვეცეს: კარინის
ბრძოლაში. — ვაგიკის ყოველი სპა საბერძ-
ნეთისა და ლიბარტიანთა თურქთა. იქმნა მოსრვა
დიდი, და შეიპყრეს ლიბარტი და წარიყვანა
ხუარასანს სულთანსა თანა».²⁸

არისტარკე ლასტივეტელის ვადმოცემით კა-
რინის ბრძოლაში მტერმა ალყა შემოარტყა ლი-
ბარტიანსა და მის ვამბედეგ მებრძოლებს, მათი
ერთი ნაწილი დახოცა, ხოლო ლიბარტი ტყვედ
ჩაიგდო ხელში. როცა ეს დაინახა დანარჩენმა
ლაშქარმა, იგი ვაგიკა, გამარჯვებული მტერი
ტყვევებითა და ნადავლით უკან დაბრუნდა. ქარ-
თველი ფეოდალი ლიბარტი კი ხალიფას (სულ-
თანს) მიუყვანეს, როგორც ყველაზე დიდი და
ყველაზე უფრო სასურველი ნადავლი.²⁹

კიდევ უფრო ვრცლად კარინის ბრძოლაში
ბიზანტიელებისა და ქართველების დამარცხები-
სა და ლიბარტიანთა დატყვევების შესახებ ბიზან-
ტიელი მწერლები კვდრენ — სკილიცი.³⁰ მი-
ხეილ ატალიატი³¹ და იოანე ზონარა³² ვადმო-

²⁷ იქვე.

²⁸ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუ-
ხჩიშვილის მიერ, I, 1955, გვ. 302.

²⁹ *История Мухоморова* *Армянская* *Характер*
Самослужения, *России*, 1912,
გვ. 88; რუსული თარგმანი:

Повествование вардпета Аристакеса
Ластиверци, перевод с древнеармянского,
вступительная статья, комментарии и при-
ложения К. Н. Юзбашьяна, Москва, 1968,
გვ. 95.

³⁰ Georgii Cedreni, II, 579, 23—580, 4, 20—
24 გეორგიკა, V, გვ. 77-78.

³¹ Michaelis Attaliatae Historia, Opus a
Wladimiro Bruneto de Presle, instituti gal-
lici socio, inventum, descriptum, correctum.
Recognovit Immanuel Bekkerus. Bonnæ,
1853, გვ. 45; გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლე-
ბის ცნობები საქართველოს შესახებ, VI, ტექს-
ტები ქართული თარგმანიურთა გამოსცა და
განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბი-
ლისი, 1966, გვ. 24-26.

³² გეორგიკა, VI, გვ. 236-238.

²⁴ «ორბელთა ისტორიის» ქართული ვერსია,
გვ. 55.

²⁵ იქვე, გვ. 55-56.

²⁶ «ორბელიანთა ისტორიის» ქართული ვერ-
სია, გვ. 57.

გვეყენ, რომელთა ცნობების აქ მოტანა ზედ-
მეტრ იქნებოდა.

ამასთანავე, როგორც ცნობილია, ლიპარიტა
1051 წელს ვათაისუფლებული იქნა ტყვეობი-
დან და ამის შემდეგ კიდევ დიდხანს ებრძვის
ბაგრატ მეოთხეს ბიზანტიის იმპერატორის დახ-
მარებით, მაგრამ მარცხდება და საბოლოოდ
ათონის მთაწმინდის ქართველთა მონასტერში
პპობებს თავშესაფარს. სტეფანეს მიხედვით კი
ქვეშევრდომების მიერ ლაღატით მოკლული ლი-
პარიტი თითქოს დიდი პატივით წასვენეს მისმა
ერთგულებმა და დაასაფლავეს მისი წინაპრების
მიერ აშენებულ ბეთანიის მონასტერში, სადაც
„მივიდა მეფე დავითი ყოვლითა დიდებულები-
თა და სამხედროთა, და ჰყო ვოღება დიდი მას
ზედა და შთასვენა საფლავსა მამა-პაპათა თვის-
თა თანა“.³³

სინამდვილეში კი, როგორც ცნობილია, ლი-
პარიტი „მოიცვალა საბერძნეთის სამეფოსა. ქა-
ლაქსა კონსტანტინეპოლს, და წარმოიყვანეს
დიდითა დიდებითა ერთგულთა და ვაზრდილთა
მისთა, მოიყვანეს და დამარხეს კაცს, სამარხა-
სა მამათა მისთასა“.³⁴

ამრიგად, როგორც კარიხის ბრძოლაში ქვე-
შევრდომთა მიერ ლიპარიტის დაღუპვისა, ისე
მისი წამოსვენებისა და დასაფლავების შესახებ
სტეფანეს ცნობები მცდარია და მათ არაფერი
აქვთ სინამდვილესთან.

რაც შეეხება სტეფანეს მიერ დასახელებულ
დავით მეფეს, ძნელი ვასაგებია ერთ დავითს
გულისხმობს ავტორი თუ ორს სხვადასხვა დროს.
იგი ჯერ გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ
მიანდო ლიპარიტმა თავის შთამომავლებს ბედი
დავით მეფეს, შემდეგ იმაზე, რომ დავითმა
„შთასვენა საფლავსა მამა-პაპათა თვისთა თანა“
ლიპარიტი. ხოლო ამ მომენტიდან დიდი ხნის
გასვლის შემდეგ, ძლიერ დავით გიორგის ძის
მეფობის დროს, — განაგრძობს სტეფანე, — აღე-
ბულ იქნა ტავეში, ვაგი, ტერუნაკანი³⁵, ლორე
და ანი 572 (1123) წელსო.³⁶

³³ „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია,
გვ. 57.

³⁴ „ქართლის მატიაზე“, ქართლის ცხოვრება,
I, 1955, გვ. 305-306

³⁵ ტავეში, ვაგი დ ტერუნაკანი, „ორბელთა
ისტორიის“ ქართულ ვერსიაში არ არის აღნიშ-
ნული.

³⁶ *Հատմանի Տան Միսիակն, Մոսկվա*,
1861, გვ. 277;

რუსული თარგმანი. — О великом нахарар-
стве Орбелианов, წიგნში: Исследования и
статьи Н. О. Эмина по армянской мифоло-
гии, археологии, истории и истории лите-
ратуры (за 1858—1884 гг.), с приложением
переводов из армянских историков, Москва,
1896, гв. 361—362.

ასე რომ, აღნიშნულ საკითხზე **სსცკლიპის**
დროს სტეფანე აზნევის მეთხველს, **გვეყენებოდა**
რომელ გიორგის მიხედვს სტეფანეს **სსცკლიპის**
მამად. სტეფანემ იცის კარიხის ბრძოლის ფაქტი
და ის, რომ მამინ ბიზანტიის იმპერატორი კონ-
სტანტინე მონომახი იყო, მაგრამ როგორც უკვე
ითქვა, არ იცნობს საქართველოს მამინდელ მე-
ფეს, არ იცის ამ მეფისადმი ლიპარიტისა და მო-
ნომახის მტრული დამოკიდებულება. XI საუკუ-
ნეში, 1089 წლამდე, საქართველოს მეფეს დავი-
თის სახელწოდებით ისტორია არ იცნობს. სტე-
ფანეს მსჯელობით კი, ლიპარიტ IV-ის თანამედ-
როვე საქართველოს მეფე დავითია, რომელიც
თითქოს ბაგრატ III-ის ძის, გიორგი პირველს
ტახტის გამგებელად იქნა.

სტეფანე ერთმანეთში ურეეს აგრეთვე შირა-
კის (ანისის) მეფეს ვაგი I შაპანშას (990-1020)
და ვანანდის მეფეს ვაგიეს (1029-1064). სწორედ
ეს უკანასკნელი იყო ლიპარიტის თანამედროვე,
მაგრამ იგი შაპანშას ტიტულს არ ატარებდა.
ამიტომ ნ. ემინი ფიქრობს, რომ სტეფანეს მიერ
დასახელებული სომხეთის ამ მეფევი ვაგი I
შაპანშა იგულისხმება,³⁷ რომლის შესახებ „ქარ-
თლის მატიაზე“ გადმოგვცემს: ბაგრატ მესამემ
(975-1014) „წარგზავნა მოციქული წინაშე ვა-
გიე შაპანშა სომეხთა მეფისა; აწვა რათა იძიონ
შური ფაღონისაგან“.³⁸

ეს ვაგიე შაპანშა ლიპარიტის თანამედროვე
არ იყო და ამასთანავე, რომელი ვაგიეც არ
უნდა ვიგულისხმობთ, სულ ერთია, დავითის სა-
ხელის მქონე მეფე საქართველოში არც ერთი
მათგანის დროს არ ყოფილა თუ არ მივიღებთ
მხედველობაში დავით კურაპალატს, რომლის
მოღვაწეობიდან 990-1001 წლები ვაგი I შა-
პანშას მოღვაწეობის პირველ მესამედს ემთხ-
ვება.

ამრიგად, სტეფანე ორბელიანის ზოგიერთი
ცნობა მცდარია, ამჟამად ეწინააღმდეგება სი-
ნამდვილეს და მისი ნიღბა არ შეიძლება. მაგ-
რამ გვაძლევს თუ არა ეს საფუძველს, რომ
კარიხის ბრძოლაში ქართველების მონაწილეო-
ბისა და რაოდენობის შესახებ სტეფანეს მიერ
მოწოდებულ ცნობასაც უნდობლობა გამოვე-
ცხადოთ? რა თქმა უნდა არა.

სტეფანეს გადმოცემით, როცა თურქ-სელ-
ჩუკები ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოში
შეიჭრნენ და მათ წინააღმდეგ ბერძენთა დასახ-
მარებლად ლიპარიტი წაიდა, მან საქართველო-

³⁷ О великом нахарарстве Орбелианов,
გვ. 255-256, 259, 358 და სძიებელი.

³⁸ „ქართლის მატიაზე“, ქართლის ცხოვრება,
I, 33-279.

პასილ კოპალიანი

სტიმუანი ორბელიანის „ორბელთა
ისტორიის“ ზოგიერთი გადმოცემის
ნდობის საკითხისათვის



დან თან წაიყვანა: თავის ხელქვეითი 700 დიდი აზნაური, 16000 მუხრბოლი ვაჟაკი და აგრეთვე 10000 კაცისგან შემდგარი სამეფო ლაშქარი, სულ 26700 კაცი. ასეთი მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოყვანა იმიტომ შეძლო ლიპარიტი, — აღნიშნავს სტეფანე, — რომ იგი იბრძოლის სამეფოს ნახევარს ფლობდა.³⁹

XI საუკუნის 40-იან წლებში ლიპარიტი მართლაც ფლობდა საქართველოს დიდ ნაწილს და მას მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოყვანაც შეეძლო. მაგრამ ზემოაღნიშნულ ცნობაში ყველაფერი მაინც არ არის ნათელი, კერძოდ, გასარკვევი რჩება თუ ვისა, რომელი მეფის — საქართველოსა თუ ბიზანტიის — ლაშქარი იგულისხმება 10000 კაცში? სტეფანეს მსჯელობამ დაგვარწმუნა, რომ ავტორი აქ საქართველოს მეფის ლაშქარს უნდა გულისხმობდეს.

როგორც აღნიშნული იყო, სტეფანე წერს: როცა თურქები ბიზანტიის სამფლობელოში შეიჭრნენ მაშინ საქართველოში დავითი, სომხეთში (ვიანადში) შაპანშა გაგვიკი მეფობდნენ, ხოლო საბერძნეთის (ბიზანტიის) იმპერატორი იყო მონომახი. განავრცობს რა შემდეგ, როგორც აღნიშნული მეფეებისა და იმპერატორის, ისე ლიპარიტისა და საქართველოს მაშინდელი მეფის ურთიერთობა ისე აქვს წარმოდგენილი, რომ მათ შორის ვერაფერითაა წინააღმდეგობას ვერ ხედავს. ამდენად, საქართველოს მეფის მიერ თავისი ხელქვეითებიდან 10000 კაცის ლიპარიტის ვაჟკარგულეობაში გადაცემა სტეფანეს სრულიად ბუნებრივი მოვლენად მიიჩნია. ამასთანავე, თითქოს პარადოქსიად, მაგრამ ვინც მაშინდელი პოლიტიკური ამბების სიღრმეში ჩაწვდება არ გამოირკვებას საქართველოს მეფის მიერ ბიზანტიელთა დასახმარებლად აღნიშნული 10000 კაცის გაგზავნის შესაძლებლობას. მართალია, XI საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში ბიზანტიის კეისარი და მისი მოკავშირე საქართველოში ლიპარიტ ბაღვაში საქართველოს მეფის, ბაგრატ მეოთხისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდნენ. მაგრამ ამავე დროს თურქ-სელჩუკები შეტევას ანეითარებდნენ და ბიზანტიასა და საქართველოს ორთავეს საფრთხეს უქმნიდნენ. ასე რომ თუმცა საქართველოს არც ბიზანტია ზოგადად, მაგრამ თურქ-სელჩუკთა სახით კიდევ უფრო მასში მტრები კარზე მოდგომოდნენ, რომლებთანაც საერთო ენის გამო ნახვა მაშინ მას, ჩანს, არც უცდია და არც შეეძლო.

ამასთანავე, შექმნილი პოლიტიკური ვითარების ვაშო საქართველოს სამეფო ხელისუფლება, ბაგრატ მეოთხის მოღვაწეობის ხანაში, ბიზანტიასთან ყოველთვის მშვიდობიანი ურთიერ-

ობის დამყარების სურვილს იჩენდა. ამას თვით საქართველოს ინტერესები მართლაც მიუხედავად იმისა, რომ 1047 წელს ბიზანტიის ლაშქრის დახმარებით ლიპარიტმა ორჯერ დაამარცხა ბრძოლაში ბაგრატ მეფე, თურქების მიერ ლიპარიტის დატყვევებისთანავე „წაყვანა თანა“ განძისათვის ბრძოლაში ბიზანტიელებს ბაგრატ მეფე, „გადაარჩინეს განძის ქვეყანა, და შემოიქცეს მშვიდობით“⁴⁰

XI საუკუნის 20-30-იანი წლების მიწანზე, როდესაც ბაგრატ IV გერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, „წარვიდა დედოფალი მარიამი, დედა ბაგრატისა, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად მიებად მშვიდობისა და ერთობისა“.⁴¹ 40-იან წლებში კიდევ უფრო უნდა ყოფილიყო დაინტერესებული საქართველოს მეფე იმპერატორის გულისმომგებით, რათა ხელი აეღო უკანასკნელს ლიპარიტის დახმარებაზე. სწორედ ამ მიზნით მიღის ბაგრატის 50-იან წლებში კეისართან და ექნებდა მას: „აბაზგის მთავართან დადებული კენონა ხელშეკრულება და ის დაარღვიეო, ხოლო კერძო კაცი განდგომილი მონა (ე. ი. ლიპარიტი — ვ. კ.) დაიხალკეო“.⁴²

ჩვენ გვერნდა მსჯელობა 10000 კაცის სტეფანესეული ცნობის შესახებ და გამოთქვით მოსაზრება, რომ ეს ლაშქარი ბიზანტიის უნდა იყოს იმიტომ, რომ იმპერატორის სამხედრო რაზმები იმყოფებოდნენ მაშინ საქართველოში, როგორც ლიპარიტთან, ისე ბიზანტიელთა მიერ მიტაცებულ ზოგიერთ ციხე-სიმაგრეებში. ამასთანავე შეუძლებლად მიმანდა მიეცა ბაგრატ მეფეს ასეთი ლაშქარი ლიპარიტისათვის, როგორც „თავისი საშიში მტრისათვის“.⁴³ მაგრამ სტეფანეს ცნობების უფრო ღრმად დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ამ 10000 კაცში ავტორი საქართველოს მეფის ლაშქარს გულისხმობს და არა ბიზანტიისას. იგი ამაში სწორი უნდა იყოს მიუხედავად იმისა, რომ კეისარი და ლიპარიტი მტრობდნენ ბაგრატ მეფეს. სტეფანეს მსჯელობით ეს ლაშქარი საქართველოს იმ მეფისა, რომელსაც ის დავითს უწოდებდა.

თუ სტეფანეს საქართველოს მეფის სახელი და სხვა ბევრი დეტალი ეწლება, ამასთანავე თუ ამ მეფისა და ლიპარიტის ურთიერთ მტრობის შესახებ არაფერი იცის, მისთვის ცნობილია კარინის ბრძოლის ფაქტი, მოპირდაპირე მხარეები და ამ ბრძოლაში ლიპარიტის მონაწილეობა, რაც ქართული, ბიზანტიური და სომხური სხვა ეპიქოეტიკური წყაროებთანაც დას-

³⁹ „ქართლის მაციათა“, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 302.

⁴⁰ იქვე, გვ. 294.

⁴¹ Georgii Cedreni, 572, 11-12; გეორგიკა, V, გვ. 68.

⁴² ვ. კობალაძის, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბილისი, 1969, გვ. 250.

³⁹ *ჟამთიქის სახს უჩასახს*, გვ. 274; რუსული თარგმანი, გვ. 359; ქართული ვერსია, გვ. 56.

ტურდება. ე. ი. სტეფანე რეალურ ამბებსაც
გადმოგვეცემს და ლიპარიტის ზელქვეით მყოფი
ლაშქრის შესახებაც მისი ცნობა, რომელსაც
მხოლოდ ის გვაწვდის და სხვა წყაროებში ვერ
ვპოულობთ, ძვირფასიცაა და ანგარიშგასაწე-
ვიც მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობაში ზოგი
რამ (მაგ. 700 დიდი აზნაური) გაზვიადებული
უნდა იყოს.

ამგვარად, სტეფანეს ცნობა აღნიშნული
10000 კაცის შესახებ შეიძლება ისე გავიგოთ,
რომ საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხეც გზა-
ვნის 10000 კაცს თურქთა წინააღმდეგ იმპერა-
ტორის დასახმარებლად, მაგრამ კონკრეტულად
თუ ვის ანდობს ამ ლაშქრის უშუალო მეთაუ-
რობას, ვის უქვემდებარებს მას (ლიპარიტს?)
ამის თქმა ძნელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შეიძლე-
ბა დასკვნა, რომ სტეფანე შეცდომით მიაკუთ-
ნებს ლიპარიტ ბაღვაშს ორბელიანს დასახმარებ-
რეულოს. იგი ვერ ერკვევა XI საუკუნის სა-
ქართველოს პოლიტიკურ ვითარებაში და ყალ-
ბად წარმოგვიდგენს ლიპარიტისა და ზოგიერთი
სხვა პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის
ისტორიას. მაგრამ სტეფანესათვის ცნობილია
კარინის ბრძოლის ფაქტი და მისი ცნობებით
ირკვევა, რომ 1048 წელს, თურქ-სელჩუკთა
წინააღმდეგ ბიზანტიელთა დასახმარებლად მი-
ღის არა მარტო ლიპარიტ ბაღვაში თავის ქვე-
შევრდომებით, არამედ საქართველოს მეფე
ბაგრატ მეოთხეც გზავნის ამ მიზნით 10000
კაცს.



რეპეზ თეარაპე

„როგორც შეშვენის გემს, გავაგასს, მოქალაქეს“

კიდევ მრავალს გაუმარჯოს წიგნებს,
წრფელ სინდისით განათებულ წიგნებს!

გალაკიძონი

ეს წერილი იმის გამო იწერება, რომ გამოცემა წიგნი — მარკუს აგრელიუსი, ფიქრები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ („საბჭოთა საქართველო“, 1972). ოღონდ მკითხველი ნუ მოელოდება, რომ ამ წერილში ნახავს მარკუს აგრელიუსის ნაწარმოების ან ბაჩანა ბრეგვაძისეული თარგმანის განხილვას, ანალიზს თუ შეფასებას: „ფიქრები“ მთარგმნელის წინასიტყვაობივე არის ჩინებულად განხილული და გაანალიზებული, იმდენად ჩინებულად, რომ რაიმეს დამატებას აღარ საჭიროებს; თარგმანს რაც შეეხება, მისი განხილვა (ამ სიტყვის მიღებული გაგებით) ჩემს შესაძლებლობებს აღემატება: საამისოდ საჭიროა, ჯერ ერთი, ძველი ბერძნულის ცოდნა და, მეორეც, ძველი ბერძნულის ისე სრულყოფილად ცოდნა, როგორც რამდენიმე კაცმა თუ იცის საქართველოში; დასასრულ, წიგნი თარგმნილია ბაჩანა ბრეგვაძის მიერ, ხოლო ბაჩანა ბრეგვაძისეულ თარგმანებს განსაზღვრულად ჩხრეკა და კირკიტი კი არ სჭირდება, არამედ ჩაჭდობა და გულდაგულ შესწავლა — ვინმეო ჩაზღვე იმ სასწაულს, რომლის მეოხებითაც ამ კაცის მიერ შესრულებული ყოველი თარგმანი ქართული ენის მშვენიერება და ზეობის ნიმუშად იქცევა ხოლმე.

მაგრამ ბსენებულმა წიგნმა უამრავი საფიქრალი აღმიძრა და ასე ვივარაუდებ — ამ საფიქრალის მცირეოდენი ნაწილი შესაძლოა „ცი-

სკრის“ მკითხველებისთვისაც საგულისხმოდ აღმოჩნდეს-მეთქი. წერილის დაწერაც ამან გადამაწყვეტინა.

შენიშნული გექნებათ: იმ მოაზროვნეთაგან, რომელთა ნაღვანის გაცნობაც გვრგებია წილად, ჩვენს სიმპათიას ისინი უფრო იმსახურებენ, ვინც რეცეპტებით, დოგმებით, იმპერატივებით კი არ გვესიტყვება, არამედ იმის უნარი შესწევს, რომ საკუთარ ნააზრევსაც კრიტიკულად (თუნდაც ირონიულად, გამჭირდველად) უმზიროს. ამასთან, დაკვირვებული კაცი ყოველთვის გამოარჩევს — როდის არის ეს მზერა საესებით გულწრფელი და როდის ცრუობს (ცნობიერად თუ ქვეშეცნულად) ესა თუ ის მოაზროვნე, გვატყუებს ან თავს იტყუებს, ან ორსავე ამას ერთდროულად სჩადის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნაღვანე და ნააზრევი, რაგინდ მომხიბველიც უნდა გვეჩვენოს თავდაპირველად, ბოლოს მაინც უფასურდება ჩვენთვის, „რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა“.

საკუთარი თავისადმი მიმართული ის ღვთაებრივი ირონიული მზერა და დიმილი მართლაც რომ დაუფასებელი ღირსებაა მოაზროვნისა. მისი მეოხებით ბიროვნება თავს იხსნის ხოლმე ეგოცენტრიზმის სენისგანაც და იმ ზოგჯერ ძმელადშესამჩნევი ზადისგანაც, რასაც კო-

ეტობა, საკუთარი თავის წინაშე თუ სხვათა წინაშე პოზაში ჩადგომა შეიძლება ვუწოდოთ. ამნაირ კოკეტობასა და პოზაზე გულისამრევ რასმე ძნელად თუ წარმოიდგენს კაცი. ბევრი, ბევრი მწერლისა და მოაზროვნის დიდება (თურმე ყალბი დიდება!) შემოგვეფუქნებდა ხელში, ამ თვალსაზრისითაც თუ შეხედავთ საქმეს.

მარკუს ავრელიუსი რჩეულთაგანი იყო, ვისთვისაც ღმერთს იმის ნიჭი მიეძღვლებინა, რომ იმგვარი აზრონიული მზერა შეეძლო საკუთარი არსებისთვის. სხვაგვარად არც შეეძლოდა: სტოელთა მოძღვრების ჭეშმარიტ მიმდევარს საამისო სულიერი ვაჟაყობა უშუალოდ უნდა ჰქონოდა. სტოელთა მოძღვრების მიმდევარს და მისი ხედვის მქონეს: უზარმაზარი იმპერიის მფლობელი კაცი მარტოღმარტო იყო. თანაც ეს არ ყოფილა ტირანის მარტობა, იმის შედეგად აღძრული, რომ სულის სიღრმეში ტირანი ყველას სძულს ხოლმე. არა, გულწრფელი სიყვარულითა და პატივით მოსილი იმპერატორი იყო მარტოღმარტო.

სტოიკური მოთმინება, — რამდენადაც გვიტყვამს ეს სიტყვები გულმოდგინებლად! რა ზეაკური სულიერი სიმტკიცე უნდა ჰქონოდა მის დღეში მყოფ ადამიანს, რომ უკვე უფსკრულის პირას მიმდვარსაც წარბეუბრულად ეთქვა:

„მერე რა, თუ ჭეშმარიტ საწყისთა მიხედვით მოქმედებისას ყოველთვის ვერ აღწევს სასურველ მიზანს? ნურც სასოს წარჩევით, ნურც მხნეობას დაჰკარგავ და დაეცევი. შენ დამარცხდი, ხელი მოგეცა? რა ვუყოთ მერე? ხელახლა მიუბრუნდი ხელის მოყარვის მიზეზს და კმაყოფილება ჰპოვე იმაში, რომ შენი ქცევით ამ ბღალავ კაცური კაცის სახელს.“

ეს, ასე ვთქვათ, ემპირიულ პლანზე. მაგრამ ზოგჯერ მეტაფიზიკური პლანიც რომ სასიკეთოს არაფერს უქადდა? მარტო ეს ზარდამცემი ალტერნატივა როგორი გასაძლებია:

„სამყარო ან მწყობრი სისტემა, ან აღრეულობა და ქაოსი?“, „ან შერევა, შეხავება და განქარება, ან ერთობა, წესრიგი და ბედისწერა. თუ დავეშვებთ პირველს, მაშინ რაღამ დამბასა და დამაკავოს ამ მწვირესა და ქაოსში?“, „საერთო ბუნებამ თავისი ნებით შექმნა სამყარო. ყველაფერი, რაც დღეს ხდება, ან ამ შესაქმნის შედეგად ხდება, ან ყველაზე ფასეულიც კი — სამყაროს გამრიგე გონების უზენაესი ტრობის საგანიც — უაზროა და უფასური.“ „მოკლედ, თუ არსებობს ღმერთი, ყველაფერი კეთილია და ღვთაებრივი, ხოლო თუ მხოლოდ შემთხვევითობა, — დე, შენი ქცევა მაინც ნუ იქნება შემთხვევითი.“ „ან საბედისწერო აუცილებლობა და ურყევი წესრიგი, ან მრავალმოწყალე განგება, ანდა შემთხვე-

ვითობის სათარეშო, უაზრო და უსახარო კეთილი“.

ამ „ან — ანს“ ერთი და ორი ბგერით არ მიუყვანია შემოიღობის ზღვარამდე თუ სკეპსისის, თვით ნიპოლიზმის ვიწრობამდე. მაგრამ მარკუს ავრელიუსი მით არ ჰკავდა:

„თუ საბედისწერო აუცილებლობა, — რა აზრი აქვს მასთან შენს ჭიდილს? თუ მრავალმოწყალე განგება, — მოიქეც ისე, რომ ღვთაებრივი შემწვევის ღირსი ჰყო თავი. ხოლო თუ შემთხვევითობის თავაწყვეტილი თარეში, — კმაყოფილი იყავი იმითაც, რომ ამ ქაოსსა და სავანთა ამ უაზროდ მბრუნავ მორცეში შენ ერთი მაინც ინარჩუნებ გარკვეულ აზრს და წარმმართველ საწყისს“.

ამიტომაც ვასუნე ზემოთ საკუთარი თავის თუ სხვათა წინაშე კოკეტობის ამბავი: არავინ იფიქროს, ბოლოს მოტანილი ციტატი ლამაზლამაზი ფრაზები იყოს და მეტი არაფერი. არა, ეს ურყევი მრწამსი გახლდათ, მტკიცედ, შეუვალად დაცული (ისიც გავითვალისწინოთ, რომ „ფიქრები“ მარტობაში იწერებოდა და ავტორის სიცოცხლეში ეკოცებოდა თვალით არ უნახავს). ან რა ეკოცებოდა, ვთქვათ, ამის დამწერს:

„მაღე ყველაფერი, რასაც შენ სჯერებ, მიწად იქცევა, და ასევე მაღე მიწად იქცევიან ამ მიწაქცევის მკერტნი... კაცის სიცოცხლე წამია მხოლოდ; მისი არსი — მარად ხედვინი; შეგარძნება — ბუნდოვანი; აღნავობა სხულისა — ხრწნადი; სული — ცთომილივით მოხეტიალე; ბედი — იღუმალი; დიდება — ფუჭი; ერთის სიტყვით, ყველაფერი სხეულისეული ნაკადს წაავაგვს, სულისეული — სიზმარს, კვამლს, ნისლს; ცხოვრება ბრძოლაა და ხეტიალი უცხო მხარეში; სიკვდილშემდგომი დიდება — დავიწყება. მაშ რაღას მივყავთ, რა გვიწინამძღვრებს? სიბრძნის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ. სიბრძნის მოყვარე კი ისაა, ვინც ხრწნილეისაგან იცავს და უმწიკელოდ ამყოფებს საკუთარ სულში დამკვიდრებულ დემონს...! უმზირე სავნებს, როგორც შეშვენის მამრს, მამაკაცს, მოქალაქეს, მოკვდავს... სამყარო ცვალებადობაა, სიცოცხლე — რწმენა“.

აი, ეს გახლავთ თავი და თავი: „როგორც შეშვენის მამრს, მამაკაცს, მოქალაქეს“. რა ზშირად მართებს ამ სიტყვების გახსენება, ვინაი თავი ვერ დაუხსნია ზოგიერთი დასავლური (დიდად მოდერნი) მოძღვრების დამერთ-

1 „დემონი“ დღევანდელი მორალური მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ — ღმერთი იგულისხმება.

რეპასე თვარაძე

„როგორც შეშვენის მამრს, მამაკაცს, მოქალაქეს“

ხალ და დადგენილ ბიარაბტართა მღვრიე ნაზრევისგან. რაოდენ საწყალობლად გამოი- მხირება მათი მოწუწუნე ფილოსოფია ამ სი- ტყეების, თერამეტი საუკუნის წინ თქმული სიტყვების ფონზე!

მაგრამ ასე რომ მივყევთ, მარკუს ავრელი- უსის მთელი წიგნის გადმოწერა მოგვიხდება...

ამ წიგნის კითხვა ბედნიერებაა თავისთავა- დაც, მაგრამ ბედნიერების გრძობას ის ფი- ქრი გვიორკეებს, რომ ეს წიგნი ქართული კულტურის ძალმოსილების ახალი დადასტურე- ბაა. მარტო თარგმანის დიდმშვენიერების გამო არ ვამბობ ამას. გადაიკითხეთ მთარგმნე- ლის წინასიტყვა, რომელშიც ესოდენ ორგა- ნულად არის შერწყმული ენციკლოპედიური ცოდნა, ურთულეს ფილოსოფიურ თუ ფი- ლოლოგიურ პრობლემათა სადად, მკაფიოდ გაშუქების უნარი და დახვეწილი ესთეტიკის გე- მოვლება; გვეცანით შენიშვნებს, სადაც მარკუს ავრელიუსის ნაზრევს პარალელები ეძებნება კაცობრიული კულტურის ლამის ყოველი დრო- ისა და ყოველი კუთხის ნიმუშებში. ჩვენს წი- ნაშე გადაშლილია ადამიანის აზრის უფრცესი და უმშვენიერესი პანორამა. ამგვარი აპარა- ტურით აღჭურვილ წიგნს განუხივრებელი ევროპელი ლიტერატორნიც სულმოუთქმელად დაეწაფებოდნენ.

ქართული კულტურის ძალმოსილება-მეთქი, მოგახსენეთ. დაუფიქრებლად არ წამომისვრია ეს სიტყვები. ვინც ქართული რენესანსის პრო- ბლემებს ჩაჰკვირვებია, რაღა თქმა უნდა, ჩი- ნებულად იცის, რომ ამ მოვლენას წინ უძღო- და მრავალსაუკუნოვანი დიუცადებელი მთა- რგმნელობითი მუშაობა. დიდად საეჭვოა, მსგა- ესი სამუშაოს წინასწარ შეუსრულებლად „ვე- ფხისტყაოსნის“ ბადალი ქმნილება გაჩენილიყო საქართველოში. მერე საუკუნეები ისე გავი- და, ქართველობას აღარც მოცალეობა ჰქონდა ამგვარი საქმისთვის თავის გასართმევად და აღარც შესაფერისი ხალხი მოეძებებოდა. ახლა ორივე პირობა განადგებულა: მოცალეობაც ჩვენს ხელთ არის და შესაფერისი ხალხიც მო-

ველია ჩვენს ქვეყანას, ოღონდ ^{ვი მორღო-} მება არ დავალოთ საქმეს, ოღონდ რწმენა და გულდაჭერებულობა გვექონდეს!

და ამის გაფიქრებისას უმაღ სხვა აზრიც ჩნდება ნებაუნებურად: რა დიდი საქმის შესრულება ძალუძს თუნდაც ერთ კაცს ერის კულტურის ზეობისთვის. ბაჩანა ბრეგვაძეს და- ქირაეებული მისწავლებლები არასოდეს ჰყო- ლია. სტუდენტობის წლებში ჩაუჭდა და თვი- თონვე ზედმწეებით შეისწავლა ძველი ბერძ- ნული, ლათინური, იტალიური, ესპანური, ფრა- ნგული. არც ის დაეწყებია, რომ გულში ამოკრილი საქმის განსახორციელებლად უწი- ნარეს ყოვლისა ქართული ენის ამსოლტურად შესისხლხორცება იყო აუცილებელი. ამასაც მრავალი დამე დაათია, ათეული წლები შეა- ლია და დღემდისაც თავს აკლავს, თან ჰამდე ვერ შეიჯერა გული — ქართული ჩემი სურვი- ლისამებრ ვერ დამიურვებიაო. აი, ამ „დაუუ- რგებელი“ — ქართულთ თარგმნა პლატონის დიალოგები, პლატონის ტრაქტატები, ჰერაკლი- ტე, არისტოტელე, ფსევდო-ლონგინე, დანტე, პოლ ვალერიო... მომავლის გეგმებს ნულარც იყი- თხავთ.

ჭეშმარიტად დიდი საქმის შესრულება შეუ- ძლია თუნდაც ერთ კაცს. უხანო წუთისო- ფელი საკმაოდ გრძელი ყოფილა საიმიოიდ, რომ შენი ვალის აღსრულება მოასწრო.

„ადამის ტომთა წესი“ ასეთია: კაცს ხელს მიჰყოფს რაიმე საქმეს, მაგრამ, როცა ეს საქ- მე დიდა და ძნელად დასაძლევია, მის გას- რულებამდე შესაძლოა არაერთხელ შეეყო- მანდეს — ეკვი მიეძალება, იქნებ უდებობაც, რწმენა შეერყევა, ვაგლახ, — სულმოკლეო- ბის წუთებიც დაუღებმა (გარეშე შემაფერ- ხებელი გარემოებებისთვის აღარაფერს ვამ- ბობ). ასეთ დროს ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ხოლმე იმავე მარკუს ავრელიუსის ნათქვამი: „დაე, შენს სულში დამკვიდრებული დე- მონი წრფელის გზით წარმართავდეს ღირსეულ არსებას — ჭეშმარიტ რომაელს და მამრს, მამულისთვის თავდადებულს“.

ოღონდ, მე რომ მკითხოთ, ამის წარმოთქ- მისას „რომაელის“ ნაცვლად ერთ სხვა სიტყ- ვას ვამჯობინებდი.



ნესიმის მსოფლმხედველობის გაგებისათვის

აღმოსავლეთის კვლევების სახელმძღვანელო შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის თავისი დროის თვალსაზრისით პოეტი, აზერბაიჯანელი ლირიკის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, სეიდ იმად-ედ-დინ ნესიმი, რომლის რელიგიურ-ფილოსოფიურმა აზროვნებამ და მხატვრულმა ფერწერამ დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო აზერბაიჯანის, არამედ მთელი აღმოსავლეთის კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაზე. თავის რელიგიურ იდეოლოგიასა და მრწამსს თვალდაყვირებით მიეცემული, ამ იდეების თავგადასვლით შექმნილი, ნიჭიერი შემოქმედის ყველა პოეტური პეკარი, რომელიც იმდროინდელი ოფიციალური რელიგიის წრეებში მკრეხლობად იყო მიჩნეული, ბედისწერასთან თამაში იყო.

ოფიციალური რელიგიის დოგმები, დამოკლებს მახვილივით აღმართული, მუდამ შივი აზრდით თან სდევდა ქვეყნიდან — ქვეყანაში მოხეტიალე პოეტს. ავი კიდევაც იგემა მისი მსახერხელი, ხელი, მთელი კაცობრიობის ისტორიაში, ვგონებ, არ არის მეორე პოეტი, რომელიც თავისი მრწამსის გამო, ისე მხეცურად დასჯილიყო, როგორც სეიდ იმად-ედ-დინ ნესიმი. თავგადასვლით მორწმუნეს, რომლის მთელი სწრაფვა ქვეყნობის — ღმერთის შემეცნება და აღიარება იყო, მორწმუნეებმა ცოცხლად გააპრეს ტყავი. ამ გაუგონარმა ფაქტმა პოეტის სახელი მოწამებრივი გვირგვინით შეამკო. გარკვეულმა რელიგიურმა წრეებმა იგი წმინდანად აქცია და მას მრავალი ლეგენდა დაუკავშირა. ალბათ, ესეც არის მი-

ზეზი, რომ დიდი აზერბაიჯანელი პოეტის შესახებ გაცილებით მეტი ლეგენდები არსებობს, ვიდრე მისი ცხოვრების ამსახველი მასალა.

ნესიმი დაიბადა XIV საუკუნის დასასრულს, ზოგიერთი მკვლევარის რწმუნებით 1369-1370 წწ. ქალაქ შემახაში. მიუღია საკმაოდ კარგი განათლება. საფუძვლიანად გაეცნო სუფიზმის იდეოლოგიას, კერძოდ, ცნობილი სუფიების ქერაზი, შიბლის, აღჰამის, ჰალაჯი მანსურის, რუმისა და სხვათა შემოქმედებას, რამაც გადაწყვეტილი იქნა ითამაშა მისი მსოფლმხედველობის ფორმირებაში.

1394 წელს შირვანში პოეტი შეხვდა პურუფიზმის დამაარსებელს ფახლულაჰ ნაიმას, რომელმაც ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ ნესიმმა იგი თავის სულიერ მოძღვრად აღიარა და დიწყო პურუფიზმი იდეების საქვეყნოდ ქადაგება.

პოეტს ზოგჯერ უხდებოდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, რადგანაც იდეოლოგიური პლატფორმა, რომელიც მან აირჩია, ოფიციალური რელიგიისა და სახელმწიფო კანონმდებლობის მიერ იღვენებოდა. ნესიმი ჯერ ანატოლიაში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ კი იმუღებულში იყო სირიაში გადახვეწილიყო. იგი ალექსანდრიაში დასახლდა, სადაც უმაღლესი მიიქცია ალექსანდრიის საზოგადოების ყურადღება. მას მრავალი მიმდევარი გაუჩნდა, ერთ-ერთი მისი მიმდევართაგანი, რომელიც საკაროდ კითხვობდა ნესიმის ფილოსოფიურ ყაზვას, სადაც ადამიანი ღმერთად იყო მოაზრებული, შეიპყრეს. ახალგაზრდამ ამ ვაცა ლექსის ავტორი

და განაცხადა, რომ ის მისი საკუთარი ქმნილება იყო, მსაჯულებმა მას სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. მაგრამ ამ დროს გამოჩენილა პოეტი და განუშარტავს საქმის ვითარება. ნესიმი დააპატიმრეს და მუფთივითა გასცეს ფეტვა: პოეტი ცოცხლად უნდა გაეტყავებინათ. ნესიმი დიდი ვეჯაკობით შეხვედრია ამ განაჩენს და თავისი რაინდული მოქცევით განუციფრებია დამსწრენი. 1417 წელს პოეტი ცოცხლად გაატყავეს. რა იყო მიზეზი ამ ვეჯონარის სასჯელისა? ნეთუ პოეტი მართლაც ღმერთს აუხმედრდა და დაუპირისპირდა, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი? არა, ნესიმის მთელი შემოქმედება აბსოლუტური ქეშმარიტების — ღმერთის დამტკიცების ცდაა. მაგრამ მისი მტკიცების გზა განსხვავდებოდა ოფიციალური რელიგიისაგან და ხშირად რადიკალურად უპირისპირდებოდა კიდევაც მას.

ნესიმის მსოფლმხედველობის მასაზრდოებელი წყარო, სუფიურ-პურიფიკული იდეოლოგიაა, რომელსაც უკავშირდება პოეტის ყველა პროგრესული თუ არაპროგრესული მოაზრებათა ნაკადი.

ახლა ორიოდ სიტყვა ჰურუფიზმის შესახებ. ჰურუფიზმის დამაარსებელია ასტაბადელი დერვიში ფაზლულა-აბი-მუჰამედი, რომელმაც 1386 წელს დაიწყო ქადაგება და თავისი ძირითადი დოქტრინები რამდენიმე ნაშრომში ჩამოაყალიბა. ჰურუფიზმი არ წარმოადგენს საეცებით ორიგინალურ მოძღვრებას, ის აღმოცენებულია სუფიზმისაგან და მის ერთ-ერთ „შემარბუნე“ განმარტებლად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც თითქმის ყველა საშუალო საუკუნეების მიმდინარეობებისათვის, ასევე ჰურუფიზმისათვის დამახასიათებელია ეკლექტიზმი. ალბათ, ესეც არის მიზეზი, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მიმდინარეობის შესახებ საწინააღმდეგო აზრებს შევხვდებით. ზოგი მკვლევარი მას ახასიათებს რეაქციულ-მისტიკურ მიმდინარეობად, (მ. გულიზადე) ზოგი კი მას წარმოგვიდგენს მიმდევრობით პანთეისტურ მიმართულებად, რომელიც უმეტესად მატერიალიზმისაგან იხრება. (ზ. ყული-ზადე) ჩვენი აზრით, ორივე ეს მოსაზრება მოითხოვს დახუტებას და შესწორებას. მართალია, ჰურუფიზმი მისტიკური მიმდინარეობა იყო, მაგრამ იგი თავის დროისათვის უდავოდ პროგრესულ აზრებს შეიცავდა და ამდენად, დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ამ მიმდინარეობის მიმდევრობით პანთეიზმად წარმოდგენა, ისიც მატერიალისტურ სიბრტყეზე, არ უნდა იყოს მართებული.

ჰურუფიზმის ძირითადი არის მოკლედ ასე შეიძლება გადმოვიცხადო: აბსოლუტური ქეშმარიტება ინდივიდუალური სიყვარულით გამოჩინდება, რადგან მის გარდა სხვა, ქეშმარიტად

არსებული არ არსებობს და თავის არს სიტყვის ფორმით წარმოაჩენს. ამიტომ, სიტყვა არის შემოქმედის არსი, ხოლო სიყვარულს არსებობის საფუძველი, მისი დასაწყისი. ასოების მეტამორფოზა ყველა საგანში უნდა ვეძებოთ და განსაკუთრებით ადამიანის სახეში, რადგან ის (ადამიანი) არის ღმერთის მიკროკოსმოსი, მისი ამსახველი წიგნი, ხოლო ადამიანის სახეში კი თვით აბსოლუტური ქეშმარიტება არის გამოჩენილი, რომლის შესასწავლად არსებობს სპეციალური მეცნიერება და ამ მეცნიერების გასაღები ინტერპრეტატორი ფაზლულაჰის ხელთაა. მოჰამედი ოცდაათჯერ ასოთი ქადაგებდა. ფაზლულაჰი კი ოცდაათჯერ მტკიცებით. ამ ოცდაათჯერ და ოცდაათჯერ ასოს ჯამი ყველა საგანსა და მოვლენაში უნდა ვეძებოთ. ამ ასოთა არსთა მისტიკური შემეცნებით აღიქმება სამყარო და თვით აბსოლუტური ქეშმარიტება.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნესიმის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს სუფიურ-პურუფიკული იდეოლოგია წარმოადგენს, მართალია, ჰურუფიზმის ძირითადი სათავე და საყრდენი სუფიზმში უნდა ვეძებოთ, მაგრამ ჰურუფიზმმა თავისი განვითარების მომდევნო ეტაპზე სუფიზმის ზოგიერთი დებულება ჰურუფიკული თვალთახედვით მოიხარბა და განაზოგადა და ზოგიერთ შემთხვევაში დაუპირისპირდა კიდევ თავის პირველად წყაროს. პოეტის მსოფლმხედველობაში მოხდა ერთგვარი შეჯერება ამ ორი მიმართულებისა. გარდა ამისა, თვით პოეტის აზროვნება, როგორც ეს ჩვეულებრივ ჩვევით ქეშმარიტ შემოქმედებს, არ არის სწორსაზოგადი და წინააღმდეგობებით ხასიათდება. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ პოეტმა ტრადიციულად შეისისლხოცა იმდროინდელ საზოგადოებაში ფესვგამდგარი ზოგიერთი აზრი და, რაც მთავარია, არ უნდა დაგვეიწყდეს, რომ ნესიმი, უპირველეს ყოვლისა, პოეტია, რომელიც არ ცდილობს თავის გარკვეულ ფილოსოფიური სისტემის ჩამოყალიბებას, არამედ პოეტურ ხატებაში წარმოგვიდგენს მის დამოკიდებულებას ამათუ იმ მოვლენასთან. გვთავაზობს მოსაზრებებს, რომლებიც მის ცნობიერებაში შემხალდნენ სხვადასხვა ფილოსოფიური თუ რელიგიური მიმართულებათა დაპირისპირების, ან შეჯერების, ანდა უბრალო მექანიკური შეერთების შედეგად. ამიტომ, როცა პოეტის შემოქმედებას ეცნობით, თვალში გიქცემათ ერთი და იგივე საკითხის სხვადასხვა მიდგომით გადაჭრა, და ერთი შეხედვით საწინააღმდეგო მოაზრებათა ისეთი თანაარსებობა, როცა ძნელდება პოეტის საკუთარი პოზიციის გამოკვეთა. ერთი სიტყვით, ნესიმის მსოფლმხედველობა ერთგვარ ემპირიკურ ნარტეს წარმოადგენს, სადაც მისტიკური ელემენტის გვერდით წაჩაღებით პანთეისტურ მომენტს, ხოლო წმინდა

იდეალისტური შეხედულებებთან ერთად — მატერიალისტურ მოსაზრებას. ამიტომ ნესიმის მსოფლმხედველობის გარკვევისას არა ცალკე-ეულ ფაქტებსა და მომენტებს უნდა ვაეწიოს ან-გარიში, არამედ უნდა მოხდეს მისი აზროვნე-ვის ყველაფენისა და ნაკადის გამოწილეთი ანალიზი.

ნესიმის შესახებ არსებულ მდიდარ სამეც-ნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა: ნესიმში — პოეტი ხან თვისტად არის აღიარე-ბული, ხან ათვისტად, ხან — იდეალისტად, ხან — მატერიალისტად, ხანაც — პანთეის-ტად. ჩვენი მიზანი არ არის ამ მდიდარი ლი-ტერატურის კრიტიკული მიმოხილვა, და არც პოეტის შემოქმედების რომელიმე „მოთი“ მო-ნათვლა. აღენიშნავთ, მხოლოდ, რომ ჩვენში, პოლო ხანებში გამოცემული ფუნდამენტური გამოკვლევაში, სადაც ნესიმის შემოქმედების დეტალური ანალიზია მოცემული, პოეტი გა-შოცხადებულია პანთეისტად, რომლის მსოფლ-მხედველობა მთლიანად წარმოადგენს მიმდიე-რობით პანთეიზმს, მატერიალისტისავე ვადახ-არის, უფრო მეტიც, პოეტის მოსაზრებაში ღმერთის უპირისპირდება ადამიანი, ხოლო რწმენას კი — გონება. ვფიქრობთ, ნესიმის მსოფლმხედველობის ასეთი შეფასება ცალ-მხარეა და დაზუსტებას მოითხოვს.

ვიღებ ნესიმის მსოფლმხედველობის ზო-ვიერთ საკითხს შევხებოლეთ, მისწინააღმდე-გად მიმანია გავიხსენოთ პანთეიზმის ზოგი-ერთი დამახასიათებელი ნიშნები. პანთეიზმი-სათვის სამყაროს იდეალური საწყისი ღმერთი და ბუნება, როგორც მატერიალური საწყისი, წარმოადგენს აბსოლუტურ იგივებას. ერთსა და მრავალს შორის სრულ მიმსავსებაა, ტო-ლობაა. ყოველგვარი განსხვავება გამორიცხე-ლია პანთეიზმი არ უარყოფს ბუნების მატე-რიალობას და არც ღმერთის ობიექტურ არსე-ობას. არსებობის სუბსტანციურ საწყისად მოაზრებულია ღმერთი — ბუნება, აბსოლუტურ იგივეობაში მოცემული, რაც შემდეგი თვით არის წარმოდგენილი. ყველაფერი ღმერთია, ღმერთი ყველაფერია, ან ბუნება ღმერთია, ღმერთი ბუნებაშია. ასეთი ფორმულირება არ ხსნის არც ღმერთის და არც ბუნების თანა-ყოფიერ არსებობას. რადგან თეზა — ბუნება, ღმერთი, ბუნების არსებობას არ უკლებულ-ყოფს ისევე, როგორც თეზა — ღმერთი ბუ-ნებაში — ღმერთის არსებობას. პანთეიზმი ეს-ორი საწყისი ერთ სუბსტანციის შერწყმული, მაგრამ მათ აქვე შენარჩუნებული როგორც დეითური, ასევე ბუნებრივი თვისებები. ონ-ტოლოგიურ სიბრტყეზე პანთეიზმი ასეა წა-მოდგენილი „ღმერთი არის ბუნება და ბუნ-ბა არის ღმერთი“, რაც თავისთავად გამორიცხავს ღმერთის თუ ბუნების პირველადობის საკით-ხან დასმას ე. ი. საკითხის ასეთ პლანში წარ-

მოდგენას: ღმერთია განპირობებული ბუნებით, თუ ბუნება ღმერთით. ეს არის ერთი მთლიანი სუბსტანცია, რომლის არსებობის წარმოდგენა მასშივეა მოცემული, თავისთავად არსებობის და თავისი თავით წარმოჩინდება. ამიტომაც პანთეზმი უარყოფს ღმერთის ტრანსცენდენ-ტალურობას, ანთროპომორფულობას და ბუ-ნების მეორადობას, შექმნადობას.

ახლა ვნახოთ, როგორ არის მოაზრებული ეს საკითხი პოეტის მსოფლმხედველობაში. რა მიმართებაშია აბსოლუტური ქეშმარიტება და ხილვადი სამყარო, როგორაა წარმოდგენილი სოფლისა და ზეშთა სოფლის მოდელი და რა გზებით არის დაძლეული ირეალურსა და რეა-ლურს შორის არსებული ამოუცხელები ნაპ-რალი.

ნესიმის მოაზრებით, სამყაროს შემოქმედი არის აბსოლუტური ქეშმარიტება — ღმერთი. ერთარსება ერთი, სისავსე, მთლიანი, ყოველ-გვარი ცალკეულის გარეშე. მარადიული ქმნა-დობა თავისივე სიყვარულის წყალობით და ძა-ლით იწყებს განდენას, ანუ სამყაროს შემოქ-მედებას. პოეტის მრწამსით ამ განდენას სა-ფუძვლად უდევს ღმერთის თვითშემეცნებაში აღძრული სიყვარულის მარადიული გრძობა. აბსოლუტური მშვენიერება ქმნის თავისივე სხვას; მშვენიერების ობიექტს, რომელიც ერ-თი და იმავედროს იქნება სუბიექტიც, და მი-სი, როგორც აბსოლუტური მშვენიერების აღ-მქმელი. ეს არის ერთი მთლიანი მეს აქციდენ-ტური განწყობა. ზემოთწარმოდგენილი შეხე-დულება საერთო საფუძველს უქმნის ნესიმის კოსმოგონიას. მაგრამ ეს საკითხი მის შემოქ-მედებაში სხვადასხვა კუთხით არის გაშუქე-ბული: ოფიციალური რელიგიის, ანუ ისლამის, პურუფიული იდეოლოგიისა და წმინდა მისტე-რული პოზიციებიდან, ყველა ეს შეხედულება უმტიკინეულოდ თავსდება პოეტის აზროვნე-ბაში. ისლამის, ანუ კრეაციონისტული თვალ-საზრისით ალამი სამყაროს ერთპიროვნული შემოქმედი. მან წარმოთქვა სიტყვა „ქუნ“ (იქმენ) და შექმნა სამყარო. ხოლო შემდგომ მიწისა და წყლისაგან ადამიანის მოდელი გა-მოკვეთა და სული შთაბერა. პოეტთან ასეთ ინტერპრეტაციას ვხვდებით რამდენიმე გზის:

ვაფისა და ნუნისაგან შეიქმნა ქვეყანა, ორმოც დღეში შეიქმნა ადამიანი.

1 საშუალო საუკუნეების ლიტერატურაში ქაფი და ნუნი გადმოგვემს სიტყვას ქუნ-ს. რაც ნიშნავს ღმერთის ბრძანებას „იქმენ“.

ელიზბარ ჯაველიძე
ნესიმის მსოფლმხედველობის ბაზიზისათვის

ანდა:

ღმერთმა მიწა და წყალი მოზილა
ე. ი. არში² და ტაბტი შეიქმნა.

ცხადია, აქ პოეტი კრეაციონისტურ პოზიციებზე
დგას.

პურფიული თვალთახედვით სამყაროს შექმნის
საფუძვლად უდევს ლეთიური სიტყვა. ის არის
განსხვავების საფუძველი და ხილვადი სამყაროს
შექმნის მიზეზი. პირველადია სიტყვა, ხოლო
დანარჩენი ყოველივე მეორადი, ამიტომ სიტყვა
და ასო არის ყოველივეს არსადღებული. ნესიმის
შემოქმედებაში ამ მოსაზრებასაც არაერთგზის
გვხვდებით:

მე განვაფინე ჩემი სიტყვა საგნებში,
ნახე, როგორ ავხსენი ეს საიდუმლოება.

სხვაგან კიღევ:

იყო სიტყვა პირველადი სამყაროში
და სიყვარული იქნა მისი შემცველი.

შემდეგ პოეტის შემოქმედებაში გაუთავებელი
მტკიცებაა იმის შესახებ, რომ ყოველგვარ სა-

როცა მიწითგან ამოვიდა — შეიქმნა მინერალი, მცენარე, ხე,
ნათლად აღიქვამს მხედველნი, ის ცხოველის ლუკმად მოდის.
რადგან ცხოველის საკვები ხდება, უახლოვდება ადამიანის სულს,
ადამიანთან შესაერთებლად უხელფეხოდ — მიჰქრის, მიფრინავს.
ადამიანი რომ გახდეს, სული ჯერ ცხოველად გვევლინება,

როცა ის ადამიანს აღწევს, აღწევს თავის მიზანს.

ამ თესლიდან (სერკმადან) იქმნება ადამიანი, მარგალიტით მგორავი, მოდის
როცა ადამიანის საკვები ხდება, ადამიანი ხდება სხეულით და სულით.
შემდეგ ადამიანის სულად იქცევა, რადგან ღვთის ფორმით მოდის.

სხვათა შორის, კოსმოგონიის გაშუქება სხვადასხვა
თვალთახედვით უცხო არ არის საშუალო საუკუნეების
მხატვრული ნაზრებისათვის და მას თითქმის ყველა პოეტთან შეხვედრებით.
მაგრამ ამჟამად ჩვენ სხვა მხარე გვაინტერესებს.
კერძოდ, ზემოთ მოტანილი სამივე თვალთახედვით —
სამყაროს შემოქმედად წარმოღვენილია ტრანსცენდენტალური ღმერთი,
აბსოლუტური ჭეშმარიტება, და მასა და ხილვად
სამყაროს შორის იგივობის ნიშანი ვერ დაისმება.
ცხადია, — ასეთ ვითარებაში ყოველგვარ პანთეიზმზე
საუბარი ზედმეტია.

ასლა შევეხოთ მეორე საყურადღებო მომენტს,
რას წარმოადგენს ნესიმის მოაზრებით ხილვადი
სამყარო? პოეტის შემოქმედებაში მრავალგზის
შეხვედებით განიეთებული სამყაროს ასეთ
დახასიათებას². „რასაც არ უნდა შეხედო, იქ
ღმერთი შეიკანი“. „იცოდე, რომ მეთ-

განთა და მოვლენათა ამხსნელი არსა ღმერთი
რი სიტყვა და ასო.

დაბოლოს, ყველაზე უფრო სრულად მოგონის.
ტი წარმოგვიდგენს სუფიურ-მისტერული მოგონის.
მარადიული ქმნადობა, აბსოლუტური სისავე იწვევს
განფენას და გამოსხივებას ისე, რომ მას არც
არაფერი ემატება და არც არაფერი აკლდება.
უპირველეს ეტაპზე იქმნება გონი, (აქლი ქულ), რომელიც
თავის თავში მოიცავს ჯერ განუცხადებელ
სამყაროს იდეალურ მოდელს. შემდგომ მას მოქმედებაში
მოჰყავს პასიური ნებელობა, პასიური გონება,
(აქლი ნეფეს), რის შემდეგაც იქმნება ცევი და
ელემენტი, ხოლო ამ უკანასკნელთა წყალობით
წარმოიშობება ხილვადი სამყარო, ჯერ კრისტალის,
მერ მცენარის, შემდეგ ცხოველის და ბოლოს,
ადამიანის სახით. ლეთიური სხივი, ვიდრე
ხილვად სამყარომდე მიღწევდეს, გაივლის
ხუთ სამყაროს, რომლებიც დამოუკიდებელი
სამყაროები კი არ არის, არამედ ერთადერთი
არსებობის ცალკეული გამოვლინება.
ეს გახლავთ სულის დამშვენის ინვოლუციური
პროცესი. ნესიმის ამას ასე ვაღმოგვიკვს:

ლი ქვეყანა — ეს ღმერთია“, „აღიქვი ღმერთი,
შეიცან ღმერთი, იცოდე ღმერთი, რამეთუ ღვთის
ღმერთი აღესილია შეიდი ზღვა და ღვთამიწა“.
პოეტის ასეთი შეხედულება, ზოგიერთ მკვლევარს
აფიჭრებინებს, რომ ნესიმო პანთეისტიკა და მასთან
ღმერთი გაიგივებულია ბუნებასთან. მაგრამ, თუ
პოეტის მსოფლმხედველობის მთლიანი სისტემიდან
ამოვალთ, თუ კი საერთოდ ვაკითვალისწინებთ
სუფიურ ფილოსოფიას, მაშინ ნესიმის პანთეისტიკას
საფუძველი გამოვლდება.

სუფიზმის და კერძოდ ნესიმის თვალთახედვით
არსებობს ერთადერთი ჭეშმარიტად არსებული
აბსოლუტური ჭეშმარიტება. ის არის ერთი.
მთლიანი, ყოველგვარი ცალკეულის გარეშე.
სამყარო და არსებული ამ ერთადერთის
გამოჩინება, გამოხსივებაა. მისი ემანაციის
შედეგია, მაგრამ გამოხსივებული (ჩენილი) არ
არის გამოსხივებული, გამოჩენილი. „მზის
სხივი, მზე რომ არ იყოს, არ იარსებებს,
მაგრამ მზის სხივი მზე როდია“. სინამდვილეში
არსებობს ერთი, რომელიც მოჩვენ-

² არში არის მეცხრე ცა, რომელიც ყველა ცას მოიცავს, აგრეთვე ტაბტი, რომელზედაც ღმერთი ავიდა აქ იგულისხმება ადამიანი.

ნებით არის განწილული. სუფიების გაგებით, ხილვადი სამყარო ჰემარიტად არ არსებულა, ის ილუზია დამდგარ წყალში არეკლილი მზეა. ნესიმის თვალთახედვითაც ონტოლოგიურ სიბრტყეზე არსებობს მხოლოდ და მხოლოდ აბსოლუტური ჰემარიტება, ის (ჰუეა), ხოლო მრავალი, განსხვავებული სინამდვილეში არ

გარდა აბსოლუტური ჰემარიტებისა, არ არსებობს არაფერი, თუ კი შენ ამას არ აღიარებ, შენი ბრალია!

ამ კუთხით უნდა გაშუქდეს ნესიმის წმინდა სუფიური მესნევი, სადაც პოეტი გადმოგვცემს აბსოლუტური ჰემარიტების განფენილობას: „ყველა ატომში გამოჩნდა მზე, მხატვარი ნახატში გამოჩნდა, მთლიანად მიწა და ცა ჰემარიტებად იქცა. ამბობს ჩანგი, დაფი და ფლეიტა, მე ვარ ლმერთი. სათაყვანებელი და თაყვანისმცემელი გაერთიანდა. თაყვანისმცემელი ჰემარიტად სათაყვანებლად იქცა. ყველა წვეთი დიდ ოკეანედ გარდაიქცა... აქ წარმოდგენილია აბსოლუტური ჰემარიტების ემანაციის სურათი, მაგრამ ხაზი ესმება მისი არსებობის ერთადერთობას. და ვანუყოფდობას. გნოსტიკოსი მისტიკური ეგზოლტაციის შედეგად შეიცნობს, რომ ყველაფერი და ყოველივე არის ლმერთი და არაა არის თავისთავად არსებული, მის გარდა ხშირად პოეტი სამყაროს წარმოშობის სურათს მისტიკურ სიმთერაოსში წარმოსახავს. დედამიწაზე ქვეყნად სუფიებს აბსოლუტური სიმთერალე.

„ჩინიც მთერალია, ადამიანიც, ცხოველიც, ფრინველიც, მიწაც მთერალია, ქარიც, წყალიც, ცეცხლიც, ლეთიური სიყვარულის ღვინით ყველამ გონება დაკარგა“.

საკითხის ასეთი მოახრება ეწინააღმდეგება პანთეიზმის ძირითად დებულებას — ბუნებისა და ლმერთის თანაყოფიერი არსებობის შესახებ და, ცხადია, თავისთავად ხსნის ნესიმის პანთეისტობის საკითხს.

დაბოლოს, უნდა შევხებოთ კიდევ ერთ საკითხს. როგორ ხდება თვით აბსოლუტური ჰემარიტების შემიცნება, რა გზით წარიმართება ის. საერთოდ, სუფიურ კოსმოგონიაში ადამიანის ცნებას განსაკუთრებული როლი ენიჭება, ლეთიური სული თავის განფენის ანუ დაშვების პროცესს ასრულებს ადამიანში. აქედან იწყება უკვე ზეადსვლა, სული იღვწის დაუბრუნდეს თავის პირველად საბადოს — უფროსს. სუფიები ამ მარადიულ მოძრაობას, ე. ი. ინვილუტორი და ევოლუციური განვითარების კორდინაციულ წერტილად ადამიანს წარმოგვიდგენენ. გარდა ამისა, ადამიანი თავად წარმოადგენს ლმერთის ადემპატურ ასლს, მის მიკროკოსმოსს, აბსოლუტური მშვენიერების ხატს. სუფიური გაგებით, ადამიანი ქმნის შექვეყნ სამყაროს, რომელიც მიკროფორმებში მოიცავს იმ ხუთივე სამყაროს, ლეთი-

არსებულია. ამიტომ თუ „იციღვე, მთელი ქვეყანა ეს ლმერთია“, ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ქვეყანა, როგორც დამოუკიდებელი არსებობა ლმერთის ტოლფარდია, არამედ მხოლოდ ლმერთი არსებობს, ხილვადი სამყარო კი სასებობი არ არსებულია. თვით პოეტიც ხომ ამას გაემცნობს:

ურმა სივება რომ შექმნა ემანაციის დროს, აღმდნა, ადამიანი ყოვლისმომცველია, თვითონ კი განვითარებულ სამყაროში ვერ თავსდება. ნესიმი ამბობს: „ჩემში თავსდება ორივე ქვეყანა, მე ამ სამყაროში ვერ ვთავსდები. ცა და დედამიწა, „ჰაფი და ნუნი“ — ყოველივე ჩემშია“. ადამიანი არის ლმერთის შემოქმედების ძირითადი მიზანი, მის გამო იწყებს აბსოლუტური მშვენიერება თავის თავის განსვებისებას, რათა შეიქმნას საკერტელი სარკე, ამიტომ ყოველგვარი არსებობის თუ მოვლენის მიზანია, რომ ამაღლდეს და შეერწყას ადამიანს. „ამა სურვილით ბრუნავს ცა და დედამიწა... ქრის ქარი, აღდგება ცეცხლი, ყველა საგანი თაყვანს სცემს ადამიანს, რადგან მისი წყალობით შეიქმნენ ისინი“. ხოლო ადამიანის ძირითადი მიზანი და დაუოკებელი სურვილია, შეიმეცნოს აბსოლუტური ჰემარიტება, აბსოლუტური მშვენიერება. სწორედ ამ მიზნით და უნარით ის არის რჩეული რჩეულთა შორის. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? თავისივე თავის დახვეწითა და შესწავლით, თავის „მე“-ს ინტუიციური აღქმით, რადგანაც სუფიების გაგებით, ადამიანი წარმოადგენს ლმერთის მიკროკოსმოსს. ნესიმი წერს: „შეიცნო თავი შენი, რომ შეიცნო ლმერთი“ და კიდევ: „მან ვინც თავის სული შეიცნო და აღიქვა ლმერთი, გახდა ლმერთის მეცნიერი და მონად ყოფილი, სულთანდ იქცა“. ანდა: „ნახე შენ შენი თავი, რა სული ხარ, რა სხეული ხარ. მთელი არსებობის მიზანი და მიზეზი შენ ხარ, რადგან მორწმუნე ლმერთის სარკედ იქცა, სარკეში ჩაიხედე და იქ ლმერთის არსი დაინახე“.

ადამიანი იწყებს თავის თავის ინტუიტიურ შემიცნებას და აღმოაჩენს, რომ მეტაფიზიკურ სიღრმეში არ არსებობს არავითარი სუბსტრატითა სიმრავლე. ყოველივე არსებული იმ აბსოლუტური „ის“-ის იდენტურია. ის არის ის. შემიცნების ასეთი მეთოდით ჰალაჟა მანსური მივიდა ასეთ დასკვნამდე: რადგან არაფერი არ არსებობს ლმერთის გარდა, და ყველაფერია — ის, მეც ვარ ის, ანუ ცნობილი მანსურისებული ფორმულირება: „მე ვარ ლმერთი“. ოფიციალური რელიგიის თვალთახედვით ეს ფრა-

პლიზაარ ჯაველიძე
ნესიმის მსოფლმხიველობის ბაზაზისათვის

ნა მკრეხელობად ეღერს. ჰალაქა სიყვილით დასაყეს, მაგრამ, თუ ჰალაქას ინტუიტური შეშეცნების კანფითარების ყველა საფეხურს მივიღებთ მხედველობაში, თუჩა — მე ვარ ღმერთი, ონტოლოგიურად ნიშნავს ღმერთის ერთ არსებობის აღიარებას. ასე ესმის იგი აღმოსავლეთის უდიდეს მისტიკოსს ჯელოლ-უდ-დინ რუმის, რომელიც საკითხის ნეგატიურ მხარეს ასე წარმოგვიდგენს: „ხალხი დიდ მკრეხელობად თვლის, თუ კაცი იტყვის, მე ვარ ღმერთი“, თუმცა თქმა, მე მისი მონა ვარ“, უფრო მეტი მკრეხელობაა... რადგან, როცა კაცი ამბობს, „ღვთის მონა ვარ“, ამით ის ორ არსებობას ამტკიცებს — ერთი თავისის და მეორე ღმერთისას. მაგრამ მის, ვინც ამბობს, „მე ღმერთი ვარ“, თავის თავს ხაზს უსვამს... ამტკიცებს მე არ ვარსებობ, მხოლოდ ის არის, ღმერთის გარდა ჰუმანიტი არ არსებობს“. ასეთი მსჯელობით, ცხადია, უარყოფილია სუბსტანტიური „მეობა“, სუბიექტის ინდივიდუალობა. შემეცნებელი უგულებელყოფს თავის აღამიანურ მეს და მას ღმერთის მცნებასთან აიგივებს, მაგრამ გნოსოლოგიურ ასპექტში შეუძლებელია მოაზროვნის ინდივიდუალის უგულებელყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში არაერთი აზრი არ ექნება ღმერთის ერთადერთობის მტკიცებას. ამავე დროს, მოაზროვნე აღამიანს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს თავის ინდივიდუალურ არსებობას, თავის აღამიანურ მეობას. და აი, ამ ფაზაში ხდება სწორედ აღამიანის ღმერთად მოაზრება — და ღმერთის აღამიანად წარმოსახვა, მაგრამ თავიდათავის არის, რომ ამ გაღმერთებულ „მე“-ში გნოსოლოგიური შემეცნებისას აღამიანი აგრძელებს არსებობას. ნესიმის პოეზიაში თითქმის ყველა ნაბიჯზე შევხვდებით თუხას, რომ აღამიანი ღმერთია, ანდა ღმერთია აღამიანი. ასე, მაგალითად, „მე ვარ აბსოლუტური არ არსებობა, ღმერთთან მე ვარ ღმერთი“, „არ არის ეჭვი, რომ მე ერთი არსება ვარ ღმერთთან, რომელსაც არ ჰყავს ტოლი“, „მე ვარ უმადლესი ცა, მე ვარ აბსოლუტური შემოქმედი“.

ანდა „დიდი ღმერთი არის თვით აღამიანი ძე“.

თუ კი ღმერთსა და აღამიანს შორის უკავშირებაა, მაშინ აღამიანი იგივეა; რაც მათთვის სხვადასხვა და ყოფიერება. ამის მტკიცებასაც არაერთგზის ვხვდებით პოეტთან. ამგვარად, ნესიმის მსოფლშემეცნებაში აღამიანი კი არ უპირისპირდება ღმერთს, არამედ ის გაღმერთებულია, ანდა, პირიქით, ღმერთი ანთროპომორფულია, რაც თავისთავად, გნებავთ ონტოლოგიურსა და გნებავთ გნოსოლოგიურ ასპექტში ძირითადად უარყოფს ნესიმის პანთეისტურობას. მაგრამ საკითხის ასეთი წარმოჩენა, რომელიც ნესიმის მსოფლშემეცნების ძირითად მომენტად შეიძლება მივიჩნიოთ, უაღრესად პროგრესული იყო იმ დროისათვის. პოეტი ჰერმეტიკული პოზიციებიდან ამტკიცებდა, რომ აღამიანში და, კერძოდ, მის სახეში არის განიულებული ღმერთი, რომ მისი აღქმა მხოლოდ ამ გზით შეიძლება. (მხოლოდ ამ შემთხვევაში ნესიმის გამოთქვამს პანთეისტურ შეხედულებას). ეს კი ნიშნავდა ცნობიერებისა და შემეცნებელი აზროვნების ცენტრში აღამიანის მოქცევას. მისი ღმერთების უაღრესად გაზრდას, და ამ ღმერთების დაცვას. ნესიმის პირდაპირ აცხადებს: „ყველა აღამიანად დაბადებული, რომელიც აღამიანს თაყვანს არ ცემს... ბრუნდება აღამიანის გარეგნობით, მაგრამ სინამდვილეში ეშმაკია“.

ასეთია მოკლედ ნესიმის მსოფლშემეცნების ზოგიერთი საკითხი. მისი აზროვნება წმინდა მისტიკურ სიმბოლეზე დაფუძნებული, და მას (აზროვნებას) ქვეაუთხვდად პანთეიზმი ვერ დაედება. მაგრამ პოეტი თავის დროისათვის უაღრესად პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებაა. მის შემოქმედებაში არაიშვიათად ვხვდებით არსებული სინამდვილის, გაბატონებული საზოგადოებრივი წყობისა და ფიციკალური რელიგიის დოგმატიკის დაუნდობელ კრიტიკას. მაგრამ პოეტის მსოფლშემეცნების იმანენტურობად მიანიც კაცთმოყვარების, აღამიანის გაღმერთების იდეა უნდა ჩაითვალოს.



ქურნალ „სისკრის“ 1972 წლის ნომრების შინაპარსი

რომანი, მოთხრობა, ნოველა, თარგმანი

- აბაშიძე გრიგოლ — ეგარსლან ბაკურციხელი (ნაწიყვეტი რომანიდან), № 1
- ავალიშვილი მანანა — მოთხრობები, № 10
- ამირჯიბი ქაბუა — დათა თუთაშხია (რომანი, პირველი წიგნი), № 1, № 2, № 3, № 4, № 5, № 6, № 7
- არაბული შოთა — გულანის ჭვარის ნაყმევი (მოთხრობა), № 8
- ბერიაშვილი ირაკლი — მოთხრობები, № 10
- ბიბილური თამაზ — ყველაწმინდა (მოთხრობა) № 10
- გიორგაძე ედიშერ — სალამი თქვენდა, ბატონო გოგენ! (მოთხრობა), № 4
- დორჩაშვილი გურამ — ჩემი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა (მოთხრობა), № 9, № 10
- ვასაძე აკაკი — მოთხრობები, № 11
- ზედგენიძე გიორგი — გურგენიძის ბაღდადი (მოთხრობა), № 9
- თაბუკაშვილი ღაშა — სიყვარული ჩუმათელეთში (მოთხრობა) № 10
- ივანიშვილი რევაზ — საყმაწვილო წიგნიდან (მოთხრობები), № 9
- კავაბაძე იასუნარი — მოთხრობები, თარგმანი იზა გოცაძემ, № 12
- კაილა როფე — ნოე (მოთხრობა, ფრანგულიდან თარგმნა თამილა ცინცაძემ № 5
- კეპოტი ტრუმენ — ბალახის სიმღერა (მოთხრობა), ინგლისურიდან თარგმნა ვალენტინა ტატიშვილმა, № 1, № 2, № 3.
- კობერიძე კარლო — მოთხრობები, № 9
- კუხიანიძე ზურაბ — მოთხრობები, № 8
- ლომთაძე ლია — აღზევება (მოთხრობა), № 10
- ლორთქიფანიძე კონსტანტინე — შაბი მღვრიე წყალში (მოთხრობა), № 6
- მალაზონია ლევან — თვითგვემა (მოთხრობა), № 1, № 2
- მალულარია გივი — მეამბოხენი (ისტორიული მოთხრობა), № 8, № 9
- მებრიაშვილი ჭემალ — დედა (მოთხრობა), № 10
- შიშველაძე რევაზ — მოთხრობები, № 3
- როლვე რაინერ მარია — სიმღერა კორნეტ

- ქრისტოფ რილკეს სიყვარულსა და სიყვარულზე, გერმანულიდან თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა, № 12
- რურუა ილია — ფერეიდნული მოთხრობები, № 8
- სალუქვაძე ანზორ — შეთე და ცისყამარი (ზღაპარი), № 4
- სკოვოროდა გრიგორი — მოთხრობები, უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანმა, № 12
- ტოგონიძე გუგული — რა უხაროდა გოგონას (მოთხრობა), № 4
- ჭირია ჭემალ — ამბავი არამხუტისა (ნაწიყვეტი რომანიდან), № 7
- ღონღაძე რუსლან — მეზობელი (მოთხრობა), № 10
- ყავრიშვილი თამარ — მოთხრობები, № 10
- შენგელაია მზია — უტყვი მოწმე (მოთხრობა), № 4
- ჩეკურიშვილი ვალერიან — ბედისწერა (მოთხრობა), № 2
- ჩიქოვანი გრიგოლ — ძმები (მოთხრობა), № 12
- ჩხეიძე ბორის — მუხთიელი ოსტატები (მოთხრობა), № 8
- ჭეიშვილი ვალდერძი — მიოზიტი (მოთხრობა), № 1
- ჭოხონელიძე ბადრი — პატყება (მოთხრობა), № 10
- ჭინჭარაული სოსო — შატყლში (მოთხრობა), № 5
- ხორგუაშვილი გიორგი — შავი გული (მოთხრობა), № 10
- ჭელიკოვ პოლ — მინის კარები (მოთხრობა), თარგმნა ვახტანგ ქლენტმა, № 11

ლექსები, პოემები

- აბულაშვილი ანზორ — ლექსები, № 5
- ამაშუაყელი რეზო — ყინწვისი (ლექსი), № 9
- არაბული მინდია — ლექსები, № 2
- აღხაზოშვილი გივი — ლექსები, № 5
- არჩვაძე ლია — ლექსები, № 3
- ასაგვი რევაზ — ლექსები, თარგმნეს ოთარ შალამბერიძემ, მორის ფოცხიშვილმა, № 7



ბარდაველიძე ბეჟან — ლექსები, № 1
 ბართაია ნომადი — ლექსები, № 7
 ბარნაბიშვილი მერი — ლექსები, № 3
 ბოლქვაძე ზაურ — ლექსები, № 9; ლექსები № 11
 ბუკოვი ემელიან — ჩვენი შეგობრობა (ლექსი), თარგმნა ვახტანგ გორგანელმა, № 12
 გაგუა ზუბა — ლექსები, № 7
 გამსახურდია კონსტანტინე — ჩრდილი, (ლექსი), № 9
 გაფრინდაშვილი ავთანდილ — ლექსები, № 2
 გეგეჭკორი გივი — ქაღალქი ქორღისკაცები ანუ სახლის კეთილი სულები (ავგუსტ კოპიშის მიხედვით), № 7; თუშეთი (ლექსი), № 9
 გერსამია დევის — ლექსები, № 7
 გიგაური გიორგი — ლექსები, № 2
 გორგანელი ვახტანგ — ლენინი შაბათობაზე (ლექსი), № 5
 გოცაძე იზა — ლექსები, № 3
 გრანი აშოტ — ლექსები, თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა, № 6
 გულიანი გავუტ — ჩამოღით ჩემთან, შეგობრებო! (ლექსი), თარგმნა ვახტანგ ჯავახაძემ, № 4
 გულიანი პამილ — სიყვარულის სიმღერა (ლექსი), თარგმნა მორის ფოცხიშვილმა, № 9
 დარაი ივან — კოლმეურნეობის თავმჯდომარის დეკრძალვა (ლექსი), უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ, № 2
 ებანოიძე ზაალ — ლექსები, № 6
 ემინი გეორგი — მე ყველა ხალხის ენა მიყვარს!.. (ლექსი), თარგმნა გივი ძნელაძემ, № 12
 ერისთავი თამარ — ლექსები, № 9
 ვაციბეთისი ოთარ — ლექსი, თარგმნა თედო ბექიშვილმა, № 12
 ვაჰაბზაძე ბაშთარ — მსოფლიო რუქასთან (ლექსი), აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა ერაძემ, № 8
 ვეტემა ენ — ლექსები, თარგმნეს თედო ბექიშვილმა, ამირან კალაძემ № 4.
 ვინგრანოვსკი მიკოლა — ლექსები, უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ, № 2
 ვოზნეხენსკი ანდრეი — ლექსები, თარგმნა შოთა ნიშნაინიძემ, № 1
 ზოიძე შოთა — ლექსები, № 7
 ივარდავა დილარ — ლექსები, № 4
 ინჯია ჭემალ — ლექსები, № 11
 ისაევ-ავარსკი ალი — ლექსები, თარგმნა ანზორ ხალუქვაძემ, № 8
 კახიძე მადეა — ლექსები, № 4; ნუ ჩაიჩოქებ (ლექსი), № 9
 კერცხელიძე ნუნუ — ოტობაია (ლექსი), № 3
 კლდიაშვილი გურამ — ლექსები, № 2, № 11
 კვინტრაძე ქეთინო — ლექსები, № 6

კვიციანი ემზარ — გადარჩენილი სლავური (პოემა), № 10
 კოსტენკო ლინა — ლექსები, უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ, № 2
 ლუიკი ვივი — ლექსები, თარგმნეს თედო ბექიშვილმა, ამირან კალაძემ, № 4
 მამაკაევი მოხამედ — ლექსები, ჩეჩნურიდან თარგმნა ალ. კინკარაულმა, № 12
 მამფორია ოთარ — აბრელის ქარი (ლექსი), № 1
 მაქავარიანი მუხრან — ღმერთკაცი (ლექსი), № 9
 მებურიშვილი ტავუ — ლექსები, № 11
 მილდანი ჭულიეტა — ლექსები, № 8
 მინდაძე ბიძინა — ლექსები, № 11
 მირნელი მირიან — ლექსები, № 4
 მყერვალიშვილი რუსუდ — მამის საფლავთან (ლექსი), № 3
 მორიცი იუნა — მამონტის კვალი (ლექსი), თარგმნა გივი გეგეჭკორმა, № 1
 მუედლური დავით — ლექსები, № 8
 ნეკერიშვილი ნილი — ლექსები, № 3
 ნიშნაინიძე შოთა — ლექსები, № 3; ლექსი, № 9
 ნიტიცი ელენ — სამყურა (ლექსი), თარგმნა თედო ბექიშვილმა, № 4
 ოლინიკი ბორის — ლექსი, უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ, № 2
 ორგონიკი იზა — ლექსები, № 3
 პარსამიანი ანაჰიდ — ლექსები, სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა, № 6
 პასტერნაკი ბორის — ზამთრის ღამე (ლექსი), თარგმნა ტარიელ ჯანტუიამ, № 1
 პეტრაშვილი გურამ — მექუღე (ლექსი), № 11
 რაფიბაიჯანოვი ნიკაი — კეთილი კაცი (ლექსი), აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა ერაძემ, № 8
 რაჰიმი შამედ — შიტოვებული წისქვილი (ლექსი), აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა ერაძემ, № 8; ჩემი აზერბაიჯანი (ლექსი), თარგმნა ვახტანგ ჯავახაძემ, № 12
 რზა რასულ — ოთხთა საუბარი (ლექსი), აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა ერაძემ, № 8
 რუმო პალუ-ეირიკ — ლექსი, თარგმნა ამირან კალაძემ, № 4
 რუნელი პანფი — ნოქტურნი (ლექსი), თარგმნა თედო ბექიშვილმა, № 4
 ხალუქვაძე ანზორ — ლექსები, № 9
 ხამზარაძე-ქალაძე ეთერ — ნადეჟდა კურჩენკოს (ლექსი), № 3
 საიათოვა — ლექსები, სომხურიდან თარგმნეს ზეზვა მედულაშვილმა, გივი შაჰნაზარმა, № 5
 სევაკი პარუირ — ლექსები, სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა, № 6
 სინელნიკოვი მიხეილ — ლექსები, თარგმნეს



ჭანსულ ჩარკვიანმა, ვახტანგ ჭავჭავაძემ, გივი გეგეჭკორმა, № 12
სკოვოროდა გრიგორი — ლექსები, თარგმნენ ანა კალანდაძემ, რევაზ მარგიაშვილმა, შოთა ნიშნაიანიძემ, № 12

სსულაკაური არჩილ — ლექსები, № 2, № 9
ტაბატაძე ალექსანდრე — ლექსები, № 11
ტაბიძე ვალაკტიონ — კავშირი გულთა შორის! (ლექსი), № 12

ტიუტჩევი თ. — ლექსები, თარგმნა გიორგი კალანდაძემ, № 11

ტიჩინა პავლო — მალალი გრძნობა ძმური ოჯახის! (ლექსი), თარგმნა მურმან ლებანიძემ, № 12

ფოცხიშვილი მორის — ლექსები, № 9
ფხოველი ჩარჯი — ლექსები, № 11
ქავთარაძე შოთა — ლექსები, № 6
ქერბაბაძე ბერდი — ჩემო თურქმენისტანო! (ლექსი), თარგმნა ოთარ ჭელიძემ, № 12

შალამბერიძე ოთარ — ლექსები, № 1
შალვაშვილი ბელა — ლექსები, № 3
შამანაძე ნოდარ — ლექსები, № 8
შენგელია ალექო — ლექსები, № 8
შერაზადაშვილი ზაქარია — ახალგაზრდობა (ლექსი), № 4

ჩარკვიანი ჭანსულ — შეხვედრა (ლექსი), № 9
ჩაჩავა ნიკოლოზ — ლექსები, № 11
ჩიჩიაძე შალვა — ლექსები, № 7
ჩხეტიანი მზია — ლექსები, № 3, № 11
ჩხიკვაძე ვანო — ლექსები, № 5
ძინელია გივი — ბალადა პატარა ვოგოზე: ანუ ბიჭებო, აღარ იქნება ომი! ბიჭებო ომი იქნება ხვალ (პოემა), № 6; 23 აგვისტო (ლექსი), № 9

ჭანტურია ტარიელ — ქება შესამე: იმერეთი (ლექსი), № 9

ჭელია ნაზი — რა მცირე გზაა (ლექსი), № 3
ჭულბურაძე დოდო — ლექსები, № 5
ჭაკიშვილი მავჭუღა — ლექსები, თარგმნა ნაზი კლახონიამ, № 5

ჩაჩია ნაზი — პოეზია და სიყვარული (ლექსები), აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლილია ერამეძე, № 8

ჩვედელიძე ნოდარ — ლექსები, № 4
ჭოსტარია ილია — ლექსები, № 6
ჭავჭავაძე ვახტანგ — ლექსები, № 5; ოლონდ... (ლექსი), № 9

ჭალაღონია ნოდარ — გული (ლექსი), № 4
ჭანგულაშვილი თეიმურაზ — ლექსები, № 2
ჭაგუბურია მურმან — ლექსები, № 7
ჭულუხიძე გრიგოლ — ლექსები, № 2
ჭოდდერლინი ფრიდრიხ — პური და ღვინო (ლექსი), გერმანულიდან თარგმნა ნიკოლოზი გელაშვილმა, № 6

ჭომეროსი — ილიადა (ქება I), ძველბერძნულიდან თარგმნა ზვიად გამსახურდიამ, № 8

თვარაძე რევაზ — ლეგენდა ცხოვრებისა, № 1, № 2, № 3, № 4

პროზიკა

კილიაია სერგი — შეილები (მეორე წიგნი), № 4, № 5, № 6, № 7

ნარკვევები, მოგონებები

აგლაძე დავით — საქართველოს პავილიონი, 1939 წელი, № 12

გორგანელი ვახტანგ — თუ კაცი გონიერია, № 4

კალანდაროშვილი ვახტანგ — სამშობლოზე ფიქრით, № 6

ლაგაზიძე ვასილ — ლენინის ორდენი, № 12
ნადირაძე ჭურხა — ფარაონები, პირამიდები, არქეოლოგები, № 5

ონაშვილი ნათელა — ცისარტყელა ცრემლში, № 6

რადიანი შალვა — შეხვედრები გიორგი ლეონიძესთან, № 5

ფიფია ზაურ — განთიადი ენგურზე, № 12
შატბერაშვილი ბორის — მაკოცხლებელი წყალი, № 12

წულაიშვილი ნოდარ — მუხა, ვაზი, საქონელი, № 1

ჭოლბორდი ბაგრატ — ისინი ჩვენს ბედნიერებისათვის იბრძოდნენ, № 7

კრიტიკა, კუპლიცისტიკა, კუპლიკაცია

ალიმოზაიკი ლერი — გვრინი, № 7
ასათიანი ნოდარ — XV-XVIII საუკუნეების საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიის საკითხები, № 9

აფაქიძე ანდრია — ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის საკითხები, № 5

ახვლედიანი გივი — წყლის კულტის მოტივები „ვარშაიკაში“, № 1

ბადრიძე შოთა — შენიშვნები პროტოსპათარისა და მუპატოსის ეგვიპტეთ ბოილას ანდერძზე, № 8; კეთილად შესახვედრი წიგნი, № 9

ბაქრაძე აკაკი — ილიას „განდგეილი“, № 11

ბურჯანაძე ქეთევან — რამდენიმე სიტყვა XIX საუკუნის ერთ მივიწყებულ პოეტზე, № 6

გაფრინდაშვილი ნოდარ — ბერძნული „ბალავარიანის“ ერთი მოსკოვური ხელნაწერის გამო, № 10

გვერდწითელი გურამ — ახალი პორიზონტი, თუ ძველი? № 10

- გონიკაშვილი მიხეილ — ქართველი უფლისწული რუსეთის სამეფო კარზე, № 5
- გრძელბე რევან — სსრ კავშირის შექმნის 50 წელი, № 1
- დავითაშვილი ისაკ — ოლფერტ დაბერის ცნობები საქართველოს შესახებ, № 6
- დანელია მარინე — ეთიკის პრობლემა ფოლკნერის ფსიქოლოგიურ ნოველაში, № 6
- დევდარიანი შოთა — გაზეთი „პრადა“ და ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესა, № 5
- ელშიაე აუგუსტ — ორივე სიტყვა თანამედროვე ესტონურ პოეზიაზე, № 4
- ვანძაძე გიორგი — „ვისთვისაა სასარგებლო“? № 2
- ზურაბაშვილი ავლიბი — პერსონოლოგიური პრობლემები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში, № 1
- თვარაძე რევან — „როგორც შეშენის მამის, მამაკაცს, მოქალაქეს“, № 12
- თითმერია ჯუმბერ — წიგნიდან მკითხველამდე გამომცემლობა, № 5; დოკუმენტური უმწიგობა, № 7
- იოვანაშვილი დიმიტრი — „ოდიშური მოთბობები“, № 9
- კალანდაძე ალექსანდრე — ანტონ ბაგრატიონი და ქართული კლასიციზმი, № 2
- კანდელაკი დონარა — ალმანახი „ფეშქეში“, № 7
- კაციტაძე დავით — ებოზოდი XV საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან, № 12
- კვერენჩილაძე რომან — წერილი რედაქციას, № 2
- კვიციანი აბელ — ქართველი სოციალისტური ერი, № 12
- კიკნაძე თამაზ — ღმერთებთან ბრძოლა, № 10
- კობიძე დავით — ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანები, № 3
- კობალიანი ვასილ — სტეფანე ორბელიანის „ორბელთა ისტორიის“ ზოგიერთი გადმოცემის ნდობის საკითხისათვის, № 12
- ლევანა ანტონ — ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, № 8
- ლომაშვილი ჯიბო, აბრამიშვილი ვლადიმერ — ბოდისა და ბოდის შესახებ, № 4
- ლორთქიფანიძე ოთარ — ღია წერილი „ციხერის რედაქციას“, № 10
- მაისურაძე დავით — ხაშ მსოფთაო მოყვრისათვის... № 11
- მახარაძე ფილიპე — აღამიანები მილიან ლენინთან, № 3
- მეგრელიძე იოსებ — გრიშაშვილის სამი ბარათი, № 11
- მენაბდე ლევან — ივანე ჯავახიშვილი და ძველი ქართული მწერლობა, № 9
- მერკვილაძე გიორგი — ქართული საბჭოთა მანის ჰუმანისტური კონცეფცია, № 3
- მიქაძე ლიანა — უფრო ხმალო მწერლის მიხედვით, № 8
- მიშვილაძე რევან — მწერლის მიხედვით, № 8
- ნიშინაძე გიორგი — მუხრან მაკაეარიანი, № 11
- ომარაშვილი ასრათ — სინგილო ქართული მწერლობაში, № 6
- პაიკიძე ვახტანგ — თქვენთვის პატარებო! № 6; სიტყვის უკრძნობლობა, № 8
- პაუკორია მამანტი, რატინა პროკოფი — ნიკო ნიკოლაძის უცნობი სტრიქონები, № 3
- როსტომაშვილი ელისაბედ — თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის ერთი თეორიის შესახებ, № 7
- სანიკიძე ლევან — ტატიტუსი ქართული უმაღლესი განათლების შესახებ, № 2
- სიგუა სოსო — მითოსი და რეალობა, № 4
- სირაძე რევან — წარსულის ესთეტიკური ნაზრების მართებული გაგებისათვის, № 9
- სუროცევი იური — ორიგინალი და თარგმანი, № 7
- ტოტოჩავა კონსტანტინე — სსრ კავშირი და კაცობრიობის სოციალური პროგრესი, № 7
- ფანჯიკიძე თეიმურაზ — პირველქმნილი ცოდვის პრობლემა, № 11
- ფრუიძე ლევან — მესხეთ-ჯავახეთის ყოფაცხოვრების მემკვიდრე, № 9
- ქობალია ივანე — ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფი, № 6; განვითარებული სოციალიზმი და მისი ძირითადი ნიშნები, № 9
- ღვინჯილია ჩანსულ — „ცხრა პოემა“, № 5; მუხრან ლეზანის 50 წელი, № 11
- ყორანაშვილი გურამ — საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ, № 11
- შავგულიძე ვლადიმერ — თქმულება უძველეს ქართულ სამყაროზე, № 1
- შარიკაძე სავლე — ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანება და მისი შესვლა სსრ კავშირის შემადგენლობაში, № 10
- შველიძე ნოდარ, ცინცაძე დურმიშხან — ინტერნაციონალიზმი მრავალპარტიული საბჭოთა სახელმწიფოს საფუძველზე, № 4
- ჩხაიძე თენგიზ — მართალი წიგნი, № 11
- ჩხარტიშვილი რევან — პორტრეტი „არსენა მარაბდელში“, № 3
- ციბაძე ავთანდილ — უთქმელობით დაშვების, № 8
- ცინცაძე დურმიშხან, შველიძე ნოდარ — საქართველოს ეკონომიური და კულტურული აყვავება ლენინური ეკონომიური პოლიტიკის განხორციელების შედეგად, № 11

წიწვიაძე თამაზ — პირველი სიხარული, პირველი წყენა, № 8

ქილაძე თამაზ — კენჭი, № 10

კინჭარაული ალექსი — ვინ თქვა პირველად „უშტარ-ნათელი“, № 1

კუმბურიძე ზურაბ — ერთი წიგნის თავგადასავალი, № 7

ბერხეულიძე გრიგოლ — ეროვნულობის პრობლემა თანამედროვე ქართულ პოეზიაში, № 11

ხიდაშელი შალვა — რუსთაველის ფილოსოფიური წყაროს საკითხისათვის, № 8

ხუციშვილი მზიულა — ბარათაშვილის პოეზიის პასტერნაკისეული თარგმანები, № 12

ჩანელიძე დავით — მონაწილეობდნენ თუ არა ქართველები ნადირ შაჰის მკვლელობაში, № 3

ჩგუბურია მურმან — „გუშინ ვიყავი სხვა“... № 5

ჩიბლაძე გიორგი — ლაღო ასათიანის დღეები და ლექსები, № 12

ხელოვნება

ბათიაშვილი გურამ — „ქართველი რეჟისორები“, № 10

ჩვენი ინტერვიუ — გვესაუბრება ახალგაზრდა მოქანდაკე ჯუნა მიქატაძე, № 3

ჩვენი კალენდარი

აბრამიშვილი ელისო — ნიკო ლორთქიფანიძე-ნოველის ოსტატი, № 4

გურაბანიძე ნოდარ — დიდი ხელოვანი, № 10

ჭავჭავაძე ელიზბარ — ნესიმის მსოფლმხედველობის მართებული გაგებისათვის, № 12

იუმორი

ტია-ტია — საახალწლო სუფრასთან, № 1

ჩხიკვიშვილი ავთანდილ — ალფა გამოსხიება, № 2

სპორტი

კიკიანი თამაზ — ერთი საღამოს ქრონიკა, № 9

სოცელი მხრიდან

უცხოეთის ქრონიკა — № 1, № 2, № 3, № 4, № 5, № 6, № 7, № 8, № 9, № 10, № 11



ქურნალი გააფორმა ზ. ფორჩხიძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჭ. ტყეშელაშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს, შიშლებს არა უშეტვს ერთი საავტორო
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლებანოვის ქ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ. მგ. შიშლის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის
კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწყობად 19/X-72 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/XI-72 წ. ქალაქის ზომა
70 X 108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პარობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ.
თაბახი 14,5. შეკვეთა 3462. უე 02049. ტირაჟი 27000.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის ხტაშხა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

07
3260 60 323.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236